საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტი

1948 წ. 18/XI

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის

შრომები

ТРУДЫ

КУТАИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО ПЕДАГОГИЧЕСКОГО ИНСТИТУТА ИМЕНИ АЛ. ЦУЛУКИДЗЕ

VIII

78

ქუთაისი 1948



საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტი

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები

ТРУДЫ

КУТАИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО ПЕДАГОГИЧЕСКОГО ИНСТИТУТА ИМЕНИ АЛ. ЦУЛУКИДЗЕ

4847

VIII



ქუთაისი 1948

დაიბეჭდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის
სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით

1933—1948

ნიგნი მიეძღვნა

ალ. ჭულუკიძის სახელობის ქუთაისის
სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს

მისი არსებობის 15 წლისთავზე

ПОСВЯЩАЕТСЯ

Кутаисскому Государственному Педагогическому
Институту имени Ал. Цулукидзе

К 15-ЛЕТИЮ ЕГО СУЩЕСТВОВАНИЯ

შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვერდი
1. ლ. ჭელიძე, ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი 15 წლისთავზე	IX—XVI
2. ს. ყაუხჩიშვილი, ახალი მასალები „ქართლის ცხოვრების“ ნუსხათა შესწავლისათვის . .	1— 8
3. მ. ალავიძე, მასალები ვაჟა-ფშაველას ენის თავისებურებათათვის	9— 37
4. ქ. ძოწენიძე, ქვემოიმერულის უხუთური მეტყველება	39— 62
5. პ. ჯაჯანიძე, ვახანურას ხეობის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი . . .	63— 79
6. კ. მეძველია, კირილე ლორთქიფანიძე . .	81—115
7. ქ. სანიკიძე, ახალი მასალები ბესიკის შესახებ .	117—136
8. ნ. მაისურაძე, ისაკ მცირის ვინაობის საკითხისათვის	137—147
9. დ. ბრეგაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდები ალორძინებისა და გარდამავალი ხანის ლიტერატურაში	149—174
10. მ. მახათაძე, „ვეფხისტყაოსნისა“ და „თამარიანის“ ურთიერთობისათვის . . .	175—197
11. გ. სამხარაძე, მაქსიმ გორკი და ფოლკლორის პრობლემები	199—232
12. შ. აბრამიძე, ჰენრიხ მოლენჰეკის აჯანყება მიუნსტერში	233—241
13. ს. კარსანიძე, საქართველოს გუმბრინის სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა . . .	243—255

გვერდი

14. შ. ქორიძე, შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და კაპიტალისტური წარმოების გეოგრაფიული განლაგება . . . . . 257—290

15. გ. დევდარიანი, ტურჩუს ქვაბული . . 291—297

16. ლ. მარუაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული ნაშრომები . . . . . 299—347

17. გ. კოკოჩაშვილი, Заметка о естественных биотопах Physa acuta Drap. в Грузии . . . 349—361

18. გ. როგავა, ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში . . . . . 363—378

19. თ. ახვლედიანი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა დისერტაციები (ბიბლიოგრაფია) . . . . . 379—397

СОДЕРЖАНИЕ

	стр.
1. Л. Челидзе, Кутаисский Государственный Педагогический Институт им. Ал. Цулукидзе (к 15-тилетию его существования) .	XI—XVI
2. С. Каухчишвили, Новые материалы для изучения списков „Картлис Цховреба“ .	1— 8
3. М. Алавидзе, Материалы об особенностях языка Важа-Пшавела	9— 37
4. К. Дзоценидзе, Ухутский говор нижней Имеретии	39— 62
5. П. Джаджанидзе, Особенности говора жителей ущелья Ваханура . . .	63— 79
6. К. Медзвелия, Кирилл Лорткипанидзе .	81—115
7. К. Саникидзе, Новые материалы о Бесики	117—136
8. Н. Маисурадзе, К вопросу о личности Исаака Мцире	137—147
9. Д. Брегадзе, Эпизоды „Вепхисткаосани“ в литературе эпохи возрождения и переходного периода	149—174
10. М. Махатадзе, О взаимоотношении „Вепхисткаосани“ и „Тамариани“ . .	175—197
11. Г. Самхарадзе, Максим Горький и проблемы фольклора	199—232
12. Ш. Абрамидзе, Восстание Генриха Моленгека в Мюнстере	233—241
13. С. Карсанидзе, Народно-хозяйственное значение грузинского гумбрина . .	243—255

стр.

14. Ш. Коридзе, Общественное разделение труда и географическое размещение капиталистического производства . . . 257—290

15. Г. Девдариани, Котловина Турчу . . 291—297

16. Л. Маруашвили, Картографические труды Вахушти Багратиони . . . 299—347

17. Г. Кокочашвили, Заметка о естественных биотопах Physa acuta Drap. в Грузии 349—361

18. Г. Рогава, К вопросу о гипотаксисе в грузинском языке . . . . . 363—378

19. Т. Ахведиани, Диссертации научных работников Кутаисского Педагогического Института (библиография) . . . 379—397

ლ. ჯელიძე
ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი 15 წლისთავზე

15 წლის წინათ, 1933 წლის თებერვალში, ქართველი ხალხის საამაყო შვილის ლ. პ. ბერიას ინიციატივით საქართველოს მეორე სამრეწველო და კულტურულ ცენტრში — ქალაქ ქუთაისში დაარსდა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. თავისი არსებობის 15 წლის მანძილზე ინსტიტუტის კოლექტივმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა პედაგოგიური კადრების აღზრდისა, მეცნიერ მუშაკთა მომზადებისა და ინსტიტუტის მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში. ამ ამოცანების განხორციელება შესაძლებელი გახდა პარტიისა და მთავრობის სისტემატური მზრუნველობით.

პირველი დღიდანვე ინსტიტუტი ძირითადად უზრუნველყოფილი იქნა მეცნიერ მუშაკთა კვალიფიციური კადრებითა და საჭირო შენობებით. პარტიისა და მთავრობის დაძახებისთანავე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა მთელმა პლეადამ მუშაობა დაიწყო ახლადდაარსებულ ქუთაისის პედინსტიტუტში.

ჩვენს ინსტიტუტში მოღვაწეობდნენ სახელგანთქმული მეცნიერები — აკადემიკოსები: გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, კ. კეკელიძე, დ. უზნაძე, ვ. თოფურია, ა. ჩიქობავა, ი. ბერიტაშვილი, შ. ნუცუბიძე, ნ. ბერძენიშვილი, ა. ჯავახიშვილი; პროფესორები: ალ. ბარამიძე, რ. ნათაძე, ს. ჟღენტი, ა. ხარაძე, ლ. გოკიელი, მ. ბექაია, ი. მოსეშვილი, ა. ბენაშვილი, ნ. დუბროვსკი, ლ. მელიქსეთბეგი, ალ. ფირცხალაიშვილი და სხვანი. მათი დახმარებითა და ხელმძღვანელობით შემდეგში აღიზარდა მეცნიერ მუშაკთა ის ძირითადი კადრი, რომელიც ინსტიტუტში ამჟამად განაგრძობს მუშაობას.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მეცნიერ მუშაკთა ადგილობრივი კადრების აღზრდას, რისთვისაც ფართოდ იყო გამოყენებული სამეცნიერო მივლინების პრაქტიკა სხვადასხვა ქალაქსა და

რაიონში. ინსტიტუტის წარჩინებულ კურსდამთავრებულთაგან 40 კაცმა გაიარა ასპირანტურის კურსი. დღემდე მეცნიერებათა დოქტორისა და კანდიდატის ხარისხი მოიპოვა 49 მეცნიერმა მუშაკმა (დაწვრილებითს ცნობებს ამ დისერტაციების შესახებ შეიკავს ბიბლიოგრაფია, რომელიც ამავე ტომშია მოთავსებული). სამეცნიერო მუშაობის გაშლას ხელი შეუწყო ინსტიტუტთან გამომცემლობის დაარსებამ. 1939 წლამდე ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებს არ ჰქონდათ საშუალება ადგილობრივად გამოექვეყნებინათ თავიანთი შრომები. ამ წელს კი საფუძველი ჩაეყარა ინსტიტუტის „შრომათა“ კრებულის გამოცემას. სამეცნიერო შრომებისა და სხვა მასალების ბეჭდვის დროულად უზრუნველყოფის მიზნით გატარებულია სათანადო ღონისძიებები, რათა ინსტიტუტს ახლო მომავალში ექნას საკუთარი სტამბა.

1933 წლის თებერვალში პედაგოგიური ინსტიტუტის 4 ფაკულტეტის I და II კურსებზე ირიცხებოდა 700 სტუდენტი, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა განისაზღვრებოდა 65 ერთეულით, არსებობდა 20 კათედრა, 2 ლაბორატორია, 5 კაბინეტი და ბიბლიოთეკა 18.268 წიგნით. ინსტიტუტის წლიური ბიუჯეტი უდრიდა 1.867.400 მანეთს.

1934 წლიდან ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტთან ჩამოყალიბდა დაუსწრებელი სწავლების განყოფილება. 1938 წლიდან გაიხსნა აგრეთვე ექსტერნატი. დღემდე ეს განყოფილებები სამუშაოდან მოუწყვეტლივ დამთავრებული აქვს 500 კაცს.

სტუდენტთა კონტიგენტის, მეცნიერ მუშაკთა რაოდენობისა და მატერიალური ბაზის მიხედვით 1937 წლიდან ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი შეყვანილია პირველი კატეგორიის პედაგოგიურ ინსტიტუტთა რიცხვში. ინსტიტუტმა სამშობლოს მისცა 5.000-მდე კვალიფიციური პედაგოგი (ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენის, ბუნებისმეტყველების, მათემატიკის, ფიზიკის, გეოგრაფიის, უცხოური ენების, პედაგოგიკისა და ფიზკულტურის მასწავლებლები), რომლებიც პირნათლად ასრულებენ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საპატიო ამოცანას.

კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაწინაურებულია განათლების განყოფილების გამგეებად, სკოლის დირექტორებად, სასწავლო ნაწილის გამგეებად, პარტიულ და საბჭოთა სამუშაოზე. ამჟამად ქ. ქუთაისის სკოლებში ჩვენი ინსტიტუტის 300-ზე მეტი კურსდამთავრებული მუშაობს; მათ შორის 9 ინსპექტორ-მეთოდისტად, 19 სკოლის დირექტორად და 16 სასწავლო ნაწილის გამგედ.

ასევე ფართოდაა გამოყენებული ინსტიტუტში აღზრდილი კადრები ჩვენი რესპუბლიკის სხვა რაიონებსა და ქალაქებში.

სამამულო ომის მრისხანე დღეებში ინსტიტუტის კოლექტივი მთელი ენერგიით მუშაობდა ბელადის მოწოდების — „ყველაფერი ფრონტისათვის“ საპასუხოდ. ომის დაწყების პირველსავე დღეებში ინსტიტუტის სტუდენტთა და მეცნიერ მუშაკთა დიდი ნაწილი ჩადგა საბჭოთა არმიის რიგებში. საბრძოლო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის მათი დიდი ნაწილი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, ხოლო ორს (კ. ტყაბლაძესა და გ. ბახტაძეს) მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ზურგში თავდადებული მუშაობისათვის ლექტორ-თანამშრომელთა და სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაჯილდოებულია მედლებით. სამამულო ომის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრების შემდეგ ინსტიტუტს დაუბრუნდნენ ომის მონაწილენი, რომლებსაც ყოველგვარი დახმარება ეწევათ კურსის დამთავრებისათვის.

ამჟამად პედინსტიტუტში არსებობს 7 ფაკულტეტი: ისტორიის, ენის და ლიტერატურის (ქართული, რუსული და ლოგიკა-ფსიქოლოგიის განყოფილებებით), ფიზიკა-მათემატიკის (მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებებით), საბუნებისმეტყველო, გეოგრაფიის, უცხოურ ენათა (ინგლისური, ფრანგული და გერმანული განყოფილებებით) და ფიზკულტურისა. ამჟამად ინსტიტუტის ყველა ფაკულტეტზე, დაუსწრებელი სწავლებისა და საეკსტერნო განყოფილებათა ჩათვლით, 3.000-ზე მეტი სტუდენტი ირიცხება.

პროფესორ-მასწავლებელთა შტატი განსაზღვრულია 153 ერთეულით, არსებობს 27 კათედრა, 5 ლაბორატორია და 26 კაბინეტი. ინსტიტუტის წლიური ბიუჯეტი გაზრდილია 11 მილიონ მანეთამდე.

სასწავლო-პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად ინსტიტუტის კათედრებს მიღწევები აქვთ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა კადრების აღზრდის საქმეში.

მთელ სასწავლო-სამეცნიერო მუშაობაში პედინსტიტუტის კოლექტივი ყოველთვის ხელმძღვანელობდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ისტორიული დადგენილებებით. მეცნიერი მუშაკები, შეიარაღებულნი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით, არკვევენ რთულ და აქტუალურ პრობლემებს, დაუნდობლად იბრძვიან უცხოეთის კულტურის წინაშე ქედისმოხრის წინააღმდეგ.

ინსტიტუტში ჩატარდა 12 სამეცნიერო სესია; ამ სესიებზე მოსმენილია 350 მოხსენება.

1947 წლის ნოემბერში ჩატარდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი სესია, სადაც მოისმენილ იქნა მოხსენებები საბჭოთა მეცნიერების მიღწევების შესახებ.

სპეციალური სესია მიეძღვნა კომუნიზმის საპროგრამო დოკუმენტის — „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ 100 წლისთავს.

გამოქვეყნებულია პედინსტიტუტის „შრომების“ რვა ტომი, რომლებიც 125 ნარკვევს შეიცავს.

1938 წლის ნოემბერში, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის ისტორიული დადგენილების საფუძველზე, ჩამოყალიბდა მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრა. კათედრამ იდეოლოგიური მუშაობა წარმართა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიერ მიღებულ ისტორიულ დადგენილებათა შესაბამისად.

ამხანაგი სტალინის გენიალური ნაშრომის „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლამ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წ. 14 ნოემბრის ისტორიულმა დადგენილებამ, ხოლო შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში მარქსიზმ-ლენინიზმის ერთიანი კურსის შემოღებამ არსებითი გარდატეხა მოახდინა მარსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის საქმეში.

მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრა თვალსაჩინო პოლიტიკურ-სააღმზრდელო მუშაობას ატარებს სტუდენტთა შორის. სისტემატურად აწყობს ლექციებს, მოხსენებებს, საუბრებს, კონსულტაციებს, თეორიულ კონფერენციებს და სხვა. მოწინავე სტუდენტები ჩაბმული არიან სამეცნიერო წრეში. მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრა სერიოზულ ღონისძიებებს ახორციელებს მეცნიერ-მუშაკთა შორის იდეოლოგიური მუშაობის დარგში. კათედრის მიერ ინსტიტუტში ჩატარებულია 300 ლექცია-მოხსენება, ქალაქის წარმოება-დაწესებულებებში კი 700-ზე მეტი. ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს აგრეთვე კათედრის კაბინეტი, რომელიც მდიდარია საჭირო ლიტერატურით.

კათედრის წევრების დ. კოპალიანისა და გ. ჩხეიძის ნაშრომები და სტატიები სისტემატურად იბეჭდება. კათედრა აქტიურად მონაწილეობს მეცნიერ მუშაკთა და სტუდენტთა სამეცნიერო სესიებში.

კათედრის გამგე ამხ. გ. ჩხეიძე ამთავრებს სადისერტაციო შრომას. კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მუშაობენ დ. მარგოლინი, კ. წერეთელი, რ. ჯინჯოლია და ნ. ჩიქობავა.

ფილოსოფიისა და ლოგიკის საკითხებზე მოხსენებებს კითხულობს პროფ. კ. ბაქრაძე. ვ. კილაძემ მოიპოვა ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

პოლიტიკური ეკონომიის კათედრა (გამგე დოც. ს. კარსანიძე) სისტემატურად მონაწილეობს თეორიულ და სამეცნიერო სესიებში. კათედრა ამუშავებს პოლიტიკური ეკონომიის აქტუალურ პრობლემებს. ამხ. ს. კარსანიძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

მნიშვნელოვანი მუშაობა აქვს ჩატარებული ფსიქოლოგიის კათედრას (გამგე პროფ. ა. ბოჭორიშვილი). კათედრა და მასთან არსებული კაბინეტი დახმარებას უწევს სტუდენტებს ფსიქოლოგიის დაუფლების საქმეში და ნაყოფიერად მუშაობს მეცნიერ მუშაკთა კადრების აღზრდისათვის.

ა. ბოჭორიშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა ამხ. შ. ჩხარტიშვილმა. მ. ზარქუა ამთავრებს საკანდიდატო შრომას. კათედრა ამზადებს ასპ. ო. ტაბიძეს.

პედაგოგიკის კათედრას დაარსებიდან 1947 წლამდე ხელმძღვანელობდა პროფ. გ. თავზიშვილი. ამჟამად კათედრას განაგებს დოც. დ. ყიფშიძე. აღსანიშნავია კათედრის წევრთა მონაწილეობა სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკის ჩატარებაში. ამჟამად კათედრა მუშაობს პედაგოგიკის სახელმძღვანელოს რუსული თარგმანის გამოსაცემად. ი. ჯღარკავამ წარადგინა საკანდიდატო შრომა. კათედრა მჭიდროდაა დაკავშირებული ქალაქის საშუალო სკოლებთან და დახმარებას უწევს მათ სასწავლო მეთოდური მუშაობის სწორად წარმართვაში.

მნიშვნელოვანი მუშაობა აქვთ ჩატარებული რუსული და უცხოური ენების კათედრებს სასწავლო და მეთოდიური საკითხების დამუშავებაში. რუსული ენის კათედრის გამგემ ქს. კვანტრემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ზ. ჩიკვაიძეს, ა. სულავასა და მ. კანდელაკს მიენიჭათ სამ. სსრ დამსახურებული მასწავლებლის წოდება. რუსული ენის კაბინეტი სტუდენტებს თვალსაჩინო დახმარებას უწევს.

ფიზკულტურის ფაკულტეტმა (კათედრის გამგეები პ. ჯაფარიძე და ბ. წერეთელი) თვალსაჩინო მუშაობა ჩაატარა სტუდენტთა და თანამშრომელთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვის მიზნით.

ინსტიტუტში სისტემატურად მუშაობდნენ ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის გუნდები, ასეულობით მომზადდა მშთ I და II საფეხურის ნიშნოსნები, მძლეოსნები, მეთხილამურეები, ხელჩართული მებრძოლები, ალპინისტები, მოვარჯიშეები და სხვანი. ფაკულტეტს მიღებული აქვს საკავშირო, საქართველოს და საქალაქო სიგელები.

ჩვენ დავახასიათეთ კათედრები, რომლებიც მთელ ინსტიტუტს უწევენ მომსახურებას. თვალსაჩინო მუშაობა აწარმოეს ცალკეული ფაკულტეტების კათედრებმაც.

ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას დოც. კ. მეძველია ხელმძღვანელობს. კათედრის წევრთაგან მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციები დაიცვეს კ. მეძველიამ, ქ. სანიკიძემ, გ. სამხარაძემ და დ. ბრეგაძემ. ამჟამად სადისერტაციო შრომა წარდგენილი აქვს ნ. მაისურაძეს. საკანდიდატო შრომებს წერენ მ. მახათაძე და დ. ჩხეიძე. კათედრის წევრთა ნარკვევები იბეჭდება რესპუბლიკურ და აღგილობრივ სამეცნიერო ორგანოებში.

მსოფლიო ლიტერატურის კათედრა (გამგე პროფ. ს. ყაუხჩიშვილი) აქტიურად მონაწილეობს სასწავლო და საკვლევო მუშაობაში. ფ. გოკიელმა და თ. ამირეჯიბმა უკვე წარადგინეს საკანდიდატო შრომები. ს. ყაუხჩიშვილის ხელმძღვანელობით იზრდებიან ასპირანტები ე. მეძველია და ა. ბიბიჩაძე.

რუსული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე მუშაობენ დოკ. მ. სოვეტოვი და რ. პევნაია. ქართული ენის კათედრას დოც. გ. როგავა განაგებს. გ. როგავა ამჟამად ამთავრებს სადოქტორო შრომას. კათედრის წევრები ქ. ძოწენიძე და პ. ჯაჯანიძე ამთავრებენ საკანდიდატო დისერტაციებს. საკანდიდატო შრომას ამზადებს კათედრის წევრი მ. ალავიძე. კათედრის წევრთა შრომები დაბეჭდილია რესპუბლიკურ და აღგილობრივ სამეცნიერო გამოცემებში.

სსრკ ხალხთა ისტორიის კათედრის გამგემ ი. ციხცაძემ მოიპოვა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. ამავე კათედრის წევრმა დ. უჩანეიშვილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. კათედრის წევრი ი. მატარაძე მუშაობს საკანდიდატო დისერტაციის თემაზე. კათედრა ამზადებს ასპ. დ. ჯანელიძეს.

საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე პროფ. ს. კაკაბაძე წერს საქართველოს ისტორიის კურსს. კათედრის მიერ მომზადებულია ასპირანტი მ. ბერძული, რომელიც მუშაობს საკანდიდატო შრომაზე.

ახალი ისტორიის კათედრის გამგის პროფ. ალ. ნამორაძის მიერ მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული საკუთარი მეცნიერული კადრების აღზრდისათვის. კათედრის დახმარებით შ. აბრამიძემ და ი. კუბლაშვილმა დაიცვეს დისერტაციები მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. კათედრის წევრი ნ. კუბლაშვილი წერს საკანდიდატო შრომას. კათედრა ამზადებს ასპ. კ. ლილუაშვილს.

ალგებრა-გეომეტრიის კათედრის გამგის დოც. ი. მეცხვარიშვილის მიერ შესრულებულია რიგი შრომებისა, რომლებიც დაბეჭდილია ინსტიტუტის „შრომათა“ კრებულებსა და აგრეთვე საქ. სსრ აკადემიის გამოცემებში. კათედრის წევრები ა. კორძაძე და ნ. გაბადაძე წერენ საკანდიდატო დისერტაციებს. კათედრა ამზადებს ასპ. თ. კოსტავას.

ასევე უნდა აღინიშნოს მათემატიკური ანალიზის კათედრის შესახებ, რომელსაც დოც. გრ. ხაჟალია ხელმძღვანელობს. დოც. გრ. ხაჟალიას ეკუთვნის გამოკვლევები, რომლებიც დაბეჭდილია ინსტიტუტის „შრომათა“ კრებულებსა და სხვა გამოცემებში. კათედრის წევრი გ. გაბუნია ამზადებს საკანდიდატო შრომას. ნაყოფიერად მუშაობს ზოგადი ფიზიკის კათედრა, რომელსაც დაარსებიდან დღემდე დოც. ლ. ხუციშვილი ხელმძღვანელობს. დოც. ხუციშვილის მიერ შედგენილი და დაბეჭდილია ფიზიკის სახელმძღვანელო. ამჟამად ზოგადი ფიზიკის კათედრიდან გამოყოფილია თეორიული ფიზიკის კათედრა (გამგე დოც. ვ. სულავა). კათედრის წევრმა მ. გობეჯიშვილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

აღსანიშნავია მუშაობა ზოოლოგიის კათედრისა, რომელსაც დოც. გ. კოკოჩაშვილი ხელმძღვანელობს. კათედრის წევრმა ვ. გოშხეთელიანმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. კათედრაზე შესრულებული ნარკვევების ნაწილი დაბეჭდილია ინსტიტუტის „შრომებში“.

ბოტანიკის კათედრის გამგე დოც. კ. ჭანიშვილი აწარმოებს ნაყოფიერ კვლევითს მუშაობას, დაბეჭდილია მისი რამდენიმე შრომა. კათედრის წევრები ვ. კაპანაძე და ვ. მარგველაშვილი მუშაობენ საკანდიდატო დისერტაციებზე.

ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრისა (გამგე დოც. ლ. ჰელიძე) და ორგანული და ბიოქიმიის კათედრის (გამგე დოც. დ. გაბრიაძე) მიერ თვალსაჩინო მუშაობაა ჩატარებული როგორც სასწავლო მეთოდური, ისე კათედრის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლების მხრივ. აღნიშნული კათედრების წევრთაგან ლ. დარჩია და დ. სუპატაშვილი მუშაობენ საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარებასა და საკანდიდატო დისერტაციებზე.

ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის კათედრას განაგებს დოც. ა. გოცირიძე. მისი ხელმძღვანელობით შესრულებული ნარკვევების ნაწილი დაბეჭდილია ინსტიტუტის „შრომების“ IV ტომში. კათედრის წევრმა გ. მესხმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ფიზიკური გეოგრაფიის კათედრის გამგე გ. დეედარიანმა და ამავე კათედრის წევრმა ლ. მარუაშვილმა დაიცვეს სადისერტაციო შრომები მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

ეკონომიური გეოგრაფიის კათედრიდან (გამგე პროფ. ტ. ათაბეგოვი) მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციები დაიცვეს გ. კვირიკაძემ და შ. ქორიძემ. კათედრის წევრმა ს. გვილავამ დაამთავრა ასპირანტურა და ამზადებს საკანდიდატო შრომას. კათედრა ამზადებს ასპ. გ. სოფრომაძეს.

გეოლოგია-მინერალოგიის კათედრის გამგემ გ. ჰელიძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. კათედრის წევრი ი. საღინაძე მუშაობს საკანდიდატო დისერტაციაზე. კათედრის მიერ შესრულებული შრომების ნაწილი დაბეჭდილია.

ინსტიტუტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში დიდი როლი შეასრულა მდიდარმა ბიბლიოთეკამ. ინსტიტუტის დაარსებიდან დღემდე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 18.263 ტომიდან გაიზარდა 160.000 ტომამდე.

აღნიშნული ცნობები გვიჩვენებს, თუ რა დიდი მუშაობა ჩაატარა ინსტიტუტმა განვლილი 15 წლის განმავლობაში მასწავლებელთა კადრების აღზრდისა, ადგილობრივი მეცნიერი მუშაკების მომზადებისა და მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის.

ამ მუშაობაში დირექციას სისტემატურად ეხმარებოდა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანოები და ინსტიტუტის ორგანიზაციები; პირველ რიგში პარტიული ორგანიზაცია, რომელიც მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამჟამად ინსტიტუტის პარტორგანიზაციაში 300-ზე მეტი წევრი და კანდიდატი ირიცხება.

ინსტიტუტის დირექციისა და ორგანიზაციების წინაშე ფრიად საპასუხისმგებლო ამოცანებია დასმული მეოთხე სტალინურ ხუთწლედში. ჩვენი ვალია დროზე და ხარისხიანად შევასრულოთ სასწავლო გეგმები, განვამტკიცოთ სასწავლო დისციპლინა, აღვზარდოთ კვალიფიციურ მასწავლებელთა კადრები, უფრო ფართოდ გავშალოთ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, ყოველმხრივ ხელი შევუწყოთ ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა კადრების ზრდას, განვამტკიცოთ ინსტიტუტის მატერიალური ბაზა, რათა შევქმნათ საფუძველი მისი შემდგომი გაფართოებისათვის.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1948.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VIII, 1948.

სიმონ ყაუხჩიშვილი

ახალი მასალები „ქართლის ცხოვრების“ ნუსხათა შესწავლისათვის

I

ზოგადი დებულება

„ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერთა შესწავლის დროს ჩვენს ყურადღებას იპყრობს ერთი, ძეგლთა ხელნაწერების ისტორიაში იშვიათი, გარემოება: არც ერთი ხელნაწერი „ქართლის ცხოვრებისა“ არა ჰგავს სხვა ხელნაწერებს, არც თავისი შედგენილობით და არც ცალკეული ადგილების ვარიანტებით [1]. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერები ერთი-მეორეს არ ენათესავებიან და რომ ისინი სრულიად სხვადასხვა ძეგლებს წარმოადგენენ. რასაკვირველია, არა; ისინი წარმოადგენენ ერთისა და იმავე ძეგლის ხელნაწერებს, მაგრამ ყოველ მათგანს ეტყობა თავისი რედაქტორის (მე ვიტყოდი რედაქტორ-შემდგენელის) ხელი.

მართლაც, „ქართლის ცხოვრება“, როგორც ეს დღეს საეჭვო აღარ უნდა იყოს, წარმოადგენდა „საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს“, შედგენილს როგორც მოსწავლეთა, ისე ფართო მკითხველი საზოგადოების საჭიროებისათვის, და მას, როგორც სახელმძღვანელოს, ჰყავდა თავისი რედაქტორ-შემდგენელი. საუკუნეთა განმავლობაში იცვლებოდა, რასაკვირველია, ამ სახელმძღვანელოს მოცულობა, მისი შემადგენლობა.

---

[1] გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ჩუბინაშვილისეული ხელნაწერი, რომელიც რუმიანცევისეული ნუსხის პირია (ეს ნუსხა თეიმურაზ ბატონიშვილმა 1821 წელს მიართვა გრაფ რუმიანცევს, ხოლო წინდაწინ თავის მწიგნობრებს იგი გადააწერინა, რომ შინ ჰქონოდა ამ ძვირფასი ნუსხის პირი).

1. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1948.

რომელსაც პირველად შეადგინეს ეს სახელმძღვანელო (XII საუკუნეში), მასში იყო შეტანილი საქართველოს ისტორიის მხოლოდ ორი ძეგლი (ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებები, რომლებიც მოიცავდნენ საქართველოს ამბებს დასაბამიდან VIII საუკუნემდე). ასეთი შედგენილობის „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერები ჩვენამდე მოღწეული არ არის.

XIII საუკუნის პირველ მეოთხედში შედგენილ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილ იქმნა VIII-XIII საუკუნეთა ამბები, ესე იგი: წინათ არსებულ სახელმძღვანელოს, დაუმატეს „მატიანე ქართლისა“, „დავით აღმაშენებლის ისტორია“ (და ე. წ. „ლაშა-გიორგის დროინდელი მატიანე“). ასეთი შედგენილობის „ქართლის ცხოვრება“ წარმოდგენილია ანასეულ ხელნაწერში (XV საუკუნისა).

შემდეგ, არ ვიცით როდის, დაუმატეს ვრცელი „ისტორია თამარ მეფისა“ და „მონღოლთა დროინდელი ისტორიკოსის თხზულება“, და ამით საქართველოს ისტორიის ამბების მოთხრობა მოტანილ იქმნა XIV ხაუკუნემდე (ასეთი სახის „ქართლის ცხოვრება“ წარმოდგენილია XVII საუკუნის მარიამისეულ ნუსხაში), და ასე შემდეგ: ამათუიმ ეპოქაში საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს („ქართლის ცხოვრებას“) ავსებდნენ ახალ-ახალი ძეგლებით.

ვინ იყვნენ ეს შემავსებელნი? ესენი იყვნენ, ჩვენის აზრით, ისეთი პირები, რომელთაც ჩვენი ახლანდელი ტერმინოლოგიით შეგვიძლია ეუწოდოთ „სახელმძღვანელოს ავტორები“. ზოგჯერ ეს იყვნენ ინდივიდუალური ავტორები, ზოგჯერ—კოლექტიური (კოლექტივმა შეადგინა, მაგალითად, ვახტანგ VI-ის დროს და ამ კოლექტივს ხელმძღვანელობდა ბერი ეგნატაშვილი). ამ შემდგენელთა უფლება-მოვალეობა და მათი მუშაობის მეთოდები იმითაც უახლოვდებიან ახლანდელი ავტორების უფლება მოვალეობასა და მუშაობის მეთოდებს, რომ „ქართლის ცხოვრების“ შემდგენელნი არა მარტო ავსებდნენ „ქართლის ცხოვრებას“, არამედ ზოგჯერ სცვლიდნენ ხოლმე შიგ შემავალ თავებს ახალი თავებით. ასე, მაგალითად, „ქართლის ცხოვრების“ იმ რედაქტორ-შემდგენელმა, რომლის ნამუშევარი წარმოდგენილია ჭალაშვილისეული ხელნაწერით (XVI-XVII საუკ.), თამარ მეფის ეპოქისათვის შეიტანა ბასილ ეზოსმოძღვრის თხზულება „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ და არა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედიანი“, რომელიც იმავე თამარ მეფის ეპოქას აღწერდა და რომელიც

შეტანილი იყო „ქართლის ცხოვრების“ წინანდელი რედაქტორ-შემდგენელის ნამუშევარში (მარიამისეულ ხელნაწერში რომ არის მოთავსებული).

დასასრულ, „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორ-შემდგენელნი ცალკეული თავების ფარგლებშიც იჩენდნენ დამოუკიდებელ მიდგომას: მათ შეჰქონდათ ახალ-ახალი ეპიზოდები (პეტრე მათუშელის მოღვაწეობა, ასურელ მამათა ცხოვრება, გობრონის წამება და სხვა) და აგრეთვე სცვლიდნენ წინადადებებსა და გამოთქმებს, ისევე როგორც ცალკეულ სიტყვებსაც. ერთი კი ცხადია: ყოველი რედაქტორ-შემდგენელის საფუძველს წარმოადგენდა მის ხელთ არსებული რომელიმე ნუსხა „ქართლის ცხოვრებისა“, რომელშიც ახდენდა ის თავის რედაქტორულ ცვლილებებს. რამდენადაც ერთი რედაქტორი ერთნაირ ცვლილებებს ახდენდა (ძველს ნუსხაში ამას სტოვებდა და იმას სცვლიდა), ხოლო მეორე რედაქტორი — სხვანაირ ცვლილებებს (იმას სტოვებდა და ამას სცვლიდა), ამდენად ერთი რედაქტორის ნამუშევარში ძველი ფენის ერთი ნაწილი რჩებოდა, ხოლო მეორე რედაქტორის ნამუშევარში — მეორე ნაწილი. ამიტომაც არის, რომ ზოგჯერ უფრო გვიანი საუკუნეების რედაქტორის ნამუშევარში უფრო ძველი ფენაა შემონახული, ვიდრე უფრო ადრინდელი რედაქტორის ნამუშევარში.

აი, ამ მოსაზრებების გამო ვაყენებთ ჩვენ დებულებას: «არ არსებობს არავითარი საბუთი იმისა, რომ ერთი რომელიმე ნუსხა საფუძვლად დაეუდვათ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის საბოლოო დადგენას. ყველა ნუსხა (გარდა პირებისა, როგორიცაა ჩუბინაშვილისეული) თანაბარი მნიშვნელობისაა»[1]. როდესაც ჩვენ „ქართლის ცხოვრების“ რომელიმე ნუსხაში შევამჩნევთ რამე **ახალს**, რაც არც ერთ სხვა ნუსხაში არ მოიპოვება, ჩვენ არა გვაქვს უფლება ვთქვათ: ეს რედაქტორის მიერ ჩამატებულიაო, და უკუვაგდოთ იგი, როგორც „ქართლის ცხოვრების“ ხორცმეტი. ეს ახალი რამე შეიძლება იყოს „ქართლის ცხოვრების“ ძველი ფენის კუთვნილი და არა რედაქტორის მიერ შეთხზული.

რამდენიმე მაგალითით გვსურს ჩვენ ნათელვყოთ ეს დებულება.

---

[1] იხ. „საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია. საზოგადოებათ მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო სესიები. 25-ე სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები“. თბ. 1947, გვ. 5.

II

„დედოფალი კატრონიტე“

აკად. ე. თაყაიშვილმა „ძველი საქართველოს“ II ტომში გამოაქვეყნა «მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან», რომელიც მოთავსებულია ერთს 1763-1793 წლებში გადაწერილ ხელნაწერში. აქ 22. პარაგრაფის ქვეშ ვკითხულობთ:

«ამავ ჭ'კსა სამას ორმოცდა სამს წაუღო მანვე აღმაშენებელმან ანის ჭალაჭი არფასღ[ა]ნიანთა. და მოსწყვიტნა იგინი: რომელთა დიდი საყდარი ანისი მიძგითად მოეკაზმა და ქრისტიანეთა სისხლითა იგი საყდარი და ქალაქი მოერწყოთ. იმუქაფა ღვთისმოყვარემან დავით აღმაშენებელმან. მოლათა და დარიმანთა სისხლითა ახლავე მან მორწყო, საყდარი იგი ახლად მონათლა, რომელი აღეშენა ბერძენთა ასულს დედოფალს კატრონიტეს. და იჭი ესაფლავა: მივიდეს მეფე და კათალიკოზი, ეპისკოპოსნი და ერთობილნი ლაშქარნი დედოფლისა საფლავსა. ახლად წესი აუგეს და თვითან მეფემან სამჯერ საფლავთა ჩასძახნა: „გიხაროდენ შენ დედოფალო, რამეთუ იკსნა ღმერთმან საყდარი შენი უსჯულოთა კელთაგან“. ამასა ზედან მკუდარმან კმა ამოიღო და ღმერთს მადლი მისცა: გაუკვირდა მეფესა და ერთობილ ერთა. გამოვიდა ხანი. გარდაკდა დავით აღმაშენებელი ამიერ სოფლით»[1].

ეს ცნობა დავით აღმაშენებლის მიერ ანისის აღებაზე, ანისის საკათედრო ტაძრის აშენებაზე და მის ხელმეორედ კურთხევაზე მნიშვნელოვნად იქმნა მიჩნეული ჩვენი ისტორიკოსების მიერ, რადგან იგი ახალ შუქსა ჰფენს ანისის ტაძრის ქართულ-ბიზანტიურ ხასიათს, გარდა იმისა რომ უფრო დეტალურად გადმოგვცემს თვით ანისის აღების ამბავს 1123 წელს[2]. მაგრამ ეს ცნობა ცალკე, დამოუკიდებელ ახალ წყაროდ იყო აღიარებული. ე. თაყაიშვილი წერდა: „ბევრი ცნობები, განსაკუთრებით ქრონოლოგიური, ჩვენი ტექსტის ცალიდან[3] არის შეტანილი ქართლის ცხოვრებაში. ა ავე წყაროთი უსარგებლნია ბატონიშვილს ვახუშტის თავისი ისტორიის შედგენის დროს, ასე რომ ეს ჩვენი ტექსტი ისტორიული ცნობებისა არის ერთი წყაროთაგანი როგორც ვახუშტის ისტორიისა, ისე ვახტანგის რედაქციის ქართლის ცხოვრების ვარიანტებისა“.

---

[1] ძველი საქართველო, ტ. II, განყოფილება III, გვ. 62-63, 1913.

[2] ე. თაყაიშვილი: ძველი საქართველო, II, 55-56; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია II, გვ. 208, თბ. 1948.

[3] იგულისხმება არა მარტო ცნობა „დედოფალ კატრონიტეზე“, არამედ მთელი ძეგლი „მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან“.

ჩვენი დაკვირვებით პირიქითაა: ,,მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან'', სადაც კატრონიტეს ეპიზოდია მოთავსებული, ამოღებულია ,,ქართლის ცხოვრებიდან'' და ბატონიშვილ ვახუშტსაც იგი ,,ქართლის ცხოვრებიდან'' აქვს ამოღებული.

,,ქართლის ცხოვრების'' აქამდე ცნობილ და დამუშავებულ ნუსხათაგან არც ერთი არ შეიცავდა ზემომოყვანილ ცნობას ,,დედოფალ კატრონიტეზე'', ხოლო ვახუშტის ,,ისტორიაში'' კი სწერია: «მოსრულმან ანისს სამ დღე აღიღო ქალაქი, ციხე და დაბნები მისი უჯირვოდ, შეიპყრნა ალფასარიანნი და მოსწყვიდნა რომელთა ეკლესია ანისისა მიზგითად ექმნათ (რომელი აღეშენა ბერძენთ მეფის ასულს დედოფალს კატრონიკას და მუნვე დაფლულ იყო). შემოჰკრიბნა მეფემან კათალიკოს-ეპისკოპოსნი და განაახლა კურთხევით. მაშინ მეფემან უყივლა კატრონიკას საფლავსა: ,,გიხაროდენ დედოფალო, რამეთუ იხსნა ღმერთმან ეკლესია შენი აგარიანთაგან''; ხოლო საფლავით ხმა უყო მან: ,,მადლობა ღმერთსა'' და განცვიფრდებოდნენ მსმენელნი, წელსა 1129, ქართულსა 349. დაუტევნა ანისს აზნაურნი, წარმოიყვანა ბულასვარ 8 ძითა, სძლითა, მხევლებითა და ჩაგზავნა აფხაზეთს და მეფე თვით მოვიდა ქართლს» [1].

ვახუშტის ამ ცნობისა და თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებული ცნობის იდენტურობა ეჭვებს არ იწვევს. საიდან აიღო ვახუშტიმ ეს ცნობა? ივ. ჯავახიშვილის მიერ დადგენილია, რომ ვახუშტის თავისი ,,ისტორიის'' I ნაწილში არავითარი ახალი ცნობა არ შეუტანია, მან შეიტანა მხოლოდ ის, რაც ,,ქართლის ცხოვრებაში'' იყო. ,,თავისი ისტორიის პირველს ნაწილში,— წერს ივ. ჯავახიშვილი,— ვახუშტი უმთავრეს ყურადღებას ქრონოლოგიის გარკვევას აქცევდა. თვით შინაარსში მისივე სიტყვით მხოლოდ ის ცვლილება შეუტანია, რომ ,,მოქმედების აღწერა'', რომელიც ქართლის ცხოვრებაში ,,გავრცელებული იყო'', შეუმოკლებია, ,,რათა მკითხველთა არა საწყინოდ'' ყოფილიყო ქართული მატიანის წაკითხვა და თხზულების შინაარსი ,,ადრე საცნობელი იყოს'' [2].

---

[1] ვახუშტი, საქართველოს ისტორია, პირველი ნაწილი, გამოც. დ. ბაქრაძის მიერ. თბ. 1885. გვ. 182-183.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ. 1945, გვ. 334-335; აგრეთვე გვ. 331.

მაშასადამე, არ არის საფიქრებელი, რომ ეს ცნობა ვახუშტის სხვა რომელიმე წყაროდან მოეტანოს გარდა ,,ქართლის ცხოვრებისა''. მართლაც, ,,ქართლის ცხოვრების'' ერთ-ერთ ნუსხაში, რომელიც ჩვენ დავამუშავეთ, მოიპოვება ცნობა ,,დედოფალ კატრონიტეზე''. ეს არის ჯანაშვილისეული ნუსხა (XVIII საუკუნის შუა წლებში გადაწერილი).

,,ქართლის ცხოვრების'' ყველა ნუსხაში (გარდა ჯანაშვილისეულისა) ანისის აღების შესახები ცნობა დავითის ისტორიკოსისა ასეა გადმოცემული: «წარემართა და, ვითარცა მიიწია, მესამესა დღესა აიღო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჭირველად, სოფელნი და ქუეყანანი ანისისნი, და წარმოიყვანნა ბულასვარ, რვათა ძეთა მისთა თანა.....»[1]. ჯანაშვილისეულ ნუსხაში კი ვკითხულობთ:

«და წარემართა ანისად და, ვითარცა მიიწია, მესამესა დღესა აღიღო ქალაქი ანისი და ციხენი და სოფლები მისნი უჭირველად. და დაიპყრნა არფასლანიანნი და ამოსწყუიდნა იგინი რომელთა დიდი საყდარი ანისისა მისგითად მოეკაზმათ და ქრისტიანეთა სისხლითა იგი საყდარი და ქალაქი მოერწყო. იმუქფა ღ~თის მოყუარემან დავით აღმაშენებელმან მოლათა და დარიშმანთა სისხლითა ახლადვე მან მორწყო და საყდარი იგი ახლად მონათლა, რომელი აღეშენა ბერძენთა ასულსა დედოფალსა კატრონიტეს და იქითვე ესაფლავა. მაშინ მივიდა თუით მეფე დავით და კათალიკოზი, ეპისკოპოზნი და ერთობილი ლაშქარნი საფლავსა ზედა და ახლად წესი აღუგეს. და თუით მეფენან სამგზის საფლავსა ჩასძახა: ,,გიხაროდენ შენ, წმიდაო დედოფალო, რამეთუ იკსნა ღმერთმან საყდარი შენი უსჯულოთა კელთაგან. ამას ზედან მკვდრისა ძვალთა საფლავით კმაჲ გამოსცეს და ღმერთსა მადლობაჲ მისცნა. განუკვირდა მეფესა და ერთობილ ერთა. და წარმოვიდა მუნით მეფე დავით და წარმოიყუანა ბულასვარ რვათა ძეთა მისთა თანა....» (ხელნაწერი S-№ 4730, გვ. 123).

III

ზმნისართი „შინაშე"

,,ქართლის ცხოვრების'' ანასეული ნუსხა გვძენს ახალ ზმნისარი-თანდებულს: ,,შინაშე''. ეს სიტყვა ისევეა ნაწარმოები სიტყვისაგან ,,შინა'', როგორც ცნობილი სიტყვები

[1] იხ. ანასეული ქართლის ცხოვრება, თბ. 1942, გვ. 220, 18-21.

წინაშე, გარეშე, ქუეშე, ზედაშე

სათანადო სიტყვებისაგან „წინა“, „გარე“, „ქუე“, „ზედა“[1]. ანასეული ნუსხის ის ადგილი, სადაც გვხვდება „შინაშე“, ასე იკითხება:

«ოდეს სამშუილდე და ძერნა აიღეს, ქრონიკონი იყო სამასოცდაათი. მაშინ მოვიდა ძალი სულტანისა და ყოველი თურქობა, კაცი ვითარ ასი ათასი უგრძნაულად სიმარჯუითა. ხოლო მეფე დგა ნაჭარმაგევს ტაძრეულითა. ცნა რა მიმწუხრი მოსულა მათი თრიალეთს, ღამე ყოველ წარვიდა მასლათა კაცითა ათას ხუთასითა, რამეთუ ესეოდენნი დახუდეს მას შინაშე. ცისკარს მოვიდეს თურქნი, და იქმნა ბრძოლა ფიცხელი, და შეწევნითა ღმრთისათა იძლია ბანაკი მათი....» (ანას. ქ. ცხ. 211, 8-15).

ამ ადგილის შინაარსი ასეთია: სულტანი ასი ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარით მოულოდნელად მოადგა თრიალეთს; ხოლო ეს რომ გაიგო დავითმა, რომელიც იმ დროს ნაჭარმაგევში იყო, ის მაშინვე გაემართა მტრის წინააღმდეგ (მთელი ღამე იარა), გაემართა იმ ათას ხუთასი კაცით, რომელიც მას იმ დროს შეესწრო, რომელიც მას შინ ჰყავდა («რამეთუ ესეოდენნი დახუდეს მას შინაშე»). ცხადია, აქ არაფერ შუაშია «წინაშე» (რომელიც ქართლის ცხოვრების ყველა დანარჩენ ნუსხაში იკითხება) და ანასეული ნუსხის «შინაშე» თავის ადგილასაა.

ამ ადგილის შინაარსი, რასაკვირველია, კარგად ესმის ივ. ჯავახიშვილს: „მეფემ ეს ამბავი რომ შეღამებისას „მიმწუხრ“ შეიტყო, დაუყოვნებლივ იმ 1500 ჯარისკაცითურთ, რომელიც კი იმჟამად შეესწრო იქვე, თრიალეთისაკენ გაემგზავრა და მთელ ღამეს გზაში იყო“ (ქ. ერის ისტ. II, გვ. 512).

---

[1] ამგვარი წარმოებისაა, როგორც ჩანს, აგრეთვე სიტყვა „თანაშე“, რომელიც გვხვდება „თუალთა“-ში:

«ხოლო აწ ვთქუათ მთისა მისთუის, სადა იგი ზმური თუალი იპოვების. არს საბრძანებელად ჭრომელთა მეფისა მის. ზმურიან ერქუმის სახელი მთასა მას. და არს ვითარცა ჭალაკი თუისაგან. და არს პირის-პირ ბერონიკესა წარსავალსა მას ჰინდოეთისა, რჟეს მი-ვინ-მე-ვიდოდის თებაიდ. და შორავს რიჲ ზღუასა ვითარცა წარსაქანელ ოდენ ერთ ნავის, რომელ არს ესე ვითარ ოთხმეოც ოდენ მილიონ. და არს თანაშე ბერონიკესა, მახლობელად პილოჲსძუალედთა...».

ბლეიკი სთარგმნის ლექსიკონში *along side of* („ალონგ-საიდ-ოვ“) ხოლო თვით თარგმანში ასეა: *and is contiguous to Beronike* „ბერონიკეს მეზობლად გვერდით“.

მ. ბროსესაც დაახლოვებით ასე ესმის ეს ადგილი: marcha toute la nuit vers Maslatha avec environ 1500 personnes, les seules forces qui fussent près de lui (H. d. G. I, 35₂).

ამგვარად, შეგვეძინა ახალი ფორმა წინაშე, რომელიც ისევე ნაწარმოები როგორც წინაშე და მისთანანი.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1948.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VIII, 1948.

მიხეილ ალავიძე

მასალები ვაჟა-ფშაველას ენის თავისებურებათათვის

შეთანხმების ფორმები ვაჟას პოეზიაში *

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შესახებ ვრცელი ენათმეცნიერული გამოკვლევა ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. აკადემიკოს აკაკი შანიძეს ბევრი ფორმა ახსნილი აქვს თავის მონოგრაფიაში „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ (ნაკვეთი პირველი, 1942; ნაკვეთი მეორე, 1943). მანვე შეადგინა ვაჟას პოეტურ ნაწარმოებთა ლექსიკონიც და დაურთო იგი მგოსნის ნაწერების აკადემიურ გამოცემას; პირველ, მესამე და მეოთხე ტომს — თითოეულს საკუთარი (1928, 1946; 1930; 1932).

ამ ნარკვევში ჩვენ გვსურს ვაჟას ენის ერთ-ერთი თავისებურება განვიხილოთ. კერძოდ, შეთანხმების ფორმები როგორაა წარმოდგენილი მის ლექსებსა და პოემებში.

ქართველ მწერალთა შორის ვაჟა-ფშაველა უპირველესად განსაკუთრებულ ყურადღებას თავისი ენით იპყრობს.

საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ვაჟას ენა ერთი არ არის. სხვაა ის ენა, რომლითაც პოეტი წერს თავის პოემა-ლექსებს და სხვაა ის ენა, რომელსაც მის მოთხრობებსა და სტატიებში ვხვდებით.

პოეზიაში ვაჟა ფშაურ კილოს მიმართავს, ნაწარმოებებს ხალხური შაირით თხზავს, პროზასა და პუბლიცისტიკაში კი სიტყვებსა და გამოთქმებს სალიტერატურო ენიდან იღებს.

ფშაური მეტყველება, რომელიც ვაჟას პოეზიაში არის დაცული, მდიდარია ლექსიკით, ფონეტიკური და მორფოლოგიური მოვლენებით. მისი სინტაქსიც თვალსაჩინო თავისებურებებს შეიცავს.

---

* წაკითხული იყო მოხსენებად პედინსტიტუტის VII სამეცნიერო სესიაზე 1945 წლის 15 მაისს. ნარკვევში შევიტანეთ ზოგიერთი შესწორება-დამატება. ნაშრომს რედაქცია გაუკეთა პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილმა.

ვაჟა მუდამ ამტკიცებდა, რომ მთაში ყველაზე წმინდად, შეუბღალავად არის შენახული ქართული ენა. ფშავლებზე ნაკლები ზემოქმედება ჰქონდათ უკანასკნელ დამპყრობთ. მათ უშუალოდ არ განუცდიათ არაბთა, სპარსთა და ოსმალთა დარბევა-შემოსევანი. ამის გამო ფშაური საუბრის კილო და გრამატიკული ფორმები, როგორც ნამდვილი ძველი ქართული, ხელჩასაჭიდებელია, ღირსსაცოდნელი [1].

ვაჟა ამ კილოს ამკვიდრებდა მწერლობაში და ღრმად სწამდა, რომ მით ენას ამდიდრებდა.

ასეთი ღრმა მეცნიერული თვალსაზრისი ასულდგმულებდა სახელოვან მგოსანს, როცა თავის შედევრებს ფშაურ დიალექტზე წერდა.

ხალხური სიტყვიერი საუნჯის ფართოდ გამოყენება, ძველი გრამატიკული ნორმების დაცვა, თანამედროვე სალიტერატურო ქართულთან დაახლოებაც ვაჟა-შფაველას ენის ძირითად თავისებურებას განსაზღვრავს.

შეთანხმების საკითხშიც ფშაური ამ წესს მიჰყვება. ამრიგად, შეთანხმების დროსაც (მსაზღვრელ-საზღვრულის დამოკიდებულება ბრუნვასა და რიცხვში, ქვემდებარე-დამატების ურთიერთობა შემასმენელთან რიცხვში) ფშაური იცავს ძველი და ახალი სალიტერატურო ენის ნორმებს. მასში აგრეთვე სპეციფიკური, საკუთრივ ფშაური, მოვლენებიც საკმაოდ გვაქვს.

ფშაური დიალექტის თავისებურებებად ჩვენ მივიჩნიეთ თანამედროვე ქართულისაგან განსხვავებული ფორმები.

სახელთა შეთანხმება ბრუნვაში

დღევანდელი ქართულის ნორმათა მიხედვით მსაზღვრელისა და საზღვრულის რიგი ჩვეულებრივ ასეთია: მსაზღვრელს მოსდევს საზღვრული, თუმცა ხშირია ინვერსიული რიგიც (საზღვრული, მერე მსაზღვრელი), რომელიც ძველ ქართულში ჭარბობდა [2].

ძველს რიგს და აგრეთვე ახალსაც ფართო გამოყენება აქვს ვაჟას ნაწერებში.

---

[1] მცირე შენიშვნა (პასუხად ბ-ნ პ. მირიანაშვილს), გაზ. ივერია, № 192, 1888.

[2] ატრიბუტულ, მართულ და მართულ-შეთანხმებულ მსაზღვრელ სახელებს ვრცლად არჩევს აკად. აკაკი შანიძე. მკვლევარი ახასიათებს ფშაურის ზოგიერთ თავისებურებასაც. იხ. ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკეთი პირველი, გვ. 78-93, 1942.

ა) ატრიბუტული მსაზღვრელი საზღვრულთან

ატრიბუტული მსაზღვრელი საზღვრულის შემდეგ (მთა მაღალი; ცრემლი ცხარე) ჩვეულებრივად იბრუნვის. თვალსაჩინო თავისებურება ახასიათებს საზღვრულის წინ დასმულ მსაზღვრელს.

თანხმოვან-ფუძიან მსაზღვრელ სახელებთან სახელობითსა და მოთხრობითში ხშირია ბრუნვის ფორმანტის მოკვეცის შემთხვევები.

სახელობითი ბრუნვის ნიშანი იკარგვის შემდეგ ზედსართავ სახელებში:

ვნახენ ხავსიან ყორენი (მონადირე),
ვინ იცის, ნათრევ კაცია (ბახტრიონი),
წუხელ ცუდ სიზმრები ვსინჯე (ალუდა ქეთელაური),
ამბობენ, ბლოელ აფშინა
სძარცვავს რჯულიან ურჯულოს (გოგოთურ და აფშინა).
ღმერთმა გაშოროს ბოროტი,
ავ საქმე, ავი წადილი (გოგ. და აფშ.),
რა სარჩოდ გამოგადგება
თათრების დაჭრილ ზურგები (გოგ. და აფშ.),
შაიღებება სისხლითა
ოსმანას ყვითელ წვერია (გიგლია),
ერთ ხელში დაუჭერია
მარჯვენის ნახრავ ძვალები (ალ. ქეთ.).

ეს მოვლენა უმთავრესად ჩანს კუთვნილებით სახელთნაცვალსებში.

ჩემი: გაჰხედე ჩემ უნცრუაი
იმეებს მისდევს გველრშია (გველის მჭამელი),
ჩემ ცხენიც იმასა ჰყვანდეს (გოგ. და აფშ.),
ჩემნ იარაღნიც მამცენა (გოგ. და აფშ.);

შენი: მე შენ იარაღნ რად მინდან (გოგ. და აფშ.);

თ(ა)ვისი: ზოგს ამოჰშხამდა თვის ლუკმა (უიღბლო იღბლიანი),
აჩვენოს თავის ჯანია (ღილა და კვირისა),
თავის ლურჯაი ეგონა (სულა და კურდღელა),
შინ მოაქვთ თავის მკვდარია (სტუმარ-მასპინძელი);

სხვისი: მუდამ სხვის ვნება სწყურია (ეთერი);

(ი)მისი: როცა ვიცანით მის სახე (ახუნდი),
სხვა მის მუშებიც ამბობენ (უიღბლო იღბლიანი),

მის ნახვა მეკრძალებოდა (მოხუცის ნათქვამი),
ყველაზე ადრე გაიგო
მელამ მის მოთქმა-ჩივილი (ნახევარ-წიწილა);

ჩვენი: ჩვენ უშიშაიც მარჯვეს ჰყავ (გვ. მჭ.);

(ი)მათი: დაკლულმა დაჰკლა მათ გული (სტუმარ-მასპინძელი),
არ ინახება მათ ყოფნა
კაცისგან ავის თვალითა (უიღბლო იღბლიანი),
მაინც იქ მყოფთა ყველათა
მათ ყოფა-ქცევა აკვირვებს (უიღ. იღბ.),
გაცრუვდა იმათ ნათქვამი (მანდილი),
დაიქცა იმათ რჯულია (ჩემი თავგადასავალი),
იმათ აწმყო და მყობადი
შაიმოსება შავადა (მანდილი),
სადაც აბარავ მიწასა
იმათ გული და სახეა (ბახტრიონი).

ბრუნვის ნიშნის დაკარგვა (ნაწილობრივ ან მთლიანად) მოთხრობებში:

ნაზ მყუდროებამ შაიპყრო (ადამიანი),
შასმულებმ ხევსურთ შვილებმა
მოიმარჯვიან ფარები (ალუდა ქეთელაური);
ოღომც დააბას ჩვენმ ჯარმა
თათრები ვირის ბაგაზე (ბახტრიონი);
მის სახემ გუდას მიჰნიჭა ძალა (დაჩაგრ. მესტვირე),
შვილები ამომიწყვიტა
მის გესლიანმა ენამა (მამიდის დანაბარები),
იმის ქცევამა უფროცა
ჰკვა-გონებიდან ამრია (ივ. კოტორაშვილის ამბავი),
ჰკვიდამ არია სტუმარი
იმის ნისლივით თმამაო (ხის ბეჭი);
ამბობს, არანისს მათ გვარმა
სით, როგორ დაიბუდაო (ჩემი თავგადასავალი),
მატირა იმათ ნახვამა (ერთი და მეორე).

დამახასიათებელია შეთანხმება მსაზღვრელისა საზღვრულთან მიცემითსა და ნათესაობითში.

მიცემითში: დაზიანებულს სიცოცხლეს
მეტად ნუ დამიზიანებ (სიმღერა),
მეფესაც უთქვამ: გოგოთურ
ათასს კაცთანო ვადარე (გოგოთ. და აფშინა),
ამ ტყის ანგელოზს გოგონას
ტკბილს ძილს არარა ურღვევსო (მწყ. ქალი),
ვერ მააწონებთ კარგს ყმასა
რაც არ უჯდება ჭკვაშია (ქეიფი),
არ ეჭაშნიკა დროულს ქისტს
დანახვა უცხოს ყმისაო (სტუმარ-მასპინძელი)...

ზოგან მსაზღვრელი ფუძის სახით გვხვდება:

ვტლოშნიდი ხავსიან ლოდებს,
ყვავილთა ლამაზ თვალებსა (სოჭი)...

ნათესაობითში: მაღლისა მთისა წვერზედა
საფლავი გამითხაროდი,
ჩემის სამშობლოს ქვიშანი
ხშირ-ხშირად მომაყაროდი (სიმღერა),
ნულარ ვიხილავთ საყვარლის
ჩვენის ქვეყნისა მთა-ველსა (სიმღერა),
ამგვარის ამბის მოწამე
შევდრკე, დავმუნჯდე ლამისა (დაგვიანებული პასუხი აჯაკის),
მხნედ მივალ, ვერვინ დაგცინებს
ლაჩარის შვილის ყოლაზე (ფშაველი ჯარისკაცის წერილი),
მოჩანს ქისტეთის მიდამო
სალის კლდეების ტახტითა (სტ.-მასპ.),
დაიწყებს შესაქცევრადა
დიდის ყალიონის წევასა (გოგ. და აფშ.)...

ნათესაობითის ს ანალოგიით მოქმედებითშიაც არის გადასული:

მთას იქით მოსთქვამს რიონი
გაშიშვლებულის ხმალითა (გაზაფხული),
მოვიდა მოყურიადე
ლაქარდიანის ენითა (სტ.-მასპ.),

ვერვინ დაგიძრა წამწამი
შემოქნეულის ხმალითა (სისხლის ძიება).
გამოჩნდა ქალი ლამაზი
შავის ტანსაცმლით მოსილი (სტ.-მასპ.)...

გვაქვს ბრუნვის ნიშნის ნაწილობრივი შეკვეცა (თანხმოვნის ჩამოცლა).

ნათესაობითში: იცავს, ამაგრებს ყველგანა
მშობელი ქვეყნის ზღუდესა (ჰაოს და ქართლოს),

ჯოყოლას თავზე დაეცა
მთელი ქისტეთის ჯარიო (სტ.-მასპ.)...

მოქმედებითში: კარგი სიტყვით და რჩევითა
სიმდიდრეც შეუძენია (ახუნდი),
სწურთნიდე მახვილი რჩევით
მოუხეშავებს, ბეცებსა (მეჯლისი ლომისა),
ერთი ხელითა ხელს იპყრობს (სისხ. ძიება)...

კუთვნილებით სახელთნაცვალებს (თაისი, სხვისი, (ი)მისი, (ი)მათი) ნათესაობითსა და მოქმედებითში ბრუნვის აფიქსები არ ახლავთ [1].

ნათესაობითში: თავმოხდით დგანან მხედარნი
თავის ბატონის კარზედა (ბახტ.),
თავის წამწყმედის წაწყმედა
მისი წესი და რჯულია (სისხლის ძიება),
მონადირემაც გასინჯა
თავის ძმობილის წყლულია (დაჭრილი ვეფხვი),

---

[1] ეს სახელთნაცვალები, რომლებიც თითქმის ყოველთვის საზღვრულის წინ დგანან, როგორც ვხედავთ (იხ. ამ სახელთა ბრუნება სახელობითსა და მოთხრობითში, გვ. 11-12), ნათესაობითში დაყენებულ ბრუნვაუცვლელ მართულ მსაზღვრელებად არიან გაგებული.

მხოლოდ სახელობითში აქა-იქ ადგილი აქვს შეთანხმებას. ნიმუშები პოემიდან „უილბლო იღბლიანი“:

რად მომიძულე, მეუფევ,
თავისი მონა საწყალი;
იმისი მწყემსი საბრალო
იქვე დგას, ცოტა განზედა;
იმათი ნახვა წყლულს გულსა
ძალიან გაახარებსა.

ის მომწონს, თავის ქვეყნისა
კარებს რომ მაგრად ჰკეტავო (იმერეთს)...;
...ჩემი მოსისხლე, სხვის სარჩოს მტაცი (არწ.),
სხვის დალონების მსურველნი
ბოლოს დაღონდენ თავადა (ქებათა ქება);
იყვნენ მის ქების მთხრობელნი (უიღბ. იღბ.),
შუა იჭრება ქიჩირი
იმის თვალების ფხაზედა (სისხლის ძიება),
ოსტატობს, ხალხმა ვერ შესძლოს
იმის ფიქრების მიხვდომა (სტ.-მასპ.);
ცეცხლი მოედო სამყაროს
იმათ თვალების ბრიალით (ნახ.-წიწ.).
მათ სიმამაცის მნახველი
დღესაც ჰკვნესს არემარეო (მოხუცის ნათქვამი).

ბოქმედებითში: მოქმედებს თავის ნებითა (საახალწ. სიმღერა),
ფიცულობს თავის რჯულითა (სტ.-მასპ.),
ჩერქეზთ ლაშქარში ერიო
თავის ხმლითა და ფარითა (სისხ. ძიება),
რომ თავის უშნო ენითა
ვერას ვაგონებ მშობელსა (დაგვ. პასუხი აკაკის);
მძულს სხვის ამაგით ქეიფი,
სხვის ოფლით წვერის ცმაცური (ჰაოს და
ქართლოს);
გაოცებულან მის შრომით (უიღბ. იღბ.),
იმის ხორცითა ძღებოდა (ცრემლები),
უმღერენ სულის სიმტკიცეს,
იმის წყალობით ცხონებას (უიღბ. იღბ);
მეც იმათ ჯოგიდამა ვარ (სიმღერა),
იმათ დარბაზით ისმოდა
მუდამ ლხინის ხმა, ღრეობა (უიღბ. იღბ.).

ბრუნვის ფორმანტი იკარგვის აგრეთვე შემდეგ ზეჯსართავ სახელებში:

ნათესაობითში: მაგრამ საკუთარ მანდილის
ღირსება არა სჯეროდა (მანდილი),
...მათურელ გივის შვილია (ბახტ.),

თუ ამას შავესწრებოდი,
ამდენ სირცხვილის კრეფასა (ბახტრიონი),
დიდრონ ხეების გაწვდილი მკლავი
მკერდს ებჯინება ბრწყინვალეს ცასა (თეთრო
გიორგი, შვილი რა მიყავ?).

მოქმედებითში: დავათათბირე ტკბილ სიტყვით (ჩემი თავ-
გადასავალი)..

ვითარებითში სრული შეთანხმება არ წარმოიებს; მსაზღვრელის ბრუნვის ნიშანი იკვეცება:

მხოლოდ ზღვის მკერდი ქცეულა
ერთ უზარმაზარ სხივადა (უიღბ. იღბლ.),
და დავდეგ ცა-ქვეყნის შუა
ქედმოუდრეკელ სვეტადა (სიმღერა),
ნუ გადამაქცევ, უფალო,
შხამისა სასმელ ფიალად (სიმღერა),
გადაქცეულა ნაოხარ
გააბეჭდრებულ ბაღადა (ქებათა ქება)..

კუთვნილებით სახელთნაცვალებში მსაზღვრელის დაბოლოებად მიცემითი ბრუნვის ანალოგიით წარმოშობილია ს.

შერცხვეს ჩემს თავად, ვინც შენა
ნაწილი დაგიკარგოსა (სტუმარ-მასპინძელი),
შენს სალოცავად გამოვგზავნევი (თეთრო
გიორგი, შვილი რა მიყავ?)..
თქვენს ბატონად და პატრონად
მე დღეს დამნიშნა ზეცამა (ბრძენი ვირი)...

აკადემიკოს აკაკი შანიძის აზრით წინ დასმული ხმოვან-ფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელი, თუ გათიშულია საზღვრულისაგან, ბრუნვიანი ხდება:

მწვანეს ეწვდება ფოთოლსა
ხარი-ირემი რქიანი (გოგ. და აფშ.).

მსგავსი ნიმუშებია: რამ გაგამწარა ნაღველმა (კითხვა-პასუხი),
ყური მიაპყრო მშობელსა,
რას უამბობდა ამბავსა (მთათა ერთობა),
ვისას რას მოსთქვამ ზიანსა (ბახტ.).

მსაზღვრელ-საზღვრულის ასეთი წყობა დასტურდება ხევსურულში[1]. იგი მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებს ახასიათებს:

ბ ე ვ რ ა მ გაკვების ქ ა ლ ა მ ა
სათარეშოდა ქმარია (კევს. გალაშქრება მითხოს);
მ წ ა რ ე ს ვიუბნებ ე ნ ა ს ა (როგორი უნდა ქალი),
მ ძ ი მ ე ს დაგკიდებ ლ ა გ ა მ ს ა (ნასკვაურისძე)...

ვაჟას პოეზიაში მოიპოვება 17 შემთხვევა, სადაც გათიშული მსაზღვრელი ნანათესაობითარი სახელია და საზღვრულის წინ დგას (იხ. მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელი საზღვრულთან. გვ. 19).

ხმოვან-ფუძიანი მსაზღვრელი ხშირად დაბოლოებას იცვლის ისე, რომ მსაზღვრელ-საზღვრულს შემასმენელი არ ჰყოფს.

სახელობითსა, მოქმედებითსა, და ვითარებითში მსაზღვრელი ფორმაუცვლელი სიტყვაა. დანარჩენ ბრუნვებში იგი ეთანხმება საზღვრულს.

ა და ე — ფუძიანი მსაზღვრელი ეთანხმება არსებით სახელს მოთხრობითში:

რ ა მ ს ა ნ ა ხ ა ვ მ ა გაგმსჭვალა (კითხვა-პასუხი),
ცრემლი აწვიმა მთაზედა
ტ უ რ ფ ა მ ც ი ს კ ა რ მ ა დილისა (სიკვდილი გმირისა);
ამ ს ა ტ ი ა ლ ე მ ზ ა მ თ ა რ მ ა
წელი მომწყვიტა ჯაფითა (მწყემსის სიმღერა).

ა, ე და ო — ფუძიანი მსაზღვრელი ეთანხმება არსებით სახელს მიცემითში:

მ ე ფ ი ს ძე მ ო ნ ა ს ქ ა ლ თ ა ნ ა,
ნეტავ, რა შესაყარია (ეთერი),
მამა ვაჟს მწვადად შესწოვდა,
დ ე დ ა — ბ ა ტ ა რ ა ს ქ ა ლ ა ს ა (სიმღერა),
თუ კი ტყუებას დავუწყებ
შ ე ნ ფ ე რ ა ს ბეჭავს ქ ა ლ ს ა ო (ეთერი),
პ ა ტ ა რ ა ს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა
ვერას დააკლებ, ვერაო! (ჰაოს და ქართლოს),

[1] ხევსურული პოეტური მეტყველების ნიმუშები ყველგან მოგვყავს ა კ ა ც ი შ ვ ი ლ ი ს წიგნიდან — ქართული ხალხური პოეზია, ხევსურული, I, 1931.

მჭეო, რა ცოტას ხანს გიცქერთ (მთიულეთს. სიმღერა),

ცხრას ზღვასა, ცხრას მთას იქითა
ცხოვრობდა ერთი ბებერი (ეთერი);
დაჯარებული ხალხია
მწვანეს ხავერდზე დაბლაო (ხის ბეჭი),
...მკერდს ებჯინება ბრწყინვალეს ცასა (თეთრო გიორგი, შვილი რა მიყავ?),
...და მგლოვიარეს ქართულსა ვთესავ (ღიღინი),
ვაკეს ადგილზე ჩავიდენ (გველის მჭამელი),
ხშირი აფრქვია სხივები
მჭმუნვარეს ქვეყანაზედა (მთა და მთვარე),
ამის გამგონემ მთვარემა
აღარა სთქვა რა მრუდადა (მთა და მთვარე),
მკრთოლარე ცეცხლი უნათებს
მჭმუნვარეს პირისახესა (ხის ბეჭი),
მეორეს დილას აღაზამ
ძროხა გარეკა მთისაკე (სტ.-მასპ.),
წვიმდა და ნამი ანკარა
მწვანეს ბალახზე ცვიოდა (სული ობლისა),
დაიძრნენ ტყიდამ ნადირნი
ვირის მჭუხარეს ხმაზედა (ბრძენი ვირი),
მგზავრს უჭირს ბნელით გამოსვლა,
დადგომა სწორეს გზაზედა (ღამე მთაში);
მაგრამ ვერსაით გამოვედ
ამ სატიალოს მდინარეს (სიმღერა),
უგზოს გზასა ჰქმნი გზიანსა (ლურჯას),
ოცი წელია მწყემსად ვარ
დუშეთს — უცხოსა მხარესა (ბახტ.),
თუ ვიწროს ადგილს მოესწრო (დაჭ. ვეფხვი),
ობლად ვარ უცხოს თემშია (სიმღერა),
კარგა გავიგე, რისთვისაც
ხართ უნუგეშოს ყოფასა (ზმანება).

შეთანხმება როდის ახდება არავინ იცის,
ნათესაობითში: მეფის ერეკლის, ნეტავ, სიხმარი?! (ერეკლეს სიზმარი),

როცა მუჯაზე ჩავალის
მწვანის ბალახის თელითა (ხის ბეჭი).

საზღვრული მოქმედებით ბრუნვაში ე — ფუძიან მსაზღვრელს შართავს:

მწვანის ქათიბით კოხტაობს
მთების კალთები ტყიანი (გოგ. და აფშ.),
ატირდა ცხარის ცრემლითა
მზე მთის პირს ჩამავალია (დანაბარები),
რად გიკვირთ, როცა ჩვენს მფარველს
ცხარის ცრემლითა ვსტირითა (სტ.-მასპ.),
მიდის მკრთოლარის სახითა (ეთერი)...

შეთანხმება წოდებითში:

როს დაინგრევი, ტურფავ ტაძარო...
(ერეკლეს სიზმარი).

ბ) მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელი საზღვრულთან

მართულ-შეთანხმებულ მსაზღვრელს (ნანათესაობითარ სახელს) საზღვრულის წინ ეხვდებით უმთავრესად მაშინ, როცა მათ შორის შემასმენელი დგას. არის შემთხვევა, სადაც მსაზღვრელ-საზღვრული შემასმენლით არაა გათიშული.

ასეთი შესიტყვება პოეტური მეტყველების თავისებურებად ჩაითვლება. ცეზურის, მარცვალთა რაოდენობისა, თუ სიტყვათა გადასმის აუცილებლობამ წარმოშვა იგი.

საგულისხმოა, რომ ქართულ მწერლობაში და განსაკუთრებით ხევსურულ პოეზიაში ეს შეწყობა გავრცელებული არ არის.

მსაზღვრელს — გენიტიურ სახელს ზმნა მართავს. მას ყოველთვის ნათესაობით-მიცემითის ფორმა აქვს. იშვიათია იგი ნათესაობით-მოთხრობითში. გვაქვს მხოლოდ ორი მაგალითი:

სხვისამ იქცეროს ჩონგურმა (სიმღერა),
სისხლისამ მორწყო წვიმამა
ქართველთა მთა და ბარია (მოხუცის ნათქვამი).

ვაჟას პოეზიაში ვიპოვეთ ნათესაობით-მიცემითის ფორმიანი 25 მსაზღვრელი (17 გათიშული, 8 გაუთიშავი).

გათიშული მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელების ნიმუშები:

საკინძზე ალმასისასა
დაუკერებენ ღილებსა (გაზაფხული),
ცა მწყრალი ყინულისასა
მიწას ესროდა ზოდებსა (ივ. კოტ. ამბავი),
ეგრე რად გეადვილება,
ღვთისას რომ ჰბედავ გმობასა (ეთერი),
მიტომ მჭმუნვარებს ვაჟკაცი,
ფიქრისას აგებს ყორესა (ხის ბეჭი),
მტრისას, ხმლით ნაჭერს, მინახავ,
მინდია დგამდეს გორასა (გვ. მჭ.),
რად სჩადის ამას, რომ რჯულიც
კვლისას არ გვაძლევს ნებასა (გვ. მჭ.),
შხამისას გაჭმევ სადილსა (ნახ.-წიწ.),
რომ ჰკვეხდი, ასლანისასა
სულ გავწყვეტ შვილიშვილებსა (სისხლის ძიება),
დღეს იმ თვალების სიტურფე
შხამისას მაწვდის ფიალსა (ჩემი თავგადასავალი),
ბევრი სხვა ანთებს, მართლისას
სულ სხვა ძალა აქვს სანთელსა (კაცი მართალი),
მიწურულია აპრილი,
დღეს კი ვერ ვხედავ მზიანსა,
გაზაფხულისას, ტკბილს და თბილს,
არც მერცხლებს მალხაზ ფრთიანსა (სიმღერა),
ცა გლოვობს, ტირის, ცრემლისას
მიწაზე ადენს ღვარებსა (ჰაოს და ქართლოს)[1].

პოემაში „ჩემი თავგადასავალი“ მხოლოდ ორი შემთხვევაა, სადაც გათიშული მსაზღვრელი მართული სახელია და არა მართულ-შეთანხმებული:

ეკლის დაგხურავს საბანსა,
მუხის მიემართეთ ჩეროსა.

ასეთ გამოთქმას აკაკი წერეთელიც ხმარობს. მის პოემაში „რაჭალეჩხუმი“ ვკითხულობთ:

[1] ერთგან, გ. ტაბიძის ლექსში („მესაფლავე“) შეგვხვდა ამგვარი მსაზღვრელ-საზღვრული:

აი, თუნდაც, გალავნისას მესაფლავე აღებს კარებს.

(რიონი) ნიკორწმინდის და ბრავალძის
შეჰლაღადებდა ტაძრებსა.

–ის ფუძიანი სახელთნაცვალი ზოგჯერ გავრცობილია ა ხმოვნით;

სხვას ვის რას არგებს, თავისას
ვეღარ ჰპატრონობს სადგომსა (ძაღლიკა ხიმიკაური),
ვისას რას მოსთქვამ ზიანსა (ბახტ.),
ამას ვისას სთელ ყანასა (სისხლის ძიება),
სხვისას სდარაჯობს სათიბსა,
სხვისას გარს უვლის ყანასა (კაცი მართალი).

მართულ-შეთანხმებულ მსაზღვრელს ზმნა არ გათიშავს საზღვრულისაგან, თუ იგი რვამარცვლოვანი სტრიქონის უკანასკნელი სიტყვაა, თუ მით ლექსის ცეზურა თავდება.

გაუთიშავი მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელების ნიმუშები:

დიდი ხანია, ქისტისას
ხარს არ მასვერით თავიო (გალაშქრება ლაშარის
ჯერის დროშებით),
ღარიბს ამდიდრებს, მდიდრისას
სიმდიდრეს გაათავებსა (სიმღერა),
ძნელია დამარცხებისას
ამბავს ისმენდენ დედანი (ირაკლი ბრძოლის წინ),
ის ისევ ამირანისას
გულ-მკერდსა სწიწკნის შმაგადა (უიღ. იღბლ.),
რაღა მიჭირდა, თუ მტრისას
გაჟლეტას გავიგონებდი (ბახტ.).
ანგელოზები დაფნისას
გვირგვინს ადგამენ გმირებსა (სიმღერა),
ვაძოვებ [ძროხას] მთისას მწვანე ბალახსა (მწყ.
ქედანი დვრინავს, წმინდა თევდორეს სიმღ.),
შესთხოვს ოქროსას ბოლოს და ფრთასა
(თეთრო გიორგი, შვილი რა მიყავ?) [1].

[1] ილია ჭავჭავაძის პოემაში „მეფე დიმიტრი თავდადებული“ ანალოგიური ფორმა მოიპოვება:

გლახის, ობლის, ჩაგრულისას
სარჩლსა არ ითაკილებდა.

უკანასკნელ ორ მაგალითში გენიტიური მსაზღვრელი ათმარცვლოვანი სტრიქონის პირველი ცეზურის დაბოლოებაა.

ხშირია ჩვეულებრივი შეწყობაც: საზღვრული, რომელიც მიცემითში დგას, მართავს მსაზღვრელს.

ნიმუშები: ვსვამ უკვდავების წყაროსა (მთათა ერთობა),
წიწილის ლაშქარს ჰლოცავდა (ნახევარ-წიწილა),
დაგაწყევლინებს დედის მკერდს (ჩემი თავგად.),
შატილიონის ნასროლი
ქისტს უმტვრევს გულის ფიცარსა (ალუდა ქეთ.)...

ხშირად ნანათესაობითარ მსაზღვრელს, რომელსაც მეორე ადგილი უჭირავს, ფუძედ აქვს -ის დაბოლოებიანი, ე. ი. გაუვრცობელი ფორმა. მას სახელობითში დაერთვის ი.

ყველას გულს წყლულად დააჩნდა
მხეცებთან ჭცევა მეფისი:
მელიას გაზვიადება
და დამცირება სხვებისი,
შურისძიებით ივსებს
გული დათვთა და მგლებისი (მეჯლისი ლომისა)...

შეიძლება მსგავსი მოვლენა მრავლობითშიაც გვჭონდეს:

არ ესმის თხოვნა ხევსურთი (ძაღლიკა ხიმიკაური),
ვთქვათ, სიბრალული კარგია
ხე-ქვა-ბალახთი, ცხოველთი,
კაცის კვლა ყველასა სჭარბობს,
თუნდ მტერი იყოს ყოველთი (გვ მჭ.).

მსგავსად ძველი ქართულისა, ნაგენიტივარი მსაზღვრელი ეთანხმება საზღვრულს.

ნიმუშები: ძაძა ჩაიცვა ქალაქმა
სატახტომ გურგენისამა,
ცრემლების წმენდა დაიწყეს
ხელებმა უხვებისამა (ეთერი);
მაჰგლეჯს, დაიფევს წყლულშია
ნწვანეს ბალახსა მთისასა (ალუდა ქეთელ.),
მოსთქვამს დაკარგვას დისასა (ეთერი),

რა ეუთხრა მადლსა ღვთისასა? (ალ ქეთ.);
იმედო ხევსურეთისავ... (გვ. მჭ.),
ფარ-ხმალო საქართველოსავ... (იმერეთს).

გვხვდება შეუთანხმებელი ფორმები:

სახელობითში: მოიპატიჟა მნათობნი ცისა (დედა და შვილი),
თრთიან ყვავილნი მთებისა (ღამე მთაში),
მთაში ნიავი დამატკბობს,
ბარად — ყვავილნი მინდვრისა (ეთერი),
მრწამს ფერფლნი კარგის გულისა
ქარმ რომ გაჰფანტოს ხმელადა (სოჭი).

მოთხრობითში: დრომ მოატანა ძილისა (სისხლის ძიება),
ცრემლი აწვიმა მთაზედა
ტურფამ ცისკარმა დილისა (სიკვდ. გმირ.),
ვერც მკითხავებმა უშველეს,
ვედრებამ იმათ პირისა (სიკვდ. გმირისა),
გამსჭვალა მსჯავრმა ზეფისა (კაცი მართალი),
ვერ ჰხედავთ, ნდომამ მღერისა
ჩემს გულში დაისახლკარა (საახალწლო სიმღერა),
და მეც ერთგულმა რჯულისა
გავიმეორე ისევ ის (ჩემი თავგადასავალი).

მიცემითში: ბრალი რად უნდა დაედვას
ალალს, არ მჭნელსა ცოდვისა? (გვ. მჭ.),
რა ნდომა ჰქონდის ომისა,
როგორაც ლოთსა ღვინისა (ივ. კოტორა-
შვილის ამბავი),
გამმრავლებელსა მკვდრებისა
ხიმიკაური თავს უხრის (ძაღლიკა ხიმიკაური),
მე მამულ-დედულს შევკვეხი
და ქონას ბევრის ფულისა (ჩემი თავგ.).
მხოლოდ მეზობლებს ქართვლისა
იქ ყოფნა როდი აუწყეს (უიღბლო იღბლიანი),
თავები ედოთ ერთადა
ანგელოზებსა მიწისა (მთათა ერთობა),
ქმარს ეძებს მოშინაურეს,
არ მიმდევარსა მტერისა (გიგლია).

წოდებითში: საუნჯევ სათნოებისა,
ჩემიც მიიღე ქებაო (დიდი თამარი),
ათასჯერ მოხვედ, იაო,
მგოსანო გაზაფხულისა (სიმღერა),
პური შაჭამე, ნუ ჩქარობ,
შვილო, სილაღევ დედისა (გიგლია),
თქვენც გაგიმარჯოსთ [ნადირნო],
ბიძაშვილებო ლომისა... (მეჯლისი ლომისა),
არწივნო, ცის პირთ მავალნო,
ძვირად მნახველნო ბარისა,
დოსტოლრივ მჭრელნო ღრუბლების,
თანაც მზიდველნო ჭარისა (წადილი)...

სახელთა შეთანხმება რიცხვში

სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმებით (ებ-იანითა და ნარ-თანიანით) ვაჟას პოეზია მდიდარია. რიცხვს ორივე სახელი გვიჩვენებს. მსაზღვრელი ეთანხმება საზღვრულს მაშინაც, როცა ეს უკანასკნელი ებ-იან მრავლობითში იმყოფება. შეთანხმებულ მსაზღვრელს აფიქსებად აქვს -ნ ან -ებ.

შეთანხმების შემთხვევებს ვაჯგუფებთ ამგვარად:

1. ნარიანი საზღვრული ითანხმებს მსაზღვრელს ძველებურად, ნარიანი ფორმით:

დაესთელოთ სხვისნი არენი (სიმღერა),
ჩემს გულსა დაეხვეოიან
გაშმაგებულნი ჰიანი (სიმღერა,)
ყვავილთ პირს ეკონებიან
ცივნი ნამცვრევნი ცისანი (არაგვს),
იმათ წყალს დაუბანია
თამარის ტურფან თვალნია (გაზაფხული)...

ზოგიერთ წყვილში, სადაც ნარიანი საზღვრულის შემდეგ ნანათესაობითარი მსაზღვრელი დგას, სახელობითსა და წოდებითში შეთანხმება არ ხდება (იხ. გვ. 23-24).

2. ნარიანი საზღვრულა ითანხმებს მსაზღვრელს ებ-იანი ფორმით:

მოქუჩდენ ამრეზილები
მხედარნი ოთხთავ კიდესა (სიმღერა),
ზოგები დაშინებულნი
მთების ნაჟურმა დალია (მაცნე),
შვილთ ტრფობით გაუმაძღრები
გადმოსცქერიან მთანია (გაზაფხული),
მაშ, მე რაღა ვქნა, ჩემები
ბევრნი წავიდენ ლაშქარსა (გვ. მჭ.);
გულს უმაგრებენ ჩალხიას
გმირნი ტყავჩოხიანები (ჰირისუფალი),
კლდეთ შუა ჩამოდიოდენ
მხედარნი ჩოხიანები (სიზმარი სასოწარკვეთ.),
სხვანი თმაგაწეწილები
დედას წინ უდგენ ჭრაქითა (პაპას ცოლ-შვილის გლოვა),
მთანი თავჩაჩქნიანები
ფიქრს მისცემიან მწარესა (ბახტ.),
ყველანი ქუდმოხდილები
დგანან იფნების ჩრდილშია (მანდილი),
დევთ სულნი დაკოდილები
ქვესკნელში ჩაიყარიან (ალ. ქეთ.),
მოგროვდენ დევნი, პირშავნი,
მყრალნი, ტანბალნიანები (სიზმარი ამირანისა),
მხცოვანნი ხავსიანები
ჯაჭვის პერანგებს ჰკერავდენ (ძაღლიკა ხიმიკაური).

3. ებ-იანი საზღვრული ითანხმებს მსაზღვრელს ნარიანი დაბოლოებით:

ჩვენის სიკვდილის მსურველნი
ყორნები ეელარ ჩხაოდენ (სიმღერა),
ის ურჯულონი ლეკები
სასმელად გადმოდიანო (უსათაურო);
მუშები სახემცინარნი
სტკბებოდენ გრილი სიოთი (ჭადარი),
გამეგებნენ ალუდას
ძმა, ძმისწულები სამნია (ძლ. ქეთ.),
ჭართლის სერებიც მტირალნი
დგანან და იცქირებიან (ქართლი),

სასაცილოდაც არ ჰყოფნიხთ
ცრემლები ჩემის დისანი (სიმღერა),
რა მადლი არი, წყლით დაძღენ
შვლებიც თვალსამაზიანნი (კოპალა),
მხეცები გაოცებულნი
წამოყაყანდენ ვიშითა (ბრძენი ვირი),
აზრები საზენაონი
გულს ღრმად იჭდება გლახასა (უიღბლო იღბლიანი),
მოგროვილიყვენ ხახმატსა
ხევსურთ ვაჟები ხმლიანნი (გოგ. და აფშ.).

4. ებ-იანი საზღვრული ითანხმებს მსაზღვრელს ებ-იანი ფორმით:

ჩემებიც ეგებ აენთოს
იმათვე გვერდით სანთლები (უიღბლო იღბლიანი),
სისხლში მოსვრილი, დაღალულები
ძმები ციხეში დაბრუნდებოდენ (სულა და ქურდღელა);
ნაქერალაში დამდგარან
თუშები თექიანები...,
გარს სანგლად შემოუვლიათ
ხევები ბექიანები (ბახტ.),
თითო-ოროლა წარმოსთქვეს
სიტყვები ბოძიანები,
გახსნეს არაყის დოქებიც
საფევით ძონძიანები
და გაუწოდეს ყანწითურთ
მკლავები ტოტიანები (ჭირისუფალი),
ველარ ლაღობენ, დაწყნარდენ
ის მგალობლები ცქვიტები (ღამე მთაში),
მომაპყრეს გაშმაგებული
თვალები შხამიანები (სიზმარი ამირანისა),
ცხენები დარახტულები
მიმდგარან კლდეთა ყურესა (მანდილი),
სახლები მოჩანს ბევრები (ჩემი თავგად.),
შევამკე მთები მაღლები (სიმღერა),
ნემსები მჩხვლეტენ მწვავები (ზმანება),
ფიქრები მოსდით შავები (სული ობლისა).

გარდა უძველესი წარმოებისა (დევნი პირშავნი, დამსხდართა ხევსურთა, არწივნო მავალნო), შეთანხმება, როგორც ჩანს, ახასიათებს საბელობით ბრუნვას. -ებ ფორმიანი მსაზღვრელ-საზღვრული აჭა-იქ მოთხრობითსა და მიცემითში დგას:

მასმულებმ ხევსურთ შვილებმა
მოიმარჯვიან ფარები (ალ. ქეთ.),
ქება უყივლონ გმირებმა
გადასრულებმა ჩვენითა (კაი ყმა):
ჰკრეფდა მინდორში ყვავილებს
ლაძაზებს გამორჩევითა (ჰირისუფალი),
უროს სცემს სალსა კლდეებსა
გაუმაძღრებსა ძილითა (გაზაფხული),
შევტირე მთებსა მაღლებსა (სიმღერა),
სიზმრებსა ვსინჯავ ავებსა (ბახტ.).

ანალოგიური შეთანხმება წარმოებს ქართულ ხალხურ პოეზიაში. კერძოდ, ხევსურულში იგი მტკიცედ არის დამკვიდრებული. -ებ სუფიქსიანი შეთანხმებული მსაზღვრელი უმეტესად საზღვრულის წინ დგას:

ახლები შატილივნები
ერთად შაიყრის პირსაო (სულხანაური),
მამაძაღლები ქისტები
სრუ საქურდალზე დისაო (ფუტკრის ქურდი);
მაგ შენებს მეჯაბრეებსა
თუ გზაში მაასწვერია (ხუტუნი შვილისაგან აკვაი შვილს)...

შეთანხმების ასეთ გავრცელებას პოეტურ ნაწარმოებებში ზოგნი ალბათ ლექსთწყობის მოთხოვნილების საჭიროებით ახსნიან.

გენიალურ მწერალს საზოგადოდ ყოველმხრივ დიადი ღირსებანი ამკობენ. მისი შემოქმედების შინაარსი და ფორმაც უნაკლოა.

ამის გამო, ვფიქრობთ, რომ ვაჟა ამგვარ შეთანხმებას კანონზომიერად მიიჩნევდა.

მისთვის ეს ფორმა ისევე მისაღები და სწორი იყო, როგორც ის შესიტყვება, რომელიც დღეს გვაქვს და რომელსაც თვით მგოსანიც ხშირად მიმართავდა (ხავსიან(ი) ყორენი, ტკბილი დღენი, ლამაზი ქალები, ველები ბალახიანი...).

ამ თვალსაზრისს იგიც ადასტურებს, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილ მაგალითებში ბევრგან თავისუფლად შეიძლებოდა მსაზ-

ველური მხოლობითში გვჭონოდა და ლეჭსის ზომაც არ დარღვეულიყო (მაყურველნი ყორნები, მუშები სახემცანარნი, სერები მტირალნი, შვლები თვალლამაზიანნი, მხეცები გაოცებულნი, ვაჟები ხმლიანნი...).

ქვემდებარე-დამატების მიერ შემასმენლის შეთანხმება რიცხვში

ვაჟა აცოცხლებს მთელ ბუნებას. ის ამეტყველებს ცხოველს, ფრინველს, მთას, კლდეს, მდინარეს, ციურ მნათობს. უსულო საგანს გასულიერებულად წარმოგვიდგენს. განპიროვნება მისი საყვარელი პოეტური ხერხია. მწერალი მით წარმტაც და დაუვიწყარ სახეებს ჰქმნის.

ვაჟას ნაწერებში ქვემდებარე-დამატების მრავლობითობის ორივე ფორმა (-ნ და -ებ) იხმარება. ქვემდებარე-დამატება უმეტესად ნარიან მრავლობითში დგას.

ქვემდებარე-შემასმენელს შორის ურთიერთობისას მგოსანი ძირითადად ახალი სალიტერატურო ენის ნორმებს იცავს [1].

მოგვყავს რამდენიმე მაგალითი.

ქვემდებარე, რომელიც სულიერი ან განპიროვნებული უსულო საგნის სახელია, ითანხმებს შემასმენელს მრავლობით რიცხვში:

ხევსურთ ჯოყოლა გასწირეს (სტ.-მასპ.),
როგორ დაეცენ ლეკები (მაკური):
აჭა-იქ ჰყეფენ ძაღლები (სტ.-მასპ.),
ვეფხვნი მოხტიან კამარით (ნახ.-წიწ.);
ორბები სტუმრად სწვეოდენ,
დაჰყრანტალებდენ ყორნები,
სჭამდენ გულდადინჯებითა
გაუმაძღარი სოვები (კითხვა-პასუხი);
ჭიათ დამიხრან გულია (ფშაველის სიყვ.);
ახველდებიან ხევები (გვ. მჭ.),
ათრთოლდებიან ხეები (არაგვს),
ვარსკვლავნი მთის პირს სწვევიან,
ეუბნებიან ნანასა (მთათ ძილი)...

[1] ა კ. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკა, საშუალო სკოლის სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, 1946, გვ. 142.

ქვემდებარესთან, რომელიც რამდენიმე ცნებას გამოხატავს, შემასმენელი მხოლობით რიცხვშია:

ხომ გაწყრა შენი დედ-მამა (ეთერი),
ალარ გვაშინებს ლეკ-ოსმალ-სპარსი (ქებათა ქება),
გაწყდა ცხვარ-ძროხა სიმშილით (ეთერი),
გადაგვარების მოსურნე
შაჰამოს ტურა-მელამა (აკაკის საიუბილეოღ)...

შერწყმულ წინადადებაში, სადაც ორი ან მეტი ქვემდებარეა და ისინი სულიერთა სახელებია, ზმნა მრავლობითშია დგას.

მაინც მირბიან წისქვილში
ბებერი, პატარძალია (მთაში),
მიშველეთ შენ და შოთამა (დ. გურამიშვილის ხსოვნას):

ვეფხვი, მგელი და დათუნა
ვერ შემომხედვენ შიშითა (ბრძენი ვირი);
მტრის ლეშს კი ამ დროს სწიწკნიდენ
სვავნი, ორბნი და ძერანი (ივ. კოტორ. ამბავი)...

შეთანხმება არ ხდება, როცა ქვემდებარეთა მსაზღვრელად კრებითი სახელია:

ურიცხვი კაცი და ქალი
ჰალაზე შამოეფინა (სტ.-მასპ.),
იქ ბევრი იცის ირემი,
დათვი და ღორი მალული (ხის ბეჭი)...

მარტივსა და შერწყმულ წინადადებებში, როდესაც ქვემდებარე არაცოცხალი საგანია და ზმნა გარდაუვალია, შეთანხმება არ გვაქვს:

ამოსულიყო ვარდები (ერთი და მეორე),
გალმა აჭრელდა ჭედები (გაზაფხული),
ზოვებ ალარა სკდებისა (გალაშქრება ლაშარის ჯვრის დროშებით),
ალარ ჩანს მთები, ხევები (მთაში);
შაიღებება სისხლითა
ქართველთა მთა და ბარია (ბახტ.)...

თვალსაჩინოა სხვაგვარი სინტაქსური დამოკიდებულებაც წინადადების მთავარ წევრთა შორის. ვაჟას პოეზიისათვის დამახასიათებელია ქვემდებარესთან შემასმენლის თავისებური შეწყობა.

ჩვენ აქ წარმოვადგენთ ყველა წინადადებას, სადაც ასეთი შეხვედრა მოიპოვება.

ქვემდებარეს, რომელიც აღნიშნავს ადამიანს, შემასმენელი უკავშირდება მხოლობითში:

ჯარად დაისხდართა ხევსურთა
თავზე წაადგა ბალღები (ალ. ქეთ.),
მტერს უცდის ქართველებიო (მოხუცის ნათქვ.),
ბიჭები უდგა გვერდსაო (ნახ.-წიწ.).
თავისუფლდება მონები (რუსთაველის ნეშტს),
ცოცხლები მკვდრებსა სთელავდეს (კაი ყმა!,
თუ აგვიტირდა ბალღები (მთაში),
მიდის და მოდის რაზმები (ქართული ჭორწილი),
მოზარეებიც გამრავლდა (ჭირისუფალი),
მომდგარა თათრის ჯარები (ქართლი),
ბალღები აგვიბოჭირდა [აგვიწიოკდა] (ალ. ქეთ.),
ტყვეებიც ახადს მაუდის (გიგლია),
ათასი გზა აქვ ლეკებსა (უსათაურო),
ქისტებ წაუსხამ ცხენები (ალ. ქეთ.).

ასეთი შეწყობა გავრცელებულია ხევსურულშიც:

იწყინა ქისტის შვილებმა (დავით წოკლაური),
ლეკთ უფროსები შაშინდა (ლევანი),
წამოვა თუშიშვილები (ნანა თორღვაის ქალი),
თუშეთს ატირდა ქალები (ზვავი),
გარმადის არხოტივნები (მენადირის ხიფათი),
ქალაქით ჩაფრებ მავიდა (ლევანი),
მითხოს გადადგა ჯარები (ხავიწურა),
ზედი-ზე შადგა თათრები (ხეზვას დაჭრა),
შაწუხებული მკვდრები
ცხენზეით ჩამადიოდა (თარეშიდან მოსული
შვილები)...

ფშაურში ქვემდებარე — ორცნებიანი კომპოზიტი — შემასმენელს ითანხმებს შინაარსის მიხედვით:

მღვდელ-დიაკვანი გალობას
ხმით დამძახოდენ ბოხითა (ეულის სიმღერა),
ჰაოს-ხანუმა დაფუძნდენ (ჰაოს და ქართლოს),
ქართლოსის ცოლ-შვილს გაეგოთ,
მორბოდენ, თანა ტიროდენ (ჰაოს და ქართლოს).

ერთგვარქვემდებარიანი შერწყმული წინადადების შემასმენელი ხმოლობით რიცხვში დგას:

გამრავლდა ჩვენს ქვეყანაში
მიკიტანი და ჭონია (ქებათა ქება),
აგერ გახედეთ, კაცი და ქალი
დიდი ციხის ძირს ერთად გროვდება (სულა და კურდღელა),
გორებზე მოჩანს კაცი და ქალი (დაჩაგრ. მესტვ.),
ლეკი, ოსმალო თავს დაესხმოდა (გული ბედკრ.),
დიდმა, პატარამ ადრე შაიგნოს (ერეკლეს სიზმ.),
ეშური, დუთა მხარს უჭერს—
დედამთილი და რძალია (მთაში),
შატილს გადმოდგა ბანებზედ
ხევსურთ ქალი და რძალია (ალ. ქეთ.),
მოდის დიდი და პატარა,
მოდის ქალი და რძალია (მამიდის დანაბარები).

ზოგან ერთგვარქვემდებარეებს პირველი შემასმენელი შეეწყობა მხოლობითში, მეორე კი მრავლობითში:

ქალი და კაციც გაფუჭდა—
აღარ სძევთ ძველი ფერია (მოხუცის ნათქვამი),
მოქუჩდა ქალი და კაცი,
მიჰართმევდიან ბატონსა... (ალ. ქეთ.),
მოდგა დიდი და პატარა,
კოკები მოაქვთ წყლიანი (კოპალა).

ჩვეულებრივია შეუთანხმებლობის შემთხვევებიც, როცა ქვემდებარედ სხვა ცოცხალი არსებაა. მაგ., ცხოველი, ფრინველი.

ვეფხვები ლომებს შაება (გვ. მჭ.),
წყნარად ჩამოდის ჯიხვები (ძთათ ძილი),
მინდვრად ჩანს იმათ ძროხები (უილბ. იღბლიანი),

ცხვრებიც დაიძრა საბარრდ (მთაში),
ნადირთ უთელავ ბალახნი (ალ. ქეთ.),
ძაღლებს კი სძინავ თეოზე (ალ. ქეთ.);
ეხლა ყოვები სხდებაო (ალ. ქეთ.),
ზედ კაჭკაჭები სხდებოდა (ერთი და მეორე),
მასზე ჩიტები მსხდარიყო (გვ. მჭ.),
ლეშზე ყორნები სხდებოდა (ცრემლები),
იჭ, სად ყვავები ჩხავისა (მიკვლევა),
ჩამოდის თავქვე ყორან-ყვავები (სულა და კურდღელა),
ჩამოდის დევთა ლეშზედა
სოვნი უმსგავსნი, ბჯღლიანნი (კოპალა).

შეთანხმება არ წარმოებს შემდეგ შერწყმულ წინადადებებში:

დათვი და მგელი საწიწკარს
მისგან ვერ მოიპარავდა (ძაღლი),
და იქაც, ვხედავ, ბლომად ყოფილა
ტურა-მელები, მგლები, აფთრები (ქებ. ქება),
მგლები, აფთრები მრავლდება (საშობ. სიმღ.),
ვაჰმე, რა საით შემოგვხვდეს
ვეფხვი, დათვი ან მგელია (მწყემსი ქალი),
მხეცებში არსად მოჩანდა
ვეფხვი, ლომი და მგელია (ბრძენი ვირი);
ბატი, წერო და ყარყატი
მათ ნაპირებზე სხდებოდა (გაზაფხული).

ქვემდებარე — უსულოთა სახელი — ითანხმებს შემასმენელს (გარდაუვალ ზმნას) მრავლობითში:

გზაზე ურმები მიჭრიალებენ (თეთრო გიორგი, შვილი რა მიყავ?),
ამწვანდებიან გორები (უსათაურო),
მთების წვერები ჩნდებოდენ (ბახტ.),
ჩაბნელდებიან ხევები (არაგვს),
ახლად ყოოდენ იანი (გოგ. და აფშ.),
კლდენიღა დარჩენ სალები (გუთნისდედის ჩივილი),
კლდეებიც წყალსა ჰქონავენ (გოგ. და აფშ.),
მანამ სჯობს, ცანი დამეჭცენ (ალ. ქეთ.),

ცაზედ დამჭრალან ვარსკვლავნი (ბახტ.),
მუზარადები ელავდენ (ეთერი),
ბრჭყვინავენ ალმასივითა
დროშები ცეცხლის ალზედა (ბახტ.),
მოჰფრიალებენ ჰაერში
ალამ-დროშები ხშირადა (ეთერი).

შეთანხმება არ ხდება, თუმცა არაცოცხალი არსება განპიროვნებულია ან სულიერივით მოქმედებს:

ბევრჯერ აყვირდა ხევები (უიღბლო იღბლიანი),
მთებზე ეძინა ნისლებსა (გვ. მჯ.)
ხევებში ჩაწვა ნისლები (მთათ ძილი):
ბანს მისცემს მთა და ბარია (სისხლის ძიება),
თავს ჰხრის მყინვარი, სპეროზა (მთათა ერთ.),
მას მუსაიფი დაუწყო
ცამ, დედამიწამ, ტყემაო (გვ. მჯ.).

დროთა მეორე სერიაში ზმნის არქაული -ნ ფორმანტი ძველი სინტაქსური მნიშვნელობით შემოუნახავს მთის კილოებს. განსაკუთრებით იგი ფართოდ არის გამოყენებული ხევსურულში.

როცა პირდაპირი დამატება ნარიან მრავლობითში დგას, ვაჟა ძველ ნორმებს ყოველთვის ვერ იცავს.

ნიმუშები ნამყო წყვეტილიდან:

ვნახეთ მთის წვერზედ მხედარნი (მოხუც. ნათქვ.),
მოიპატიჟა მნათობნი ცისა (დედა და შვილი),
თვალნი დამთხარეთ, გულისაც
სადილი გაიკეთეთო (სიმღერა)
გამოაფხიზლა ყველანი
ჩონგურის სიმთა წკრიალმა (სისხლის ძიება)...

გარდამავალ ზმნას, რომელსაც ნარიანი დამატება შეეწყობოდა, კავშირებით მეორეში ბწკრივის ნიშნად ყოველთვის ჰქონდა -ე სუფიქსი (-ა და -ო კი არა). ვაჟას პოეზიაზე საგრძნობია ახალი ქართულის გაელენა და შეთანხმებაც არ გვაქვს.

ნიმუშები: ლაშქარს მოკლულნი აცხონოს (მანდილი),
მალე მაიჯრას თმანია (მწყემსის ანდერძი),
რომ გავიკვლიო გზანია (მწყ. ანდ.),

იხილო ტკბილი დღენია (ეთერი),
ძალნი ვახსენოთ ციურნი (გვ. მჭ.),
როდემდის უნდა აწამო,
სტანჯო თვალნი და ბაგენი (უიღბ. იღბლიანი),
განსაჯოს გუდანის ჯვარმა
იმის მსჯავრის წინ წამდგარნი (მანდილი),
მკერდს მაიფინონ ყვავილნი
ჩემის სამშობლოს მდელოთა (სიმღერა)...

მსგავსად ძველი ქართულისა, ნარიანი პირდაპირი დამატება ზოჯერ ითანხმებს შემასმენელს.

ნიმუშები: ვნახენ ხავსიან ყორენი (მონადირე),
დავაგლეჯინენ ყბანია (მწყემსის სიმღერა),
აჭა, წაიხვენ [წაიღე] აბჯარნი (გოგ. და აფშ.),
იარაღნ მამცენ, ფშაველო,
რად გი, არ იცი ხმარება!.. (გოგ. და აფშ.),
ხევსურნი ჩემზე აცინენ,
გუდანს რომ გჭონდათ ყრილობა (მანდილი),
ბელელამ ლაშნი მიჰმართნა (კოპალა),
წვერნ გადიჭნივნა რქისანი (მონადირე),
თვალნი მიეპყრნო ერთ მხარეს (გველის მჭამელი),
ცხენი, აბჯარნი სხვას მისცნა (გოგ. და აფშ.),
სხვათ გადალახნეს მთანია (მაცნე),
დევთ თვალნ დახუჭნეს, დაიდვეს
ბნელი ქვესკნელი ბინადა (კოპალა);
არწივმა მხარნი დაშალნეს (გიგლია),
თვალნ უნდა ვსჭამნე ყმისაო (ალუდა ქეთელაური),
უნდა დავლივნე სიმწარ-თ
ჩემნი სიცოცხლის დღენია (მონადირე).

დასკვნა

ფშაური მეტყველება, რომელიც ვაჟას პოეზიაში არის დაცული, მდიდარია ლექსიკით, თავისებური ფონეტიკური და მორფოლოგიური მოვლენებით. მისი სინტაქსიც თვალსაჩინო თავისებურებებს შეიცავს.

ხალხური სიტყვიერი საუნჯის ფართოდ გამოყენება, ძველი გრამატიკული ნორმების დაცვა, თანამედროვე სალიტერატურო

ქართულთან დაახლოებაც ვაჟა-ფშაველას ენის ძირითად თავისებურებას განსაზღვრავს.

შეთანხმების საკითხშიც ვაჟა ამ წესს იცავს. შეთანხმების ფორმები მის პოეზიაში მოცემულია ამგვარად:

I. სახელთა ურთიერთობა ბრუნვაში. ატრიბუტული მსაზღვრელი საზღვრულის შემდეგ (მთა მაღალი, ცრემლი ცხარე) ჩვეულებრივად იბრუნვის. თავისებურება ახასიათებს საზღვრულის წინ წარმოდგენილ მსაზღვრელს.

ა) თანხმოვან-ფუძიან მსაზღვრელ სახელებთან სახელობითსა და მოთხრობითში ხშირია ბრუნვის ფორმანტის მოკვეცის შემთხვევები. ეს მოვლენა უმეტესად ჩანს ზედსართავ სახელებსა და კუთვნილებით სახელთნაცვალებში (სახ.: ცუდ სიზმრები, ყვითელ წვერი; ჩემ ცხენი, შენ იარაღნ, თავის ლურჯაი, სხვის ვნება, იმის მუშები, იმათ ნათქვამი; მოთხ.: ნაზ მყუდროებამ, შასმულებმ შვილებმა; იმის თმამა, იმათ გვარმა).

ამავე სახელებს ნათესაობითსა და მოქმედებითში ბრუნვის აფიქსები არ ახლავთ (ნათ.: საკუთარ მანდილის, დიდრონ ხეების; თავის ბატონის, სხვის დაღონების, იმის ფიქრების, იმათ თვალების; მოქმ.: ტკბილ სიტყვით; თავის რჯულითა, სხვის ამაგით, იმის ხორცითა, იმათ დარბაზით).

კუთვნილებითი სახელთნაცვალები (თ(ა)ვისი, სხვისი, (ი)მისი, (ი)მათი), რომლებიც თითქმის ყოველთვის საზღვრულის წინ დგანან, ნათესაობითში დაყენებულ ბრუნვაუცვლელ მართულ მსაზღვრელებად არიან გაგებული.

მხოლოდ სახელობითში აქა-იქ ადგილი აქვს შეთანხმებას (თავისი მონა, იმისი მწყემსი, იმათი ნახვა).

არსებითი სახელი ითანხმებს მსაზღვრელს მიცემითსა და ნათესაობითში (წითელს ჩოხაზე, ტკბილს ძილს; საყვარლის ქვეყნის, ამგვარის ამბის).

შეთანხმება გავრცელებულია ხმოვან-ფუძიან მსაზღვრელთანაც. იგი დამახასიათებელია მოთხრობითი, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვებისათვის (ტურფამ ცისკარმა, სატიალემ ზამთარმა; მონას ქალთან, მჭუხარეს ხმაზედა, ულხოს მჯარესა; მეფის ერეკლის, მწვანის ბალახის).

ბ) მართულ-შეთანხმებულ მსაზღვრელს საზღვრულის წინ ვხვდებით უმთავრესად მაშინ, როცა მათ შორის შემასმენელი დგას. მას ყოველთვის ნათესაობით-მიცემითის ფორმა აქვს (შხამისას გაჰმევ

სადილსა, ღვთისას რომ ჰბედავ გმობასა, კვლისას არ გვაძლევს ნებასა).

გენიტიურ მსაზღვრელს ზმნა არ გათიშავს საზღვრულისაგან, თუ იგი რვამარცვლოვანი სტრიქონის უკანასკნელი სიტყვაა, თუ მით ლექსის ცეზურა თავდება (დიდი ხანია ქისტისას | ბარს არ მასჭერით თავიო, ის ისევ ამირანისას | გულ-მკერდსა სწიწკნის შმაგადა, ანგელოზები დაფინისა | გვირგვინს ადგამენ გმირებსა).

ასეთი შეწყობა, რომელიც ცეზურის, მარცვალთა რაოდენობისა თუ სიტყვათა გადასმის აუცილებლობამ წარმოშვა, მხოლოდ ვაჟას პოეტური ენის თავისებურებას ეკუთვნის.

ნანათესაობითარი მსაზღვრელი, რომელსაც მეორე ადგილი უჭირავს, ბევრგან არ ეთანხმება საზღვრულს სახელობითსა, მოთხრობითსა, მიცემითსა და წოდებით ბრუნვებში (ღნათობნი ცისა; დრომ ძილისა; ანგელოზებსა მიწისა; მგოსანო გაზაფხულისა).

2. სახელთა ურთიერთობა რიცხვში. მრავლობით რიცხვს ორიენ სახელი გვიჩვენებს. ნსაზღვრელი ეთანხმება საზღვრულს მაშინაც, როცა ეს უკანასკნელი ებ-იან მრავლობითში იმყოფება. გარდა უძველესი წარმოებისა (მთანი მაღალნი, დამსხდართა ხევსურთა, არწივნო მაღალნო), შეთანხმება ნსაზღვრელ-საზღვრულს შორის თითქმის ყველგან სახელობით ბრუნვაში ხდება. შეთანხმებულ მსაზღვრელს ატიქსებად აქვს -ნ ან -ებ (ამრეზილები მხედარნი, სულნი დაკოდილები; მსურველნი ყორნები, შვლები თვალლამაზიანნი; დაღალულები ძმები, თუშები თექიანელი).

ვაჟა ამ ფორმას კანონზომიერად მიიჩნევდა. ამგვარ შეთანხმებას მარტო ლექსთწყობის მოთხოვნილების საჭიროება არ იწვევდა.

ჩვენს თვალსაზრისს ამოწმებს მრავალი შესიტყვება, სადაც თავისუფლად შეიძლებოდა მსაზღვრელი მხოლობითში გვქონოდა და ლექსის ზომაც არ დარღვეულიყო (მსურველნი ყორნები, მუშები სახემცინარნი, სერები მტირალნი, შვლები თვალლამაზიანნი, მხეცები გაოცებულნი, ვაჟები ხმლიანნი...).

ანალოგიური შეთანხმება გავრცელებულია მთის ფოლკლორში, რომელიც ვაჟას პოეზიის წყარო იყო.

3. ქვემდებარე-დამატების ურთიერთობა შემასმენელთან რიცხვში.

ვაჟას ნაწერებში ქვემდებარე-დამატების მრავლობითობის ორიენ ფორმა (-ნ და -ებ) იხმარება. ქვემდებარე-დამატება უმეტესად ნარიან მრავლობითში დგას.

წინადადების მთავარ წევრთა შორის ურთიერთობისას ვაჟა ძირითადად ახალი სალიტერატურო ენის ნორმებს იცავს.

ვაჟას პოეზიისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ქვემდებარესთან შემასმენლის თავისებური შეწყობაც: ბევრ წინადადებაში, სადაც ქვემდებარე სულიერი ან განპიროვნებული უსულო საგნის სახელია, შეთანხმება არ წარმოებს. ზოგან კი პირიქით: უსულოთა სახელი ითანხმებს ზმნას (მჯერს უცდის ქართველებიო, თავისუფლდება მონები; გორებზე მოჩანს კაცი და ქალი, ლეკი, ოსმალო თავს დაესხმოდა; ვეუხვები ლომებს მაება, იქ, სად ყვავები ჩხავისა; მგლები, აფთრები მრავლდება, ბატი, წერო და ყარყატი მათ ნაპირებზე სხდებოდა; ბევრჯერ აყვირდა ხევები, მთებზე ეძინა ნისლებსა; მას მუსაიფი დაუწყო ცამ, დედამიწამ, ტყემაო; მაგრამ: გზაზე ურმები მიჭრიალებენ, მუზარადები ელავდენ, კლდეებიც წყალსა ჰგონავენ, მოფრიალებენ ჰაერში ალამ-დროშები ხშირადა).

მსგავსად ძველი ქართულისა, დროთა მეორე სერიაში ნარიანი პირდაპირი დამატება ზოგჯერ ითანხმებს შემასმენელს (ვნახენ ხავსიან ყორენი, თვალნი მიეპყრნო ერთ მხარეს; უნდა დავლივნე სიმწარით ჩემნი სიცოცხლის დღენია, არწივმა მხარნი დაშალნეს). უფრო ხშირად კი, თანამედროვე ქართულის ზეგავლენის გამო, შეთანხმება არ ხდება (გამოაუხიზლა ყველანი, მოიპატიჟა მნათობნი ცისა; რომ გავიკვლიო გზანია, მალე მაიკრას თმანია).

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის
შრომები, ტ. VIII, 1948.
Труды Кутаисского Государственного Педагогического
Института имени А. Цулукидзе, т. VIII, 1948.

ძეთევან ჯოჯუნიძე

ქვემოიმერულის უხუთური მეტყველება *

1947 წლის აგვისტოს ქვემოიმერულის შესასწავლად მივლინებული ვიყავი ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის მიერ ვანის რაიონის სოფელ უხუთში.

ქვემოიმერულის ენობრივ თავისებურებათა გასათვალისწინებლად უხუთის არჩევა შემთხვევით არ მოხდარა. უხუთი ქვემო იმერეთის საკმაოდ მივარდნილ სოფელს წარმოადგენს, ამდენად, ქალაქისა და, მისი სახით, წიგნური მეტყველების გავლენა შედარებით ნაკლებ დემონსტრაციული უნდა ყოფილიყო; ხოლო სამეგრელოსთან სიშორეს და ამის გამო შეგრულის უშუალო გავლენის უქონლობას მისი ენობრივი თავისებურებანი უფრო ხელშესახები უნდა გაეხადა.

წინასწარი ვარაუდი რამდენადმე გამართლდა მხოლოდ. სოფელში რვაწლიანი სკოლისა და ინტელიგენციის საკმაო რაოდენობის არსებობის ფაქტმა თვალსაჩინოდ გაზარდა წიგნური მეტყველების გავლენა, რომელიც ყოველი ენობრივი მოვლენის განხილვისას იგრძნობა. შეინიშნება მეგრულის გავლენაც. ქართულ კილოთაგან საგრძნობია გურულთან სიახლოვეც მიუხედავად იმისა, რომ ვანის რაიონის სხვა სოფლებთან შედარებით უხუთი ყველაზე უფრო შორსაა გურიასთან.

უხუთში ცხოვრობს 430 კომლი. იგი იყოფა 4 უბნად. თითოეული უბანი საკმაოდ დაცილებულია ერთანეთისაგან, ასე რომ ერთი თვე არც თუ საკმარისი აღმოჩნდა ყველა ენობრივი თავისებურების აღნუსხვისთვისაც კი.

ჩაწერილი ტექსტები (პროზაული მასალა, ლექსები, შელოცვები) ენობრივი მნიშვნელობისაა მეტწილად. ზოგი მათგანი ინტერესს იწვევს ფოლკლორული თვალსაზრისითაც.

---

* წაკითხული იყო მოხსენებად პედინსტიტუტის XII სამეცნიერო სესიაზე 1948 წლის 26 თებერვალს.

ენობრივ თავისებურებათა დასადგენად ჩაწერილ ტექსტებს შორის მეტი მნიშვნელობა ცოცხალ საუბარზე უშუალო დაკვირვების შედეგად, მთქმელის შეუმჩნევლად, ჩაწერილ მასალას ეძლევა. ამ დროს მთქმელს კონტროლი არ ზღუდავს. იგი თავისუფლად ახერხებს თავისი ენობრივი ინვენტარით სარგებლობას; ამდენად, მისი მეტყველება ბუნებრივია, ძალდაუტანებელია. თავისებურებათა გათვალისწინება ამგვარად ჩაწერილი მასალით უფრო ხერხდება.

უხუთის შემდეგ შემოწმების მიზნით ვიმუშავე სოფელ საპრასიასა და სოფ. გორაში. უხუთში შემჩნეული ენობრივი თავისებურებანი ორივე სოფელში დადასტურდა. ეს ითქმის არა მარტო ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსურ მოვლენათა შესახებ, არამედ ლექსიკის მიმართაც.

სპეციფიკური, იმერული, სიტყვები, რომელთა შეგროვება მოხერხდა, ჩაწერილია და ანბანთ რიგზე გაწყობილი.

აქ წარმოდგენილი მასალა სტატიკური ანალიზის შედეგად გათვალისწინებულ ენობრივ თავისებურებათა აღწუსხვაა მხოლოდ და ისიც არასრული. მათი ახსნა სხვა კილოთა მონაცემებთან შეპირისპირებით მომავლის საქმეა.

ფონეტიკური მოვლენები

ბგერითი შედგენილობით ჩვენ მიერ შესასწავლი ობიექტის მეტყველებას სალიტერატურო ქართულისაგან განასხვავებს ჲ-ის გამოყენება, მაგრამ აქ ჲ-ის ხმარების არე გურულთან შედარებითაც კი გაცილებით ვიწროა და რამდენიმე მაგალითით ამოიწურება მხოლოდ: რაჲ, დედაჲ, ბიცოლაჲ...

დასახელებულ მაგალითებში სხვადასხვა დროს სრული ი-ც აღიქმება. ეს რყევა კი იმას მოწმობს, რომ აქა-იქ ნაშთის სახით შემორჩენილი ჲ გადაშენებისთვისაა განწირული.

გვაქვს ა ხმოვნის „გაგრძელების“ რამდენიმე შემთხვევა: გაზდაამჯი, მანაამდი, მააქ... ბრჭყალებს იმიტომ ეხმარობთ, რომ აქ უფრო ორი ხმოვანია, გიდრე ხმოვნის სიგრძე, ორი ხმოვნის წარმოქმნაში კი მნიშვნელობა ჯდება ჰქონდეს ალმავალ მახვილს, რომელიც გარკვეულ ვოკალურ ფონს უნდა საჭიროებდეს სიტყვაში [1].

[1] კ. ლომთათიძე. დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, გვ. 343, შრ. 3, 1946.

ფონეტიკური პროცესებიდან უნდა აღინიშნოს:

ასიმილაცია. გავრცელებულია ასიმილაციის ყველა სახე: პროგრესული, რეგრესული, სრული, ნაწილობრივი. თუ აღმოსავლურ კილო-თქმებში პროგრესული ასიმილაცია აქა-იქ გვხვდება, ქვემოიმერულისათვის, როგორც ცნობილია, კერძოდ უხუთური მეტყველებისათვის, იგი ჩვეულებრივია, განსაკუთრებით თანხმოვნებში. პროგრესული ასიმილაციის მაგალითებია:

თმ — თფ: დამითფია, ბათფანი...

კბ — კპ: ტკბილი, კბილი, უკბინა; კბეჩავს, ტაბიკე...

ტბ — ტპ: ტბასავეთ, ტაბაყრო...

ცბ — ცფ: ცფიერი, უცფათ...

წბ — წპ: გამაწბილეფ...

ხბ — ხფ: ხფოები || ხფუები (იხმარება ხპოც)...

თ დ — თთ: განათთა, გაწითთა, გაკეთთა...

კდ — კტ: კვტარი, მოკვტა, სიკვტილი (სიტყვის თავში ზოგჯერ ისმის ჭ-ც: ჭვტარი, ჭვტება)...

ტდ — ტტ: გაბოროტტა, სუსტტება...

ჩდ — ჩთ: უჩთება, გაჩთა, აღმოჩთა, ჩთილი, საჩთილი...

ცდ — ცთ: განსამცთელი, გამოცთა, შეცთა, მევიცთი...

ხდ — ხთ: წამხთარი, წახთება, შეწუხთენ, შამოხვთა, შამოუხთინა, გარახთილა, გარაახთევია, აძახთა...

დასახელებულ მაგალითებში წინამავალი მკვეთრი ან ფშვინვიერი ბგერა იასიმილირებს მომდევნო მჟღერს და აყრუებს მას. ასიმილაცია ზოგჯერ სრულია, ზოგჯერ ნაწილობრივი, მეტწილად იგი მაასიმილირებელი თანხმოვნისა და ასიმილირებულის უშუალო მეზობლობაში ხდება, ზოგჯერ მათ ჰყოფთ რომელიმე ბგერა, ხმოვნებიდან — ა, ხოლო თანხმოვანთაგან ჩვეულებრივ — ვ.

ხმოვნებში პროგრესული ასიმილაცია მეტად იშვიათად გვხვდება, რეგრესული ასიმილაცია კი ხმოვნებში უფრო გავრცელებულია თანხმოვნებთან შედარებით. ჩვეულებრივია ზმნისწინის ა და ო ხმოვნების ფუძის ი და ე ხმოვნებთან ასიმილაციურ გავლენაში მოქცევა; ი-ს გავლენის მხრივ ქვემოიმერული სხვა დასავლურ კილო-თქმებთან ერთად უპირისპირდება აღმოსავლურ კილოებს[1].

მაასიმილირებელ ხმოვნად უხუთურ მეტყველებაში გვევლინება უ-ც.

---

[1] შდრ. გ. ახვლედიანი. დიალექტთა შერევის საკითხისათვის, საქ. მეც. აკად. მოამბე, VII, 9-10. გვ. 633.

რეგრესული ასიმილაციის ნიმუშებია:

მო — მე: მეიხსნას, მეეკიდა, მევიდა, მეიყვანა, მეეშვა ..

მო — მუ: მუფუტანა, მუუსაჯეს...

ა — ე: ეიღო, ეიძულია, ეერიდა, ეიდგა...

და — დე: დეიკარჭა, დეიღუპა, დეიბადა, დეეძინა, დეეტაკა...

გურულისაგან განსხვავებით უხუთურ მეტყველებაში პროცესი ამ საფეხურზე შეჩერდა. გურულის მსგავსი დიეძინა, დიეტაკა...[1] აქ არ გვხვდება.

და — დო: დოუმიზნა, დოუდგა, დოუწყავთ, დოუბარგბიათ...

გა — გე: გეითიე, გეემგზავრა...

წა — წე: წოუხთენდა, წოუყვანია, წოუსობენ...

ჩა — ჩე: ჩეითრია, ჩეიგდო, ჩეიცვა...

ჩა — ჩო: ჩოუმტვრია, ჩოუმატა...

შე — შო: შოუჭამია, შოულოცავენ, შოუსახლებია...

პროცესის მეორე საფეხური — ო-ს უ-დ ქცევა, რაც გურულში ხვეულებრივია, უხუთურ მეტყველებაში არ შეინიშნება.

შე- ზმნისწინი **შა-**დაც არის შეცვლილი, მაგრამ ეს პროცესი ისე შორს არაა წასული, როგორც აღმოსავლურ კილო-თქმებში.

შე- ზმნისწინის **შა-**დ ქცევისათვის უხუთის მეტყველებაში აუცილებელია, რომ მას დაერთოს **მო-** ზმნისწინი, სადაც ეს პირობა დაცული არ არის, იქ **შე- შა-**ს ვერ იძლევა. **შე-** ზმნისწინის ხმოვნურ შედგენილობის შეცვლაში ო-ს უნდა ედვას წილი, ამიტომ თუ მოსალოდნელია **შემო-** ზმნისწინი, ყველგან გვაქვს **შამო:**

შამოუხთია, შამოქვხვთა, შამოქკრა, შამოყევი, შამოუთვლია, მაგრამ: შეშჭამა, შეეხარაყენ, უ-სთან ასიმილ ციით, როგორც აღნიშნული გვაქვს, **შე-** იძლევა **შო-**ს: შოულოცავენ, შოუჭამიათ...

შამო- ზმნისწინი **ი** და **ე** ფუძიან სახელებზე დართვისას ასიმილაციის გამო იძლევა **შამე-**ს:

შამევიდა, შამეგევლე, შამეიყვანა...

პროცესი საგანგებო შესწავლას საჭიროებს, ამიტომ წინასწარ გადაჭრით რამეს თქმა ძნელია.

ზმნისწინებს გარდა ხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია გვხვდება სხვა სიტყვებშიც:

განაცეფები (განაცოფები), აქოური (აქაური), გაროული (გარული), ამეევ (ამავე), არეევინ (არავინ), დოდოფალი (დედოფალი), ქო რო (ქე რო), პეტეფონი (პატეფონი)...

[1] შდრ. ს. ჯ ე ნ ტ ი, გურული კილო, გვ. 51, 1936.

რეგრესული ასიმილაცია თანხმოვანთა შორისაც გვხვდება:

საპჭო (საბჭო), ტეპეშა (დეპეშა), ყმაყოფილი (კმაყოფილი), ვაშკაცი (ვაჟკაცი), შაშაია (საშაია), შაშუალი (საშუალი), ოზდახუთი (ოცდახუთი), ორმოზდარვა (ორმოცდარვა), ბოფში (ბავშვი), ნაფთი (ნავთი), საფსე (სავსე), ნეფსი (ნემსი), ფთა (მთა), ფსხალი (მსხალი), ფხარი (მხარი), ფსახუროფ (მსახურობ)...

ჩვეულებრივია -ში და -თან თანდებულის წინამავალი მყღერის დაყრუება:

გვერთში (გვერდში), ჩხუფში (ჩხუბში), გოგუეფთან (გოგოებთან)...

დისიმილაცია პროგრესულია ჩვეულებრივ:

არაფელი, ვერაფელი, ყორიფელი, პროკულოი, ლიტერატოლი...

შეგვხვდა რეგრესული დისიმილაციის ერთი მაგალითი: კალონი.

მეტათეზისი სონორ ბგერებს ახასიათებს:

კირმაჭული (კრიმანჭული), ზრუგი (ზურგი), ჯრიკი (ჯირკი), ქავრა (ქარვა), სარძიკველი (საძირკველი), ვერული (ველური), ღურბელი (ღრუბელი), ხღრაპები (ხლაპრები), ეღრისა (ეღირსა), ნევრები (ნერვები), კვლამი (კვამლი), პეტრებული (პეტერბურგი), ბანალი (ბალანი), ილვანიდი (ინვალიდი), ფრიალათ (ფირალად), გამდარია (გადამრია)...

გადასმულია პირველი პირის სუბიექტური პრეფიქსი ვ-: ნავხე (ვნახე).

სონორთა გარდა აღინიშნება სხვა ბგერათა გადასმაც: ხსოფლი, ყურაღდება, სიპჩკა, ჯიგბირი...

ბგერის დაკარგვა ჩანს ახალი სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით: გელი, დინარე, ტერი, თვარე, წყესი, ცხეთა, ღვდელი, ჰედელი, წიფე, ძინარე, წარე, წუხარე, შიერი, სიკვდილის ეტი (სიკვდილის მეტი), მის ეტი... დასახელებულ მაგალითებში დაკარგულია მ როგორც ძირეული, ისე მიმღეობისა[1].

მ იკარგება უფორმო სიტყვებშიც: მიტო, რატო, რო, ხო...

მ-ს გარდა იკარგება სხვა სონორებიც. რ-ს დაკარგვა გვაქვს სიტყვებში: ცემლი, გლიცერინა, ბძანება, არცეთი, გეიზდებოდა, ბილი... ლ-ს დაკარგვა გვაქვს: ხემწიფე, ცეხი (ლ-სთან ერთად იკარგება ც-ც), საცხური (საცლცხლური), ბუღატერი, კუტურა, საპანე...

[1] დასახელებულ ზოგ მაგალითში მ არც ძველი სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით გვქონია.

ჳ იკარგება როგორც სიტყვის შიგნით, ისე სიტყვის თავშიაც: გაჭირებული, აქსენტიი, ჩავწეით, გარცელდა, ზანოკი, არაუდი, იწრო (ძველ ქართულში ასე იხმარებოდა), გვხვდება ეს სიტყვა ვიწრო, იწროსა და ინწროს სახითაც (ი-ს წინ ნ არის განვითარებული).

ნ დაკარგულია სიტყვებში მიდორი, ამიდი, სიმიდი...

გ-ს დაკარგვის შედეგადაა მიღებული კითხვითი სიტყვა რავარი (რა გვარი), დისიმილაციის გამო — რავალი, ბოლო თანხმოვნის მოკვეცით კი — რავა, როგორც ეს აღნიშნული აქვს აკად. აკ. შანიძეს[1].

დ იკარგება: სა, სამე, სიედრი, წევეი (იშვიათად გვხვდება), იომიდვ...

თ იკარგება სიტყვაში ერთი: ერი კაკალი, ერი ფინჩხა, ერ კაცს, ერ კუთხეზე. გურულთან შედარებით ასეთი ფორმების ხმარება მცირეა.

ჰ-ს დაკარგვის გამო იხმარება აერი (ასევე იხმარებოდა ძველ ქართულშიაც).

იკარგება ხმოვნებიც: ულუა (ულუუა), მორე (მეორე), უხუთს კ'არა საჭართველოს დატოვს... მაინც კ'არ უნდა უწიკო ადგილის ღალა იქინე?

დადასტურებითი კი და ქე ნაწილაკის ი-სა და ე-ს დაკარგვის შემდეგ კ და ქ შეეზარდა მომდევნო უარყოფითობის ერთმარცვლიან არ ნაწილაკს. ი-ს დაკარგვის მიზეზი ასეთ შემთხვევაში უნდა იყოს ინტენსიური მახვილი; ამავე მახვილის მიზეზით უნდა აიხსნას მთელი მარცვლის დაკარგვაც:

ადამ და ევა რო გაჩენილა, გო, რამდონი ხანია!

შარიამ, რა მითხარი, გო, მაგი!

შენი აფხანიკი, შე ხე, რო მოვკალით.

ბგერათა დაკარგვის ერთ-ერთი საბაბი ხმოვანთა რედუქციაა. ახალ სალიტერატურო ქართულთან შედარებით უხუთურ მეტყველებაში რედუქციის კანონი სუსტადაა განვითარებული. ზოგი თუქე, რომელიც სალიტერატურო ქართულში შეკუმშულია, იქ სათანადო შემთხვევებში შეუკუმშველადაა წარმოდგენილი:

ჭმარის, ღვერთის, ტყრები, ამბავები, ღურბელის, ურემით, მასტავლებელათ, ასაშენებელათ (მომავლის მიმღეობის ასეთი ფორმები ძველ ქართულშიც მეტწილად არ იკუმშებოდა)...

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი პირველი გვ. 27, 1942

ბგერის ჩამატება

ჩვეულებრივია სონორ ბგერათა ჩამატება როგორც სიტყვის თავში, ისე სიტყვის შიგნითაც.

მ განვითარებულია სიტყვებში: ნამყოფი, გზამწვრილი, მძვირათ, უმფრო, დამჯავრებული, უმყაროულა, შეიმთვისა...

ნ-ს განვითარების შემთხვევები: ტუნჩი, კინტრი, გონგორდი, თამანდა, ინჯრა, ვინგლოვდით...

რ-ს განვითარების შემთხვევები: არტამი, ხარხა, მარშინა, ღარტაკი, არდგილი, შემარდგენლობა, მრთქმელი, არდიგენი...

ვ განვითარებულია სიტყვის თავში განსაკუთრებით ო ხმოვნის წინ: ვოდიზი, ვოჯახი... გვხვდება სიტყვის შიგნითაც: პოვეტი უპმეველობა, წერვა (ნაწარმოებია კითხვა და სხვა ამგვარი საწყისების ანალოგიით)[1].

ბ-ს განვითარება გვაქვს: გეხუნბრე, კამბეჩი, ნამბრავლი...

ე-ს განვითარება გვაქვს სიტყვაში ბრეველი.

ბგერათა შენაცვლება ეხუთის ენეტყველების თავისებურებათა გასათვალისწინებლად ისევე, როგორც დისიმილაცია, მეტათეზისი ბგერათა დაკარგვა და განვითარება, ბევრს არაფერს იძლევა. აქაც სხვა კილო-თქმების ანალოგიად პონათესაო ბგერებისა:

ბ — მ: სამჯო, ლუარსამი...

ბ — ფ: ჯამფასობა...

გ — ქ: დეიკარქა, კარქი...

ვ — ბ: კობჩი, თებზი, ვიბარცხნი, ბიქტორი, გამეიბლებს...

ვ — მ: დამიწყება, მაჩნებელი, მასკლავი, ხელმიწრო, ამსტრია...

ზ — ძ: სამძღვარი, ხარბუძაკი...

ლ — ნ: ოსმანეთი, უმან...

მ — ბ: ბზე, სიბზეური, ბზეთუნახავი, ბეჟენწყალი...

მ — ნ: ნეფე...

მ — პ: ლურსპანი...

ნ — მ: ამთქბული, სამთელი, ნიგუზალი (მუგუზალი)...

რ — ლ: ბულთი, აბულთავეს...

ს — ზ: ზაბუთი, პაპიროზი, ზუსხიანი ..

ც — თ: ზარმათი...

---

[1] ა. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, არილი, გე. 72, 1925.

ჟ — ჯ: დამპაიჯა, დაპაიჯებული, საჯენი...
ხწ — ხტ: სტავლა, ნასტავლი, სტორია...

ბგერათა კომპლექსების ცვლა

ოვა — ოა — უა: ჩამოარდა || ჩამუარდა, გამუარდა, გაათხოა || გაათხუა, მეითხუა, მოთოა || მოთუა, ჩამუა, მუა...

ოვე — ოე — უე: ვათხოე — ვათხუე, მიატოეს — მიატუე'... ოე ხმოვანთა ჯგუფის ტენდენციით, რომ მოგვცეს უე ჯგუფი, — როგორც ეს აღნიშნული აქვს ა. შანიძეს, — აიხსნება გოგუების, ხფუების (|| ხპუების)[1], ოქრუების ხმარება გოგოების, ხფოების (ხპოების), ოქროების პარალელურად.

ვე — ო: ჩოლობა, მიჩოული, ურღოვდა, გაარღოვს, დაწობა, მოყობა...

ვი — უ: წუმა, მომესურულა, ხუმირა...

ვა — ო: სხოკან — სხოგან...

თშ შერწყმის შედეგად გვაძლევს ჩ-ს: ხუჩაფათი, ამინუჩი (ამ მინუთში)...

ფონეტიკური პროცესებით: რედუქციით, მეტათეზისით, ბგერათა კომპლექსის ცვლითა და შენაცვლებით აიხსნება შ ა ვ გ ვ რ ე მ ა ნ ი ს ა გ ა ნ შ ა რ გ უ მ ა ლ ი ს მიღება (შაევგვრემანი — შაგვრიმანი — შარგვიმანი — შარგუმანი — შარგუმალი). ბ ა რ ტ ყ ი ს ა და ა ვ ა დ მ ყ ო ფ ი ს ა გ ა ნ კი ბ ღ ა რ ტ ი და ა ვ ა ნ ტ ყ ო ფ ი მეტათეზისა და ასიმილაციის შეერთებული მოქმედებით მიიღება[2].

მორფოლოგიური მოვლენები

ბრუნება

ხმოვან-ფუძიან სახელებს სახელობითი ბრუნვის ნიშნად დაერთვის ხმოვანი ი ჩვეულებრივ მაშინ, როცა სახელი ერთმარცვლიანია:

ძმაი, ფთაი, ხმაი, თმაი, ქვაი, ვზაი, თქმაი, სმაი, რკაი, ხეი, ბზეი, დღეი, რძეი, ხპოი, დროი, კუი, ბუი, ცრუი, ყრუი...

ზოგ შემთხვევაში ერთმარცვლიანზე მეტ ბოლოხმოვნიან სახელებსაც აქვთ ბრუნვის ნიშნად -ი: წიპარუი, ტაპიკეი, ბიცოლეი, შიშველეი, ცარიელეი, პეტერეი...

-მ თანხმოვნით გათავებულ ფუძეთა მოთხრობით ბრუნვაში ზო-

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები. ნაკვეთი პირველი. გვ. 27.
[2] ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, არილი, გვ. 71.

ზოერთ შემთხვევაში მხოლოდ ერთი მ ისმის: დ ედა ჩ ემა მითხრა... შე და ჩ ემა ეფხანიკმა გავაკეთეთ... ჩამეიარჩნ ს ამა კაცმა...

მიცემით ბრუნვაში თანხმოვან-ფუძიანი სახელები ფორმით ნათესაობითს უტოლდებიან:

შენი ძმაი ქ ალ ის თხოულოფს.
მაძლევს ბ ატ ის.
ან წ ლ ის წ იკავს იქინე.
რაფრა კ ეჭ ავს კ ინ ტრ ის.
კ არ კლავს ი ქ ურ დის.
ბოლი მოტყტა საბას ფ ს ხ ალ ის.
ს აშასი მანათი აწერია საკომისიოში იმისანა ბ ინ ო კლ ის ერთ ალ აგ ის ტყეი შექხვთებათ გასარები.
დ ედ ამ ის ვეხვერწე.
დოუკლავ მ ო ჩ ო თ ის.
იმ ბ ოფ შ ის უთხრა.
დოუძახა ბ ოფ შ ის.
რას უშობა ტ უნ ჩ ის.
კ ერ ცხ ენ თ ის უძახიენ.
ი ს ლ ის უძახოდენ.
არწივმა ორ ბ ის კრიჭი კრა, ვ ეფ ხ ვ ის შ ეაბა ლომია.
გ ლ ეხ ი კ აც ის ჩხუბი არ ხვთებოდა.
შ ოუერთთენ სხვა ჯ ა რ ის...

მიცემითის ამგვარი წარმოება უხუთური მეტყველების სახით ქვემოიმერულს სხვა კილო-თქმათა შორის თავის საკუთარ ადგილს აკუთვნებს[1].

თუ მიცემითში დადასტურებულ ი-ს სახელობითიდან გადაყოლილ ი-დ მიეკისრებოდა, როგორც ეს ჰანურის სათანადო შემთხვევების მიმართ არის აღნიშნული[2], მაშინ ქვემოიმერულის თანხმოვან-ფუძიან სახელთა მიცემითთან მისი გადაყოლა ფონეტიკური მიზეზებით შეიძლებოდა აგვეხსნა, თანხმოვანთა გასაყარად მიგვეჩნია.

ნათესაობით ბრუნვაში დაყენებულ მსახღვრელს -ხ ეკარგება:

ხ ემწიფი შვილი, ხი ძირში, წ იფ ლი ძირზე, ხ ვრელი თხრა, ჩალი ლერო, კ ვინიწყლი პირი, ბონი ძაღლს, სოფლი წამლით, ჯ ვარი დაწერა.

[1] მიცემითის წარმოებისას ასეთი თავისებურება ხმოვან-ფუძიან სახელთა მიმართ აღნიშნული აქვს შ. ძ ი ძ ი გ უ რ ს (ქართული ენის მთარგმნელი დიალექტის ძირითადი თავისებურებანი, ენიშვის მოამბე. II, გვ. 74).

[2] ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 49, 1936.

ნათესაობით ბრუნვაში ს-ს დაკარგვა ჩაწერილი მასალების მიხედვით მხოლოდ ამ სიტყვებში დასტურდება. მოვლენას სპორადული ხასიათი აქვს.

ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში უკვეცელი სახელები ზოგჯერ სრული დაბოლოებით არიან წარმოდგენილი[3]:

ნათესაობითი ბრუნვა: ოქროის აკვანი იყო... ხპოის ჰატრონი მევიდა... თვის ბოლოის ანგარიშები გააკეთა... დედოის მეშინია... გოგოის ქმარი მუშაობდა... ეზოის წინ გაჩერდა... ასი კილოის მომცა... ნეშოისკენ წევიდა...

უკვეცელ სახელთა მსგავსად იბრუნვიან სახელები, რომლებიც სალიტერატურო ქართულში ყოველთვის კვეცილია:

დაის ქმარი მევიდა... დედეის ძველი ცხრილი მეიტანე... თავმჯდომარეის სანახავათ წევიდა.. ხეის გამობურღა უნდა...

მოქმედებითი ბრუნვა: ვერ გამევიღეთ გელეით... ხპოით იყო იგი ყმაყოფილი... ჰკუაით იყო ი გოგო...

ამ მხრივ ქვემოიმერული გვერდში უდგას გურულს[1].

მოქმედებით ბრუნვაში ორიოდე შემთხვევაში უკვეცელ სახელთა დაბოლოებად გვხვდება მხოლოდ -თ-ც:

მარტო ვაშლი-კვიპიეთ ინახავს თავს გოჭი.

ორი ხარი დაზარალდა, ერთი ჰიჰინეთ იყო ავათ.

ვითარებითი ბრუნვის -დ ნიშნის დაყრუება ქვემოიმერულში მომხდარი ფაქტია. დღეს ყველგან -თ აღიქმება. -დ-ს ხმარების ერთი შემთხვევაც კი არ ყოფილა შენიშნული: გოგოთ, კაცათ, ავათ...

გვხვდება ასეთი ფორმებიც: ჯორიანა გარე იყოს... ხეირიანა ჰამაც არ იცოდენ... ბოფშიანა წევიდა... წეიყვანა საქონელი წყესებიანა... თაენიან-სარგებლიანა იხადეს... ჩეიდვა ჯიბაში თავის სისხლიანა...

ჩაწერილი მასალების მიხედვით -დ არ შეინიშნება იმ სახელებში, რომელთაც ქონების აღმნიშვნელი -იან სუფიქსი აქვთ გამოყენებული.

მრავლობითი რიცხვი იწარმოება მხოლოდ -ებ აფიქსით[2], რომელიც მიცემითის ფორმანტისა და -ში და -თან თანდებულების მეზობლობის გამო ყრუვდება და -ეფ-ის სახით წარმოგვიდგება: შვილეფს, ლაქიეფს; თვალეფში, კაცეფთან...

---

[1] შდრ. ს. ჯენტი, გურული კილო, გვ. 58.

[2] მეორე მრავლობითის ხმარების ჩხოლოდ ერთი შემთხვევა შეგვხვდა: ბატონი და ყმანი გეითიშენ.

გურულის მსგავსად, მაგრამ არა ისე ხშირად, მრავლობითში აღდგება ფუძის საწარმოებელი აფიქსი სრული სახით და გვაქვს: ძმანები, ბიძანები, დანები...

-ია აფიქსიანი სახელები მრავლობითის -ებ ფორმანტის დართვისას -ა ხმოვანს შეიკვეცენ: ჭუკიები, კვატიები, მაგრამ: ლობიაები, ასიმილაციით: ლობიეები. ასეთი წარმოება ჩვეულებრივია გურულში.

თანდებულები

-თან თანდებულის თ მეტწილად იკარგება ხმოვან-ფუძიან სახელებთან: დედესან, ხემწიფესან, სერგიასან, ილიტესან...

თანხმოვან-ფუძიან სახელთან ამ თანდებულის წინ მიცემითის -ს შენახულია: დათესთან (მოვლენა ინდივიდუალურია).

-ვით თანდებული -ვეთ-ის სახითაც გვხვდება: თვარესავეთ, იოდსავეთ, დღესავეთ...

-თვის თანდებულის პარალელურად იხმარება -თვინ თანდებული: თათრებისთვინ, ქართველებისთვინ, ყველეისთვინ, რისთვინ, მოლოსთვინ...

-თვის თანდებულის ფუნქციით გვხვდება: დათვიზა, პურიზა, თათრებიზა, ბრიგადებიზდა || ბრიგადებიზა (ისდა — იზდა — იზა).

ნათესაობით ბრუნვას დაერთვის და -კენ თანდებულის ფუნქციით იხმარება, თუმცა მეტად იშვიათად, -უენ თანდებული:

იქით ქენი პირი კანტორისუენ,
მორე კაცმაც ამისუენ გეიქცა,
წევიდა ხალხმა ფთისუენ,
ეირჩია ქალებისუენ ქალი ერთი თამანდათ,
კოპერატისუენ წევიდა ახლა.

კითხვაზე საიდან იხმარება იდ-გან, იდ-ან ტიპი: იმგენიდვან, სამეგრელოიდგან, აბანოიდან. ასევე იდ-გინ, იდ-ინ ტიპიც:

თავიდგინ, თხმელარიდგინ; ტყიდინ, ტყავიდინ.

იშვიათი არაა ყველა ამ ფორმის ხმარება -გან თანდებულიანი ნათესაობითის ფუნქციითაც კითხვაზე ვისგან ან რისგან:

ვეზირებიდინიც ეიღო ოქრო და ხემწიფიდანაც...

ყურადღებას იპყრობს -დამ-იანი სახეობაც, რომელიც მხოლოდ უფორმო სიტყვებთან გვხვდება და გამოსვლითის ფუნქცია კი არ აქვს, უბრალოდ ადგილს აღნიშნავს კითხვაზე სად (და არა საიდან?):

სოფლად ვცხოვროფ, ნაძვების ზემოდამ (ზემოთ)
ცხრა ფთას იქიდამ (იქით) წევიდა.

გამეეედით გ ა რ ე დ ა მ (გარეთ).

მამამისმა გალახა ბოფში და გააგდო გ ა რ ე დ ა მ (გარეთ).

ჩემი ძმანები გაყარეთ გ ა რ ე დ ა მ (გარეთ) და თქვენ ოჭროს იყოფთ?

გამეეიდენ გ ა რ ე დ ა მ (გარეთ).

ერთ შემთხვევაში შეიხვედა **-დამე**: იმის იქ ი დ ა მ ე (იქით) ახლა რო მარშინა მოჩანა, გარაბრუნდა აქტო.

მდე || მდის თანდებულის მხოლოდ **-მდი** სახეობა გეხვდება: უხუთამდი, გათავებამდი, საღამომდი...

თანდებულის მნიშვნელობით ნახმარი ზმნიზედა წ ი ნ ა შ ე სახელს შართავს მიცემით ბრუნვაშიც: საერთო კ რ ე ბ ა ს წ ი ნ ა შ ე (შენიშნულია მხოლოდ ეს ერთი შემთხვევა).

უკან, შემდეგ ზმნიზედების მნიშვნელობით იხმარება ოღმა || უღმა და გეხვდება ჩვენს განკარგულებაში მყოფი მასალების მიხედვით მხოლოდ ჩვენებით სახელთნაცვალების მიცემით ბრუნვასთან: მას ო ღ მ ა ვარ სულ ტირალე... მას უ ღ მ ა აგერ ხუთი წელიწადია...

სახელთნაცვალები

ის სახელთნაცვალთან შედარებით უფრო ხშირად იხმარება ი გ ი, თუმცა გურულთან შედარებით მისი ხმარების არე შეზღუდულია:

ი გ ი თურმე დავით აღმაშენებელს ოუშენებია უწინ.

როცხა უნარნაკლია, ი გ ი უნდა შეინახოო, — იტყოდა ბიძიე.

ჩვენებითი სახელთნაცვალები **ეს, ეგ, ის** მოცემულია **ე, ი-ს** სახით მეტწილად: ი ხე წ ი ფე თვითანაა მოსაართლე... ე ბოფში ათითორმეტი წლისაა.. ი ჩერქეზების ბუნტის ამბავი... გევიყავით ე ტყავი...

ეგ, მაგ სახელთნაცვალები ე გ ი-სა და მ ა გ ი-ს სახითაც იხმარება და გ ხმოვნის ჩაკარდნითაც: ე გ ი ტყული საჩივარია... ჩამეცივა ე გ ი... მ ა გ ი კ არ უთქვია... მ ა გ ი უნდა დ ე ვ ი ჭ ი რ ო.. ძ ა ი გ ა მ ც ხ ა დება დატუე აქანე... ე ი დაფქული არ ვარგა, ე საკუპრე!

მრავლობითში გეხვდება **იგენი, მაგენი**.. ი გ ე ნ მ ა ხეზე შეიდენ... დააჯინაყენ ი გ ე ნ ი... მაგენის რავა შემეშინდება.. მ ა გ ე ნ მ ა გააფუჭენ ი საქმე... სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით ყველა ბრუნვაში ამ სახელნაცვალთა მრავლობითობასა და ბრუნვას თავ-თავისი აფიქსები გამოხატავს ისევე, როგორც არსებით, ზედსართავ და რიცხვით სახელთა პირველ მრავლობითში გვაქვს ეს.

საყურადღებოა აღინიშნოს სახელობით ბრუნვაში მსაზღვრელად

გამოყენებისას ჩვენებითი სახელთნაცვალის არა მარტო სახელობითი ბრუნვის, არამედ სხვა ბრუნვათა ფორმის ხმარებაც:

ხუთ ძმაში თურმე იმ ერთი გარაჩენილიყო,
იმ ერთი სულ ვერ დეიარება,
იმ ერთი ქე მოატყულა,
ამ ერთი ამბავი ასეთია.

შენ იცი ძაან ტყული, მარა მაგენმაც ძაან მოგატყუა ამ ერთი...

იმ და ამ სახელთნაცვალების ხმარება სახელობით ბრუნვაში მხოლოდ აღნიშნული რიცხვით სახელთან იყო შემჩნეული. **ის და ეს**-ის ნაცვლად მათი გამოყენება სხვა ბრუნვათა ანალოგიით შეიძლება აიხსნას სახელობითში.

ყოველგვარი სახით გვხვდება განუსაზღვრელი სახელთნაცვალები: ვილაცა, რაღაცა, ვინცაღა, რაცაღა, ვინძაღა, რაძაღა (იშვიათად იხმარება), ვინცხა, რაცხა, ვინცახა, რაცახა, რომელიცხა...

ჩვეულებრივად იხმარება უარყოფითი სახელთნაცვალი ვერევინ, ხოლო ურთიერთობითი სახელთნაცვალი ერთქამეთი, ერთიმიორე || ერთიმორე.

წარმოქმნა

ადამიანთა სადაურობის აფიქსი **-ელ** გამოყენებულია ნივთის სადაურობის გამოსახატავადაც: ცეზონურია უხუთელი ადგილმდებარეობა.. სიმიდე კაია ეწრის, გორელი და როხის... სამტრედიელი სიმიდეა კაი, ვანელი სიმიდეც კაია, მარა ღვინო არ აყვენ.. უხუთელ ღვინის ამბავს გეტყვიენ ვანელები...

ჭედსართავების **-ან** სუფიქსის ნაცვლად გვხვდება **-იერ** სუფიქსიც: ჰკვიერი რო იყოს, რა უჭირს... სანდომიერი სახე ქე აქ...

განყენებულ სახელთა საწარმოებელ **-ება** სუფიქსის გვერდით ვხვდებით **-ობა** სუფიქსსაც: შენ ბედნიერობას მომასტროს ღმერთმა... თამარ ნეფეზე თქმულობა არ ვიცი...

წარმომავლობის **-ეულ** აფიქსის გვერდით რეგრესული ასიმილაციის შედეგად **-ოულ** აფიქსიც იხმარება[1]: გიორგისოული, როხვაძისოული.

ჭონების აღმნიშვნელი **-ოვან** სუფიქსის ო იკარგება: სახელვანი ქალია.. გულვანი ეგონა თავი...

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი პირველი, გვ. 126, 4 შენ.

კნინობითობის საწარმოებლად ფართოდაა გამოყენებული -ა, რომელიც დაერთვის თანხმოვან-ფუძიან სახელებს[1]: სიმიდა, ნაფოტა, სამსონა, ელისაბედა, ნესტორა, გედევანა, ტარიელა...

სახელობითის ი-ს დართვის შედეგად ნაწილობრივი ასიმილაციით -ა იქცევა ე-დ, თვითონ -ი კი მეტწილად იკარგება და ვღებულობთ: სიმიდე, ნაფოტე, სამსონე, ელისაბედე, ნესტორე, გედევანე, ტარიელე (ტარიელაი — ტარიელეი — ტარიელე)[2].

ამგვარი წარმოება იმდენად დამახასიათებელია უხუთური მეტყველებისათვის, რომ -ა ხმოვან-ფუძიანი სახელები ჩვეულებრივ ასეთი დაბოლოებით გვევლინებიან: ჯაყვე, პანტე, ჯინჭველი, ტოფსიკე, დანე, მამე, დედე, მამიდე, პეტერე, აგგულე, ყველე...

ვითარების აღმნიშვნელ სიტყვებთანაც გვაქვს ამგვარი დაბოლოება: ტყულათე, ნამუსათე, ჩუმათე, ძალათე, ძულათე...

ზოგჯერ სახელობითის -ი დაკარგული არ არის: ყველაი, დედეი, მამეი, შიშველ-ტიტველეი, პეტერ-პეტერეი, ჩუმათეი..

საკუთარ სახელთა კნინობითობისათვის -ა-ს გვერდით ჩვეულებრივ იხმარება -ია მაწარმოებელიც: სამსონია, ბეკლარია, შართაია, ნუცაია, ქეთოია, ბუჩუა, ელპიტია, მოსია, გიორგია[3]...

-ია-ს დართვისას -ი-ო მაწარმოებლიანი სახელები ამგვარად იქნებიან წარმოდგენილი: თაღიკია, ვალიკია, ანიკია, შალიკია...

-ია-თი დაბოლოებულ სახელთა მიმართაც ძალაშია ზემოაღნიშნული ფონეტიკური პროცესი, ამიტომ გვაქვს: სამსონიე, ბეკლარიე, მართაიე, ნუცაიე, ქეთოიე, ბუჩუიე, ელპიტიე, მოსიე, გიორგიე...

სახელობითში გვხვდება, და არც თუ იშვიათად, ასეთი დაბოლოებაც: კარპეზიი, ფილიპიი, ევსტრახიი, ილიი ..

ასეთი შემთხვევები შეიძლება აიხსნას სრული ასიმილაციით (ილიაი — ილიეი — ილიი).

ყველა ეს დაბოლოება (გარდა ი-სა) გადაჰყვება სახელებს სხვა გრუნვებშიც:

მოთხრ.: ნესტორამ წევიდა... ყველემ ქე იცოდა... შაშაიამ ელპიტიას გაეატანეო... მართაიემ გითხრა მაგი?..

---

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი პირველი, გვ. 118.

[2] შ. ალავიძე, ლეჩხუმურის თავისებურებანი, ქუთ. პედინსტიტუტის შრომები, ტ. II, გვ. 232, 1941.

[3] -ე და -ი ხმოვნიანი სახელები -ია-ს დართვისას ბოლოკიდურ ხმოვნებს კარგავენ: ს. ჯენტი, გურული კილო, გვ. 65.

მიც.: ან აქ გედევანას წაღებული ან გრიშაიას... ყველეს ჰამა გვინდა... ნუცაიეს უთხრობია...

ნათ.: მამეს ვაშაცობაში მოხთა ეგი... ყველეისთვინ კაი უნდა... ესმაიას ბიჭის მოსიელას და ვარდენას ბრიგადა გაეევყვანე... ილიეს ქალა იყო...

შეოკვეცელ ფორმების პარალელურად გვაქვს შეკვეცილი ფორმები: გიორგიის ეზოზე გაეევედით... მართაიის ვალი ქონია... სერგიის ცოლმა წეიყვანა ი ბოფში...

ატრიბუტულ მსაზღვრელად გამოყენებისას გვხვდება -იი დაბოლოებაც: ფილიპიი რაზმაძის ბრიგადები.. მე ვარ ილიი ჯანელიძის ბიჭი... აქანე იყო სერგიი ბიბიჩაძესან...

კნინობითობისათვის გამოყენებულია -ელა აფიქსიც: კოლიელა, მოსიელა, გოგიელა, სონიელა...

ზ მ ნ ა

პირველი პირის სუბიექტის ნიშანი ვ- იკარგება უ ხმოვნის წინ სხვა კილო-თქმების მსგავსად: მე გაროუტეხე.., მე ქე უთხარიყენ... მაკვრეტებს უძახოდით ჩვენ... უდგავართ იგინს...

მეორე პირის სუბიექტის ნიშანი უხუთურ მეტყველებაში აღარ იხმარება[1].

მესამე პირის სუბიექტური ნიშანი ს დაკარგულია ზმნებში: აქ, გაკ, მაკ (იკარგება ვ-ც), არი...

აწმყოში მრავლობითი რიცხვის მესამე პირში ი-თი გათავებულ ზმნის ფუძეებს -ან სუფიქსის ნაცვლად დაერთვის -ენ: არიენ, ტირიენ, ყობიენ, ეხოვიენ, ეუბნებიენ, ყვირიენ, ხსნიენ...

ამგვარ ზმნებთან ამ სუფიქსის ხმარება -ენ-ის ანალოგიით უნდა აიხსნას.

-ენ სუფიქსი ზოგჯერ ობიექტურ -თ სუფიქსის ადგილსაც იჭერს: აქვენ, ძინავენ, ღვიძავენ, მიაქვენ...

მრავლობითის ამგვარ წარმოებაში მეგრულ-ჭანური ნორმა უნდა მჭღავნდებოდეს[2].

მესამე პირში მრავლობით რიცხვში წყვეტილში გარდამავალ

---

[1] ა. შანიძე, სუბ. პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, § 75, გვ. 178, 1920.

[2] ა. ჩიქობავა, მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, გვ. 94, 1946.

ზმნებს აქვთ დაბოლოება **-ენ**: დაჭვრენ, მითხრენ, ჭამენ, გააგზავნენ, დეიხსნენ[1]...

ქვეოიმერულს ყველა ფორმის წარმოებაში ნაირნაირობა ახასიათებს, ამიტომაა, რომ უწიგნურ პირთა მეტყველებაშიც კი ამ ზმნათა დაბოლოებაში პარალელური ფორმები მოგვეპოვება: **-ენ**-ის გვერდით გვხვდება **-ან** აწმყოში, ხოლო **-ეს** — წყვეტილში გარდამავალ ზმნათა მრავლობითი რიცხვის მესამე პირში. ამ მხრივ ქვემოიმერული (უხუთური მეტყველების მიხედვით) განსხვავდება გურულისაგან. გურულში **-ენ** სუფიქსს არც აწმყოში, არც წყვეტილში მეტოქე არ ჰყავს[2].

ობიექტური პრეფიქსი **გ-** იცვლება **ჭ-დ** ან **კ-დ**, ხოლო **-გვ** — **-ქვ-დ**: მომდევნო თანხმოვნების მიხედვით: მოქვკითხეს, მოქვცემენ: შეჭჭამს, ქთხოვს, მოკვტერია...

ზოგჯერ ეს **ჭ**-ც დაკარგულია **ჭ** ბგერის მეზობლობაში:

შენ ქონდა იღბალი... შენ ქონდეს ყველეი...

მესამე პირის ობიექტის ნიშანი ნაშთის სახითაა შემორჩენილი და გვხვდება ირიბ ობიექტიან და იშვიათად პირდაპირ ობიექტიან ზმნებში: შესთხოვა, მოსტაცა, მისცენ, ასწიკა, მოჰკიდა, ზდევს, ვზდიეყენ, შეშჭამა...

ჩანს, სადაც იხმარება მესამე პირის ობიექტური ნიშანი, ჭ-სა და **ს**-ს სახითაა წარმოდგენილი. **ს-** თანამედროვე სალიტერატურო ქართულის მსგავსად წინაენისმიერ თანხმოვნებთან გვხვდება მხოლოდ. იგი ასიმილაციით **დ**-სთან **ზ**-ს იძლევა, ხოლო **ჭ**-სთან **-შ**-ს.

ერთპირიან ზმნათა თურმეობითი პირველი მესამე პირში, მრავლობით რიცხვში ენებითი გვარის წარსული მიმღეობის ფორმაზე დაირთავს აწმყოს მეშველ ზმნას სრული სახით: წასულარიენ, გაზდილარიენ, დაწოლილარიენ, დარჩენილარიენ, დამდგარალიენ (დამდგარარიენ), გამხთარალიენ (გამხთარარიენ), ჩამოსულარიან, ყოფილარიან...

საშუალი გვარისა და სტატიკური ვნებითის ზოგიერთი ზმნა თურმეობითის ანალოგიით იწარმოება აწმყოში[3]: მოდილარიენ, **გვიჯილარიენ**, დგანარიენ, ყრილარიან, წევლარიან...

---

[1] **-ნენ** უხუთის მეტყველებაში არ იხმარება.

შდრ. ს. ჯ ე ნ ტ ი, გურული კილო, გვ. 62, 8; მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, ლეჩხუმური თავისებურებანი, ქუთ. პედინსტიტუტის შრომები, II, გვ. 233.

[2] ვ. ფ ა ნ ჩ ვ ი ძ ე, მრავლობითი რიცხვის აღნიშვნისათვის ზმნაში იმერული კილოს მიხედვით, საქ. მეც. აკად. მოამბე, ტ. VI, № 10, გვ. 847.

-ავ თემის ნიშნიანი ზმნები თურმეობით პირველში -ია დაბოლოებითაცაა წარმოდგენილი: უნახია, უკითხია, უთქვია...

თურმეობითი პირველის ასეთი წარმოებაც გვხვდება: ი გოგო ნაყვარება ი ბიჭს... მონავალა გივიელა და მონაჭონა ფული... თურმეობითის ეს ტიპი მეგრულის გავლენის შედეგი უნდა იყოს[1].

საშუალი გვარის ზმნები: წევს, ჩანს, დგას, დევს, ჯდის (სალიტერატურო ქართულით ზის წარმოდგენილი არიან აწმყოში მესამე პირში: წევნა || წენა, ჩანა, დგანა, დენა, ჯდენა-ს სახით. ეს **ნ** პირველ პირშიაც აღინიშნება: ვწენვარ, ვჯდენვარ.

შუალობითი კონტაქტის **-ინ** ფორმანტი გვევლინება ი-ს სახით: დაალევია, დააწყებია, გვაწერიებდა, გარავახთევიე, დავატოვიეთ...

-ებ, -ობ თემის ნიშნების **ბ** ყოველთვის დაყრუებულია და ფ-ს სახითაა მოცემული: მეეისაქმეფ, ჩაგაბარეფ, დავასახელეფ, შეშაოფ, ყუროფ...

გამონაკლისს შემთხვევებში **-ებ** და **-ობ** აფიქსებს ენაცვლება **-ავ**: მიჯერავს, გოუგდავდი, ფიქრავს... ზოგჯერ ეს უკანასკნელი მედიოპასივების ანალოგიით დაერთავს პირველ და მეორე პირში მეშველ ზმნას: ვფიქრავარ (ვფიქრავვარ) ფიქრავხარ, ვფიქრობვარ. .

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლური ბარის კილოების დამახასიათებელი **-ავ** თემის ნიშანთან **ამ-**ის მონაცვლეობა[2] უხუთური მეტყველებისათვის უცხოა. აქ **ავ**-ის პოზიცია მეტად მტკიცეა.

სალიტერატურო ქართულში **-ებ** თემის ნიშნიანი ზმნა ტოვებს უნიშნოდ იხმარება: ტოვს, დატოვს, დავატოვიეფ, დატოვული...

აცმევს, აჭმევს, ასმევს ზმნები გურულის მსგავსად აცუმს, აჭუმს, ასუმს სახითაც იხმარება[3].

მოუვიდა ზმნა მოუვდა და მოუდა სახითაა წარმოდგენილი. სიტყვის ხმოვნურ შედგენილობაში აქ ცვლილება ან მახვილს უნდა გამოეწვია: მოუვიდა — მოუვდა — მოუდა, როგორც ეს აღნიშნული აქვს ქ. ლომთათიძეს აჭარულის წევიდა ზმნის მიმართ (წეუდა —

---

[1] ა. ჩიკობავა. ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 146.

[2] შდრ. ა. ჩიკობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 65; გ. თოფურია, ქართული, იქვე, გვ. 141.

[3] შდრ. ს. ჯენტი, გურული კილო, გვ. 61.

წევდა — წევიდა)[1] ანდა ვი ბგერათა კომპლექსის ცვლასა და რედუქციას: მოუვიდა — მოუუდა — მოუდა.

გადა ზმნისწინი ყოვილთვის გარა-ს სახით იხმარება: გარააგდო, გარაახტა, გარევიდა, გარეიტანა, გარეიყვანა (ფუძის ი და ე ხმოვნები იასიმილირებენ ზმნისწინის ხმოვანს).

ძველი ქართულის გარდა ზმნისწინმა ახალ სალიტერატურო ქართულში რ დაკარგა, ხოლო ქვემოიმერულში — დ.

სისტემატურად იხმარება ზმნებთან ნაწილაკი -ყენ. იგი გამოხატავს ირიბი ობიექტური და პირდაპირი ობიექტური პირის მრავლობითობას, ხოლო ინვერსიულ ზმნებში მიცემითში დასმული რეალური სუბიექტის მრავლობითობას[2]. ამ ფუნქციით უხუთურ მეტყველებაში -ყენ ნაწილაკის ხმარებას კანონზომიერი ხასიათი აქვს. არსად ეს კანონზომიერება დარღვეული არ არის.

-ყენ ირიბი ობიექტური პირის მრავლობითობის გამოსახატავად:

ერთს ქთხოვყენ, ჩემო უმფროსო ყმარწვილებო! ქე უთხარიყენ მე მაგენს... შეკეთებული ურემი დაგიტუეყენ მე თქვენ... ხაზეინმა სადილი დაახვთერაყენ იგენს... გოურჩევყენ რამეს იგენს... ქე ურტყიყენ ყველას, კიდო გული მწყუტება, რატო მეტი არ უქნიყენ იგენს... იმდონს მოგიყობიყენ, რო გაგდარევყენ თლათ...

სახელობითში დასმული პირდაპირი ობიექტური პირის მრავლობითობის გამოსახატავად ვ. ფანჩვიძეს მის მიერ შესწავლილ იმერეთის რაიონებში ეს ნაწილაკი არ დაუდასტურებია, ამიტომ ფრთხილად გამოთქვამს მოსაზრებას — ეს გარემოება დამახასიათებელი უნდა იყოს იმერულისათვის[3]. უხუთური მეტყველების მიხედვით -ყენ ნაწილაკის ხმარება ამ ფუნქციითაც ფაქტია: ხევწიფემ დააჯილდოაყენ იგენი... წიპიები გავდენეყენ ეზოში... შვილები დავზარდეყენ... მე ქე ვიყავი იქინე და ქე ნავხეყენ იგენი... ბიჭმა დაიჯინაყენ იგენი... მშვიდობიანათ

---

[1] დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ხოგ ქართულ დიალექტში, იბერიულ კავკასიური ენათმეცნიერება, გვ. 237. 1946.

[2] ა. ჩიქობავა, ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით, წელიწდეული, გვ. 65-66, 1923-24.

[3] ვ. ფანჩვიძე. მრავლობითი რიცხვის აღნიშვნისათვის ხმნაში იმერული კილოს მიხედვით, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VI, № 10, გვ. 849.

გარეიცილა ი კაჩაღები... ამღონი ხარია კარქათ მევიყვანეყენ შვილიშვილები...

-ყენ ნაწილაკი მიცემითში დასმული რეალური სუბიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად ინვერსიულ ზმნებში: დეეწყოყენ ჩურჩული... მუუტანიაყენ ამბავი (იტენს)... წუხელი სიმიდე მოუპარავსყენ ი წყეულეფს... დოუღუპავსყენ ი კაცი (იგენს), რო უკითხავსყენ ამბავი, ჩვენც ხურციძეები ვართო,— უთხრობიაყენ...

-ყენ ნაწილაკის დართვისას აქვ(თ) აყვენ-ის სახით გეველინება რედუქციისა და მეტათეზისის გამო (აქვყენ — აეყენ — აყვენ).

ეს ნაწილაკი სხვა აღმოსავლურ და დასავლურ კილო-თქმებშიც მოიპოვება. ამდენად, მისი ხმარება ქვემოიმერულის უხუთურ მეტყველებაში საინტერესო ჩვენებას იძლევა კილოთა ისტორიულ ურთიერთობის გასათვალისწინებლად.

სინტაქსური მოვლენები

აღინიშნება მსაზღვრელ-საზღვრულის შეუთანხმებლობა ბრუნვაში. მსაზღვრელი სახელობით ბრუნვაშია წარმოდგენილი, როცა საზღვრული მიცემითში დგას:

ერთი დიდი კეტს... ბევრი აფხანიკებს... მებადური კაცს...

ხმოვან-ფუძიანი მსაზღვრელი მიცემით ბრუნვაში სპორადულად ბრუნვის ნიშნითაა წარმოდგენილი:

გლახას ალაგინეს... მორეს ალაგას... იმისანას ალაგზე...

რიცხვითი სახელით განსაზღვრული საზღვრული მრავლობით რიცხვში დგას:

ვიყავით რვა აფხანიკები... ხემწიფემ მოთხარა ორივე თვალები. აგერ ორი ბიჭები არიენ... ორვე[1] ძმანები ციხეში მოკვტა.. სამი ბიჭები ეყოლა... გოუშვა ექვსვე[1] ქალები...

აღდამიანის აღმნიშვნელ ქვემდებარესა და შემასმენელს შორის რიცხვში შეთანხმება დარღვეულია:

იმგენმა უთხრა ხაზეინს... ე უმფროსვანი ძმანები პოლზე დაწვა... კითხა უმფროსმა ძმანებმა... იმგენმა არ შეშინახა...

[1] ნაწილაკი -ვე რიცხვითი სახელების ფუძესაც დაერთვის.

ქვემდებარესა და შემასმენელს შორის აზრის მიხედვითაა შეთანხმება:

იმ სამს აყვენ აფხანიკობა, წევიდენ ხალხმა ფხის-ყენ, საწყალ ხალხს მოაყვენ...

ქვემდებარე მოთხრობითშია ჩვეულებრივ საშუალ და ვნებით-გვარის ზმნებთან:

ქმარმა შევიდა სახში. . ამ გლახა ბიჭმა წევიდა იქით... ჩამოხტა ხარაზიშვილმა... ყველემ გეისუდრა... კაცმაც იმისკენ გეიქცა...

გამოყენებულია ორმაგი უარყოფა:

მოსიელეზე არაფელი არ გამოუტანებია... ბრევილი არაფელი არ ჩანა... ჩემი შვილის არაფელი არ ვიცი... ი სამსონა ჩუბუნიძეს ვერ მეერიენ ვერევინ...

სისტემატურად იხმარება დადასტურებითი ნაწილაკი -ქე. იგი ყოველგვარ ვინადადებაში გვხვდება: მარტივში, შერწყმულში, თანწყობილსა და ქვეწყობილში — მთავარშიც და დამოკიდებულშიც:

ჩემი ეზოიდან ქუთეისს ქე დეინახავ... ე კაცი ქე მოკლა ი ღორის გულიზა თურმე ი მეგრელა... მე ქე კიყავი იქინე და ქე ნავხეყენ იგენი... იგი თავის საქმეს ეძეფს და შენსას ქე ღუპავს... მას ქე არ გავარდა სული და მე ქე დამაქცია... ქე უთხრენ ბიძანებმა, მარა ქე დეიღუპა თავისი თავი მაინც ნიკოლოზა ჩენჩერამ... ხუჩაფათ დღეს მიიყვანეს და შაფათ ღამეს ქე მოუკვეთა ქმარი... ყველამ ქე იცის, რო უნოფ... ქე ეწერება მაქანე, რამდონეთი მაქ... რო გაგაღე კარი, ქე იჯდა... როცხაე ბუნტი მომხთარა, მაშინ ქე გოუწოვიათ ი ჩვენი ბატონი საჩხუბარში... იყურა, იყურა და თქვა: მართალი ქე არიო... ჯერ ამევიდენ იგენი, თვარა ბზათ ქე ვიყავით... ეუბნებიან მოყვრები: ოო აქანეც ქე ქონდეს მსვლელობა და იქინეცო...

მოუბარი, როცა თავის ნათქვამს მეორე პირს გადასცემს, ხმარობს არა-მეთქი ნაწილაკს, არაერთ იმ სიტყვებს, რომელთაგანაც ეს ნაწილაკია წარმომდგარი, ოღონდ პირველი პირის სუბიექტური ნიშანი იკარგვის:

სერგეელა, იონა, თქვენ შეგიდგათ ღვარი-მეთქი... მე ჩემით ვილაპარიკე და ტყულს ვერ ვიტყვი-მეთქი...

დასკვნისათვის: ჩანს, ზოგი განხილული ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენა ქვემოიმერულს უხუთური წეყველების მიხედვით თავის სკუთარ ადგილს აკუთვნებს, ვგ-

რამ სანამ ქვემოიმერული და საერთოდ იმერული მთლიანად შესწავლილი არ არის, მანამ ნაადრევია სხვა ქართულ კილო-თქმათა შორის მისი ადგილის განსაზღვრა.

მეტყველების ნიმუშები

მ ე ც ა რ ი[1]

(ზღაპარი)

ერთი ხემწიფე იყო და მოსამართლეც ქე იყო თვითან. ერთხელ ლაქიეკს უთხრა: „მიშორნეთ იმისანა კაცი ჩემ სახემწიფოში, რო სამართალი გაარჩიოსო". ეგენმა უთხრა: „ასე მალე შენ სახემწიფოს ვერ მევიელითო, ერთი წლის დროი მოგვეციო".

გოუშვა ხემწიფემ ორი კაცი. ნასტავლებმა ყველემ ვარი უთხრაყენ ლაქიეფს: „კაცო, ი ხემწიუე თვითანაა მოსამართლე და ეგებო არ მეეწონოს ჩვენი გარჩოული სამართალიო". ვერ იშონეს ვერევინ. წლისთავზე დაბრუნდენ და მოდილარიენ. ხემწიფეს უნდა უთხრან, რო კაცი არ ალიო. მოდილარიენ და ერ ადგილზე ბოფშია. იცნო აბ ბოფშმა, რო იგენი რას ეძებენ. ე ბოფში ათი-თორმეტი წლისაა და მარტვეა სახში. მუუხვიენ ამ კაცებმა და კითხეს: „სადაა მამაშენიო?" „მამაჩემი ჩხუფში არიო". თურმე მამამისი მაჩხუბარი, ხელტორიანი[2], უშველებელი კაძახი ყოფილა. ერთი ვერ მიეახლებლათ, „მამაჩემი ჩხუფშაია, მერე ორასი საჯდენი ღობე უნდა გაარღვიოს და ჩამეიკაროს სხვი არდგილიო. ქეც გაარღოვს, ქეც გაკარეფს დღეს. ერთი ვერევინ ვერ მეერევაო, თუ სამი და ოთხი არ წამოვლიენ საჩხუბრათო". „დედაშენიო?" „დედაჩემი ოქროს ჭრისო. ვისაც მამაჩემი ეჩხუბება იქნე მიდის დედაჩემი და ეგნება: მაგი ვირი კაძახიაო".

ამ ბოფშმა უთხრაყენ: „ქე ვიცი, რასაც ეძეფთ, მარა ხემწიფე მოსამართლეს ვერ იშონისო, რო არ მეეწონოს სამართალი, ხო დეიღუპა მერეო. ღვინოს დაგალევიებყენ, მარა არა აქ მამაჩემსო. ქალს გაჰმეევენო". წევიდა ბიჭმა, იშონა ერთი ბოთლი ღვინო, მეიტანა და დააჯინაყენ იგენი. „დედეა იგენის დამშვიდებას უნდა და მამაჩემი სულ ჩხუფშიაო. თქვენ დალიეთ ღვინო და წადითო, მარა რო მიდიხართ გზაზეო, ერთ ალაგის ტყეი შექხვთებათ გასარებიო. თავარი ტყეია და ი ტყის სიახლოვეს რო მიხვალთ, გეტ-

[1] ყველაფრის მცოდნე, გულთმისანი.

[2] ხელმარჯვე.

ყვიან, რო ი ტყეში არ შეხვიდეთ, თვარა გლები შეგჭამთო". ბოფშმა დოუბარაყენ: „საღამოს რო ძიხვიდეთ ტყეში, უდროეთ დრო'ს, გლები შეგჭამსყენ. სამართალს ძაან გოურჩევყენ, მარა ჩემთან არ მოხვიდეთო".

საღამოს მოეწიენ ი ტყის სიახლოვეს და უთხრენ ერთქამეთს, რომეო „ვიაროთ აჭ ტყეში, თუ დაგვილამდება, ტყეში ვიქნეთო". იარენ, იარენ და ეირჩიენ ხე იმისანა, რო დეინთენ ცეცხლი ი ხის ძირში. რო შეიქნა მაღალი ვახშმობა, აზმულდენ გლები. იგენმა ხეზე შევიდენ. ბზის ამოსვლამდი გლები არ წეიდენ. ეროქამეთს უყორებენ. ბზეი რო ამეეიდა, წევიდენ და მივიდენ ხე'წიფესან. უთხრეს ხემწიფეს, რომეო „სუყველამ ვარი გვითხრაო. ერთ არდგილზე ვნახეთო ამისანა მაგალითი, მარა დაგვიხუაო. ი ბოფში მეცარია, გამოდგება, მარა ჩვენ იქანე ვერ მივალთო, არ წამოგვყობაო, დაგვიხუა იმანო". „მიდით, მიდითო". დააპრუნა აჭ ხემწიფემ ე კაცები ისევლე. დედ-მამაც დახვეთა. „არ დაგიბარეყენ, რო ჩემთან არ მოხვიდეთო?", — უთხრაყენ ი ბოფშმა, — „თუ ჩემ სიტყვას გეიგონეფს იგი და მე რო გეტყვიყენ ი სიტყვას აასრულეფს, შოვალო. მე იმას ვეხოვ, რომეო ორვე თვალები შომთხაროს, მაშვინ წამოვალო; აქანე უნდა მომთხაროსო".

(ეგი ტყული არაა, მართალია. ადამ და ევა რო გაჩენილა, გო, რამდონი ხანია, მარა ვინაა მისი მრთქმელი)[1].

ე ბოფში მოორე სახელმწიფოშია. წევიდენ ეგენი და უთხრენ ი ხემწიფეს: „თუ ორივე თვალეფს მომთხრი, წამოვალო". „შეპირდიყენ, რო მოვთხრი, მარა აქანე მომიყვანეო".

წამეკიდენ, მევიდენ და უთხრენ: „აქანე მომიყვანეო". „წამუალო". დედ-მამას უთხრა: „თუ მომთხარა თვალები, იქინე ვიქსები, თვარა ქე წამუალო. დედ-მამა დაყუჩებულია.

მივიდა ე ყმარწვილი. „ხემწიფეო, მომთხრი თვალეფს, სამართალს გაგირჩევ, არ მომთხრი, ქე წავალო. თვალი ბოროტია. თვალში რო გამეეიხედო, შევხედავ ვინცხას და შენც ქე წახთები და მეც ქე წავხთები. გონებით გაგირჩევ სამართალსო".

ხემწიფემ მოთხარა ორივე თვალები და დააჯინა. მეცარია და უბზერს. მევიდა მომჩივანი. ურჩევს სამართალს. ჩამუართმევს ქაღალთს ხელში: „ეგი ტყული საჩივარია, ტყულს ნუ ჩივითო". მართალი საჩივარი რემელიც იყო, ურჩევს.

[1] მთქმელი მიმართავს ჩაბწერს.

გეიდა წელიწადი. გეირთქვა სახელი: ,,ამ ხემწიფეს მეცარი ყავსო''. გეირიქვა სახელი და ამ სახელით შემჯდარა მაცხოვარი ჯორზე და მოდის. მევიდა მოსამართლის სიახლოვეს და უთხრა ხემწიფეს იმ მეცარმა: ,,ერთი ჯორიანი კაცი მოდის და ამან ღამე გაათიოს გარე. სახში არ შამეიყვანო, მისი ჯორიანა გარე იყოს, თვარა წაგახთენსო''.

ჩამეუარა ჯორით ქალს. ქალი ძროხას წველის. ხფოი გამეიკიდა ჯორს. ,,მეიცადე, მეიცადე'', — დეიყვირა ქალმა, — ,,ჩემი ძროხის შვილიაო''. ,,არაო'' — უთხრა მაცხოვარმა, — ეს ჩემი ჯორის შვილიაო''. ,,აბა, აგერაა მოსამართლე და სამართალს გაგირჩევს იგიო''.

გამეეკიდა ი ქალი და ორივემ შეევიდენ მოსამართლის ბინაზე. შევიდა ე ქალი და უთხრა: ,,ჯორის პატრონმა ხფოი წამართვა და სამართალი გამირჩიეო''. ,,წადი, დედაკაცო, და დილას გაგირჩევ სამართალსო. ახლა აღარ არი დროიო''. გოუშვა ე ქალი სახში. ამ კაცს დააღაღდა. ხემწიფეს უთხრა: ,,ღამე გამათევიეო, ბურული[1] მომეცი ერთიო''. ,,ხი ძირში გეითიე ღამეო, მე ვერ მოგიკარეფო''.

ამ ჯორიანმა კაცმა გეითია ხი ძირში ღამე. გათენდა და შეგიდა ხფოის პატრონმა. უთხრა მოსამართლეს: ,,აბა, გამირჩიე სამართალი''. ,,წადი, ვისაც ჩივი, მომიყვანე, მე გაგირჩევ სამართალსო''. მეიყვანა. ედგა ე თვალდაფსებული მოსამართლე და ფეხზე დგანა. ,,ამისანა იქნებაო? ღამე არ გამათევია ი შენი ხაჭინმაო'', — უთხრა ჯორიანმა. ,,შენისანა კაცს არ გაგათევიეფს ღამეს და სხვას კიო. წადი ახლა. შენ კაცი ხარ, თუ ლანდი ხარ, შენთვინ მცალია სალაპარიკოთო?'' ,,რატოო?'' ,,რატო და ზღვიდან ამოსული თევზები და ხმელეთი მოგღეციათო[2], იქნე მიეალ, თევზები უნდა ჩაეყარო ზღვაში, თვარა ხმელეთს ეიღეფს თევზებიო''. ,,ოხო, ეს არ გამიგონიაო'', — უთხრა ჯორიანმა. ,,არც ის გამიგონია, რო ჯორს ხფოი შეეგოსო — ამან უპასუხა, მოსამართლემ — შენ დიდი კაცი ხარ, ვიცი, მარა არ ეილაპარიკეფ შენსკენ რაზესო''.

წევიდა მოსამართლე. თევზები უნდა ჩარეკოს. ,,მეიცა, კაცო, ნეიცა, შენ კი მოსამართლე ყოფილხარო''. ოუსვა ხელი და ორივე თვალები ეეხილა.

ხემწიფეს უთხრა ამ მეცარმა: ,,ხემწიფე, ხო ხედავ, თვალახელილი ვარ და ქე მიდივარ სახში. ახლა კიდო შეეითხაროო?''

---

[1] ბინა.

[2] დაუგვარავთ.

,,არა, შვილო, არა! მაგიც კაი კაცი ყოფილაო, — უთხრა ხემწიფემ, — სახემწიფო შენთვინ დამითფაო; ხემწიჟეც იყავი და მოსამართლობაც შენ გაარჩიეო''.

დაჯდა ე ბოფში. დედეც იქინე მეიყვანა, მამიც იქინე მეყვანა და ჩხუფს დააცილა.

(რამდონი ვიცოდი, რამდონი, მარა ეს გამახსენდა; ჩიტის ენა მქონდა, გო! ახლა ძორი ვარ მე. ძორი ხალთეია. გლახა ყოფილა სიზერე!)

კონსტანტინე ბიბიჩაძე (79 წ.)

* * *

ე შოფერები პეტერე ალეშე[1] ხალხია, ზოგი წამყრილიცაა[2]. დალოული არიენ სულ. ეგერ ნავხე ერთი, გივიელასან წამეიკეჯა[3] მიდორზე (აპა მის ერი ფინჩხა კოროპაში[4] რავა დეეტეევა) და იბდღალება[5], თან ტრიალოფს: გვერდი უნდა უნდა უჩვინოს ზენაოს[6] და ქვენაოს[7]. თვალები ჰე გარმოუდღაჩავს[8] და ღვინის სუნით ქოთს იქოურობა (გოუზენტავს[9] ზეკარდელს[10]!). ქალეფს ქე უყვარსყენ შოფერები. ქო რო ბუს ჩიტები დეესევა, ისე ესევიენ, ფული აყვენ და მიტო.

მას უკაღმდელი ამბავია იმის იქიდამე, ახლა რო მარშინა მოჩანა, ერთი ტლაკვიანი (დიდტუნჩიანი) შოფერი იყო, გარააბრუნა აქტო; დიდი ზარალი ნახენ, ქე დეიჭირენ იმიზა. ი შოფერი დიდი ჭურცხელე[11] იყო: დაფალანგებულს[12] თუ რამეს ნახავდა, არ გოუშობდა არაფელს. იქიდინ გააქალაქა[13] ყორიფელი, მარა დეიჭირენ თუ არა!

მართა ხურციძე (52 წ.)

---

[1] დაუკვირვებელი, [2] გარყვნილი, [3] წამოწვა უდარდელად, [4] კოხში, [5] იმანჯება, [6] ზენა ქარს, [7] ქვენა ქარს, [8] გადმოუკლავს, [9] გაუბერავს, [10] ანგელოზს, [11] ჭურდი, ხელცივი, [12] დაღებულს, [13] გაანიავა, მოიპარა.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1948.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VIII, 1948.

პოლიკარპე ჯაჯანიძე

ვახანურას ხეობის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი *

1947 წლის აგვისტოში ქუთაისის პედინსტიტუტის ქართული ენის კათედრამ მიმავლინა ზემო იმერეთში ამ კუთხის მეტყველების თავისებურებათა შესასწავლად. სამუშაოდ ვახანის სოფსაბჭოში შემავალი სოფლები ავირჩიე. არჩეული ორი გარემოებით იყო გამოწვეული: ერთი, რომ ვახანი და მის მეზობლად მდებარე სოფლები ზემო იმერეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის უკიდურეს პუნქტს წარმოადგენენ; მეორეცაა და, აღმოსავლეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდინარე ვახანურას ხეობას აღეულზე მეტი დასახლებული პუნქტი აშორებს ქართლიდან; ამის გამო ვვარაუდობდი, რომ ქართლის დასავლეთ სოფლებსა და ზესტაფონს შორის ვახანურას ხეობაში გაშენებული სოფლები მეტყველების გავლენის მხრივ ერთგვარად ნეიტრალური ზონა აღმოჩნდებოდა. ეს წინასწარი ვარაუდი მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა. ვახანი მაინც არ შეიძლება ნეიტრალურ ზონად იქნეს მიჩნეული, რადგან ქართლურის გავლენა ვახანურას ხეობის დასავლეთითაც შორს ვრცელდება.

ჩემს სამუშაო უბანში შემოდიოდა სოფლები: ვახანი, სერბაისი, ზედუბანი, მარელისის I უბანი და სოფ. ქვების ნაწილი. ამათგან ვახანი, ქვების დასაწყისი, სერბაისი და ზედუბანი მდ. ვახანურას ხეობაშია მოთავსებული, ხოლო მარელისის I უბანი მდ. მარელისის მარჯვენა მხარეზეა გაშენებული. სოფ. ზედუბანის ნაწილი ჩხერიმელას ხეობაში გადადის; იქვე იწყება სოფ. ქვებიც.

* გამოკვლევა წარმოადგენს ნაწილს იმ საერთო შრომისას, რომელსაც პედინსტიტუტის ქართული ენის კათედრა მიმდინარე ხუთწლედის ბოლოს მიუძღვნის იმერული კილოს შესწავლას.

წაკითხული იყო მოხსენებად პედინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა XII სამეცნიერო სესიაზე 1948 წლის 26 თებერვალს.

ვახანი, სერბაისი და ზედუბანი ერთმანეთთან ძალიან ახლოს არიან. მუშაობაც ძირითადად ამ სამ სოფელში მიხდებოდა. მართალია, სამიოდე დღე ს. ქვებსა და მარელისის I უბანშიაც წავიმუშავე, მაგრამ ამ შემთხვევაში მეტყველების თავისებურებათა გავრცელების წემოწმება მქონდა მიზნად დასახული.

ამ კუთხის მეტყველების თავისებურ ფორმათა აღსუსხვისათვის ხალხური თქმულებები, ზღაპრები და ლექსები გამოვიყენე. აღნიშნული მიზნისათვის განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვან მასალებს იძლევა ყოველდღიური საოჯახო საუბრიდან ჩაწერილი ცალკეული გამოთქმები და წინადადებანი.

როგორც ენობრივ მოვლენათა განხილვიდანაც დავინახავთ, ვახანურას ხეობის მცხოვრებთა მეტყველება უფრო ახლოსაა ქართლურთან, ვიდრე თვით რაიონის ცენტრის — ორჯონიკიძის ახლო მცხოვრებთა მეტყველებასთან. ქართლის მკვიდრთა და ვახანელთა ახლო ურთიერთობა (თხოვა-გათხოვება, ხაშურისა და ზესტაფონის ბაზრებით სარგებლობა და სხვა) განსაკუთრებით მკვეთრად დამჩნეულია ვახანურას ხეობის მცხოვრებთა მეტყველებას. უთუოდ, საპირისპირო გავლენასაც ექნება ადგილი, მაგრამ იგი ჩვენს ამოცანას არ შეადგენს ამჯერად. ქართლურის გავლენის არსებობა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ კუთხეს არ გააჩნდეს საკუთრივ თავისებური ენობრივი ფორმები, რომლებიც ზემოიმერულის კუთვნილებად უნდა ჩაითვალოს.

ფონეტიკა

1. **ბგერათა შედგენილობიდან** ჩვენს ყურადღებას იპყრობს ჲ და ჴ სიტყვაში ა ბგერის გაგრძელებულად წარმოთქმა.

ჲ ვახანურას მეტყველებაში მკაფიოდ არ აღიქმის; ამიტომ, უფრო ხშირად, გვეძნელდება კიდეც მისი სრულმნიშვნელოვანი ი-საგან გარჩევა. ჩვეულებრივ იგი ხმოვან-ფუძიან სახელებთან გვხვდება სახელობით ბრუნვაში. ლექსში ჲ-ს ხმარების საკმაო შემთხვევა გვაქვს დადასტურებული:

1. ღმერთმა მანადის გაცოცხლოს,
   სანადი მზეჲ და მთვარია...

2. სუყველაჲ დამიმორჩილდეს
   ამერი და იმერიო...

3. ქალო, **კაბაჲ** გეისწორე,
დეიხედე ტანზედაო...

მიუხედავად ჲ-ს ერთგვარად გაურკვეველი მდგომარეობისა, ვახანურას ხეობის მცხოვრებთა მეტყველებაში მისი არსებობა სპორადულ მოვლენად არ შეიძლება მივიჩნიოთ. ჲ დადასტურებულია გურულში[1]; იშვიათად გვხვდება ქვემოიმერულშიც, მაგრამ იოტიზაციის პროცესი ვახანურას მეტყველებაში უფრო შორსაა წასული, ვიდრე გურულსა და ქვემოიმერულში.

წინადადების უკანასკნელ სიტყვაში ბოლო მარცვლის ა ხმოვანი (თუ ასეთი მარცვალი არის სიტყვაში) გაგრძელებულად წარმოითქმის: „ყოლიფერი მ̄ა̄ქ", „ვორი შვილი მყ̄ა̄ს", „ჰინახული[2] ბევრი გვ̄ა̄ქ", „სახში რვა ხიზანი ე̄ა̄რთ", „ყოლიფერს ამიდი მეიტ̄ა̄ნს" და სხვა. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ა გაგრძელებულად წარმოითქმის ზმნაში, როცა ის წინადადების ბოლოსაა. იქნებ ეს მოვლენა შედეგი იყოს ამ კუთხის მეტყველების თავისებური ინტონაციისა, რომ საერთოდ ხმის ამაღლება თხრობით წინადადებაშიაც ბოლო მარცვალზე მოდის. უთუოდ, ინტონაციასთან ერთად ჩვენ აქ საქმე გვაქვს ა-ს ფონეტიკურ ვარიანტთან. რომ ეს ასე არ იყოს, მაშინ ა-ს ბედს სხვა ხმოვნებიც გაიზიარებდნენ. აღნიშნული საკითხის დაზუსტება მუშაობის შემდგომ ამოცანად უნდა დავსახოთ.

ა. **ასიმილაცია**. ბგერათა მიმსგავსება ვახანურას მეტყველებაშიაც ისევე გავრცელებული მოვლენაა, როგორც ქართული ენის სხვა კილოებში. განსაკუთრებით ხშირია ზმნისწინის ხმოვნის მიმსგავსება ზმნდეენო ხმოვნის მიერ.

რეგრესული ასიმილაციის მაგალითებია: შაჯამადი, დეეჭირნა, წეეგუებოდა (ემსგავსებოდა), გამეელია, ჩევედი, გეგეხარდებოდა ..

პროგრესული ასიმილაცია გვაქვს სიტყვებში: გამოცითლი, ტკპილი, მოკეტა, მოტყტა, გაკეთთა, გაჩთა...

ბ. **დისიმილაცია** გვხვდება სიტყვებში: ბრიგადელი, ალანი (ალალი), დაუძულებური (დაუძლურებური — დაუძლურებული), წემალი, კოსტანტიღე, ღორესაში[3], მიაღებენ...

გ. **ბგერის დაკარგვა**. ეს ფონეტიკური მოვლენა ვახანურას ხეობის მეტყველებაში ფართოდაა გავრცელებული. ამ მხრივ იგი

[1] ს. ჟ ღ ე ნ ტ ი, გურული კილო, 1936, გვ. 46.
[2] სომხური.
[3] ღორეში (სოფლის სახელია).

ბევრად უსწრებს ქვემოიმერულს და ძალიან ახლოს დგას ქართლურთან[1]. სიტყვიდან ჩვეულებრივ იკარგვის თანხმოვანი, იშვიათად — თანხმოვანი ხმოვნითურთ.

მ იკარგება: სიტყვის თავში: თა (მთა), ხარი (მხარი), ღერა (მღერა), ზითვი, ჰამელი, დგომარობა, დიდარე, ზუბუქი, ტევანი, ხარგძელი (მხარგრძელი)... სიტყვის ბოლოს: ამიტო, ხო (ხომ), რო... მ ამოვარდნილია სიტყვებში: თავჯდომარე, წყესი, სანადი (სანამდის).

ვ ჩავარდება ორ ხმოვანს შორის: ვიყაით (ვიყავით): უ ხმოვნის წინ ან შემდეგ: უწერამ, უჭირამ (მე ვუჭირავ), მიუდა ცნობად, მოულელი, ულის. ვ-ს დაკარგვა ყველაზე უფრო გავრცელებულია ნ, რ, ლ ბგერების მეზობლად: გამეეგზანა, გიპონი, გაგზანიდა, გასაკვირელია, შემძრალი, გაჭირება, უსაფუძლო (უსაფუძველო—უსაფუძველო).

გ: იი (იგი , მაისანობას, მარამა (მაგრამა).

დ: დიედა (დიდედა), როის (როდის?). წეიდოით, საღაა (სადღაა), შემხვეროდა.

თ: ამასან.

ლ: ძიერა, სახში, კდეი, უწყენათ, სუ (სულ), ხემწიფეი.

რ: ახალგაზდა, ბძენი, ვეშოკი, დაბმაებული, როგოც, გავცელდა; დაბძანდებოდა, ჰინახული, ბძოლა.

რა: აფერი.

რგ: კაი || კაათ.

ს: რითვენ.

წ: მჟასრო, სრაფათ.

დ. ბგერათა გადასმის ექვსიოდე მაგალითია ჩვენს ტექსტებში დადასტურებული: წივრა, ბადრიელი, გაჭივრებული (თუ ვ არ დაიკარგა), ძანიალ, შავრაშეთი (შარვაშეთი — შავშეთი), თითვან.

ე ბგერათა შენაცვლება.

ბ — ფ: საფძელი (ინდ.?).

გ — კ: ამხანაკი || აფხანაკი || აფხანიკი.

დ — ტ: იმჯელი || ამტელი.

ვ — ბ, მ, ფ თებში: კადემ; უკაუშირდებოდა.

---

[1] ვ. თოფურია, ქართლური: არილი, 1925, გვ. 132.

ზ — ძ: საბზელი[1] (იშვიათად ეს ფორმაც გვხვდება).

ლ — რ: ადგირი.

მ — ბ, ვ, ნ: ვებზადები; შევირტყავდი (ინდ.); სინწარება, ნეფე, ან (იმ), სინახსორეში, რანდენჯერა, ინდენი, გადეენტერა, ნანდვილი.

ნ — ლ: ლიავღვარი.

რ — ლ: აპელაცია.

ს — ზ, ც: ზუბუქი; პენცია.

ქ — კ, ც: სისჯე, ჩამოკანდრული (ჩამოქანდრული).

ღ — ხ: მახლა (ინდ.?).

ძ — ზ: უსაფუზლო.

წ — ს, ტ: გოუსიე || გოუსია; ჯვარი სტერია (მხოლოდ ამ გამოთქმაში).

ჟ — ჯ: ეჟივარ || დოუჟდა || თავჟდომარეი.

ვ. **ბგერათა ჩამატება**. ო ხმოვნის წინ ვითარდება ვ: ვომი, ვოთხი, ვორგული, ვოტკა, ვორაგული.

ბ: კამბეჩი, გამბრაელდა.

მ: დამწუნარდა, სამზღვარი, იმჯაერა, ჯიმში (ჯიში).

ნ: გაელენძა, მუანგრუა || მუანგროვა, იჭყლინტება.

რ: ხვერწნა, საზოგარდოთ, მოსრული.

ზ. **ბგერათა შერწყმა**. გვაქვს სიტყვებში: გვერძე (გვერდზე)[2], იმათანა (იმათთანა), ყოლგან, ყოლიფერი, მიხეს ხელი (მიჰყვეს ხელი), ხვება (ჰყვება). ორი უკანასკნელი მაგალითის მნიშვნელობა ფონეტიკის საზღვრებს სცილდება (იხ. გვ. 73).

აღსანიშნავია ბოლოსართოვანი დ-სა და ბ-ს დაყრუება: ვიკონეფ, უგუნდრუშეფ (ვიფერები), ჩავატარეფ, გახსენეფ, დეევიქადეფ; კაცათ, ბღარათ (ბავშვათა), ხელათ, ჯავრათ, თათ (მთად)...

ზემოთ განხილული ფონეტიკური მოვლენები მეტ-ნაკლებად ქართული ენის სხვა დიალექტებსაც ახასიათებს, ამიტომ ისინი, ცხადია, ვახანურას ხეობის მცხოვრებთა მეტყველების საკუთრებად არ შეიძლება ჩაითვალოს. შედარება ცხადჰყოფს, რომ ეს მოვლენები ქართლურთან უფრო ახლოებს ამ კუთხეს, ვიდრე საერთოდ იმერულთან.

---

[1] „საბძელი"-ს პირველადი სახე უნდა იყოს საბზელი (შდრ. საბა საბზე ე).

[2] მ. ალავიძე, ლეჩხუმურის თავისებურებანი: ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, II, გვ. 232, 1941.

მორფოლოგია

ბრუნება

1. სახელობით ბრუნვაში ხმოვან-ფუძიან სახელებს ი მოუდის; თუმცა, როგორც ზევითაც მქონდა აღნიშნული, ივი არაა სრულფასოვანი ი და არც ჲ არის. ეს გარდამავალი საფეხური სხვადასხვა მთქმელის საუბარში ნათლად იგრძნობა (იხ. გვ. 64). მაგალითები: გზაი, თაი, კანტორაი, ჩამოსახლებაი, ამისთანაი, ხეი, უბეი, საქმეი, რავოდენიმეი, მევორეი; გარემოი, კალოი, გოგოი, მარტოი, საშუალოი, გემოი; საკუთარი სახელები: სავლეი, ოქრუაი, სოსოი, ივანეი და სხვა.

ხმოვან-ფუძიან სახელებთან სახელობითი ბრუნვის ნიშანი ი ქვემოიმერულისათვისაც არაა უცხო, მაგრამ მას ჲ-თან საერთო არაფერი აქვს. იგი სრულმნიშვნელოვანი ი არის (იხ. გვ. 64).

ვახანურას ხეობის მეტყველებაში ასეთივე ი მოუდის იმ ზმნებს, რომლებიც წყვეტილის პირველ და მეორე პირში ე-ს დაირთავს. ეს ორი ი სხვადასხვა წარმოშობისა და ფუნქციის მქონეა, მაგრამ ფონეტიკურად ისინი ერთმანეთთან ძალიან ახლოს დგანან (იხ. გვ. 73).

2. სახელები, რომელთაც ფუძის ბოლოკიდურად მ თანხმოვანი მოუდის, მოთხრობითი ბრუნვის მ-ს არ შიიღებს: ჩემა, ნაჭამა; ამ სიტყვების წარმოთქმაში ისეთი მ ისმის, როგორიც სიტყვებში: მამა, ნაჭამი, ჩემი.

ხმოვან-ფუძიან სახელებს მოთხრობით ბრუნვაში ა დაერთვის: დამა, ძმამა, მამამა და სხვა. ეს მოვლენა თანხმოვან-ფუძიან სახელთა ანალოგიით უნდა იყოს.

3. მიცემითი ბრუნვის ნიშანი ზოგჯერ მოკვეცილია: „ზურგ გადუსვი ხელი". ხშირად მიცემითი ბრუნვა ემფატიკური ხმოვნითაა წარმოდგენილი: ხალხსა, ხელსა, ძმასა, მამასა, იმასა, სახსა. ძველი ქართულის ეს ნორმა კარგად შემოუნახავს ვახანურას მეტყველებას.

4. ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი ბრუნვის ნიშნის ს ელემენტს ჰკარგავს[1]. მიწი მზომელი, კოხორი ეკლესიაი, ახალგაზდი გამოთამაშებაი, ჯაჭვი ხიდზე, სავლეი ჩვენებაი. ეს მოვლენა გავრცელებულობის მიხედვით ქართლურისთვისაა სპეციფიკური, მაგრამ არც თუ ისე იშვიათად იმერულშიც მოიძებნება ხოლმე. ემფატიკური ხმოვანი ნათესაობითი ბრუნვის ფორმასაც აქვს: „იმისა, ამისა, სახლისა, ტყისა, ოქმისა...

---

[1] ვ. თოფურია, ქართლური: არილი, გვ. 132.

5. ვითარებითი ბრუნვის ნიშნად, როგორც წესი, ყოველთვის თ (ათ) არის წარმოდგენილი. ეს იმდენადაა განმტკიცებული, რომ თ-ს წერენ კიდეც ოფიციალურს დოკუმენტებში: „მოქყიდე ყორმოც ვერცხლის ფ უ ლ ა თ“ (1842 წლის ნასყიდობის საბუთი)[1].

მაგალითები: სოფლათ, მოწმათ, ზიდვათ, საჩივლელათ, პლენათ, ძველათ, თხლათ, სათესავათ, გარასახთელათ და სხვა.

უფრო საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ვითარებით ბრუნვაში მარტო ა ხმოვანი გვაქვს[2]: გაღმიანა, კაციანა, დედაბუდიანა, ჩემიანა, პურიანა. როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, ვითარებით ბრუნვაში ა მოუდის -იან სუფიქსით დაბოლოებულ სიტყვებს. არის სხვა შემთხვევის ერთი მაგალითიც: მაგიერა (მაგივერა).

-ებრ თანდებულიანი ზედსართავი სახელები ვითარებითი ბრუნვის ფუნქციით იხმარება; ოღონდ -ებრ თანდებული -ეფ-ის სახითაა წარმოდგენილი: რუსულ-ეფ (რუსულებრ), კაცურ-ეფ (კაცურებრ). სპორადულად ეს ფორმები ქვემოიმერულშიც გვხვდება[3] (გამიგონია: ძაღლურეფ მოკეტა, კაცურეფ გეისარჯა, მეზობლურეფ ყველაფერი შეიძლება და სხვა).

თანდებულები

1. -ზ ე დ ა თანდებული ჯერ კიდევ ცოცხლობს ამ კუთხის მეტყველებაში: ხეზედა, კაცზედა, მიდორზედა, წყალზედა, კტეზედა. ეხვდებით „ზედა“ თანდებულის ისეთ ფორმასაც, რომელშიაც დ ნ-თია შეცვლილი: ხეზენ, მიდორზენ, სახზენ და სხვა. ხშირად იხმარება „ზედა“ თანდებულის გამარტივებული „ზე“-ც. დისიმილაციით „ზე“ თანდებულის ე შეუგენილ შემასმენელში ი-თია შეცვლილი: ქვაზია, დილაზია, თავზია. ეს ისმის ჩვეულებრივ მეტყველებაშიც, მაგრამ უფრო ხშირად — ლექსში.

2. -თ ა ნ ა თანდებული აქა-იქ ძველი ფორმითაც გვეცნება: „ლამარაი მ ა მ ი დ ა ს თ ა ნ ა წევიდა“, მაგრამ ჩვეულებრივია „თან“ ფორმის ხმარება. ეს თანდებული მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებში ს-ს მეზობლად თ-ს ჰკარგავს: ამასან, თ ა ვ ჯ დ ო მ ა რ ე ს ა ნ წვიყვანეს, იგი ძ მ ა ს ა ნ იყო წასული; მ ა მ ი ს ა ნ ა შვილი გამევიდა,

---

[1] აღნიშნული დოკუმენტი გადმომცა ს. ხედუბანის მცხოვრებმა მათე ყიფიანმა (ამჟამად ეს საბუთი ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება).

[2] ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობის, წარმოებისა და ისტორიისათვის: ენიმკის მოამბე, I ტ., 1937, გვ. 18.

[3] შდრ. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული ენის მთარაჭული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი: ენიმკის მოამბე, II, ნაკ. 1.

იმისანა ამბავი მოხთა რო... ამისანა რაი გაქ... (ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან „თან" თანდებული მსგავსებას აღნიშნავს).

ვახანურას მეტყველებაში „თანა" თანდებულის ხმარების ასეთი წესია დაკანონებული: მიცემითი ბრუნვის ფორმასთან გამოყენებულია ,,თან'', ხოლო ნათესაობით ბრუნვაში კი ,,თანა''.

3. -თვის თანდებული ვახანურას მეტყველებაში ,,თვინა'' ფორმითაა წარმოდგენილი: ამითვინა, რითვინა, ბღარებისთვინა || ბღარებითვინა, გატანისთვინა, ცხენებითვინა, ხალხითვინა. ,,თვინა'' ნათესაობით ბრუნვაში ერთვის სახელს. ნათესაობითი ბრუნვის ელემენტი ზოგჯერ იკარგვის, ზოგჯერაც — არა. „თვის" თანდებულის მნიშვნელობით ერთგან ,,ზა'' დაბოლოებაც არის (მოსამართლიზა), მაგრამ იგი ვახანურას მეტყველების თავისებურებად არ ჩაითვლება.

4. -მდე || მდის.

,,მდე'' თანდებულის ყველა აღნიშნული სახე გეხვდება[1]. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ამ კუთხის მეტყველებას შემონახული აქვს ძველი და საშუალი ქართულის ფორმები. საერთო შთაბეჭდილება ასეთია: ,,მდე'' იშვიათად იხმარება. ყველაზე გავრცელებულია ,,მდინ'', ,,მდის'' (აქა-იქ ,,მდისინ''). ძირითადად მაინც ,,მდინ'' უნდა მივიჩნიოთ (ღელე-მდინ, 40 კვამლა-მდინ, შორაპნა-მდინ, წიფა-მდინ და სხვა).

„მდე" თანდებულის „მდინ" სახე ჩვენს ყურადღებას იქცევს იმითაც, რომ მას ნ ახლავს ბოლოში. იგი თან || თანა, თვინა (თვის) და გან თანდებულების ანალოგიით უნდა აიხსნას. იგივე ითქმის „ზედა" თანდებულის „ზენ" ფორმის ხმარებაზედაც.

სახელთა მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელია -ებ სუფიქსი. ამ მხრივ სალიტერატურო ქართულთან შედარებით განსხვავება არაა, მაგრამ თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ჩვენებითი სახელთნაცვალის „ესე"-ს ებ-იანი მრავლობითის ფორმა: ესეები, ესაები (ჩვეულებრივია „ეს" ჩვენებითი სახელთნაცვალის .ესე" (ძველი), „ესა" ფორმით ხმარება).

„კარებებში", რომელიც ძლიერ გავრცელებულია, მრავლობითის ორი -ებ გვაქვს. იმათგან ახლა მხოლოდ უკანასკნელი -ებ აღნიშნავს რიცხვს. მრავლობითში იხმარება აგრეთვე სიტყვა „ლაპარიკი": „მაისანა ლაპარიკები არ მომწონს".

---

[1] ა. მარტიროსოვი, თანდებულები ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1946, გვ. 134.

ვიპოვეთ **ნ**-არიანი მრავლობითის ერთი მაგალითი: „ინ კაცმა დოუწყო დ ე ვ ა ნ ი“.

ზ მ ნ ა

1. ნოლთემიან (და ზოგ ინიან ზმნას) თემისნიშნიანთა ანალოგიით მაწარმოებელი აფიქსები მოეპოება. ასეთ შემთხვევაში გამოყენებულია **-ავ** და **-ამ** სუფიქსები უთუოდ იმიტომ, რომ ამ კუთხის მეტყველებაში ისინი ფართოდ არიან გავრცელებულნი. მაგალითები: კრეფს — კრეფავს, წერს — წერამს || მოგიწერამს, წერაეს. ხელს — ხელამს || უხილაძდა; ყიდის — ქიდავს, გაყიდავს || ყიდამს.

საპირისპირო ანალოგიის შემთხვევა უნდა იყოს „ნახავს || ნახავთ“ ფორმების ნაცვლად „ნახს || ნახთ“ ზმნების თემის უნიშნოდ ხმარება. ეს მოვლენა დღეს შეიძლება ანალოგიით აეხსნათ, მაგრამ გამორიცხული არაა იმის შესაძლებლობაც, რომ ისინი წარმოადგენდნენ ქართული ენის იმ უძველესი დროის გადმონაშთს, როცა ზმნებს თემის ნიშნები არ ჰქონდა. ამ თვალსაზრისით დიალექტებში მსგავსი მასალების დადასტურება ძვირფასი მონაცემი იქნება ქართული ენის ისტორიის ზოგი საკითხის გასათვალისწინებლად.

თემის ნიშანთა მონაცვლეობის მაგალითები ასეთია[1]:

-ავ — -ამ: დაებაეამთ, დაგვინახამს, ნახამენ, დოუნიშნამს, მაშიკლამთ, დაეკრამ, დაღალამს, იკითხამთ, ეხედამ, გაჭურდამს, შეჯინამს, დეიჭირამს, მოკლამთ, დოუკრამდა, დათესამდენ, მოხერხამდენ, გასწვამდა, წყესამდა, ლესამენ.

-ავ — -ემ: უფიცემდა, დეინახემდენ, დამარხემდა, ნახემდი.

-ავ — -ევ: შეინახევდა, ვწირევდი, მოკლევდა, ვხედევდით, მიხნევდა || მიხნევდით, შევინახევდით, იკითხევდა, ხატევდა, ხედევდა;

-ავ — -ებ: წავიკითხებდი (ინდ.?).

-ებ — -ემ: მევიტაცემდით, ეიღემს.

-ევ — -ემ: გვაძლემდა, გაჭმემდა (ევ-იან ფუძედრეკადებთან: მიდემდა, დავლემ, აქცემდა, ვათემდით, ანგრემდა, გამოლემს).

-ევ — -ენ: გვინგრენდა (ინდ. ?).

ვახანურას ხეობის მცხოვრებთა მეტყველებაში გამოყენებულ თემის ნიშანთა შესახებ შემდეგი უნდა აღინიშნოს: 1) **-ავ** სუფიქსის ხმარების არეალი მეტად შეზღუდულია. იგი უფრო ხშირად ე. წ. ნოლთემიან და ინიან ზმნებს მოუდის. ჩვენი დაკვირვებით **-ავ** სუფიქსიან ზმნებს უწყვეტელში **-ევ** აქვს. იშვიათი გამონაკლი-

[1] შდრ. ე. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური: არილი, გვ. 142:

სის სახით გვხვდება -ემ ელემენტიც (ეს შენაცვლება უფრო გვიან დელ მოვლენად გვეჩვენება). -ავ სუფიქსის უწყვეტელში -ევ-ით შეცვლა (პირველ და მეორე პირში) ძველი ქართულიდანაც ცნობილია, მაგრამ ვახანურას ხეობის მეტყველებაში მესამე პირის ფორმებშიაც ევ გვაქვს: იკითხევდა, ხატევდა, ხედევდა (ნაცვლად ძველი ქართულის ნორმებისა: იკითხვიდა, ხატვიდა, ხედვიდა). ავ-იან ზმნებთან უწყვეტლის პირველ და მეორე პირში ევ-ის გამოჩენა ფონეტიკური მოვლენა უნდა იყოს[1]. 2) -ამ (და მისი ფონეტიკური სახესხვაობა -ემ) ფართოდაა გავრცელებული. იგი თემის მაწარმოებლად მოუდის სალიტერატურო ქართულის ავ-იან ზმნებს და, არც თუ ისე იშვიათად, ნოლთემიან და ინიან ზმნებსაც.

3) -ავ (-ევ) — -ამ (-ემ) თემის ნიშანთა მონაცვლეობის თავისუფალი შესაძლებლობა, რომელიც ამ კუთხის მეტყველებისთვისაც ასე დამახასიათებელია, ფონეტიკურ ნიადაგზეა წარმოქმნილი. მართლაც, აღნიშნულ თემის ნიშანთა თანხმოვანი ელემენტები წარმოების მიხედვით დაახლოებით ერთნაირი ბგერებია და სახელებშიაც ხშირად ენაცვლებიან ერთმანეთს (იხ. გვ. 66). აქ იმასაც აღვნიშნავ, რომ -აე, -ამ სუფიქსების ხმარების მითითებული ზოგი სახე ძველს ქართულშიც მოიპოვება, როგორც ბევრ სხვა საკითხში, ისე აქაც ვახანურას ხეობის მეტყველებას ძველისა და საშუალი ქართულის ფორმები შემოუნახავს. ზმნის თემის წარმოებით ვახანურას მეტყველება მთლიანად ქართლურს ეკედლება და საგრძნობლად სცილდება არა მარტო ქვემოიმერულს, არამედ თვით ზემო იმერეთის ზესტაფონის რაიონის მცხოვრებთა მეტყველებასაც.

მეორე სერიაში -ავ თემის ნიშნის ვ თანხმოვანი შენახულია ერთ მაგალითში: შეირთვეს. ამ ფაქტის შესახებ გადაჭრით რისამე თქმა მანამ არ შეიძლება, ვიდრე მსგავსი მაგალითები არ გვიპოვნია.

2. მესამე სერიაში აწმყოს -ინიან და ავიან ზმნებს, -ნი, -ნ სუფიქსი ერთვის: უყიდნია || გოუყიდნია || გაგვისყიდნია, დეეჭირნა, დეგეძახნა, გეეყიდნა, გადეეხადნათ, დეეზოგნა, მეხარჯნა. არნ. ჩიქობავას ახსნით ჩვენ აქ საქმე გვაქვს ანალოგიასთან, რომელიც ან უგზავნია — ეგზავნა, უდევნია — ედევნა, უთმენია — ეთმინა ზმნებისაგან მოდის, ან ვნებითი გვარის ზმნებს რომ ბრაელობითში ნარი ჰქონდა ძველს ქართულში, იგი უნდა იყოს ანალოგიურად გადა-

[1] ვ თოფურია, ქართლური, არილი, გვ. 142.

სული მხოლობითში და დღეს ქართულის ზოგ დიალექტში შემონახული[1]. კახურისათვის დაშვებული ეს ვარაუდი ვახანურას მეტყველებაზეც შეიძლება გავაკრცელოთ. შესაძლებელია, ზემოიმერულის საფუძვლიანად შესწავლამ აღნიშნული საკითხის გარკვევისათვის საჭირო მასალა მოგვცეს.

3. წყვეტილის პირველ და მეორე პირში, მსგავსად ქართლურისა[2], თუ ზმნას -ე სუფიქსი მოუდის, მაშინ მას ი ემატება: ნახეი, უღალატეი, გავაკეთეი, გავყიდეი, ჩავაბარეი, გადაგვიკეტეი, ავჩეხეით, ევიტანეით, გადავპარცეით, წაუღეი. ეს ი-ვი ელემენტის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. ქართლურში გვაქვს: მაჩუქევი, ჰამევი[3] და სხვა. თვით -ევი-ს გაჩენას ამ სიტყვებთან ვ. თოფურია დავწევი, გავყევი, დავდევი ზმნების ანალოგიით ხსნის -(ვ)ი ფორმა არ ჩაითვლება ზემოიმერულის თავისებურებად.

4. შუალობითი გზის სუფიქსი ზოგჯერ **ნ**-ს ჰკარგავს: ახთევიებდა, აჩაგვრიებდა; ზოგჯერაც ვ-ს: ახთეინებდა.

5. ქართული ენის დასავლური კილოები მესამე პირის ობიექტის ნიშანს არ იყენებს[4]. მაგრამ ვახანურას მეტყველებაში მისი კვალი ჩანს: „მიხეს ხელი". უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სიტყვა (მიხეს) იხმარებოდა ასე: მიჰყვეს. ჰ-ყ-ს შერწყმით ხ მივიღეთ. ამგვარი მოვლენაა აგრეთვე ზანაში „ხვება" (ჰყვება)[5].

როგორც ვახანურას მეტყველების ფონეტიკურ-მორფოლოგიურ[6] თავისებურებათა განხილვიდან დავინახეთ, ზემო იმერეთის ამ კუთხეს ბევრი საინტერესო ენობრივი მოვლენა აღმოაჩნდა არქაულ ფორმათა სახითა და ქართული ენის სხვა დიალექტებთან შეხვედრების მხრივაც. ზემოიმერულის ყოველმხრივ საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ ამ წერილში დასმული საკითხების ახსნა და უფრო სწორი დასკვნების გაკეთება იქნება შესაძლებელი.

---

[1] არნ. ჩიქობავა. გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად: არილი, 1925 გვ. 73.

ა კ. შანიძე. სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, 1920. გვ. 12, შენიშვნა.

[2] ვ. თოფურია, ქართლური: არილი, გვ. 143.

[3] მაგალითები მომყავს ვ. თოფურიას წერილიდან: ქართლური: არილი, გვ. 143.

[4] ა კ. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში. გვ. 172.

[5] შდრ. ს. ჟღენტი. გურული კილო. გვ. 63.

[6] სინტაქსის საკითხები ცალკე იქნება განხილული.

მეტყველების ნიმუშები

თქმულება ვახანის ციხეზე

ჩვენი ძველისაგან ასე მაქვს გაგონილი:

სოფელს, ციხიდან მოშორებით, ყაროულები ყამდათ დაყენებული. თუ ტერს დეინახამდენ, ყარაულები თოფს დაცლიდენ და დეიმალებოდენ. ხალხი გეიგებდა თრფის ხმას და შევიდოდა ციხეში. აქინე ქონდათ სასმელი და საჭმელი.

ეწინ ჩვენ სოფელს ეცემოდნენ; მიყამდათ აქედან ტყვეები და ვოსმალეთში ბეგებზე ყიდავდენ. ტყვეებს იმსახურებდენ ისინი. თითონ დედაჩემის პაპიეი იქ ნამყოფია. ცოლიძმები მოკლა და გეიქცა. იმისი შვილი დარჩა იქინე. შვილიშვილი წამევიდა და აქ დასახდა.

ეს ციხეც ლეკებისაგან თავის დასაცავათ ქონია ჩვენებს აშენებული. ერთხელ მოსულა ლეკები ციხის ასაღებათ, მარა ვერ შესულან შითე. ამ დროს მასხარაშვილი თხებს წყესამდა ციხის გარეთ. იმან ლეკებს უთხრა: ჩემი ცოლ-შვილიც შიგა; თვარ მომიკლამთ, გასწავლით შესავალ კარებსაო. ლეკები ციხეში შესულა. მოხუცები დეეხოცათ, და ვინც ახალგაზდა ყოფილა, წამეყვანათ თან. იმისანა ბძოლა ყოფილა, რო სისხლი ქვეით ღელემდინ ჩამოდიოდა.

ქვეით რო კოშკია, იმაში თავადები შესულან; ციხის ხალხთან ყოფა არ უკადრებიათ, თუ რა ვიცი.

ამბობენ ასეც, რო ომარხანი მევიდა ციხის ასაღებათ, მარა ვერაფელი გაახერხა. იმან შეიყიდა ერთი გამცემი. შეაგრუა თითო სროლა წამალი. ქრთი სარახე ქვაბი შეიქნა. მოუდგეს ციხის ძირს და დაანგრიეს.

ამნაირი ლექსი გამიგონია კიდო:

ვახანის ციხე მაღალო,
ძირი გაქვს სალი კდისაო.
ომარხანი რო მობძანდა,
ჩამოხტა კოშკის ძირსაო.
ფარეშები მოუგზანა
ჩდილსა და ნებოძირსაო:
ვოც წელწადს ზეით რაც ხალხია,
სუყველა დასცით ძირსაო;
ცხრა პატარძალი მომგვარეთ,
მომისვით მუხლის ძირსაო.

ამას საწყალი ბიძაჩემი ჩანგურს დოუკრამდა და დაამღერებდა.. ციხის ქვები კაცობრივ გადაცემითაა ატანილი.

ს. ვახანი, ღონღაძე სერგო კოსტანტინეს-ძე, 63 წლისა.

ს ა უ ბ რ ი დ ა ნ

ფული დეეკარჭა კასაშია. ეშურებიან პურსა.
იმას უფრო ეკუთნებოდა ჩამოსვლაი. ალანი კაცია.
წევიდა ჩემი შვილი მოსატანათა.
ძლივას გადეერჩინა ვორ ბოთლა ნახევარი.
კაი რამე ქე ყოფილა[1].
მე კი შემეფარა ცოტაჲ.
ყიფიანის იყო ეს დიდი გრემოჲ.
იმისანა ტყეჲ იყო და ახლა ამხელა კიკიტს ვერ იშოვი.
კიწს ვერ მოტეხამენ... კალამი წერავს...

ს. ბედუბანი, ღამბაშიძე სპირდონ გრიგოლის-ძე, 74 წლისა.

არ გეყურება ქართული, გოგო, შენე?
ინ დღესა ღორესაში ჩავედით.
მორე ძროხაჲ ხბოიანია.
მაინცა იმას კი არა ვთხოვ ..
დავანებებიევი თავი სწავლასა.
ვინაა შენი ყურამგდებიო?
დეეცა ხეი: გამიკვირდა ძიერა, რო ცოცხალი გარარჩა.
გამეელია ისი... გაამწარებენ ბღარები.
ჩემი შვილი როგოჲ კაცი იყო!
რატო არ გაუშვებ მაგასა ხელსა?
კარებები დაკეტე და დიდხან არ დააგვიანო!
ასე არ იქმოდა.
სტუმრები ქვყ ამდა, ღვინოსა სვემდენ.

ს. სერბაისი, ოლია გაჩეჩილაძე, 74 წლისა.

[1] ხმოვან-ფუძიან სახელებთან სახელობით ბრუნვაში ზოგჯერ ი მაქვს ნახმარი, ზოგჯერაც — ჲ. ამ შემთხვევაში საკითხს სწყვეტდა მისი აკუსტიკური მხარე.

ესეები რო გავაკეთეთ ასე...
ესაები გათავთავისდენ სასამართლოდან (ლაპარაკია გაყრაზე).
შვილის გულისთვინა მოუდათ ყოლიფერი.
ახლა კიდე მ̄ჭ ის ფიცარი.
ლობიოს ვკრეფავ ვენახშია.
რატო არ მემეცი? მაჩივდა გული.
სულ ქვით დამიწყო დევანი.
მოეტეხე ჭილვანი, ბღარის გალახვა მინდოდა.
თუ არ დამწყნარდა, ნამდვილათ საგიჟეში შევაგდეფ.
გადავატანეჲ თავი შვილებს.
შეც უგუნდრუშეფ ბავშსა.
კაი ხნის კაცი იყო ისი.

ს. სერბაისი, ნინა კამკამაძე, 68 წლისა.

ამ ზეითკენა სხვანაირია.
ვინც იმასან ვერ შეძლო დალევაი, თავის ფეხებში გაატარა...
ორი (ვორი) კილო უყიდნია...
ამითვინ მორეთ მოვბრუნდეო?..
დიდ ხეს მოხერხამდენ; აქაურ კაცებს აჭრეინებდენ...
ჩემი ძმა წეეგუებოდა იმას...
საფუტკრეს ულის აგი...
თოხი რაება დაღალამს კაცსა...
ოჯახში 8 სული ხიზანი ვიყავით (ვიყაით)...
ენგრე არ გვაქ ჩვენა წისქვილები...
შარშანწინა გამეეტარებია...
დავკრამ დანასა და მოეკრი...
ქართველები მიდემდენ ლეკებს...
შორაპნამდინ იყო მათი საზღვარი (სამზღვარი)...
მას უკან იმანაც იმჯაერა...
რაც დაგავალო, ისი გააკეთეჲ...
ღვინოჲ თუ ძიერა მეერია კაცსა, კიდეც დააძინებს...
ერთი რო წემეკითხნა, დასწავლილი მქონდა...
ორჯერ მოუდა ცნობაჲ...
ღორებმა თუ შეჭამა, წანახედს ვიხთიო...
დეემკლია დათვი (მიეგნო დათვი)...
თედორას თოფითვინ არ მოუკიდნია ხელი...
ჯარიდან მეეწერნა: იმ კაცმა დამღუპაო...

შემეხმარეითო და მივწერ წერილსო...
მოკრეს ხელი და წეიყვანეს..
რა მოხელე ხარ აქა?... უწყენათა ცხოვრება არ იქნება.

ს. ვახანი, სერგო ღონღაძე.

ს ა მ ი ძ მ ა

(ზღაპარი)

იყო და არა იყო რა. ხვთის უკეთესი რა იქნებოდა?! იყო შავი მგალობელი, ღმერთი თქვენი მწყალობელი.

ცხოვრობდა სამი ძმა. ძმებს ყამდათ დედა. ეს ძმები ყოველდღე სანადიროთ მიდიოდენ. ერთხელ ტყეში ერთი ვორმო (ორმო) ნახეს. ორმოში (ვორმოში) სამი ქალი იყო. ძმებმა ამეიყვანეს ეს ქალები და ცოლათ შეირთვეს. წამეიყვანეს სახშიდ და ცხოვრობდენ ერთად. მორე დღეს ძმები სანადიროთ წევიდენ. რო დაბრუნდნენ, ნახეს, რო უცროსი ძმის ცოლი ძიერ მოწყენილია. უფროსი ძმების ცოლები და დედა სულ (სუ) იცინოდნენ. ეს ორჯელსამჯერ გამეორდა. უცროსმა ძმამ იფიქრა: უნდა გევიგო რაშია საქმე, ჩემი ცოლი რო სუ ყოველთვის მოწყენილიაო.

ერთხელ ძმები სანადიროთ წევიდენ. უცროსმა განგეფ დატოვა სახში შვილდ-ისარი. გზაში ძმებს უთხრა: „შვილდ-ისარი დამჩა სახში, თქვენ იარეთ და მეც ახლავე მეგეწევითო". დაბრუნდა ეს ბიჭი სახში; მივიდა ფანჯარასან და დეინახა, რო დედას და უფროს რძლებს გვირდში (გვერჩი) უჯდიათ თავისი საყვარლები. მისი ცოლი კი ქდის კერიის ძირშიდ და არის გაჩუმებული. უცროსმა ძმამ გეიგო ყოლიფერი და წევიდა სოფელში, მეზობლებთან. გამევიდა დედა გარეთ და რას ხედამს?! სახლის გარშემო რო ნაცარი ქონდა შამოყრილი, იმაზე კვალი ეტყობოდა. დედამ სრაფათ კვალი ზომაზე შეკერა ფეხსაცმლები.

საღამოს უცროსი ძმა წევიდა ძმების შესახეედრათ. შეხვთა ძმებს და უთხრა: „ძმებო, ხუ არ ქწყენიათ, რო არ წამეეედი? მუცელი ძიეოა მეტკინა, ველარ შევძელი წამოსველაო". ძმებმა არაფელი უპასუხეს. მივიდნენ (მივიდენ) სახ ი, დედამ დაახეედრა ფეხსაცმელები. მარტო უცროს ძმას ერგო ფეხსაცმელი. დედამ მიხვთა, რო უცროსმა ყოლიფერი გეიგოვო, ამიტო მისი მოშორება მეინდომა.

ინ სახენწიფოში იყო ერთი ბმა სემწიფე და დედა იმასთან წევიდა, ხემწიფეს უთხრა: „თვალები რო აგიხილო, რას გამცემ"?

ერთ სატახტო ქალაქსო — უპასუხა ხემწიფემ. დედამ წეიყვანა ხემწიფესან უცროსი შვილი და უთხრა: ამის გულ-ღვიძლი აჭეისეი და თვალები ეგეხილებაო. ეს ბიჭი შეიყვანეს თაელაშიდ, სადაც ცხენები იყო. დეიწყეს დანების ლესა (ლესვა). ბიჭი ძიერ დალონებული იყო. ერთი ცხენი შეეკითხა: რატო ხარ მოწყენილიო? ჩემ დასაკლავათ დანებს ლესამენო — უპასუხა ბიჭმა. მე გიშველიო.— უთხრა ცხენმა. როცა დასაკლავათ გაგიყვანონ, ხენწიფეს უთხარი: რათ გინდივარ მე რო დამკლა, ჩემი ცოდვა ტყულა რათ უნდა დეიდვა. მამეცი ერთი ჯორკიდებული მარილი, ბამბა და შენი ცხენი. წავალ, მოგიყვან იმ რაშს, რომლისგანაც შენ თვალები დაბმავებული გაქვსო. მართლაც ასე მეიქცა ეს ბიჭი. ხემწიფემ ყოლიფერი მიცა წევიდა ეს ბიჭი. მივიდა ერთ ტყეში წყაროსან, სადაც ყოველთვის მოდიოდა ი რაში. ცხენმა ბიჭს უთხრა: ბამბა წყალში ჩაყარე და მარილი გვერძე დაიდე. მოვა ის რაში და დოუწყებს მარილს ჭამას. მოწყურდება უფრო მეტად წყალი და დეიძახებს: ამოუშვი წყალიო, მერე გიეიტყულოთ და წევიდეთო. მართლაც ასე მეიქცა ბიჭი. რაში წამეიყვანა. ბიჭი მივიდა თავის სახენწიფოში. მუუყვანა ხენწიფეს რაში. ხემწიფეს თვალები ეეხილა. ხენწიფეს ძაან გეეხარდა და საჩუქრათ ერთი ქალაქი. მიცა. იმან ცოლთან ერთად დეიწყო ცხოვრება.

ს. ვახანი, ჟ. არეშაძე.

ხ ო ჭ ო

(ზღაპარი)

იყო ერთი ღარიბი გლეხი. იმასა ყამდა ერთი ვაჟი, რომელმაც ზედმეტ სახელათ ხოჭო დეირქვა სჯ უსაქმოთ დეეხეტებოდა. რო ეჩვენებია ხალხითვინა მეცნიერი ვარო, შემდეგ ხელობას მიმართა: ერთ მეზობელს მოპარა გოჭი; წეიყვანა და იქვე მახლობლათ დააბა ტყეში. პატრონმა გოჭს რო დოუწყო ძებნა, კარს მიადგა ხოჭო. ხოჭომ შეეკითხა: „რას ეძებ კაცო, ასე გამწარებული?" — გოჭი მომპარეს და იმასა — უთხრა პატრონმა. ხოჭომ უთხრა: მე მეცნიერი ვარ და გოჭს მე გიპოვნიო, თუ მამცემ რამესო. ხოჭომ მართლაც მოუყვანა გოჭი პატრონს.

ერთ სახენწიფოში ხენწიფეს დეეკარგა ოქროს საწყობის გასაღები, რომელიც მეფის სამი ქალიშვილის ხელში ინახებოდა. მეფემ ხოჭო გამეიძახა გასაღების სანახავათ. ხოჭომ დიდი ამბით მივიდა

მეფესანა. მეფემ რო დეინახა, გზა დოუთმო და სახში შეიყვანა. ხოჭომ კარქათ ისადილა. შემდექ მეფეს დაუდო ვადა მორე დღემდინ, რო გასაღები ეპოვა. რო დაღამდა, ხოჭო დააწვინეს, მარამა ძინი არ ეკიდებოდა. გასაღების იმანა აფერი იცოდა. პირველი მამლი ყივილი იყო, როცა ხოჭოსან ვოთახში შევიდა მეფის უმფროსმა ქალიშვილმა. იფიქრა, ნანდვილათ გებულობს, რო გასაღები ჩვენთან არისო. მორე მამლი ყივილზე მივიდა მორე ქალიშვილი. მესამე მამლი ყივილზე მესამე ქალიშვილიც შევიდა. ამ დროს ხოჭომ დეიძახა: ესეც მესამეო. ხოჭო თურმე თავის სიცოცხლის დღებს თვლიდა, მარა გოგოებს ეგონა გეიგო ხოჭომ, რო გასაღები ჩვენ ხელშიაო. ქალიშვილები მივიდენ ხოჭოსან და დოუწყეს ხვერწნა: ნუ გაქვთქვამ მამაჩვენთანა, თვარა იი ცოცხალს არ გაგვიშობსო. მერე ეიღეს გასაღები და აძლევენ ხოჭოს. ხოჭომ უთხრა: გასაღები გარააყლაპეთ მამალ ინდაურს და თქვენ თავისუფალი იქნებითო. გათენდა დილა. ხოჭოს გაელვინძა. საჭმლის ჭამის შემდექ მეფემ შეეკითხა: რა ქენი, გასაღები თუ იპოვეო? ხოჭომ უთხრა: გამეიყვანეთ თქვენი ინდოურები, რომელ ინდოურსაც ევირჩევ, იმისი კუჭი უნდა შეეჭამოვო. ძოიყვანეს ინდოურები. ხოჭომ დაკლა მამალი ინდაური და კუჭში გასაღები ამუაცალა. ხოჭომ ბევრი საჩუქარი მიიღო. მიდის სახლისკენა. კიბეზე ჩასვლის დროს მეფემ ნამდვილი ხოჭო-ბუჭი დაიჭირა, მოაფარა ხელში და ხოჭოს ეკითხება: თუ გეიგეფ, ხელში რა მყამს, ერთ ამდენ საჩუქარს დაგიმატეფო. ხოჭომ ხასიათში ჩაიცინა და გეიფიქრა — ახლა კი მოვკლამენო. ფიქრობდა საწყალი ხოჭო ძველი საჩუქრის დაკარგვაზე. უეცრათ ხოჭომ მეფეს ხელი მიაწვირა და უთხრა: გაანებეთ ამ საწყალ ხოჭოს თავი, გაუშვით, წევიდეს თავის გზაზეო! ხოჭომ ესე თავის თავზე თქვა ყოლიფერი, მარა მეფემ ნამდვილი ხოჭო ცივათ გააგდო ხელიდან. ეს ხოჭოს ძაან გეეხარდა. ხოჭომ ეიღო მორე საჩუქარი და გასწია თავის ვოჯახში.

ს. სერებრისი, ლ. ჭარეევაძე.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1948.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VIII, 1948.

კონსტანტინე მეძველია

კირილე ლორთქიფანიძე*

(ბიოგრაფიული ნარკვევი)

თავი პირველი

60-იან წლებში თერგდალეულების სამწერლო ასპარეზზე გამოსვლით ახალი ხანა დაიწყო ქართული ლიტერატურისა და აზროვნების ისტორიაში. ამ ეპოქის რუსეთის რადიკალური და რევოლუციონური იდეებით შეიარაღებულმა ილია ჭავჭავაძემ და სხვა თერგდალეულებმა სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს დრომოჭმული და ჩამორჩენილი სოციალ-ეკონომიური იდეებისა და ლიტერატურის წინააღმდეგ.

თერგდალეულებმა ახალი ამოცანები დააყენეს ცხოვრების, ხელოვნებისა და ლიტერატურის წინაშე, ახალი გზები დასახეს მათი გარდაქმნისა და განვითარებისათვის. ამ დიდი მოძრაობის აქტიური მონაწილე იყო მწერალი და საზოგადო მოღვაწე კირილე ბეჟანის-ძე ლორთქიფანიძე.

კირილე ლორთქიფანიძე თერგდალეულების თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელთან ერთად გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, მათთან ერთად ეწეოდა მძიმე შრომას ჩვენი ერის კულტურისა და ლიტერატურის აყვავებისათვის. მაგრამ ეს ჯგუფი ბოლომდე არ დარჩა ერთი მთლიანი იდეურ-პოლიტიკური მიმართულების გამომხატველად. როგორც ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია აღნიშნავს, ამ ჯგუფის ერთი ფრთა გ. წერეთლის მეთაურობით პროგრესულ-ბურჟუაზიული მიმართულების გზას დაადგა[1]. ამ ჯგუფში გაერთიანდა კ. ლორთქიფანიძეც. მისი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა

* წაკითხული იყო მოხსენებად პედინსტიტუტის II სამეცნიერო სესიაზე 1939 წლის 20 დეკემბერს. იბეჭდება შესწორებითა და დამატებით.

[1] ლ. პ. ბ ე რ ი ა, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, გვ. 14, 1945.

კი ჯერ შესწავლილი არ არის. მას ზოგჯერ ილიასა და აკაკის გვერდით იხსენიებენ და ამის მეტი მის შესახებ მკითხველმა თითქმის არაფერი იცის მაშინ, როდესაც იგი მნიშვნელოვანი ფიგურაა მე-19 საუკუნის მოღვაწეთა შორის.

კ. ლორთქიფანიძე იყო კრიტიკოსი, პუბლიცისტი, რედაქტორ-გამომცემელი, ლექსებისა და მოთხრობების მთარგმნელი, ენათმეცნიერი, ისტორიკოსი, პედაგოგიური იდეებისა და მეცნიერების სხვა დარგების პოპულარიზატორი, ბატონყმობის წინააღმდეგ სასტიკი მებრძოლი. იგი 60 იანი წლების ქართველი განმანათლებელია.

კ. ლორთქიფანიძე მუდამ აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებრივი და ლიტერატურული საკითხების გადაწყვეტაში. არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ისე არ გაშუქდებოდა, რომ კირილე თავისი კალმით არ შეჩებოდა.

ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი კირილეს ბევრჯერ მიმართავდნენ რჩევა-დარიგებისათვის. ისინი ხშირად თავიანთ ნაწარმოებებს ხელნაწერის სახით უგზავნიდნენ კირილეს, რათა მისი აზრი წინასწარ გაეგოთ და, თუ ნაწარმოები კირილეს მოეწონებოდა, მაშინ უცელქლად ბეჭდავდნენ მას.

აი რამდენიმე ადგილი ილიასა და კირილეს მიმოწერიდან:

„ძმაო კირილე!.. გლახის ნაამბობი დავასრულე და თებერვლის ათამდე გამოგგზავნი, რაც დაბეჭდილია, იმაზედ თუ არა მეტი, ნაკლები არ გამოვა. დიდი ხანია ეგ ნაწარმოები გულში მედო. ძლივს მოვიშორე. არ ვიცი, როგორ მოგეწონებათ. ზოგიერთი ადგილები ვგონებ კარგი უნდა იყოს, მაგრამ რაც არის, არის, ღმერთმა მშვიდობა მისცეს, მე ხომ თავიდან მოვიშორე“ [1].

მეორე წერილში იმავე „გლახის ნაამბობის“ შესახებ ილია სწერს კირილეს: „ძმაო კირილე! გიგზავნი ჩემს „გლახის ნაამბობს“, ჯერ, ვიდრე დაჰბეჭდდე, შენებურად გადაიკითხე და შენი პირმოუფერებელი აზრი მაცნობე... შენი ჰირიმე კირილე, ჩემი „გლახის ნაამბობის“ ფურცლები არ დამიკარგო. მაგის მეტი არც თეთრი მაქვს და არც შავი. მესხს [2] უთხარი, რომ შენი წიგნი დღეს მივიღე-თქო. მე

---

[1] ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის კირილე ლორთქიფანიძის არქივი. ხელნაწერი № 6, ილია ჭავჭავაძის წერილი კირილე ლორთქიფანიძისადმი, 1873 წელი, 29 იანვარი;

კ. მეძველია. ა. წერეთელი და კირილე ლორთქიფანიძე. ლიტერატურული საქართველო, 1940, 1 თებერვალი.

[2] იგულისხმება გაზ. „დროების“ რედაქტორი სერგეი მესხი.

თუ თავი როგორმე დავაღწიე, იქნება შვიდმეტ ამთვეს ჩამოვიდე ქალაქში და მაშინ მოვილაპარაკოთ-თქო. იმ დრომდე არასგზით მანდ ჩამოსვლა არ შემიძლიან. თუ ეს ლექსები არ მოგეწონოს, უშიკოვს[1] ჩემი „აჩრდილი“ აქვს ახლად გადაკეთებული იქიდამ VII, VIII და IX მუხლი დაბეჭდე იმ სათაურით როგორც ადრე იყო დაბეჭდილი კრებულში. რედაქციას ჩემი სტატია „ზოგიერთი რამ“ უნდა ქონდეს, მაცნობეთ ბეჭდავთ მაგ სტატიას თუ არა. ოღონდ ეს დაიბეჭდოს და შეიძლება ცენზორს ბევრი რამ დავუთმოთ[2]. ჩემს „გლახის ნაამბობზე“ შენი აზრი მაცნობე. შენი ილია ჭავჭავაძე[3].

როგორც ამ წერილიდან, ისე ქვემოთ დასახელებულ დოკუმენტიდანაც ირკვევა, რომ კირილე ლორთქიფანიძე ზოგჯერ ისეთი ნაწარმოებების დაბეჭდვასაც ცდილობდა, რომლის გამოქვეყნებას ცენზურის სისასტიკის გამო თვით ავტორებიც ვერ ახერხებდნენ[4]. მაგალითად, 1864 წელს ილიას კირილესათვის პეტერბურგში დასაბეჭდად გაუგზავნია ლექსი „ქართველი სტუდენტების სიმღერა“ და თან ასეთი შინაარსის ბარათიც მიუწერია:

„...აი რის გამოგზავნაც ეხლა შევძელი. „ქართლის დედას“ არ გიგზავნი, იმიტომ რომ შიგა და შიგ უფრო რიტორიკაა, ვიდრე სხვა რამე. „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ მე თუმცა დასრულებული მაქვს, მაგრამ არ გიგზავნი, რადგანაც ვიცი, რომ არ დაბეჭდენ. თუნდ რომ მანდ როგორმე მოახერხო და ნების დართვა აიღო, აქ მთელ წიგნებს აგვიკრძალავენ, ეს მე ნამდვილად ვიცი. მეც ბევრი ვეცადე აქაურ ცენზურის კო-

[1] იგულისხმება პეტრე უმიკაშვილი.

[2] ილიას სტატია „ზოგიერთი რამ“ რადიკალური შინაარსის იყო და ავტორმა წინასწარ იცოდა, რომ ცენზურა მისი დაბეჭდვის ნებართვას შესწორების გარეშე არ მისცემდა. ამიტომ წერს ილია: „ოღონდ ეს დაიბეჭდოს და შეიძლება ცენზორს ბევრი რამ დავუთმოთო“. მართლაც ილიას ეს სტატია ათი წლის განმავლობაში არ დაბეჭდილა. „ზოგიერთი რამ“ დაიბეჭდა 1876 წლის 14 მარტის „დროებაში“. ილია ამ წერილის დაწერის დროს დუშეთში მსახურებდა მომრიგებელ მოსამართლედ და ამიტომ არ შეეძლო გარკვეულ დრომდე თბილისში ჩამოსვლა.

[3] იქვე, საქმე № 26, ხელნაწერი № 3. წერილს თარიღი არ აქვს.

[4] კირილე ლორთქიფანიძემ ცენზურისაგან აკრძალული ნეკრასოვის „პოეტი და მოქალაქის“ ქართული თარგმანი ლექსების კრებულ „ჩონგურში“ დაბეჭდა 1864 წელს, მაშინ, როცა იგი რუსულ ენაზე კარგა ხნით გვიან დაიბეჭდა. ასევე პირველად დაიბეჭდა „ჩონგურში“ ილიას პოემის „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ დიდი ნაწილი. იხ. კირილეს „ჩონგური“.

მიტეტში, მაგრამ ძალიან ამიკრძალეს. დასაწყისი მაგისი რამდენიც „საქართველოს მოამბეშია“ თუ გნებავს დაბეჭდე. სხვა ახალი ლექსი პატიოსან სიტყვას გაძლევ, სრულიად არა მაქვს; მაქვს უწინდელი ზოგიერთი სატრფიალო ლექსები ჯერ დაუბეჭდავი, ვიცი, შენ არ გამოგადგება და ამიტომ არ გიგზავნი“ [1].

ნ. ნიკოლაძისადმი გაგზავნილ წერილში კი ილია ჭავჭავაძე შემდეგს აღნიშნავს:

„ძმაო ნიკო! უკანასკნელის შენისა წიგნისა პასუხად გაუწყებ შემდეგს: ტყუილ-უბრალოდ შეწუხებულხართ „გლახის ნაამბობის“ კორექტურის თაობაზე... გაგრძელება მზადდება, ოთხი თავი, რომელიც უდრის 35 გვერდს „საქართველოს მოამბისას“, მზად არის კიდეც „კრებულის“ სამსახურისათვის. მე მგონია რომ შესრულებისათვის ერთი ამოდენა კიდევ დაჭირდეს. ასე, რომ თებერვლისა და მარტის კრებულსა თავისუფლად ეყოფა. ვწერ კი მაგრამ არ ვიცი როგორი მოსაწონი გამოვა. ცუდი საქმე მიყავით, რომ ეგრე ცოტა დრო მოშეცით ნაამბობის შესასრულებლად. რაც ახალი დამიწერია, მინდოდა შენთვის გამომეგზავნა, რომ შენ და კირილეს თვალი გადაგეგლოთ და მას შემდეგ თქვენი პირუთვნელი აზრი გეცნობებ ათ“ [2].

ასეთივე შინაარსის წერილს პარიზიდან სწერს კირილეს სერგეი მესხი: „მომწერე, თუ ძმა ხარ, კირილე, შენი აზრი საზოგადოდ ჩემს წერილებზედ, შემატყობინე აგრეთვე რამდენ დღეზე მოგდის თქვენ ჩემი კორესპონდენციები და განსაკუთრებით რა დღეს მოგდის, ეს ჩემთვის ძალიან საჭიროა, რომ ვიცოდე“ [3].

კირილე ლორთქიფანიძე, ქართული კულტურისა და ლიტერატურის ყოველდღიური მზრუნველი და დიდი მოამაგე, ყოველთვის შავ სამუშაოს ასრულებდა. სხვას ეხმარებოდა და ხელს უწყობდა საზოგადო ასპარეზზე გამოეყვანა და თვითონ კი ლიტერატურის კულისებში მუშაობდა. საკუთარი თავის წინწაწევა მისთვის უცხო

---

[1] იქვე, საქმე № 26, ხელნაწერი № 2, 1864 წელი, თარიღი აღდგენილია. ამით საბოლოოდ ირკვევა პოემის „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ გვიან დაბეჭდვის მიზეზი, რაც აკადემიურ გამოცემათა (1928-1937) კომენტარებში აღნიშნული არ არის.

[2] იხ. ქუთაისის მუზეუმში კირილეს არქივი, ილია ჭავჭავაძის წერილი ნიკო ნიკოლაძისადმი, 1873 წ. 18 იანვარი.

[3] იქვე, ს. მესხის წერილი, პარიზიდან გამოგზავნილი, 1874 წლის 15 თებერვალი.

იყო. ყოველთვის ფსევდონიმებით წერდა და ფსევდონიმსაც საიდუმლოდ ინახავდა. მისი ვინაობა მხოლოდ რედაქციის წევრებმა იცოდნენ და კირილეს პატივისცემის ვამო საიდუმლოს არ ამჟღავნებდნენ. კირილეს ეს ყოველთვის ზედმეტი თავმდაბლობით მოსდიოდა. გული საქმეზე შესტკიოდა, დაუღალავად მუშაობდა და მისი აზრით, სულ ერთი იყო, ამას კირილეს სახელი ერქვა, თუ არა. იშვიათად შეხვდებით ასეთ ადამიანს, რომელსაც ნახევარ საუკუნეზე მეტი ამდენი ეშრომოს ერის კულტურისა და ლიტერატურის აღორძინებისათვის და ასე მკრთალად კი მოჩანდეს კულტურის ისტორიაში. მისი პიროვნების თავისებურებით აიხსნება, რომ კირილე ლორთქიფანიძის ღვაწლი დღემდე შეუმჩნეველია ფართო საზოგადოებისათვის.

განსაკუთრებით ნაყოფიერია კირილეს მოღვაწეობა დასავლეთ საქართველოში. იგი იმერეთში და კერძოდ ქუთაისში კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობის სათავეში იდგა. კირილე უაღრესად სპეტაკი, სათნო და კაცთმოყვარე ადამიანი იყო.

* * *

კირილე ბეჟანის-ძე ლორთქიფანიძე დაი[1]ადა 1839 წლის 28 სექტემბერს (ძველი სტილით) ქუთაისის გუბერნიის სოფელ დიხაშხოში[1]. მოგვაქვს ცნობა მეტრიკული ამონაწერიდან

„სოფელ დიხაშხოს სამების ეკლესიის საქმეში 1839 წელს 9 ნომრით ჩაწერილია, რომ დიხაშხოს მცხოვრებ თავად ბეჟან გრიგოლისძე ლორთქიფანიძეს და მის სჯულიერს ცოლს დარეჯან ვახუშტის ასულს სარწმუნოებით ქრისტიანს, დაებადათ შვილი კირილე 28- და მოინათლა 30 სექტემბერს“[2].

კირილეს ოჯახი შედგებოდა შემდეგი წევრებისაგან: მამა ბეჟანი, დედა დარეჯანი, ვახუშტი ჩიჯავაძის ასული; ძმები: გიორგი, სამსონი; დები: ელისაბედი და ეფროსია. ოჯახის შემადგენლობას ადასტურებს მოწმობა, რომელშიაც აღნიშნულია შემდეგი:

„კომისია უმაღლესად დაწესებული ქალაქსა ქუთაისსა შინა განსარჩევლად სიმართლეთა იმერეთისა და გურიის თავადთა აზნაურთასა, ამით მოწმობს რომელ თავადი გიორგი ბეჟანის-ძე ლორთქიფანიძე იე (15)[3]. წლისა, ძმანი მისნი სამსონ იგ (13). კირილე

[1] დიხაშხო „მიწა დახეთქილი და ავად გამოგვალული“ (საბა).

[2] იქვე, საქმე № 10.

[3] არაბული ციფრები ფრჩხილებში ყველგან ჩასმულია ჩვენ მიერ.

ზ (7). დანი ელისაბედ ია (11). ეფროსია თ (9) და დედა მათი დარეჯან ლ© (38) წლისა. ცნობილ არიან კომმისიისა მიერ მჭონედ უეჭველისა სიმართლისა კნიაზობისა ღირსებისა ზედა; რომლისათვის საუძველსა ზედა პროტოკოლთა მისთა შედგენილია იდ (14) მარტსა და ივ (16) ივნისს ჩყმზ (1847) წელსა №№ იგ-იდ (13-14) შეტანილი არიან იგინი ლორთქიფანიძეები თავადად საზოგადოსა სიასა შინა იმერეთის კნიაზთა, რომელიცა უნდა იქნეს წარდგენილი უმაღლესის მისის იმპერატორობითის დიდებულების დამტკიცებისადმი. იგ (13) აპრილსა ჩყმთ (1849) წელს“ [1].

დარეჯანი 13 წლისა ყოფილა, როდესაც კირილეს მამას ბეჟანს ცოლად შეურთავს. მშობლებს კირილე 1950 წელს ქუთაისის გიმნაზიაში მიუბარებიათ. გიმნაზიაში კირილე წარჩინებით სწავლობდა და ხშირად აჯილდოებდნენ ქების ფურცლით. მესამე კლასში მან მიიღო შემდეგი შინაარსის ქების ფურცელი:

„ქუთაისის გუბერნიის გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით, რომელიც შედგა 28 იანვარს 1856 წელს, მიეცა ესე ფურცელი კარგი ყოფაქცევისა და წარმატებისათვის ყველა დისციპლინებში გიმნაზიის მე-3 კლასის მოწაფეს კირილე ლორთქიფანიძეს. თებერვალი 1856 წ.“ [2].

ასეთივე ქების ფურცელი მიუღია კირილეს ამავე გიმნაზიის მე-4 კლასში [3].

ხოლო 1860 წელს კირილე ლორთქიფანიძე წარჩინებით ამთავრებს ქუთაისის გიმნაზიის სრულ კურსს და ღებულობს ასეთ ატესტატს:

„წარმომდგენი ამისა ქუთაისის გუბერნიის გიმნაზიის კურს დამთავრებული კირილე ლორთქიფანიძე, შვილი სოფ. დიხაშხოს თავად ბეჟან ლორთქიფანიძისა, სარწმუნოებით მართლმადიდებელი, დაბადებიდან 20 წლისა, რომელიც მიღებული იქნა ქუთაისის გიმნაზიაში 1850 წელს და გიმნაზიაში ყოფნის დროს 1860 წლის იანვრამდე ყოფაქცევაში ქონდა ფრიადი (5) სწავლობდა ყველა სავალდებულო საგნებს თანახმად კავკასიის სასწავლო ოლქის მიერ 1853 წლის 29 ოქტომბერს დამტკიცებული დებულებისა.

---

[1] კირილეს არქივი, საქმე № 10, დოკ. № 80. აღნიშნული დოკუმენტის სისწორეს ადასტურებს 26 მოწმე და მთავრობის ოფიციალური პირები, ხელისმოწერითა და ბეჭდის დასმით. ტექსტი შედგენილია რუსულ ენაზე, რომლის მეორე მხარეზე მოცემულია ქართული თარგმანი, იბეჭდება უცვლელად.

[2] იქვე, საქმე № 10, დოკ. № 74.

[3] იქვე, დოკ. № 75.

საღვთო სჯული ფრიადი (5), რუსული ენა ფრიადი (5), მათემატიკა ფრიადი (5), ქართული ენა ფრიადი (5), ფრანგული ენა კარგი (4), გეოგრაფია ფრიადი (5), მსოფლიო ისტორია ფრიადი (5), საბუნებისმეტყველო მეცნიერება ფრიადი (5), ფიზიკა ფრიადი (5), ლათინური ენა კარგი (4), მათემატიკური გეოგრაფია ფრიადი (5), სუფთა წერა და ხატვა კარგი (4), მაშასადამე, მან კირილე ლორთქიფანიძემ, დაამთავრა სასწაველო კურსი წარმატებით, რომელიც დებულების საფუძველზე §—45 დამტკიცებული კავკასიის სასწაველო ოლქისა 29 ოქტომბერს 1853 წ. ეძლევა მას ლორთქიფანიძეს ქუთაისის გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე ეს ატესტატი, რომელზედაც არის ხელის მოწერა და დასმულია სახელმწიფო ბეჭედი, რომელსაც ეძლევა უფლება თანახმად ს. ჯ. 95-მე-3 — ტომი ა/კ. სასწაველო წესდებისა სამოქალაქო სამსახურის შესახებ, განსაზღვრული მთავრობის მიერ გამოცემული 18[illegible]₂ ქალაქ ქუთაისი, ივნისის პირველი, 1860 წელი.

ქუთაისის და ერევნის გუბერნიის სასწავლებლის დირექტორი სტ. სოვეტ. და კავალერი (ხელმოწერილია).

ქუთაისის გიმნაზიის ინსპექტორი (ხელმოწერილია)[1].

* * *

„კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე ამერ-იმერის იმ ახალგაზრდათ პლეადას ეკუთვნოდა, ვინც პირველ რიგში მდ. თერგის ნაპირები გადალახეს და უმაღლესი სწავლის მიღებისათვის რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქებს მიაშურეს“[2], — წერს დ. მესხი.

1860 წელს, დაამთავრა თუ არა გიმნაზიის სრული კურსი, კირილე ლორთქიფანიძე სხვა ქართველ ახალგაზრდებთან ერთად პეტერბურგს გაემგზავრა და ჩაერიცხა უნივერსიტეტში ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. კირილეს საუნივერსიტეტო მოწმობაში წერია:

„წარმომადგენელი ამისა კირილე ლორთქიფანიძე ჩარიცხული იქნა სტუდენტად პეტერბურგის უნივერსიტეტში ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტის მსმენელად. 15 სექტემბერი 1860 წელი“[3].

---

[1] იქვე. საქმე № 10, დოკ. № 81.

[2] დ. მესხის მოგონებიდან, რომელიც განსვენებულმა დაწერა ჩვენი თხოვნით. ხელნაწერი ინახება ჩვენთან. დ. მესხი (1850-1943) — ცნობილი ჟურნალისტი და დრამატურგი.

[3] იქვე, საქმე № 10, დოკ. № 77.

კ. ლორთქიფანიძეს იმ დროს მოუხდა უნივერსიტეტში სწავლა, როდესაც პეტერბურგში ნ. გ. ჩერნიშევსკის მეთაურობით რევოლუციონური მოძრაობის ცეცხლი გიზგიზებდა.

ჩერნიშევსკის რევოლუციონურმა იდეამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა სტუდენტ ახალგაზრდობაში; უნივერსიტეტის კედლებში იმართებოდა სხდომები, კითხულობდნენ აკრძალულ ლიტერატურას, ეცნობოდნენ ჩერნიშევსკის მოძღვრებას. რუს სტუდენტებს გვერდში ამოუდგნენ ცარ იზმის უხეში პოლიტიკით დაბეჩავებული ქვეყნების ახალგაზრდობა, პოლონელები, უკრაინელები და კავკასიელები. ამ საერთო რევოლუციონურ მოძრაობაში დიდი ენთუზიაზმით ჩაებნენ ქართველი სტუდენტები და მათ შორის კ. ლორთქიფანიძეც.

მაგრამ პოლიციის აგენტები ყოველივე ამას ამჩნევდნენ და მთავრობა სასტიკ ზომებს ღებულობდა სტუდენტთა მოძრაობის ჩასაქრობად. ამ მიზნით უნივერსიტეტში ახალი რეჟიმი დაამყარეს, თითქოს დისციპლინის განმტკიცებისათვის სტუდენტთა შორის სამხედრო წესები და მატრიკულის სისტემა შემოიღეს. აკრძალეს საზოგადო კრებები, წრეები და დაშალეს სათვისტომოები. აი ასეთი პოლიტიკური დაძაბულობის მომენტი იყო პეტერბურგში მაშინ, როდესაც ჩვენი ახალგაზრდები, სწავლას მოწყურებულნი, უნივერსიტეტის კარებისაკენ მიისწრაფოდნენ.

ბუნებრივია, რომ ქართველი სტუდენტები გვერდს ვერ აუვლიდნენ ამ საერთო მღელვარებას, ისინიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ სტუდენტთა რევოლუციონურ მოძრაობაში. ქართველ სტუდენტებს პეტერბურგში ჰქონდათ საკუთარი წრე, რომელსაც 1861 წლამდე ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა. ეს წრე აქტიურად ეხმაურებოდა რევოლუციონურ მოძრაობას, ხოლო ზოგიერთი ქართველი სტუდენტი 60-იანი წლების სახელგანთქმულ მოღვაწეთა პირადი მეგობარიც გახდა, მაგალითად, ნ. ნიკოლაძე ჩერნიშევსკისა, ხოლო ნიკო ღოღობერიძე — ზაგუსკისა.

„იმ ხანებში ჩვენ, ქართველი სტუდენტები, — წერს ნიკო ნიკოლაძე, — ცოტა თუ ბევრად მოწყვეტილი და დაშორებული ვიყავით დანარჩენ სტუდენტებს, მაგრამ 1861 წლის ზაფხულის აღტყინებული სულისკვეთება ნელ-ნელა ჩვენც გადმოგვეცა იმ ჩვენი უფროსი ამხანაგების მეოხებით, რომელთაც კავშირი და ურთიერთობა ჰქონდათ რუსსა და განსაკუთრებით პოლონელ სტუდენტებთან. ჩვენს წრეში პოეტი ილია ჭავჭავაძის სამშობლოში დაბრუნების

შემდეგ 1861 წლის ზაფხულს (სწორედ ჩვენი ჩასვლის წინ) უდაბო გავლენა მოიპოვა ნიკო ღოღობერიძემ[1], რომელიც იმ შემოდგომაზე ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტს ასრულებდა და რომელიც იერონიმე სავონაროლაზე საკანდიდატო დისერტაციის მზადებაში იყო. ღოღობერიძე ჯერ ისევ მოწაფეობის დროს დაუახლოვდა თავის მასწავლებელს — ლ. პ. ზაგურსკის, გადმოსახლებულ პოლონელსა და ჭკუამახვილ დიპლომატს, რომელიც 50-იანი წლების ახალგაზრდობას შორის გაბატონებულ ლიბერალურ განწყობილებას მეტად მოხერხებულად ეროვნულ ელფერს აძლევდა და ეროვნულ კალაპოტში აყენებდა"[2].

ქართველი სტუდენტების წრემ განსაკუთრებული მუშაობა 60-იან წლებში გააჩაღა. თუმცა 1861 წელს ილია ჭავჭავაძე საქართველოში გამოემგზავრა, მაგრამ მისი ადგილი ნიჭიერმა და გამოცდილმა ახალგაზრდა ნიკო ღოღობერიძემ დაიკავა. ქართველი სტუდენტები სხვა სტუდენტებთან ერთად კითხულობენ მიხაილოვის[3] რევოლუციონურ პროკლამაციებს და ლექსებს. მსჯელობდნენ და კამათობდნენ სახელმწიფო საკითხებზე და ბოლოს მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1861 წლის პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა დემონსტრაციაში[4]. კირილე ლორთქიფანიძე ამ წრის აქტიური წევრი იყო, თუმცა ყველაზე უფრო წინდახედულებასა და სიფხიზლეს იჩენდა გადამწყვეტ მომენტში. დემონსტრაციის დროს 500-მდე სტუდენტი დააპატიმრეს. მათ შორის 13-მდე ქართველი. კირილე სხვა მეამბოხე სტუდენტებთან ერთად კრონდშტანტის ციხეში მოათავსეს. ორი თვის პატიმრობის შემდეგ კი ყველა სტუდენტი გაათავისუფლეს.

დემონსტრანტი სტუდენტების მიმართ მთავრობამ სასტიკი ზო-

---

[1] ნიკო ღოღობერიძე (1838-1911) ცნობილი საზოგადო მოღვაწე. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი. აქტიური მონაწილე იყო 1861 წლის პეტერბურგის სტუდენტთა არეულობისა დაახლოებული იყო სახელოვან რევოლუციონერებთან. დობროლიუბოვთან, პანტელეევთან და სხვებთან.

[2] ნ. ნიკოლაძე. რჩეული ნაწერები, ტ. I. ს. ხუნდაძის რედაქციით. გვ. 94.

[3] მ. ლ. მიხაილოვი, (1829-1865) 60-იანი წლების ერთ-ერთი ცნობილი რევოლუციონერი და პოეტი. მას უახლოესი დამოკიდებულება ჰქონდა ჩერნიშევსკსა და „სოვრემენიკთან".

[4] დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ იხილეთ კ. მეძველიას სტატია: 1861 წლის პეტერბურგის სტუდენტთა დემონსტრაცია და ქართველი სტუდენტები. მნათობი, 1939, № 9.

მები მიიღო. ვინც დაჭერას გადარჩა, მათი მდგომარეობაც უნუგეშო შეიქმნა, რადგან პეტერბურგის უნივერსიტეტი დახურეს, გამორიცხულ სტუდენტებს და მათ შორის კ. ლორთქიფანიძესაც ასეთი მოწმობა მისცეს:

„წარმომდგენი ამისა კირილე ლორთქიფანიძე ჩარიცხული იქნა სტუდენტად სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტში 15 სექტემბერს 1860 წელს. მოისმინა საგნები ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტისა. ყოფაქცევაში აქვს კარგი. 20 დეკემბრიდან 1861 წლისა უნივერსიტეტის შემთხვევით დახურვის გამო, გამორიცხა უნივერსიტეტის მეორე კურსიდან, ამის გამო კურსდამთავრებულის უფლებით ვერ ისარგებლებს და სახელმწიფო სამსახურში მიღებისას კანონის კრებულის საფუძველზე (გამოც. 1857 წ.). და სამსახურის წესდებისა განსაზღვრულ სახელმწიფოსაგან § 88, მას აქვს უფლება იქნეს ჩარიცხული მეორე კატეგორიის ჩინოვნიკად. დასამტკიცებლად ამისა მიეცა ეს მოწმობა კირილე ლორთქიფანიძეს, სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის დროებით კომისიისაგან, რომელზედაც არის ხელის მოწერა და რომელსაც აზის უნივერსიტეტის მცირე ბეჭედი. 15 მაისი 1863 წელი.

დროებით კომისიის თავმჯდომარე: (ხელმოწერილია)

მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი: (ხელმოწერილია)[1].

უნივერსიტეტიდან გამორიცხული კირილე ლორთქიფანიძე საქართველოში დაბრუნებაზე ფიქრობს, ქუთაისში მასწავლებლობა სურს, რომ ცოტა ფული იშოვოს და ვალების ნაწილი მაინც გადაიხადოს. ამ მიზნით ის თხოვნას გზავნის პეტერბურგიდან ქუთაისის გიმნაზიის დირექტორის სახელზე.

„თუმცა აქ ყოფნაშიც ბევრს შეიძენს კაცი, — სწერს კირილე თავის ძმას გრიგოლს, — მარა მე არ მინდა, რომ ამისათვის შეგაწუხოთ, მე მინდა რომ მაქ მოვიდე ორი წლის ვადით და მაქამდის უნივერსიტეტსაც გახსნიან. ამ ორ წელიწადს მინდა მაქ ვიმსახურო და გადავიხადო ის ვალები, რომელიც დაგეგდათ ჩემი მიზეზით. ამის გამო ცოტა შემოვინახო და ორ წელს იქით წამოვიდე კურსის დასამთავრებლად. ამისათვის ვაგზავნი დღეს მაქაურ დირექციაში თხოვნას, რომ უმცროსი უჩიტლობის ადგილი მომცენ, ან ქართული ენის, ან გეოგრაფიის ან მათემატიკის. რასაკვირველია, პირველი, როგორც ჩემი საყვარელი საგანი უფრო სასარგებლო იქნება ჯე-

[1] იქვე, საქმე № 10, დოკ. № 77.

გირის სიდიდითაც, გეოგრაფიაც ძლიერ კარგი იქნება, არითმეტიკას ის სარგებლობა ექნება მხოლოდ ჩემთვის, რომ მზადება არ დამჭირდება და დრო დამრჩება საკითხავი სხვა წიგნებისა და ენის სწავლისა. გეოგრაფია რადგან ჩემი ფაკულტეტის არის, იმის მომზადებაში მონდომებული დრო არ იქნება დაკარგული ჩემთვის. აქედამ გამოდის, რომ ჯამაგირით პირველი თანამდებობა (ე. ი. ქართული ენის მასწავლებლობა) სჯობს და სხვები ყველა ერთნაირი სასარგებლო იქნება“ [1].

მაგრამ კირილემ თავის განცხადებაზე დადებითი პასუხი ვერ მიიღო. ამის გამო ისევე პეტერბურგში დარჩა და სხვა გამორიცხულ სტუდენტებთან ერთად ისმენდა საჯარო ლექციებს.

როგორც კირილეს კერძო წერილებიდან ირკვევა, მას 1863 წელს განმეორებით გაუგზავნია თხოვნა გიმნაზიის დირექტორის სახელზე მასწავლებლად დანიშვნის შესახებ, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ვერ მიუღია სასურველი პასუხი.

„უთუოდ გახსოვს, — სწერს კირილე თავის ძმას გრიგოლს, — რომ 1863 წელში მე თხოვნა გავაგზავნე დირექტორთან, რომ ჩემთვის ქართული ენის მასწავლებლობა მოეცა, მაგრამ მან ხმა არ გამცა. ამ თხოვნიდამ ჩანს, რომ მე მაშინ მინდოდა ჩამოვსულიყავ მას აქეთ რამდენიც წელიწადი გადის, უფრო და უფრო მიძნელდება მანდ უდიპლომოდ ჩამოსვლა“ [2].

კირილე ლორთქიფანიძე პეტერბურგში ეკონომიურ სიღარიბეს განიცდიდა. დემონსტრაციაში მონაწილეობის გამო სხვა სტუდენტებთან ერთად კირილემაც დაჭკარგა სტიპენდია. ამის შესახებ კირილე წერს: „— ბესარიონ ღოღობერიძემ, დავით ღოღობერიძემ, თუმანიშვილმა, მე და გიორგი წერეთელმა დავკარგეთ სახელმწიფო სტიპენდია, ახლა გვჭირს უფულობანა“ [3].

კ. ლორთქიფანიძე გაჭირვებულად ცხოვრობდა. ამის შესახებ იგი დათა მიქელაძეს [4] სწერს: „მე და კლდიაშვილი რომ ვიდეკით

---

[1] იქვე, საქმე № 10, I, ხელნაწერი № 64, წერილი დაწერილია კ. პავლოვსკში 1863 წლის 17 ივლისს.

[2] იქვე, საქმე № 10. IV კ. ლ. წერილი ს. პეტ-დან 4 დეკემბერი.

[3] იქვე, საქმე № 10, ხელნაწერი № 58.

[4] დათა მიქელაძე — მეველე (1844-1913) უმაღლესი სასწავლებელი საფრანგეთში დაამთავრა. თანამშრომლობდა „დროებაში“. პარიზიდან იგი რადიკალური შინაარსის კორესპონდენციებს ბეჭდავდა გაზეთებში. 90-იან წლებში ითვლებოდა გაზ. „ივერიის“ ფაქტიურ რედაქტორად.

ერთად, გიორგისა და ბეჟანის წასვლის შემდეგ 15 მანეთი გვყოფნიდა თითოს, მაგრამ აგრე: ერთი 8 მანეთიანი (თეთრი) სადილი დაგვდიოდა ორივეს, პურს ჩვენ ვყიდულობდით 4 გირვანქა შავ პურს დღეში, რადგან ორ სტაქანს ნაკლადკათ ვსვამდით და სხვა პრიკუსკით" [1].

ხელმოკლე თავადის ოჯახი კირილეს სათანადო დახმარებას ვერ უწევდა და ეს თავმოყვარე და უაღრესად მორიდებული ახალგაზრდა ლუკმა პურისათვის ხშირად ძმასა და ახლო ნათესავებს მიმართავდა თხოვნით, თუმცა ზოგჯერ თხოვნაც უპასუხოდ რჩებოდა.

„ძმაო გრიგოლ! ეს ოთხი წელიწადია სული ჩემი მანდ არის და ხორცი კი სწორედ იმ მდგომარეობაშია, როგორც ღობეში გაკვეხებული ძაღლი, რომელიც ვერც უკანისკენ გამომძვრალა და ვერც წინისკენ. ამაში მე რასაკვირველია თუმცა ცოტაოდენი გასამართლებელი მიზეზებიც მაქვს, (ამ მიზეზის აწერამდის ვიტყვი ორიოდე სიტყვას წიგნის მოუწერლობაზე) შენის მხრით ხშირად წიგნის მოუწერლობის მიზეზი შენ, რომ არ მოგეწერა, მეც ძლიერ კარგად ვიცი. შენ გინდოდა და გინდა რომ ცარიელი წიგნი არ მივიღო შენგან და რადგანაც ღონე აღარ გქონდა და არც გაქვს, ამიტომ წიგნს არ იწერები. ჩემის მხრით წიგნის მოუწერლობის მიზეზი ის არის, რომ მე არ მინდა მოგწერო ჩემი ამბავი დაწვრილებით სანამ მანდ არ ჩამოვალ, ამიტომ ჩემი მდგომარეობის აღწერით არც ის მინდა, რომ ჩემი წიგნი ფულის მათხოვრად მიიღო. ფულის თხოვნა როგორ შემიძლია, როცა ისიც, რაც გამოვიგზავნია, ყელში მაქვს გაჩერებული, იმიტომ კი არა რომ შენგან შეწევნას ვთაკილობდე, არა, იმიტომ რომ მე ვიცი რამდენ შეწუხებად და სარგებლად გიღირს ის, რასაც მე მიგზავნი" [2].

რაც დრო გადიოდა, კირილეს ჭუთაისში უდიპლომოდ ჩამოსვლა სცხვენოდა. ხოლო დიპლომზე გამოცდების ჩაბარება კი ვერ შეძლო, რადგან უნივერსიტეტიდან დიდიხანია გამორიცხული იყო და ეკონომიური პირობებიც არ უწყობდა ხელს.

„მას აქეთ რამდენიც წელიწადი გადის უფრო და უფრო მიძნელდება მანდ უდიპლომოდ ჩამოსვლა. ერთი მიზეზი უდიპლომოდ ჩამოუსვლელობისა ის არის, რომ კაცისათვის ძნელი მოსათმენია, როცა მას სხვაზედ უმდაბლესად სთვლიან, მაშინ, როდესაც ის არ

---

[1] იქვე, კ. ლ. წერილი დათა მიქელაძისადმი.

[2] იქვე, საქმე № 10, IV.

გრძნობს სხვაზედ უარესობას. მაგრამ ეს კიდევ არაფერია. (ამისთანა მარტო თავის მოყვარეობისათვის), რომ შემეწუხებიო ის სულ ულვთობა იქნებოდა. როგორც ზევით გითხარი, 1863 წელს რომ წამოვსულიყავი, კარგი იყო, მაგრამ ეხლა უდიპლომოდ ჩამოსვლა არ შემიძლიან, იმიტომ, რომ ახლად გიმნაზიის კურს დამთავრებულს, რომ ადგილს მისცემენ, იმისთანასაც არ მომცემენ...

რისთვის ვერ მივიღე დიპლომი? იმის გამო ვერ მივიღე, რომ ორიოდე თვე არ მჭონდა შესვენებული ცხოვრება ეგზამენების წინ, რომ რაც ვიცოდი, ის რიგზედ დამეწყო და, რაც არ ვიცოდი, ის დამესწავლა. — ეხლა რადგანაც აქ ვერ ავასრულე ჩემი სურვილი და უიმისოდ ჩამოსვლა არ მინდა, და ღონისძიებას არამხრით არ მოველი, ამისათვის ამ წიგნს ვწერ ბიძაჩემს, იქნება როგორმე შეუწეწიოს და თუ ამისრულა ჩემი თხოვნა, მე მინდა ოდესაში წავიდე ამ იანვარში და იქ ეგზამენი დავიჭირო. შენ ვერ წარმოიდგენ რამდენი ძალა უნდა მომეხმარა, რომ თავი დამეთრგუნა და ბიძაჩემისთვის წიგნი მიმეწერა. ეს თვე ნახევარია, სულ ამას ვფიქრობ მივწერო თუ არათქო. ბოლოს, როგორც იქნა, დავწერე, ეს წიგნი და, თუ შეიძლება, მომავალ უქმეზედ უთუოდ მიხვალ იმის სანახავად და მიუტანე...

თუ უარი მივიღე, მაშინ სხვა ღონე არ მაქვს, უნდა ჩემი წიგნები დავაგირაო ან გავყიდო და თუ მოვალეებმა გამიშვეს, ოდესაში წავიდე იმ იმედით, რომ იქნება იქ უროკები ვიშოვო, იმით ვიცხოვრო ეგზამენების დროს“ [1].

როგორც შემდეგი წერილებიდან ჩანს, ბიძამ კირილეს არამც თუ ფული გაუგზავნა, არამედ არც კი უპასუხა.

ამის შესახებ კირილე განმეორებით წერს ბიძას: „მე გთხოვდი შემწეობას, თქვენ ჩემი თხოვნა უპასუხოთ დასტოვეთ. მე ეს ასე გავიგე, რომ პირველს შემთხვევაში ჩემი თხოვნა თქვენ მიიღეთ ბოვშვის თხოვნად, რომლისაც დაკმაყოფილება საჭიროდ არ შეგრაცხეთ. მეორე შემთხვევაში ჩემი თხოვნა თქვენ მიიღეთ იმისთანა ბოვშვის თხოვნად, რომელიც უნდა დასჯილიყო თხოვნის დაუკმაყოფილებლობით. მე გთხოვდი მხოლოდ ხელის გამართვას და არა ჩუქებას“ [2].

რამდენი დრო გადიოდა, უფულობა და სიღარიბე კიდევ უფრო

---

[1] იქვე, საქმე № 10, IV, კირილეს წერილი.

[2] საქმე № 10, IV.

საგრძნობი ხდებოდა მისთვის. ზოგჯერ კირილეს კაპეიკიანი კონვერტის საყიდელი ფულიც არ ჰქონდა, რომ წერილი გამოეგზავნა. ერთ წერილში ძმას სწერს: „ამდენხანს, რომ ვერ მოგწერე, გრიგოლ. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ უნდა დაგარწმუნო, რომ კონვერტის ფასი არ მქონდა“ [1].

ბოლოს კირილეს ძმა, გრიგოლი, იძულებული შეიქნა ვალები აეღო და ფული ისე გაეგზავნა კირილესათვის. კირილეს კი ძალზე ეძნელებოდა ნათესავებისა და მეგობრების შეწუხება.

„ძმაო გრიგოლ! ვერ წარმოიდგენ რაგვარად მაწუხებს ვალების საქმე, მაგრამ რა ვქნა, ღმერთმა იცის... თუ სხვა ღონე არსად დარჩა ლაქიად დავდგები სადმე და ვალს უთუოდ არ შევირჩენ“. ან კიდევ.

„იწერებით ფულს ჯერ ვერ გამოგიგზავნითო, რა გაეწყობა, ძლიერ შეგაწუხეთ, არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ... ყველას თავი მოვაძულე, ვგონებ ლევანას გადავაჭარბე ღიტინით... ორი თვე გავიდა, რომ აქაურს სახლის პატრონს არ უთხოვია ფული, ეხლა მესამე თვეში რომ გადმოვედი, შიდჯერაც კი მთხოვა, მეტი დაცდა არ შემიძლიანო. არ ვიცი, რა ვქნა... მაშინ გწერდი ეგზამენზედ, ეხლა უნდა მოგწერო, მინდა, თუ ღმერთმა ხელი მოიმართა, აგვისტოში (თუ ნება მომცეს ეგზამენის დაჭერის) დავიჭირო კანდიდატობაზედ, თუ ნება არ მომცეს, არ ვიცი, რა ვქნა იმის გარდა, რაც მოგწერე. ე. ი. უჩიტლობის ეგზამენის დაჭერა. თუ ნება მომცეს და ვერ დავიჭირე, ეს ის იქნება, რომ მე ან იმდენს დროს ვერ დაეხარჯი, რამდენისაც დარჩენა მსურდა, ანდა გაჭირვებაში თუ ვიქნები, აგვისტომდის რომ ფიქრსა და ოცი კაპეიკის შოვნისათვის ღოღიალში დრო წავიდა“ [2].

მართალია, შემდეგ უნივერსიტეტის ზოგიერთი ფაკულტეტი და კურსი გახსნეს, მაგრამ ეს კირილესათვის უსარგებლო იყო. მხოლოდ პირველი კურსი გახსნეს იურიდიულ ფაკულტეტზე და კირილეს უნდა დაეცადა, როდესაც ეს პირველი კურსი მეოთხე კურსამდე მიაღწევდა, ან და მეოთხე კურსი გაიხსნებოდა, რომ მეოთხე კურსზე მოესმინა უკანასკნელი საგნები და დიპლომზე გამოცდები ჩაებარებინა.

ამის შესახებ კიდევ სწერს კირილე თავის ძმას: „როგორც მახ-

---

[1] იქვე. საქმე № 10, I, ხელნაწერი № 4.

[2] იქვე. კირილეს წერილი გრიგოლისადმი. საქმე № 10, I, ხელნაწერი № 14.

სოვს, რამდენიმეჯერ მოგწერე, აი ამ სექტემბერში მოვალ, აი აგვისტოში მოვალ, ამას იმ იმედით გწერდი, რომ იქნება უნივერსიტეტის კანონები გამოცვალონ და ეგზამენების დაჭერის ნება მომცენ მეთქი, მაგრამ ჩემი იმედი არ ასრულდა. და თქვენთან ცრუ შევიქენი. ეგზამენი უნდა დავიჭირო გაისად მაისში, თუ მაშინ დაჭერის ნება მომცეს და თუ არა და სექტემბერში, მანამდე უთუოდ აქ უნდა ვიყო, იმიტომ, რომ უდიპლომოდ ჩამოსვლა არ მინდა. ნება რომ მოეცათ 1864-ში თუ არა 1865-ში მაინც მანდ ვიქნებოდი, ნება იმისათვის არ მომცეს, რომ ჯერ ყველა კურსები არ არის გახსნილი. მეოთხე კურსი გაიხსნება წელს სექტემბერში და როცა იმ კურსის ლექციების კითხვას გაათავებენ, მაშინ ყველას შეუძლია ეგზამენების დაჭერა, მაშასადამე მეც“ [1].

როგორც ძმისა და ამხანაგებისადმი გაგზავნილ წერილებიდან ვეცნობით, კირილე გამოცდების ჩასაბარებლად ოდესაში მართლაც წასულა 1870 წელს, მაგრამ ხელმოკლეობისა და სიძვირის გამო დიდხანს ვერ დარჩენილა და უშედეგოდ ისევ პეტერბურგში დაბრუნებულა. სხვა დოკუმენტებიდან ისიც ჩანს, რომ დიპლომზე გულგატეხილი კირილეს სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში სწავლის გაგრძელებაც განუზრახავს. კირილე ლორთქიფანიძის პეტერბურგში ცხოვრების სრულ სურათს გვაძლევს მის მიერ 1870 წლის 14 ივლისს გაგზავნილი შემდეგი წერილი ნ. ნიკოლაძისადმი:

„...1861 წლის დამლევს ჩვენ გამოგვრიცხეს სასწავლებლიდამ. 1862 წელში მე მინდოდა ხელახლა შევსულიყავი სასწავლებელში, მაგრამ უფულობის გამო ვეღარ მოვახერხე და შინ წასელა დავაპირე: ამისათვის მე გავაგზავნე ქუთაისის გიმნაზიის დირექციაში თხოვნა ქართული ენის მასწავლებლობის მოცემაზედ. იქედამ პასუხი ვერაფერი მივიღე...

1863 წელში შენ კარგად იცი, რა მდგომარეობაშიც ვიყავი შემეძლო მაშინ სადმე სასწავლებელში შესვლა, თუ არა. 1864 წელშიაც მე ამნაირსავე მდგომარეობაში ვიყავი, როგორც წინა წლებში... ადვილად გაიგებ, რომ 1865 წ. მე ვერ შევიდოდი სადმე სასწავლებელში... ამგვარად, მე მივაღწიე 1866 წლის შემოდგომამდის, მაშინ მივიღე მე ძმისაგან 500 მანეთი ვალის გასასტუმრებლად, ტანისამოსისათვის და უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად შესვლისათვის. პირველ კურსში შესვლა მე არ შემეძლო მაშინ

[1] იქვე, საქმე № 10. ს.

იმის გამო, რომ მე არ ვიცოდი შემეძლებოდა ერთ წელიწადზე მეტი აქ დარჩენა თუ არა. ამგვარად ანგარიშები მოითხოვდნენ რომ ეგზამენი დამეჭირა და წინ წავსულიყავი: უეგზამენოთ წინ წასვლა 1866 წ. შეუძლებელი იყო. მე შეუდექი ლექციების კითხვას, რომ 1867 წლის სექტემბერში დაჭერა ეგზამენი, მაგრამ უფულობის გამო და იმის გამოც, რომ ლექციებს იმათ სისაძაგლის გამო გულდადებით ვერ ვკითხულობდი, მე ვერ მოვემზადე იმ დროისთვის. ამის შემდეგ ჩემი მატერიალური მდგომარეობა არ გაკეთებულა, მაგრამ ლექციებს კიდევ ვკითხულობდი, მაგრამ 1868 წ. თებერვლისთვისაც ვერ მოვემზადე. კიდევ ვაპირებდი 1868 წლის სექტემბრისათვის. ეერც მაშინისათვის მოვახერხე. შეიძლებოდა რომ ლექციების სისაძაგლე, როგორც, იყო დამეძლია, თუ რომ ამ სამივე შემთხვევაში საზოგადოდ მატერიალური რესურსების ძლიერი ნაკლებობასთან აფსოლუტური კოტრობაც არ დამატებოდა სამი ოთხი თვით ეგზამენების წინ. 1869 წლის დასაწყისში, როცა მე ძმისაგან კიდევ მივიღე 500 მანეთი, მინდოდა წავსულიყავი ოდესაში, მაგრამ ვალების გასტუმრების შემდეგ ძალიან ცოტა ფული დამრჩა, ისე რომ პეტერბურგშივე დავრჩი აქამდის.

მე რომ მცოდნოდა, რომ მატერიალური რესურსები რაც უნდა ნაკლები ყოფილიყვნენ, შემაძლებინებდნენ ამდენხანს პეტერბურღში დარჩენას, ჩემი საქმე უფრო სხვანაირად წავიდოდა. ერთი სიტყვით აქამდის მე არ ვიცოდი და არც ეხლა ვიცი შემეძლება კიდევ ერთი წელიწადს პეტერბურღში დარჩენა თუ არა? თორემ 1866 უთუოდ შევიდოდი ბუნებითი საგნების ფაკულტეტზე და აქამდის გაოთავებული მექნებოდა კურსი... მართლა აქ ყოფნას სულ უსარგებლოდ არ ჩაუვლია ჩემთვის, მაგრამ ამასთან რომ სისტემატური რამ სწავლა მიმეღო, კიდევ უკეთესი იქნებოდა, როგორც საერთოდ ჩემთვის, ისე იმ საქმისათვის, რომელზეც ჩვენ ჯუდამ უნდა ვფიქრობდეთ, ისე საკუთრად ჩემთვისაც ეჭვი არ არის რომ აქ ყოფნაში დიდი არაფერი შემიძენია, მაგრამ მე ეს მირჩევნია მრავალი ჩვენი ყმაწვილების სწავლას. შენ კარგად იცი, რომ ეე არ შემშურს ჩვენი ადმინისტრატორების და მსაჯულების და ადვოკატების მდგომარეობა. იურიდიული დიპლომი მე მინდა მხოლოდ იმისათვის, რომ მასწავლებლად ყოფნის უფლება მოეცათ და მატერიალური ღონისძიება, რომელსაც მომცემდა მასწავლებლის თანამდებობა, მომეხმარა სწავლის შეძენისათვის, რომელიც სასარგებლო იქნებოდა საქართველოს სხვა საქმეებისათვის...

დაჯდა 1870 წელი, რაღაც ბედათ, მოულოდნელად, ვიმოვე სასესხები (ფული), გადავიხადე ყველა აქაური ვალები და წავედი ოდესაში, იმ ფიქრით, რომ იქ ეგზამენი დამეჭირა და მერმე ტბილისისაკენ გამოვმგზავრებულიყავ... ოდესაში რომ ჩავედი, ერთი-ორი კვირის გახმაურებაში სწორედ გაშტერებული ვიყავი. არ მკითხავ, აგრე რამ გაგხადაო? იქ ძალიან ძვირი ყოფილა ცხოვრება, ისე რომ პეტერბურგში რომ 20 მანეთად იცხოვრობს კაცი, ისე 35 ან 30 მანეთად თუ იცხოვრებ, თორემ ნაკლებად ვერა... მე უნდა ამომეძუებია კუდი და დავბრუნებულიყავ პეტერბურგში, რაიც უკვე აღვასრულე, მაგრამ ნუ იფიქრებ, რომ მე მარტო ამას დავებრუნებინო პეტერბურგში, მე განვიზრახე ერთი საკვირველი საქმე Saltummortale პეტერბურგიდამ გასვლამ, ცოტაოდენ ხარჯში შემიყვანა, მაგრამ სარგებლობაც მომიტანა: იმან ასგარიში გამაწმენდინა არა მარტო ჩემი ჯიბის, ჩემი წარსული ბიუჯეტის, არამედ ჩემი გონების ბიუჯეტიდან დამაძლევინა გარემოებისაგან ძალდატანებულ ყოყმანობას“ [1].

ასეთი ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიტანეთ ამ წერილიდან, რომ იგი წარმოადგენს კირილეს პეტერბურგში ცხოვრების მიმოხილვას 1861 წლიდან 1870 წლამდე.

ამ წერილიდან მტკიცდება ისიც, რომ 1870 წლის ბოლომდე კირილე ლორთქიფანიძე საქართველოში არ დაბრუნებულა და პეტერბურგში ცხოვრობდა. უშედეგოდ არ ჩაუვლია მისთვის პეტერბურგში გატარებულ წლებს. იგი საფუძვლიანად გაეცნო რუსეთის რევოლუციონური ინტელიგენციის აზროვნებას და ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის იდეებს.

კირილე ლორთქიფანიძე ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ხელს ჰკიდებს საზოგადოებრივ საქმეს. იგი პეტერბურგში აარსებს ამხანაგობას, რომლის მიზანი იყო გამოჩენილი ქართველი და უცხოელი მწერლების ნაწარმოებთა გამოცემა. 1864 წელს კირილემ კიდეც გამოსცა ქართველი პოეტების ლექსთა კრებული „ჩონგური“ [2] და ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!“.

---

[1] კ. ლორთქიფანიძის წერილი ნ. ნიკოლაძისადმი, 1870 წლის 14 ივლისი, საქმე № 10, II, ხელნაწერი № 14.

[2] „ჩონგურის“ შინაარსი ასეთია:

პოეტი და მოკალაქე — ფიქრნი მტკვრის პირზედ — ნ. ბარათაშვილისა
პოეტი — XXX-სა

,,ჩონგურის'' მნიშვნელობის შესახებ სამართლიანად შენიშნავს ზ. ჭიჭინაძე:

„ჩონგური" დაბეჭდილია 1864 წელს, ისეთ დროს, როცა ქართულ ენაზედ წიგნის ჰაჰანებაც არ იყო"[1]. მართლაც, ამ წიგნს მაშინდელი ქართველი მკითხველისათვის უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა.

პეტერბურგიდანვე კირილე ლორთქიფანიძე აქტიურ მონაწილეობას ღებულობს მამათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ილია ჭავჭავაძის 1861 წლის აპრილის სტატიაზე „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას-ძის ერისთავის კაზლოვიდგან «შეშლილის» თარგმანზედა" იმავე წლის მაისის „ცისკარში" დაბეჭდეს პა'ეუხი

მოგონება — აკაკი წერეთლისა
კალამი — აბ. მაჩაბლისა
ქართველის დედას — XXX-სა
არაგვი — ილია ჭავჭავაძისა
ამაო ძებნა — აკაკი წერეთლისა
ჩონგურს — ნ. ბარათაშვილისა
ხმა სამარიდამ — XXX-სა
ხელაპარი — აკაკისა
ბედი ქართლისა — ნ. ბარათაშვილისა
ელეგია — ილია ჭავჭავაძისა
გახარებული — ილია ჭავჭავაძისა
ყაფი ჯორი — რაფიელ ერისთავისა
ფუტკარი — აკაკისა
თვალები — ნ. ბარათაშვილისა
ჩემს მერანს — მისივე
ფანტახია — მისივე
გუთნის დედა — XXX-სა
მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული — მისივე
მადლი შენს გამჩენს, ლამაზო ქალო, შავთვალებიანო—ნ. ბარათაშვილისა
ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გინდა — XXX-სა
ნაამბობი მოხუცისა — რაფიელ ერისთავისა
ფარისეველი — აკაკი წერეთლისა
წრეს გადასული წრეში შემოსულს — მისივე
აპელაციის მცოდნე — აკაკი წერეთლისა
მუშა — XXX-სა
მთხოვნელი მსაჯულისადმი — ი. მიქაბერიძისა
ლოთური მუხამბახი — გრ. ორბელიანისა
სიყვარული — რაფიელ ერისთავისა
პეპელა — ნ. ბარათაშვილისა
მუშური — აკაკი წერეთლისა
სიმღერა მკის დროს — მისივე
ნანა — XXX-სა
სალამური — აკაკი წერეთლისა
იანიჩარი — XXX-სა
გლეხის აღსარება — აკაკი წერეთლისა
სულო ბოროტო — ნ. ბარათაშვილისა
იარალისადმი — გრ. ორბელიანისა
შიჰასტა — აკაკი წერეთლისა
რამდენიმე სურათი ან ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ — XXX-სა
ყველანი ძმები ვართ — რობ. ნიკოლისა
საბრალო გული — აკაკი წერეთლისა
სული ობოლი — ნ. ბარათაშვილისა
ჩჩვილი — მისივე
ნეკრასოვიდამ

შენიშვნა: პოეტი და მოჭალაკე, ქართველის დედას, კახთა მიმართ, (ქართლის ბედში), ნანა, რამდენიმე სურათი, (140 გვერდიდამ), ყველანი ძმები ვართ, და ნეკრასოვიდამ აქამდის არ დაბეჭდილან.

[1] ზ. ჭიჭინაძე, ქართული სტამბები, 1627-1916 წ. წ., გვ. 240-241.

ბარბარე ჯორჯაძემ, გიორგი ბარათოვმა და რევაზ ერისთავმა. შემდეგ გამოქვეყნდა სარდიონ მესხიევისა და განმეორებით ბარბარე ჯორჯაძის წერილები. 1862 წლის თებერვლის „ცისკარში“ დაიბეჭდა გ. წერეთლის მამის, ექვთიმე წერეთლის კრიტიკული სტატია „უფალო რედაქტორო!“.

როგორც ვხედავთ, ილიას გამოსვლამ შეაშფოთა ძველი თაობის წარმომადგენლები. ისინი, ძალზე აღელვებულნი, სუსტად დაწერილი სტატიებით უმასპინძლდებოდნენ ილია ჭავჭავაძეს. ამ დროს ილია მარტო იყო. სხვა თერგდალეულები ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლობდნენ. მაგრამ ილიას პეტერბურგიდან მალე წამოეშველნენ ქართველი სტუდენტები, რომელთაგან კირილე ლორთქიფანიძემ, გიორგი წერეთელმა და აკაკი წერეთელმა „თერგდალეულის“ ხელმოწერით 1862 წელს „ცისკრის“ რედაქციას სამი სტატია გამოუგზავნეს. ჩანს, პეტერბურგელი სტუდენტები განსაკუთრებით ექვთიმე წერეთლის კრიტიკას აღუშფოთებია. კირილე ლორთქიფანიძე „ცისკრის“ რედაქტორს ივანე კერესელიძეს სტატიასთან ერთად ასეთი შინაარსის კერძო ბარათს უგზავნის:

„ასე სისხლიანი ნაღველი გადაევლება ხოლმე ჩვენს გულს, როცა იმისთანა უებრო ცუდ სტატიებს ვამჩნევთ, როგორც იყო ამ ნომერში უფ. ეფ. წერეთლის... ... ისე გავცეცხლდი ამ სტატიის დანახვაზედ, რომ არ შეგვეძლო, რომ არ დაგვეწერა რამე; ვინ წერს? სწერს კაცი, რომელსაც, როგორც თვით ეფ. წერეთელი უბნობს, სიკვდილში უდგია ფეხი და რომელიც აქამდის არ უნახავს ხორციელს მწერლის ადგილზე. ვიცნობ იმ კაცს, რა კაციც. როგორ გაბედა ამგვარი სტატიის დაწერა... მაგრამ ანდაზა იტყვის: „კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირი ვარო“, როგორც გაუნათლებლობით და ფარისევლობით გაყინული აქვს თავი ეფ. წერეთელს, ისეთი გაყინული აზრები უთქვამს. იპოვის ნეტავი კაცი მის სტატიაში რამე აზრს? აი ასე შეწუხებულმა, დავწერე თქვენი ჟურნალისათვის ორიოდე სიტყვა და ამ წიგნთან გაგზავნით თუ წინააღმდეგი არ იქნეს თქვენი ჟურნალი, გთხოვთ დააბეჭდვინოთ ან აპრილის ან მაისის წიგნში, რასაკვირველია, პირველი ემჯობინება. ჩემ სახელსა და გვარს ნუ გამოაცხადებთ, ჩვეულებრივი ფსევდონიმი იყოს, ის ფსევდონიმი, რომელიც მიმიწერია სტატიის ქვეშოთ „თერგდალეული“.

ამას გარდა მრავალი გამოკვლევა მოათავსა კირილემ ძველი

[1] იქვე, საქმე № 10.

თაობის წინააღმდეგ. პეტერბურგიდან ხშირად ეხმაურებოდა ილია ჭავჭავაძეს, სწავლობდა აქ დარვინის მოძღვრებას. ღრმად შეითვისა ბოკლისა და მილის თეორიები. იგი კარგად იცნობდა რუსეთის სხვა ქვეყნების მოწინავე იდეებს. 10 წელი პეტერბურგში გატარებული კირილესათვის ყველაზე დიდი წრთვნა იყო, ყოველგვარ დიპლომზე უფრო მნიშვნელოვანი.

კირილე ლორთქიფანიძე თანამშრომლობდა „ცისკრის" გარდა სხვა ჟურნალ-გაზეთებში „საქართველოს მოამბესა", „დროებასა", „ივერიასა", „კრებულსა" და „შრომაში". თარგმნიდა უცხოური ლიტერატურიდან ლექსებსა და მოთხრობებს. მან პირველად თარგმნა ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხი"[1] და ჯემს გრინვუდის რომანი „უპატრონო და უსახლკარო ყმაწვილის ცხოვრება", აგრეთვე თარგმნა ჰენრიხ ჰაინეს, ნეკრასოვის, რობერტ ნიკოლის, მორიც ჰარტმანის, ვიქტორ ჰიუგოს, პლეშჩეევის, დობროლიუბოვის, ნიკიტინის, ლეოპარდის ლექსები. გარდა ამისა ყურადღების ღირსია კირილეს საბავშვო მოთხრობები, მაგრამ კირილე ლორთქიფანიძის მოღვაწეობა მარტო ლიტერატურული საქმიანობით არ ამოიწურება. იგი 60-იანი წლების ნამდვილი განმანათლებელია, მისი კალამი ყოველგვარ საკითხზეა მომარჯვებული, იგი იბრძვის ყველა დარგის მეცნიერების დამკვიდრებისათვის მაშინდელ ჩამორჩენილ საზოგადოებაში.

კირილემ რუსულიდან თარგმნა მერჩონსკის არითმეტიკის სახელმძღვანელო აგრეთვე სუდიაკოვის ბუნებისმეტყველების წიგნი, სადაც გარჩეულია ასტრონომიის, გეოლოგიის, ბოტანიკის, ზოოლოგიისა და ადამიანის ანატომიის საკითხები. შეადგინა „კითხვა-წერის სწავლების წიგნი", დაწერა გამოკვლევა „ისტორიის განსაზღვრა და წყაროები". კირილეს ხელნაწერებში გვხვდება შრომები:

„Очерки из политической экономии" (по Миллю) და Библиографический указатель сочинении Н. Г. Чернишевского (1853-1863 г. Опб).

„საზრდო და მისი მნიშვნელობა ხალხისა და საზოგადოების ცხოვრებაში",

„ნარკვევები ბუნების ცხოვრებიდან",

„ბუნების მოვლენების შესახებ".

---

[1] ამასთან დაკავშირებით კირილე ლორთქიფანიძემ დასწერა გამოკვლევა „ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა". იხ. საქართ მოამბე, № 11-12. ხელნაწერი ინახება კირილეს არქივში.

აგრეთვე იგი დაუღალავად მუშაობდა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დადგენისათვის, უმუშავნია ქართული ენის ლექსიკონის შედგენაზე, ირკვეოდა ქართული ენის ბუნებას, კანონებს და მისი შესწავლის საკითხებს. ამ მიზნით კირილემ რამდენიმე სტატია უძღვნა ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს. შექმნა სასტამბო ქართული შრიფტი, რომელიც დღესაც „კირილეს“ სახელწოდებით იხმარება.

აგრეთვე დიდია კირილეს დამსახურება ქართული თეატრის აღორძინების საქმეში. იგი ხელმძღვანელობდა თეატრალურ საზოგადოებას და ხშირად სცენაზედაც გამოდიოდა, როგორც არტისტი. ,,მუდმივი თეატრის დაარსებამდე, სცენის მოყვარეთა წარმოდგენებს ხელმძღვანელობდა, ხშირად თვითონაც არტისტობდა''. ასე იგონებს კოტე მესხი კირილეს არტისტობის ერთ ეპიზოდს: ,,...1874 წელს თბილისში კირილე ლორთქიფანიძის მეთაურობით წარმოდგენილი იქნა იღია ჭავჭავაძის ,,სცენები''... მომრიგებელ მოსამართლის როლს თვით კირილე ლორთქიფანიძე თამაშობდა და რეცენზია ამ წარმოდგენისა მაშინდელ ,,დროებაში'' თვითონ კირილემ დაწერა. თავის როლზე ასე ჰქონდა მოხსენებული: ,,მომრიგებელ-მოსამართლის როლის ამსრულებლის მაგიერ სცენაზე რომ მუთაქა დაედვათ, სულერთი იქნებოდაო'' [1].

განსაკუთრებით აღსანიშნავია კირილე ლორთქიფანიძის პუბლიცისტური ნიჭი. მისი სხარტად ჩამოსხმული სტატიები ჟურნალ-გაზეთების შნოსა და ელფერის მიმცემი იყო. ამის გამო ყველა რედაქტორი ცდილობდა თავის გაზეთში ან ჟურნალში კირილეს მიეღო მონაწილეობა.

ჯერ კიდევ გაზეთი ,,დროება'' არ იყო გამოსული, როცა მისი ხელმძღვანელები კირილეს შემდეგს თხოვდნენ: ,,ახლა ჩვენი თხოვნა შენთან და საზოგადოდ სტუდენტებთან მდგომარეობს იმაში, რომ შემწეობა აღმოუჩინოთ ამ გაზეთს, იკისროთ მისი თანამშრომლობა. ეჭვი არ გვაქვს, რომ ამ თხოვნას აგვისრულებთ, რომ თქვენს თანამშრომლობაზე არ გვქონოდა იმედი, ჩვენ კიდევაც ვერ გავბედავდით გაზეთის გამოცემას. ადვილად მიხვდებოდით, რა მოსაზრების გამო ვითხოვეთ გაზეთის ნება და არა ჟურნალის. ჩვენის აზრით გაზეთი უფრო სასარგებლო იქნება ჩვენი ხალხისათვის, მინამ ჟურნალი. ჟურნალის დიდ სტატიებს ვერ ერეოდენ ჩვენი

[1] ა ვ ქ. ც ა გ ა რ ე ლ ი, კომედიები, ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებითა და ლექსიკონით, ფედერაცია, 1936, გვ. 466.

მოუმზადებელი მკითხველები. გაზეთის მოკლე სტატიები, რასაკვირველია, უსწავლელს კაცს, გაზეთის ახალ-ახალი ან ხშირათ ცხოვრების შესახებ ამბები უფრო გაართობს, ვინემ გრძელი ტრაქტატი რომელიმე საგანზე. გამოცემა გაზეთისა, ეტყველია, უფრო ადვილია, მინამ ჟურნალისა. სხვა რომ არა ვთქვათ, გაზეთში ხანდახან ორიგინალური სტატია რომ არ იყოს, არაფერია, უმისოდაც შეიძლება გასართობი და საინტერესო იყოს, მაშინ როდესაც ჟურნალში ერთი ან ორი სტატია თუ არ იქნა ნამდვილი, რაღა ჟურნალი იქნება. ამასთანავე ჟურნალში საპოლიტიკო ნაწილის ნებას ხომ არასდროს არ მოგვცემენ. ნუ დაივიწყებთ იმას, რომ ჩვენ გაზეთთან დამატება გამოვა წიგნებით, რომელმაც უნდა ასრულოს ჟურნალის ვალი, რადგანაც ამ დამატებაში დაიბეჭდება გრძელი სტატიები. რედაქციის შეძლებაზედ არის დამოკიდებული, რამდენსაც მოახერხებს, იმდენი წიგნი შეუძლია გამოუშვას წელიწადში ამ დამატებისა. კირილე, შენ კარგად იცი რა არის ჩვენი ხალხისათვის საჭირო და ამისათვის ამაზე მოწერა საჭირო არ არის. თუ რამე გაქვს დაწერილი, ძალიან მადლობელი ვიქნებით რომ გამოგვიგზავნიდეთ. ამასთანავე, რასაკვირველია, ამის იქით მეტის ხალისით მოკიდებთ კალამს ხელს. მანდიდამ კორესპონდენციებს სხვადასხვა შესანიშნავ ამბებზე რომ გამოგვიგზავნიდეთ ხოლმე, მაგას რაღა ემჯობინება. წერის დროს აქაური ცენზურა კი უნდა იქონიოთ სახეში. ღონორარზე დათიკოსაც მოვწერე. თუ რამე ღონისძიება გვექნება, დავვერწმუნეთ პირველად იმას ვეცდებით სტუდენტები დავაკმაყოფილოთ'' [1].

ზემოთ დასახელებულ სტატიას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო კირილე ლორთქიფანიძის მოღვაწეობის შესასწავლად, არამედ აგრეთვე იგი საუკეთესო მასალას წარმოადგენს ქართული პრესის ისტორიისათვისაც.

ბოლოს რედაქცია და კერძოდ გიორგი წერეთელი სთხოვს კირილეს, ჩამოვიდეს საქართველოში და უფრო მეტად დაუახლოვდეს გაზეთს, რადგან იგი, როგორც კარგი პუბლიცისტი, გაზეთისათვის დიდად საჭირო იყო.

გიორგი წერეთელი, ,,დროების'' რედაქტორი, კირილეს პეტერბურგში ასე სწერს: ,,თუ არ ჩამოდით და არ მოგვეხმარეთ, ძლიერ საშიშ მდგომარეობაში არის ჩვენი საქმე''.

---

[1] ნ. ღოღობერიძის წერილი კირილე ლორთქიფანიძისადმი, 1866.

კირილე ლორთქიფანიძე 70 იან წლებიდან, მართლაც, დაბრუნდა საქართველოში და დიდი პასუხისმგებლობით შეუდგა ლიტერატურულ მოღვაწეობას თბილისსა და, უმთავრესად კი, ქუთაისში. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ს. მესხის „დროებაში“, ხოლო მესხის საზღვარგარეთ გამგზავრების შემდეგ, 1873-1874 წლებში, იგი თვითონ რედაქტორობდა „დროებას“.

როდესაც ს. მესხი მიემგზავრებოდა საზღვარგარეთ, მან „დროების“ ნომერი გამზადებული დატოვა გამოსაცემად, მაგრამ კირილემ მას, როგორც რედაქტორმა, ხელი არ მოაწერა.

ამის შესახებ კირილე ნიკო ნიკოლაძეს შემდეგს სწერს: „ნიკო! რადგანაც უმთავრესი სამართველოს გადაწყვეტილებაზედ, ჩემი დროებით რედაქტორად დამტკიცების შესახებ, მე ხელი არ მომიწერია, ამიტომ „დროების“ 33 ნომერზედ ისევ მესხის სახელი და გვარი იყოს, მეტადრე იმიტომ, რომ ჩემს გვარს ვერ მოვაწერ იმ ნომერზედ, რომელშიც აკაკის სტატია იქნება. კ. ლორთქიფანიძე“ [1].

„დროებას“ მარტო კირილე ხელმძღვანელობდა, გაზეთს მატერიალური ბაზა არ ჰქონდა. თითო-ოროლა პირის შემწეობით არსებობდა და ბოლოს სულ კირილეს დააწვა კისერზე. კირილე ხშირად გაზეთის გამოსაცემად ნაცნობებს და მეგობრებს შემწეობასა და დახმარებას სთხოვდა. იყო ისეთი შემთხვევა, როცა ქაღალდისა და ხელისმოსწერლებზე გასაგზავნი ფოსტის მარკის ფული კირილეს არ ჰქონდა.

„პეტრე! თუ შეგიძლია, — სწერს კირილე პეტრე უჩიკაშვილს,— ერთი ხუთმეტი მანეთი მასესხე რამოდენიმე დღის ვადით, ასე გასინჯეთ, დღეს დროების ქაღალდის ფასი არ მაქვს. და არც ფოსტაში გასაგზავნი. თუ ჩაქარიამ, ამ წიგნის მომტანმა, შინ ვერ გნახოს, ან შენის პიჯის ხელით გამომიგზავნე ხნ და სამ საათზე კიდევ გამოვაგზავნი შენთან კაცს. შენი კირილე“ [2].

ეს წერილი დამახასიათებელია კირილეს მოღვაწეობისათვის, მიუხედავად ასეთი უსახსრობისა, ის გაზეთის საქმეს მაინც არ ღალატობდა. კირილე რედაქტორობდა „კრებულს“, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა გაზეთ „ივერიასა“ და სხვა გამოცემებში. ქუთაისში ფაქტიურად რედაქტორობდა გაზეთ „შრომას“.

[1] იქვე, საქმე № 10, 1. ხელნაწერი № 22. აკაკისა და კირილეს შორის ამ დროს უკმაყოფილება იყო. ამის შესახებ იხილეთ ჩემი სტატია „აკაკი წერეთელი და კირილე ლორთქიფანიძე“, ლიტერატურული საქართველო, 1940, № 1.

[2] იქვე, საქმე № 10, 1, ხელნაწერი № 40.

აგრეთვე კირილე დროებით ხელმძღვანელობდა ადგილობრივი კრედიტის მმართველობას. არჩეული იქნა ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარედ. იყო მუდმივი წევრი ჰიათურის შავი ქვის მრეწველობისა. ქალაქის ხმოსნად აირჩიეს 5-ჯერ (1878-1882; 1882-1886; 1894-1898; 1898-1902; 1902-1906).

კირილე ლორთქიფანიძეს უშუალო კავშირი ჰქონდა მოსკოვისა და პეტერბურგის სამეცნიერო დაწესებულებებთან. იგი საქართველოდან ამ დაწესებულებებს აწვდიდა მდიდარ მასალას. კირილეს სახელზე ერთ მიმართვაში ეკითხულობთ:

„თქვენო ბრწყინვალებავ, მოწყალეო ხელმწიფეო, კირილე ბეჟანის-ძეო!

მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების მინდობილობით პატივი მაქვს გამოგიგზავნოთ პროგრამა კავკასიის სიძველეთა გამოკვლევისათვის და მოწვევა კერძო კოლექციების გამოფენაზე მოსკოვის ისტორიის მუზეუმში VIII არქეოლოგიური ყრილობის დროს.

პატივი მაქვს ვიყო, მოწყალეო ხელმწიფევ,
თქვენი მორჩილი მსახური (ხელმოწერილია)“ [1].

კირილე, ქართული კულტურისა და ლიტერატურის მეცნიერი, დიდ ზნეობრივ და მატერიალურ დახმარებას უწევდა ქართველ მწერლებს. განსაკუთრებით განუზომელია კირილეს მზრუნველობა აკაკი წერეთლისა, გიორგი წერეთლისა, ნიკო ნიკოლაძისა და ს. ესხისადმი.

აკაკი თავის თავგადასავალში კიდევეც აღნიშნავს: „ერთ საღამოს შემოვიდნენ ჩემთან მოციქულებად ვ. თუ-შვილი, გ. ჯავ-შვილი, მ. ჩო-შვილი და გადმომცეს ამხანაგების მაგიერ: „შენი მწერლობით გვარცხვენ ან ლეკების წერაზე აიღე ხელი და ან ჩვენს ნაცნობობაზეო“ [2].

დიდხანს ყოყმანობდა აკაკი, მართლა აეღო ხელი, თუ არა მწერლობაზე, მაგრამ აქ მას გამოუჩნდა გამამხნევებელი, კეთილი გზის მასწავლებელი, ახალგაზრდა კირილე, რომელმაც დაარწმუნა აკაკი, რათა მას სხვებისათვის ყურადღება არ მიექცია და წერა განეგრძო. ამის შემდეგ აკაკი ყველას ჩაჰოშორდა.

[1] კირილეს არქივი, საქმე № 10. დოკ. № 52.

[2] აკაკი, ჩემი თავგადასავალი, ტ. I. გვ. 73, 1928.

„თითქმის ყველას ჩამოვშორდი გარდა ორისა, — წერს აკაკი, — ისინი არ მიყურებდნენ სხვებსავით ხ[illegible]ის აყოლით და სხვებზე უფრო ნიჭიერად თუ მივაჩნდი, თუ არა ნაკლებად არა... ერთი მათგანი იყო კირილე ლორთქიფანიძე“ [1]. შემდეგშიაც, როცა აკაკი სახელმოხვეჭილი პოეტი იყო, კირილე მაშინაც ყურადღებას არ აკლებდა მას. აკაკი ხშირად ფულის ნაკლოვანებას განიცდიდა და კირილე მისი მუდმივი ხაზინადარი იყო.

მთელი ენერგია კირილემ მხოლოდ საზოგადოების საქმეს შესწირა, თავისი პირადი ქონება მას მოახმარა. სხვადასხვა საზოგადოების მოწყობა, ქართული წიგნის გამოცემა, სტამბის დაარსება, სასტამბო შრიფტის შემოღება, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელმძღვანელობა, მუდმივი თეატრის დაარსებისათვის ზრუნვა, ლიტერატურული საღამოების მოწყობა, სკოლის გახსნა, სახელმძღვანელოების შედგენა — ყოველივე ეს კირილეს ხელმძღვანელობით წარმოებდა.

„კირილე იყო ერთგვარი ენციკლობედისტი: არ იყო რაიმე დარგი, რომ კირილე განზე მდგარიყო და არ მიეღო მხურვალე მონაწილეობა კამათში და საქმიანობაში, — სწერს ივანე პურადაშვილი, — იგი მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა სათავადაზნაურო საქმეებში, ბანკების, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საქველმოქმედო, გამომცემლობისა, სათეატრო და სხვადასხვა საქმეებში. ვინ გაიხსენებს დეტალურად, თუ კირილე სად ღებულობდა მონაწილეობას. შეიძლება ვსთქვათ, ყველგან და ყოველთვის გაისმოდა მისი მტკიცე დამაჯერებელი სიტყვა“ [2].

პირად ცხოვრებაზე ხელაღებულმა კირილემ ძალა და ენერგია საქვეყნო საქმეს შეალია... დემოკრატიული იდეებით შეიარაღებულმა სასტიკი ბრძოლა გააჩაღა ბატონყმობის სისტემის წინააღმდეგ. მანვე პირველად გაათავისუფლა თავისი ყმები მიწითურთ. ამის შესახებ „Памятная записка“-ში ნათქვამია: „პეტერბურგიდან დაბრუნებულმა, სადაც ის სწავლობდა უნივერსიტეტში, მაშინვე გაათავისუფლა გლეხები თავიანთი დროებითი გადასახადისაგან (ღალისაგან) და დაუტოვა მათ უსასყიდლოდ საკუთრებაში ნადელები. ამასთანავე მთელი თავისი მამულის შემოსავალი მისცა სა-

[1] იქვე. გვ. 73.

[2] აწ განსვენებულ ვ. პურადაშვილის მოგონებიდან, რომელიც მან ჩემი თხოვნით დაწერა (მოგონება ინახება ჩემთან).

კუთარი მოხმარებისათვის ძმებს სრულად. ნუთუ ეს საკვირველი არ არის ჩვენს დროში?“ [1].

ქართველი საზოგადო მოღვაწე და ლიტერატორი რ. ხომლელი [2] ასე ახასიათებს კირილეს:

„კირილე ბეჟანის-ძე ლორთქიფანიძე იყო 60-იანი წლების ერთი დიდი ქართველი ლიბერალი, ასე წოდებული თერგდალეული... იგი იყო იმ პრინციპის კაცი, რომელიც იბრძოდა ყმა მიწიანად უნდა განთავისუფლდესო და მან ეს კიდეც პირნათლად შეასრულა. საჩინოს მდიდარი მხრის დიდი მიწა-წყლის პატრონმა თავადიშვილმა მთელი თავისი მამული თავის ნაყმევებს გადასცა და თვით კი დარჩა სრულიად უმამულოდ და უსახლკაროდ. მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე ასე გაატარა. იგი იყო მეტად მალალი, სპეტაკი ზნეობის და ღრმა დემოკრატიზმის მატარებელი და მოსარჩლე. ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი რომ საზღვარგარეთ წავიდნენ, მაშინდელ საუკეთესო ჟურნალს „კრებულს“ კირილე ჭძღვებოდა და ხელმძღვანელობდა თბილისში. ქუთაისშიც გაზეთი „შრომის“ საქმე კირილემ მოაწყო და ითავა და იგი იყო კიდეც ფაქტიური რედაქტორი და კორექტორი ამ გაზეთისა... ქართული გიმნაზიის დაარსებას ქუთაისში მან ჩაუყარა მკვიდრი საძირკველი...

კირილე ქუთაისში ედგა სათავეში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას, მეთაურობდა მიხაილოვის საადგილმამულო ბანკში ოპოზიციას, იქვე დაარსა და ხელმძღვანელობდა საურთიერთო ნდობის საზოგადოებას. იყო ქუთაისის თვითმმართველობის ხმოსნად, შეადგინა ახალი ქართული საბეჭდავი ანბანი და მისი სახელწოდების შრიფტი დღემდე იხმარება ჩვენს სტამბებში. ითვლებოდა ქართული ენის საუკეთესო მცოდნედ და სტილისტად. იგი ფარვანასავით თავს დასტრიალებდა თავის მშრომელ ერს და ჯერ კიდევ თავის სიცოცხლის დღეებში ქუთაისის საეთნოგრაფიო საზოგადოებას შესწირა თავისი მეტად მდიდარი ბიბლიოთეკა და არქივი“.

კირილეს ბანკის დირექტორობის დროს ბევრი უსიამოვნება შეხვდა, ხშირად იგი ფულებს რედაქციის საქმეებზე ხარჯავდა და თავის ხელწერილებს ვექსილების სახით ბანკში ინახავდა. ყოველივე ეს კირილეს ვალად ეწერებოდა.

---

[1] Памятная записка, საქმე № 10, დოკ. № 72.

[2] ფსევდონიმია რომანოზ ფანცხავასი, იყო მწერალი და კრიტიკოსი, თანამშრომლობდა „კვალში“, გარდაიცვალა 1929 წელს.

„ძმაო დათა,—სწერს კირილე დათა ნიჟარაძეს,—შენი კრედიტით, რომ რედაქციის ვალისათვის ვსარგებლობდით ის ვექსილი გამოვისყიდე და რადგან ვექსილის მომცემი დავით ნიკოლაევიჩი იყო, იმ ს გავუგზავნი გამოსყიდულს ვექსილს და შენც გამოგიგზავნის დასახევად და თანაც გთხოვთ, რომ კიდევ მათხოვო ის კრედიტი დავითისავე ვექსილით. შენი კირ-ლე“ [1].

მეორე წერილში ამავე საკითხზე ისევ დათა ნიჟარაძეს სწერს: „ძმაო დავით! დღეს ძალიან გაჭირვება მაქვს, აზნაურობის ბანკში შესატანი ფული ჩინდა და უნდა შემეწიოთ მით, რომ შენი კრედიტი ბანკში უჩოტისა ასი თუმანი მათხოვო ჩემის ვექსილით, ასე რომ ნახევარი ოთხი თვის ვადით. და ნახევარი ექვსი თვის ვადით. თუ ვინიცობაა, ამდენს ხანს თხოვება არ შეგიძლიან, თუ ფიქრობ რომ შენ თვითონ დაგჭირდება ეს კრედიტი, იმ შემთხვევაში ვეცდები, რომ ვადამდის ან სულ გამოვისყიდო ფულის შეტანით, ან სხვა კრედიტით შევსცვალო“ [2].

გარდა საზოგადო საქმეებისა, კირილეს დიდძალი თანხა ირიცხებოდა მწერლებსა და კერძო პირებზე. ხშირად ზედმეტი გულკეთილობის გამო ვადაგასულ ვექსილებსაც არ აპროტესტებდა. ეს ყოველივე ბანკში კირილეს ვალად ეწერებოდა. ამავე დროს ბანკმა შეისყიდა ჰიათურის შავი ქვა, როდესაც ფუთი 7 და 8 კაპეიკად ფასობდა. მაგრამ უცებ ქვ-ს ფასი დაეცა 2 კაპეიკამდე. ამით ბანკმა ნახევარი მილიონი იზარალა. სულ ბანკს მილიონ მანეთამდე დანაკლისი ჰქონდა, იგი ირიცხებოდა კერძო პირებსა და ქვანახშირის მრეწველობაზე. ამ დროს ქუთაისში გაიხსნა აზოვ-შავი ზღვის ბანკის განყოფილება. ამ ბანკმა შემოიკრიბა თავის გარშემო ყველა ფულის პატრონი. ერთი სიტყვით, დაეცა ქუთაისის ბანკის წარმოება. ამ მომენტით ისარგებლეს კირილეს პირადმა მტრებმა და შექმნეს პანიკა ხალხში, რის შედეგად მთავრობამ დანიშნა რევიზია. რევიზიამ დანაკლისი ბანკის დირექტორს კ. ლორთქიფანიძეს და გამგეობის თავმჯდომარეს დ. ბაქრაძეს დააწერა გადასახდელად. ამის გამო კირილეს და დ. ბაქრაძის შესახებ „Памятная записка“-ში ნათქვამია შემდეგი: „მალე მარგანეცის ფასები დაეცა და გამოტანა დროებით შეწყდა, რის გამო მნიშვნელოვანი ნაწილი საზოგადოების საბრუნავი საშუალებისა, რომელიც ჩადებული იყო ამ წარ-

[1] იქვე, საქმე № 10, I, ხელნაწერი № 28.
[2] აქვე, საქმე № 10, I, ხელნაწერი № 33.

მოებაში უმოქმედო გახდა. ერთდროულად საზოგადოებას დაუდგა არახელსაყრელი პირობები. ქუთაისში გაიხსნა აზოვის დონის ბანკის განყოფილება, რომელმაც შესძლო შემოკრება ადგილობრივი ებრაელების კაპიტალისა და გადმოსროლა რუსული ბანკების კორესპონდენციებისა, რომელიც ინახებოდა მანამდე ერთადერთ ქუთაისის კომერციულ ბანკში — ქუთაისის ურთიერთდამხმარე საზოგადოების სალაროში. დაიწყო მძიმე მდგომარეობა, რომელიც შეიქნა საბედისწერო საზოგადოების მტრების მიერ გაწეული აგიტაციის გამო.

მთავრობის მთელმა რიგმა რევიზიებმა, რომელიც ჩატარებული იქნა ფინანსტთა სამინისტროსაგან მივლინებული მოხელეების მიერ და მათ მიერ საკმაო საფუძვლების გარეშე მიღებულმა განსაკუთრებულმა ზომებმა... ... საბოლოოდ გამოუთხარეს ძირი ნდობის საზოგადოების საქმეებს და გამოიწვიეს საყოველთაო პანიკა, რომელსაც შედეგად მოჰყვა ანაბარებისა და მიმდინარე ანგარიშების სწრაფი გატანა.

...ამრიგად, მარგანეცის საზოგადოების მთავარი ოპერაციებით ზარალი უდრიდა რევიზიის გამოანგარიშებით ნახევარ მილიონ მანეთამდე ამას თან ერთვოდა ვადაგადაცილებული გაუპროტესტებელი ვექსილები, ზუსტად აქედან ჩამოწერილი ზარალი უდრიდა ნახევარ მილიონ მანეთზე მეტს. მთელი ეს განსხვავება ძველ ბალანსთან შედარებით დაეკისრა პასუხისმგებლობის სახით საზოგადოების წევრებს, რომელთაც ევალებოდათ შეევსოთ მთელი დანაკლისი დაწესებული შესატანებით მითითებული მუხლების მიხედვით“ [1].

ბანკის საქმეების გამო ი. პურადაშვილი თავის მოგონებაში კირილეს შესახებ სწერს: „მიუხედავათ იმისა, რომ იგი ზედმიწევნით აკურატი იყო, იმას ჰქონდა ერთგვარი ნაკლი. ვერ იჩენდა სისასტიკეს კლიენტების მიმართ და ხშირათ აძლევდა კლიენტებს შეღავათებსა და დათმობებს, ეს მოსდიოდა, რა თქმა უნდა, გულკეთილობით. იყო შემთხვევები, როდესაც ვინმეს არ ჰქონდა ვადაზე ვექსილის დახსნის, ანუ სესხის დახურვის საშუალება, თუმცა მისი ქონება ბევრად აღემატებოდა მის დავალიანებას, იმ დროებით კრიზისის დროს იგი ცდილობდა, რომ ვექსილი პროტესტისათვის ნატარიუსში არ გაგზავნილიყო, რადგანაც პროტესტის ქმნა ეაჰარს უკვე კრედიტის კარებს უხურავდა. ვადას კანონის გარეშე რამო-

[1] იხ, Памятная записка. საქმე № 10. დოკ. № 72, გვ. 4-5.

დენიმე დღით გადაუდებდა, პროტესტში არ გაგზავნიდა და ამით იხსნიდა სავაჭროს ხიფათისაგან... და ბოლოს კირილე პასუხისგებაში მიეცა, რადგანაც ბანკის საქმეები ზარალის გზას დაადგა... ვადა გადაცილებული სესხის გაუნაღდებლობის გამო გამგეობის წევრი კირილე და რჩევის თავმჯდომარე დ. ბაქრაძე სისხლის სამართალში იყვნენ მიცემულნი. ამის მიზეზი იყო კირილეს გულკეთილობა და ზედმეტი დატვირთვა" [1]. მართლაც ამ საქმეების გამო კირილე ლორთქიფანიძესა და დ. ბაქრაძეს მთავრობამ შინ პატიმრობა მიუსაჯა.

ერთ კერძო წერილში დ. ბაქრაძე კირილეს სწერს:

„ძმაო კირილე! ეგებ მცირე სადილზე მეწვიოთ დღეს, შორს წასვლას და გოროდოვოის ჩხუბს მაინც ემჯობინება. 3 — საათზე. შ. დ. ბ.".

ეს წერილი ეკუთვნის იმ დროს, როდესაც ზემოდაღნიშნული საქმის გამო დ. ბაქრაძეს და კირილე ლორთქიფანიძეს შინ პატიმრობა ჰქონდათ მისჯილი. როცა კირილე სადილისათვის სასტუმროში წავიდოდა (სახლში აღარ სადილობდა). ქუჩაში „გოროდოვოი" უშლიდა შორს წასვლას. როგორც შინა პატიმარს და ამიტომ სწერს დავითი: „ჩემი უბრალო სადილი გერჩიოს გოროდოვოისთან ჩხუბსო".

ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. კირილე შინა პატიმრობიდან მალე გაათავისუფლეს, რადგან დიდი შრომით დაღლილ-დაქანცული ფიზიკურად დაუძლურებული იყო და არ შეეძლო პატიმრობის რეჟიმს შეგუებოდა. 1914 წელს კირილე ადგენს საექიმო კომისიის მოწმობას მისი ფიზიკური უძლურობის შესახებ და ამის საფუძველზე მას ათავისუფლებენ.

„1914 წლის მაისის 30 დღეს ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებით ქუთაისის საგუბერნიო შამმართველოს სამკურნალო განყოფილების ნარკვევი დამოწმებულია კნიაზ კირილე ბეჟანის-ძე ლორთქიფანიძის ჯანმრთელობაზე მისი პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ" [2].

ბოლოს ბანკის საქმეებიც გამოსწორდა, მარგანეცის ფასმაც აიწია და ბანკის ვალი დაიფარა. კერძო ვექსილებიც გაანაღდა ბევრმა. ხოლო დანარჩენი ვალი, რომელიც სხვებს ჰქონდათ კირი-

[1] იხ. ი. პურადაშვილის მოგონება.

[2] იხ. საქმე № 10, IV.

ლეს საჯელით წაღებული კირილემ გადაიხადა და ამასში საყვარელი საუკეთესო ბიბლიოთეკაც დააგირავა.

ქუთაისის საეთნოგრაფიო საზოგადოების ერთი თანამშრომლისადმი წერილში კირილე აღნიშნავს: ,,კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩემი ბიბლიოთეკა დიდი ხანია დაგირავებულია იმ ბანკში, სადაც მე ოცდახუთს წელიწადს ვმსახურებდი, და ჯერ კიდევ ვერ შევძელი მისი გამოსყიდვა, თუმცა ჩემი გულითადი სურვილი იყო ეს გირაო გამომესყიდა და ერთის რომელსამე კულტურულის დაწესებულებისათვის მეძღვნა. ხსენებულის საკრედიტო საზოგადოების გამგეობა, როგორც წინანდელი, აგრეთვე ახლანდელიც ვგონებ ჯკმაყოფილოდ არიან იმიტომა, რომ მე აქამდის ბანკისათვის არ წარმიდგენია ჩემ ბიბლიოთეკის კატალოგი. ახლანდელმა გამგეობამ მომთხოვა წრეულს ეს კატალოგი და კიდეც წარუდგინე წარსულს აგვისტოში. ამ მოთხოვნილებამ ძალიან შემაშინა: ვიფიქრე იქნება ეს წიგნების სია გამგეობას იმისთვის ეჭვივრებოდეს, რომ მყიდველი ვინმე გამოჩნდა და უნდა იმას მიყიდონ მეთქი. ეს ჩემთვის არა თუ დიდი ზარალი, არამედ სიკვდილი იქნებოდა. ამის გამო უმორჩილესად გთხოვთ, მიიღოთ ყოველივე საშუალება, ჯეროვანი და სამართლიანი, რომ ეს ბიბლიოთეკა არ დამეკარგოს, გამოსყიდვა მე შემეძლება მხოლოდ ომიანობის გათავების შემდეგ...

ვათავებ ამ წერილს შემდეგის ჩემის გადაწყვეტილებით: ამჟამად, როცა ქუთაისში ახალი კულტურული დაწესებულება დაარსდა, რომელსაც დიდი სამსახური შეუძლია ჩვენი საზოგადოების წინაშე, სახელად ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. ამ საზოგადოებას მე ვუძღვნი ყველა ზემოდაღნიშნულ წიგნებსა და ნივთებს, იმედი მაქვს ამ საზოგადოებას ცოტათი მაინც გამოადგება. დავშთები თქვენი ერთგული. კირ. ლორთქიფანიძე. 14 — იანვარს 1916[1].

„Памятная записка"-ში კი ბიბლიოთეკის შესახებ ნათქვამია: ,,თავად ლორთქიფანიძე კი, რომელმაც 30 წლის განმავლობაში შესწირა მთელი თავისი ენერგია და დრო, საზოგადოებას დაუთმო მან დარჩენილი ვალების დასაფარავად მთელი თავისი ბიბლიოთეკა, რომელიც რეალიზაციამდე აანაზღაურებს ვალებს"[2].

კირილე ლორთქიფანიძემ თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა ბანკის

---

[1] კირილეს არქივი, საქმე № 10, I, ხელნაწერი № 78.

[2] იქვე, საქმე № 10. I. ხელნაწერი № 83.

ვალებისაგან დაიხსნა[1] და ძვირფასი ნივთები, ისტორიული ექსპონატები მდიდარ არქივთან ერთად ქუთაისის საეთნოგრაფიო საისტორიო საზოგადოებას გადასცა. დღეს ეს ბიბლიოთეკა და არქივი ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში არის დაცული.

კირილეს საკუთარი კუთხეც არ ჰქონდა, ყოველთვის სხვის სახლში ცხოვრობდა. ამასთან ერთად იგი უაღრესად სპეტაკი ადამიანი იყო. ამის შესახებ „Памятная записка"-ში ნათქვამია:

„რაც შეეხება თავად ლორთქიფანიძისას, მის მკაცრ ცხოვრების რეჟიმს ის მიუყვანია ასკეტიზმამდის, რომელმაც არასდროს არ იცის გადახვევა ადამიანის ზნეობიდან". კირილეს ცოლი არ ჰყოლია და ეწეოდა სრულ ასკეტურ ცხოვრებას. ამავე დროს კირილე დიდი აკურატი და მტკიცე ხასიათის იყო. მისი ხასიათის სიმტკიცე ზოგჯერ სიჯიუტეში გადადიოდა. ივ. პურადაშვილი თავის მოგონებაში კირილეს შესახებ აღნიშნავს: „ფაქიზი და ზუსტი მუშა იყო, გადაჭარბებით უყვარდა, რომ ყოველივე დროზე, კარგად და წესიერად გაკეთებულიყო... იმდენად აკურატი იყო, ყოველი ნივთი, ყოველი ქაღალდი თავის ადგილზე უნდა ყოფილიყო, მის მაგიდაზე ვერაფინ ვერ ახლებდა ხელს, რადგანაც ყველამ იცოდა მისი ხასიათი, რაიმე რომ თავის ადგილზე არ დახვედროდა დაიწყებდა ნატაციის კითხვას და ბოლოს აღარ მისცემდა... უყვარდა ბევრი ლაპარაკი არა თუ მოსამსახურეებთან, არამედ კლიენტებთან, განსაკუთრებით ვაჭრებთ ნ. მისი ლაპარაკი ამისთანა შემთხვევის დროს ხმამაღალი და ნერვიული იყო. ქუთაისში გადმოვიდა ბაკოდან

---

[1] აღსანიშნავია ისიც, რომ კირილე ლორთქიფანიძის ოჯახის საერთო მამული ბანკის ვალების გამო საჯაროდ გაყიდულა. 1898 წლის ჟურნალ „კვალის" (№ 2, გვ. 58) განცხადებაში ვკითხულობთ: „ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე-18 § ძალით ბანკის გამგეობის სადგურში ქვემოდ აღნიშნულს რიცხვში სახოგადო ვაპრობით გასყიდული იქნება ხსენებულ ბანკში დაგირავებული ქვემო მოყვანილი უძრავი მამულები შესახვედრ გადასახადთა შემოუტანლობის გამო. გაყიდვა ამავე მამულისა მოისპობა იმ შემთხვევაში, როდესაც შემოტანილი იქნება ამ მამულზე თანახმად 19 — § ბანკის გადასახადი და თან განცხადებების ხარჯი. ლორთქიფანიძეების გრიგოლი და კირილე ბეჟანის ძეთა, ბიჭელაძისა ანასტასია ბეჟანის ასულის, ერისთავისა ელისაბედი ბეჟანის ასულისა და წულუკიძისა ეფროსინე ბეჟანის ასულისა. ქუთაისის მაზრის სოფ. ბზვანს, გადიდს, ონჯოხეთს, საპაიჭაოს, ციხისუბანს და ვანს, ეხო ზვარი სახნავ სათესი და ტყე 180 დესიატინა 1855 კვ. საჟენი თავნი ვალის 13,553 მან. 33 კაპ. შეს. გად. 599 მან. 15 კაპ. სულ 4.152 მან 48 კაპ.".

ვინმე რაგოზინი, კაცი განვითარებული, ინტელიგენტი. მან გახსნა ქუთაისში მარმალადის და სხვა ტკბილეულობის ქარხანა, ბანკში საქმეების გამო ხშირად დადიოდა. ერთხელ წააწყდა მის ნერვიულ ლაპარაკს კლიენტთან. რაგოზინი მოვიდა ჩემთან და მითხრა: „Он вдавец?“ მე უთხარი: „Нет, он холостяк“, მაშინ მან თავისი დასკვნა გამოუტანა და სთქვა: „Теперь понимаю“ [1]. ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, კირილეს პრინციპულობა ხანდახან ჯიუტობაში გადადიოდა, იგივე პურადაშვილი ამბობს:

„ზოგიერთ შემთხვევაში კირილე ჯიუტიც იყო, ერთჯერ რომ იტყოდა, თავისი უნდა გაეტარებია, იმდენს ილაპარაკებდა, რომ მოწინააღმდეგეს დაღლიდა და ბოლოს და ბოლოს დაითანხმებდა“. ამის დასამტკიცებლად პურადაშვილს მოაქვს მაგალითი ქუთაისის ბანკის შენობის აგებისა, რომ ზოგჯერ კირილე ინჟინრებსაც კი არ უჯერებდა, კირილეს გეგმით კი შენობა ძლიერ ცივი გამოდგა. ცნობილია კირილეს სიჯიუტის სხვა ფაქტები. ერთხელ კირილე სოფელში მიდიოდა. მიუყვანეს თეთრი ცხენი, აკაკიც იქ იყო. აკაკის შეუხედავს თუ არა თეთრი ცხენისათვის, უთქვამს: „კირილე, შენ რომ ამ თეთრ ცხენზე შეჯდები, პირდაპირ წმინდა გიორგის დაემსგავსებიო“. კირილეს ეს ძლიერ სწყენია და აღარ წასულა, თუმცა აკაკის ბევრი უხვევწნია. სხვა თავისებურებასთან ერთად კირილეს ერთი ახირებული ჩვეულება ჰქონდა. მას სურათის გადაღება სასტიკად ეჯავრებოდა. ამის მიზეზი ერთი შემთხვევა იყო. პეტერბურგში ყოფნის დროს დედამ კირილეს სთხოვა სურათი გადაეღო და გამოეგზავნა, მაგრამ კირილემ დაპირება დედის სიცოცხლეში ვერ შეასრულა და ამის შემდეგ მას სურათი არ გადაუღია. ამის შესახებ პურადაშვილიც წერს: „სურათი არ გადაუღია და ნებასაც არავის აძლევდა, რომ მისი სურათი გადაეღოთ, თუ შეამჩნევდა რომ მისკენ ფოტო აპარატი იყო მიმართული, ჯცებ ქოლგას გაშლიდა, რომელიც თან დაჰქონდა წვიმის და მზის სიცხის წინააღმდეგ. თუმცა ფოტოგრაფმა ცხომელიძემ მოახერხა სურათის გადაღება, როდესაც ბაღში ისვენებდა“ [2].

ვიღაც ნოესადმი გაგზავნილ წერილში კირილე სურათის თაობაზე აღნიშნავს:

„რაც შეეხება ჩემს პორტრეტს, ამაზე დიდი ბოდიში უნდა მო-

---

[1] პურადაშვილის ზემოთ დასახელებული მოგონება.

[2] იქვე, გვ. 4.

ვიხადო, რადგან ჩემი პეტერბურგში ყოფნის დროს პორტრეტის აღება არ მსურს და არც ამიღია, თუ წარმოიდგენ რომ ჩემთვის ბევრს მოუცია თავისი პორტრეტი და მე შევპირებივარ მაგიერის გადახდას და გამოდის არ ამისრულებია ეს პირობა, იქნება მაშინ უსინდისოთაც ჩამთვალო, მაგრამ იმედი მაქვს ავასრულო ეს პირობა''[1].

ასევე თავისებური იყო კირილე ფსევდონიმის საკითხშიაც. მას მთელი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში არც ერთი სტატია, გამოკვლევა თუ მხატვრული ნაწარმოები გვარისა და სახელის მოწერით არ დაუბეჭდავს. ყოველთვის ფსევდონიმებით წერდა. ჯერჯერობით კირილეს შემდეგი ფსევდონიმებია მიკვლეული: თერგდალეული, თომა კარგარეთელი, ცივისელი, უცხო და კილოკავაძე. რედაქციის წევრები კირილეს საიდუმლოებას ინახავდნენ. ვაი იმას, ვინც კირილეს ამ საიდუმლოს გამოამჟღავნებდა. რედაქციის ერთ-ერთი წევრი[2], შემჩნეული ასეთ დანაშაულში, კირილეს მორიდებით სწერს:

,,შენი ფსევდონიმის გამომჟღავნებაში ვგონებ მე ვარ დამნაშავე და ამიტომ ყური მოვიშვერია და ნებას გაძლევ მომწიო. მართალი გითხრა ფსევდონიმს ჩვენში ისეთი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც შენ მწერ. მე შენ გარწმუნებ, რომ კირილე ლორთქიფანიძე, რომ მოგეწერა უფრო მეტნი წაიკითხავდნენ, რადგან კირილე ლორთქიფანიძეს უფრო ბევრი იცნობს ვიდრე კილოკავაძეს, დიაღ კირილე ჩვენში ეს საბუთია''[3].

კირილე ფსევდონიმების საიდუმლოდ შენახვას იმით ასაბუთებდა, რომ როცა ჩემს ამხანაგებს არ ეცოდინებათ ფსევდონიმით მოთავსებული სტატიის ან სხვა ნაწარმოების ნამდვილი ავტორი, მაშინ უფრო ობიექტიურად შეაფასებენ ასეთ ნაწერს და ამხანაგებისაგან მიუდგომელ კრიტიკას მოვისმენო. მაგრამ ამაზე ზემოთ დასახელებული სტატიის ავტორი კირილეს ასე უპასუხებს: ,,შენ ამბობ, რომ ჩემი ამხანაგებისაგან მხოლოდ მაშინ გავიგებდი ნამდვილსა და მიუფერებელ აზრს ჩემს სტატიაზედო, როცა იმათ ჩემი ფსევდონიმი არ ეცოდინებათო, მაგრამ ამაში არა ხართ მართალიო''[3].

ბოლოს იმასაც ეუბნებოდნენ კირილეს, რომ ფსევდონიმს ის ხმარობს, ვინც ცუდ სტატიებს წერს, რომ ამით თავისი ვინაობა

[1] იქვე, საქმე № 10.
[2] უნდა იყოს ნ. ნიკოლაძე.
[3] იქვე, საქმე № 10.

დაფაროს და მკითხველის საყვედური თვით აიცილოს და რედაქციას დააკისროსო. ეს აზრი ჩანს კირილეს ერთ-ერთი საპასუხო სტატიიდან. იგი ნ. ნიკოლაძეს ასე უპასუხებს: „შენ ცუდად გაგიგია ჩემი სიტყვები, რომელზედაც გამომითხოვა შენმა უსაფუძვლო აზრმა თუ ავტორს იმედი აქვს, რომ იმის ვინაობა აოავინ იცის და ვერც ვერავინ შეიტყობს, მაშინ ის ცუდ სტატიებს დაწერსო, და თუ იცის რომ სახელ მოუწერლად მისი სტატიის დაბეჭდვა არ შეიძლებაო, ან თავისი ვინაობის დაფარვა არ შეუძლიან, მაშინ ის კარგ სტატიებს დაწერსო. ამ აზრს შენ ამტკიცებ ვითომც კაცის ბუნებაზედ. კაცს უნდა, რომ ყოველივე ცუდი საქმე თავიდან აიცილოს და სხვას მიაწეროს და კარგი საქმე კი თვითონ მიითვისოსო. აგრე როცა მე ხანდახან კარგ სტატიას ვწერ, ჩემს სახელს გვერდით სიამოვნებით ვაცხადებ და თუ სტატია ჩემის აზრით ცუდი არის, მაშინ მე ქვევით არაფერს ვაწერ ამიტომ, რომ მრცხვენიანო. მე მოგწერე, რომ ეს აზრი უსაფუძვლოა მეთქი და შეგპირდი, რომ სახელის გამოუცხადებლობა ცუდი სტატიების წერას ვერ გამაბედვინებს მეთქი. ამითი ის მინდოდა მეთქვა, რომ ვისაც კეთილი მიზანი აქვს ის ყოველთვის ეცდება რომ შეძლებისგვარად კარგი სტატიები სწეროს მეთქი. გინდ გამოცხადდეს მისი სახელი, გინდ არა მეთქი“ [1].

ასეთი სიტყვებითაც კირილეს მაინც ვერ შეაცვლევინებ თავისი მტკიცე ჩვეულება. იგი მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის პერიოდში მაინც ფსევდონიმებით წერას განაგრძობდა. ეფიქრობ, ამის მთავარი მიზეზი კირილეს თავმდაბლობა იყო. ამითაც აიხსნება კირილე ლორთქიფანიძის სამწერლო მოღვაწეობის ნაკლები გახმაურება.

* * *

მართალია, კირილე ლორთქიფანიძე საჭურლო ასპარეზზე თერგდალეულთა ჯგუფთან ერთად გამოვიდა და მათთან ეწეოდა მოღვაწეობის ძძიმე უღელს, მაგრამ იგი 1856 წლიდან ჩამოსცილდა თერგდალეულებს და გიორგი წერეთელსა და ნიკო ნიკოლაძესთან ახალ ლიტერატურულ მიმართულებაში გაერთიანდა, რომელსაც „ახალი ახალგაზრდობა“ ეწოდებოდა. ამის შესახებ გ. წერეთელი შემდეგს აღნიშნავს: „...1866 წლიდან გამოჩნდა ახალი,

[1] იქვე. საქმე № 10. წერილი ნ. ნიკოლაძისადმი.

უფრო პროგრესული მოძრაობა ქართულ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ სფეროში. ამ დროს გამოჩნდა მ ე ო რ ე დ ა ს ი. განსაკუთრებით თავი იჩინა ამ მეორე დასმა 1869-დან — 1877-მდე. ეს დასი შეჯგუფდა და შეკავშირდა „დროება“-„კრებულის“ რედაქციაში. ამ დასის ნამდვილი წარმომადგენლები იყვნენ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, კირილე ლორთქიფანიძე და პეტრე უმიკაშვილი. ეს მეორე დასი იყო პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების მიმდევარი. ამ დასმა განუწყვეტლად იშრომა ერთად მთელი ათი წელიწადი — 1877 წლამდის. ამ მეორე დასს სულ სხვა იდეალი შეჰქონდა ცხოვრებაში და ლიტერატურაში, ვიდრე დასს ღუმანიტარულ მიმართულებისა“ [1].

პროფ. ს. ხ უ ნ დ ა ძ ი ს აზრით თერგდალეულთა თაობა თითქმის დაკმაყოფილდა რეფორმებით ,,და იგი აღარ ცდილობდა მის გაღრმავებასა და გაფართოებას დემოკრატიულ-რადიკალური პროგრამის მიმართულებით, მაგრამ ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარება ამ წერტილზე ვერ შეჩერდებოდა; ცხოვრების რეალური მოთხოვნილება უფრო რადიკალურსა და დემოკრატიული დასის მოღვაწეობას მოითხოვდა“ [2].

მართლაც კირილე ლორთქიფანიძე არ დაკმაყოფილდა თერგდალეულების საზოგმედო პროგრამით და უფრო რადიკალურ ბანაკში გადავიდა. იგი სასტიკი მტერი იყო რეფორმის შედეგად დარჩენილი ფეოდალიზმის ნაშთებისა და კაპიტალიზმის თავისებურ განვითარებას ხელს უწყობდა. იგი საბოლოოდ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკურ პოზიციაზე დარჩა. უკანასკნელად, ღრმა მოხუცებული, ბევრი შრომისაგან მოტეხილი კირილე ლორთქიფანიძე, 79 წლის ასაკში, 1918 წელს გარდაიცვალა ქუთაისში. დაკრძალულია ბაგრატის ტაძრის ეზოში სხვა ქართველ მოღვაწეთა შორის.

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი. პუბლიცისტური წარილები, ტ. I, გვ. XXX, MCMXXXI.
[2] იქვე, გვ. XXIX-XXX.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1948.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VIII, 1948.

ქეთევან სანიკიძე

ახალი მასალები ბესიკის შესახებ*

ბესიკის — ბესარიონ გაბაშვილის — ცხოვრება-მოღვაწეობისა და შემოქმედების შესახებ დღემდე ბევრი დაწერილა[1], მაგრამ ჯერ კიდევ მრავალი საკითხია გაურკვეველი მასალათა სიმცირის გამო. განსაკუთრებით შეუსწავლელია ბესიკის იმერეთში მოღვაწეობის ხანა. ამიტომ ამ დროსთან დაკავშირებული ყოველი წვრილმანიც ყურადღების ღირსია.

ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს ოთხი ხელნაწერი, რომლებიც ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმშია დაცული და უშუალოდ ბესიკის იმერეთში ცხოვრებას უკავშირდება. ორი მათგანი ავტოგრაფია და სიგელებს წარმოადგენს.

I ავტოგრაფი № 821 წყალობის წიგნია, იმერთა მეფის დავითის მიერ აზნაურ კიკნაძეებისადმი ერთგული სამსახურისათვის ნაბოძები, რომელიც შემდეგნაირად მთავრდება: „მე მდივანს გაბაშვილს ბესარიონს დამიწერია და მოწამეცა ვარ. მაისს ა [1] ქ[რისტ]ეს აქათ ჩღპე [1785] წელსა". საბუთს უზის იმერთა მეფის დავითის ბეჭედი.

II ავტოგრაფი № 129 შეწირულების წიგნია. იმერთა მეფე დავითი და თანამეცხედრე მისი დედუფალთ დედუფალი ანა ორბელიანის ასული „სულისა და ხორცის საოხად" შეწირულების წიგნს აძლევენ ილორის წმ. გიორგის ეკლესიას, ძველი შეწირულების წიგნის საფუძველზე. აღნიშნული საბუთის დასასრულს ნათქვამია:

---

* წაკითხული იყო მოხსენებად პედინსტიტუტის XII სამეცნიერო სესიაზე 1948 წლის 27 თებერვალს.

[1] ბესიკი, თხზულებათა კრებული ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, თბ., 1932; კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, ტ. II, თბ., 1941; ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტ. ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1940; გ. ლეონიძე, ბესიკი, ლიტერატურის მატიანე, № 3-4, თბ. 1942.

„უმაღლესისა ბრძანებითა მე ყ[ოველა]დ უმდაბლესსა მონასა მეფისასა მდივანთუხუცესს გაბაშვილს ბესარიონს დამიწერიან ხელითა ჩემითა განსაძლიერებლად კეთილად მსახურისა და უმაღლესისა მეფისა ჩემისა. თვესა ნოემბერსა ოცდაერთსა ქ[რისტ]ეს აქათ ჩლპე [1785] დღესა შაბათს". საბუთს სამი ბეჭედი უზის. ერთი მათ შორის მეფე დავითის არის.

ზემოხსენებული საბუთები გარდა იმისა რომ ავტოგრაფებია[1], სხვა მხრივაც საყურადღებოა: ორივე დაწერილია იმერეთს 1785 წლის მაისისა და ნოემბრის თვეებში. საბუთებში მოხსენებულია ამ დროის სასახლის წარჩინებული ფეოდალები და გაელენიანი სასულიერო პირები, მაგალითად: შოშიტა ქსნის ერისთავის ელიზბარის შვილი, ქაიხოსრო აგიაშვილი, სვიმონ და ზაალ აბაშიძეები, ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი, გენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმი და მთავარ ეპისკოპოსი ანტონი. აქვე გაკვრით მოცემულია საყურადღებო ისტორიული ცნობები. შეწირულების საბუთებში ჩამოთვლილია გვარები, იღორის წმ. გიორგიის ეკლესიისადმი შეწირულნი, ხონისა და კუხის მცხოვრები გლეხებისა. ამავე საბუთში ნათქვამია: ეკლესიისადმი „შეწირული ყმანიც ავთა ჟამთა შეხდომით საოხროდ და უპატიოდ გაეხადათ"..., ხოლო „...შეწირულნი გლეხნი, სხვათაგან იმსახურებოდენ"... ავტორი საბუთის შედგენისას იმოწმებს წინა მეფეების მიერ გაცემულ საბუთებს. „ვითარ აცხადებდა წერილი შენაწირი დიდისა მეფისა ალექსანდრესი, და მეორისა მეფისა ალექსანდრესიცა და კუალად სხვაი კურთხეულისა და ძლიერისა მეფისა სოლომონისიო"... აქვე ჩამოთვლილია სხვადასხვა სახის საგლეხო, გადასახადები და სხვათაშორის აღნიშნულია: „...ავის დროსა და უსამართლოებისაგან დიდის მეფის ალექსანდრეს ამოკვეთილი სახვანთქრო საური მრავალჯერ გარდახდოდათ და რთმეოდათ და აწ ჩვენ მიერ არა ოდესღა ეთხოვოს და არცა გარდახდეს და ყოველითურთ სამსახურით შენს წმ. ხატს მსახურებდენ"..., როგორც ვხედავთ, საბუთს ისტორიულად მნიშვნელოვანი და ერთგვარი დამადასტურებელი ცნობებიც შემოუნახავს XVII-XVIII საუკუნეების იმერეთის სამეფოს შესახებ, როდესაც დაცემის გზაზე მდგარი იმერთა მეფეების უფლებები დაუძლურდა; მხოლოდ ოსმალთა მხარდაჭერით გაძლიერებული ფეოდალები სამეფო ყმა-მამულებს ისა-

[1] ბესიკის ავტოგრაფები მცირედი რაოდენობით მოღწეულა ჩვენამდე. იხ. ბესიკი, თხზ. კრებული.

კუთრებდნენ, საეკლესიო ადგილ-მამულებს ითვისებდნენ და გლეხობას აუტანელ მდგომარეობაში აყენებდნენ[1].

III საბუთი № 1418 წარმოადგენს დავით მეფის წერილს (იხ. დამატება), ბესარიონ გაბაშვილისადმი მიწერილს, როდესაც ის წარგზავნილი იყო რუსეთს დესპანად საგანგებო დიპლომატიური მისიით. მოხსენებული წერილი დათარიღებულია 1789 წლის პირველი მაისით. წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ ბესიკი კარგა ხნის წასულია. ამიტომ შეწუხებული მეფე სწერს: „...ამდენს ხანს შენი ამბავი რატომ არაფერი მოგიწერია"... ღმობიერი საყვედურით მიმართავს: „...მგზავრი კაცი როგორ დაილევა, რომ ერთი წიგნი არ გამოგვიგზავნე და შენი ამბავი არაფერი გვაცოდინეო"... საგულისხმოა აგრეთვე მდივანბეგის მინაწერიც: „...ჩვენ გვეცინოდი მაგრამ თქვენ უფრო დიდი ხანი დაიგვიანეთ"... მეფე შეწუხებულია მათი ბედით და ბესიკს დაბრუნებას ურჩევს, რადგან „ამდენი ხნის მოცილება კმარს"... შეიძლება, როგორც ზ. ჭიჭინაძე გადმოგვცემს, ბესიკი და მისი ამალა მართლაც „ტყვედ" იმყოფებოდნენ „ყირიმელებში"[2] და ამიტომაც დაუგვიანდა მეფესთან ამბის შეთვლა. ცნობილია, რომ მისია ბესიკის მეთაურობით ჯერ პეტერბურგს (ლენინგრადს) მივიდა, იქიდან ქ. კრემენჩუგში გადმოვიდა, 1788 წლის 17 სექტემბერს ბესიკი მირიან ბატონიშვილთან იმყოფება სადილზე[3]. ქ. კრემენჩუგიდან მისა მიჰყვება პატიომკინის ბანაკს ქ. იასში. იქ 1791 წლის 24-25 იანვარს გარდაიცვალა მისიის მეთაური ბესიკი და მისი ხელმძღვანელობა ბესიკის ბიძაშვილმა სვიმონ გაბაშვილმა იტვირთა.

ისმება კითხვა, როდის გაემგზავრა იმერთა დიპლომატიური მისია რუსეთისაკენ?

აღნიშნული საკითხის გარკვევისათვის ჩვენ დაგვეხმარება პროფ. ალექსანდრე ბარამიძის მიერ გამოქვეყნებულ წერილში „ბესიკის ვაჟშვილო" მოტანილი ბესიკის ბიძაშვილის სვიმონ გაბაშვილის „მოხსენებითი ბარათი" ღრაფ ალექსანდრე ანდრიას-ძე ბეზბოროდ-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1946, გვ. 352-355.

[2] ზ. ჭიჭინაძის ცნობით ბესიკსა და თავის მისიას „რუსეთში მოგზაურობის დროს ყირიმისაკენ მოსვლიათ მგზავრობა. ყირიმელებში ესენი ტყვედ ჩავარდნილან, მაგრამ ბოლოს განთავისუფლებულან". (ზ. ჭიჭინაძე, ლექსნი, თქმულნი ბესარიონ გაბაშვილისაგან, თბ., 1885, გვ. 10).

[3] ალ. ბარამიძე, ნარკვევები, ტ. II, გვ. 419.

კოსადმი, რომელიც საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხს ხელმძღვანელობდა პოტიომკინის გარდაცვალების შემდეგ. ბარათში ნათქვამია: ,,ორ წელიწად შემდგომად'' ბესარიონის წარგზავნისა ,,მეფე იმერეთისა გამოსცვალეს'' და ტახტზე ავიდა დავითის ნაცვლად სოლომონ მეორე და სხვა[1]. როგორც ვხედავთ, დავით მეფის 1789 წლის 1 მაისის წერილიდანაც ჩანს, რომ ბესიკი კარგა ხნის წასულია იმერეთიდან. ამასთანავე ისტორიულად ცნობილია, რომ სოლომონ II 1789 წლის მიწურულში გამეფდა. სვიმონ გაბაშვილის ცნობით, სოლომონ მეორის გამეფება ბესარიონის გამგზავრების ორი წლის შემდეგ მომხდარა. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმერთა დიპლომატიური მისია, ბესიკის მეთაურობით, 1786 წლის ბოლოსა თუ 1787 წლის დამდეგს უნდა გამგზავრებულიყო რუსეთისაკენ.

IV საბუთი № 580 ხელნაწერი[2] მივაკვლიეთ XIX საუკუნის ქუთაისელი მწიგნობრის პავლე კონსტანტინეს-ძე თუმანიშვილის არქივში. ხელნაწერი თაბახზე დაწერილ ლექსთა კრებულს წარმოადგენს. მას თავ-ბოლო აკლია. იგი ჩვენი პაგინაციით 32 ფურცელს შეიცავს. კრებული გადაწერილი უნდა იყოს არა უადრეს XIX საუკუნის 50-იანი წლებისა და შიგ ცნობილი და უცნობი ავტორების 67 ლექსია მოთავსებული. ლექსთა შორის 8 ბესიკს ეკუთვნის. 5 მათგანი დაბეჭდილია, 3 კი — უცნობი. ბესიკის ლექსების ბოლოს ყველგან მიწერილია ,,ბესიკის თქმული''.

ლექსები სატრფიალო ხასიათისაა და ამასთანავე გადმოგვცემენ პოეტის ლირიკულ განცდებს ,,ყარიბობაში'' ყოფნის დროს. ლექსში ,,მზემ განრისხებით განმაშორა'' პოეტი სწყევლის ოავის გაჩენის დღეს.

,,დავწყევლე დღენი შობისანი, ვიწვი დაგული'' .. და უსაყვედურებს ბედის უკუღმართობას.

,,მე ეტლმან ჩემმან, სხუა პატიჟთა, არ დამაჯერა, დამსვა მტირალი, სიკუდილს ვიწვევ — ველი ასერა''. შემდეგი ორი ლექსი: ,,არხევს ტანსა'' და ,,ქუფრ დრომონნი'' გამწყრალისა მაგრამ მშვენიერი სატრფოსადმი ხოტბასა და მუდარას წარმოადგენს. ისინი სტილითა და ლექსიკით ბესიკისეულია, ,,ყარიბობაშია'' დაწერილი და ქუთათურ ხელნაწერში შემონახულა (იხ. დამატება).

ამრიგად, წარმოდგენილი საარქივო მასალა უეჭველად მნიშვნე-

---

[1] თბ. უნივერსიტეტის შრომები, 1936, ტ. I, გვ. 153.

[2] ხელნაწერი № 580 სხვა მხრივაც საყურადღებოა. იხ. დამატება.

ლოვანია ბესიკის იმერეთში ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლისათვის:

ა) მცირე რაოდენობით მოღწეულ ბესიკის ავტოგრაფებს ემატება კიდევ ორი ახალი ავტოგრაფი.

ბ) მიკვლეულია იმერთა დიპლომატიური მისიის რუსეთს გამგზავრების თარიღი.

გ) ბესიკის შემოქმედების საგანძურს ემატება სამი ახალი ლექსი.

დ ა მ ა ტ ე ბ ა [1]

I, № 821.

ქ. წყალობითა ყოვლად სახიერისა და ბუნებით მოწყალისა ღ[ვთ]ისათა ჩვენ მღუთუ დამყარებულმან იმერთა ზედა და თვით მფლობელმან. მეფემან დავითიანმან დავით ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ თქვენ ჩვენთა ერთგულთა აზნაურთა კიკნაძეს პაპუჩას შვილს ხოსიას და კიკნაძეს გიორგის შვილს ხოსიას და კიკნაძეს ბერის-შვილს ზაუსტას ესრეთ და ესე ვითარად რომ მოხვედი და გვევედრენით. შე[გი]წყალეთ და გიბოძეთ. რაც სადმე თქვენი სა[მ]კვიდრო გლეხი იყოს ან ნაყიდი ან გირაო ამაში თქვენთან სიტყვა აღარა ვის ჰქონდეს თქვენთვის გვიბოძებია თუ თქვენ ჩვენნი ერთგულნი იყვნეთ და ჩვენი გერჩიოსთ სხვას მებატონეს გქონდესთ და გიბედნიეროსთ ღ[მერ]თ[მა]ნ. ჩვენსა ერთგულებასა და სამსახურსა შინა და თუ ამაებში მოდავე ვინმე გამოჩნდეს. სამართალი არც თქვენ დაუჭიროთ, აწ არიან გამრიგენი და თანა მოწამენი ჩვენნი თავადნი. ჩვენი სიძე ქსნის ერისთავის ძე ელისბარ ერისთვის შვილი შოშიტა. აგიაშვილი ქაიხოსრო. აბაშიძე სვიმონ. აბაშიძე ზაალ და სხვანი ყოველნიე საჩინონი კარისა ჩვენისანი. და მე მდივანს გაბაშვილს ბესარიონს დამიწერია და მოწამეცა ვარ. მაისს ა. ქ[რისტ]ეს აქათ ჩლპე [1785].

მეფე იმერეთისა
დავით

II, № 129.

შენ ქრისტეს მღუთისა სიტყვიერისა ენახისა შვენიერსა რქასა შვიდ გზის უძლეველსა დიდსა მოწამესა ქრისტესსა, ილორისა მთავარ მოწამესა, გიორგის, ჩვენ მადლთა შენთა წმიდათა შეურყევე-

[1] ხელნაწერთა ორთოგრაფია უცვლელია. ქარაგმები გახსნილია სტამბური ნიშნის უქონლობის გამო.

ლად სასაობისა ზედა დასდებელმან, და მიმდემად შეწევნისა შენისა მეძიებელმან მეფემან ყოელისა საიმერეთოისამან დავითიანმან დავით თანად ერთხორც ქმნილისა ჩვენთანა დედუფალთ დედუფლისა ანნა ორბელ ყაფლანიითა. უბრწყინუალესისა ასულით ვიგულმოდგინეთ, სულთა და ხორცთა ჩვენთა საოხად. საძიებელი საქმე ესე რომელიცა უწინარეს კურთხეულსა დიდსა მეფესა ალექსანდრეს სათნო ყოფითა და კეთილ სინდისითა თვისითა. ხონს ჰავჭიანიძეები სახვნთქროს საურისაგან შენნი ყმანი თავის უფალ ექმნა და დღეთა და დროთა სიგრძისაგან. შენდა შემოწირულნი ყმანიც ავთა ჟამთა შეხდომით საოხროდ და უპატიოდ გაეხადათ და შეწირულობის წიგნებიც სიძველითა შეშლილი და გახრწნილ იყვნეს. ეგრეთვე კუხს მოსახლენი შენდა შეწირულნი გლეხნი, სხვათაგან იმსახურებოდენ და შინსა წმიდასა ეკლესიისა მოკლებულ ჰყავდენ: აწ მინდობილთა სახელისა შენისა წმინდისათა დიდო მხედარო მღუთისაო გიორგი, მრავალ ძიებით და სამართლად გამოკვლევით ყოველნივე ყმანი შენნი მოკითხულ ვყვენით, და ერთად შევკრიბენით ხონს წმიდასა ეკლესიისა მოსრულთა და თითოეულად სახელდებით აღგიწერეთ, მსახურად ილორის ეკლესიად, და ამასთანა ძველნი წერილნი მეფეთანი შევამოწმენით. ვითარ აცხადებდა წერილი შენაწირი, დიდისა მეფისა ალექსანდრესი. და მეორისა მეფისა ალექსანდრესიცა და კვალად სხვაი კურთხეულისა და ძლიერისა მეფისა სოლომონისი. რომელთაცა სიმართლით და სამართლად ასევე დაემტკიცებინათ გარნა, უზრუნველობითა და უპატიობითა ფ[რია]დ დაძველებულ იყვნეს მეფეთა წერილნი ხ[ოლო] ჩვენ წყალობათა შენთა და შეწევნათა სხისა მთხოველთა. ჩვენცა ესრეთვე ვითნენით და ესრეთ განვაგეთ და ესრეთ კეთილ განრჩევით დავამტკიცეთ პირველვე ესრეთ შეწირულნი ყმანი შენი: ხონს მოსახლე გლეხი ჰამჭიანიძე კაკურია. მეორე გლეხი ხონს ჰამჭიანიძე ივანა: მესამე გლეხი ხონს ჰამჭიანიძე დავითა: მეოთხე გლეხი ხონს ჰამჭიანიძე სვიმონიკა: მეხუთე გლეხი ხონს ჰამჭიანიძე ხუცესი სვიმონ: მეექვსე გლეხი ხონს ჰამჭიანიძე მოგელივი: მეშვიდე გლეხი ხონს ჰავჭიანიძე სვიმონიკა. მერვე გლეხი ხონს ჰავჭიანიძე გიორგი: მეცხრე გლეხი ხონს ჰავჭიანიძე სვიმონიკა: მეათე გლეხი ხონს ჰავჭიანიძე გიორგი: მეათერთმეტე გლეხი ხონს ჰავჭიანიძე მოგელია: მეათორმეტე გლეხი ხონს ჰავჭიანიძე მამისთვალი: და მეათცამეტე გლეხი ხონს ჰამჭიანიძე გიორგელა:: ამას გარდა კუხს მოსახლე ერთი გლეხ[ი] კაკაბაძე მამისთვალი: მეორე გლეხი კუხს კაკაბაძე ხვიჩარე: მესამე

გლეხი კუხს მოსახლე [. . . . .] რგი: მეოთხე გლეჩი კაკაბაძე კუხს მოსახლე მაშისთვალა. და მეხუთე გლეხი კუხს მოსახლე კაკაბაძე მახაროზელ ესენი ერთობით გამოვიძიეთ და კ[ვალა]დ ვანგვიახლებია. ამ პირობით რომ[ელიცა] სამეფო საქვეყნოს სამსახურს გარდა რაც ბეგარა ან საუდიერო მართებოდესთ შენაწირავის დავთ[რის]აებრ. ილორის წმიდის გიორგის ეკლესიისა და ხატს მიერთმეოდეს უნაკლულოდ. ასე რომ სხვას ხელი ამაში არავის ჭონდეს. მეორედ ესრეთ რომ ავის დროსა და უსამართლოებისაგან დიდის მეფის ალექსანდრეს ამოკვეთილი სახვანთჭრო საური მრავალჯერ გარდახდოდათ და რთმეოდათ და აწ ჩვენ მიერ არა ოდეს[ღა] ეთხოვოს და არცა გარდახდეს და ყოველითურთ სამსახურით შენს წმიდას ხატს მსახურებდენ, და შენსა წმიდასა ეკლესიასა შინა ყოველსა წელიწადსა შენსა წმიდას დღესასწაულობას დღეს ჩვენთა სულთა და ხორცთათვის ჟამს გვიწირვიდენ და მოგვიხსენიებდენ წინაშე ხატისა შენისა წმიდისა რ[ამეთუ] ყოველივე სასოებაი ჩვენი შენდამი დამოკიდებულ არს და შენითა ძლიერებითა დავსთრგუნავთ მტერთა ხილვადთა და უხილავთა: ამიერითგან ნუმცაღა ვინმე იკადრებენ მეფენი გინა დედოფალნი ნუ უფლის წულნი და ნუცა მთავარნი კადრებად დაშლად ამისსა. რ[ათა] დიდი შემწე არს მეფეთა და მსახებელთა თვისთა: და სხუათა მეფეთა და პირველ ჩვენსა ყოფილთა პატრონთაცა ესრეთვე დაუმტკიცებიათ და ესრეთ განუგიათ. ხოლო უკეთუ არა რიდოს ვინმე და იკადროსმცა ხელყოფად და შეშლად ამისსა. იყავნ კაცი იგი გინა მდედრი ქრისტეს სიტყვიერისა ვენახისაგან უცხო ქმნილ და მოკვეთილ და შენმან ძლიერმან ხელმან დიდო მოწამეო ქრისტესო დააკვეთენმცა მასვე წამსა შინა პირდამართ მიწასა ზედან და ღრმამან დანახეთქმან შთანთქენინ ხორცნი მისნი და სჯულნი, და ჩვენთა ბრალთა წილმცა დასაჯნინ შენმან მაცხოვარმან დღესა მას საშინელსა სამსჯავროისასა. ჰოი ქ[რისტ]ეს მღუთისა ჩვენისა მთავარ მოწამეო გიორგი: და რომელთაცა ესრეთ დაამტკიცონ და ყოველი ამას შინა წერილი ესრეთ ჩვენებრივ აღასრულონ. შემწე ეყავნ მათ ძლიერი მარჯვენე შენი და დაიცვენ შვიდ გზის უძლეველითა მკლავითა შენითა ყოველსა შინა ძვრასა და დაწუნარებასა ამინ: აწ არიან მოწამედ ამისსა. ღმერთი და ყოველნი სათნონი მღუთისანი. და კვალად ჩვენნი სასონ წმინდანი და ყ[ოვლა]დ სამღუდელონი. უფალი ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს. გაენათელ მიტროპოლიტი უფალი ეფთიმი და მთავარ ეპისკოპოსი უფალი ანტონი: და ამათანა სამღუდელონიცა დასნი,

კ[უალა]დ მოწამედ არიან ყოველნი დიდებულნი თავადნი და სარდალ მოურავნი ჩვენისა ამის ქვეყნისანი. რომელთა თანა უმაღლესისა ბრძანებითა მე ყ[ოვლა]დ უმდაბლესსა მონასა მეფისასა მდივანთ უხუცესს გაბაშვილს ბესარიონს დამიწერიან ხელითა ჩემითა განსაძლიერებლად კეთილად მსახურისა დ უმაღლესისა მეფისა ჩემისა თვესა ნოემბრისა ოცდაერთსა. ქ[რისტ]ეს აქათ ჩღპე [1785] დღესა შაბათსა.

ა. ბ. | მეფე იმერეთისა დავით | ა. ბ.

III, № 1418.

ქ[რისტ]ე აღდგა

ბესარიონ!

ქ. ს[რულია]დ საიმერეთოს მეფე დავითის მარად კეთილ საგონისო ძმაკნიაზ მდივანო გაბაონელო მრავალი მოკითხვა და უენდ სუფევის სიხარული მომიხსენებია. მერმეთ ჩვენს ამბავს იკითხავ ღთის ნებით როგორც შენ გიამება ჩვენდა ჩვენი ქვეყანა ისე მშვიდობით და უჭირველათ ვიმყოფებით. ამდენს ხანს შენი ამბავი რატომ არაფერი მოგვწერე. მგზავრი კაცი როგორ დაილევა რომ ერთი წიგნი არ გამოგვიგზავნე და შენი ამბავი არაფერი გვაცოდინე. ღთის ნებით თუ მშვიდობით და უჭირველათ იყო შენი ამბავი ყველაფერი წიგნით გვაცნობე და შენი წამოსვლაც სჯობს. თუ ღთის ნება იქმნეს წამოდი ნუღარ დაიყოვნი. ამდენი ხნის მოცილება კმარს. პეტრე თეკლოის რომელიც ლინიაზედ იმყოფება ჩვენთვის წიგნი მოეწერა. ყ[ოვლა]დ მოწყალე ხელმწიფის გამარჯვება და ციხეების აღება ეხარებინა. მის უკეთეს სასიხარულოს რას ვისმენდით. ღ[მერ]თ[მა]ნ მათი ხელმწიფობა უმეტესად აღამაღლოს მრავალს წელს. მათი გამარჯვება და მოწყალება ჩვენ ნუ მოგვაკლოს. შენი მშვიდობის ამბავი ყოვლის ფერი წიგნათ მოგვწერე. ქ[რორონი]კნს. ჩლპთ [1789] მაისსა.

იმერეთის მეფე დავით

ქ. მდივანბეგი დავით მრავალს მოკითხვას და ადრე ხილვის ნატრას მოგახსენებ. ჩვენ გვეცინოდი მაგრამ თქვენ უფრო დიდი ხანი დაიგვიანეთ.

III, № 580.

* * *

მზემ განრისხებით განმაშორა მითხრა: წარვედა.
დაჭკოდა გული, აწ არ მინდა, სიტყვა მწარედა.
ესრეთ დასჯილი ვიღამ მკურნოს, გულს ვიარე და
ვედრებ მაღირსოს, სასალბუნოდ თვისი არედა.
მე იგი მომკლამს, რა ვიხილო კარნი დახშული.

დაბინდნენ თვალნი, ცრემლის ღვრითა, დღეს ვზი მწარესა.
ჰო! ვითღა უძლო, ვერ მჭვრეტელმან, მე მის არესა
შეკრბენ ჯალათნი, გარს მომერტყნენ ხედან მჯარესა,
არ განიკითხეს, მყის მესივნენ, გულს მისარესა,
დავწყევლე დღენი შობისანი, ვიწვი დაგული.

დახედე, გრძნობამ ვით მიმუხთლა, რა მყო ასერა.
მზე განმირისხა, ისარი მკრა, გული ასერა.
მე ეტლმან ჩემმან, სხუა პატიჟთა არ დამაჯერა
დამსვა მტირალი, სიკუდილს ვიწვევ — ველი ასერა.
მცირედს სიცოცხლე მიენდობის იქმნას ტანჯული.

თ ე ჯ ლ ი ზ ი

არხევ ტანსა, გულწამტანსა სარულად.
უცხოდ გშვენის არე არედ აარე.
მიჯნუნს შეუქმ სიცოცხლესა სარულად.
ამად სახე მათ მნათობთა აარე.

ბაგე ლალობს, ბალახშისა სადარნი.
ღაწვთა ვარდნი გარდაგშლიან სადარნი
დახე შენთვის ხელნი საკუდად სადარნი.
ჰხმობენ მისსა უმჯობესი აარე.

ძოწის მჯობმან, ბალახშისა დალალმან
უწყალოსა სიკუდილისა დალალმან
დახე გული მძაფრად დაწვა დალალმან
რასა ჰყოვნი. არ მასმინო აარე.

შენით მჭროლვენ სურნელების არავნი
სულსა მპარვენ, მაგრამ სხუათა არავნი.
შენ წინაშე მე მიქმნია არავნი
დრო არს ზავის მოციქულნი აარე.

მსგავსად მზისა, სოფლად შუქთა ნაარო.
რად არა ჰსჯობს, მე შენს არეს მაარო
სხიენი მდიდრად ჩემს გულს ნაზად მაარო
სიცოცხლის კარს, გლახ ყარიბი აარე.

თ ა ხ მ ი ს ი

ქუფრ დრომონნი, ლურჯთა ზღუათა მაარნი.
გლოვა სრულნი, სისხლის ცრემლ დაუფარნი.
რებენ ნაზნი, შავად შემოსად მკმარნი.
სჭმუნვენ ტკბილ გვარ, ტრფიალთა დამამწარნი.

ვარდსა ნამვენ, დასაზრობლად არ მრიდნი.
ღრუბელს ჰფარვენ, კრთოლვარ მნათობნი შვიდნი.
თალხად ჰსჩანან, წყნარნი გონება მშვიდნი.
ამად დახშეს მჭურეტად წყალობის კარნი.

ბრალ არს ლალნი, დაემზადნენ ჭარვათა
ძოწ ბალახშნი, შეიქმოდეს ფარვათა
ჭირებს მიმცემ, ვფუცავ ასთა არვათა.
გბრალდე დამთქმენ, ქვე უფსკრულს ცრემლთა ღვარნი.

ჟამნი ტკბილნი, ტაროსი გვაქვს ამონნი.
სვეს კეთილად უცურვიან ნამონი
რა არს ჰმუნვა შუქებ დასაღამონი
შორს განხადე, გლახ გულთა შემაზარნი.

გლოვას მიეც, სიხარულის პკურება.
ქუფრ თალხობას, უქმენ ნათლის სხურება
რომელიც გულს უზომოდ ეწყურება.
მაშინ ყარიბს დღე ესხნეს მდიდრად მტკბარნი.

გარდა ზემომოტანილი ლექსებისა ხელნაწერი № 580, მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლია. მასში მოიპოვება ბევრი ცნობილი და უცნობი პოეტის ლექსები. აქ თანმიმდევრობით ვპოულობთ მათს სახელწოდებებსა და დასაწყის სტრიქონებს. ზოგიერთი ლექსის ბოლოს ავტორი არ არის აღნიშნული.

თ ე ჯ ლ ი შ ი

გვ. 1 r შავ გლახ გულო, ვისთვის ი[წვ]ი მუდამით.
მიჯნურთ ეშხი, ესოდენს ხანს რიდებით...

ბესიკის თქმული

დუგეითის ხმაზედ

ჰსძგერს გლახ გული საყვარელო,
მდოდე შენს უწყალავს თმენას
ჰსცემს სურვილი, წამთა ხშირად
მაგრამ აგრძნობს ვისა სმენას...

ალექსანდრე ჰავჰავაძისაგან თ ..

* * *

გვ. 1 v ესე ხელთ ხლება, მონება[1],
ხელი ვჰყავ კალამს, ვიწყე ქება...

დავით ბატონიშვილისაგან თქმული

თ ე ჯ ლ ი შ ი

გვ. 2 r კაეშანს მოუცავს ჩემი გონება.
ნისლი მოჰფარვია ღრუბლით დაგული...

იოსებ ნაცვლის თქმული

თ ე ჯ ლ ი შ ი

გვ. 2 v დამლაშქრა სევდის ღაშქარმან ასეა.
მიმტაცა ნათელი საამოს დღისა,

იოსებ ნაცვლის თქმული

[1] შესწორებულია სხვა ხელით: მომეც ნება.

ბოტის ალბუის ხმაზედ

გვ. 3 r ესურს დიანავ გიამბო ჩემი ცეცხლთა დებანი.
ღმერთა სიყვარულისავ, მომეც მოთმინებანი...
ოთარ ქობულოვის თქმული

მუხამბაზი

გვ. 3 v ჱე მოყვარეო, ზილფ ნარეო, ნარღიონ გველო.
გულ-ბროლ სადაფო, ხატიფ სწრაფო, ლერწამო წელო,
დავით რეკტორისაგან[1] თქ...

მუხტაზადი

გვ. 4 r ტანო ტანტანო, გულწამტანო, უცხო მარებო.
ზილფო კავებო, მომკლავებო, ვერ სავარებო
ბესიკის თქ...

თეჯლიში

გვ. 4 v რად ამ უბედურს მხვედრსა შევესწარ
ოდეს ოხვრად დამშთა, ჩემს მტილს იანი.
დავით ბატონიშვილის თქ...

ჰე უწყალოს სოფლის ხმაზედ

გვ. 5 r ჰე მუხთალო სოფელო, რად მიჩინე მწველია.
რა გინდების ამ ტანჯვით, თუმცა შემქმენ ხელია...
გრიგოლ თუმანოვის თქ...

თეჯლიში

გვ. 5 v რო მთოვარე დამესხა თუალთა წინაშე,
დამატდა თვალთ ცრემლი ნავად დანათა...
დავით ბატონიშვილის თქ...

---

[1] დედანშია ლეკტორისაგან.

თ ა ხ მ ი ს ი

გვ. 5 v ქმუნვის ბაღ ნაროვანთა, იწყეს პირ ვარდთა ხებული.
მცველნი შემომხუდნენ მეტყოდნენ, წარბ შეჭმით ისარ ხებული...

იოანე სარდალისაგან თქ...

მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი

გვ. 6 r დაჰკოდს ისარნი, და ლახვარნი ეშხით პყრობილ გულსა.
ორპირად მჭრელნი, სისხლად მღურელნი, დაიჩნევს წყლულსა...

* * *

გვ. 7 r ახ მარადო, მარადო, რა შენ ჩემგნით წახველი.
ვიცი უცილოდ ძომკლავს შენი ჯავრი ნაღველი...

გ. ყ. და იასე ერისთავისაგან თქმული

რ ა ს ტ ი ს გ უ შ ა

გვ. 7 v ბუნდოვანო გულს შენ აღმიჩნდი და არადა:
აწ არ უწყი რად გამწირე და რადა...

იოსებ ნაცვლის შვილისაგან თქ...

დ ი ვ ა ნ ი ს ხ მ ა ზ ე დ

გვ. 8 r ჰოი! საყვარელო ნუ დამწვამ მე მძაფრისა ალითა.
გლახ ღაწვთა ზედან ვიშიშე, ლალის მკრთოლვარებასა...

მდივან გრიგოლ თუმანოვისაგან თქ...

* * *

გვ. 8 v ჰოი გაბადრულო მთვარევ,
ბნელსა ვზი მომეხმარე...

* * *

გვ. 9 r ჰკვიანო ნუ შვრები ყბედვით.
შეხ წინ ვერ წახვალ გაბედვით...

ალ. ჰავჰავაძის თქმული

9. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1948.

თ ე ჯ ლ ი ო ი

გვ. 9 v შავნი შაშვნი შაეს გალიას შემსხდარნი
ტურფად მსხმობნი, ხმა ყარიბად მსტვინავნი...
ბესიკის თქ...

თ უ რ ქ ი ს გ ა ფ ი

გვ. 10 r ეშყისა ზღუასა რას, მიველ ნაპირა'ს -ვუი -ვუი.
უცილოდ შვებასა ჩემსა ვგონებდი...
გრიგოლ თუმანოვისაგან თქ...

თ ე ჯ ლ ი ო ი

გვ. 10 v ოდეს გული შენგან ბმული ისაჯა.
უწყი შენთვის ესრეთ ვისამარება...

უ ს ა მ ა რ თ ლ ო ბ ა მ ო მ ა დ ღ ა ს ხ მ ა ზ ე დ

იწყე ქებანი გლახ გული, წარმოსთქვი სევდა ხშირები.
დაგკარგე უძვირფასესო, ჩემგან ვით მოიპოები...
იასე ერისთავისაგან თქ...

მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი

გვ. 11 r შეყრილან ერთად მკრთოლვარენი უხადო მნათნი.
ვარდი ხამბახთა ნამკნახავნი და გიშრის სათნი...
რეკტორის თქ...

კ ა ჯ ა რ ბ ი ა თ ი ს ხ მ ა ზ ე დ

გვ. 11 v ვგლოვ პირ მთოვარეც შენს სიშორეესა.
დაგკარგე ჟამნი შენთან შვებისა...
შალვა ჩიქლაძისაგან თქ...

მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი

გვ. 12 r ცეცხლი მოედოს ვინც რომ ენდოს ლამაზსა ქალსა.
თვსსა ტრფიალსა არ დაუღევს სახმილის ალსა...
იასე ერისთავისაგან თქ...

თახმისის ხმაზედ

ერთხელ მეც ვიყავ ბედნიერ, მეც მიყვარდა მეც ვტკბებოდი.
ჰე დღეო სიხარულისავ ესრეთ მსწრაფლად სად წახვედი...

გიგოლა ქარელისაგან თქ...

ყაჯარ გაიათის ხმა

ვე. 12 v ვგლოვ პირ მთვარევ, შენს სიშორესა.
დაეკარგე ჟამნი შენთან შვებისა...

* * *

გული ოხრავს და გეტრფის, შენ, შენ, ჰოი! ჰოი!
ვიშ, ვიშ, სულო, სულო.
ვიტანჯვი ეშყით პყრობილი შენთჳსა...

ოთარ ჭობულოვისაგან თქ...

* * *

ვე. 13 r უწყალო სიყვარულო, რად მკოდე ესრედ ძნელად.
რასთჳსა მყავ მღერალი, საუკუნოდ მკუნესელად...

იასე ერისთავისაგან თქ...

* * *

ვე. 13 v ეჰა ყოველად სატრფო, ცეცხლსა ვზი საწვავად.
თუ ტრფიალებით მოვჰკვდე ნუ მზდეფ საზრახავად...

* * *

ვე. 14 v არა გშვენის სამდურავი
არცა ერთგულს მოტრფეს ავი...

გრიგოლ მუხრან ბატონის თქ...

* * *

მშუენიერთა კელმწიფა, მკლავს სიშორე შენი და
კუნესის გული საკუდავად, მსწრაფლ ჩივარის ენითა...

მამუკა ორბელიანოვის თქ...

თ ა ხ მ ი ხ ი

გვ. 15 r მოველ წალკოტ სანუგეშოდ, გლახ ჩემს გულ[ს]
სევდა ესია,
ვნახე სატრფო ფერ მიხდილი, მითხრეს შენია ეს ია...
იასე ერისთავისაგან თქ...

* * *

ჟამნი რბიან შენცა მელტვი, ჰოი! სულგრძელო
საყვარელო
როს მომიხვალ, როს დამატკბობ, ეჰა წამო
სანატრელო...

* * *

გვ. 15 v განვ[ერთი როს ვნახე, წალკოტს მსხდომარე
სად ვარდი შლილობს ფერით მკრთომლვარე...

მუხამბაზის ხმაზედ

გვ. 16 r ეჰა მესია, სევდა ძნელი, მიიღო სული.
დავბრუნდი მუნით, გულს მდუღარით და ესე წყლული.
ბესიკის თქმული

* * *

გვ. 16 v როს მელირსა შენი ცნობა
მყის საგნად შემექნა ტრფობა.

მ ა ჯ ა მ ა

დადიანზე ნათქვამი თავადის გიორგი ერისთავისაგან

გვ. 17 v პირველ ბრძენთაგან ქებულ არს, სად არის სა დადიანო
მთანი ველნი და მინდორნი, ნადირნი სად დადიანო...

თ ე ჯ ლ ი ჭ ი

გვ. 13 r ბროლის მკერდმან, შუქით აესო ის არე.
რხევით ნაზო ტან ალვაო ისარე.

მუხამბაზი

თალხად მოსილსა, შემოსილსა ვეტრფოდი მარად.
კელმწიფათ ღმერთას, ჩემთვს ერთას მარად და მარად...

* * *

გვ. 18 r ვჰფუცავ კრონოსი დიადა.
კრთოლვით პირს მონებიადა...

* * *

გვ. 19 r ჰე უწყალო მარიხო, განკვეთ ვერ ვსთქვა ქებანი
შენვე ჰკურნე წყლულება დამეც ცეცხლ მოდებანი...

* * *

გვ. 20 r მფარავს ღრუბელი, ვეძლევი ბნელსა
ამად ვესტუმრი, სიკვდილსა ძნელსა...

მუხამბაზი

გვ. 20 v ხმა ტკბილი იადონი, სტირს ცრემლით მჭუნვარედა.
დასძახს შესტრფის ნარგიზო, გვედრებ მოვეხმაროდა...

* * *

გვ. 21 r ბინდდების გული, ჰირ რაზმელი, მდიდრობენ ვამნი.
როს მესახვიან, მე ახვიან, წარსულნი ჟამნი...

ოსმალის ყაიდაზედ ალაი თქმული

მოვიდა გაზაფხულისა
დრო გულთ სიხარულისა...

რომელსა თურქნი ბალაი ბალდუმ ლაილას უწოდებენ

გვ. 22 r მწყლავს ვარდის ფეროვნებანი
და ტურფად დაშვენებანი...

თ ა ხ ს-ი ს ი

გვ. 22 v სრა არს უცხო საშვებელი, სამოთხისა სადარია.
გარს წალკოტი, ყვავილ მრავლად, სუნს აფრქვევდა
სად არია...

* * *

გვ. 23 r დახე მაის ბულბულო, ვით დღენი ნათლდებიან.
ზურმუხტის ფერად ველნი, ნაზად აღყვავდებიან...

* * *

გვ. 23 v დავკარგე ფერითა, მდიდრად შემკული, ვსტირ მიმეფარა.
იერიქოს მტილსა, აღყვავებული. ვსტირ მიმეფარა...

* * *

გვ. 24 v ჰოი! ჟამნო ყოფილნო ტკბილად.
ესრეთ სად წარხდით, ჰსჩანთ აღარ ჩრდილად...

* * *

გვ. 25 r რა ვარდი გაიაფდეს, ვინ ჰყოფს მისსა ქებასა.
ბულბული მაღლად იწკებს, სამართლით ძაგებასა...

გ ა რ ა ი ლ ი

გვ. 25 v წალკოტს ყვავილნი შვებასა
შეხვდენ ლხინს თამაშობასა...

დიმიტრი ანჩისხატის დეკანოზის თქმული მუხამბაზი

გვ. 26 r ეტრფის მთიებსა, შესამკობლად გულის სურვილი.
სწყურის გონებას სამარადოდ მისი სურვილი...

რახტი გაფის ხმა

გვ. 27 r სახე შენი მემახევა შებადა
სულ გამცარცვა, რაცლა ცნება მებადა...

გ ა რ ა ი ლ ი

ბულბულს მხედა გულსა ლხენანი,
ვცან წალკოტო კარი ღიანი...

სეთე ამირეჯიბისაგან თქმული

* * *

გვ. 27 v რა გული დავაგე შენად სარებლად
მუნითგან ვარდს გიფენ ვისამარები...

ბესიკისაგან თქმული

ჩოხტის გუშა მაჯამად

გვ. 28 r შორით ოხერა ვისთვისაც მაქუს არ ესმის.
მისსა მოტრფეს სმად ნეკტარი არ ესმის...

სვიმონ წინამძღვაროვისაგან თქმული

* * *

გვ. 28 v უწყალო სიყვარულო, რად მკოდე ესრედ ძნელად.
რასთვსა მყავ მღერალი საუკუნოდ მკვნესელად.

პავლე რჩეულოვისაგან თქმული

* * *

გვ. 29 v სევდის ბაღს შეველ შენაღონები, მოკრეფად მსურდა ვარდის კონები.
ვარდმან შემრისხა თავმამწონები, ისარი მრტყოცნა დასამონები...

ბესიკის თქმული

* * *

გვ. 30 r ღივილმან კარნი ლალისა
განაპო განმჭირვალისა...

თახმისის ხმა ყარიბი

გაზაფხულმან აწყო ყვავილთა დასნი
შეამკო წალკოტნი ჰსცარცვა ზრულთ ფლასნი...

ილარიონ რჩეულოვისაგან თქმული

თეჯნიში

გვ. 30 v დილის მთიებს აღმომჭვირვალს დახედა.
ვიცი მზეებრ სხივთა მრტყოცნის ისარად.
ასლან ფალავანდოვისაგან თქმული

თეჯნიში

გვ. 31 r მზე მცონარობს ერმობს ჰაი დარადა,
ბნელს გულს სხივთა აკრთობს რადგან ისარა...
სოლომონ რჩეულოვის თქმული

თეჯნიში

გვ. 31 v არხევ ტანსა, გულ წამტანსა სარულად
უცხოდ გშვენის არე არედ აარე.
ბესიკის თქმული

თახჩისი

გვ. 32 r ქუფრ დრომონნი, ლურჯთა ხლუათა მაარნი
გლოვა სრულნი, სისხლის ცრემლ დაუფარნი.
ბესიკის თქმული

მუხამზაზი

გვ. 32 v ჰმუნვისა ქარმან, შესაზარმან დამჭროლა მწარედ
ია დახრილი, დაღრუბლეილი ჰგებსო მწუ[ხა]რედ...

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1948.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VIII, 1948.

ნიკოლოზ მაისურაძე

ისაკ მცირის ვინაობის საკითხისათვის

ისაკ მცირის სახელი უმთავრესად დაკავშირებულია ერთ შესანიშნავ თხზულებასთან. ეს თხზულება დაწერილია მეთვრამეტე საუკუნის სამოციან წლებში და „კატის ომის“ სახელითაა ცნობილი. ნაწარმოები მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 საუკუნის პირველ ათეულ წლებში ისე ცნობილი იყო და იმ ზომად სარგებლობდა პოპულარობით, რომ თითქმის საგალდებულო ყოფილა იმ ხანის ანთოლოგიებისათვის. იგი გასული საუკუნის სამოციან წლებშიც კი გვხვდება ბარათაშვილისა და ერისთავის ლექსებთან ერთად [1].

ეს თხზულება შესანიშნავია, უპირველეს ყოვლისა, მით, რომ ის პირველი ორიგინალური სატირაა ქართულ სინამდვილეზე აგებული. მანამდე ასეთ ნაწარმოებს ჩვენი ლიტერატურა არ იცნობდა. ჩვენში „კატის ომი“ იწყებს სატირის ჟანრს.

ამ თხზულებას სამართლიანად მოუპოვებია პოპულარობა. იგი დაწერილია ცოცხალი, მარტივი, ხალხური ენით, რომელიც რადიკალურად უპირისპირდება ანტონ პირველის მიერ შემოღებულ და იმ ხანად გაბატონებულ პეტრიწონული სკოლის სქოლასტიკურ ენას, ხელოვნურს და მძიმეს. „ესე ოდენ მშვენივრად უთქვამს ეს ლექსნი, რომელ ყოველთა საქართველოს პირველთა მესტიხეთა დიდად მოსწონდათ და უკვირდათო“, — ამბობს სატირის შესახებ თეიმურაზ ბატონიშვილი.

ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში ეს სატირა ჯერ გარჩეული და შეფასებული არაა. არსებობს მხოლოდ საერთოდ და უდავოდ აღიარებული შეხედულება, რომ თხზულება დაწერილია ბესიკის მამის — ზაქარია გაბაშვილის მიერ და მასში ასახულია ზაქარია

[1] თხზულება შემოუნახავს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერებს: *S* ფონდის №№ 395, 1438, 1511, 1516, 1553, 3189, 3704, 3723. *H* ფონდის №№ 213, 287, 485, 771, 1214, 1311. *A* ფონდის №№ 891, 1091, 1164 და სხვ.

გაბაშვილისა და ანტონ პირველის ბრძოლის პროცესი, ანტონის დამხობით და გაძევებით დამთავრებული.

სატირაში აღწერილია ერთი კატის თავგადასავალი. შეიარაღებული კატა თავს დაეცა თაგვების ჯარს, მოსრა, დაგლეჯა თაგვები და დაიყენა სისხლის ღვარი. თაგვები შეკავშირდნენ, მოიშველეს მათი მსგავსი ცხოველები, შეუტიეს კატას და დაამარცხეს, დაასისხლიანეს და კუდი მოაკვნიტეს. კატამ მოიკრიბა ძალი, გადასწყვიტა ჯავრის ამოყრა, კუდის სამაგიეროს ალება. ცილა ისევ დაერია თაგვებს და ხორად დადგა თაგვთა ნაგლეჯები. დაღლილმა დაისვენა, დაიძინა და სიზმარში ნახა თავისი მოკლეჯილი კუდი. დაჯდა კატა წყლის პირას და დაიწყო ტირილი — უკუდოდ აღარ ვარგივარ, აქ აღარ დაშედგომება, ქაბას წავალ და დავიკარგებიო. სატირის შ ნაარსი მოგვაგონებს ანტონ პირველის კონსერვატორულ სამღვდელოებასა და ფეოდალებთან ბრძოლას და მათ მიერ კათოლიკოსის დამხობის ისტორიას. ცნობილია, რომ ანტონი მხარს უჭერდა ირაკლი მეორის გამაერთიანებელ პოლიტიკას, რომელიც სათავადოების სისტემის წინააღმდეგ ბრძოლას მოითხოვდა. „საეკლესიო მიზნების მისაღწევად ანტონმა მოინდომა მეფის უფლების განმტკიცება-გაძლიერება და მისი ავტორიტეტის ამაღლება, რათა მერმე დაყრდნობოდა ამ ავტორიტეტს და საეკლესიო სფეროშიც, მისი სახელით, ადვილად გაეტარებია და გაეხორციელებია თავისი განზრახვანი“ [1].

მეფის დახმარებით შესძლო კათოლიკოსმა აელაგმა თავგასული მღვდელმთავრები და მორჩილებაში მოეყვანა ისინი. მან აუკრძალა ეპისკოპოსებსა და მონასტრების წინამძღვრებს ეკლესია-მონასტრების ქონება-შემოსავალის მითვისება და თვითნებურად მოხმარება. ანტონი შეებრძოლა თავგასულ, მოძალადე ფეოდალებს და დაუბრუნა ეკლესიას მათ მიერ წართმეული მამულები. ანტონმა ცენტრალიზაცია უყო ეკლესიის მართ შემოსავალს და საერთო, სახელმწიფო ინტერესების სარგებლობაში გადაიტანა. კულტურული მიზნებით ანტონი დაუახლოვდა საქართველოში მყოფ კათოლიკე მისიონერებს და ბოლოს მიიღო კიდეც კათოლიკობა. ანტონის საქმიანობამ აამხედრა მის წინააღმდეგ სამღვდელოების კონსერვატორული წრე და მისი პოლიტიკით უკმაყოფილო ფეოდალები. ანტონის წინააღმდეგ შეიქნა ძლიერი ოპოზიცია. მოწინააღმდეგე-

[1] კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 340, 1941.

ებმა ისარგებლეს მისი კათოლიკეთა სარწმუნოებაზე გადასვლით. თეიმურაზ მეფის თანხმობით გადააყენეს კათოლიკოსი, გაკრიჭეს და დააპატიმრეს. ანტონი გადაიხვეწა რუსეთში.

სატირაში ეს ამბებია მოთხრობილი. სატირის კატა ანტონ კათოლიკოსია, თაგვების ჯარი კი სამღვდელოება. კატის შეტევა ანტონის რეფორმებია, კუდის მოკვნეტაში კი კათოლიკოსის გაკრეჭა გულისხმება.

ვინაა თხზულების ავტორი?

თხზულების ავტორად აღიარებულია ბ სიკის მამა ზაქარია გაბაშვილი. ეს ზაქარია იყო თეიმურაზისა და ირაკლის კარის მოძღვარი, ფრიად განათლებული და ნიჭიერი კარიერისტი. ეს ზაქარია მეთაურობდა სამღვდელოებაში იმ წრეს, რომელმაც დაამხო ანტონ პირველი. რამდენიმე წლის შემდეგ რუსეთიდან დაბრუნებულმა კათოლიკოსმა თვით გაკრიჭა ზაქარია და გააძევა საქართველოდან. ეს მოხდა 1764 წელს. ამ პერიოდში დაიწყო მწვავე ლიტერატურული პაექრობა. ამ პაექრობის შედეგია ზაქარიას მიერ შეთხზული სატირა. თხზულება ზაქარიასია, მაგრამ ხელნაწერებში თხზულების ავტორად ბევრგან გვხვდება ისაკ მცირე.

ავტორის ჩვენების დროს ხელნაწერები არ იცავენ ერთ გარკვეულ რედაქციას.

სათაურების მიხედვით ხელნაწერები რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

ა) პირველი ჯგუფის სათაური ასეთია: „ბრძოლა ძლიერი კატისა თაგუთა მიმართ და თაგუთა სამთა ლხვათა გუართა ცხოველთა თანა შეწევნითა კატისა მიმართ, რომელიც იქმნა მეფობასა სპარსთა შორის ძლიერისა მეფეთ მეფისა შაჰუნ-შაჰსა, რომელსა ნადირ-შაობითცა უხმობდენ კაცნი სპარსეთისანი. თქმული შაირად ისაკ მცირისა მიერ, რომელმან დალექსა პირის პირად მოთხრობანი ჰამბავთა მისთანი“ [1].

ამ სათაურში ავტორად ისაკ მცირეა ნაჩვენები, ზაქარია გაბაშვილი ნახსენები არაა.

ბ) სათაურის ზემოდ აწერია „ზაქარია გაბაშვილისა“. სათაური კი ცვლილებადაა დატოვებული, იქ მაინც ისაკ მცირეა გამლექსავად ნაჩვენები.

---

[1] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერები S ფონდის №№ 1511, 3723. A ფონდის №№ 891, 1091, 1164.

გ) ავტორად დასახელებულია ზაქარია გაბაშვილი, სათაური კი მოკლეა: „ქატის ომი“, ისაკ მცირე ნახსენები აღარაა.

დ) სხვებისაგან გამოირჩევა ხელნაწერი H 213. აქ ავტორად ისაკ მცირეა დასახელებული, ზაქარია კი თანაავტორადაა ნაჩვენები: „თქმული შაირად ისაკ მცირისა მიერ. რომელმან აღწერა მოთხრობანი ამბავთა მისთანი ზაქარიათურთ“.

ხელნაწერები, რაც უფრო შორდებიან დროით დედანს, თანდათან იცვლიან სათაურს, ისაკ მცირის სახელი ქრება და მის ადგილს იკერს ზაქარია გაბაშვილი[1].

ადრინდელ ხელნაწერებში ისაკ მცირის ავტორობა დ. კარიჭაშვილის აზრით ერთი გადამწერის შეცდომით და სხვების მიერ მისი მიბაძვით აიხსნება: „ისაკ მცირე ზოგიერთს ხელნაწერში მოხსენებულია ქატის ომის ავტორად. ეს აიხსნება იმით, რომ ერთერთს გადამწერს ქატის ომის გადამწერელი ისაკ მცირე ავტორად მიუღია და ესეც მოუხსენებია, ხოლო შემდეგში, ვისაც მისი გადანაწერი გადაუწერია, ეს შეცდომა გაუმეორებია[2].

წინააღმდეგობის ასეთი ახსნა დაბრკოლების მარტივი, იოლი გზით შემოვლაა და არც მართებულია. რომელი „ესეც მოუხსენებია“ ერთ-ერთ გადამწერს? ვისთან უნდა არეულიყო ისაკ მცირის სახელი, როდესაც პირველად ხელნაწერებში, საიდანაც კარიჭაშვილის აზრით ეს შეცდომა მომდინარეობს, ზაქარია გაბაშვილი არსად ჩანს და მხოლოდ ისაკ მცირეა ავტორად ნაჩვენები. ამის გარდა, არცაა კიდევ შესაძლებელი იქნებოდა, ისაკის ავტორობა ვრცელი სათაურის შუა ადგილს რომ არ იყოს მოცემული. შეცდომის შედეგია ისაკ მცირის ავტორობა გ. ლეონიძის განმარტებითაც: „ჩვენის აზრით, — წერს მკვლევარი, — ისაკ მცირის ავტორობის საკითხი ლიტერატურული მისტიფიკაციის ამბავს უნდა წარმოადგენდეს, ჩვენის დაკვირვებით, ისაკ მცირეც ზაქარიას ახლობელი, გვარად გაბაშვილი უნდა ყოფილიყო[3].

მკვლევართა მიერ მოცემული ავტორობის სადავო საკითხის ასეთი ახსნა დასაშვები იქნებოდა, გადამწერლები დროის შორი მანძილით რომ იყვნენ თხზულების დაწერის დროსთან დაცილე-

[1] მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ერთი მკვლევართაგანი „ქატის ომს“ ბესიკს მიაწერს. რუსული სკოლის დასაწყისი ჩვენში, ივერია, 1883, № 11, გვ. 44.

[2] დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია. გვ. 99, 1929.

[3] ლიტერატურის მატიანე, ბესიკი, № 3-4, გვ. 359, 1942.

ბული. ზოგი მათგანი ზაქარიასა და ანტონის თითქმის თანამედროვეა.

სატირის შემცველი ხელნაწერი S 1511 გადაწერილია დავით რექტორის მიერ 1821 წელს. ავტორად ისაკ მცირეა ნაჩვენები. ისაკ მცირეს მიაწერს სატირას თეიმურაზ ბატონიშვილიც: ,,სტიხნი კატისა და თაგვთა ბრძოლა, თქმული შაირად ბერისა ვისგანმე ისაკ მცირისა, რომელიც მეფის თეიმურაზის II ჟამს ყოფილა'' [1].

,,მცირე ისაკის ნათქვამს იტყვიანო''. — აღნიშნავს ზოგიერთი ხელნაწერი [2].

ძნელი დასაჯერებელია, ისაკ მცირის ავტორობა ლიტერატურული მისტიფიკაციის შედეგი იყოს და გადამწერლებს (თუნდაც დავით რექტორს — პოეტს და ლიტერატორს) არეოდათ ზაქარია და ისაკი და არ სცოდნოდათ ასეთი პოპულარული სატირის ავტორის ვინაობა.

შეუძლებელია, ანგარიში არ გაეწიოს ხელნაწერთა კატეგორიულ ჩვენებას და ისაკ მცირის ავტორობა მხოლოდ შეცდომა-გაუგებრობას მივაწეროთ.

ისაკ მცირეს (არა როგორც გადამწერს) უსათუოდ, დიდი კალმარი აქვს ,,კატის ომთან'', ამიტომ თვით ამ ისაკის პიროვნების გარკვევაა საჭირო. მაგრამ, სამწუხაროდ, მის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ამ ისაკს ,,მცირე უწყების'' ავტორი იოანე ბატონიშვილი ასე ახასიათებს: ,,მცირე ისაკ, რომელსა ქართველნი პატარა ისაკად სახელს დებდნენ, ესე იყო მეცნიერი კაცი და მშვენიერი მესტიხე და კარგი მწერალი, რომელმან კეთილად განატარა ცხოვრება თვისი'' [3].

თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით ისაკ მცირე ყოფილა ბერი და თეიმურაზ II დროს უცხოვრია.

გ. ლეონიძის ცნობით ისაკ მცირე ზაქარია გაბაშვილის მოწაფე ყოფილა, გვარად გაბაშვილი, ძმა თუ ძისწული ზაქარიასი [4].

თეიმურაზ ბატონიშვილისა და ,,მცირე უწყების'' ცნობებში ახალი არაფერია ისაკის შესახებ. ამ მკვლევართათვის ისაკი ,,კატის ომის'' ავტორია. აქედან მათთვის თავისთავად იგულისხმება, ისაკი

[1] გ. ლეონიძე, ლიტერატურის მატიანე, № 3-4, გვ. 359 (სქოლიო).

[2] ლენინგრადის საჯარო მუზეუმის E ფ. № 49; (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 509).

[3] ძველი საქართველო, ტ. I.

[4] ლიტერატურული მემკვიდრეობა, II, 351, 359, 363.

იქნებოდა მშვენიერი მესტიხე, კარგი მწარალი და იცხოვრებდა თეიმურაზისა და ირაკლის დროს. გ. ლეონიძის ცნობით ისაკ მცირის ზაქარიას მოწაფეობა კი საყურადღებოა, მაგრამ, სამწუხაროდ, მკვლევარი არ უჩვენებს საბუთს, საიდანაც ეს დასკვნა გამოაქვს.

პ. კარბელაშვილი ასახელებს ვრცლად მწიგნობარ ისაკს გაბაშვილთა გვარიდან, ანტონ პირველის თანამედროვეს: „ამ დროს (იგულისხმება ანტონის დრო) წიგნთა გადამწერნი იყვნენ: დეკანოზი ნიკოლოზ მაღლაძე, ისაკ გაბაშვილი, დეკანოზი ალექსი და სხვა“ [1].

ეს ისაკ გაბაშვილიც მწიგნობარია, მაგრამ არავითარი საფუძველი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს ისაკი ჩვენი საძიებელი ისაკ მცირეა.

ისაკ მცირე არაა, რასაკვირველია, გიორგი უფლისწულის მასწავლებელი ისაკი, რომელსაც პლ. იოსელიანი ასე ახასიათებს: „ისაკ მწიგნობარი, რომელიც იყო შემდეგ კანდელაკი სიონის საუფლოისა ეკლესიისა და აღმწერელი ხუცურად მრავალთა წერილთა, მეცნიერი და მცოდნე ძველისა, ვითარცა იტყვიან, ფილოსოფოსისა“ [2].

ეს ისაკი, იოსელიანისავე ცნობით, სიკვდილამდე მკითხველის ხარისხში დარჩა და 1799 წელს გარდაიცვალა [3].

ისაკ მცირე არის ანტონის თანამედროვე, სასულიერო პირი და კარგი მესტიხე. ამით ამოიწურება ჩვენ მიერ ხელმისაწვდომი ცნობები მის შესახებ. თვით ისაკ მცირის ნაწერი, ჩვენი ხელმოწერით ბევრი ძიების შედეგადაც კი მხოლოდ ორგან ვიპოვეთ ჩვენს სიძველთსაცავებში:

ა) ცენტრარქივის 221 ფონდის სიგელი № 1405. „...ძემან ცხებულის ქართველთა მეფის თეიმურაზისაგან, მეფემან კახეთისაგან პანკრატოვანმან ირაკლიმ და თანამეცხედრემან ჩემმან დედუფალმან დარეჯან, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან ვახტანგ, გიორგიმ და ლეონ დავამტკიცეთ... (ბოლებელს განუახლებენ ძველ სიგელს — რაც შეწირული იყო, ჩვენც შეგვიწირავს და დაგვიმტკიცებიავო) აღიწერა ხელითა მწიგნობრისა ისაკ მცირისათა ქრის-

[1] პ. კარბელაშვილი, იერარქია, 153.

[2] პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 4, 1936.

[3] იქვე, გვ. 260.

ტეს აქათით ჩ. ღ. ნ. Ც თვესა მარტსა კდ: ქორონიკონსა უმვ'' (1758 წ. 24 მარტი)[1].

ბ) სახ. მუზეუმის ხელნაწერთა H ფონდი № 2235. (პროკლე დიადოხოსის პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი ღვთისმეტყველებითნი).

,,სრული იქმნა თთვესა სექდემბერსა ბ-სა რიცხუსა ხელითა ისაკ მცირისათა წელთა ჩ ღ ნ თ'' (1759 წ.).

ხელნაწერები ლამაზი წერის საუკეთესო ნიმუშებია, ისაკ მცირე საუცხოო კალიგრაფი ყოფილა.

ცნობები ძალზე მცირეა, მაგრამ იმ მონაცემებიდანაც, რაც ხელთა გვაქვს, მაინც შეიძლება დასკვნა გამოვიტანოთ:

1. ისაკ მცირე და ზაქარია გაბაშვილი ორივე სასულიერო პირია.

2. ისაკი ანტონ პირველის თანამედროვეა. მისი მოწინააღმდეგე.

3. ზაქარია და ისაკიც დახასიათებულია, როგორც მეცნიერი და კარგი მწერალი.

4. ამასთანავე ორივე პირველხარისხოვანი კალიგრაფია.

5. ეპოქასთან ახლომდგომ მკვლევართა ჩვენებით ,,კატის ომის'' ავტორი ზაქარია გაბაშვილიცაა და ისაკ მცირეც.

აქედან თავისთავად იბადება კითხვა: ისაკ მცირე და ზაქარია გაბაშვილი ერთი და იგივე პიროვნებაა ხომ არ არის?

ანგარიშს ვუწევთ იმ გარემოებას, რომ ,,კალმასობის'' ავტორი ზაქარიასა და ისაკ მცირეს ცალ-ცალკე ახასიათებს. მაგრამ იმ მოკლე დახასიათებიდან, რომელსაც იოანე ბატონიშვილი იძლევა ისაკ მცირის შესახებ, ირკვევა, რომ ავტორს ისაკის, როგორც ცალკე პიროვნების შესახებ, ცნობები არა ჰქონია. იოანე ბატონიშვილმა იცოდა, რომ ისაკ მცირე იყო ,,კატის ომის'' ავტორი და სიტყვებით: ,,მეცნიერი კაცი, მშვენიერი მესტიხე. კარგი მწერალი'' თხზულების ავტორს ახასიათებდა. ეს სიტყვები ზ. გაბაშვილის დახასიათების განმეორებაა. იოანე ბატონიშვილის მიერვე ზაქარია გაბაშვილი ასეა დახასიათებული: ,,...მშვენიერი რიტორი და უცხო მოქადაგე, ეს იყო მშვენიერი მწერალი და მთხზველი მაღალსა ფრასსა ზედა, უცხო პიიტიკოსი''. კალმასობის ავტორი ისაკ მცირეს, როგორც სხვა პიროვნებას, არ იცნობს.

[1] შდრ. Акты I, № 34, გვ. 43.

ასეთივე ხასიათისაა თეიმურაზ ბატონიშვილის შეფასებაც. ისაკისა და ზაქარიას დახასიათების ერთგვაროვნება მათ იგივეობაზე მიუთითებს.

საკითხს ართულებს ერთი დაბეჭდილი წიგნის მინაწერი ანდერძი. 1751 წელს თბილისში საპატრიარქო პალატაში გამოცემულ კონდაკს[1] დართული აქვს შემდეგი ცნობა:

„...რუსულისაგან ქართულად გამოცემასა შინა ღვაწლითა და შრომითა ხუცეს ონაზონისა ეფრემისათა, ზედა მხედველობითა და ქართულსა ენასა ზედა შეწყობითა მოძღვრისა და ულირსი მღვდლის ზაქარიასითა: თანა შეწევნითა ისაკ მცირისათა, მომმუშაკებელი და წარმომადგინებელი ასოსა ამის სიონის დეკანოზი ნიკოლაოს; მცირე ამათგანი მხატვარი იოანე".

აქ მოხსენებული „ხუცეს მხედველი" და „ქართულსა ენასა ზედა შემწყობი" ზაქარია დავით კარიჭაშვილის ჩვენებით არის ზაქარია გაბაშვილი. თავის შრომაში „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია" (გვ. 99) კარიჭაშვილი წერს:

„1749-1778 წლებში სტამბის მუშაკებად იხსენებიან: 1. ზაქარია მოძღვარი და ულირსი მღვდელი (1751 წ.), ზედა მხედველად და ქართულს ენასა ზედა შემწყობად: 2. ისაკ მცირე, ზაქარიას თანაშემწე (1751 წ.), 3. ნიკოლოზ სიონის დეკანოზი, მომუშავებლად და წარმომადგინებლად ასოსი (1751 წ.)".

მკვლევარს ცნობები ზემოდ ნაჩვენები კონდაკის თავფურცლიდან აქვს ამოღებული და ზედამხედველის ზაქარიას შესახებ სქოლიოში შენიშნავს: „ეს არის გვარად გაბაშვილი, ერთი მხილებელთაგანი ანტონ კათოლიკოსისა. ავტორი სატირისა კატის ომი. შემდეგ მას ეძახდნენ ზაქარია ნამოძღვრალს".

კონდაკის მოხსენებული ზაქარია ალ. ხანანაშვილსაც ზაქარია გაბაშვილი ჰგონია. ალბად, ამ წიგნის (კონდაკის) ცნობით ხელმძღვანელობდა იგი, როდესაც წერდა:

Против Антония I выступил свящ. Захарии Габаев, заведующий печатанием книг при Метехском замке в известной сатире „Война кошки"[2].

თუ მკვლევართა აზრი სწორია, მაშინ ფაქტი ჩვენი დებულების — იგივეობის, საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს. კონდაკში ზაქარიასთან ერთად ისაკ მცირეც არის მოხსენებული. მაგრამ სტამბის ხელ

[1] იხ. ქართული წიგნი (ბიბლიოგრაფია), I, გვ. 52, № 40, 1941.

[2] Очерки, გვ. 274.

მძღვანელი ზაქარია არაა ზაქარია გაბაშვილი. ასეთი სახელი (ზაქარია) რამდენიმე პირს ერქვა იმ ხანად. მაგალითად, სტამბის მუშაკები იყვნენ ზაქარია მარკოზისშვილი და ზაქარია სულხანოვი. რაც შეეხება სიტყვას „მოძღვარი", რომელიც თითქოს პირდაპირ მიუთითებს ზაქარია გაბაშვილზე, იგი აქ არ უნდა ნიშნავდეს კარის ხუცესს (духовник). „მოძღვარი" ამ შემთხვევაში სტამბის მუშაკის თანამდებობაა და ნიშნავს ზედამხედველს — ხელმძღვანელს[1]. თვით დ. კარიჭაშვილის ცნობით სტამბაში ყოფილა სპეციალური მოხელე-მოძღვარი და მასწავლებელი სტამბის მუშაკთა (გვ. 99). ამ თანამდებობაზე კი იმ დროს ზაქარია მარკოზის-ძე იყო. ისიც საყურადღებოა, რომ სიონის დეკანოზი ნიკოლოზი და მხატვარი იოვანე შემდეგში, მრავალი წლების განმავლობაში, ზაქარია მარკოზიშვილთან თანამშრომლობენ. ყოველ შემთხვევაში, არც ამ ზაქარიას კარის ხუცობაა გამორიცხული.

ზ. გაბაშვილი ამ ხანებში თბილისშია. იგი როგორც მწიგნობარი და ქართული ენის კარგი მცოდნე, ვერ დარჩებოდა წიგნის ბეჭდვის საქმეში მონაწილეობის გარეშე, ამ შემთხვევაში მიუღია კიდევაც მონაწილეობა ტექსტის ქართულ ენაზე გამართვაში, მხოლოდ არა ზაქარიას, არამედ ისაკ მცირის სახელით.

ჩვენ მოგვეპოვება ერთი საბუთი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება „კატის ომის" ავტორობის საკითხის საბოლოო დადგენა. ისაკ მცირის ნაწარმოებში ზემოდ დავასახელეთ სახ. მუზეუმის ხელნაწერი № H 2235. (პროკლე დიადოხოსის პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი ღვთისმეტყველებითნი). საკითხისათვის დიდად მნიშვნელოვანია ამ წიგნის მინაწერები. თხზულება გადაწერილია ისაკ მცირის მიერ 1758 წელს. № 384 ფურცლის V გვერდის ბოლოს არის ამის დამადასტურებელი მინაწერი:

„სრულ იქმნა და დიდება სამებასა ღმერთსა მხოლოსა უკუნისამდე ამინ. თთვესა სეკდენბერსა ბ—სა რიცხუსა ხელითა ისაკ მცირისათა წელთა ჩ ღ ნ თ". ხელნაწერის ასო მთლიანად მხედრულია, ეს მინაწერი კი — ნუსხური. ხელნაწერში არის აქა-იქ იმავე ხელის ნუსხურით დაწერილი ადგილები". (გვ. 260. 274. 279. 283 და სხვა).

თხზულება გადაუწერია ისაკ მცირეს და ხელნაწერიც მისი კუთვნილებაა. 355 ფურცელზე კი წიგნს აქვს წარწერა მსხვილი, ლამაზი ასომთავრულით: „ზაქარია მოძღვრისაა".

---

[1] ქართული წიგნი, გვ. 64, № 61, განმარტება გვ. 467,

386 ფურცლიდან იწყება ცნობები ექვთიმე და გიორგი ათონელებისა, ეფრემ მცირისა და სხვა მოღვაწეთა შესახებ.

ცნობები იწყება სიტყვებით ,,ძველსა წიგნსა შინა მიხილავნ მე ზაქარია მოძღვარსა და მუნით გარდამომიწერიეს''..

არც ამ ცნობათა შემცველი სტრიქონები და არც წარწერა ,,ზაქარია მოძღვრისაა'' არაა სხვის ნაწერში ხელნაწერის მკითხველისა თუ დროებითი მესაკუთრის ჩვეულებრივი ჩანამატები. ეს ადგილები ხელნაწერის ორგანული ნაწილია. წარწერას განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი. ცნობებიც ახალი ფურცლიდან იწყება და ძირითად ტექსტთანაა დაკავშირებული. ასე რომ ეს ადგილები მთლიანი თხზულების გადაწერის დროსაა დაწერილი და არაა შემდეგში ჩამატებული. ,,ძველსა წიგნსა შინა მიხილ ვსო..'' ზ. გაბაშვილის დაწერილია, თხზულების ტექსტი კი ისაკ მცირის გადაწერილი. ტექსტისა და ჩანამატის ხელი ერთი და იგივეა. აქედან ნათლად ირკვევა ისაკ მცირის ვინაობა. ჩვენ საჯეროდ შევადარეთ ისაკ მცირის ნაწერები (ც. არქ. № 1405 და სახ. მუზ. H 2235), ზაქარია გაბაშვილის ნაწერებს (ც. არქ. 2861 და სახ. მუზ. Q 331) ხელის იგივეობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. ისაკ მცირე იგივე ზაქარია გაბაშვილია.

ამ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა გაბაშვილის საერისკაცო სახელის ძიება. მოძღვრისთვის ზაქარია მღვდლად კურთხევის დროს უწოდებიათ, მანამდე კი სხვა სახელი რქმევია. იმ კრების განჩინებაში, რომელმაც გაკრიჭა ზაქარია, ნათქვამია: ,,მიეუღებთ სახელსაცა რომელი ეწოდებოდა მღვდლობასა შინა''... ამიერიდან საერისკაცო სახელით იწოდებოდესო[1].

რა ერქვა ზაქარიას ერისკაცობაში? პატრი ჯულიო ბონავენთურა ტრენტოელის მოხსენებაში, რომელიც მან რომს წარუდგინა, ნათქვამია, რომ როცა ანტონ პირველის გაკათოლიკების ეჭვი დაიბადა, ,,მეფემ და მისმა მოძღვარმა რაბეთიმ ამ საქმის გამოსარკვევად ანტონ კათოლიკოსს ერთი მონაზონი მიუგზავნეს''[2].

ეს ,,მოძღვარი რაბეთი'' ზაქარია გაბაშვილი იყო, ამიტომ გ. ლეონიძე ფიქრობს, რომ ,,ეჭვი არაა, ამ დამახინჯებულ ქართულ სახელში ,,რაბეთი'' ზაქარია მოძღვრის საერისკაცო სახელი იგულისხმება''[3].

[1] სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდები S 3181, *II* 40.

[2] მ. თამარაშვილი, კათოლიკობის ისტორია, თბ., გვ. 374, 1902.

[3] ლიტერატურული მემკვიდრეობა, 371, სკოლიო, 1935.

რაბეთი არაა ზაქარიას სახელი. პატრის წერილის იტალიურ ტექსტში, რომელიც თამარაშვილმა დაურთო თავის შრომას ,,კათოლიკობის ისტორიას", სიტყვები ,,მოძღვარი რაბეთი" იკითხება: confessore Raveti (გვ. 758). სუფიქსს-ti შეესატყვისება ქართული ,,ძე" ან ,,შვილი". ქართული გვარები იტალიურად ასე კეთდება ხოლმე: თამარაშვილი = Tamarati, ფირალაშვილი = Piralati და სხვა. რაბეთი ან რაბეტი ნიშნავს რაბაშვილს, ეს კი იგივე გაბაშვილია. ასე რომ აქ დამახინჯებული ზაქარიას გვარია და არა სახელი. თუ ისაკ მცირე იგივე ზ. გაბაშვილია, საფიქრებელია, რომ ზაქარიას საერისკაცო სახელი ისაკი ყოფილიყო. მაგრამ ჩვენის აზრით არც ისაკია ბესიკის მამის სახელი. ცნობილია, რომ საერისკაცო სახელის გამოცვლის დროს ახალი სახელი, ხშირ შემთხვევაში, უნდა დაწყებულიყო იმავე ბგერით, რომლითაც ამ პირის საერისკაცო სახელი იწყებოდა. ამიტომ ზაქარია გაბაშვილის საერისკაცო სახელი ,,ზენ" ბგერით დაწყებული სახელით შეიძლება ვიგარაუდოთ. ერთ პასკვილში, რომელიც ზაქარიას მიერ შეურაცხყოფილი დავით ურიაყოფილისაგანაა დაწერილი და რომელშიაც იგი ზაქარიას პიროვნებასა და საქმიანობას დასცინის, ვკითხულობთ:

> ზენონს რა სჯიდა საწყალსა, უგუნურსა და სულელსა,
> საძსჯავროს წარსდგა, იქადდა სიტყვას ამპარტავნულსულსა,
> წინა გამმზადა უფალმან, სიტყვა მცა უნაკლულესსა,
> ხელთ მომცა საქეთმპყრობლობა...

ვინ უნდა იყოს ამ პასკვილში მოცემული ზენონი. ის პირი, რომელიც ამპარტავნულად წარსდგა სამსჯავროს წინაშე, იქადდა თვის ,,უნაკლულებას" და აცხადებდა, საქეთმპყრობლობა უფლის მიერ მაქვს მოცემულიო, იყო ზაქარია გაბაშვილი. მან დიდ გავლენას მიაღწია თეიმურაზის კარზე, ხელთ ჩაიგდო ეკლესიის საქეთმპყრობლობა და მხოლოდ ირაკლი მეფის მიერ იქნა დამხობილი. სწორედ ზაქარია გაბაშვილი იჩემებდა ,,უნაკლულებას" და ქედს არ იხრიდა სამსჯავროს წინაშე.

ვფიქრობთ, შეურაცხყოფილმა პასკვილიანტმა ზაქარია გაბაშვილს ძველი სახელი გაახსენა და ამით მეტად დაგესლა უფლებაყრილი, სახელწართმეული ნამოძღვრალი. ამრიგად, ზაქარიას საერისკაცო სახელი ზენონი უნდა იყოს, ისაკ მცირე კი მისი მეტსახელი — ლიტერატურული ფსევდონიმი.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1948.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VIII, 1948.

დავით გრეგაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდები აღორძინებისა და გარდამავალი ხანის ლიტერატურაში *

აღორძინებისა და გარდამავალი ხანის ქართული მწერლობა „ვეფხისტყაოსნის“ ძლიერი გავლენის ნიშნის ქვეშ ვითარდებოდა. ეს გავლენა მრავალნაირი სახით გვევლინება. უპირველესად ყოვლისა ეს შეეხება ეპიზოდებისა და სურათების ნასესხობის საკითხს. აღორძინებისა და გარდამავალი ხანის მწერლებს რუსთველის პოემიდან გადმოქონდათ ცალკეული ეპიზოდები და მოქმედების განვითარების მონაკვეთი. ამას გარდა რუსთველის გავლენა მჟღავნდება ცალკეულ მომენტებში, როგორიცაა: პატრონყმური მორალის კანონების წმინდათა წმინდად მიჩნევა და მათი ქადაგება, სიყვარულის გაგება და მისი მორალური მხარე, „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების იდეალურ გმირებად დასახვა და მათი შედარების საგნად მიჩნევა, წუთისოფლის მუხთლობის, მისი გაუტანლობის აღიარება და ამქვეყნის აფორიზმების, მხატვრული სამკაულების, რითმებისა და სხვათა ნასესხობა.

რუსთველის ძლიერი გავლენა მომდევნო ეპოქების ლიტერატურაზე უნდა აიხსნას, ერთის მხრივ, პოემის არაჩვეულებრივი მხატვრული სიძლიერით და მის იდეათა ნათესაობით აღორძინების პერიოდის იდეებთან, მეორეს მხრივ, რუსთველის ეპოქის ეკონომიური და პოლიტიკური სიძლიერით; დეგრადაციის გზაზე დამდგარი ეპოქის საზოგადოება ოცნებით თვალს აპყრობდა თავისი წარსულისაკენ — რუსთველის ეპოქისაკენ, რომელიც ასე მიმზიდველად აისახა „ვეფხისტყაოსანში“.

ბოლოს, კლასიკური ეპოსის პოპულარობა, ამასთანავე სიუჟეტის შერჩევის არაჩვეულებრივი ოსტატობა ხდიდა გარდაუვალად „ვეფ-

* წაკითხული იყო მოხსენებად პედინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა XII სამეცნიერო სესიაზე 1948 წლის 28 თებერვალს.

ხისტყაოსნის'' გავლენის გავრცელებას შემდგომი საუკუნეების ლიტერატურაზე.

რუსთველის პოეტური ხელოვნების კანონებს, მის იდეათა გავლენას ვერ გაექცა აღორძინებისა და გარდამავალი ხანის ვერცერთი თვალსაჩინო მწერალი. განსაკუთრებული სიმკვეთრით ეს გავლენა მოცემულია ქ. ჩოლოყაშვილსა, ო. მდივანსა, გ. ბაგრატიონსა და პ. ლარაძესთან [1].

,,ვეფხისტყაოსნის'' გავლენას ვერ გაექცნენ სპარსულიდან გადმოკეთებულ ნაწარმოებთა ავტორებიც. ისინი გრძნობენ, რომ რუსთველი ამ შემთხვევაშიაც ტონისმიმცემია პოეტისათვის და ამიტომაცაა, თქმის ნებართვას რუსთველიდან გამოითხოვენ. ,,იოსებ-ზილიხანიანის'' [2] ქართული ვერსიების უცნობი გამლექსავი მიმართავს რუსთველს:

აწ რუსთველო, გეთხოვები, რომე მამცე ნება თქმისა...
...შენთა ხელთ არის, რუსთველო, საბელი ყველთა ყელისა,
მომცენ ნებანი გამოვთქვა ამბავი ამა ტრელისა.
(სტრ. 1-8).

თითქმის ყველა გადმოთარგმნილ-გადმოკეთებულ ნაწარმოებთა შესავალი რუსთველის ქებითაა დამშვენებული. ,,ამირან-დარეჯანიანის'' [3] მეორე გამლექსავის ბეგთაბეგ თანიაშვილის აზრით, რუსთველი მიუღწეველი სიდიადეა, მისი შესადარისი ლექსის თქმა შეუძლებელია:

რუსთველის აქათ მელექსე ბევრი ყოფილა მთქმელია,
მას არსად დარჩა სიტყვანი, მით წინ დამიხვდა მე ლია.
უსინჯეთ სიტკბო ქართულის, მაღალ-მდაბალი, ნელია,
და მას ნურვინ ვბაძავთ მელექსე, თავების ვიყვეთ მცველია.
(სტ. 1651).

მაგრამ გადმოთარგმნილ თუ გადმოკეთებულ ნაწარმოებებში ჩვენ ნაკლებად ვხვდებით „ვეფხისტყაოსნის" ეპიზოდების მსგავს

---

[1] პ. ლარაძის შემოქმედებაზე რუსთველის გავლენის საკითხი განხილული იყო ჩემს წერილში „შ. რუსთველი და პ. ლარაძე", იხ. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1946.

[2] იოსებ-ზილიხანიანის ქართული ვერსიები, თბილისი, 1927, გ. ჯაკობიას რედაქციით.

[3] ს. თანიაშვილი, გალექსილი ამირან-დარეჯანიანი, თბილისი, 1941, გ. ჯაკობიას რედაქციით.

ადგილებს და ეს გასაგებიცაა. ამ ნაწარმოებთა ავტორები იძულებული იყვნენ მიჰყოლოდნენ დედანს, ორიგინალს, თუმცა მხატვრულ სამკაულებს მაინც რუსთველიდან სესხულობდნენ.

რუსთველური ეპიზოდები განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ორიგინალურ ნაწარმოებებში („ომაინიანი“, „შაჰნაზიანი“, „ბარამ-გულიჯანიანი“, „ხუბმარდიანი“ და სხვ.).

„ომაინიანის“[1] ავტორი ჭ. ჩოლოყაშვილი ბურნე-მელიქის მიერ სამეფო ტახტის დაკავებას რუსთველის მიხედვით ლექსავს. ბურნე-მელიქი თინათინის მსგავსი ტიპია. ის სამეფო ტახტზე ადის მამის სიცოცხლეში, მამისავე წინადადებით.

„ვეფხისტყაოსანში“[2] როსტევანმა მოიხმო ვეზირები რჩევისათვის და უბრძანა:

...გკითხავთ საქმესა, ერთგან სასაუბნაროსა:
რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამწნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საპალნაროსა;
და მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ესჭვრეტთ, ღამესა ჩვენ უმთვაროსა.
(35).

მეფემ თავის სიბერეს გაუსვა ხაზი და ასულის გამეფება მოითხოვა:

მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია,
დღეს არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი ასრე მქნელია;
რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია!
და ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია.
(36).

ვეზირებმა მცირე წინააღმდეგობა გაუწიეს მეფეს, მისი სიბერე უარჰყვეს, მაგრამ თან აღნიშნეს:

თქვენი თათბირი ავიცა სხვისა კარგისა მჯობია.
(38).

შემდეგ თანხმობა გამოუცხადეს, მოიწონეს კიდეც მეფის მოსაზრება:

ხამს განაღამცა საქმნელად, რაცა თქვენ გულსა გლმობია;
და სჯობს-და მას მიეც მეფობა, ვისგან მზე შენაფლობია.
(38).

[1] ჭ. ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი. ომაინიანი, თბილისი, 1937, გ. ჯ ა კ ო ბ ი ა ს რედაქციით.

[2] შ რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1937, საიუბილეო გამოცემა.

მსგავს ეპიზოდთან გვაქვს საქმე ,,ომანიანში", ქ ჩოლოყაშვილი თითქმის უცვლელად იმეორებს რუსთველის ზემოაღნიშნულ ადგილს. ,,ომანიანში" ხელმწიფე აღიქმარი მოითხოვს თავისი ასულის გამეფებას: ,,ხელმწიფემ ზავარ ფალავანი, ერთობილნი თავადნი და დიდებულნი იხმო და ვეზირნი გვერც დაისხა და ესრეთ უბრძანა, ვითა: ,,გონიერად გაიგონეთ: მოვიდა ჩემზედაც იგი ჟამი, რომე ქვეყანასა ზედან დაბადებულსა არ ასცილდების. ღვთის განგებითა ჩემმან დღემან სიმხიარულესა შიგან წაიარა. აწე სიბერე გამომჩენია, და ვაჟკაცობისა დრო დამამულა თქვენცა იცით ქვეყნის გადიდების და მტერთა დახედვისათვის მრავალი კაცი მამიკლავს და სოფლის სიყვარულით ბევრსა ცოდვასა შიგან შევსრულვარ. აწე წესია, რომე ავნაქმართა ქვეყნის ხელმწიფეთაცა დიდითა სამსახურითა უნდა შენდობა და თქვენგანაც ამას მოველი, რომე ჩემგან კარგნაქმარი მოიგონოთ და ამისი ნება დამრთოთ, რომე—ჩემმან ასულმან ყოველი საქმე და მეფობის წესი ჩემგან უკეთ იცის და ხელმწიფედ იგი დავსვათ, და კარგი და ავი მან გააგოს" (გვ. 71).

ვეზირებმა ოდნავი წინააღმდეგობა გაუწიეს ალიეკბარს, მაგრამ მალე დაეთანხმნენ და მოახსენეს: ,,ხელმწიფეო! ღაშქართათვის დიდად საზარო სიტყვა არის თქვენის ნებისა დართვა და თქვენი აღარ ხელმწიფობა. პირველად, ჯერეთ სიბერის ნიშანი თქვენგან შორს არის და მერმე, თქვენს ნათქვამს და ნაქმარს საქმეს სხვა ვერავინ იქს. მაგრამე ღვთის წინაშე თავშეწირულს და ლოცვად გამზადებულს კაცს საქმე არ დაეწლების. დია, ღმერთო, თქვენი ბრძანება უნდა გათავდეს. ჩვენ, ღაშქართა, ნება დაგკართავს. იგიცა თქვენი შვილი არის და მასცა თქვენი საქმე და ყოველი რიგი ეცოდინების, და ჩვენცა მისი დიდი სიბრძნე და მისი სიკეთე გვასმია"[1] (გვ. 71).

ნესტანის ხილვით გამოწვეული ტარიელის დაბნედის სურათი გამოუყენებია ო. მდივანს.

ნადიროზიდან მოშავალმა ტარიელმა შემთხვევით თვალი მოჰკრა ნესტანს და გონება დაჰკარგა:

ასმათ ფარდაგსა აზიდნა, გარე ვდეგ მოფარდაგულსა;
ქალსა შევხედე, ღახვარი მეცა ცნობასა და გულსა.
(344).

[1] ამ მსგავსებაზე მიუთითებდა გ. ჯაკობია. იხ. ომანიანის წინასიტყვაობა, გვ. VX.

ტარიელი მოჭრილი ლერწამივით დაეცა ძირს:

დავიცი, დავბნდი, წამიხდა ძალი მხართა და მკლავისა,
რა სულად ზოვე, მომესმა ხმა ტირილისა და ვისა;
და გარე მომრტყმოდეს ჯალაბნი, ვითა ჩამსხდომნი ნავისა.
(348).

სასულიერო პირები ცდილობდნენ ტარიელის მობრუნებას:

სრულნი მუყრნი და მუღიმნი მე გარეშემო მცვიდიან;
მათ ხელთა ჰქონდათ მუსაფი, ყოველნი იკითხვადიან;
მტერ-დაცემული ვეგონე, არ ვიცი, რას ჩმახვიდიან.
(351).

როგორც იქნა, გონს მოიყვანეს, ტარიელმა ცხენზე შეჯდომა მოიწადინა, ცხენი მოართვეს:

ცხენი მომგვარეს, შეცავჯე, მეფე ჩე[თ]ანა მვლელია.
(356).

ასეთ პირობებში იხილა სატრფო ბარამმაც („ბარამ-გულიჯანიანი“)[1]:

ზე მთისა ქარმან კუბოთგან ზე ახადა თავს საფარი,
გამობრწყინდა ბნელსა მთვარე, დილა ნებით ვით ცისკარი,
ბარამ ნახა, გაუკვირდა, თავს დაეკა მისგან ზარი,
ჰსთქუა: არ არის ხორციელი, მზე მოსრულა, ქვეყნად არი.
(S № 170, ფ. 7).

გულიჯანის სილამაზემ ბარამი ცნობამიხდილად აქცია:

ტერდაცემული ეგონათ, საფრთხე ეშმაკთა ქარისა.

შეყრილან მესტროლაბენი, მერამლე მუნაჯიბები,
მათშიგან ერთსა ენახა შვიდივე ბრძენთა კიბები,
სამეცნიეროს წიგნითა უბე სავსე აქვს, ჯიბები.
(იქვე, ფ. 16).

თინათინის ტახტზე ასვლის ცერემონიალი რუსთველს ასე აქვს აღწერილი:

თინათინ მიჰყავს მამასა პირითა მით ნათელითა,
დასვა და თავსა გჳრგვინი დასდგა თავისა ხელითა;
მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა.
(45).

[1] ო. მ დ ი ვ ა ნ ი, ბარამ-გულიჯანიანი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი S № 170.

ფეშანგი რუსთველის ამ ადგილს იმეორებს, როდესაც არჩილის კახეთში გამეფებაზე ლაპარაკობს:

შაჰნაზარ მეფე ტახტს დასუა ამა ქუეყნისა მპყრობელმან,
თავსა გუირგუინი დაადგა მამამა, მისმა შობელმა;
აკოცა, ტკბილად დალოცა არეთა შემამკობელმა;
გვერდსა დაუჯდა, უკუყრით, მისად სიცოცხლედ მხმობელმა.
(შაჰნავაზიანი[1], 1030).

როსტევანის და ავთანდილის ნადირობის ეპიზოდი გამეორებული აქვს ფეშანგს. იგი სიტყვიერ მასალასაც რუსთველიდან იღებს.

თინათინის გამეფების შემდეგ, ავთანდილის მოთხოვნით, როსტევანმა ნადირობა გამართა, გამზრდელ-გაზრდილი გაეჯიბრა ერთმანეთს და წინასწარ ,,სანიძლაოც'' გააჩინეს:

ნაძლევიცა გააჩინეს, ამა პირსა დაასკვნიდეს:
და ვინცა იყოს უარესი, თავშიშველი სამ დღე ელიდეს.
(69).

მარეკები დაგზავნეს ტყეში და

მოვიდა ჯოგი ნადირთა ანგარიშ მიუწთომელი,
მას პატრონ-ყმანი გაუხდეს, უვრეტადმცა სჯობდა რომელი!
(75).

ნადირობის შედეგების შესახებ მონებმა ასე მოახსენეს როსტევანს:

ორთაენ ერთგან მოკლული ყველაი ასჯერ ოცია,
მაგრა ავთანდილს ოცითა უფროსი დაუხოცია;
არ დასცთომია ერთიცა, რაც ოდენ შეუტყორცნია,
და თქვენი მრაელი მიწითა დახვრილი დაგვიხოცია.
(81).

ვახტანგ შაჰნავაზმაც დიდი ნადირობა მოაწყო:

მეფემ ბრძანა ველად გასულა, ნადირთაკენ თავნი ვაროთ;
ვის შეგვეძლოს მშუილდოსნობა, იგ ნადირი გავამწაროთ;
კანჯრის ჯოგი ამოვსწყუიტოდ, სისხლი მათნი ველად ვღუაროთ;
ვინცა ვიყოთ უკეთესი, თავი გმირსა დავადაროთ.
(შაჰნავაზიანი, 230).

[1] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, თბილისი, 1935, გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით.

მოვიდა ჯოგი ნადირთა, მინდორად აღარ ეტია.
(იქვე, 239).

გაიმართა ნადირობა, ვახტანგმა და მისმა მხლებლებმა შესანიშნავად ინადირეს:

მათ პატრონ ყმანი გაუხდენ, გაჰკუირდა მათი მჭრუეტია.
(იქვე, 239).

ნადირობის ფინალი ასე აქვს აღწერილი ფეშანგს:

მოიტანეს ყოველთავე მას დღეს, რაცა დაეხოცათ;
დანაცდენთა ისართაგან მიწა ერთობ მოეხოცათ;
მეფისაგან დანახოცი ნახეს, მეტად მათ ეოცათ;
თქუეს: „მოკლულსა ესე ჩუენსა ერთი ღირდეს, მგონი ოცად“.
(იქვე, 242).

მეფე ფარსადანი მოციქულს გზავნის ხვარაზმეთის მეფას წინაშე და შვილს სთხოვს სასიძოდ:

გაგზავნეს კაცი ხვარაზმშას წინა შვილისა მთხოელი;
შესთვალეს: „გახდა უმკვიდროდ სამეფო ჩვენი ყოელი;
არს ერთი ქალი საძეო, არ კიდე — გასათხოელი,
და თუ მოგვცემ შვილსა სამისოდ, სხვასა ნუღარას მოელი“.
(514).

ამ ეპიზოდს იყენებს ფეშანგი. ლევან დადიანი ასულს სთხოვს დედოფლად ვახტანგ შაჰნავაზს და მის მეუღლეს:

რადგან არიან ჩემზედა ღეთუღებ წყალობის მოველი,
რაცა ქნეს, იცის ყოელმა, მის სიკეთისა მხსოველი,
ტახტი დამნებდა მათითა, რაც იყო განძი ყოველი,
ასული მამცენ დედოფლად, აწ ამასაცა მოველი.
(შაჰნავაზიანი, 730).

მეკობრეთაგან ეაჭართა დახსნა-განთავისუფლება, როგორც აკად. კ. კეკელიძე წერს, „ზოგად ადგილად“ ქცეულა ჩვენს მწერლობაში“[1]. ეს „ზოგადი ადგილი“ შეტანილია „ვეფხისტყაოსანში“ მსგავს ეპიზოდს ვხვდებით „ბარამ-გულიჯანიანში“. ო. მდივანი რუსთველის მსგავსად ამუშავებს ამ სურათს. იგი თითქმის სიტყვა-

[1] ნ. ციციშვილი, შვიდი მთიები, 1930, კ. კეკელიძის წინასიტყვაობა, გვ. XXVII.

სიტყვით იმეორებს რუსთველის მხატვრულ ხერხებს, შედარებებს, სიტყვიერ მასალას. ერთი სიტყვით, დამთხვევა სრულია.

ავთანდილმა ზღვის პირად ნახა ვაჭრები, რომლებიც მეკობრეთა შიშით ზღვაში ვერ შესულიყვნენ, იკითხა მათი ვინაობა, ვაჭრებმა ჰკადრეს:

...ჩვენ ვართო მობაღდადენი ვაჭარნი,
მაჰმადის სჯულის მჭირავნი, აროდეს გვისვამს მაჭარნი;
ზღუათა მეფისა ქალაქსა სავაჭროდ გარდმონაჭარნი,
და საქონელ-სრულნი, მდიდარნი, არ ლარნი გვაქვან ნაჭარნი.

ჩვენ აქა ვპოვეთ ზღვის პირსა კაცი უსულოდ მდებარე;
ეუშველეთ, ენა მოეცა სიტყვისა გამომგებარე;
ვჰკითხეთ თუ: ,,ვინ ხარ, ღარიბო, რასა საქმისა მძებარე?''
და გვითხრა: ,,თუ შეხვალთ, დაგხოცენ, კიდე ცოცხალ ვარ მე ბარე!''
თქვა: ,,ქარავანი ეგვიპტით გამოვემართეთ ერითა,
ზღვასა შევედით ტვირთულნი ღარითა მრავალ-ფერითა,
მუნ შეკობრეთა დაგვხოცეს ძელის სახნისის წვერითა;
და ყველაი წახდა, არ ვიცი, აქა მოსრულვარ მე რითა!''.
(1031-1033).

ავთანდილი დაპირდა ვაჭრებს, რომ ხიფათიდან დაიხსნიდა:

ყმამან უთხრა: ,,ვინცა ჰმუნავს, ცუდია და ცუდად სცთების;
რაცა მოვა საქმე ზენა, მომავალი არ აგვცთების;
მე მივინდობ სისხლთა თქვენთა, შემოვისხამ, დაცამწვთების,
და ვინცა გებრძვის, ხრმალი ჩემი მბრძოლთა თქვენთა დააცვთების''.
(1035).

ავთანდილმა ვაჭრებს ნავში ჩამალვა ურჩია:

შორს ისრითა არ დაგხოცნენ, ჩაიხშენით თანა კარნი.
(1040).

თვით კი საბრძოლველად მოემზადა. გამოჩნდა მეკობრეთა ნავი:

კიდეს იგი ლაშქარნი, ხმა მათი არ გაწყდებოდა,
აძგერეს ძელი, რომელსა ზედა სახნისი ჰგებოდა;
ყმა ნავის თავსა უშიშრად ქვე დგა, არ თურე კრთებოდა,
და კეტი ჰკრა, ძელი მოსტეხა; ლომს მკლავი არ უდრკებოდა.

ძელი მოსტეხა ავთანდილ, დარჩა ნავ-დაულეწელი;
შეშინდეს იგი ლაშქარნი, გზა ძებნეს გარდასახვეწელი;
ველარ გაუსწრეს, გარდუხტა მტერთა მიდამო-მლეწელი;
და არ დარჩა კაცი ცოცხალი, მუნ მისგან დაუფრეწელი.
(1042-1043).

მექარავნეებმა გამარჯვებულ ავთანდილს დიდი ქება შეასხეს:

მოეგებნეს, აკოცებდეს თავსა, პირსა, ფერხთა, ხელსა;
ჰკადრეს ქება უსაზომო მას ტურფასა საქებელსა...
„შენგან დავრჩით ჩვენ ყველანი ფათერაკსა ეზომ ძნელსა“.
(1049).

ხიფათისაგან გადარჩენილმა ვაჭრებმა მოციქული მიუგზავნეს ავთანდილს:

ავთანდილს უსამ მოართვა ვაჭართა შემოთელილობა:
„შენგან ვართ გამაგრებულნი, ჩვენ ვიცით ჩვენი ცვილობა:
რაცა გვაქვს, იგი შენია, ამას არ უნდა ცილობა,
და რასაცა მოგვცემ გვიბოძე, გვიქნია აქა ყრილობა“.
(1054).

ავთანდილმა ფარი თქვა ვაჭართა ქონების მიღებაზე:

ყმამან შესთვალა: „ჰე ძმანო, წელანცა მოგისმენია,
ღმერთსა შეესმა ნაკადი, რაცა თქვენ თვალთა გდენია,
მუნ დაგვარჩინნა, მე რა ვარ, მე, გლახ, რა მომილხენია!
და რა გირდა მომცეთ, რას ვაქნევ? მე ვარ და ჩემი ცხენია!“

მე თუმცა რამცა მინდოდა საჭურჭლე დასადებელი,
ჩემსაცა მქონდა ურიცხვი, ესახო ლარ-საგებელი;
რას ვაქნევ თქვენსა, რად მინდა? ოდენ ვარ თქვენი მხლებელი;
და სხვაგან რამე მიც სხვა საქმე თავისა წასაგებელი.
(1055-1056).

ავთანდილმა მთელი ქონება ვაჭრებს გადასცა და ბოლოს ასეთი თხოვნით მიმართა ვაჭართა უხუცესს:

ჟამამდის ჩემსა ნუ იტყვით არ თქვენსა პატრონობასა;
„თვით თავადია ჩვენი“, თქვით, ნუ მიხმობთ ჰაბუკობასა.
მე სავაჭროა ჩავიცვამ, დავიწყებ ჯუბაჩობასა;
და თქვენ შემინახეთ ნამუსი, თქვენსა და ჩემსა ძმობასა.
(1058).

ვაჭრებმა უსაზღვროდ გაიხარეს და ამ თხოვნის შესრულებას დაჰპირდნენ.

ანალოგიური სურათია წარმოდგენილი ,,ბარამ-გულიჯანიანში''. ბარამმა ზღვისპირად ნახა მეჭარავნეები და ვინაობა გამოჰკითხა. ვაჭართა უხუცესმა

...შეკადრა, დალოცა სიტყვა ქენებით,
იტყვის: მობრძანდი პირითა, მზისაებრ შუქთა შვენებით.
ჩვენ ინდონი ვართ, ვაჭარნი, ლარითა ზე აშენებით,
განძი საჭურჭლე თანა გვაქვს, ურიცხვი გამოჩვენებით.

აწ ამას გკადრებ: ჩვენ ვართ ტომთაგან მაჰმადიანი,
გამოვემართეთ ქენებით, აროდეს მიზეზიანი,
საგანძურისა სიმრავლით, არ მოვიგონეთ ზიანი,
აქ დაგვიბნელდა სინათლე, დღე ჩაგვისვენდა მზიანი.

მის ეგვიპტეს მიმავალი აქ მოვედით ლარ-კიდებით,
კაცი ვჰპოვეთ დაკოდილი ტირიტით და სულთქმა ვებით.
ვჰკითხეთ: ვინ ხარ ღარიბობით, ვითა მკუდარი ქვა დაკრებით,
გვითხრა: „შეხვალთ, ვერ მორჩებით, მეკობრეთა შემოკრებით".

მან ჰსთქუა; გექონდა თქვენებრივე პყრობა განძისა სრულისა.
მოქარავნეთა ვაჭართა ტვირთვი ტურფათა სრულისა,
სრულად დაანთქეს ზღვაშიგან, ჟამი ჰსნჩდა აღსასრულისა,
ნუ შეხვალთ, ახლად ისმინეთ სიტყუანი ჩემგან თქმულისა.
(S № 170, ფ. 52).

ბარამმა იკისრა ვაჭრების დახსნა მეკობრეთა კლანჭებიდან:

რადგან ღმერთმან მოწყალემან მომავლინა თქვენდა სწორად,
ამას გითხრობ ყოველთავე სიტყვა მრთელად, არ ნაპორად:
ნუ ეშიშვით მტერთა თქვენთა, მოგაღორებ აბა მორად,
მე გაგახსნე გზასა ძნელსა, ახლო იყოს თუნდა შორად.
(იქვე, ფ. 53).

გამოჩნდა მეკობრეთა ნავები, ბარამმა

ბრძანა: დამიგეთ თვალნი, თუ მე მარტო როგორ შავები,
თქვენ შიგან ჩაიმალერით, დღენი არ ნახოთ ავები.

ბარამ უშიშრად წაადგა ნავისა თავსა ირებსა,
ოდეს მოვიდნენ, იგი ყმა ზახილით დაიყვირებსა.
იგ ბალავარი ნავს უკრა, შემოალეწდა პირებსა,
ზღვასა დაანთქა ერთობით ვერ მიხვდნენ დანაპირებსა.

რამცა იყურენ კატარღანი ლახტით პირნი შემოლეწნა,
ვინცა მორჩეს შიშისაგან, მუნით იწყეს გადახვეწა.
შეხედვაცა დაუძვირდათ, ვერ შემართეს შემოხვეწა,
მუნ ვით მიხვდა განქარვება, არ აჩნდიან ერთ სახეწა.
(იქვე, ფ. 54).

ვაჭრებმა ქება-დიდება მიუძღვნეს ბარამს:

სედრაქ ასხმიდა ქებასა, ხელ-აპყრობითა დალოცა:
ტაროსი მოგვხედა ვაჭართა, თქვენგან მოვიმკეთ ალოცა.
ლომო, გმირო და ჯაბუკო, გულითა ტინო სალოცა,
თქუენი ვართ ინდნი ლარითურთ, ჰხამს თუმცა მოგეკრძალოცა.

მერმელა ჰკადრეს: „მოგვეცა წყალობა ღმრთისა ზენითა,
ამას ვიკადრებ ყოველნი სიტყვითა მონახსენითა,
თქვენგან მოგვეცა ყველაი, დღეს ლარით ავივსენითა,
თქვენია განძი საუურჭლე, რაცა გწადს გვიბოძენითა“.

ყმამან უბრძანა: „ვაჭარნო, მისმინეთ სიტყვა ასებით,
ღმერთმან კულავ მოგცათ წყალობით მისთა წმინდათა
დასებით.
მე არ ძალმედვა შემართვა, რასათვის არ გენასებით,
აწ მომიძღვნია, წაიღეთ თქვენი ოქრო და ფასები.

მე რას ვაქნევ საგანძურსა, ვარ მინდორად მოარული,
ღმერთი მოშცეს წყალობასა, იგ არს თავი დასასრული
სად მე ვიყო ჩემის ცხენით, მოვაწიო საქმე სრული,
კვლაცა მ-ვხედე საწადელსა, არ მეწივნეს აღსასრული.

ჩემიცა მქონდა საუურჭლე, დავაგდე დატეებული,
სპანი ურიცხვნი, მრავალნი, ბრძოლასა შიგან ქებული.
ახლად ვარ მარტო ღარიბად ველთა მიდამო რებული,
მეც წავალ, თქვენცა ნუ ჰსდგეხართ, იქმენით ლარკიდებული.
(იქვე, ფ. 54).

ავთანდილის მნათობებთან საუბარი გაუმეორებიათ თავიანთ ნაწარმოებებში დ. ბაგრატიონსა და ო. მდივანს.

ავთანდილი ნესტან-დარეჯანის ამბის გასაგებად მიდის. მიჯნურს და მეგობარს მოცილებული სევდიანი რაინდი მიმართავს შვიდ მნათობს:

მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:
,,აჰა, მზეო, ვეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა,
ვინ მდაბალთა გაამაღლებ, მეფობასა მისცემ, სვესა,
და ჩე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა".

,,მო, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა, ჭირი ჭირსა,
გული შავად შემიღებე, სიბნელესა მიმეც ხშირსა,
შემომყარე კაეშანი, ტვირთი მძიმე ვითა ვირსა,
და მას უთხარ თუ: ,,ნუ გასწირავ, შენია და შენთვის ტირსა".

,,ჰე მუშთარო, ვეაჯები შენ, მართალსა, ბჭესა ღმრთულსა;
მო და უყავ სამართალი, გაებრჭობის გული გულსა;
ნუ ამრუდებ უმართლესსა, ნუ წაიწყმედ ამით სულსა,
და მართალი ვარ, გამიკითხე, რად მიწყლულებ მისთვის წყლულსა"!

,,მოდი, მარიხო, უწყალოდ დამჭერ ლახვრითა შენითა,
შეცამღებე და შემსვარე წითლად სისხლისა დენითა,
მას უთხრენ ჩემნი პატიჟნი, მას გააგონენ ენითა,
და როგორ გასრულვარ, შენ იცი, გული არღა არს ღხენითა".

,,მოდი, ასპიროზ, მარგე რა, მან დამწვა ცეცხლთა დაგითა,
ვინ მარგალიტსა გარეშე მოსცავს ძოწისა ბაგითა;
შენ დაიშვენებ კეკლუცთა დამშვენებითა ნაგითა,
და ვისმე, გლახ, ჩენებრ დააგდებ, გაჰხდი ცნობისა შმაგითა".

,,ოტარიდო, შენგან კიდევ არვის მიგავს, საქმე სხვასა,
მზე მაბრუნებს, არ გამიშვებს, შემიყრის და მიმცემს წვასა;
დაჯე წერად ჭირთა ჩემთა, მელნად მოგცემ ცრემლთა ტბასა;
და კალმად გიკეთ გაწლობილსა ტანსა ჩემსა ვითა თმასა".

,,მო, მთვარეო, შემიბრალე, ვილევი და შენებრ ვმჭლდები,
მზე გაბავსებს, მზევე გამლევს, ზოგჯერ ვსხლდები, ზოგჯერ ვწვლდები:
მას უამბენ სჯანი ჩემნი, რა მჭირს, ანუ როგორ ვბნდები,
და მიდი, უთხარ, ნუ გამწირავს, მისი ვარ და მისთვის ვკუდები".

დასასრულს ავთანდილი აცხადებს:

აჰა მმოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემოწმებიან:
მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან,
მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მოწმედ მყვებიან,
და მას გააგონე, რანიცა ცეცხლნი უშრეტნი მდებიან.
(957-964).

დიმიტრი ბაგრატიონი ავთანდილისებურად მიმართავს მნათობებს:

მო, ზუალო, სევდიანსა გულსა რასმე მომიღონე,
ასპიროზო, ნულარა მწყლავ, მკურნე, ჭირნი მომიფონე.
მზეო, ვიწვი, ეს მაკმარე, სენი სენსა შემიწონე,
და მთუარეე, შეყრით შემიბრალე, საყვარელსა მიმაკონე.

მუშთარო, გაბრჭე სამართლად, ვინ უმართლია ვინებსა,
ოტარიდ დაჯე, დაწერე, გეტყვი ჩემს მოსაწყინებსა.
ვარსკვლავნო, თქვენ თქვით, რაც ოდენ თვალთაგან ცრემლი
მდინებსა,
და მარიხო, დამჭერ მოჩივართ, თუ მოკულა მოგალხინებსა.
(*H* № 350, გვ. 9)[1]

„ბარამ-გულიჯანიანში“ ველად გაჭრილი ბარამიც ასე ესაუბრება მნათობებს:

სინათლით მზეო, მთვარეო, ასპიროზ, მარიხ, ზუალო,
ოტარიდო და მუშთარო, ქუე მნათობ მათთან უალო.
(*S* № 170, ფ. 11).

შემდეგ საკუთარ სევდასა და მწუხარებას ამცნობს მათ და სთხოვს დახმარებას. ყოველ მნათობისადმი მიმართვა დასათაურებულია:

მზე არს ეტლად მეფობისათვის

გეაჯები მზესა ჩემსა, სვე მეფეთა შამში ბედი,
ნუ დააზროპ სავარდესა, სატრფო მოეც ზედან ზედი.
ეტლი შენი მიწინაშე დაამდაბლე სხივთა ქედი,
წყლულთა მკურნე ტახტსა ზედან, ქუემოედა აქ დაჯედი.

[1] დ. ბაგრატიონი, ელისაბედიანი, საქ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი *H* № 350.

მთუარე არს ეტლად მოგზაურთათვის

მთუარესა ეტყვის მთუარეო, მნათობო ჩემო ყამარო,
უფსკრულთა მაშვენებელო, მოგზაურთათვის ამარო,
გულისებრ გულსა მინათლებ, მისებრ შენთანა დამაროო,
ეტლი მომირთე, გზა მომეც, ზედა წამ და წამაროო.

ცისკარი არს ეტლად სნეულთა კურნებად

ჰე, ასპიროზო, ცისკარო, ზეცისა ეტლთა მფლობელო,
მკურნე სენთაგან სნეულსა, სურვილთა ჩემთა მცნობელო.
ჭირისა ლხინად შემცუალო, სევდათა დამადნობელო,
საყუარელისა ჩემისა, მსგავსად შუქისა მძღნობელო.

ოტარიდი არს ეტლად მწიგნობართათვის

ოტარიდ, ერმი მნათობო, იციმცა ვეძებ მე რასა!
შენთანა ვილხენ მის მიერ მისთვის დაგიწყებ მზერასა.
გაცნობებ ჩემთა ჰამბავთა, დაგიკლებ ვერას ვერასა,
ჭირთა ჩემთა და სურვილთა შენ დაუწყებდე წერასა.

მარიხი არს ეტლად მხედართათვის

შენ გეაჯები მარიხო, რომელთა გიხმეს არია,
მხედართა შემწე ეტლი და ხარ მათი სამუდარია.
ვარ მეცა ერთი მათგანი ტაროსით მომე დარია,
სინათლე შენი და სხივი ჩემთვის საიმედარია.

მუშთარი არს ეტლად ვაზირთათვის

დია, მუშთარო, მინდიან შენგან ვაზირი მრჩეველად,
მოთხრობად ჩემთა სევდათა, თათბირთა შემომწეველად.
ვისთვისმე გულნი კუდებიან, ნისთა სურვილთა მთნეველად,
შენ მიშველე რა და მარგე გლახ მისთვის დავალ ტყე-ველად.

ჰე, აფროდიტო, ზოალო ვერ გიზამ აქ მოყუანასა,
შემწე ხარ ყოვლთა მუშაკთა, ამინდით მკიან ყანასა.
მეც მომეც ეტლი სათვისო, ნუ მომცემ ცრემლთა ბანასა,
თუ არ მეწევი, მოჰკუდები გულსა დავიცემ დანასა.

(იქვე, ფ. 36-37).

ავთანდილის გაპარვამ როსტევანის ყველა ქვეშევრდომი დააღარდიანა, მაგრამ ყველაზე უფრო მწვავედ ამ ფაქტს მეფე განიცდიდა მან ცხარე ცრემლებით და მოთქმით აუწყა ვეზირებს, რომ „მზემან შუქნი დაუძვირა“, რომ ამ ამბის შემდეგ როსტევანია შესაბრალებელი, თორემ ავთანდილი ყველგან მოახერხებს თავის გატანას:

„თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები,
მაგრა მე რა ვქნა, გაზრდილო, აწ სახლად მმართებს სენები!
გაძალარიბე, დამაგდე, გულსა, გლახ, ვისთვის ენები,
და შენად შეყრამდის პატიჟთა ჩემთა ვერ იტყვის ენები!“

„ვიცი, არ მოგკლავს შიმშილი, რაზომცა დია ირები:
შენ შენი მშვილდი დაგარჩენს, შენთა ისართა პირები,
ნუთუ კვლა ღმერთმან წყალობით გაგიადვილოს ჭირები,
და მაგრა, თუ მოვკვდე, გაზრდილო, ვისგანღა დავიტირები?“
(822-824).

მეფესთან ერთად მთელი სახელმწიფო ტირის ავთანდილის გადაკარგვის გამო:

ზარი გაისმა, შემოკრბა ჯარი მრავალი კაცისა,
დარბაზს ხასთაგან ჯარია ხელითა წვერთა ტაცისა,
იგლეჯს და იცემს ყველაი, ხმა ისმის თავსა ტკაცისა;
და თქვის: „ბნელი გვმართებს დღე-კრულთა, რათგან მზე
მიგვიდრკა ცისა!“
(825).

მეფე როსტევანი ბრძანებს:

...მხიარულსა ნუ ჩაიცმენ ჩემნი სპანი,
ვამლოცველნეთ დავრდომილნი, ობოლი და ქვრივნი სხვანი,
და შევეწივნეთ, მშვიდობისა ნუთუ ღმერთმან მისცეს გზანი.
(829).

ამ ეპიზოდის ნაგავსი ადგილი გვხვდება „ბარამ-გულიჯანიანსა“ და „სამარდიანში“.

ბარამი გადაიკარგა სახელმწიფოდან. მეფე ჯონშერი დანაღვლიანებულია. იგი თავის მწუხარებას ვერ ფარავს და ხმამაღლა მოსთქვამს ისე, ვით როსტევანი:

ვაი, გაზრდილო მოგშორდი, შვილად ნახმობო ძეოდა,
დაჰკარგე თავი უებრო, ჩემთან არ მოიძეოდა.

წახველ და ღმერთ[?]ან შენ მოგცეს გზაზედან წაღმა წარობა,
გაჭუს მკლავთა შენთა სიმაგრე, მებრძოლთა შეუზარობა.
არ მოგემშევა, იხმარე ცხენ ფიცხად მოისარობა,
მაგრა მე რა ვქნა უშენოდ[1] ბამხვდება ლხინთა მარობა.

ლომო ჩემო, რისთვის შემქმენ, მე, გამზრდელი გულმოკლულად,
თუ გინდოდა ქალი ჩემი, არ მაცნობე ცნობა სრულად[2].
ვის ჰფერობდა უშენოსა იგ ნაზარდი ალვა რგულად,
მაგრამ ეშკი გერეოდა, მისთვის იქმენ სულ-წასულად.

კაცთაა შენი სურვილი, თვით შენი არა ბრალია,
სოფლისსა ნივთთა, ყუავილთა კაცი ამრიგად მთურალია.
უშენობითა შემექმნა ღაწუნი აროდეს მშრალია,
წახუე შეიქენ მზე ბუნდად, მთუარე დამიგდე მცხრალია.
(S № 170, ფ. 28).

ბარამი მოიძებნეს, მაგრამ ვერსად ჰპოვეს. ახლა უკვე სახელმწიფო გლოვობდა ჯონშერ მეფესთან ერთად ბარამის დაკარგვას:

იქ შემოკრბა მისნი სპანი, შეიტყვიან იყო საცა,
ჰსტიროდიან ხელ-აღპყრობით გაუხდება თავსა ტკაცა.
ზოგნი თმათა იზიდვიდეს, ზოგთა წვერი შეეტაცა,
საყელონი გარდეხივნეს, ვინღა უთხრას — ნუ იქ, აცა.

სამსა დღესა მოიტირეს, არ მოუვა თვალთა რული,
მწუხარებით გაშმაგდიან ჰკვიანი და ცნობა სრულნი.
მეფე ჰბრძანებს, ახლა არის დღეთა ჩემთა აღსასრული,
ამას ვუთხრობ სპათა ჩემთა — არ ჩაიცვან მხიარული.

მაშინღა შექმნეს ჩინელთა გლოვა, ჰმუნვა და წუხილი,
მისთვის ხმამაღლა ტირილი, მართ ვითა ცისა ქუხილი.
შავნი ემოსნეს ცრემლითა, ჰქმნიან თვალისა წუხილი,
მხიარულისა შემოსა ტანსა ვერავინ უხილი.
(იქვე, ფ. 28).

---

[1] შეადარე: „მაგრა მე რა ექნა, გაბრდილო"... (832).

[2] შეადარე ფარსადანის საყვედურს ტარიელისადმი: „თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა შემაგებინე". (569).

მსგავსი ეპიზოდი გვხვდება „სამარდიანში“ [1]. სუნდარი გაეპარა ხელმწიფეს (ისე, ვით ავთანდილი), ეს ამბავი მეფეს მონამ შეატყობინა. მეფე მწუხარებისაგან ძირს დაეცა, ძლივს მოასულიერეს. შემდეგ იგი აცხადებს:

ჟარნი ჩემნი მოიწივნეს, მმართებს თმენა ესდენ ჰირსა,
სუნდარის ნაცვლად ვის ვსჰვრიტო მაცოცხლებლად ყრმისა პირსა,
წარელო, მივა, თუ არ ვიცი, სად იხილავს შრომას ხშირსა,
ხამს გელმოდეთ, სპანო ჩემნო, გულსა ჰყოფდეთ ანატირსა.
(S № 1232, გვ. 10)

ვეზირმა მეფეს ურჩია: „გლახაკთა საბოძვარი მიეცით, დავრდომილთ შეეწივნით, მოჩიენარს უსაჯეთ, ავაზაკნი დასაჯეთ და ესრეთისა სიყვარულისათვის ღმერთი სუნდარს უვნებლად დაიფარამს“. (იქვე, გვ. 10).

ტარიელსა და ნესტანს შორის ასმათს მიმოჰქონდა სამიჯნურო წერილები. სამიჯნურო ჯუტარის გადაცემის ამსახველი ეპიზოდი ვამეორებული აქვს ო. მდივანს. გულიჯანმა მოსამსახურის ხელით გაუგზავნა წერილი ბარამს. მოწყენილი ბარამი ვარტოა საწოლში:

სურვილისაგან ტკვე ქმნილსა მას ვიტყვი მარტო მწოლესა,
სოფელმა გულსა საკრავად მისთვის ღახვარი მოლესა.
მონა შემოდგა, ყმა მისი ვის უხმობს მესაწოლესა,
ქალსა ნახვიდა აჯილით მას თანა შემამყოლესა.

საწოლს იყო სევდიანი, ქუე მტირალი ეგრე ზისა,
მას გონება ახელებდა საყუარელსა სინაზისა.
გაუკვირდა მგონებელსა ლხინი ნაცულად მიზეზისა,
არ იცოდა, იგი ქალი თურე იყო იმა მზისა.

ქალი მდაბლად ეთაყუანა, ემშვიდობა მასალამით,
თქუა: „მომგზავნა, ვისი ღაწვი ზე ანათობს მასალამით.
მან თვარემან მოგანათლა, რაცა გინდა მასალამით,
ნარგიზთაგან წყალნი მოჰსდის ვარდის ბაღთა მასალამით“.

[1] სამარდიანი, საქ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი S № 1232. (ხელნაწერი დეფექტურია).

განჰკვირდა, გაცაეხარა, მისი ვჰსთქუა ვერად ვერაო,
ღაწუთა მიეცა შუენება, ბაგენი მოეფერაო.
აღვიდა გული ყუავილად, არ ისრეც დააბერაო,
ჰბრძანა: ,,არ მიცნობს მნათობი მიწა ვარ მათი მე რაო".

ქალმან ჰკადრა: ,,მზემან შენმან ვითარ იცის ხარმცა ვინა,
ერთხელ კოლავცა სადმე გნახა, რა შეგემკო ბროლ-ვარდ-მინა.
მას აქეთ ჰხის სევდიანი, გარე იყოს თუნდა შინა,
ვიცი, შენცა გულამოსკუნით ცრემლთა ღვარი გიდგას წინა.

მან გამომგზავნა, ვისა აქვს მზისაებრ უფრო დარიდა,
შვიდნი მნათობნი დაბრუნდა, მათ მისსა შუქსა დარიდა.
ჰშვენებით ხმელთა ანათობს, სხუა მჰსგავსი არსად არიდა,
აწ ნახე მისი უსტარი შენთანა სამუდარიდა".

წიგნი მიართო მის მზისა, ვინ არის შუქთა მფენელი,
დღე მიხვდა სიხარულისა, ამო გულისა მლხენელი.
იკითხვიდა და სულთქმიდა სურვილთა გამომჩენელი,
ხელი უფრორე ხელდება თვალთა ცრემლისა მდენელი.
(S № 170. ფ. 8).

ტარიელი ლომ-ვეფხთან ბრძოლის შემდეგ უღონოდ შეიქნა. განსაკუთრებით მძიმე გავლენა მოახდინა ტარიელზე ვეფხთან წაკიდებამ. ავთანდილმა ძლივს მიაკვლია შამბში გულწასულ ძეადნაფიცს. მოსულიერების შემდეგ დაგმო მისი საქციელი და მტკიცე ნებისყოფის საჭიროებაზე მიუთითა:

,,თუ ბრძენი ხარ, ყოვლი ბრძენნი აპირებენ ამა პირსა:
ხამს მამაცი მამაცური, სჯობს რაზომცა ნელად ტირსა;
პირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა ვით ქვიტკირსა.
და თავისასა ცნობისაგან ჩავარდების კაცი პირსა".

,,ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულებ,
მინდორს სჯერ და მხეცთა ახლავ, რას წადილსა აისრულებ?
ვისთვის ჰკვდები, ვერ მიხვდები, თუ სოფელსა მოიძულებ,
და თავსა მრთელსა რად შეიკრავ, წყლულსა ახლად რად იწყლულებ?"

,,ვინ არ ყოფილა მიჯნური, ვის არ სახმილი სდებიან,
ვის არ უნახვან პატიჟნი, ვისთვის ვინ არა ბნდებიან?
მითხარ, უსახო რა ქმნილა, სულნი რად ამოგხდებიან?
და არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან!''
(875-877).

ავთანდილმა გადასწყვიტა ცხენზე შეესვა ტარიელი და ისე წაეყვანა ქვაბისაკენ:

,,ისმინე ჩემი თხრობილი, შეჯე წავიდეთ ნებასა,
ნუ მიჰყოლიხარ თავისა თათბირსა, გაგონებასა,
რაცა არ გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა,
და ასრე არ სჯობდეს, არ გეტყვი, ნუ მეჭვ რასაცა თნებასა''.
(880).

კვლა ეუბნების ავთანდილ სიტყვითა მრავალ-ფერითა,
ეტყვის: ,,თუ მოჰკვდე, რას არგებ ქცევითა მაგ ოხერითა?
ნუ იქმ, არა სჯობს საქმითა, ნუ ხარ თავისა მტერითა''.
და ვერ წაიყვანა, ვერა ქნა სიტყვითა ვერა-ვერითა.
(887).

როგორც იქნა, დიდის ცდით ცხენზე შესვა და შემდეგ ასეთი კითხვა მისცა:

,,ერთსა რასმე მოგახსენებ, გაიცხადე დაუარული:
ეგე სამხრე მისეული, შენ გაჩნია ვისგან წყლული,
და რაგვარ გიყვარს, რაგვარ გიღირს? თქვი, დავიღო მერმე სული''.
(895).

ტარიელი პასუხობს:

სახე რა გითხრა მის უსხოსა სახისა!
ესია ჩემი სიცოცხლე, ჩემი მომცემი ახისა,
მჯობნი ყოვლისა სოფლისა, წყლისა, მიწისა და ხისა;
და არ სასმენლისა მოსმენა არს უმჟავესი წმახისა.
(896).

მსგავსი ეპიზოდები გვხვდება ,,ბარამ-გულიჯანიანსა'', ,,მიჯნურთ ბადესა''[1] და ,,ხუბმარდიანში''[2].

---

[1] კ. ანდრონიკაშვილი, მიჯნურთ ბადე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი S № 1511, გამოცემულია ალ. ბარამიძის მიერ, ანთოლოგია, II, თბილისი, 1928.

[2] გ. ბაგრატიონი, ხუბმარდიანი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი H № 2205.

მილადმა იხილა ველად გაჭრილი ბარამი. მილადი სთხოვს გაჰყვეს მას თავის სახელმწიფოში. ბარამი უარზეა. მილადი რჩევა-დარიგებას აძლევს ბარამს, ბოლოს დააფიცებს შემოქმედს, მიჯნურს და დაითანხმებს:

მილად ეტყოდა: „ვიცი გაქვს თვალნი ცრემლისა მდენელი,
ვარდი შეგქმნია ზაფრანად, ფერთა ვერ გამომჩენელი.
ლომს გიგავს უსუსურობა, ძალნი გაქვს დაუყოვნელი,
მაგრამ არა ჰხარს მამაცი, გლახ ჭირთა მოუთმენელი.

ბრძენნი არიან მრავალნი, შენ უარეს ხარ ბრძნობილი,
ჰსთქვიან იგია მამაცი, ვინ იყოს ჭირ დათმობილი.
მოთათბირეთა გამგონე, მჰსმენელი და მოთნობილი,
არა თავისა მიმყოლი, ჭკვიანთა კაცთა ცნობილი.

ერთსა რასმე მოგახსენებ, ნუ სიტყუანი გამიკულადე,
ამად რომე ყურად იღე, ვინ გიხსენო, იმას ხადე.
მიბრძანე და მომისმინე, თავი მისთვის შეიმზადე,
აღმისრულე საწადელი, ან მტერობით დამეჭადე.

ვჰკადრე: ,,მზე შენი მნათობი ხე ედემს ალვა რგულითა,
ვარდი უმზეოდ დამზრალი, შისვე ტურფითა ხულითა,
ცისკარი შუქთა მიმცემი სიღამისა და რულითა,
როგორად გიყვარს მტირალსა მაგა გულითა წყლულითა''.

მან ყმამან უთხრა: ,,იგი მზე, ჩემი სოფლისა ლხინება,
ეწადა ჩემთვის სიახლე, თავისა გამოჩინება.
მე მოვეშორე ტყვე-ქმნილი, მანც ასე გვარად ინება,
დავჰსჭ უნდი მისგან სევდითა, აჰით შაჰვს ცრემლთა დინება.

იგ მერჩია სინათლესა, სასმენელსა, გულსა, სულსა,
დღეთა ჩემთა გონებასა ან სიამით გარდასრულსა.
რა ვამჰსგავსო სამოთხესა, შეუდარო კარგ უსულსა,
მე მისთვის და იგი ჩემდა სოფლისაგან დანასულსა.

გეტყვი, ძმაო, არა უწყი ჭირთა ჩემთა ნაათალი,
იცი როგორ შემილამდა ბედისაგან დანმკრთალი.
ვეშაპთაგან დაჭერილი მეგუღვება მთვარე მცხრალი,
ვარდის ბაღი გარდამჭკნარი ყინულთაგან რა დამზრალი''.

მაშინ მილად შეეხეეწა, მუხლი წინა მოუყარა,
გულამოსკვნით იაჯება, ცრემლი ხშირ დ გარდმოყარა.
ჰკადრა, ჯერეთ მას გაფუცებ, ვინცა სმელნი დაამყარა,
მერმე გეტყვი მზესა შენსა, ვინ სურვილი შემოგყარა.

მისმინე, ლომო, ნუ მისდევ თავისა გაგონებასა,
ნუ მიეცემი სიკუდილსა, მას დღეთა შემოკლებასა.
ეგრემცა ღმერთი გაღირსებს საყვარელთანა ხლებასა,
სევდისა ლხინად შეცვლასა, ბედისა გაახლებასა.

მიფიცებია შენი მზე, ისმინე, მისსა ლხენასა,
თუ გირჩევნია თვალისა სინათლე ყურის სმენასა.
ნუ მიჰყოლიხარ სევდასა, უჟამო ცრემლთა დენასა,
დაშემორჩილე, მიხვდები მცირედ ჟამ არ მოწყენასა.
(S № 170, ფ. 61).

ბარამიც დამორჩილდა და გაყვა.

„მიჯნურთ ბადის“ ერთ-ერთმა გმირმა ფრანგისტან ჰაბუკმა ჯეირანი მოკლა, მომაკვდავ ცხოველს თვალებში ჩააცქერდა, თითქოს მიჯნურის ცქერა შეიცნო ჰაბუკმა და ატირდა მოთქმით. სიკვდილს ნატრობდა. მეტს აწუხარებისა და ტირილისაგან უგონოდ შეიქნა. მხლებლებმა ასეთი რჩევით მიმართეს მას:

ვინ არ ყოფილა მიჯნური, მიჯნურობითა დაგული,
მაგით მას ეროგორ მიხუდები, რატომ ხარ ჰკვა დაკარგული.
თუ მიჯნური ხარ, საძებრად განმართე ეგ შენი გული,
თუ თავს მოიკლავ, უთუოდ იქნები მისი ორგული.

ვიცით, უმისოთ სიცოცხლე შენი გწადს გასამწარავად,
ნუ ჰკუდები, ჩვენც დაგვიჯერე, საქმისა იყავ მფარავად.
ადექ, ცხენს შეჯექ, წავიდეთ, ქალაქს შევიდეთ სარავად,
მეფეს აცნობე, მიშველოს, საქმე მოგიხდეს არავად.
(S № 1511, გვ. 117).

ფრანგისტან ჰაბუკი ტარიელის მსგავსად პასუხობს:

აწ, ძმანო, ეგე ამბავი კაცს უნდა ვისმე ცოცხალსა,
ეგე წვრთნა მე რაღას მარგებს სიკვდილისაგან მეცალსა.
გული ვით გაჰსძლებს კაცისა ჰამბავსა გასაოცალსა,
ჩემი სიკვდილი უამბეთ მას ჩენსა ამამხოცალსა.

მე სიკუდილსა მივჰსწურვილვარ, თქვენ არ ვიცი-რას ამბობთა,
მაგ სიტყვითა ვერას მარგებთ, უფრო დანას დამასობთა.
გულსა ცეცხლით აღვსებულსა ჰსწრაფად როგორ დააცლობთა,
თქუენთან მოვჰკუდე მირჩევნია, ჩემს ხელქმნილსა უამბობთა.
(იქვე. გვ. 117).

ავთანდილის რჩევის მსგავს რჩევას აძლევს ხუბმარდი მტირალ სითარხანს:

...ვით ეგები ყმაწვილად და უგუნურად,
ვის უქნია ესე ბრძენსა, თავი ხელყო ეგრე შლურად?
წყალი ვის არ დაექცევა, ვინ ყოფილა უუწყურად?
და ეგრე არ ხამს ეგე საქმე შეიქნები უგუნურად.

კვლავ ხუბმარდ უთხრა სითარხანს. რა არის ეგე ეგები,
შენს ვარდს დააზრობ, ვერ არგებ, შენ ხმალზე აცაეგები.
ჩემნი ისმინე, რაც გითხრა, თუ ისმენ დია გერგები,
და ადექ, წავიდეთ, მოვნახოთ, უფრჭვნელი ვარდი ეგები.
(*H* № 2205, გვ. 18).

გ. ბაგრატიონს თავის ნაწარმოებში გაუმეორებია ნესტანის წერილი, რომელიც მან ქაჯეთის ციხიდან მისწერა ტარიელს. ნესტანი აღუწერს ტარიელს თავის აუტანელ მდგომარეობას და თან სთხოვს: დამთმე, ნუ წამოხვალო ჩემს გამოსახსნელად. შენ რომ ამ ბრძოლაში დაიღუპო, სიცოცხლე აღარც მე მინდაო შემდეგ:

,,ნუთუ ესენი გეგონეს სხვათა მებრძოლთა წესითა?!
ნუცა მე მომკლავ ჭირითა, ამისგან უარესითა;
შენ მკვდარსა განახავ, დავიწვი, ვითა აბედი კვესითა,
და მოგშორდი, დამთმე გულითა, კლდისაცა უმაგრესითა''.

,,შენ, საყუარელო, ნუ სჭმუნავ ჰმუნვითა ამისთანითა;
ჩემი სთქვა, სხვათა მიჰხვდაო იგი აღვისა ტანითა;
არამ სიცოცხლე უშენოდ, ვარ აქამდისცა ნანითა,
და ან თავსა კლდეთა ჩავიქცევ, ანუ მოვიკლავ დანითა''.
(1301-1302).

,,მზე უშენოდ ვერ იქმნების, რათგან შენ ხარ მისი წილი,
განაღამცა მას იახელ მისი ეტლი, არ თუ წბილი!''...

„მე სიკვდილი აღარ მიმძიმს, შემოგვედრებ რათგან სულსა,
მაგრა შენი სიყვარული ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა;
მოვეგონოს მოწორვება, მემატების წყლული წყლულსა;
და ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ, ჩემო, შენთვის დაკარგულსა“.
(1305-1306).

დაახლოებით ასეთი შინაარსის წერილს უგზავნის ფრანგთა მეფის ტყვეობაში მყოფი დუხტარგული სითარხანს:

რაც ვისმინე შენგან ქმნილი, საკვირვოა ესე დიდი,
შენთვის ვკვდები, შენთვის ვბნდები, სულსა შენთვის წევიწყვიდი.
სიყვარული მოგეგონოს, თავსა დია დაკრძალვიდი,
და თუ არ დამთმობ, არ ეგების მაგრათა მცვავს მეფე ფლიდი.

ვითა ეგების კაცთაგან ჩემი აქედან გამოხსნა,
წუთმა ბნელკრულმა სოფელმა რისხვანი ჩემთვის დამოხსნა,
არ შეიძლების არვისგან ამ მახეთ ჩემი გამოხსნა,
და ღმერთმა მეხტეხით ზეციდან რისხვანი ჩემთვის ჩამოხსნა.

არა ხამს შენი აქ მოსვლა, ძნელადცა დაცაეშვრების,
უშენობითა თვალთაგან სისხლის რუ დაცამელვრების.
შენსა მგონესა ხელქმნილსა სიცოცხლე ვითღა მეგვრების,
და ღმერთმა ქნას, შენცა სუფევდე, იყო პატრონი საზღვრების.

მე დამთმე და სხვას მონახავ უბრწყინვალეს უკეთესსა,
მე გამიშვი, შენ ჰირ ნაცვლად ცეცხლს მივეცე შენაგზენსა.
არც ღირს ვიყავ შენს ჯუფთობას კოცნას პირსა ნანაზენსა,
და ჩემთვის მოვკვდე, ვით ეგების, ნუ იბნელებ მთვარეს მზესა.

თურმე ამ ბედის ეყოფილვარ, მამეცეს ყოვლი ესები,
მე ფარვანა ვარ, შენ ცეცხლი, მომშორდი, წადი მზეს ები.
ნუ მასმენ შენსა სიკვდილსა, რათა იქ არ არს წესები,
და წადი, მე აქა დამაგდე მტირალი, მუდამ მკვნესები.

ვინც მცვავს, მეფე ასეთია გრძნეული და ავი გვარი,
არცა მდევსა, არცა ვეშაპს, ძალი არ აქვს ამის დარი.
მოსისხლეა კაცთა მკვლელი, არვინა ჰყავს შენადარი,
და წადით სამივ გაემართეთ, ნუ ხართ ჩემთვის მონამცდარი.
(*H* № 2205. გვ. 22-23).

გულანშაროს აღწერილობას იყენებს ო. მდივანი. ,,ვეფხისტყაოსანში'' ეს სურათი ასეა დახატული, მებაღე ეუბნება ავთანდილს:

ესეა ზღვათა სამეფო თვისა ათისა სავლითა,
თვით გულანშაროს ქალაქი, სავსე ტურფითა მრავლითა;
აქ მოდის ტურფა ყველაი ნავითა ზღვა-ზღვა მავლითა.
(1065).

მოქალაქეთა და ვაჭართა საქმიანობის შესახებ მებაღე ასეთ ცნობას აწვდის ავთანდილს:

დიღ-ვაჭარნი სარგებელსა ამის მეტსა ვერ ჰპოვებენ:
იყიდიან, გაჰყიდიან, მოიგებენ, წააგებენ;
გლახა თვე ერთ გამდიდრდების, სავაჭროთა ყოვლგნით ჰკრებენ,
და უქონელნი წელიწდამდის საქონელსა დაიდებენ.
(1067).

ქალაქის მკვიდრნი ნიადაგ მხიარულებაში ატარებენ დროს და ამით ისინი მომსკლელის გულსაც ახალისებენ:

აქა მოსვლითა გაყმდების, კაციმცა იყო ბერები:
სმა, გახარება, თამაში, ნიადაგ არნ სიმღერები,
ზამთარ და ზაფხულ სწორად გვაქვს ყვავილი ფერად-ფერები.
და ვინცა გვიცნობენ, გვნატრიან, იგიცა ვინა მტერები.
(1066).

ასეთივე სიტყვებით ამკობს მილადი ბალხეთს:

უცხონი მოელენ — გაყმდება, ბერნი გაყმაწვილდებისა,
მიხვედების ამო შექცევა ამა ქვეყნისა შვებისა.
ზამთარ და ზაფხულ ჰაერი, ფერი გვჩანს ყვავილებისა,
მტერნიცა გვნატრის მონობით, აქათგან შეიყრებისა.
(S № 170, გვ. 57).

,,სარიდონიანში'' [1] გვხვდება ერთი ეპიზოდი, რომელიც ავთანდილის ტირილსა და სინანულს გვაგონებს. მეფის ძემ სარიდონს

[1] სარიდონიანი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი S № 549, პოემა ორჯერაა გამოცემული, პირველად 1879 წ. ჩარეკოვის მიერ, მეორედ 1902 წ. ფამბაკელის მიერ.

აცნობა ერთი ქალის ამბავი, სარიდონი ცნობამიხდილი დაეცა (ისე, ვით ტარიელი ავთანდილის მიერ ნესტანის ამბის თხრობის დროს), მეფის ძე დასტირის სარიდონს:

> რათ მოგკალ ჩემის ხელით, ცრუვი სიტყვა გაგაგონე,
> რათ ვიცრუვე, რათ ვილაყთე, ცრუვლი სიტყვა გაგაგონე,
> ტყუვილი ცრუვლის ქებითა მოგკალი და შეგაღონე[1].
> (S № 549, გვ. 10).

დასახელებული მაგალითები ნათელჰყოფს, რომ აღორძინებისა და გარდამავალი ხანის ბევრი მწერალი თითქმის უცვლელად იმეორებს რუსთველის ეპიზოდებს. ზოგიერთი მოხერხებულად იყენებს შოთას მიერ დახატულ სურათებს. ფაქტია, რომ რუსთველის გენიის ასეთმა გავლენამ დადებითი როლი ითამაშა აღორძინებისა და გარდამავალი ხანის ლიტერატურის განვითარების ისტორიაში. „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ამაღლებული პოეზიის ნიმუში, შთააგონებდა პოეტებს. მეორე მხრივ „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენდა მაღალი პოეტური შემოქმედების ნორმას, ჩრდილავდა მდარე ხარისხის ნიმუშებს, გასაქანს არ აძლევდა მათ და ამდენად წინ სწევდა პოეზიას საერთოდ, თავის დონემდე აჰყავდა იგი. ამ მიმართებით რუსთველის გავლენას შემდგომი ეპოქის ლიტერატურაზე პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა.

ამასთანავე რუსთველის ძლიერ გავლენას ჰქონდა მეორე მხარე, რომელიც უარყოფითად მოქმედებდა ლიტერატურის განვითარებაზე. რუსთველის ოსტატობამ, კლასიკურმა ეპოსმა მომდევნო ხანის ლიტერატურა შებოჭა ეპოსის ფარგლებში, თუმც იგი უკვე აქტუალური აღარ იყო. ამასთანავე რუსთველის მიერ დაკანონებული მხატვრული ხერხები აფერხებდა მომდევნო საუკუნეების პოეტთა თავისუფალ შემოქმედებას, იგი გასაქანს არ აძლევდა ახალი ფორმების, ახალი ხერხების განვითარებას. ამდენად, „ვეფხისტყაოსანი“ ახალი ჟანრის განვითარების ბორკილად იქცა.

მაგრამ ეპოქის განვითარებასთან დაკავშირებით შეცვლილმა ლიტერატურულმა მოთხოვნილებებმა დღისწესრიგში დააყენა ახალი

---

[1] სარიდონიანში ჯეირო მიბაძვასთან გვაქვს საქმე.

ფორმების ძიება; ბოლოს და ბოლოს ლიტერატურა უნდა განთავისუფლებულიყო რუსთველის გავლენისაგან. მასების ხმა შეიჭრა ლიტერატურაში და აქედან იწყება შოთას მიერ დაკანონებული გზიდან გადახვევა. მრავალფეროვანი გახდა ჟანრი, გამარტივდა ფორმა, დადაბლდა ტონი. ამ საქმეში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით სულხან-საბა ორბელიანს, მამუკა ბარათაშვილსა და დავით გურამიშვილს.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის
შრომები, ტ. VIII, 1948.
Труды Кутаисского Государственного Педагогического
Института имени А. Цулукидзе, т. VIII, 1948.

მიხეილ მახათაძე

„ვეფხისტყაოსნისა“ და „თამარიანის“ ურთიერთობისათვის

„ვეფხისტყაოსნისა“ და კლასიკური პერიოდის სხვა სალიტერატურო ძეგლების ურთიერთობის საკითხი დიდი ხანია ფართო მეცნიერულ ინტერესს იწვევს. ეს ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერდა აკად. ნ. მარის ზოგიერთი გამოკვლევის გამოქვეყნების შემდეგ, რომელმაც არა ერთი პარალელი დაადგინა პოემასა და კლასიკური თუ წინარე ეპოქის საეკლესიო და საერო ლიტერატურულ ძეგლთა შორის. მომდევნო ხანებში ეს ძიება გაღრმავებული იქნა, და რომ ალარ ვილაპარაკოთ საეკლესიო ლიტერატურულ ძეგლებზე, „თამარიანის“, „აბდულმესიანის“, „ვისრამიანის“ და „ამირანდარეჯანიანის“ პოემასთან შეხვედრები პოეტურ-ფიგურალური, სიუჟეტურ-შინაარსობრივი, თუ იდეური ხასიათისა, ახსნილი იქნა, როგორც ამ უკანასკნელთა გავლენის შედეგი პოემის ავტორის შემოქმედებით პროცესზე, და მათივე, ე. ი. კლასიკური ეპოქის ჩამოთვლილი ძეგლების უხუცესობის შეჩვენებელი. ასე, აკად. კ. კეკელიძის აზრით, „კვალი მრავალი, ნაირნაირი თხზულების... გამოყენებისა ჩვენს პოემაში“ ფაქტია [1]. ასევე, აკად. შ. ნუცუბიძეც იმ აზრისაა, რომ „მე-12 საუკ. პოეზიას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს „ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურულ წყაროთა შორის“ და რომ „ეს გავლენა გამოიხატება არა მარტო ფორმაში, არამედ შინაარსშიც“ [2].

აღნიშნულ პოსაზრებაში ეჭვის შეტანა, რამდენადაც საკითხი ეხება პოემისა და მისი წარმომშობი ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობის ურთიერთობას საზოგადოდ, შეუძლებელია. წარმოდ-

[1] ლიტ. ისტ., ტ. II, გვ. 178, 1941.

[2] ვეფხისტყაოსნის ლიტერატურული წყაროები, რუსთაველის კრებული, თბილისი, გვ. 188, 1938.

გენილი ნარკვევი მიზნად ისახავს გააშუქოს არა პოემისა და მისი ეპოქის სალიტერატურო ძეგლების ურთიერთობა საზოგადოდ, არამედ მხოლოდ პოემისა და „თამარიანის“ ლიტერატურული ურთიერთობა, რადგან კერძოდ ეს საკითხიც დიდი ხანია მეცნიერულ ინტერესს იწვევს, ზოგიერთ დაკვირვებას კი საყურადღებო დასკვნებამდე მივყეყვართ.

არჩილიდან მოკიდებული, რომლის აზრითაც ჩახრუხაძემ „პირველ თქვა“, ე. ი. უფრო ადრე დაწერა „თამარიანი“, ვიდრე რუსთაველმა პოემა, დღემდე თითქმის ყველა მკვლევარი იმ აზრისაა, რომ ჩახრუხაძე უსწრებს რუსთაველს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ასეთი თუ ისეთი სახით დავალებულია „თამარიანისაგან“ [1]. კერძოდ, აკად. ნ. მარმა მათში დაძებნა სხვადასხვა სახის რამდენიმე ათეული პარალელი. პოემის საერთო ერთეული რეტი-შენამჭვრეტი, რომელიც ხუთმეტზე მეტ სტროფში გვხვდება, პარალელს პოულობს „თამარიანში“. თუმცა აკად. ნ. მარი ამ გარემოებას ორივე ამ ძეგლის ერთიდაიმავე ავტორისადმი კუთვნილებით ხსნიდა, მაგრამ იგი მაინც იმ აზრისა იყო, რომ „თამარიანი“, როგორც ძეგლი, პოემაზე ადრე შეიქმნა.

ამავე დროს ცნობილია, რომ XII-XIII საუკ. მწერლობაში დღემდე ვერსად ვხვდებით პირდაპირ ცნობას „ვეფხისტყაოსნის“ ან მისი ავტორის შესახებ. არა თუ პირდაპირი ცნობა, ანარეკლიც კი პოემისა მისივე ეპოქის ძეგლებში ჯერჯერობით შეკვლეული არ არის, რაც რუსთველოლოგიურ კვლევა-ძიებას განსაზღვრულ სიძნელეთა წინაშე აყენებს.

ქვემოთ წარმოდგენილია ცდა „თამარიანის“ რამოდენიმე სტროფის ინტერპრეტაციის საფუძველზე ახლებურად გაშუქდეს ოდებისა და პოემის ლიტერატურული ურთიერთობის საკითხი.

* * *

„თამარიანში“ ვკითხულობთ:

ეჩვენებოდა, მზედ ეგებოდა
ეგ თქვენი პირი გაცისკრებულად.

[1] ასე, ნ. ნუცუბიძე ფიქრობს, რომ „сведения... Арчила о влиянии Чахрухадзе на Руставели подтверждаются многими местами из... „Тамариани“ и „Витязя“ (Руставели и восточный ренессанс“, ст. 209 1948, Тбилиси). ასეთი ცნობები კი არჩილს არსად მოეპოვება.

მე რომ თქვენ გნახე, ედემისა ხე,
მართ სამოთხისა მიახლებულად,
ღონე ვიცადი, ვერ განვიცადი,
შენსა შუქს ეყვის დარიდებულად.
ვნახე ჰინდონი, ვითა რინდონი,
რომე ჩნდეს, ზანგნი, ალაღებულად (52).

ვინ მელნის ტბებად გთქვეს დასახებად,
გიშრისა სარჩო, დანატრებულად,
სახედ გსახობდეს, რა მზე ნათობდეს,
მაშინ ეთქმის დაბნელებულად (53)...

ასე იკითხება ეს სტროფები ხელნაწერებსა და მათ არაკრიტიკულ გამოცემებში[1]. აკად. ნ. მარს კი ეს სტროფები თავისი ცნობილი გამოცემით XII ოდაში გადააქვს (ტაეპები 8, 10, 11, 12), და ავსებს ზოგიერთი სხვა სტროფიდან ამოღებული ტაეპებით.

აი ჩვენთვის საინტერესო ადგილი XII ოდიდან:

7. შენი სიშუქე, რომელთა უქე,
ვითამც ვინ იქმნეს მიბაძვებულად?

8. ვინ მელნის ტბებად გთქვეს დასახებად
გიშრისა სარნო დანატრებულად,

9. ლერწამ ტანისა, საროსა ხისა
მიმსგავსებულ ხარ განკვირვებულად.

10. მე რომ თქვენ გნახე, ედემისა ხე,
მართ სამოთხისა მიახლებულად,

11. ღონე ვიცადი, ვერ განვიცადი,
შენსა შუქს ეყვის დარიდებულად.

12. ვნახე ჰინდონი, ვითა რინდონი,
რომე ჩნდეს, ზანგნი, ალაღებულად.

13. მე გული შენი ჩემად ვიშენი,
თუღა მივიჩნდი ზარმიღებულად.

[1] პლ. იოსელიანი, თბილისი, 1838; დ. ჩუბინაშვილი, ქრესტომათია, პეტერბურგი, 1863; ხ. ჯიჯინაძე, თბილისი, 1882 და 1900; ს. კაკაბაძე, თბილისი, 1913 და 1937.

რომ დამოწმებული ნაწყვეტიდან მე-12 ტაეპი თამარს, არც მეტაფორულად — მის თვალებს არ გულისხმობს, ეჭვი არ არის. აქ იკითხება:

ვნახე ჰინდონი, ვითა რინდონი,
რომე ჩნდეს, — ზანგნი, — ალაღებულად.

ეს ნიშნავს: ვნახე ჰინდონი (ინდოელნი), როგორც მთვრალები, რომ მოჩანდნენ, — ზანგები, — გახარებულნიო. თამარის, ან მეტაფორულად — მისი თვალების შედარება ინდოელებთან, თუ ზანგებთან, დიდი მკრეხელობა და კადნიერება იქნებოდა იმ ავტორის მხრივ, რომელიც თავისი ხოტბის ობიექტს მესიად სახავდა და ღვთაებრივი შარავანდედით მოსავდა.

მაშ რად დასჭირდა პოეტს ხაზი გაესვა ინდოელთა (თუ ზანგების) სიხარულისათვის, და მათი დამამცირებელი შედარება მთვრალებთან? როგორც აღვნიშნეთ, შეუძლებელია ასეთი შედარება გულისხმობდეს თამარს. ამიტომ საჭიროა დაძებნილი იქნას ამ ტაეპის ინტერპრეტაციის სხვა გზები.

ინდოელთა გაიგივება ზანგებთან, რასაც ადგილი აქვს დამოწმებულ ნაწყვეტში, ამ ცნებების სინონიმური გამოყენება დადასტურებულია „ვეფხისტყაოსანში“, და „თამარიანის“ დამოწმებული ტაეპიც პარალელს ჰპოვლობს პოემაში.

სცემა რა დავარმა ნესტანს,

წამოდგეს ორნი მონანი, პირითა მით ქაჯებითა,
მათ კიდობანი მოიღეს (580)

და ნესტანი ზღვით გაიტაცესო, — მოგვითხრობს ასმათი.

ამ მონათა (და ნესტანის) შესახებ ფრიდონი უამბობს ტარიელს: ზღვაზე დავინახე მომავალი ნავი, ნაპირზე მისგანო, —

ამოძერეს ორნი მონანი, შავნი, მართ ვითა ფისანი (626).

ფატმანი იმავე (თუ იმგვარივე) სანახაობის შესახებ ეუბნება ავთანდილს: ნავით მომავალ

ორთა კაცთა, ტანად შავთა, თვით პირიცა ედგა შავი (1129).

ფატმანი განაგრძობს: როცა მათ ნაპირზე გადმოსვეს ჭალი, მოვიხმე ოთხი მონაო, და, —

ვუბრძანე: ხედავთ, ინდოთა ტყვედ ყვანან შუქნი
რომელნი (1132).

როცა ფატმანის მონები შეჰვაჭრებიან ინდოელებს, ქალი მოგვყიდეთო,

შავნი ვნახენ მეტად წყენითო· (1134), —

შენიშნავს ფატმანი.

ამ მონებს ერთხელ კიდევ იხსენიებს ფატმანი:

იმა ზანგთა სით მოჰყვანდი შენ, პატრონი ცისა
ხომთა (1139)? —

უკი~ხავს მას ნესტანისათვის.

ამრიგად, პოემით ნესტანის გამტაცებელნი არიან შავნი, ზანგნი, ინდონი.

რა თქმა უნდა, სრულიად ძალდაუტანებლად აღინიშნება, რომ ამგვარი გაიგივება ინდოელებისა ზანგებთან საზოგადოდ მოსალოდნელია სხვა როგორც აღმოსავლურ, ისე ქართულ ძეგლებში.

არის ნიშანდობლივი მომენტიც.

ოდაში ხაზგასმულია, რომ ინდოელები, ზანგები, გახარებულნი, აღაღებულნი არიან მთვრალებივით. უბრძანა რა დავარმა ზანგებს— დაჰკარგეთო ნესტანი „მუნ, სადა ზღვისა ჰიპია“,

მათ გაეხარნეს, ხმამაღლად იყივლეს: „იპი-იპია“-ო (581),—

გადასცემს ავთანდილს ასმათის ჩვენებას ტარიელი.

ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი მომენტი მჭიდროდ ანათესავებს ერთმანეთთან ამ ორ სურათს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ტრადიციული ტექსტის 49 სტრ. იკითხება:

ვნახე რა სახე, შამბნარისა ხე,
ჰინდოთა ცვად ყონ ნამუხთალევად
(5-6. ნ. მარით — V, 51).

ვის იცავენ ნამუხთალევად ეს ჰინდონი? მათ მიერ გატაცებულ ნესტანს ხომ არა? ყოველ შემთხვევაში, არა თამარის თვალებს: ჰინდონი არ ნიშნავს მეტაფორულად წამწამებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარი იქნებოდა ნ ა მ უ ხ თ ა ლ ე ვ ა დ.

რა თქმა უნდა, მნიშვნელობას არ არის მოკლებული ის გარემოება, რომ 49, 52 და 53 სტროფები (ამ უკანასკნელზე საუბარი გიეჭნება ქვემოთ) იმ სტროფებს მოსდევს, რომლებშიაც ლაპარაკია ივდითის, დებორას, სამსონ და დალილას (41), ეთერის, რამინის, ვისის, ოსანოს, სალას (42), შატბიერის (შატბეჰრის), ალათის (აინოლჰეიატის, აინლიეთის), კაინის (ყაისის) და ლეილის (43) შესახებ.

არსებობს სხვამხრივი ახლო ანალოგიაც „თამარიანის“ დამოწმებულ ტაეპებსა და პოემის ერთ სტროფს შორის.

როგორც უკვე ვნახეთ, „თამარიანში“ ვკითხულობთ:

ეჩვენებოდა, მზედ ეგებოდა
ეგ თქვენი პირი გაცისკრებულად.
მე რომ თქვენ გნახე, ედემისა ხე,
მართ სამოთხისა მიახლებულად,
ღონე ვიცადი, ვერ განვიცადი,
შენსა შუქს ეყვის დარიდებულად (52).

ეგ თქვენი გაცისკრებული პირი (სახე) მზედ ეგებოდა, მზედ გამოდგებოდაო. მე რომ თქვენ გნახეთ, ედემისა ხეო, სამოთხის მიახლებულის მსგავსად ვეცადე, ღონე ვიცადი (თავს ძალა დავატანე), მაგრამ ვერ განვიცადე (იგულისხმება — ბრწყინვალება შენი სახისა), თვალი ვერ გაგიმაგრე, შენსა შუქს თვალი ეყვის დარიდებულად, თვალი აგარიდეო.

ეს ჰიპერბოლა პარალელს ჰპოულობს პოემაში.

ფატმანი უამბობს ავთანდილს: იმ ზანგებმა ნავიდან გადმოსვეს ქალი,

მზესა სიტურფით ეყოფის, იყოს მისითა გვანითა-ო (1131),

და განაგრძობს:

რა მობრუნდა ქალი ჩემკე, შემოადგეს სხივნი კლდესა,
ღაწვთა მისთა ელვარება ელვარებდა ზესთა ზესა;
დავიწუხენ თვალნი, ყოლა ვერ შევადგენ, ვითა მზესა (1132).

ვფიქრობთ, ნათესაობა და ანალოგია მეტად აშკარაა. აქ ჩვენ გვაქვს არა მხოლოდ შინაარსობრივი ნათესაობა. „თამარიანის“ „შენსა შუქს ეყვის დარიდებულად“ პარალელს ჰპოულობს პოემის ფრაზასთან „ინდოთა ტყვედ ყვანან შუქნი“, რომლითაც ფატმანმა მიუთითა თავის მონებს, გაგზავნა რა ისინი ამ შუქის გამოსახსნელად ზანგთა ტყვეობისაგან.

ბუნებრივად იბადება საკითხი ორი პარალელის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ.

ჩვენ გადაჭრით ვფიქრობთ, რომ „თამარიანის“ „ვნახე ჰინდონი“ და სხვ. ნესტანის ზანგთაგან გატაცების ეპიზოდის გამოძახილია, რომ პოემა ამ შემთხვევაში არის პირველწყარო, ხოლო „თამარიანის“ საკვლევი სტროფი — მეორადი, და აი რატომ.

პოემაში ეს ორი ზანგი მონა მოქმედი პირები, ეპიური, ეპოსში მონაწილე ადამიანები, ისიც — მეორეხარისხოვანი გმირები არიან. ასეთი სახეები არ შეიძლება ეპიურ ნაწარმოებში დაიბადოს ლირიკულ ნაწარმოებში ნახსენები ვიღაც ზანგების განმეორებად, არ შეიძლება გადავიდეს ეპოსში ლირიკული ნაწარმოებიდან. ეპიური სახეების, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ სახეების პოეტური ასახვა, მათი გადატანა ლირიკაში კი დღემდე გრძელდება.

აშკარაა, აქ თავს იჩენს თარიღების და შესაძლო ანაქრონიზმების საკითხები. სანამ ამ საკითხს განვიხილავდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ კიდევ ერთ, აკად. ნ. მარის მიერ უკვე შემჩნეულ, პარალელზე.

ამტკიცებდა რა, რუსთაველი და ჩახრუხაძე ერთი და იგივე პირიაო, აკად. ნ. მარი წერდა: „со стороны содержания так же имеются данные“. ეს მონაცემები, მისი აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ შოთა, აქებდა რა თამარს, „чернилами ему служило гишеровое озеро, пером — колыхающийся тростник (იგულისხმება — „თამარს ვაქებდეთ“..., სტრ. 4). В наших одах поэт, так же изображающий себя влюбленным.. воспевает глаза — чернильные озера царицы (V, 50, 3; XII, в, 1-2) и стан — тростник ея VI, 12; IX, 4)[1].

შევჩერდეთ ზოგიერთ ამ პარალელზე უფრო ვრცლად.

„თამარიანის„ ოდებში ვკითხულობთ:

ღაწვთა არესა,
შუქნი მთვარესა,
გელნისა ტბანი
დგანან მორევად.

ვნახე რა სახე,
შამბნარისა ხე
ჰინდოთა ცვად ყონ
ნამუხთალევად (V, 50-52).

ვინ მელნის ტბებად
გთქვეს დასახებად,
გიშრისა სარნო,
დანატრებულად,

[1] Древнегрузинские одописцы, ст. 69, 1907, с. Петербург.

ლერწამ ტანისა,
საროსა ხისა
მიმსგავსებულ ხარ
განკვირვებულად (XII, 8-9).

დაკვირვებული გადაკითხვა XII ოდის დამოწმებული 8-9 ტაეპებისა ცხადყოფს, რომ ისინი არაბუნებრივად, ლოგიკური კავშირის გარეშე არიან ერთმანეთთან შეწყობილი. მართლაც, პირველ მათგანში პოეტი უშუალოდ მიმართავს თამარის თვალებს, მომდევნო ტაეპში (9) კი მიმართვის ობიექტი თამარია:

ლერწამ ტანისა,
საროსა ხისა
მიმსგავსებულ ხარ
განკვირვებულად

თამარ, და არა — თვალებო. ხელნაწერებში კი ტაეპს „ვინ მელნის ტბებად“ და სხვ. მოსდევს:

სახედ გსახობდეს,
რა მზე ნათობდეს,
მაშინცა ეთქმის
დაბნელებულად.

აქ თვალებისადმი დაწყებული მიმართვა გრძელდება და მთელი სტროფის პირველი ნახევარი ასეთ სახეს იღებს:

ვინ მელნის ტბებად გთქვეს დასახებად,
გიშრისა სარნო, დანატრებულად,
სახედ გსახობდეს, რა მზე ნათობდეს,
მაინცა ეთქმის დაბნელებულად (53, 1-4).

მაგრამ მარისებური გადაადგილებით მივიღებთ ამ ტაეპებს, თუ ხელნაწერთა ტრადიციით, სულ ერთია: ყველა ტაეპი „თამარიანში“ იკითხება და მისივე ავტორისაა. ეს უკანასკნელი კი იმ აზრისაა, რომ თამარის თვალები მელნის ტბათა დასადარია, რომ მას მზეც ვერ შეედრება, და სხვ.

აკად. ნ. მარი სავსებით მართალია, როცა აღნიშნავს, რომ ეს ადგილები პარალელს ჰპოულობს პოემაში. იგი იმოწმებს აქ პოემის შესავლის ცნობილ სტროფს:

მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული (4).

ასევე, შეიძლება დამოწმება თვით ტექსტის რამოდენიმე, განსაკუთრებით საინტერესო, სტროფისა.

მე შემომხედის ლამაზად მის მ[illegible]ლნის ტბისა თვალითა (394)

ნესტანმაო, — ამბობს ტარიელი. ფატმანი კი უამბობს ავთანდილს: როცა ჩემთან იმყოფებოდაო ნესტანი,

შინა შევიდი, მას წინა ედგის ცრემლისა გუბები,
შიგან მელნისა მორევსა ეყარის გიშრის შუბები,
მელნისა ტბათათ იღვრების სავსე სათისა რუბები (1146).

ასევე ხშირად ვხვდებით პოემაში ნესტანის და თინათინის სხეულთა შედარებას საროსა და ნა-სთან (ლერწამთან):

მოგშორდი ედემს ნაზარდო ტანო ლერწამო და ხეო (725),—

მოსთქვამს ავთანდილი.

იგი რა ნახა მეფემან, საროსა მსგავსი ნარები (1179),

ნესტანი, ძალზე მოეწონაო, — გვარამბობს ფატმანი.

მრავლად შეიძლება ასეთი ტაეპების დამოწმება.

აკად. ნ. მარი, ამტკიცებდა რა პოემისა და ოდების ავტორთა იგივეობას, მიუთითებდა ურთიერთ მსგავს ადგილებზე და წერდა: „поэтические образы и сравнения, а также обороты речи, и выражения весьма схожи в одах и Барсовой коже, но этого мы могли ждать и в том случае, если бы эти памятники были произведениями двух различних лиц: сходство указанных черт легко объяснить тем, что и оды, и Барсовая кожа — произведения одной и той же эпохи, памятники одного и того же литературного течения“ [1]. თუ ასეა, საკითხი უნდა დაისვას არა ერთი ძეგლის მეორეზე ცალმხრივი, არამედ საურთიერთო გავლენის შესაძლებლობის შესახებ. მაგრამ ჯერ უნდა გაირკვეს ძეგლების ქრონოლოგია.

„თამარიანის“ თარიღის და შედგენილობის საკითხები, ვფიქრობთ, მოითხოვენ გადახედვას. მართალია, აკად. ნ. მარმა „აღადგინა და შეასწორა მრავალი წარყვნილი ადგილი თხზულებისა, და შეუდარებელი გონებამახვილობით განჭვრიტა მისი ნამდვილი ხასიათი და შედგენილობა“ [2], მაგრამ ამ წიგნის გამოსვლიდან დღემდე თითქმის ნახევარმა საუკუნემ განვლო და ქართული ფილოლოგია

[1] Одописцы, ст. 68.

[2] კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ., ტ. II, გვ. 219.

ამ ხნის განმავლობაში განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. ამიტომ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი საკითხი, აკად. ნ. მარის მიერ თავის დროზე ბრწყინვალედ გაშუქებული, დღეს უთუოდ საჭიროებს ახალ ინტერპრეტაციას. კერძოდ, თარიღის შესახებ თუმცა აკად. ნ. მარი 1902 წ. წერდა: „оды Тамаре написаны в разное время, каждая из них по особому случаю, приблизительно в трехлетный промежуток, между изгнанием первого мужа (1192) и рождением Русудана“ [1], მაგრამ ამის შემდეგ, როგორც ჩვენთათ ვნახავთ, თვით აკად. ნ. მარმა მოითხოვა და აწარმოა ოდების როგორც დათარიღების, ისე შედგენილობის გადასინჯვა. მომდევნო ხანებში კი ოდების დათარიღების რამდენიმე ცდა იქნა წარმოდგენილი.

აღარ გამოვუდგებით საკითხის შესწავლის ისტორიის გადმოშლას. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ აკად. ნ. მარს პირველად ოდები 1192-1195 წლ. ძეგლად მიაჩნდა; პ. ინგოროყვამ იგი 1184-1193 წლ. დათარიღა [2]; ს. კაკაბაძე ძეგლს 1201-1202 წლ. ათარიღებს [3], აკად. კ. კეკელიძე კი, ოდებში დაცული ისტორიული რეალიების საფუძველზე მათ დამთავრებას 1210 წლისათვის ვარაუდობს. შეასწორა რა პ. ინგოროყვას მიერ XII ოდისათვის წარმოდგენილი თარიღი (1192 წ.), აკად. კ. კეკელიძემ დაიმოწმა XII ოდის შინაარსი, და სამართლიანად დაასკვნა: „ვინ არ დაინახავს ამ აღწერილობაში რუჭნადინის... ზვიადობას, რუჭნადინის საქართველოზე გამოლაშქრების ასახვას“, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1204 წ.? რადგან აკად. კ. კეკელიძის აზრით, იმავე XII ოდაში ლაპარაკია მიდთა და სპარსთა დაპყრობაზე, რასაც ადგილი ჰქონდა 1210 წ., „თაშარიანიც“ „დღევანდელი შედგენილობით 1210 წ. მახლობლად დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს“ [4]. ასეთ დათარიღებას იზიარებს აკად. შ. ნუცუბიძე [5].

რა თქმა უნდა, მხოლოდ ეს თვალსაზრისი დაგვეხმარება ოდების უცთომელ დათარიღებაში. აღსანიშნავია, რომ აკად. ნ. მარი მოერიდა ოდებში დაცული ისტორიული რეალიების ინტერპრეტაციას, და თავი შეიკავა მათი მიხედვით ძეგლების დათარიღებისგან; ამავე დროს მას, როგორც ჩანს, კარგად ესმოდა ამ

[1] Одописцы, ст. 76.

[2] ჩახრუხაძე. პოეტი, მოჯვაური, „კავკასიონი“. 1924. № 1-2, გვ. 278.

[3] თამარიანი, თბილისი, 1937, გვ. 11.

[4] ლიტ. ისტ., ტ. II, გვ. 231-232

[5] Руставели и вост. ренес., ст. 213.

ისტორიული რეალიების მნიშვნელობა. აკი იგი წერს: „есть возможность отожествить с изображенным в оде сражением событие, известное из Грузинских летописцев. Но до поры до времени я воздерживаюсь от исторических толкований“ [1]. მაგრამ დღეს ისტორიული რეალიების უგულებელყოფა ოდების დათარიღებისას, როგორც აკად. კ. კეკელიძემ ნათელყო, უკვე აღარ შეიძლება.

შევჩერდეთ ჯერ „თამარიანის“ და ზოგიერთი ცალკეული ოდის შედგენილობის საკითხებზე.

აკად. შ. ნუცუბიძე ფიქრობს, რომ „თამარიანი“ მთლიანი პოემაა და არა ცალკეული ოდების კრებული [2]. მაგრამ თვით აკად. შ. ნუცუბიძე იმავე ნარკვევში აღიარებს, რომ „თამარიანი“, შესაძლოა, მართლაც იწერებოდა წლების მანძილზე და სხვადასხვა ისტორიული შემთხვევის აღსანიშნავად. მართლაც, ძეგლში იმდენად აშკარაა ეს მომენტი, რომ შეუძლებელია ამას არ გაეწიოს ანგარიში. სხვა საქმეა ცალკეული ტაეპების, სტროფების თუ ოდების აღდგენის სისწორის, ინტერპრეტაციის, ავტენტურობის, თუ დათარიღების საკითხები. აქ დავა შესაძლოც არის, და ასეთი რამ დაწყებულიცაა: „თამარიანის“ ზოგიერთ ტაეპს (X, 32-35), რომელთაც აკად. ნ. მარი ავტენტურად მიიჩნევს, აკად. კ. კეკელიძე ყალბად და აღორძინების ეპოქის ინტერპოლაციად თვლის [3]. თვით აკად. ნ. მარიც 1917 წ. გადაჭრით იმ აზრისა იყო, რომ „освещение самых од... подлежит пересмотру со стороны вопроса о степени подлинности и сохранности текста. В то же время требует расчленения вопрос о возникновении сборника от вопроса о составляющих его стихотворениях: все ли оды — произведения одного лица, если даже допустим, они — одного времени?“ [4]. აკად. ნ. მარს აქ მხედველობაში ჰქონდა VI (ელეგია) და XII ოდები, მაგრამ გადასინჯვას მოითხოვს საერთოდ ოდების დათარიღების, და ზოგჯერ, შედგენილობის საკითხებიც. ვეხებით მხოლოდ XII ოდას.

ეს ოდა იწყება, როგორც იტყვიან, ex abrupto, შესავლის გარეშე და თითქოს შუაადგილიდან:

---

[1] Одописцы, ст. 38.

[2] Чахрухадзе, Тамариани, пер. Ш. Нуцубидзе, Тбилиси, ст. 194; Густавели и вост. ренес., ст. 214.

[3] ლიტ. ისტ., ტ. II, გვ. 85.

[4] Грузинская поэма „Витязь“... Известия акад. наук, т. IX, № 8, ст. 423, 1917.

ვინ სჩნდა საწმისად,
წსგავსად აწ მისად,
წინასწარმთქმელი
მოსწავებულად,

ცად, საყდრად, ღრუბლად,
ღაწვ-ბროლ ვარდ-შუბლად,
თამარ, შენ გიცნობ
განცხადებულად.

მხოლოდ ეს გარემოებაც ნათელყოფს, რომ ეს ოდა იმგვარად არ უნდა იყოს აღდგენილი, როგორც იგი გამოვიდა ავტორის ხელიდან. აკად. ნ. მარმა სამართლიანად აღნიშნა, რომ ჩახრუხაძის ბევრმა ოდამ ჩვენამდე ვერ მოაღწია. მით უმეტეს, ადვილად შეიძლება დაგუშვათ, რომ დაიკარგა ოდების სტროფები და ტაეპები. როცა ცალკეული ოდებისგან ერთი მთლიანი ძეგლი შექმნეს, რედაქტორებმა, ალბათ, ზოგიერთი ოდის შესავალის ტაეპები, როგორც სტერეოტიპური ხასიათისა, კრებულში აღარ შეიტანეს.

არანაკლებ საყურადღებოა შემდეგი.

XII ოდა ზომით ბევრად სჯარბობს დანარჩენებს. ამასთან ერთად, მასში აშკარად შეიმჩნევა ორი ნაკადი, ერთმანეთისგან შინაარსეულად განსხვავებული, არაბუნებრივი, დაუსაბუთებელი ნახტომით გადაბმული. მართლაც, 30 სტროფამდე ოდაში ლაპარაკია იმაზე, რომ თამარ, მოწყალე სული, ღმრთის რჩეულია:

მოწყალე სული,
მშვიდ-წრფელ-ასული,
გინცა გონებით მისა
ცხებულად

ღმერთმაო, — ეუბნება პოეტი თამარს, და სრულიად მოულოდნელად და მოუმზადებლად გადადის თამარის სამხედრო-პოლიტიკური განზრახვების დემონსტრაციაზე:

მოუნდა არსთა,
მიდთა და სპარსთა,
ერთსამწყსოება
ერთუფლებულად

დაპყრობა-გაერთიანებაო, რასაც მოჰყვება მისი სამხედრო ძლიერების ქება-დიდება და რუქნადინის ლაშქრობის ისტორია.

მაგრამ უფრო საყურადღებო ის გარემოებაა, რომ XII ოდაში, რომლის დასაწყისიც უკვე დავიმოწმეთ, თამარზე ლაპარაკია ნამყოთი. „ვინ სჩნდა საწმისად, მსგავსად აწ მისად" ო, კითხულობს პოეტი, ე. ი. ვინ გამოჩნდა აწ, მის შემდეგ, მი'ი მსგავსიო. 21-24 ტაეპებშიც თამარზე ლაპარაკია ასეთივე ხასიათით:

უკჳრდა შენი
სიკეთე შენი,
სთნდა ყოვლსა სულსა
განკვირვებულად.

ეჩვენებოდა, მზედ ეგებოდა
ეგ თქვენი პირი
გაცისკრებულად.

მოსეს ფიცარსა,
მთათ ნაფიცარსა
ესწრნეს თქვენი
ძლევა გებულად,

გიწოდა შენ თვის,
როკვიდა შენთვის
პირველი დავით
განცხადებულად.

ზმნები: უკვირდა, ეჩვენებოდა, ეწერნეს, გიწოდა, როკვიდა — უკლებლივ წარსულს გამოხატავენ. ხოლო XII ოდის a სტროფების რამოდენიმე ტაეპი, საკუთრივ, 4, არავითარ ეჭვს არ ტოვებს, რომ მასში ლაპარაკია გარდაცვალებულ თამარზე. აი ეს ტაეპი:

ნათელი დიდი
რადგან დაბინდი
ვიცი, არ ითქმი
დაბნელებულად.

არავითარი ეჭვი არ არის, რომ ეს ტაეპი გარდაცვალებულ თამარს ჰგულისხმობს. შეიძლება ამიტომ არ შეიტანა აკად. ნ. მარმა ბგი ოდის ძირითად სტროფებში.

ეს გარემოებანი, ვფიქრობთ, ადასტურებენ, რომ XII ოდაში შემონახულია ორი ძეგლი: ერთი რუჭნადინზე გამარჯვებისადმი მიძღვნილი ოდა, ერთი — თამარის გარდაცვალებით გამოწვეული ელეგია. ამ მომენტით კი ირკვევა თვით XII ოდის თარიღიც: მისი ერთი ნახევარი დაწერილია თამარის გარდაცვალების შემდეგ. მაგრამ თუ XII ოდა უთუოდ ერთი მთლიანი ძეგლია, თუ მისი ერთი ნაწილი შესავალია, მეორე — თამარის სამხედრო დიდების ჰიმნი, მაშინ მთელი XII ოდა დაწერილია თამარის გარდაცვალების შემდეგ.

აღსანიშნავია რომ ისეთი ადგილები, რომლებშიაც გადმოცემულია თამარის გარდაცვალებით გამოწვეული სამგლოვიარო განწყობილებანი, ,,თამარიანში'' აქა-იქ სხვაგანაც გვხვდება, და ისინი შეტანილი იქნა აკად. ნ. მარის მიერ სხვადასხვა ოდაში. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ამ თვალსაზრისით ორი ტაეპი (7-8) IX ოდისა. აი ეს ტაეპები:

მამამან ძე ჰყო,
ძემან უკლებ ჰყო
სულმან დაგისხა
სიწრფოებანი,

წამწამთა ხრანი,
ვისკენ ჰქმენ ცხრანი
ცხრა ათასს ექმენ
ნატირებანი.

ასე ჰკითხულობს აღნიშნულ ტაეპებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მცირე ორთოგრაფიულ სხვაობებს, ყველა ბეჭდური გამოცემანი, გარდა ს. კაკაბაძის 1937 წ. გამოცემისა, რომელშიაც დამოწმებული ტაეპების უკანასკნელი სიტყვის მაგიერ იკითხება ნეტარებანი (სტრ. 92). ასევე, ე. ი. მარისებურად იკითხება ეს ტაეპები ზოგიერთ ხელნაწერშიც (№ № S 1613, H 153, H 391).

მაგრამ დამოწმებულ ტექსტში პირველი ტაეპის პირველ და მეორე ნახევარს შორის არ არის ლოგიკური კავშირი: მამამან ძე ჰყო, ძემან უკლებ ჰყო—ვინ, ან რა? საიდან უკავშირდება ამას—სულმან დაგისხა სიწრფოებანი? აზრი არა აქვს ს. კაკაბაძისეულ წაკითხვას—ექმენ ნეტარებანი.

მართლაც, ზოგიერთ ხელნაწერში შემონახულია ამ ტაეპების სწორი წაკითხვა. ეს ხელნაწერებია ლენინგრადის აღმოსავლეთ-

მცოდნეობის ინსტიტუტის მუზეუმისა, M № 15 და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა, S № 3701. ამ ხელნაწერებში ვკითხულობთ:

მამამან ძითა, ძემან სულითა,
გულსა დაგისხა სიწრფოებანი,
წამწამთა ხრანი ვისკენ ჰქმენ ცხრანი,
ცხრა ათასს ექმენ ნატირებანი.

ეს ნიშნავს: მამამ და ძემ სულითა, ე. ი. მამამ, ძემ და სულიწმიდამ გულს დაგისხა სიწრფოება, (ხოლო მან), ვისკენაც შენ ქმენ წამწამთა ხრანი, ე. ი. ვინც შენი მუდმივი ყურადღების საგანი იყო, ვისთვისაც შენ ზრუნავდი, ერმა, ცრემლი დაგაფრქვია (იგულისხმება — გარდაცვალებულ თამარს), ცხრა ათასს ექმენ ნატირებანიო. აქ ლოგიკური კავშირი სტროფთა შორის დაცულია, თანმიმდევრობა — შენახული და აზრიც — ნათელი, რის გამოც უპირატესობა ამ წაკითხვას უნდა მიენიჭოს. მაგრამ ამის მიხედვით აშკარა ხდება, რომ სტროფი დაწერილია თამარის გარდაცვალების შემდეგ.

ასეთავე დასკვნებამდე მივყევართ „თამარიანის“ ზოგიერთი სხვა ტაეპების განხილვასაც.

ვინ ნახა სად ვინ, ნასახად სად ვინ
შენებრ ნათელთა ბნელი მცებარად (X, 3; 109, 4),

ვკითხულობთ „თამარიანში“. ეს ნიშნავს: სად ვინ ნახა, სად ვინ (არს) ნასახად შენებრ ბნელი სინათლის გამომცემელი, ე. ი. საფლავიდან სინათლის გამომცემელიო. მომდევნო სტროფშიც ვკითხულობთ:

რადგან ცადა ხვალ, რადგანცა დახვალ,
ზუალი, ეტლი, მთვარე მცებარე (X, 7; 110, 4).

ცადა ხვალ, ცად მიმოდიხარ, ცად სეირნობო, მიმართავს ავტორი, ეჭვი არ არის, გარდაცვალებულ თამარს.

ასევე უეჭველია, რომ III ოდის უკანასკნელი (17) სტროფი, რომლის პირველ ტაეპშიც ნათქვამია, გვიანღაა თუნდაც რკინის ჭალამნების ჩაცმა და იმით ძებნა, შენ მსგავსს ვეღარსად ვიპოვითო, დაწერილია თამარის გარდაცვალების შემდეგ:

გვიან შენებრთა ძებნანი, —
რკინისა ხამლთა შესხმანი...

წერს პოეტი (86).

ამრიგად, ოდების ზოგიერთი სტროფი და ტაეპი დაწერილია თამარის გარდაცვალების შემდეგ, რის გამოც თვით კრებული არ შეიძლებოდა თამარის გარდაცვალების წლამდე დამთავრებულიყო.

1917 წ. აკად. ნ. მარი „თამარიანში“ შეტანილ ელეგიას (VI) უკვე არა ჩახრუხაძისეულად თვლიდა, და მას XIV საუკ. შუახანების, არა უადრეს 1338 წ. ნაწარმოებად მიიჩნევდა[1]. პროფ. ი. მარის მიერ წარმოდგენილი დათარიღება VI ოდისა (ელეგიის), 1186 წ., აკად. კ. კეკელიძემ არ გაიზიარა, და განაცხადა: ხსენებული ელეგიის შექმნის თარიღი — 1338 წ. ახლო ხანები, იმდენად მტკიცედ არის განსაზღვრული აკად. ნ. მარის მიერ, რომ მისი შერყევა შეუძლებელიაო[2]. ამასთან, აკად. კ. კეკელიძე ფიქრობს, რომ „თამარიანის“, როგორც კრებულის შედგენა შესაძლოა მოხდა მართლაც გვიან, რის გამოც მასში „ადვილად მოხვედებოდა ერთი ისეთი ნაწარმოები... რომელიც, დასაშვებია, ჩახრუხაძეს მართლაც არ ეკუთვნის“[3].

„თამარიანის“ თარიღის დასადგენად უსათუოდ საყურადღებო ჩვენებას იძლევა ტრადიციული ტექსტი, განსაკუთრებით — მისი სტროფების თანმიმდევრობა.

ტრადიციული ტექსტით, თამარის გარდაცვალებით გამოწვეული სამგლოვიარო ტირადები გვხვდება როგორც ძეგლის დასაწყისში, ისე, უფრო ხშირად — ძეგლის უკანასკნელ მეოთხედში. ძეგლის დასაწყისში ასეთი სტროფებია 4, 8, 28 და 29. ამის შემდეგ ასეთი შინაარსის სტროფები აღარ გვხვდება, ვიდრე 86 სტროფამდე (გვიან შენებრთა ძებნანი...). აქედან კი სტროფები 87, 91, 92, 109, 110 და 112 მეტად აშკარად შეიცავენ თამარის გლოვას.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ჯერ კიდევ პლატონ იოსელიანმა შენიშნა, რომ „თამარიანში“ ოთხი სტროფი ორ-ორჯერ არის შეტანილი. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ამათგან სამი სწორედ თამარის გლოვის შემცველია. ესენია: 4-87, 28-109, 29-110. მეოთხე წყვილს, 31-112, ჩვენთვის აქ მნიშვნელობა არა აქვს. განვიხილოთ ეს ჩვენთვის საყურადღებო სტროფები. სტროფებს 4-87 მხოლოდ პირველი ტაეპი აქვთ საერთო (ოდნავ მაინც განსხვავებული). დანარჩენი სტროფები — 28-109, 29-110, თუ

---

[1] Грузинская поэма... ИАН, т. IX, сер. IV, № 8, ст. 502-503.

[2] ლიტ. ისტ. II, გვ. 229-230.

[3] იქვე, გვ. 232.

მხედველობაში არ მივიღებთ სხვადასხვაგვარ წაკითხვათა შესაძლებლობას, ერთმანეთთან შედარებით მცირე ვარიანტულ სხვაობას გვიჩვენებენ.

ამგვარად, შეიძლება დავუშვათ, რომ სტროფი 28 და 29 ,,თამარიანის“ დასაწყისში მოხვდა ტაეპების აღრევის შედეგად. სტრ. 4 მთლიანად რესტავრირებული უნდა იყოს ,,თამარიანისეულ“ სტროფების ფრაგმენტებისაგან, ხოლო სტრ. 8 მოგვყავს მთლიანად:

მე თუ ვსტიროდე, ვისღა ვსტიროდე,
თუ არ შენ, გჳვრეტდე დადუმებულად.
დავით მხნე, ბრძენი, რომლისა ზენი
ხდად ჰყოფენ ზესთა წარჩინებულად.
ისვრის ისარსა, ვიტყვი: ის არსა
ეფრემის ძირთა აღმორჩებულად.
ვინ კმლითა ბადრობს, უშიშ-უკადრობს,
მტერთა სერისათვის აღმართებულად.

როგორც ვხედავთ, თუმცა სტროფი სამგლოვიარო ტირადით იწყება, შემდეგ ლაპარაკია დავით სოსლანზე, მაგრამ გარდაცვალებულად არც ის იგულისხმება. ამიტომ ან სტროფის დასაწყისი არ გულისხმობს ქების ობიექტს გარდაცვალებულად, ან იგი გაუგებრობის ნიადაგზე ჩნდება. რადგან სტრ. 4, 28 და 29 ,,თამარიანის“ დასაწყისში შეტანა აშკარად რედაქტორული მუშაობის შედეგია (და არა ავტორისა: ის ხომ ამ სტროფებს მხოლოდ ერთხელ დაწერდა და ერთხელვე შეიტანდა ძეგლში), ამიტომ გამოდის, რომ სამგლოვიარო ტირადები ,,თამარიანის“ დასაწყისში არ გვხვდება. ასეთი სტროფები ძეგლის უკანასკნელი მეოთხედიდან იწყება, და საკმარისი სიცხადითაც გვიჩვენებს და გვაცნობს მომხდარ სამწუხარო შემთხვევით გამოწვეულ გრძნობას. ეს სტროფებია, როგორც აღვნიშნეთ, 86, 87, 91, 92, 109, 110. რა თქმა უნდა, შემთხვევით არ არის ამ სტროფების ასეთი დაჯგუფება.

ვფიქრობთ, ამით terminus ante quem ,,თამარიანისა“ დადგენილია.

აქვე აღვნიშნავთ, რომ უფრო გაღრმავებულმა ძიებამ შესაძლოა ახალი სათარიღო მაჩვენებელიც დაადგინოს. ასე, სტრ. 32 იკითხება:

შენ მისნი ერნი, შენ მიერ შენნი,
გარნისს მამისხმნა მით მე მჭებარე (7-8).

მებით: თუ მის სახელს ჩახრუხაძე პირდაპირ არ იხსენიებს, ეს ალბათ იმიტომ, რომ ამ ავტორიტეტს და მის შემოქმედებას მთელი იმ ეპოქის სალიტერატურო წრეები იცნობდნენ.

ვინ უნდა იყოს ეს მეორე პოეტი, ეს ცნობილი ავტორიტეტი, ეს მითითებული ფიგურაა, თუ არა რუსთაველი? არც „ისტორიანი და აზმანი", არც „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი", არც ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე არ იცნობენ ისეთ ფიგურალურ გამოთქმას, როგორიც არის „მელნის ტბა", და მას თამარის მისამართით არ იყენებენ. ეს ძეგლები კიდეეაც რომ ფართოდ ხმარობდენ ასეთ ფიგურალურ გამოთქმებს თამარის მიმართ, „თამარიანის" ავტორი მით ვერ ისარგებლებდა, რადგან ორი მაგანი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" და ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე დაწერილია 1222 წ.[1], ხოლო „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი" — არა უადრეს 1263 წ.[2]. ამრიგად, ყოველგვარი შესაძლებლობა ამ დოკუმენტების „თამარიანზე" გავლენისა გამორიცხულია.

მხატვრული ძეგლებიდან აღარ ვლაპარაკობთ „ვისრამიანზე" და „ამირანდარეჯანიანზე", რადგან არც ერთი მათგანში, მათი ხასიათის გამო, არ შეიძლება ლაპარაკი იყოს თამარზე. ამას გარდა „ვისრამიანი" ნათარგმნი ძეგლია, „ამირანდარეჯანიანი" კი დაწერილია არა უადრეს 1220-1222 წლისა[3].

საგანგებო ყურადღებას, ცხადია, იმსახურებს „აბდულმესიანი", ანუ „ქება დავით აღმაშენებლისა და თამარისა".

თუმცა ამ სახოტბო ძეგლის შესხმის, ქების ობიექტის საკითხი ჯერ კიდევ კამათს იწვევს, მაგრამ მეცნიერული აზრი საბოლოოდ შეთანხმებულია მასში, რომ ერთი მათგანი უთუოდ თამარია. ამიტომ, ცხადია, მის პოეტურ-ფიგურალურ და მეტაფორულ სახეებს უნდა აუცილებლად მივმართოთ, როგორც ერთგვარ საკონტროლო ინსტანციას.

და აი, ამ ძეგლისათვის ჩვეულებრივია ფიგურალური გამოთქმანი: „ნაძვი ლიბანით, სარო ერმონით" (7, 2), „ტანად სარო" (11, 2), „ალვის ხე ტანი, როტო განფუნილად" (9, 3); ცნობილია ამ ძეგლის ტაეპები:

[1] ისტ. და აზმ. შარავ., კ. კეკელიძის რედაქციით, თბილისი, გვ. 21, 1941; ივ. ჯავახიშვილი, ქართ. საისტ. მწერ., თბილისი, გვ 245, 1946.

[2] ისტ. და აზმანი, გვ. 36.

[3] ქართ. ლიტ. ისტ., ტ. II, გვ. 85.

ალვისა რტოო, ყოველად მარტოო,
მჭვრეტთ სასურველო მოსარხეველად.
ვარდზე გაშლილო ყორნისა ბოლო,
ქმნილო სურნელთა მოსაფრქეველად (100, 2-3).

მაგრამ მთელ ძეგლში არსად, არც ერთხელ არ გვხვდება ქების ობიექტის თვალთა შედარება, ან მეტაფორული გაიგივება მელნის, ან გიშრის ტბასთან. ამიტომ არ შეიძლება ოდების ავტორი „ამდულმესიანის“ ავტორს გულისხმობდეს, როცა თავის წინამორბედს ასახელებს „მელნის ტბების“ ფიგურალური გამოთქმის შემოღებაში.

რუსთაველის ეპოქის სხვა ძეგლებს კი ქართული ლიტერატურის ისტორია ჯერჯერობით არ იცნობს.

დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ ჩვენ გვერდი ავუარეთ პოემისა და ოდების უკვე ჩვენამდე მითითებულ პარალელების გაშიფრვას და ინტერპრეტაციას. ბევრი მათგანი „თამარიანის“ პრიორიტეტს ამეღავნებს, თუმცა არის შეუსაბამობანიც. ასე, აკად. შ. ნუცუბიძე ერთგან წერს: „целый композиционный момент в „Тамариани“ заимствован Руставели“, და მიუთითებს „თამარიანისეულ“ (რუჭნადინის) ტყვედჩავარდნილი ჯარისკაცების თავისმართლებაზე — ძალით წამოგვიყვანესო (18), რომელიც, თითქოს, რამაზის ყარაულებმა გაიმეორეს ტარიელის წინაშე[1] (1602).

მაგრამ რუსთაველს დამოუკიდებლადაც შეეძლო აესახა რუჭნადინის ლაშქრობა, და გაეშალა ის სურათებად. ჩახრუხაძის ორიოდე სტროფი მისთვის არავითარი აუცილებელი შუამავალი და წინაშძღვარი არ არის. ამასთანავე ეპიზოდი, რომელსაც პოემიდან იმოწმებს შ. ნუცუბიძე, ვინმე მესხის კუთვნილებაა, და არა რუსთაველისა.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ვერსიფიკაციის ისტორიის საკითხები.

რუსთაველის შაირისათვის ჩახრუხაძის ლექსი აუცილებელი წინამორბედი არ არის.

მკვლევარმა პ. ინგოროყვამ[2] და პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა[3] გა-

---

[1] Руставели и вост. ренес., ст. 209.

[2] რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, რუსთაველის კრებული, გვ. 52-58, თბილისი, 1938.

[3] ბერძნული ლიტერატურის ისტორია, გვ. 82, თბილისი, 1943.

მოარკვიეს, რომ ოცმარცვლოვანი ტაეპები ჯერ კიდევ VI-VII საუკ. ძეგლებში გვხვდება. თექვსმეტმარცვლოვანი კი ჯერჯერობით მხოლოდ X საუკუნიდან ჩანს. მაგრამ ოცმარცვლოვანი ტაეპი წიგნური წარმოშობისად გამოიყურება, თექვსმეტმარცვლოვანს კი ფოლკლორული სათავე უნდა გააჩნდეს და მას ძველი წელთაღრიცხვისეულადაც მიიჩნევენ[1]. ეს გარემოებაც რომ საეჭვოდ იქნას მიჩნეული, შაირი X საუკ. ძეგლებში წარმოდგენილია არა მხოლოდ ჩანასახის ფორმით, არამედ თითქმის დამთავრებული სახით. არსენ იყალთოელის (XII საუკ.) დავით აღმაშენებლის ეპიტაფია კი თექვსმეტმარცვლოვანი შაირის ნამდვილი ნიმუშია. ამის გამო შეუძლებელია რუსთაველის სტროფი ჩახრუხაძის ოცმარცვლოვანი ლექსის განვითარებად ჩავთვალოთ, და არა X-XII საუკ. ჰიმნებისა.

სხვანაირად შეუძლებელიც იქნებოდა.

რუსთაველი თავისი ეპოქის და ქვეყნის შვილია; მისი პოემა ქართული კულტურის კანონზომიერი განვითარების ორგანიული ნაყოფია. ასეთია შეხედულება საბჭოთა სამეცნიერო თუ სალიტერატურო ორგანიზაციებისა ისევე, როგორც შეხედულება აკად. ნ. მარის, აკად. ივ. ჯავახიშვილის, აკად. კ. კეკელიძის, აკად. აკ. შანიძის, აკად. ი. ორბელის, აკად. ვ. კომაროვის, აკად. ვ. სტრუვეს, აკად. შ. ნუცუბიძის, პროფ. ალ. ბარამიძის, მკვლევარის პ. ინგოროყვასი და ყველა მნიშვნელოვანი მკვლევარისა, რომელნიც რუსთველოლოგიურ საკითხებს შეჰხებიან. ასეთია თანამედროვე გაგება რუსთაველისა და სხვაგვარ გაგებას ვერ მიიღებს მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურათმცოდნეობა. ამავე დროს მთელი თანამედროვე რუსთველოლოგიის შეხედულებით რუსთაველი შგოსანთმგოსანია, ხოლო მისი პოემა — XII საუკ. ქართული სულიერი, გონებრივი და მატერიალური კულტურის კლასიკური, სრულყოფილი გამოხატულება და საკაცობრიო ღირებულების ძეგლი. მაგრამ, რადგან ასეა, მაშინ საეჭვოა, რომ თავისი ეპოქის და ყველა დროის ერთ-ერთმა უდიდესმა მხატვარმა, შემოქმედმა და მოაზროვნემ მხოლოდ ცალმხრივად განიცადა XII-XIII საუკ. მასზე მცირე მწერლების გავლენა, რომელიც „გამოიხატება არა მარტო ფორმაში, არამედ შინაარსშიც“, ხოლო თვით მან არა თუ გავლენა ვერ მოახდინა ვერც ერთ მის თანამედროვე ქართველ მწერალსა და პოეტზე, არამედ გაუგებარი და შეუმჩნეველი დარჩა მისი წარმომშობი

[1] Ш. Нудубидзе, Руставели и восточный ренессанс, ст. 151-152.

ეპოქისათვის. მაშინ „ვეფხისტყაოსნის“ თამარის ეპოქისადმი მიკუთვნების ცდაც საეჭვო აღმოჩნდებოდა.

ამრიგად, ამ წერილის დასკვნა ასეთია:

„ვეფხისტყაოსანი“ და „თამარიანი“ ერთი ეპოქის ქმნილებები არიან. ერთი მათგანი, ყველა ნიშნებით, იწერებოდა სხვადასხვა დროს (,,თამარიანი‘‘), მეორე — ორი-სამი წლის მანძილზე მაინც, და ისინი ერთი სალიტერატურო საზოგადოებრივობისათვის ხელმისაწვდომი ხდებოდა თვით ამ ძეგლების საბოლოოდ ჩამოყალიბებამდე. ამიტომ მათი პარალელები და შეხვედრები შეიძლება ახსნილი იქნას, როგორც საურთიერთო გავლენის შედეგი. საკითხის ამგვარად დაყენების უფლებას გვაძლევს ერთის მხრივ ,,თამარიანისა‘‘ და პოემის პოეტურ-ფაქტურალური ნათესაობა, რაც ,,თამარიანის‘‘ გავლენას ამჟღავნებს, მეორეს მხრივ ამ უკანასკნელში აქა-იქ გაბნეული სტროფები, რომელთა შინაარსი ,,ვეფხისტყაოსნის‘‘ სახეებზე უნდა მიგვითითებდეს, და ოდების ავტორის პირდაპირი მითითება ვიღაც პოეტზე, როგორც თამარის პოეტური სახის ავტორზე. ამის მიხედვით კი გამოდის, რომ ,,ვეფხისტყაოსნის‘‘ ანარეკლი წარმოდგენილი და დადასტურებული უნდა იყოს თვით მისივე ეპოქის ძეგლებში.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის
შრომები, ტ. VIII, 1948.
Труды Кутаисского Государственного Педагогического
Института имени А. Цулукидзе, т. VIII, 1948.

გიორგი სამხარაძე

მაქსიმ გორკი და ფოლკლორის პრობლემები

I

მაქსიმ გორკი სიტყვის გენიალური ოსტატია. იგი ხალხის ფიქრის, აზრისა და საუკეთესო მისწრაფებათა სწორუპოვარი გამომხატველია. მ. გორკი იყო მთელი მსოფლიოს მშრომელი კაცობრიობის უერთგულესი მეგობარი, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის იდეებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი. მან თავისი ჭეშმარიტული სიტყვა, პუბლიცისტიკა, ნახვილი კალამი მტკიცედ დაუკავშირა სოციალისტური სამშობლოს ინტერესებს, ხალხის წინსვლისა და გამარჯვების საქმეს, სოციალიზმის განმტკიცების დიად საქმეს.

„მხურვალე ოცნებამ ძლიერ, გამბედავ და ამაყ ადამიანებზე,— წერს პროფ. ს. ბალუხატი,—გორკი მიიყვანა მის ადრეულ ზღაპარლეგენდების რომანტიკამდე („მოხუცი ქალი იზერგილი", „სიმღერა შქვარდენზე", „სიმღერა ქარიშხალაზე"), პოეტურ გააზრებამდე შეგვარდენზე, რომელმაც მამაცური სიკვდილი არჩია ხეობაში უფერულ არსებობას, ადამიანებისადმი ჩაუქრობელი სიყვარულით აღსავსე დანკოს გულზე. ეს მოთხრობები, რომლებიც გაჟღენთილია პროტესტული სულით მესაკუთრული ყოფაცხოვრების საზიზღრობების წინააღმდეგ, ხალხში აღვივებდნენ მამაცობის გრძნობას და ბრძოლისათვის მზადყოფნას ექსპლოატატორების წყობილების დასამხობად. ეს მოთხრობები მხატვრულ პრობლემატიკებს წარმოადგენდნენ და 1905 წლის რუსეთის პირველი რევოლუციის წინა წლებში მწერალს განსაკუთრებული პოპულარობა მოუპოვეს".

მ. გორკის ჭეშმარიტული შემოქმედების ერთ-ერთი თემაა ასახვა რუსეთში კაპიტალიზმის გზების, მისი განვითარების შინაგანი ტენდენციებისა, რომლებიც, როგორც ვ. ი. ლენინი აშბობდა, თვით იწვევენ მისი გარდაუვალი დაღუპვის აუცილებლობას („თომა გორ-

დეევი", „ქალაქი ოკუროვი"). მ. გორკი თავის მოთხრობაში „სამანი", დრამაში „მტრები" ერთმანეთს მკაცრად უპირისპირებს ორ მტრულ სამყაროს — ექსპლოატატორებსა და მუშებს. მ. გორკის შემოქმედებაში, როგორც ცნობილია, განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს დიდი განზოგადოების ძალის სოციალური რომანი „დედა". ამ ნაწარმოებს ვ. ი. ლენინმა ძალზე მაღალი შეფასება მისცა: „Книга — нужная, много рабочих участвовало в революционном движении несознательно, стихийно, и теперь они прочтут „Мать" с большой пользой для себя". ამ რომანში მ. გორკიმ დახატა მუშაბოლშევიკების ტიპიური სახეები, გვიჩვენა დატანჯული ქალის რევოლუციონერ მებრძოლად გარდაქმნა და არაჩვეულებრივი ძალითა და სიღრმით გამოავლინა სოციალიზმის იდეების ძლევამოსილება, ამ იდეების უზარმაზარი მნიშვნელობა მუშათა დარაზმვის საქმეში.

ლენინი წერდა: „Буржуазным партиям хочется, чтобы Горький вышел из социал-демократической партии. Буржуазные газеты из кожи лезут, чтобы разжечь разногласия внутри социал-демократической партии и представить их в уродливом виде.

Напрасно стараются буржуазные газеты. Товарищ Горький слишком крепко связал себя своими великими художественными произведениями с рабочим движением России и всего мира, чтобы ответить им иначе, как презрением" [1].

ვ. ლენინის ამ სიტყვებში გენიალური სიღრმითაა დახასიათებული მ. გორკის ტალანტის უდიდესი მნიშვნელობა, მისი შემოქმედების აქტიური გამანაყოფიერებელი როლი რუსეთის მუშათა კლასის დარაზმვისა და ბრძოლის საქმეში. „Нет сомнения, — წერს ვ. ლენინი, — что Горький — громадный художественный талант, который принес и принесет много пользы всемирному пролетарскому движению" [2].

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მ. გორკი — სიტყვის გენიალური მხატვარი — თავის ძირითად ამოცანად სთვლიდა, მისივე სიტყვებით რომ ვსთქვათ, ძველი სამყაროსათვის „პანაშვიდი" გადაეხადა, „საბოლოოდ ჩაეკლა ძველებური, მთელი თავისი შელამაზებული და საძაგელი სიდამპლით". ამ ძველს, გარეგანად შელა-

[1] Ленин, Собр. соч., т. XIV, стр. 211.
[2] Ленин, Собр. соч., т. XX, стр. 41.

მაზებულს და შინაგანად გახრწნილს, აშმორებულს, მ. გორკიმ საბოლოოდ ჩასცა მახვილი ,,ჩემს უნივერსიტეტებში'', ,,არტამონოვების საქმეში'', სადაც მან ერთი ოჯახის სამი თაობის მაგალითზე გვიჩვენა რუსეთის კაპიტალიზმის რთული ისტორია, მისი საბოლოო გახრწნის რეალისტური პროცესი, მისი მესაფლავის — პროლეტარიატის აუცილებელი გამარჯვება. ,,ეგორ ბულიჩევი და სხვები'', ,,დოსტიგაევი და სხვები'' კვლავ გვიჩვენებენ რუსი ბურჟუაზიის იდეურ და სულიერ კრიზისს, მის სრულ კრახსა და განწირულობას.

მ. გორკის მხატვრულმა გენიამ სრულიად ახალი ეპოქა შეჰქმნა ლიტერატურაში, კულტურაში, ხელოვნებაში. სოციალისტური რევოლუციის ისტორიული და გმირული საქმეები, ძლევამოსილად განხორციელებული და დამკვიდრებული საბჭოთა ხალხის მიერ ლენინისა და სტალინის ბრძნული წინამძღოლობით, ახალი სახალხო სოციალისტური კულტურა, სოციალისტური ჰუმანიზმი, მებრძოლი, მშენებელი ადამიანი, ჩვენი სამშობლოს ძვირფასი მიღწევანი, მისი დაცვა, განთავისუფლებული შრომის ზეიმი, ადამიანთა შემოქმედებითი ძალების განუსაზღვრელი ზრდა, საბჭოთა პატრიოტული გრძნობების ამაღლება და გასპეტაკება, — აი, მ. გორკის საჯარო გამოსვლების, წერილებისა და საუბრების მთავარი თემა მისი ცხოვრების უკანასკნელ დღემდე.

როგორც ცნობილია, მ. გორკი მეგობრულად ახლო იყო ლენინთან და სტალინთან. იგი ხშირად საუბრობდა მათთან, თათბირობდა საბჭოთა კულტურის მშენებლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი წინსვლის საკითხებზე. მ. გორკი თავის შესანიშნავ წერილებსა და პუბლიცისტურ ნარკვევებში მთელი სიღრმითა და რწმენით გვიჩვენებდა იმ საქმის სიდიადესა და ძლევამოსილებას, რომელსაც ცხოვრებაში ატარებდნენ ბოლშევიკების მძლავრი პარტია, პროლეტარული რევოლუციის გენიალური ბელადები — ლენინი და სტალინი.

„თავისი გავლენის ძალით რუსულ ლიტერატურაზე, — ამბობდა ვ. მ. მოლოტოვი, — გორკი სდგას ისეთი გიგანტების გვერდით, როგორიც არიან პუშკინი, გოგოლი, ტოლსტოი''. ეს მ. გორკიმ იმით შესძლო, რომ მან ყოველმხრივ ღრმად შეისწავლა ხალხი, ხალხის ცხოვრება. იგი უმჭიდროესად იყო დაკავშირებული ლენინთან და სტალინთან. ჩვენი გენიალური ბელადები შთააგონებდნენ მას მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოებთა შესაქმნელად. და იგი

გახდა ბოლშევიზმის მგზნებარე პროპაგანდისტი. მ. გორკიმ სწორედ ხალხის წიაღში აღმოაჩინა ის გმირები და შეუდრეკელი ადამიანები, რომლებიც სულით არასოდეს არ ეცემიან, არ ეძლევიან სასოწარკვეთილებას. მან რუსული ლიტერატურა არაჩვეულებრივი ძალით დაუკავშირა ხალხს, მის საარსებო და სასიცოცხლო ინტერესებს.

1932 წლის 25 სექტემბერს, მ. გორკის ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლისთავის გამო, ამხანაგი ი. ბ. სტალინი წერდა:

,,ძვირფასო ალექსი მაქსიმეს-ძევ!

მთელი სულით და გულით მოგესალმებით თქვენ და მაგრად გართმევთ ხელს: გისურვებთ თქვენ სიცოცხლისა და მუშაობის მრავალ წლებს ყველა მშრომელის სასიხარულოდ, მუშათა კლასის მტრების თავზარდასაცემად''.

ამხანაგ სტალინის ამ სიტყვებში ყოველმხრივაა დახასიათებული მ. გორკის დამსახურება, მისი როლი და მნიშვნელობა სოციალისტური ქვეყნის წინაშე.

,,მშრომელთა ყოველ წარმატებას ჩვენს ქვეყანაში, სტახანოველთა წარმატებებს, ქალთა შორის მოძრაობის ახალ ფორმებს, მოსავლის და შრომის ნაყოფიერების ზრდას, მტრის გამოსვლებისა და ოინების გამომჟღავნებას და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებას, განსაკუთრებით, მასების კულტურულ ზრდას, ლიტერატურისა და ხელოვნების ზრდას იგი შეჰხაროდა, როგორც მგზნებარე ჰაბუკი და როგორც ბრძენი მამა'', — ამბობდა ამხანაგი მოლოტოვი.

ლიტერატურის ხალხურობისათვის ბრძოლა მ. გორკის ზრუნვის საგანი იყო. და ამიტომ იგი ლიტერატურას გრანდიოზულ ამოცანებს უსახავდა, მოუწოდებდა რა მწერლებს ცხოვრების, ხალხის, მოვლენების საფუძვლიანი შესწავლისაკენ.

მ. გორკი ამბობდა: ,,საბჭოების ქვეყანაში ლიტერატურა მოწოდებულია ემსახუროს ულრმესი მსოფლიო მნიშვნელობის საქმეს. არასოდეს და არსად ჯერ მწერალს დაკისრებული არა ჰქონია ისეთი პასუხისმგებლობა მკითხველის წინაშე, როგორიც დაკისრებული გვაქვს ჩვენ — ყველას. სწავლა არასოდეს არ არის დაგვიანებული და ჩვენ გვმართებს უფრო მეტი ვისწავლოთ, ვიდრე სხვა ხელობის ადამიანებს, რადგან ჩვენ, ვკისრულობთ რა ახალი სინამდვილის გამომხატველის როლს, ამით ვასრულებთ ,,ცხოვრების მასწავლებლის'' როლსაც''. იგივე აზრი კიდევ უფრო ღრმადაა გატარებული მეორე ადგილას. აქ დიდი რეალისტი მხატვარი და მოაზროვნე აღნიშნავს: ,,იმ ქვეყანაში, სადაც ამ წლების მანძილზე

მუშათა კლასის ენერგიამ ააგო ახალი ქალაქები, გიგანტი ფაბრიკები, სადაც იგი არხებით აერთებდა რა ზღვებს, რწყავს რა უდაბნოებს, სცვლის თავისი მიწის ფიზიკურ გეოგრაფიას, გასაოცრად ამდიდრებს თავის სახელმწიფოს მიწის წიაღის საგანძურის უამრავი აღმოჩენით, იმ ქვეყანაში, სადაც მუშათა კლასმა თავისი წრიდან წამოსწია ასობით გამომგონებელი და მეცნიერების უდიდესი მოღვაწე, სადაც მას ყოველწლიურად ცხოვრებაში გამოაჰყავს უმაღლეს განათლებამიღებული ნახევარი მილიონი ახალგაზრდა, ასეთ ქვეყანაში ლიტერატურას მაღალი მოთხოვნები უნდა წავუყენოთ". ლიტერატურულ სინიდისს უწოდებდა მ. გორკი იმ კმაყოფილების გრძნობას, რომელიც აღიძვრის ყოველთვის, როცა მშრომელთა მასა შრობს და წამოსწევს ერთ პირობით, შრომის ამა თუ იმ სფეროში ნიჭიერების მადლით დაჯილდოებულს".

მ. გორკიმ უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიო ლიტერატურაზე, მის შემდგომ იდეურ განვითარებაზე. შეიძლება ითქვას, რომ მ. გორკიმ ახალი მიმართულება მისცა მსოფლიო მხატვრულ აზრს. ამას აღნიშნავდნენ რ. როლანი, მარტინ ანდერსენ ნექსე, სტეფან ცვაიგი, ჟან რიშარ ბლოკი, დოლორეს იბარური (პასიონარია) და სხვ.

მ. გორკის შემოქმედება ჰეშმარიტად გაჟღენთილია ოპტიმიზმის, იმედისა და სიცოცხლის სიყვარულის ყოვლისშემძლე ძალით. მას ღრმად სწამს ადამიანის ძალისა და შემოქმედებითი აღტკინებისა. ერთ-ერთ თავის წერილში მ. გორკი 1933 წელს წერდა:

„Молодым людям покажется смешным, если я, старик, сознаюсь, что пишу сейчас в том настроении, которое на утренней заре культуры позволяло людям создавать неувядаемые поэмы, легенды" [1].

ეს უდიდესი ოპტიმიზმი მ. გორკის მისცა პროლეტარიატმა, გმირმა რუსმა მუშათა კლასმა. რეაქციის წლებში, 1905 წლის რევოლუციის ჩახშობის შემდეგ, მ. გორკის სწამდა, რომ რუსეთი იქნება ნათელი დემოკრატიის ქვეყანა.

ა. ეგოლინი წერს: „Горький — гуманист в самом глубоком смысле. Идея человечности, возрождения человека, освобождения его труда от ига капитализма составляет суть его гуманизма. В 1931 г. товарищ Сталин по стихотворным строкам сказки Горького „Девушка и смерть", написанной еще 1892 г., сделал надпись: „Эта штука сильнее, чем

[1] М. Горький, О литературе, стр. 176, 1937.

,,фауст" Гете (Любовь побеждает смерть)". Товарищ Ворошилов, как бы дополнение к этим замечательным словам, тут же написал строки, преисполненные глубоких чувств, где говорит, что Горький ,,духовно определил наше поступательное движение".

მ. გორკი ინახავდა და აგრძელებდა რუსული კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებს. იგი მემკვიდრეა დიდი რუსული ლიტერატურის წარსულისა. მ. გორკიმ გამოიყენა და კრიტიკულად აითვისა რუსული და მსოფლიო ლიტერატურის მთელი გამოცდილება. აი, როგორ აფასებდა მ. გორკი რუსულ ლიტერატურას:

,,Наша литература — наша гордость, лучшее, что создано нами, как нацией. В ней — вся наша философия, в ней запечатлены великие порывы духа; в этом дивном, сказочно быстро построеном храме по сей день ярко горят умы великой красы и силы, сердца святой чистоты — умы и сердца истинных художников. И все они правдиво и честно, освещая понятое, пережитое ими, говорят: храм русского искусства построен нами при молчаливой помощи народа, народ вдохновлял нас, любите его!

В нашем храме чаще и сильнее, чем в других, возглашалось, общечеловеческое, значение русской литературы признано миром, изумленным ее красотою и силою. Она умела показать Западу изумительное, неизвестное ему явление — русскую женщину, и только она умеет рассказать о человеке с такою неисчерпаемою, мягкою и страстною любовью матери"[1]

II

მ. გორკი უდიდესი ხალხური მწერალია. ხალხი და შრომა მ. გორკის შემოქმედების ძირითადი არტერიებია. შეიძლება ითქვას, რომ ხალხს, მშრომელ მასებსა და ადამიანის განთავისუფლებულ შრომას აქამდე უფრო დიდი მხატვარი და მეხოტბე რუსულ ლიტერატურაში არა ჰყოლია. მ. გორკიმ, ისე როგორც არავინ, შეისწავლა ხალხის ფსიქოლოგია, ყოფა-ცხოვრება, ზნეობრივი შეხედულებანი, გრძნობები, განცდები, აზრი და მისწრაფება, შეისწავლა ხალხური შემოქმედება და გაიაზრა ზეპირსიტყვიერების სოციალური ფუნქცია და როლი ხალხის ცხოვრებაში. მ. გორკის

[1] М. Горький, Статьи 1905-1916 г. г., стр. 50.

არსებაში ჩაქსოვილი იყო ხალხის სულიერი მისწრაფება, რაც ცხოველმყოფელად აღიბეჭდა მის შემოქმედებაში. ცხოვრება იყო მ. გორკის ერთგული მასწავლებელი, გზის მანათობელი.

„ბავშვობაშივე გაიარა მან კაპიტალისტური ჯოჯოხეთის ყველა განსაცდელი, სიღატაკისა და ობლობის ყველა ჭირსახდიელი. არ დარჩენილა არც ერთი სატანჯველი იმ დროის რუსეთში, რომელსაც ჰაბუკი პეშკოვის თავზე არ გადაევლოს! ის იყო გამყიდველი ხატების მაღაზიაში და შეგირდად ხატების სახელოსნოში, ის იჭერდა და ჰყიდდა ჩიტებს, ის ცხოვრობდა სამადლიოდ მეთევზეებთან, ის იყო ხელზედ მოსამსახურედ გემზე, იყო ჰურჩლის მრეცხავად, ის შიმშილობდა, ეძებდა გამოსავალს, აწყენებოდა აქეთ-იქით, დადიოდა ქალაქიდან ქალაქში ათასეულ კილომეტრებზე. იმავე დროს მისი მშფოთვარე გონება ეძებდა ცხოვრების აზრს. ეს იყო ათასეული კილომეტრები მარტოობის, ფიქრის, დარდის, შემოხვევითი ღამის თევების, ყველა წოდებისა და ყოველგვარი პროფესიის ადამიანებთან შეხვედრის და მათთან საუბრების. მან მოიარა მთელი პოვოლჟიე, ჩრდილო კავკასია, ბესარაბია, უკრაინა. ასე შეისწავლა მან ცხოვრება, ასე გაიცნო მან ხალხი“ [1].

საგანგებოდ ღირსშესანიშნავია პროფ. მ. ჩიქოვანი, როცა წერს: „საბჭოთა ფოლკლორისტიკის განვითარების უკანასკნელი საფეხური მაქსიმ გორკის სახელთან არის დაკავშირებული. ამ დიდი მოაზროვნის შეხედულებამ მხატვრული შემოქმედების პროცესის შესახებ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა სწავლულთა შორის და საგრძნობი გავლენა მოახდინა სამეცნიერო საკითხების ახლებურ გაშუქებაზე. ამიტომ გორკის ფოლკლორისტული იდეების შესწავლა საჭიროა არა მარტო რუსული მეცნიერებისათვის, რომელსაც, ცხადია, უფრო მეტი და თანაც სპეციფიკური მასალა მოეპოვება მწერლის მემკვიდრეობიდან საკუთარი ეროვნული საუნჯის დასახასიათებლად, არამედ მთელი საბჭოთა მეცნიერებისათვისაც, რადგან გორკის აქვს მტკიცედ ჩამოყალიბებული დასკვნა ფოლკლორისტიკის საკითხებზე. ამის გამომხეურება და მსჯელობის საგნად გადაქცევა, ჩვენის აზრით, ხელს შეუწყობს ზოგადი ფოლკლორისტიკის ზრდას“ [2].

---

[1] გ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი, ლიტერატურული ეტიუდები, 1947, გვ. 266. იხ. აგრეთვე გ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, მხატვრული შემოქმედების ნარკვევები, 1946, გვ. 171-179

[2] მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ქართული ფოლკლორი, 1946, გვ. 381.

მ. გორკის ლიტერატურულ, ფილოსოფიურ და ესთეტიკურ შეხედულებებში ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფოლკლორის პრობლემებს. მ. გორკი სწავლობდა რა ცხოვრებას, ხალხს, ადამიანებს, ფაქტებსა და მოვლენებს, ამავე დროს, ბუნებრივია, იგი სწავლობდა და ითვისებდა ზეპირსიტყვიერებას, ფოლკლორს. მწერლის ადრეული პერიოდის ნაწარმოებნი ხალხურ სიუჟეტებსა და ლეგენდებს ემყარება. თავისი შემოქმედებითი ცხოვრების გარიჟრაჟიდან მოყოლებული უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მ. გორკი ცხოვრების სიბრძნესა და საუკუნებრივ გამოცდილებას ხალხის წიაღში, მის პოეტურ საუნჯეებში პოულობდა, რასაც არაჩვეულებრივი ოსტატობითა და ხელოვნებით აქსოვდა თავის უკვდავ მხატვრულ ქმნილებებში.

სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი და პროლეტარული ესთეტიკის უდიდესი წარმომადგენელი მ. გორკი თავისი მხატვრული შემოქმედების, თეორიულ-პუბლიცისტური მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე დიდ ყურადღებას უთმობდა ფოლკლორმცოდნეობის აქტუალური და საკვანძო საკითხების გარკვევას. მ. გორკი მრავალმხრივი ხილული და უხილავი ძაფებით იყო დაკავშირებული რუსულ ფოლკლორთან, მშრომელი მასების ზეპირსიტყვიერებასთან. ეს იყო ორგანული, უაღრესად მჭიდრო და შემოქმედებითად აუცილებელი ურთიერთობა.

მ. გორკის შემოქმედებისა და ხალხური საუნჯეების—ლირიკული სიმღერების გადმოცემის, ლეგენდების, თქმულებების, ანდაზების, გამოცანების, ლირო-ეპიკური ქმნილებების ასე მტკიცედ შერწყმა და ურთიერთ გადაუხალისებელი ზემოქმედება უბრალო და შემთხვევით ფაქტად არ შეიძლება იქნას აღიარებული. ამას საკმაოდ ღრმა სოციალური და ესთეტიკურ-შემოქმედებითი საფუძველი ჰქონდა.

მ. გორკი თავისი მუშაობის პრაქტიკით, თავისი მოსაზრებებით ემყარებოდა მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის მწყობრსა და სახელმძღვანელო შეხედულებებს ფოლკლორის რაობის, მისი როლის, ბუნებისა და სოციალ-პოლიტიკური და ფსიქოლოგიური მნიშვნელობის შესახებ. გორკიმ მარქსიზმის კლასიკოსთა შეხედულებანი შესანიშნავი ოსტატობით მიუსადაგა მთელი რიგი ლიტერატურული და ესთეტიკური საკითხების დამუშავებას.

რუსი მწერლები ლიტერატურის ისტორიის მთელ მანძილზე, მისი განვითარების სხვადასხვა პერიოდში ერთმანეთისაგან განსხვა-

ვებულ იდეურ და მხატვრულ მიდგომას იჩენდნენ ფოლკლორისადმი. ეს აიხსნებოდა უმთავრესად მათი სოციალური, ფსიქიკურ-კლასობრივი ბუნებითა და საზოგადოებრივ-მეთოდოლოგიური შეხედულებებით.

რაც მეტად მნიშვნელოვანია, მ. გორკიმ, როგორც პროლეტარიატის გამოჩენილმა მწერალმა, აღიარა ხალხის ძალის განუსაზღვრელი მნიშვნელობა, ხალხის ტალანტის, ნიჭის, შემოქმედების მხატვრული და ესთეტიკური ღირებულება.

მ. გორკი ჯერ კიდევ 1908 წელს აღნიშნავდა, რომ ხალხი დედამიწის ყველა განძისა და სიკეთის შემქმნელია. იგია ისტორიის ავტორი, იგია ბრძენი და ჭკვიანი. „ხალხი მართლ ის ძალა რომელია, — წერდა მ. გორკი, — რომელმაც შექმნა ყველა მატერიალური ღირებულება, არამედ იგი სულიერი ღირებულების ერთადერთი დაუშრეტელი წყაროა; იგი დროის, სილამაზის და გენიალური შემოქმედების მიხედვით პირველი ფილოსოფოსი და პოეტია, რომელმაც შექმნა დედამიწის ყველა დიადი პოემა, ყველა ტრაგედია და მათ შორის უდიდესი — მსოფლიო კულტურის ისტორია“.

ცხადია, ხალხის მიერ შექმნილ ქმნილებებში მეტნაკლები რელიეფურობით არის აღბეჭდილი ისტორიის ძირითადი საფეხურები, ხალხის ფსიქოლოგია და განცდა, სიხარული და სევდა, რწმენა და პოლიტიკური მისწრაფებანი, კლასობრივი წინააღმდეგობანი.

მ. გორკი მიუთითებდა იმაზე, რომ ისტორია და ფოლკლორი ურთიერთ მჭიდრო კავშირშია, რომ პირველი სრული უკუფენით გამოვლინდება ხალხური შემოქმედების ძეგლებში, ხოლო ისტორიის შესწავლა შეუძლებელია ფოლკლორში აღბეჭდილი სინამდვილის გააზრების გარეშე.

ამის თაობაზე მ. გორკი წერდა: „მშრომელი ხალხის ნამდვილი ისტორიის ცოდნა შეუძლებელია ხალხური შემოქმედების უცოდნელად, რომელიც განუწყვეტლივ და შეუნელებლად ზემოქმედებდა მწიგნობრული ლიტერატურის ისეთი უდიდესი ნაწარმოებების შექმნაზე, როგორიცაა, მაგალითად, „ფაუსტი“, „ბარონ მიუნხჰაუზენის თავგადასავალი“, „გარგანტუა და პანტაგრუელი“, „ტილ ულენშპიგელი“ დე-კოსტერისა, „განთავისუფლებული პრომეთე“ შელისა და მრავალი სხვანი“.

ხალხურ ძეგლებში მშრომელი ადამიანების ბრძოლა თავისუფლებისათვის, ხალხთა გმირობა, მამაცობა და ამაღლებული, სპეტაკი პატრიოტიზმი წითელი ზოლივით გასდევს. ხალხი თვითონაა

შემქმნელი და უშუალო მოწამე ისტორიის ქარტეხილებისა. მ. გორკის, აღბად, ამიტომ არაერთხელ უთქვამს: ფოლკლორი ხალხის სულიაო.

„შორეული წარსულიდან, — წერს გორკი, — ფოლკლორი უკანდაუხედავად და თავისებურად თანამგზავრობს ისტორიასთან. მას თავისი მოსაზრება აქვს ლუდოვიკო XI, ივანე მრისხანის მოღვაწეობის შესახებ, და ეს მოსაზრება მკვეთრად განსხვავებულია სპეციალისტების მიერ დაწერილი ისტორიის შეფასებათაგან, რომლებიც, არც თუ ისე დიდად ინტერესდებოდნენ იმ საკითხებით, თუ სახელდობრ, რა შეიტანა მშრომელი ხალხის ცხოვრებაში მონარქების ბრძოლამ ფეოდალებთან“.

სხვა რუს მწერლებთან და პოეტებთან შედარებით, მ. გორკი, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, ყველაზე უფრო ღრმად განიმსჭვალა ხალხური შემოქმედების, მისი სიუჟეტების, ფაბულის, მხატკრული სახეების, პოეტური და ეპიკური სამკაულების სიმდიდრისადმი სიყვარულით. იგი ჰეშმარიტად მოხიბლული იყო ხალხური შემოქმედების პოეტური სიმშვენიერით.

მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მ. გორკი არა მარტო იყენებდა თავის მაღალოსტატურ პროზაში ხალხური პოეზიისა და ხელოვნების სხვადასხვა ჟანრებს, არამედ ამ უკანასკნელთა შესახებ გამოქვეყნებული აქვს მეცნიერული მნიშვნელობის გამოკვლევები, სპეციალური სტატიები და ცალკე მოსაზრებანი, რომლებიც საბჭოთა ფოლკლორისტიკის პრობლემების გარკვევის საიმედო დასაყრდენს წარმოადგენენ. გორკის ნოღვაწეობისა და მხატვრულ ინტერესთა სამყარო ძლიერ ფართო იყო და, ბუნებრივია, იგი თვალსაჩინოდ მოიცავდა ზეპირსიტყვიერი პოეტური შემოქმედების თეორიასა და პრაქტიკას.

მ. გორკის მოხსენება საბჭოთა მწერლების პირველ სრულიად საკავშირო ყრილობაზე უცილობლად ახალ ეტაპს წარმოადგენს ჩვენი სამშობლოს უმდიდრესი ხალხური პოეზიის მეცნიერულად შესწავლის საქმეში.

თუ რუსი მწერლები და პოეტები მეტწილად ზეპირსიტყვიერებას სწავლობდნენ ხალხური თხზულებებისა და ეთნოგრაფიული კრებულების საშუალებით, მ. გორკი, პირიქით, თვითონ იყო უშუალო მონაწილე, შემსრულებელი და იმპროვიზატორი სასიმღერო და ეპიკური რეპერტუარისა. ასე მოაწყო ცხოვრებამ მ. გორკის ადრეული წლების მდგომარეობა.

გორკი იზრდებოდა ხალხური პოეზიის ტრადიციებით აღსავსე გარემოში. აქ ხალხური ხელოვნება მთელი თავისი სპეციფიკური ცხოვრებით ხელშეუხებელი იყო. კაშირინების ოჯახი, სადაც მომავალი მწერალი ჰაბუკდებოდა, ერთგვარ თავშესაფარს წარმოადგენდა ხალხური მომღერლებისა და გამრთობთათვის, ჯამბაზებისა და იმპროვიზატორებისათვის.

ვოლგაზე, ძველ ნიჟნინოვგოროდში, მ. გორკი ბავშვობისას ხარბად ისმენდა მოხეტიალე დამკვრელთა, ჯამბაზთა, მთქმელ-იმპროვიზატორთა და მოცეკვავეთა სიმღერებს. ვოლგაზე მაშინ ხშირად ეწყობოდა სახალხო მსვლელობა-დღესასწაულები უკრაინელი, რუსი და ბოშა ხალხური მომღერლებისა და მუსიკოსების მონაწილეობით. ხალხის წინაშე თავიანთი რეპერტუარით გამოდიოდნენ მეზღაპრეები, მელექსეები და მომღერალთა გუნდები.

არ შეიძლება იმის დავიწყებაც, რომ მ. გორკი ბავშვობისას იწერდა და თანაც ზეპირად სწავლობდა ხოლმე ხალხურ პოეტურ ტექსტებს. ამავე პერიოდში იგი ცხოველი ინტერესით ეწაფებოდა ხალხური კრებულებისა და ეთნოგრაფიული გამოკვლევების შესწავლას. შემდეგში ეს ინტერესი უფრო და უფრო გაიზარდა და მთელი ათეული წლების მანძილზე მ. გორკის არ შეუწყვეტია ფოლკლორის შესწავლა. ამან მწერალს საშუალება მისცა შეესწავლა რუსული ენა, მსოფლიოში ყველაზე უფრო მდიდარი და სურათოვანი ენა, როგორც მ. გორკი იტყოდა.

ცხრაასიან წლებში გორკის ჰქონდა წინასწარი მონახაზი, რომ დაეწერა პოპულარული ნარკვევი რუსული ხალხური სიტყვიერების შესახებ. დიდი, ღრმა ცოდნა ფოლკლორისა ფართოდ აისახა გორკის მხატვრულ პროზაში, ზღაპრებში, პიესებსა და ლეგენდებში („ქალიშვილი და სიკვდილი", „მოხუცი იზერგილი", „მალვა", „მაკარ ჩუდრა", „იტალიური ზღაპრები" და სხვ.).

ამავე დროს მ. გორკის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობისა არის სპეციალური გამოკვლევები რუსული მითოლოგიისა და პოეტური ფოლკლორის აქტუალურ საკითხებზე. თავის მხატვრულ ნაწარმოებებში მ. გორკი გონივრულად, ოსტატურად იყენებდა ძვირფას ტექსტებს — შაირებს, ლეგენდებს, ზღაპრებს, ლირიკულ სიმღერებს, დამარხვის, ქორწილის რიტუალს, რომლებიც ეხმარებოდა დიდ შემოქმედს ხალხის სულისკვეთების, ფსიქოლოგიის, განწყობილებისა და მოლოდინის გადმო-

ცემაში. ხალხური პოეზია, ფონი, კოლორიტი და ამავე დროს მასალაც იყო მ. გორკისათვის.

მ. გორკი თავის გენიალურ პროზაში აღწერს გუნდურ სიმღერებს, ხალხურ ცეკვა-თამაშს, სამგლოვიარო წესებს, საქორწილო რიტუალს. იგი თავის ნაწარმოებებში კლასიკურად აღბეჭდავს ხალხური პოეტებისა და არტისტების სახეებს, მათ რიცხვში რუსი მთქმელისა და მოტირალის არინა ფედოსოვას ზეპირსიტყვიერ რეპერტუარს.

ყველა ამას სპეციალური ღირებულება ენიჭება რუსული ფოლკლორის ისტორიის შესასწავლად. გორკის პროზამ შესანიშნავად აითვისა ფოლკლორის თავისებურებანი, რაც თვალნათლივ შესამჩნევია მის პოეტურ ენაში, სახეებსა და ლირიზმში.

მეორეს მხრივ, მ. გორკიმ, როგორც პროლეტარული მსოფლმხედველობისა და იდეოლოგიის წარმომადგენელმა, შესძლო ფოლკლორი მოეყვანა მწყობრ და გარკვეულ მეთოდოლოგიურ სისტემაში, განეზოგადოებინა იგი და ამით აეღიარებინა ფოლკლორი, როგორც კლასობრივი ბრძოლის ასახვა და იარაღი. გორკის წერილები და აზრები ფოლკლორმცოდნეობის ურთულესი პრობლემების შესახებ გვაცნობენ ისტორიულ-თეორიული გააზრებითა და იდეური პრინციპულობით. ამ შემთხვევაში, მ. გორკი ფოლკლორის უდიდესი თეორეტიკოსია, რომელმაც მასების ლიტერატურულ შემოქმედებას დაუძებნა და დაუდგინა ფილოსოფიურ-ისტორიული და სოციალ-ესთეტიკური საფუძვლები. ეს მკვეთრად შესამჩნევია მ. გორკის სტატიების ცნობილ კრებულში „ლიტერატურის შესახებ". მ. გორკის საინტერესო მოსაზრებანი გადმოცემულია აგრეთვე მის პირად წერილებში სურკოვისა და ლიაცკისადმი.

მ. გორკის მრავალმხრივად მნიშვნელოვან გამოკვლევებსა და ზეპირ გამოსვლებში დგინდება ფოლკლორის წარმოშობის „შრომითი თეორია".

მ. გორკი წერდა: „შრომას, ღირებულების შემქმნელს, ჩვენ ვალდებული ვართ დავუბრუნოთ მისი დანიშნულება, როგორც მხატერული შემოქმედების გამღვიძებლისა, როგორც ხელოვნების ძირითადი წყაროსი".

მ. გორკის აზრით, ლიტერატურის ყველა ფორმის წყარო ზეპირი შემოქმედებაა. „ხელოვნების სიტყვის დასაწყისი ფოლკლორშია". ან და სხვა ადგილას მ. გორკი წერდა: „ყველაზე უფრო ღრმა და ნათელი, მხატვრულად სრულქმნილი გმირთა ტიპები

შექმნილია ფოლკლორის მიერ". ფოლკლორის შემქმნელი უკვდავი და მარადიული, მხატვრული ტალანტით დაჯილდოებული ხალხია. ხალხი თავისი წიაღიდან ავლენს ჰეშმარიტ პოეტურ გენიებს, რომლებიც ზეპირი ტრადიციით ჰქმნიან სულიერი და მატერიალური ღირებულების ხელიხელ საგოგმანებელ მხატვრულ ძეგლებს. ხალხური შემოქმედება არის მშრომელი მასების კოლექტიური შრომისა და მოღვაწეობის მხატვრული ნაყოფიო.

ამის გამო აღნიშნავდა მ. გორკი, რომ მხოლოდ კოლექტივის გიგანტური ძალითაა შესაძლებელი ახსნილ იქნას მითისა და ეპოსის ღრმა სილამაზე, მხოლოდ ხალხის დიდ პოეტურ გამომგონებლობასა და ფანტაზიას შეეძლო შეექმნა ისეთი განმაზოგადოებელი გენიალური სიმბოლოები, როგორიცაა, პრომეთე, სატანა, ჰერაკლი, სვიატოგორი, ილია მურომეცი, მიკულა და სხვები.

მ. გორკის აზრით, კოლექტიური შემოქმედების ერთი მანიშნებელია ისიც, რომ ასეული წლების მანძილზე ინდივიდუალურმა შემოქმედებამ ვერაფერი შექმნა მსგავსი „ილიადასი" და „კალევალასი". ამავე დროს მ. გორკი მახვილგონივრულად შენიშნავს, რომ ფოლკლორისათვის სრულიად უცხოა პესიმიზმი, მიუხედავად იმისა, რომ მისი შემქმნელნი დამცირებასა და გაჭირვებაში ცხოვრობდნენ. კოლექტივს აქვს რწმენა ყოველგვარ მტრულ ძალებზე უეჭველი გამარჯვებისა.

მ. გორკი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ისეთ ფოლკლორულ ძეგლებს, სადაც გამომჟღავნებული იყო ხალხის გმირული სულისკვეთება და თავგანწირვა ბედნიერი და თავისუფალი ცხოვრებისათვის. 1900 წელს გორკი ჩეხოვს წერდა: „დადგა დრო გმირობის საჭიროებისა". ამ მაღალი განწყობილებით შეხვდა მ. გორკი 1905 წლის რევოლუციას. 1917 წლის ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის დროს ეს განწყობილება უფრო ჩამოყალიბებულ ხასიათს ღებულობს. 1931 წელს გორკი საბჭოთა მწერლების საყურადღებოდ აცხადებდა: „ცხოვრება მოითხოვს გმირულ პოეზიას", ხოლო 1934 წელს შესთლიოა გასაგონად განაცხადა: „გმირული საქმე გმირულ სიტყვას მოითხოვსო".

ჰეშმარიტი რეალიზმი მაღალ საფეხურზე აიყვანა საბჭოთა ლიტერატურამ. აქ პირველ რიგში მ. გორკის დამსახურებაა აღსანიშნავი, ხოლო მ. გორკის რეალიზმის ფესვები ფოლკლორულ რეალიზმშია ჩამარხული. ხალხური პოეზია არსენალია ინდივიდუალური შემოქმედების ყველა დიდებული და განუმეორებელი ძეგლისათვის.

მ. გორკი არაერთგზის მიუთითებდა, რომ მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი ნაწარმოებნი მილტონისა და დანტესი, მიცკევიჩისა და გოეთესი ამოიზარდნენ ფოლკლორის თემატიკისა და სახეების ოსტატურად გააზრებისა და გადამუშავების შემდეგ.

მ. გორკი ფართოდ და ღრმად იცნობდა სსრ კავშირის ხალხთა მწერლობასა და ზეპირ პოეზიას.

მას, როგორც არც ერთ სხვა მწერალს, შეეძლო ხალხურ შემოქმედებაში ეგრძნო და დაენახა დიდი პოეტური სულის ქარიშხალი, რაღაც ჯადოქრული, ვაჟკაცური ძალა, დაენახა სინათლისა და ბედნიერებისაკენ მიმავალი ძნელი, მაგრამ მაინც მისაღწევი ბილიკები.

მ. გორკი იცავდა მშრომელი მასების შემოქმედებას ყოველგვარი მტრული იერიშებისაგან; ამ ნიადაგზე მან თავისი მწერლური ავტორიტეტით, დიდი ერუდიციითა და ყოველმხრივი ცოდნით მძიმე იდეური ბრძოლები ჩაატარა რეაქციულ, სლავიანოფილურ და სხვა აშკარა თუ ფარული მტრული შეხედულებების წინააღმდეგ. კერძოდ, რეაქციონერი ლიტერატორები ამტკიცებდნენ, რომ ხალხური პოეზიის ყველა ჟანრი თავდაპირველად შეიქმნა გაბატონებულ კლასებში, ე. წ. ბრწყინვალე წოდებაში, ხოლო იგი დამახინჯდა, როცა ხალხის დაბალ ფენებში გადავიდაო.

ჯერ კიდევ 1912 წელს მ. გორკიმ მრისხანედ გაილაშქრა ამ შეხედულების წინააღმდეგ და ე. ლიაცკის მისწერა: „ჩვენს დღეებში, როცა ხალხური პოეზიისადმი, ხალხისადმი შესამჩნევია რაღაც აუტანელი, სკეპტიკური, კაპრიზული და არა სერიოზული დამოკიდებულება, — ტექსტები, შენს მიერ მოცემული, უკომენტარიოდაც კი დარბაისლურად გვაკამათებს, მაგალითად, კელტუიალასთან, რომ ყველაფერი მბრძანებელმა კლასმა შეჰქმნა. ასევე მაკვირვებს დ. ნ. ოსიანიკო-კულიკოვსკის შეხედულება“.

მ. გორკიმ გვასწავლა, რომ ნაციონალური ლიტერატურის, ფერწერის, სიმღერის, ხელსაქმის, თეატრის და საერთოდ კულტურის საფუძველს ფოლკლორი, ხალხური შემოქმედება წარმოადგენს. ჟურნალი „ხალხური შემოქმედება“ (1938 წ., № 12) ძვირფას ცნობას გვაწვდის სწორედ ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე: „ხალხურ შემოქმედებაზე, როგორც ნაციონალური ხელოვნების საფუძველზე, არაერთხელ მიუთითებდა ამხანაგი სტალინი. უკრაინელ კინორეჟისორ დოვჟენკოსთან საუბარში სტალინმა მიუთითა ხმოვან ფილმში — შჩორსზე — მდიდარი უკრაინული ლირიკის გამოყენების აუ-

ცილებლობაზე. ამ მითითებას, რასაკვირველია, ჰქონდა უფრო მეტად ფართო მნიშვნელობა, და ეხებოდა არა მარტო კინოს მუშაობას, არამედ მთელს ხელოვნებას".

მ. გორკი საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს მოწინავე საბჭოთა მწერალი, მხატვრული სიტყვის ოსტატი. მ. გორკი მისაბაძი ტიპია სოციალისტური რეალიზმის გამოყენებისა, ფოლკლორის შესწავლისა და ათვისებისა.

1931 წელს მოსკოვში მალაია ნიკიტსკაიას ქუჩაზე, თავის ბინაში მ. გორკის ესტუმრნენ უახლესი ამხანაგები — ხალხთა დიდი ბელადი ი. ბ. სტალინი და კ. ე. ვოროშილოვი. საყვარელ სტუმრებს გორკიმ წაუკითხა თავისი ზღაპარი „ქალიშვილი და სიკვდილი". ამ ზღაპარმა გულის სიღრმემდე აღაფრთოვანა დიდი სტალინი და ვოროშილოვი. მსმენელები მოხიბლა შესანიშნავი პოემის ბრძნულმა და ნათელმა იდეამ, ქალიშვილის ამაყმა, გაბედულმა და უშიშარმა მოქმედებამ, სიკვდილის წინაშე ქედუხრელობამ, მოხერხებულობამ, სულიერმა სიმამაცემ.

ი. ბ. სტალინმა, მოისმინა რა ეს რაინდული, რომანტიკული და ოპტიმისტური პოემა, კუთხეში ფანქრით წააწერა შემდეგი სიტყვები: „ეს ნაწარმოები უფრო ძლიერია, ვიდრე გოეთეს „ფაუსტი" (სიყვარული ამარცხებს სიკვდილს)".

ბელადის ამ წარწერაში გენიალურადაა აღბეჭდილი გორკის პოემა-ზღაპრის მხატვრულ-იდეური დახასიათება, მისი ესთეტიკურ-შემეცნებითი, პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობა, პოეტური ღირებულება და მისი ადგილი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში.

მ. გორკის არაერთხელ უთქვამს, რომ ხალხურ თქმულებაზღაპრებში გადმოშლილი სახეები უკვდავია და ისინი მხატვრული შთაგონების წყაროა ინდივიდუალური შემოქმედებისათვისო. „მხოლოდ კოლექტივის გიგანტური ძალითაა შესაძლებელი აიხსნას მითისა და ეპოსის ღრმა სილამაზე", მხოლოდ ხალხის პოეტურ ტალანტს შეეძლო შეექმნა ისეთი განზოგადებული და გენიალური სიმბოლოები, როგორიცაა პრომეთეოსი, სატანა, სვიატოგორი, ილია მურომეცი, ფაუსტი, „კალევალა", „ილიადა" და სხვ., რომელთა მსგავსი ასეული წლების მანძილზე ვერ შეჰქმნა დამწერლობითმა ლიტერატურამ, — ამბობდა საბჭოთა მწერლობის ფუძემდებელი მაქსიმ გორკი.

მ. გორკის მიერ გამოთქმული ამ თვალსაზრისის მხატვრულ

განსაზიერებას წარმოადგენს „ქალიშვილი და სიკვდილი“, რომელ-ზაც ესოდენ მაღალი შეფასება მიიღო.

მ. გორკის ამ ზღაპრის პუბლიკაციას თავისი ისტორია აქვს.

პოემა-ზღაპარი მ. გორკიმ 1892 წელს დასწერა. იგი დიდხანს არ დაბეჭდილა. გაზ. „ვოლჟსკი ვესტნიკის“ რედაქტორმა „უცენზუროდ“ მიიჩნია და სინათლე არ აღირსა. ოცდახუთი წლის განმავლობაში ნაწარმოები მკითხველს ეძებდა. იგი დაიბეჭდა 1917 წლის 23 ივლისს გაზ. „ნოვაია ჟიზნში“ (№ 82). მკითხველებმა ერთბაშად აღიარეს ამ პოემის უეჭველი ღირსება.

სიყვარულის, სიცოცხლისა და სიკვდილის ე. წ. მარადიული თემები ყოველთვის ისმებოდა მსოფლიო ლიტერატურაში. ამ პრობლემისადმი ბევრი რომანი, ტრაგედია, ბალადა და ლექსია მიძღვნილი. მაგრამ მეტწილად ეს მტანჯველი საკითხი სიკვდილისა და ცხოვრების სასარგებლოდ წყდებოდა. გაბატონებული ესთეტიკური აზრის წინააღმდეგ, დიდმა ჰუმანისტმა და სიცოცხლის მომღერალმა მ. გორკიმ შეჰქმნა მომხიბლავი სილამაზისა და ჯანსაღი სიცოცხლის განუმეორებელი ჰიმნი. გორკის პოემაში ცოცხალ და კეთილ საწყისებზე დამკვიდრებული სიყვარული ამარცხებს ბოროტს, ბნელ საწყისზე დამყარებულ სიკვდილს. ეს იდეა ამა თუ იმ ფორმით მ. გორკის სხვა მხატვრულ ქმნილებაშიც გვხვდება.

მ. გორკის პოემა-ზღაპრის შინაარსი ასეთია[1]:

ომში დამარცხებული მეფე თავისი მცირე ჯარით უკან ბრუნდება. იგი გულჯავრიანი და მწყრალია. ასეთ მძიმე მდგომარეობაში მყოფს „შემოესმა ანწლის იქით მდგარი ქალიშვილი ლაღად კისკისებდა“.

გაბოროტებული მეფე შეჰყვირებს:

მე, შენს მეფეს, დღეს სირცხვილი მტანჯავს,
და შენ, ბრიყვო, მითხარ, რა გაცინებს?!

ქალიშვილი მეფის წინაშე არ დაიბნა, არ შედრკა, პირიქით, მან გამოამჟღავნა არაჩვეულებრივი სიამაყე, ქედმოუხრელობა, ნებისყოფის სიმტკიცე და გულუშიშრობა. ბედის წინაშე გაბედული დგომა სიკვდილზე გამარჯვების საწინდარია. ქალიშვილი მეფეს მიუგებს:

მიჯნურთან ვარ, შენ რამ შეგაწუხა?
წადი, ძიავ, წადი, დაგვაცალე.

[1] ზღაპარი სთარგმნა პოეტმა დ. გაჩეჩილაძემ.

საინტერესოდ მსჯელობს ქალიშვილი სიყვარულის მწველი და უჩვეულო ძალის შესახებ. სიყვარულის განცდა მაღალი და უწმინდესი კატეგორიაა. იგი ამაღლებს და ასპეტაკებს ადამიანს. გული სიყვარულის ყვავილებითაა შემკული. იგი იწვის და ძალუმად ფერფლავს გრძნობის ჟურჟელს. სიყვარულთან მოსაუბრე გული თავისუფალია.

როგორია ქალიშვილის ნორმატული მსჯელობა?

სად გცალია მეფეს ესაუბრო,
სიყვარულთან თუ საუბრობს გული;
ღვთიურ ტაძრის ნაზ სანთელზე უფრო
ჩქარა იწვის ხშირად სიყვარული.

მეფის ბრძანებით სათნო და კეთილი ქალიშვილი შებოჭეს, აწამეს და სიკვდილს — საზიზღარ ბებრუხანას — გადასცეს საიქიოში დასასჯელად. ხარბი სიკვდილი საოცარი სიხარულით შესცქერის ლამაზ, ყვავილივით გაშლილ მსხვერპლს. ქალიშვილმა, უამბო რა მეფის სისხლიანი ჯალათობის, უსამართლობისა და დაუნდობლობის შესახებ, ჯიუტ სიკვდილს ერთი სათხოვარი შეჰკადრა: ,,ჰე, სიკვდილო, შეგთხოვ, გამიგონე: ერთხელ მომეც ალერსობის ნება''.

სიკვდილი თითქოს მოლბა, თითქოს წუთით შეიბრალა კალმით აუწერელი სილამაზე და მშვენიერება.

კარგი, წადი, ღამით იალერსე,
სულერთია, მოგკლავ გარიჟრაჟზე.

რაკი ქალიშვილი დათქმულ დროს არ მივიდა, სიკვდილი თავისი ფეხით წავიდა მის საძებრად. იგი ღრუბელ-ღრუბელ დადიოდა და უეცრივ დაინახა, რომ კაკლის ძირში ვაჟთან ალერსს გაეტაცნა: ,,მთვარის შუქში, ატლას ბალახებში, გაზაფხულის ქალღმერთს შესადარი'', ,,და აბრეშუმ კანზე ანაკვთული, წითლად აჩნდა კოცნის ვარსკვლავედი''.

გააჩხლებულ სიკვდილსა და მოსიყვარულე ქალიშვილს შორის მკაცრი დავა გაიმართა. სიკვდილი მრისხანედ ემუქრება და ათასგვარ წამებას ჰპირდება სიცოცხლეს. მაგრამ სიყვარული უშიშროებას, მტკიცე ნებისყოფას იჩენს სიკვდილის მოჟღარუნე ცელის წინაშე. სწორედ აქ იწყება მისი ქეშმარიტი გამარჯვება.

ნუ მაშინებ, ნუ მიცქერი მკვახედ,
მყის წამოვალ, რომ ჩავიდე საფლავს,
ეს ვაჟი კი დიდხანს შემინახე.

სიყვარულის ძალა ამაღლებს და აამაყებს ქალიშვილს. იგი ისე ეგებება ჯერ მეფის განჩინებას და შემდეგ სიკვდილს, რომ თითქოს მისი ცხოვრების მიზანიც ეს იყო. ქალიშვილის რწმენა მტკიცე და შეურყეველია. მისი მრწამსი სთრგუნავს ბედისწერას, შიშს, მოლოდინსა და მწუხარებას. და ამ ამაყმა ქალიშვილმა მარადიული სიმღერა უმღერა დაუოკებელ, უზადო სიყვარულს. სიყვარულის ცეცხლი თავდავიწყების ნაკადულად იქცევა, ბაშინ მას ,,ცაც და მიწაც ავიწყდება''. სწორედ მაშინ

> სხვაგვარ ძალით ათრთოლდება სული,
> სხვაგვარ ცეცხლით იწვის ანთებული,
> აღარა მაქვს შიში ბედის წინა.

სიკვდილმა ქალიშვილის სახით ნახა ძლიერი სულის, გაუბზარავი ხასიათის, მიზნისაკენ მიმავალ გზაზე თამამად მდგარი ადამიანი. ,,აღარა მაქვს შიში ბედის წინაო'', — სთქვა სიყვარულის განსახიერება ქალიშვილმა და სწორედ ამაშია უეჭველი გამარჯვების წყარო და გასაღები. სიკვდილი იმიტომ არსებობს, რომ მან სიცოცხლე უნდა მოჰკლას, სულ ერთია რომელ ადამიანში იქნება იგი განხორციელებული. მაგრამ ქალიშვილი იმდენ რაიმეს მოაგონებს სიკვდილს, რომ ეს უკანასკნელი ხელს იღებს თავის მტარვალურ გადაწყვეტილებაზე, სიყვარულს ,,საოცრებას'' უწოდებს და აშკარად დაბარცხებული ქალიშვილს ეუბნება:

> გამიშვიხარ, დე სცოცხლობდე ვარდი,
> მაგრამ ყველგან, სადაც არ იქნება,
> სიყვარულთან ივლის ჩემი ლანდი.

ეს ამბავი შორეულ წარსულში მოხდა. მას შემდეგ სამყაროში კეთილშობილ ძალას — სიყვარულს ბოროტი და შემრისხავი სულივით ასდევნებია სიკვდილის შავი აჩრდილი და ერთად, საშინელი წინააღმდეგობის დაძლევის გზით, აშენებენ ცხოვრების ბედნიერებას.

ეს ფილოსოფიური და ზოგად ესთეტიკური პრობლემა ხალხური პოეზიის ფოლიანტებიდან მომდინარეობს. ზღაპრის თემის ამგვარი იდეური კონცეფცია და მკვეთრი გადაწყვეტა მსოფლიო ლიტერატურაში მთელი ტრადიციული მიმართულების მძლავრი შემობრუნება იყო.

რას გვეუბნებიან მსოფლიო ლიტერატურის მაგალითები? შექსპირის რომეოსა და ჯულიეტას უეშმარიტი სიყვარული ორი

პატრიციული ოჯახის — კაპულეტისა და მონტეკის ისტორიულმა მტრობამ ფეხქვეშ გათელა და დაღუპა, დეზდემონას წმინდა სიყვარული ოტელოსადმი ცბიერებამ და უზნეო ავხორცობამ იმსხვერპლა, წრფელი სიყვარული მოტყვილებული ოტელოს ხელით კვდება. შილერის ლუიზა ცხოვრების ტალღებში იძირება, იგიც ცბიერების უმანკო მსხვერპლია. საბრალო ლუიზას მისივე მოტრფიალე ფერდინანდი ღუპავს. ფაუსტისა და მარგარიტას სიყვარულის ბედიც სავალალოა, იგიც სასიკვდილოდაა განმზადებული. მარგარიტა ციხეში კვდება. ფლობერის, მოპასანის, ალ. ყაზბეგის გმირებიც წმინდა სიყვარულის მსხვერპლნი ხდებიან; ჰუშკინის ლენსკის, რუსალკას ცხოვრების ისტორიაც სავსებით უიმედოა, ლ. ტოლსტოის ანა კარენინას, კატუშა მასლოვას სიყვარულიც ფათერაკითა და პესიმიზმითაა აღსავსე.

მ. გორკიმ, როგორც მჭერმეტყველურად ჩანს, სიკვდილისა და სიცოცხლის საკითხი აქაც და სხვა ნაწარმოებებშიც იშვიათი ორიგინალობითა და დამაჯერებლობით გაძახჩრა. მისი ქვაკუთხედია ამაღლებული და ცხოვრების სიყვარულით აღსავსე ჰუმანიზმი და საღი, ხალასი ოპტიმიზმი.

დიდმა რეალისტმა მწერალმა გვიჩვენა, რომ ნებისყოფა და ჯანსაღი აზრი, უშიშრობა და ბედის საზღვრის გადალახვა ადამიანის უდიდესი ძალა და გამარჯვების საწყისია. სიყვარული და სიცოცხლე სამყაროს დადებითი, თვალისმომჭრელი ელვარე საწყისებიდან გამომდინარეობენ. უფრო მეტიც — სიყვარული თვითონაა ლამაზი და თავისუფალი სიცოცხლე, რომელსაც ბორკილებში არ გაეძლება. იგი სასიცოცხლო ნერვებითა და არტერიებით სუნთქავს, ძასთან თამაში არა თუ შეიძლება, სახიფათოცაა, რადგან მას შეუძლია ამღელვარება, წინააღმდეგობის ერთბაშად წალეკვა. სადაც ბორკილი და მონობაა, იქ შემოქმედებითი ძალით აღჭურვილი სიყვარული ნამდვილად არც არსებობს და ამიტომაც არის, რომ თავი იჩინა მხურვალე სიყვარულმა, იგივე სიცოცხლემ, — შავი სიკვდილი გაფითრდა, მას სისხლი გაეყინა და დათმობაზე წავიდა. მაღალი და ამაყი სიყვარული ამ გზით ბორკილებს ამსხვრევს და ფართო შარა-გზაზე გამოდის.

ეს დიდებული აზრი მაქსიმ გორკიმ წარმტაც და ცოცხალ მხატვრულ სახეებში არაჩვეულებრივი ოსტატობით ჩააქსოვა, მან უმღერა გაღვიძებულ, მაძიებელ, ყოვლისშემძლე სიყვარულს და ამით მჩქეფარე სიცოცხლე შეგვაყვარა.

რომანტიკული ელფერის მატარებელია აგრეთვე მ. გორკის ლეგენდა ,,ფერია“[1]. აქ მ. გორკი ჰოეტურ სურათს გვიხატავს ფერიაზე შეყვარებული ახალგაზრდა ვაჟისას. მარკოს სიყვარული ფერიასადმი ძლიერია, ვნებიანია. ტყეში, მდინარესთან ახლოს ცხოვრობდა მშვენიერი ფერია. იგი საკმაოდ ფრთხილი იყო, სამანაოდ ჩუმად ჩაიპარებოდა მდინარის ტალღებში. ,,მაგრამ დაივიწყა მან ერთხელ სიფრთხილე და მოულოდნელად გაიგო ბადეში“. მეთევზეები შეშინდნენ. მაგრამ მათ შორის იყო ახალგაზრდა მარკო. ,,ჰაბუკმა მოჰხვია მთრთოლვარე ხელები, ჩაჰკოცნა მღელვარედ ლამაზი ფერია“.

ფერია, როგორც ნორჩი რტო, ისე თრთოდა ღონიერ მკლავებში. იგი რაღაცაზე ჩუმად იცინოდა და ეშმაკურად შესცქეროდა ბედნიერ მარკოს თვალებში. ფერია მთელი დღე ხიბლავდა და ალერსით ათრობდა მარკოს, მაგრამ დაღამდა თუ არა, მაშინვე გაუჩინარდა და სამუდამოდ დაიკარგა მომხიბლავი და მაცდური ფერია. მარკომ მოიწყინა, მწარე კაეშანი და სევდა დაეუფლა მას.

და მარკო მიჰყვება დუნაის ნაპირებს,
დადის დღეთ და ღამით, სევდანატვრეთები,
სულ ეძებს, სულ კვნესის: ,,სადაა ფერია?“
— ,,არ ვიცით!“ — სიცილით ამბობენ ზვირთები.

მაგრამ მათ ჰაბუკი უყვირის ,,თქვენ სტყუით!
იმასთან თქვენ თვითონ ერთობით ხალისით!..“
და შმაგი მიჯნური დუნაის ტალღებში
ვარდება, რომ ნახოს ფერია თავისი.

როგორც ბანაობდა მარკოს შეხვედრამდე,
ისევ მდინარეში ბანაობს ფერია,
მარკო აღარ არის... მაგრამ ლექსი დარჩა
და მარკოს შესახებ დღეს მაინც მღერიან.

. . . . . .

და თქვენ კი, მიწაზე იცხოვრებთ ამ ქვეყნად,
ისე ვით ცხოვრობენ ჰიები, მწერები:
თქვენზე არ შეთხზავენ ზღაპრებს და ლეგენდებს,
თქვენზე არ დარჩება ხალხში სიმღერები!

[1] გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1946, 21 ივნისი. ლექსი თარგმნილია პოეტ გრ. ცეცხლაძის მიერ.

მართალია, მარკო დაიღუპა ფერიას სიყვარულით გულდაისრული, მაგრამ მან, გამოიჩინა რა თავგანწირულება, მასზე მღერიან, მასზე ,,ლექსი დარჩა''. მ. გორკი მიმართავს მეშჩანებს, ხავსმოკიდებულთ, დამფრთხალებსა და მშიშარებს, რომლებიც ამ ქვეყნად ცხრვრობენ როგორც ,,ჰიები და მწერები'', ,,თქვენზე არ შეთხზავენ ზღაპრებს და ლეგენდებს, თქვენზე არ დარჩება ხალხში სიმღერებიო''.

,,გორკისა და მისი თანამოაზრეების გავლენით ჩვენ, — ახალგაზრდებს გვიზიდავდა და გვიტაცებდა ყოველივე მშობლიური, ყველაფერი ხალხური... ჩვენ — ახალგაზრდა მუსიკოსები და მომღერლები იშვიათი პათოსით ვასრულებდით ამ სიმღერას (ლაპარაკია ვ. ორბელიანის ლექსის ,,გალიას'' რუსულ თარგმანზე — გ. ს.). განსაკუთრებით ცხარედ და გამომწვევად ვმღეროდით ლექსის პირველ სტროფს:

Птичку щебетунью
Не держите в клетке,
Ей голос дан
Чтоб петь на ветке[1].

— ნუ დაამწყვდევთ თქვენს სულს თქვენს მიერვე გაკეთებულ გალიაში, — უთქვამს მ. გორკის, რომლის გამოძახილიც ყოფილა სოფიო ამირეჯიბის მიერ ვ. ორბელიანის აღნიშნული ლექსის რუსულად გადათარგმნა.

ხალხური შემოქმედება უდიდესი შთაგონების წყარო იყო გორკისათვის. გორკის პროზაული ნაწარმოებნი, მთელი მისი შემოქმედება განსჯვალულია ფოლკლორისადმი ახლებური დამოკიდებულებით, მისი სურნელების ღრმა შეგრძნებით. ,,გორკი ბრწყინვალედ იცნობდა რუსულსა და მსოფლიო ფოლკლორს და, სხვათა შორის, ძალიან აინტერესებდა მას ბესარაბიის, კავკასიის და უკრაინის ხალხთა შემოქმედებაც. ამას ნათლად ადასტურებს მისი ადრინდელი მოთხრობები და ლეგენდები, რომლებიც უხვად შეიცავენ ფოლკლორულ მოტივებს'', — სწორად აღნიშნავს კრიტიკოსი გ. ნატროშვილი.

გ. ნატროშვილი წერილში ,,გორკის ზღაპარი დედაზე და ქართული ბალადა ვეფხვისა და მოყმისა'' საინტერესო ცდაა ზოგი-

[1] ნ. ანდრიანოვა-რიადნოვა, ჩემი მოგონება, გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1946 წლის 21 ივნისის ნომერი.

ერთი პარალელის დადგენისა. მას მიაჩნია, რომ იტალიურ ზღაპრებში ჩართული ამბავი გამომძახილია ქართული ბალადისა ვეფხვისა და მოყმის შესახებ. გ. ნატროშვილი ფიქრობს, რომ ახალგაზრდა გორკიმ საქართველოში ყოფნის დროს გაიგონა ამ ბალადის შინაარსი, მისი მოტივი და შემდეგ გაიხსენა იგი შორეულ იტალიაში. ,,ამიტომ შორს არ ვიქნებით ჰიშმარიტებისაგან, — წერს გ. ნატროშვილი, — თუ უფრო ზუსტად გამოვთქვამთ პიკსანოვის აზრს და გორკის ზღაპარში რაღაც ძალზე ზოგადი აღმოსავლური მოტივის ნაცვლად ქართული ხალხური ლირიკის მოტივს დავინახავთ. არ მოიძებნება ქვეყანა აღმოსავლეთში, სადაც დედის კულტი, ქალის ქულტი უფრო ძლიერი იყოს, ვიდრე საქართველოშია'' [1].

მიუხედავად საინტერესო კვლევა-ძიებისა და დაპირისპირებისა, პარალელების დაძებნისა და ინტუიციისა, ვფიქრობთ, რომ აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს ქართული ბალადის უშუალო გავლენას. თვითონ ავტორიც დაეჭვებულია ამაში და სწორია მოსაზრება, რომელსაც იქვე ანვითარებს:

,,და თუ ეს ასე არ არის, თუ ერთის მხრივ ქართველი ხალხის ფანტაზია და მეორეს მხრივ მსოფლიო ლიტერატურის დიდი ბუმბერაზის გონება დამოუკიდებლად მივიდნენ ამ ერთ დიდებულ აზრამდე, მაინც საინტერესოა ეს შეხვედრა, რადგან იგი ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ ყველა უკეთესი შვილი კაცობრიობისა, ყველა მეოცნებე სიკეთეზე, სამართლიანობაზე, ყველა მოციქული ჰუმანიზმისა ერთი დიდი გზით მიდის. და ამ გზაზე შეხვედრა არც საოცარი და არც მოულოდნელი ამბავია'' [2].

მ. გორკის შემოქმედებისა და ხალხური პოეზიის ურთიერთობის საკითხი ფრიად საინტერესოა, მაგრამ ჩვენი წერილი ამ მიმართულებით როდია გამიზნული. ამ საკითხის შესახებ ბევრი საფუძვლიანი გამოკვლევა არსებობს. მათ შორის აღსანიშნავია ნ. პიკსანოვის წიგნი ,,გორკი და ფოლკლორი'', გამოცემული 1938 წელს. აქ ფართოდაა დახასიათებული მ. გორკის სიყვარული ხალხური ზღაპრებისა და სიმღერებისადმი; აქვეა ნაჩვენები გორკის დამოკიდებულება მეზღაპრე ი. ფედოსოვასადმი; გარკვეულია საკითხი, თუ როგორ არის ასახული ხალხური მასალები გორკის ნაწარმოებებში

---

[1] გ. ნატროშვილი, ლიტერატურული ეტიუდები, 1947, გვ. 289.

[2] იქვე, გვ. 290.

და ა. შ. ამავე საკითხისადმია მიძღვნილი ნ. პიკსანოვის წერილი ,,გორკი და ხალხური შემოქმედება'' (ჟურნ. ,,ხალხური შემოქმედება'', 1938 წ., № 4, გვ. 11-16), ა. დიმშიცის წიგნში ,,ლიტერატურა და ფოლკლორი'' მოთავსებულია ,,გორკი ლიტერატურის ხალხურობის შესახებ'', მ. ჩიქოვანის წიგნში ფართოდაა გარჩეული გორკის დამოკიდებულება ხალხური შემოქმედებისადმი (,,ქართული ფოლკლორი'', სახელგამი, 1946 წ., გვ. 381-392). მ. გორკისა და რუსული ხალხური სიმღერების შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს ს. ბუგოსლავსკი (,,გორკი და რუსული ხალხური სიმღერა", ჟურნ. ,,ლიტერატურნი კრიტიკ'', 1938 წ., № 6).

III

მ. გორკი, აძლევდა რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ხალხურ შემოქმედებას, სასტიკ ბრძოლას უცხადებდა ლიტერატურასა და ხელოვნებაში როგორც ნატურალიზმს, ისე ფორმალიზმს. ორივე ეს მიმართულება წარმოადგენდა ორ უკიდურესობას ხელოვნების თეორიასა და პრაქტიკაში. მათ არ შეეძლოთ დიდი განზოგადების ძალის ლიტერატურის შექმნა. და გორკი ადგენს მთელ პროგრამას ხალხური ლიტერატურის მშენებლობისათვის. მან ძალიან ბევრი გააკეთა როგორც ადრინდელი. ისე თანამედროვე ფოლკლორის შეგროვებისა, პუბლიკაციისა და მეცნიერული შესწავლისათვის. მ. გორკი მუდამ მიუთითებდა საბჭოთა ლიტერატორებს ფოლკლორულ საუნჯეთა შესწავლის აუცილებლობაზე. ფოლკლორი, გორკის სამართლიანი მოსაზრებით, ჰეშმარიტად ხალხური ხელოვნების სერიოზული წყაროა. ამავე დროს ხალხური პოეზია საუნჯეა ენისა. ჯერ კიდევ 1908 წელს მ. გორკი ამის თაობაზე წერდა:

,,ხალხი გვაფრთოვანებს, გიყვარდეთ ი გი. ენდე შენს ხალხს, მძლავრი რუსული ენის შემქმნელს, ენდე მის შემოქმედებითს ძალას. დაეხმარე მას, რომ იგი ფეხზე წამოდგეს, მიდი მასთან და იარე მასთან ერთად''. ხალხის უფართოეს მასებთან სიახლოვე, ხალხის ლექსიკის შესწავლა და მისი გამოყენება რეალისტური ხელოვნებისათვის აუცილებელია.

ხალხური მეტყველების ენობრივი მონაცემების შესწავლას უფრო ადრე პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდა გენიალური რუსი პოეტი ა. ს. პუშკინი. იგი აღნიშნავდა, მაგალითად:

„...Некоторые стихотворческие вольности: после отрицательной частицы не — винительный, а не родительный падеж; времян вместо времен, как, например, у Батюшкова:

То древню Русь и нравы
Владимира времян...

приводили критика моего в великое недоумение. Но более всего раздражал его стих:

Людскую молвь и конский топ

„...Так ли из'ясняемся мы, учившиеся по старым грамматикам, можно ли так коверкать русский язык? Над этим стихом жестоко потом посмеялись и в „Вестнике Европы". Молвь (речь) слово коренное русское. Топ вместо топом и хлом вместо хлопание (следственно вовсе не противно духу русского языка)...

На ту беду и стих-то весь не мой, а взять целиком из русской сказки:

„И вышел он за ворота градские, и услышал конский топ и людскую молвь". Бова Королевич.

Изучение старинных песен, сказал и м. п. необходимо для совершенного знания свойств русского языка. Критики наши напрасно ими презирают".

კლასიკური რეალიზმის ბრწყინვალე წარმომადგენლები მხატვრული ენის სამკაულებს, ეროციულ და ხატოვან ლექსიკას ხალხურ შემოქმედებაში — ზღაპრებში, ანდაზებში, ეპოსში ეძებდნენ. ამ ბრივ საუკეთესოა პუშკინი, ლერმონტოვი, ტურგენევი, ლ. ტოლსტოი, კრილოვი, ზაგოსკინი, კოლცოვი და სხვები.

მივმართოთ ა. პუშკინს:

1824 წლის ნოემბერში გამოგზავნილ წერილში (სოფ. მიხაილოვსკოედან) ა. პუშკინი თავის ძმას ლევს წერდა:

„Знаешь ли мои занятия? до обеда пишу записки, обедаю поздно; после обеда езжу верхом, вечером слушаю сказки — и вознаграждаю тем недостатки проклятого своего воспитания. Что за прелесть эти сказки!.. Каждая есть поэма! ах! боже мой, чуть не забыл! вот тебе задача: историческое, сухое известие о Стеньке Разине, единственном поэтическом лице русской истории..." [1]

[1] Письма, т. I, под ред. Б. Модзалевского, М.-Л., 1926, стр. 97.

ხოლო ვ. ი. დალის მოგონებებში პუშკინის სიტყვები ასეა წარმოდგენილი:

„Сказка сказкой... а язык наш сам по себе, и ему-то нигде нельзя дать этого русского раздолья, как в сказке. А как это сделать? надо бы сделать чтобы выучиться говорит по-русски и не всказке. Да нет, трудно, нельзя еще. А что за роскошь, что за смысл, какой толк в каждой поговорке нашей! Что за золото! А не дается в руки, нет".

ხალხური შემოქმედების შესწავლის ტრადიცია შემდეგ პერიოდებში თანდათან მტკიცდებოდა, ძლიერდებოდა, ახალი გაგებითა და მიზნებით ივსებოდა. მ. გორკი სწორუპოვარი მოაზროვნეა ლიტერატურის ისტორიაში ამ თვალთახედვით.

რაც მეტად ღნიშვნელოვანია, მ. გორკიმ ხელოვნების საფუძვლად ადამიანის შრომა აღიარა. ადამიანის მხატვრული მოღვაწეობის ჩანასახი უშუალოდ ემთხვევა შრომითს მოღვაწეობას. ხელოვნების და კერძოდ სიტყვიერი შემოქმედების გენეზისის დასადგენად დიდი თეორიული ღირებულების მქონეა მ. გორკის წარმოებული ძიება. მ. გორკი წერს: „ხელოვნების ფუძემდებლები იყვნენ მეთუნუქები, მჭედლები, მქსოველი დედაკაცები და მამაკაცები, კალატოზები, ხუროები, ქვისა და ძვლის მეჩუქურთმენი, მესაჭურვლენი, მღებავნი, თერძები, მკერავი ქალები და საერთოდ ხელოსნები, ის ადამიანები, რომელთა ნაოსტატარი ნივთები, ახარებენ რა ჩვენს თვალს, ავსებენ მუზეუმებს" [1].

ამ მოსაზრებას არაერთგზის იმეორებს მ. გორკი. ასე, მაგალითად, 1928 წელს იგი წერდა:

„Человек по натуре своей — художник. Он всюду, так или иначе, стремится вносить в свою жизнь красоту. Он хочет перестать быть животным, которое только ест, пьет и довольно бессмысленно, полумеханически, производит детей. Он уже создал вокруг себя вторую природу, ту, которая зовется культурой. Человек-художник, в этом убеждает нас созданное „маленькими" людьми словесное и народное творчество: мифы, сказки, легенды, суеверия, песни, пословицы и т. д. Все это — творчество „маленьких" людей и во всем этом заложено неисчерпаемо много прекрасной, хотя в большинстве уже устаревшей мудрости, в этом сжат трудовой опыт бесчисленных поколений" [2].

[1] ციტირებულია მიხ. ჩიქოვანის წიგნიდან, ქართული ფოლკლორი, 1946, გვ. 389.

[2] М. Горький, О литературе, Москва, 1937, стр. 34.

ხალხის პოეტური შეხედულებანი მრავალფეროვანია. იგი დაჯილდოებულია გამომგონებლობის, შექმნის, შეთხზვის არაჩვეულებრივი უნარით. ხალხს აქვს უცდომელი პოეტური და მხატვრული გემოვნება. ხალხური შემოქმედება დიდი ფანტაზიისა და განზოგადების ძალას ინარჩუნებს. მ. გორკის შეხედულებით, მშრომელი ხალხის მხატვრული მოღვაწეობის მაგალითი გვიჩვენებს, რომ იგი დიდი მხატვარი და სურათოვანი, ემოციური ენის შემქმნელია.

მ. გორკი, არკვევს რა ხალხური შემოქმედების მიერ მოცემული მხატვრული სახეების მნიშვნელობას, მიდის იმ დასკვნამდე, რომ ისინი დაუშრეტელ წყაროდ იქცევიან ინდივიდუალური მწერლობისათვის, საერთოდ მხატვრული ლიტერატურისათვის. ზოგჯერ ეს მსჯელობა უკიდურეს ხასიათსაც ღებულობდა: ,,ხელოვნება ინდივიდუმის მფლობელობაშია, შემოქმედების უნარი მხოლოდ კოლექტივს აქვს. ზევსი ხალხმა შექმნა, ფიდიასმა კი იგი მარმარილოში განასახიერა მხოლოდ“ [1].

იმავე სტატიაში მ. გორკი, აზოგადებს რა თავისი დაკვირვების შედეგებს, ამბობს:

,,მილტონი და დანტე, მიქელანჯელო, გოეთე და შილერი მაღლდებოდნენ და უფროდაუფრო ზევით მიიწევდნენ მაშინ, როცა მათ ფრთებს ასხამდა კოლექტივის შემოქმედება, როცა ისინი აღმაფრენას სესხულობდნენ უზომოდ ღრმა, უაღრესად ნაირსახოვანი, ძლიერი და ბრძენი ხალხური პოეზიის წყაროდან... იქნებული ოტელო, უნებისყოფო ჰამლეტი და გარყვნილი დონჟუანი — ეს ტიპები შექსპირსა და ბაირონზე ადრე ხალხმა შეჰქმნა. ესპანელები კალდერონამდე მღეროდნენ ,,სიცოცხლე სიზმარიაო“, ხოლო ესპანელებზე ადრე ამასვე გაიძახოდნენ მაჰმადიანი მავრები. ხალხურ ზღაპრებში რაინდობა სერვანტესზე ადრე იყო გამასხრებული, ამასთან ისე მშვენიერად და ნაღვლიანად, როგორც სერვანტესმა გაამასხარა“ [2].

საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობაზე მ. გორკი თავის ბრწყინვალე მოხსენებაში ჩვენს ლიტერატორებს ასეთი სიტყვებით მიმართავდა:

,,Я снова обращаю ваше внимание, товарищи, на тот факт, что наиболее глубокие и яркие, художественно совершенные типы героев созданы фольклором, устным творчеством трудового народа. Совершен-

[1] М. Горький, Статьи 1905-1916 г. г., стр. 16.

[2] იქვე.

ство таких образов, как Геркулес, Прометей, Микула Селянинович, Святогор, далее — доктор Фауст, Василиса Премудрая, проничеекий удачник Иван-дурак, и наконец — Петрушка, побеждающий доктора, попа, полицейского, чорта и даже смерть, — все это образы, в создании которых гармонически сочетались рацио и интуицио, мысль и чувство. Такое сочетание возможно лишь при непосредственном участии создателя в творческой работе действительности, в борьбе за обновление жизни" [1].

მ. გორკი თავისი ცხოვრების ადრეულ პერიოდშიც დიდად იყო მოხიბლული ზეპირი პოეზიის უბადლო ქმნილებებით, რომლებშიც განსაკუთრებული მხატვრული განზოგადების ძალით არის გამოხატული ხალხის ცხოვრებრივი გამოცდილება. ,,მხოლოდ მთელი ხალხის ერთიანი აზროვნების პირობებშია შესაძლებელი ისეთი ფართო განზოგადებით გენიალური სიმბოლოს შექმნა, როგორიცაა პრომეთე, სატანა, ჰერაკლე, სვიატოგორი, ილია, მიკულა და ხალხის გამოცდილების მრავალი სხვა ბუმბერაზული განზოგადება. კოლექტიური შემოქმედების სიძლიერეს ყველაზე ნათლად ის ამტკიცებს, რომ უთვალავი საუკუნეების განმავლობაში ინდივიდუალურ შემოქმედებას ,,ილიადას" ან ,,კალევალას" მსგავსი არა შეუქმნია-რა, და ინდივიდუალურ გენიას არ მოუცია არც ერთი ისეთი განზოგადება, რომელსაც საფუძვლად არა ჰქონოდა ხალხური შემოქმედება, არ მოუცია არც ერთი ისეთი მსოფლიო ტიპი, რომელიც უფრო ადრე არ არსებულიყო ხალხურ ზღაპრებსა და ლეგენდებში". აძლევს რა ასეთ მხატვრულ ღირებულებას ხალხურ შემოქმედებაში აღბეჭდილ ,,ტიპებსა და ტიპებს, მ. გორკი საკმაოდ შორს იჭრება, მაგრამ იქვე დასძენს: ,,მე არამც და არამც არ ვამცირებ ამ პოეტების მსოფლიო დიდებას და არც მსურს შევამცირო. მე ვამტკიცებ მხოლოდ, რომ ინდივიდუალური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები გვაძლევენ საუცხოო განსაზღვრულ ღირებულებებს. მაგრამ ეს ღირებულებები უფრო ადრე შეჰქმნეს ხალხის მასების კოლექტიურმა ძალებმა". სწორედ ამიტომ მიმართავდა გორკი საბჭოთა მწერლებს: ,,სიტყვიერი ხელოვნების დასაწყისი — ფოლკლორშია. შეკრიბეთ თქვენი ფოლკლორი, ისწავლეთ მასზე და გადაამუშავეთ იგი".

მ. გორკი, როგორც ცნობილია, იბრძოდა იმისათვის, რომ ლი-

[1] М. Горький, О литературе, 1937, М. стр. 450.

ტერატურა ყოფილიყო გასაგები მასებისათვის, ხელმისაწვდომი მკითხველთა უფართოესი ფენებისათვის. ეს თვისება კი უწინარესად ხალხურ შემოქმედებას ახასიათებს, რამდენადაც იგია ბრძნული უბრალოება, ნათელი, პირდაპირიც. „А писать нужно просто, как будто по душе с милейшим другом, с лучшим человеком, от которого ничего не хочется скрыть, который все поймет, все оценит с полуслова. В простоте слова — самая великая мудрость, пословицы и песни всегда кратки, а ума и чувства вложено в них на целые книги“ [1].

მ. გორკიმ, საინტერესო დაკვირვების შედეგად, მეტად ღრმა აზრი გამოსთქვა ხალხური ზღაპრების შინაარსისა და მისი ბუნების ირგვლივ. მ. გორკი ასე მსჯელობს: მსოფლიოში არაფერია ისეთი, რომელიც დამრიგებლად არ გამოგვადგეს. ასევე ზღაპრებიც, რომლებშიც ძალიან ბევრია დიდაქტიკური, დამრიგებლური. ზღაპრებში უპირველეს ყოვლისა მთავარია გამომგონებლობა — ჩვენი აზრის ბრწყინვალე უნარი ფაქტების წინ გავიხედოთ. მეზღაპრეთა ფანტაზიამ თვითმფრინავის გამოგონებამდე ათასი საუკუნეებით ადრე იცოდა მფრინავი ნოხის შესახებ. ფანტაზიამ, „გამოგონებამ“ შეჰქმნა და აღზარდა ადამიანის ერთ-ერთი საოცარი თვისება — ინტუიცია. მხატვრულ ლიტერატურაში ფანტაზია, გამოგონება, ინტუიცია აგრეთვე გადამწყვეტ როლს თამაშობენ. ცოტაა დაკვირვება, შესწავლა, ცოდნა, აუცილებელია ავრეთვე „გამოგონება“, შექმნა. შემოქმედება — ესაა აურაცხელი წვრილმანების გაერთიანება ერთ ყველაზე უფრო სრულყოფილ ფორმის მთლიანობაში. ასე იქმნებოდნენ მსოფლიო ლიტერატურის ყველა უდიდესი ტიპები — რობინზონ კრუზო, დონ-კიხოტი, ჰამლეტი, ვერტერი, კარამაზოვები, ობლომოვები და ა. შ. „Среди великолепных памятников устного народного творчества „Сказки Шехразады“ являются памятником самым монументальным. Эти сказки с изумительным совершенством выражают стремление трудового народа отдаться „чарованью сладких вымыслов“, свободной игре словом, выражают буйную силу цветистой фантазии народов Востока — арабов, персов, индусов. Это словесное тканье родилось в глубокой древности; разноцветные шелковые нити его простерлись по всей земле, покрыв ее словесным ковром изумительной красоты“ [2].

---

[1] М. Горький, Материалы и исследования, Лен., 1934, стр. 114.

[2] Книга тысячи и одной ночи, т. I. „*Academia*“, 1929, предисловие.

მ. გორკი ამავე სტატიაში აღნიშნავს, რომ დამწერლობითს ლიტერატურაზე ყოველთვის დიდი იყო ხალხური შემოქმედების გავლენა ზღაპრებითა და ზღაპრების თემით ძველთაგან სარგებლობდა ყველა ქვეყნისა და ყველა დროის დამწერლობითი ლიტერატურა. აპულეის რომანი ,,ოქროს სახედარი'' ნასესხებია ზღაპრიდან. ზღაპრის სიუჟეტებით სარგებლობდა ჰეროდოტე. იტალია, დაწყებული XIV საუკუნიდან, ეწაფებოდა ზღაპრებს. ასე იყო ბოკაჩიოს ,,დეკამერონთანაც''. ზღაპრის გავლენა საესებით ნათელია ,,პენტამერონზე'', ,,გეპტამერონზე'', ჩოუსერის ,,კენტებერიის მოთხრობებზე'', ზღაპრებით სარგებლობდა გოეთე, ჟანლისი, ბალზაკი, ჟორჟ ზანდი, დოდე, კოპერი, ლაბულე, ანატოლ ფრანსი, კარმენ სილვა, ანდერსენი, ტოპელიუსი, დიკენსი. ჩვენთან ზღაპრებით სარგებლობდნენ უდიდესი მწერლები — მათ რიცხვში: ხემნიცერი, ჟუკოვსკი, პუშკინი, ლევ ტოლსტოი. შემდეგ მ. გორკის მოჰყავს მაგალითი საკუთარი გამოცდილებიდან. მე ვუსმენდი ბებიას და სოფლელი მეზღაპრეების წარმტაც ზღაპრებს. თორმეტი წლისამ წავიკითხე XVIII საუკუნის გამოცემა ,,ახალი არაბული ზღაპრები''.

,,Я убежден, — წერს მ. გორკი, — что знакомство со сказками и вообще с неисчерпаемыми сокровищами устного народного творчества крайне полезно для молодых начинающих писателей... Разумеется, сказки не могут дать человеку того, что органически чуждо ему. Думаю, что учитель арифметики может быть только очень плохим поэтом. Но сказки помогли бы сильно развить фантазию писателя, заставит его оценить значение выдумки для искусства, а главное — обогатить его скудный язык, его бедный лексикон, который он часто безуспешно и почти всегда уродливо пытается обогащать ,,провинциализмами'', ,,местными речениями'' или придуманными ,,на скорую руку'' мертворожденными словечками''.

ზღაპრების საფუძველში მ. გორკიმ რეალური ამბები, ადამიანის პრაქტიკული მოთხოვნილების დაკმაყოფილება დაინახა. და მაინც რატომ თხზავდა ხალხი ზღაპარს? ამის შესახებ მ. გორკი ასეთ განმარტებას იძლევა: ,,Нет фантазии, в основе которой не лежала бы реальность. Сущее и желаемое: зверь сильнее человека — человеку нужно быть сильнее зверя. Крупные звери не могут поймать птицу в воздухе, отсюда — желание летать, быстро передвигаться по земле — ,,сапоги-скороходы'', ,,ковер-самолет'' и т. д. фантазия перво-

бытного человека, как выражение желаемого им, представление о возможном для него. Скелеты птерозавров и летающий ящер — „дракон воланс“ — как прототип дракона, Змея Горыныча. Сказка как прототип гипотезы“.

მ. გორკის დაკვირვების ობიექტს ანდაზებიც წარმოადგენდა. თავის საინტერესო წერილში „როგორ ვისწავლე წერა“ მ. გორკი ამ ჟანრს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. მხატვარი თავისი ეპოქის ხმაა. იგი ვალდებულია კარგად იცნობდეს წარსულს, რომ უკეთ გაიგოს თანამედროვეობა. მ. გორკი მოითხოვს, რომ ახალგაზრდობამ ყოველმხრივ, სავსებით საფუძვლიანად შეისწავლოს ხალხის ისტორია, მისი სოციალ-პოლიტიკური აზროვნება. მეცნიერები — კულტურის ისტორიკოსები, ეთნოგრაფები — მიუთითებენ, რომ ხალხის აზროვნება გამოთქმულია ზღაპრებში, ლეგენდებში, ფრთოსან ფრაზებში, ანდაზებში. ანდაზები ჩვენ გვაჩვევენ სიტყვის ეკონომიას, სიტყვათა შემჭიდროებას, ამავე დროს ისინი აყალიბებენ მშრომელი ხალხის სოციალ-ისტორიულ გამოცდილებას. მე, — ამბობს მ. გორკი, — ბევრი ვისწავლე ანდაზებზე, აფორიზმებზეო.

„Помню такой случай: мой приятель, балагур Яков Солдатов, дворник, метет улицу. Метла новенькая и не омызгана. Посмотрел Яков на меня, подмигнул веселым глазом и сказал:

„Хороша метла, а сорье-не вместя до тла, я его подмету, а соседи поднесут“.

...Так можно развернуть поговорку, а вот пример того, как она создается: в Нижнем Новгороде начались заболевания холерой, и какой-то мещанин стал рассказывать, что доктора морят больных. Губернатор Баранов приказал арестовсть его и отправить на работу санитаром в холерный барак. Но проработав некоторое время, мещанин, будто-бы, благодарил губернатора за урок, а Баранов сказал ему:

„Окунувшись башкой в правду — врать не станешь!“

Баранов был человек грубый, но не глупый, я думаю, что он мог сказать такие слова. А, впрочем, все равно, кто сказал их.

Вот на таких живых мыслях я учился думать и писать. Эти мысли дворников, адвокатов, „бывших“ и всяких других людей, я находил в книгах одетыми в другие слова, таким образом факты жизни и литературы взаимно дополняли друг друга“.

უმთავრეს შემთხვევაში ანდაზები ფრთოსან ფრაზებსა და აფორიზმებს უახლოვდება. მისთვის სტილისტურად ყველაზე უფრო

დამახასიათებელია კატეგორიულ ფორმაში რაიმე ბრძნული შეგონების, აზრის, სენტენციის გადმოცემა. ხალხურ შემოქმედებაში ფრთოსანი ფრაზები. მ. გორკიმ, რომელიც ასე ბრწყინვალედ იცნობდა ზეპირსიტყვიერებას, ფართოდ გაუღო კარები ხალხური საუნჯეებიდან მოინაქროლ ამგვარ ფრაზებს; ამანთან იგი ჰქმნიდა ანალოგიურ ბრძნულ სენტენციებს.

დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

„თუ მტერი არ ნებდება, მას სპობენ“.

„დაბადებულს ხოხვისთვის — ფრენა არ შეუძლია“.

„გარედან რაც არ უნდა შეილამაზო თავი, სულ ერთია, გადაირეცხება“.

„თუ არ შეგიძლია სიძულვილი, მაშინ არც გულწრფელი სიყვარული შეგიძლია“.

„დე, უფრო მედგრად დაჰბეროს ქარიშხალმა“.

„მამაც გაქანებას ვუმღერით ჩვენ დიდებას“.

„მამაცთა გაქანება — აი, ცხოვრების სიბრძნე“.

„ადამიანი — ამაყად გაისმის“.

„ახალი კულტურა იწყება მშრომელი ადამიანისადმი პატივისცემით, შრომისადმი პატივისცემით“.

„როცა შრომა კმაყოფილებაა ცხოვრება კარგია, როცა შრომა ძულებაა, ცხოვრება მონობაა“.

„შრომა და მეცნიერება — ამ ორი ძალის ზევით მიწაზე არაფერი არ არის“.

„ცხოვრების აზრი — რევოლუციის სამსახურშია“.

„ცხოვრების ძირითადი ძალა გონებაა“.

„ჩვენი სამყარო შექმნილია არა სიტყვით, არამედ საქმით, შრომით“.

„ყოველივე ჭეშმარიტად ბრძნული მარტივი და გასაგებია“.

„კაპიკი მზეა მეშჩანობის ცაზე“.

„ხელოვნება ცხოვრობს გამოგონებით, მეცნიერება ანაღდებს მას“.

„მხატვრობა „სახეების“ გარეშე შეუძლებელია“.

„ადამიანი თავისი ბუნებით მხატვარია“.

ფოლკლორისტიკის ისტორიაში ცნობილია ის ფაქტი, რომ XIX საუკუნის ბოლო წლებში საკმაოდ ფართოდ გავრცელდა ანტიხალხური, რეაქციული შეხედულებანი. ვ. მილერი, კელტუიალა და სხვები „ამტკიცებდნენ“, რომ ფოლკლორი მბრძანებელი, გაბატო-

ნებული კლასების მიერაა შექმნილი, ხოლო, როცა იგი ხალხის ფენებში გადადის მახინჯდება. ამავე აზრისა იყო დ. ოვსიანიკო-კულიკოვსკიც.

1912 წელს მ. გორკი ე. ლიაცკის წერდა: ,,კელტუიალებს ახლა მთელი ხალხური შემოქმედება არისტოკრატიიდან, მბრძანებელი კლასებიდან გამოჰყავთ. ძალიან გამაკვირვა კელტუიალას წიგნის მეორე ნაწილის წინასიტყვაობამ და ამავე საკითხზე დ. ნ. ოვსიანიკო-კულიკოვსკის ზოგიერთმა მოსაზრებამ, რომელიც აგრეთვე უარჰყოფს ხალხის შემოქმედებას''.

მ. გორკის სპეციალური წერილები არ დაუწერია რუსი მწერლებისა და ფოლკლორის ურთიერთობის საკითხებზე. მას თავის პუბლიცისტურ ნაშრომებში აქვს გამოთქმული ცალკე მოსაზრებანი, რომლებსაც ფოლკლორისტიკაში უდავოდ სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება. ასე, მაგალითად, მ. გორკი პუშკინის შესახებ ამბობს: პუშკინი პირველი რუსი მწერალი იყო, რომელმაც ყურადღება მიაქცია ხალხურ ტიპებს და ისინი ლიტერატურაში შემოიყვანა. მას ხალხური შემოქმედება კი არ დაუმახინჯებია, არამედ მან ხალხური სიმღერა და ზღაპარი მორთო თავისი ნიჭის ბრწყინვალებით, დასტოვა რა უცვლელად მათი აზრი და ძალა. მაგალითისათვის მ. გორკი ასახელებს ა. პუშკინის ზღაპრებს.

მ. გორკი მიუთითებს იმაზე, რომ ა. პუშკინმა სერბული ენიდან გადათარგმნა ყარაჯიჩის კრებულიდან რამდენიმე ლეგენდა, ხოლო, როცა ფრანგი მწერლის პროსპერ მერიმეს მიერ შედგენილი ,,დასავლეთ სლავთა სიმღერები'' გამოვიდა, — პუშკინმა ისინი რუსულად სთარგმნაო. პუშკინმა თავისი მოგზაურობის დროს ორმოცდაათზე მეტი ზღაპარი და სიმღერა ჩაიწერა და ისინი კირეევსკის გადასცა მისი შესანიშნავი კრებულისათვის. მან სიმღერების მთელი ციკლი შეკრიბა სტეფანე რაზინის შესახებ, რომელსაც ,,რუსეთის ერთადერთ პოეტურ სახეს'' უწოდებდა. ,,Он собирал песни и в Одессе, и в Кишиневе, и в Псковской губ., для чего переодевался в платье мещанина и, изучая народную жизнь, народную речь, ругает своего воспитание „поганым, проклятым". Он учится русскому языку у Крылова, еще больше у своей няньки, всегда у ямщиков, торговок, в трактирах, на постоялых дворах, у солдат'', ხოლო ლერმონტოვის შესახებ დიდი მწერალი წერდა: „Песнь о купце Калашникове", — дает нам право думать что Лермонтов — живи он дольше, нашел бы свой путь, что он достойный преемник Пушкина, обладавший огромным

талантом, мог бы, современем, развиться в первокласного народного поэта" [1].

მ. გორკის ნაწარმოებები აკვირვებს ადამიანს ჟანრებისა და მხატვრული ფორმების არაჩვეულებრივი სიმდიდრით, იგი წერდა დიდი ენერგიით, არაჩვეულებრივი სიყვარულით. ყოველ ჟანრში მისაბაძი და ლიტერატორთა გულისხმიერი მეგობარი, მასწავლებელი და წინამძღოლია. მ. გორკი წერდა ლექსებს, ნარკვევებს, ნოველებს, პამფლეტებს, მემუარებს, რომანებს, დრამებს, კრიტიკულ, პუბლიცისტურ და თეორიულ სტატიებს. მის ნაწარმოებებში გადაულახველი ძალითაა აღბეჭდილი ბუნების სურათები, მასობრივი სოციალური მოძრაობანი, პოლიტიკური ამბები, ისეთი ადამიანების გრანდიოზული პორტრეტები, როგორიცაა დიდი ლენინი, ტოლსტოი, ჩეხოვი, მძლავრად განზოგადოებული ლიტერატურული სახეები. მ. გორკი განუმარტავდა მთელი მსოფლიოს მკითხველებს სოციალისტური სამშობლოს, მშრომელი ხალხის სიდიადესა და ძლევამოსილებას. მ. გორკი წერდა: „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების პროლეტარიატი, რომელსაც ხელმძღვანელობს ლენინის მოძღვრება და პარტია და იოსებ სტალინის სულ ზრდადი ენერგია, ჰქმნის ახალ კულტურასა და მშრომელი კაცობრიობის ახალ ისტორიას".

მ. გორკის შემოქმედება ჭეშმარიტად ხალხურია, ხალხის ფიქრთა და საუკეთესო აზრთა გამომთქმელი. იგი ხალხურია არა მარტო ცოცხალი სიტყვის მიხედვით, ნაწარმოებებში ოსტატურად ჩართული ხალხურ-პოეტური ტექსტების მიხედვით, ტიპებითა და სოციალური ცხოვრების სურათებით, არამედ გორკი ხალხურია ორგანული დემოკრატიზმით, მშრომელი მასების წინაშე მდგომი ამოცანების ღრმა გაგებით. სწორედ ამიტომ ,,გორკის სიდიადე ისაა, რომ მისმა ნათელმა გონებამ, ხალხთან სიახლოვემ და თავდადებულმა გიგანტურმა შრომამ კაცობრიობის კულტურის მიღწევათა ასათვისებლად იგი გახადეს მშრომელთა თავდადებული მეგობარი და კომუნიზმის საქმისათვის ბრძოლის დიდი შთამაგონებელი'' (ვ. მოლოტოვი).

დიდი მწერლის შემოქმედებითი მეთოდის ძირითადი პრინციპი

[1] დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. Ю. М. Соколов, Русский фольклор, М. 1938; გ. სამხარაძე, ლერმონტოვი და რუსული პოეტური ფოლკლორი, ა. წულუკიძის სახელობის პედინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1946, გვ. 173-204.

არის ნაღდი რეალისტური სიმართლე, რომელიც ორგანულადაა დაკავშირებული მხატვრულ უბრალოებასთან. თვითონ მ. გორკი ამბობდა ამის შესახებ: ,,სიმართლე და უბრალოება — მკვიდრი დებია, ხოლო სილამაზე — მესამე დაა''. თავის რევოლუციურ და სოციალისტურ მსოფლმხედველობასთან შეთანხმებით დიდი მწერალი და მოაზროვნე მ. გორკი სთვლიდა, რომ ტრადიციული რეალიზმი მისაღებია ,,მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია ჩვენთვის ყველაფერი იმის უფრო ღრმად და ნათლად გაგებისათვის, რაც უნდა აღმოვფხვრათ და რაც უნდა შევქმნათ. გმირული საქმე გმირულ სიტყვას მოითხოვს''.

მ. გორკი უკვდავია. მისი მგზნებარე სიტყვა ჩვენთან ერთად იბრძოდა დიდ სამამულო ომში. მამაცი არმიის გამარჯვებებსა და საბჭოთა ხალხის თავგანწირულ ბრძოლაში მთელი მსოფლიოს პროგრესიულმა და დემოკრატიულმა ადამიანებმა ძლიერების, გონების, ნიჭისა და მორალური სილამაზის ის თვისებები დაინახეს, რომელთაც მ. გორკი დაუცხრომლად ზრდიდა ჩვენი სამშობლოს დევგმირ ადამიანებში.

ომის დამთავრების შემდეგ მ. გორკი ჩვენთანაა და თავისი გენიალური ქმნილებებით აქტიურად მონაწილეობს სახალხო მეურნეობისა და კულტურის მშენებლობაში, მოგვიწოდებს და აღგვაფრთოვანებს კომუნიზმის ძლევამოსილი აღმშენებლობის საქმეში.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1948.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VIII, 1948.

შალვა აბრამიძე

ჰენრიხ მოლენჰეკის აჯანყება მიუნსტერში*

I

XVI საუკუნის დასაწყისში გერმანიაში გლეხთა დიდი ომის დამარცხების შემდეგ მდაბიო ფენების რევოლუციური მოძრაობა არ დამცხრალა. „გერმანიაში XVI ს. დასაწყისში პლებეური მასების გამოსვლის ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ეს მასები ობიექტურად ფეოდალური წყობილების, ფეოდალური საკუთრების წინააღმდეგ იბრძოდნენ“ [1]. ჩრდილო-დასავლეთ გერმანიის ქალაქ მიუნსტერში, რომელიც სასულიერო სამთავროს წარმოადგენდა და მდებარეობდა ვესტფალიაში მდინარე ააზე, ემსის შენაკადზე, 1534 წლის თებერვალში ხელისუფლების სათავეში მოექცენ ანაბაპტისტები (ხელმეორედ მონათლულნი ანუ გადანათლულნი). მათმა მმართველობამ გასტანა 1535 წლის ივლისამდე.

ანაბაპტისტები (გადანათლულნი) რეფორმაციის პლებეურ-რევოლუციურ მიმდინარეობას ეკუთვნიან. მათ სურდათ მიუნსტერში ღვთის სუფევის დამკვიდრება, რომლის გაგებაში ისინი ახლო იყვნენ პლებეურ რევოლუციონერთან თომას მიუნცერთან. „ღვთის სუფევა კი მიუნცერს ესმოდა როგორც ისეთი საზოგადოებრივი მდგომარეობა, სადაც არც კლასობრივი განსხვავება არსებობდა, არც კერძო საკუთრება და საზოგადოებრივი წევრებისაგან დამოუკიდებელი და მათთვის უცხო სახელმწიფოებრივი ხელისუფლება“ [2].

ანაბაპტისტები მიუნსტერში მთელ რიგ გამათანასწორებელ ღონისძიებებს ატარებენ. მათი ხელმძღვანელი იან (იოჰან) მატიასი

---

* წაკითხული იყო მოხსენებად პედინსტიტუტის IX სამეცნიერო სესიაზე 1946 წლის 17 მაისს.

[1] П. П. Щеголев, Очерки Истории Западной Европы XVI-XVII вв. 1938, გვ. 133.

[2] ფრიდრიხ ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, 1932, გვ. 64.

ქადაგებდა გაქცეულ მოქალაქეთა ქონების ქრისტიანთა შორის განაწილებას. აგრეთვე, მათ დაუწვიათ და დაუხევიათ ვალის ხელწერილები, ქვითრები და საანგარიშო წიგნები. გარდა საოჯახო ნივთების, იარაღების, სურსათის და სხვა დოვლათისა სპეციალურად დანიშნულ პირებს შეუკრებიათ ოქრო-ვერცხლი, ფული, ბეჭდები, სამკაული და წარუდგენიათ სამმართველოში [1].

აღნიშნული ღონისძიება ჩატარდა დოვლათის, ქონების განსაზოგადოების მიზნით.

ანაბაპტისტები (გადანათლულნი) პლებეურ მასების მისწრაფებათა გამომხატველნი იყვნენ.

„პლებეები იმ დროს ერთადერთ კლასს წარმოადგენდნენ, რომელიც სავსებით ოფიციალური საზოგადოების გარეშე იდგა. იგი არ ეკუთვნოდა არც ფეოდალურ და არც მოქალაქეთა წრეს. მას არც პრივილეგიები ჰქონდა, არც საკუთრება; მას ისიც არ ჰქონდა, რაც გლეხებსა და წვრილ მოქალაქეებს, სახელდობრ ეუტანელ გადასახადებით დატვირთული საკუთრება. იგი სრულიად უქონელი და უუფლებო იყო; მისი ცხოვრების პირობები ისეთი იყო, რომ იგი უშუალოდ არ ხვდებოდა არსებულ დაწესებულებათ, რომელნიც თავიანთ მხრით მას სრულიად უგულებელჰყოფდნენ, იგი წარმოადგენდა ფეოდალური და ამჟრული მოქალაქური საზოგადოების დაშლის ცოცხალ სიმპტომს, ამასთანავე თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების პირველ წინამორბედს“ [2].

ანაბაპტისტები ქონებრივ უთანასწორობას მკვეთრად ებრძოდნენ. ფრ. ენგელსი აღნიშნავს, რომ „ეს სექტები რევოლუციურ ტრადიციას განაგრძობდნენ ჩაგვრის ხანაშიო“ [3].

იან მატიასი ქადაგებდა, რომ „გაქცეულ მოქალაქეთა მთელი ქონება საერთო ყოფილიყო ქრისტიანთა შორის არა თითოეულის სურვილისამებრ, არამედ მოთხოვნილების მიხედვითო“ [4].

ასეთივე ღონისძიება ჩატარდა ფულის მიმართ. ხელმძღვანელთა საერთო სურვილი იყო მთელი ქონების განსაზოგადოება. „ფულიც აღიარებულ იქმნა საერთო დოვლათად. გაიცა განკარგულება, რომ ოქრო, ვერცხლი და ქალების სამკაული მოტანილი ყოფილიყო

---

[1] ჰერმან კერსენბროხი, *Anabaptistice furoris historica narratio*, 1899-1900, გერმ. გამოცემა, გვ. 566.

[2] ფრიდრიხ ენგელსი, დასახ. შრომა, გვ. 49, 50.

[3] იქვე, გვ. 49.

[4] კერსენბროხი, იქვე, გვ. 556.

სამმართველოში. თითოეულს არ ჰქონდეს იმაზე მეტი, რაც მეორესო“ [1].

ოქრო-ვერცხლის შეკრების დროს გამოირკვა, რომ არსებობდა მოწინააღმდეგეთა ჯგუფი. მოქალაქეთა ნაწილმა იძულებითმა ქრისტიანებმა, უღმერთოებმა გაბედეს უარი ეთქვათ, პასიური წინააღმდეგობა გაეწიათ, ფული გადაემალათ, ამგვარი პასიური წინააღმდეგობის გარდა აღსანიშნავია ოპოზიციის სხვაგვარი გამოვლინება და აჯანყება ანაბაპტისტების მმართველობის წინააღმდეგ.

მჭედელმა ჰუბერტ კუშერმა („der Schmied Hubert Kuscher“) გაილაშქრა წინასწარმეტყველის წინააღმდეგ. იგი, როგორც მკვიდრი უკმაყოფილო იყო მოსულთა გაძლიერებული გავლენით და თითქოს მძლავრობით. ეს უკმაყოფილება და დაპირისპირება სოციალურ-კლასობრივი სხვაობის გამომხატველი იყო. ადგილობრივთა, მკვიდრთა ნაწილი შეძლებულ ხელოსანთა ჯგუფს ეკუთვნის, დაკავშირებულია თავის ქალაქთან და ერთგვარ წვრილ-ბურჟუაზიულ მესაკუთრულ მისწრაფებათა მატარებელია. მოსულნი კი ჰოლანდიელები, ფრიზები, მეზობელ პროვინციათა და ნაწილობრივ ადგილობრივი მკვიდრნი, — ანაბაპტისტთა ხელმძღვანელი ჯგუფი და მათი დასაყრდენი ბირთვი — ჰიშმარიტი ქრისტიანები, ენთუზიასტები, ნაწილობრივ წვრილბურჟუაზიულ ფენებიდან გამოსულნი, ქარგლები, ქალაქის მდაბიონი და საერთოდ წინაპროლეტარიატი წარმოადგენდნენ რევოლუციურად განწყობილ კომუნისტური იდეების მატარებელსა და აქტიურ მებრძოლებს და ახალი იერუსალიმისათვის ე. ი. ღვთის სუფევისათვის მებრძოლებად გვევლინებიან.

კერსენბროხის მოწმობით თითქოს მკვიდრნი იან მატიასს უცხოელად აღიარებენ („ein fremder Ankömmlig und Unbekannter“). მათ აუტანელად მიაჩნიათ ის გარემოება, რომ მან (მატიასმა) ისეთი ავტორიტეტი მოიპოვა, რომ საერო და სასულიერო საქმეებს თავის სურვილის მიხედვით სწყვეტდაო [2].

მჭედელი ჰუბერტ კუშერი (Küscher), რომელიც ოპოზიციის მისწრაფებათა გამომხატველი იყო, მას მატყუარად, ცრუწინასწარმეტყველად თელიდა და აშკარად აღიარებდა: „ვისაც სურს, მან ჩასთვალოს იგი წინასწარმეტყველად, მე კი ისეთი აზრის ვარ, რომ იგი ცრუ (მოჩვენებითი) წინასწარმეტყველი არისო“ [3].

[1] ჰ ე ნ რ ი ხ გ რ ე ს ბ ე კ ი, *Bericht von der Wiedertaufe in Münster*, გვ. 32.

[2] კ ე რ ს ე ნ ბ რ ო ხ ი, იქვე, გვ. 559.

[3] იქვე, გვ. 559.

როდესაც წინასწარმეტყველმა (ი. მატიასმა) ეს ამბავი გაიგო, იგი შეეცადა აეხსნა ბოროტი სულის ჩაგონებით, რომელმაც მისი (კუშერის) სისულელე და უღმერთობა გამოიწვია. იგი (კუშერი) უღმერთოდ და საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დამრღვევად გამოაცხადა. ამიტომ მისი სიკვდილით დასჯა სცნო აუცილებლად.

მიუნსტერში ანაბაპტისტთა მმართველობის მიმართ ოპოზიციის პირველი გამომხატველი მჭედელი ჰუბერტ კუშერი სიკვდილით დაისაჯა. განაჩენი თვით იან მატიასმა შეასრულა, მან ჯერ განგმირა იგი საკუთარი ალებარდით და, რადგან იგი უცბად არ მომკვდარა, ამიტომ გამოართვა გვერდით მდგომს თოფი და ესროლა იგი მას“ [1].

ჰუბერტ კუშერი, უღვთო და დაღუპული ადამიანი („dieser gottlose une verbrecherische Menschen“) არ იყო ღირსი, მატიასის აზრით, პატიებისა. მისი ორი მოსარჩლე ტილბეკი (Tilbeck) და რედეკერი (Redeker) შეიწყალეს და კიდეც გაათავისუფლეს. „მათ არ სურდათ, რომ მათი თანამოქალაქე ერთის სურვილის მიხედვით ყოფილიყო მოკლულნი. რადგან დაუშვებელი იყო, რომ იგი (მატიასი) ერთდროულად მოსამართლედ და ბრალდებულად გამოსულიყო“ [2]. ისინი ილაშქრებდნენ იან მატიასის მტკიცე ერთპიროვნული მმართველობის წინააღმდეგ.

II

ოპოზიციის საქმიანობა უფრო მკვეთრად გამოიხატა შემდეგში. მიუნსტერში ანაბაპტისტთა (გადანათლულთა) მმართველობის წინააღმდეგ 1534 წლის 30 ივლისს ღამით მოხდა აჯანყება მჭედელ ჰენრიხ მოლენჰეკის („der Schmied Heinrich Mollenheck“) ხელმძღვანელობით. ჰერმან კერსენბროხის ცნობით აჯანყება მოხდა მრავალცოლიანობის შესახებ პირველი ქადაგების რვა დღის შემდეგ. აღნიშნულ საკითხზე პირველად 23 ივლისს იქადაგეს. ჩანს იგი (კერსენბროხი) მრავალცოლიანობის შესახებ თვით პირველი ქადაგების ამ დღესაც ათვლის. მან (ჰენრიხ მოლენჰეკმა) 30 ივლისს ღამით შეკრიბა დაახლოებით ორასამდე ქალაქის მკვიდრი. მათ სურდათ ქალაქის „ძველი კონსტიტუციის აღდგენა, ან მტრისათ-

[1] კერსენბროხი, იქვე, გვ. 559.

[2] იქვე, გვ. 559.

ვის ალაყაფის კარების გაღება ან სიკვდილი“ [1]. ამის მიზეზად კერსენბროხი მრავალცოლიანობის შემოღებას სთვლის, მაგრამ მეამბოხეთა თვით მიზანდასახულება „ძველი კონსტიტუციის აღდგენა“ ნათელყოფს, რომ მათ სურდათ ანაბაპტისტთა (გადანათლულთა) მმართველობის დამხობა და ძველი წყობილების აღდგენა. მჭედელ ჰენრიხ მოლენჰეკის აჯანყება რეაქციული იყო და იგი მიმართული იყო რადიკალურ-პლებეურ ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ აჯანყების მონაწილენი ქალაქის მკვიდრთა წრეს ეკუთვნოდნენ. მათ მიემხრენ ის მოქალაქენი, რომელნიც ოქრო-ვერცხლის სამმართველოში ჩაბარების დროს პასიურ წინააღმდეგობას გამოხატავდნენ, ჯიუტობდნენ და თანაუგრძნობდნენ მჭედელ ჰუბერტ კუშერის ოპოზიციას. მათ სურდათ ეპისკოპოსისათვის (მთავრისათვის) გარემოცული ქალაქის ჩაბარება: „მტრისათვის ალაყაფის კარების გაღება ან სიკვდილი“. აჯანყებულებმა მოახერხეს მრავალცოლიანობის მქადაგებელთა ანაბაპტისტების ხელმძღვანელების (წინასწარმეტყველთა) — ბოკელზონის, კნიპერდოლინგის, როტმანის, ჰენრიხ შლიხტშაფის, კლოპრისისა და დიონისი ფინის — დაპატიმრება და სატუსაღოში მოთავსება. ისინი თათბირობდნენ კიდეც, თუ „როგორ სთხოვდნენ შეწყალებას მთავარს, მოიწვევდნენ ძველ სამჭოსა და განდევნილ მოქალაქეთ, მოიცილებდნენ მონობას და მუდმივ შიშსო“ [2].

მეამბოხეთ სურდათ ძველი წყობილების რესტავრაცია ქალაქის (მიუნსტერის) ტერიტორიაზე.

ჰენრიხ მოლენჰეკმა ბაზარზე მოიწვია მკვიდრნი და ღვთის სიტყვის დამცველნი, რათა მომხრენი ეპოვნა და გაემრავლებინა.

შეიკრიბა შეიარაღებულთა დიდი რაოდენობა. ჰენრიხ რედეკერმა (Heinrich Redeker) პირველმა შეამჩნია ხელმძღვანელთა (წინასწარმეტყველთა) დაპატიმრება, თუმცა იგი მკვიდრი ე. ი. მიუნსტერის მოქალაქე იყო. კერსენბროხმა აღიარა, რომ მკვიდრნი აჯანყებულთა რიგებში იდგნენო, რაც ეჭვს იწვევს. მაგრამ მან (კერსენბროხმა) არათანმიმდევრობა გამოიჩინა, რითაც

[1] „*Nach acht Tagen aber, nämlich am 30 Iuli, versammelte der Schmied Mollenhecke bei Nacht ungefähr zweihundert Einheimische, die lieber die alte Stadtverfassung wiederherstellen oder den Feinden die Tore öffnen oder den Tod suchen, als die Vielweiberei zulassen wollten*“, კერსენბროხი, იქვე, გვ. 621.

[2] კერსენბროხი, იქვე, გვ. 621.

ნათელჰყო, რომ ასეთი დაპირისპირება პირობითი და ტენდენციურია.

ჰერმან კერსენბროხის ცნობათა კრიტიკული შესწავლით დასტურდება, რომ მკვიდრთა უმნიშვნელო ნაწილი, შემდგარი ადგილობრივი შეძლებული წვრილი ბურჟუაზიისაგან, მალე გადაიხარა რესტავრაციის იდეისაკენ. მათ უკან დახევა, მიუნსტერიდან განდევნილ მთავართან (ეპისკოპოსთან) შერიგება, ღალატი ამჯობინეს. მკვიდრთა დიდი ნაწილი ქალაქის პლებეური მასა ჰოლანდიელებთან, ფრიზებთან ერთად ჭეშმარიტ ანაბაპტისტებად (გადანათლულებად), ან, როგორც თვით მქადაგებლებმა დააჯჯუფეს, ჭეშმარიტ ქრისტიანებად, უფრო სწორედ, ანაბაპტისტთა რადიკალურ-პლებეურ რევოლუციური პროგრამის ერთგული დარჩა.

აჯანყებულებმა დაინახეს, რომ მოქალაქენი ორ პარტიად გაიყვნენ[1]. კერსენბროხის ცნობით, თითქოს მოქალაქეებს დაუპირისპირდნენ უცხოელები და მრავალცოლიანობის მომხრენი. აჯანყებულებს კერსენბროხი მოქალაქეებს უწოდებს ხშირად მათ საწყალ მოქალაქეებადაც („die armen Bürger") აღიარებს. აჯანყებულებმა დაინახეს რა საკუთარი სისუსტე შეძრწუნდნენ და თავი შეაფარეს საბჭოს სახლს (das Rathaus) და დაბოლოს დანებდნენ, შეწყალება ითხოვეს და საშინელ მტერს ჩაბარდნენო[2].

დატყვევებულ მეამბოხეთა შორის აღმოჩდა ჯარისკაცი დეტმარი[3], რომელსაც სამმართველოდან ოთხი ათასი ჰულდენი მოეპარა და თავის ტანისამოსში დაემალა. მან აღიარა თავის მოქმედება და იმაშიც გამოტყდა, რომ იგი აპირებდა ლუდგერის ალაყაფის კარებით მთავრის (ეპისკოპოსის) ქალაქში შემოყვანას[4]. კერსენბროხი ქურდობის ამ ფაქტს გულდამშვიდებით მოგვითხრობს და მას ანაბაპტისტთა სიმძაფრე აკვირვებს.

როდესაც ქალაქის მამასახლისებმა (die Ältesten) განიხილეს სასჯელი, ისინი შურისძიებით ან რაიმე სხვა მოსაზრებით, რომ ახალი კავშირის მშვიდობიანობა შეენარჩუნებინათ და, რათა ბოროტთათვის შიში ჩაენერგათ კეთილნი კი დაეცვათ, გადასწყვიტეს მათი დახვრეტა.

---

[1] „*Die Bürgerschaft in zwei Partein geteilt war*", კერსენბროხი, იქვე. გვ. 621.

[2] კერსენბროხი, იქვე. გვ. 621.

[3] „*Ein soldat names Nicolaus Dethmar*", კერსენბროხი, იქვე.

[4] „*Den Fürsten durch das Ludgercitor in die Stadt zu führen*", კერსენბროხი, იქვე.

განაჩენი მოიყვანეს სისრულეში. „ოცდახუთი მეამბოხე მოკლული და დასაფლავებული იქმნა“. მტერს რომ არ გაეგო შინაური უთანხმოება და ტყვიაწამალი დაეზოგათ სამოცდაექვსი დაისაჯა სიკვდილით ხმლით. განაჩენი შეასრულა კნიპერდოლინგმა.

რამოდენიმესათვის თვით წინასწარმეტყველს (იოჰანე ლაიდენელს) მოუკეთია თავი [1].

სამართლიანობის და ზომიერების მისწრაფებისა და გრძნობისათვის მიუნსტერის ანაბაპტისტთა მოძრაობის ხელმძღვანელებს არასოდეს არ უღალატიათ. ამ მოვლენის დამადასტურებელ და მრამალმეტყველ ილუსტრაციას წარმოადგენს ის გარემოება, რომ აჯანყებულთა უმრავლესობა მამასახლისთა განაჩენით გაათავისუფლეს. ამის შესახებ კერსენბროხიც კი აღნიშნავს მხოლოდ ყოველგვარი განმარტების გარეშე, რითაც თავის ტენდენციურობას ამჟღავნებს.

III

ანაბაპტისტებმა (გადანათლულებმა) შესძლეს მიუნსტერში მტკიცე წესრიგის დამყარება. ისინი გარემოცული ქალაქის დასაცავად ენერგიულად მოქმედებდნენ და მოღალატეებს სასტიკად უსწორდებოდნენ. ამ მხრივ მათ შესძლეს აეცდინათ თომას მიუნცერის და გლეხთა ომის სხვა ხელმძღვანელთა შეცდომები და დაუდევრობა. მათ ვერ მოახერხეს აჯანყებულთა მტკიცე შეკავშირება, დენადობის მოსპობა და მტრების მიერ მოტყუებულნი შეიქმნენ.

„იგი (ტიურინგიის გლეხთა ჯარი) ცუდად შეიარაღებული და ცუდად გაწვრთნილი იყო, ნაკლებად ჰყავდა ყოფილი ჯარისკაცები და სრულიად მოკლებული იყო ხელმძღვანელებს. მთავრები მოულოდნელად თავს დაესხენ გლეხებს, სანამ ზავის ვადა გავიდოდა“ [2].

მოწინააღმდეგეთა მიმართ ენერგიული მოქმედებით, შინაგანი მტრების დათრგუნვით და თავისი რევოლუციური როლის შეგნებით მიუნსტერელი ანაბაპტისტები (გადანათლულნი) 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციის დროინდელი იაკობინთა წინამორბედებად შეიძლება ჩავთვალოთ.

ი. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „იაკობინელებმა ხალხის მტრე-

[1] კერსენბროხი, იქვე, გვ. 621.

[2] იქვე.

ბად გამოაცხადეს ისინი, ვინც ხელს უწყობდა, რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართულ, გაერთიანებულ ტირანების ზრახვებს“ [1].

ი. ბ. სტალინი, უცხოელ მუშათა დელეგაციებთან საუბარში 1927 წელს 5 ნოემბერს, ადარებს რა სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს საფრანგეთის 1789 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს შექმნილ საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტს, აღნიშნავს: „იგი წარმოადგენს ერთგვარ სამხედრო პოლიტიკურ ტრიბუნალს, რომელიც შექმნილია რევოლუციის ინტერესების დასაცავად კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის და მისი აგენტების თავდასხმისაგან“ [2].

ვ. ლენინისა და ი. სტალინის შეფასება, კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიმართული იაკობინთა საქმიანობისა, შეიძლება გამოვიყენოთ მიუნსტერის ანაბაპტისტთა მსგავსი მოქმედების განხილვის დროს.

მიუნსტერელი ანაბაპტისტები ებრძოდნენ დოვლათისა და ოქრო-ვერცხლის გადამმალველთ, ცრუხმების გამავრცელებელთა, მეამბოხეებს, ეპისკოპოსის ჯაშუშების და შეუდრეკელად სჯიდნენ მათ.

ფ. ბეცოლდი აღნიშნავს, რომ „იოჰანე ლაიდენელმა თავის ხელისუფლების განმტკიცებისათვის მიმართა იმ მარტივ საშუალებებს, რომლითაც ესოდენ სიამოვნებით სარგებლობდნენ საფრანგეთის კონვენტის ტერორისტებიო“ [3]. მაგრამ იგი (ფ. ბეცოლდი) ფიქრობს, რომ „სისხლის მძიმე დანაშაული იმის გამო მოხდა, რომ განსაკუთრებით იოჰანე ლაიდენელი თავის მეუფური სამმართლიანობის გაზვიადებასა და ხელისუფლების განმტკიცებისათვის ზრუნავდაო“.

ლ. რანკე, აღწერს რა მჭედელ ჰენრიხ მოლენჰეკის ამბოხებას, მის მიზეზად აღიარებს „ქალაქის პარტიის უკმაყოფილებას მრავალცოლიანობით და ქონების განსაზოგადოებით, უველაფერი მათი (მეამბოხეთა) აზრით, წინანდებურად უნდა ყოფილიყო; ისინი პირიქით ქალაქის (ეპისკოპოსისათვის) გადაცემით იმუქრებოდნენ“ [4].

ვისთვის უნდა გადაეცათ ქალაქი მეამბოხეთ? მიუნსტერის განდევნილ სასულიერო მთავრისათვის — ეპისკოპოსისათვის, რომლის დაჭირავებული ლაშქრით გარემოცული იყო მიუნსტერი, მაშასა-

[1] ვ. ი. ლენინი, О врагах народа, Соч. т. XX, გვ. 505-506.

[2] ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, 1933, IX, გამ., გვ. 363.

[3] ფ. ბეცოლდი, История реформаций в Германии, II, 1900, გვ. 213.

[4] ლეოპ. რანკე, *Deutsche Geschichte im Zeitalter der Reformation, Dritter Band, Leipzig*, 1881, გვ. 380, 381.

დამე, მტრისათვის. ლეოპოლდ რანკე კრიტიკის გარეშე იმეორებს კერსენბროხის ცნობას, რომ ანაბაპტისტების შეიარაღებული ძალა მხოლოდ ჰოლანდიელებისა და ფრიზებისაგან შესდგებოდაო, რადგან ქალაქში ჯცხოელები იყვნენ გაბატონებულიო.

ლ. რანკე უარყოფს ჰენრიხ მოლენჰეკის აჯანყების რეაქციულსა და რესტავრაციულ მნიშვნელობას, და მას წარმოგვიდგენს, როგორც მოლენჰეკსა და კნიპერდოლინგს შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლას, შეკამათებას, რის დროსაც თითქოს მოხდა მოციქულის კნიპერდოლინგისა და წინასწარმეტყველთა დატყვევება.

ლ. რანკესა და ფრ. ბეცოლდის შეფასება ჰენრიხ მოლენჰეკის აჯანყებისა მცდარი და ტენდენციურია. ისინი ჩქმალავენ აჯანყების ნამდვილ მიზანს.

დასახელებული აჯანყება მიმართული ანაბაპტისტების (გადანათლულთა) წინააღმდეგ მიუნსტერში რევოლუციური პლებეური მოძრაობის შემუსვრის ამოცანას ისახავდა. ჰენრიხ მოლენჰეკის აჯანყება რეაქციული იყო და კიდეც დამარცხდა.

ანაბაპტისტთა მმართველობა მიუნსტერში რევოლუციურ-პლებეური მოძრაობის გამოვლინებას წარმოადგენდა და მიმართული იყო ფეოდალიზმის წინააღმდეგ.

---

16. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1948.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის
შრომები, ტ. VIII, 1948.
Труды Кутаисского Государственного Педагогического
Института имени А. Цулукидзе, т. VIII, 1948.

სევერიან კარსანიძე

საქართველოს გუმბრინის მრეწველობის სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა *

> არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ბარიტსა და გუმბრინზე ბევრად არის დამოკიდებული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგების წარმატებითი მუშაობა, როგორიცაა ნავთის, ქიმიური და ელექტროტექნიკური მრეწველობა.
>
> კ. ნ. ჩარკვიანი.

I

მათეთრა ნივთიერების გამოყენება მრეწველობაში იწყება XIX საუკ. 90-იანი წლებიდან ჯერ ინგლისში, შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ორივე ამ ქვეყანაში კაპიტალიზმის განვითარება სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, ამიტომ მათეთრა ნივთიერების ანუ ფულერის მიწის ფართო გამოყენება შესაძლებელი გახდა მრეწველობის სხვადასხვა დარგში. მიუხედავად იმისა, რომ მეფის რუსეთი სხვა ქვეყნებზე უფრო გვიან დაადგა კაპიტალიზმის განვითარების გზას, საჭიროება მათეთრა ნივთიერებაზე მაინც არსებობდა. ეს საჭიროება კიდევ უფრო გაიზარდა ომიანობის დროს.

უდავო ჭეშმარიტებაა ის დებულება, რომ ყოველი დიდი ომის დროს მეომარი სახელმწიფოები ცდილობენ გამონახონ ადგილობრივი რესურსები, რომლებიც საომარ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს. ამით არის გამოწვეული, რომ ომიანობის დროს იქმნება წარმოების ახალი დარგები, რომლებიც მშვიდობიანობის პერიოდში საჭიროებას არ წარმოადგენს ან ნაკლები მოთხოვნილება აქვს. მეფის რუსეთი, რომელიც მოუმზადებელი ჩაება პირველ იმპერიალისტურ ომში, განიცდიდა მთელი რიგი მინერალური ნედლეულის ნაკლე-

* ვაქვეყნებთ ავტორის მიერ ამ საკითხზე დაწერილი მონოგრაფიიდან ერთ თავს.

ბობას. რადგან გერმანია რუსეთს ეომებოდა, ამან გამოიწვია საჭირო ურთიერთობის გაწყვეტა რუსეთსა და გერმანიას შორის. მათეთრა ნივთიერება რუსეთში გერმანიიდან შემოდიოდა და გამოიყენებოდა მცენარეული ზეთების და ნავთობის პროდუქტების გასაწმენდად. ამიტომ საჭიროება მათეთრა ნივთიერებაზე განსაკუთრებით ომის პერიოდში იზრდებოდა. 1915 წ. რუსეთის სამეცნიერო აკადემიამ დააარსა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა რუსეთის ბუნებრივი სიმდიდრის გამონახვა და შესწავლა. აკად. ფ ე რ ს მ ა ნ მ ა პირველმა დაიწყო ძიება რუსეთის ტერიტორიაზე მათეთრა ნივთიერებისა. ამ საკითხის შესწავლას მან სპეციალური შრომა უძღვნა 1915 და 1916 წლებში. „Русские месторождения сукновальных глин и близких к ним веществ". აკად. ფერსმანის შრომებზე დაყრდნობით, საქართველოს ტერიტორიაზე მათეთრა ნივთიერების გამოსანახავად მუშაობა ჩაატარა პროფ. ა. თ ვ ა ლ ჭ რ ე ლ ი ძ ე მ.

აი, რას მოგვითხრობს ალ. თვალჭრელიძე იმ მუშაობის შესახებ, რომელიც მან ჩაატარა საქართველოში. „როდესაც ფ ე რ ს მ ა ნ ი ს ნამუშევარს გავეცანი და გულდასმით გადავიკითხე ის ადგილი, რომელიც კავკასიის ქეფექილიტს შეეხებოლა, იმ დასკვნას დავადექი, რომ კავკასიის მადნების ნუსხა სრული არ არის, რომ მათ რიცხვში შეიძლება მეტიც იყოს.

დაუყოვნებლივ თავი მოვუყარე დონის პოლიტექნიკუმის ქართველ სტუდენტთა წრეს, გავაცანი წრეს ფერსმანის ნაშრომის შინაარსი და ვსთხოვე სტუდენტებს დამხმარებოდნენ და მოეწვდინათ ჩემთვის ამ თავისებური მინერალის ნიმუშები გურიიდან, სამეგრელოდან, იმერეთიდან და საქართველოს სხვა ნაწილებიდან. სტუდენტებმა დიდის ყურადღებით მიიღეს ჩემი წინადადება-თხოვნა და სამი კვირის შემდეგ დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან დაიწყეს ჩემთვის საინტერესო მინერალების გზავნა...

საქართველოს ქეფექილიტებიანი ადგილების შესახებ ცნობები გავგზავნე სამეცნიერო აკადემიაში, რამაც პეტერბურგის მინერალოგთა წრეები დააინტერესა. სამეცნიერო აკადემიამ გამომგზავნა აქეთ და დამავალა წარმედგინა მასალები ამ თიხის შესახებ. მე მივიღე ეს წინადადება და ორი თვის განმავლობაში დავდიოდი იმერეთისა და გურიის სოფლებში და ყველგან ბევრ მასალას ვაგროვებდი, რადგან იგი დასავლეთ საქართველოში ძალიან გავრცელებული ყოფილა.

შემოდგომაზე, როდესაც სიმინდს უკვე მოჰრჩებიან და ღვინის-

დაყენება კი ჯერ ადრეა. სოფლის ქალები ცდილობენ მთელი წლისთვის მოიმარაგონ ეს მინერალი. ქალები ამ თიხით იბანენ თავს. ხმარობენ მას სარეცხის რეცხვის დროს, ზღვის წყალში ბანაობის დროსაც. ამავე თიხას ხმარობენ ჭრილობის დასაშოშმინებლად და სხვ.

ბაზრობის დღეს ამ თიხის ყიდვა შეიძლება ქუთაისში, ოზურგეთში, ზუგდიდში და სხვა ქალაქებში. თბილისის სააფთიაქო მაღაზიაში იშოვნით მას ეჯიბიტინის სახელწოდებით: ვიღაც ეჯიბიას ამ სახელწოდებით დაეწყო ქეფექილიტის გაყიდვა. თბილისისა და ბაქოს ბევრმა მანდილოსანმა პრაქტიკულად იცის ეჯიბიტინის დადებითი თვისებანი და ხმარობს მას თავის დასაბანად.

ამ თვისებური მინერალით მდიდარი ადგილების გამონახვა ჩემთვის ადვილი შეიქმნა, რადგან ადგილობრივი მცხოვრებლები კარგად იცნობენ ამ თიხას.

ასეთი ადგილების რიცხვი დიდძალი აღმოჩნდა. იმ ზაფხულს შევძელი გამომერკვია და აღმენიშნა 50-ზე მეტი ახალი ადგილი ქეფექილიტებისა და ამ თანხის სამი ტიპი, სამი სახე, მისი წარმოშობის სიძველით გამოწვეული“ [1].

ამრიგად, 1916 წ. ალ. თვალჭრელიძის მიერ აღმოჩენილ იქმნა 50-ზე მეტი ახალი ადგილი, სადაც მოიპოვებოდა ეს მინერალი. აღმოჩენილი ადგილებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია სოფ. გუმბრის მინერალი.

პროფ. ალ. თვალჭრელიძის მიერ აღმოჩენილი მინერალი საქართველოს მცხოვრებთათვის უძველესი დროიდან ცნობილი იყო თავისაბანი მიწის სახელწოდებით. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, თავისაბან მიწას ადგილობრივი მცხოვრებნი იყენებდნენ, როგორც საპნის სუროგატს. სოფ. გუმბრში მცხოვრებმა 80 წლის მოხუცმა ვარლამ გურეშიძემ ჩემს შეკითხვაზე, თუ რა დროიდან იქმნა აღმოჩენილი თავისაბანი მიწა და რისთვის იყენებდა მას მოსახლეობა, მიპასუხა: „თავისაბან მიწას დიდი ხნის ისტორია აქვს, ბაბუაჩემის გადმოცემით მახსოვს, რომ ამ მიწის სახელწოდება წინათაც ასეთი იყო. ქუთაისისა და ხონის მიდამოებში ძალიან ბევრ ადგილას მოიპოვებოდა თავისაბანი მიწა, მაგრამ ყველაზე უკეთესი იყო ჩვენი სოფლის. მახლობელი სხვადასხვა სოფლიდან მოდიოდნენ გლეხები და გოდრებით მიჰქონდათ ეს მიწა: ბაზარზე უფრო

[1] თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. III, გვ. 332-337, 1923.

მეტად იყიდებოდა ჩვენი სოფლის თავისაბანი მიწა. უმთავრესად ამ მიწას მოსახლეობა იყენებდა თავის დასაბანად და შალის ქსოვილის მოსათელად. სახლში მოქსოვილი წინდები და შალები ითელებოდა თავისაბანი მიწით. როცა გლეხის ქალებს სახლში მოქსოვილი წინდები და შალები ბაზარზე გასასყიდლად გაჰქონდათ, ვაჭრები ტყობილობდნენ, რომელი იყო მოთელილი თავისაბანი მიწით და რომელი საპნით. ვაჭრები უმეტესად ყიდულობდნენ იმ შალეულს, რომელიც მოთელილი იყო თავისაბანი მიწით, რადგან ის შედარებით უფრო ნაზი და უკეთესი იყო, ვიდრე საპნით მოთელილი. გარდა ამისა თავისაბან მიწას ნაწილობრივ იყენებდნენ მატყლის და ნოხების გასარეცხადაც*. მოხუცის ეს ნაამბობი თავისაბანი მიწის გამოყენების შესახებ უდავოდ ჭეშმარიტებას შეიცავს. საქართველოს საზღვრებს იქეთ გადიოდა თუ არა ჩვენი თავისაბანი მიწა, ამის შესახებ ცნობები ცოტა მოიპოვება. სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ სხვა მეზობელ ქვეყნებში თავისაბანი მიწის გატანის საჭიროება არც თუ დიდი იყო.

უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველი ხალხის ცხოვრებაში ისტორიულად თავისაბან მიწას რაიმე დიდი ეკონომიური გამოყენება არ ჰქონია. გეოგრაფ-ისტორიკოსი ვახუშტი თავის უკვდავ შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ იმერეთის აღწერის დროს არსად არ იხსენიებს თავისაბან მიწას.

აკად. ივ. ჯავახიშვილმა თავის კაპიტალურ შრომაში „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ სპეციალური თავი მიუძღვნა ნიადაგისმცოდნეობის საკითხის გარკვევას ძველ საქართველოში. აღნიშნულ შრომაში ივ. ჯავახიშვილი წერს „...რომ ძველ ქართულში ისეთი ტერმინებიც არსებობდა, რომელნიც მიწის ამა თუ იმ სამეურნეო დანიშნულებისათვის განკუთვნილებას გამოჰხატავდენ: სახნავი, საყანური, სავენახე, სათიბი, საძოვარი და ბევრი სხვაც. ასეთი სიტყვების არსებობა ცხადჰყოფს, რომ მემინდვრეობისათვის, თუ ბაღისა, ანუ ვენახის გასაშენებლად განზრახულ მიწას მაშინდელი შეხედულობითაც გარკვეული თვისება უნდა ჰქონოდა“ [1]. ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად მოსახლეობა მიდიოდა იმ დასკვნამდე, თუ რომელი კულტურისათვის იყო გამოსადეგი ესა თუ ის მიწის ნაკვეთი. სრულიად სამართლიანი არის ივ. ჯავახი-

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე, თბილისი, გვ. 118, 1935.

შვილის შეხედულება, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული ძველი ნიადაგის ტერმინები გამომხატველი არის ნიადაგის თვისებისა. რამდენადაც ჩვენი წინაპრებისათვის ნიადაგის თვისება ცნობილი იყო, შემდეგ შესაძლებელი ხდებოდა ნიადაგის დანიშნულებისადმი გამოყენება. როგორც ძველ ქართულში, ისევე დღესაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული ნიადაგის ტერმინები ჟითუოდ სამეურნეო დანიშნულების გამომხატველია. თავისაბანი მიწა საქართველოს ტერიტორიაზე ძალზედ ბევრ ადგილას მოიპოვება სხვადასხვა ტერმინით. სამეგრელოში თავისაბანი მიწა ცნობილია დიხა-ჭუბერის და ჩე-დიხას სახელწოდებით[1].

ტერმინი დიხა-ჭუბერი განმარტებული არის „როგორც თეთრი მიწა, რომელსაც საპნის მაგიერ თავის დასაბანად ხმარობდნენ“[2]. ჩე-დიხა დღეს სამეგრელოში ამავე მნიშვნელობით იხმარება ხშირად შევხვდებით დღესაც ცხაკაიას, გეგეჭკორისა და სამეგრელოს სხვა რაიონებში თიხის ჭურჭლების გამყიდველებს, რომლებიც ურმით დადიან სოფლებში და ჰყიდიან ჩე-დიხას, მას მოსახლეობა საპონთან ერთად გამოიყენებს თავის დასაბანად.

XVIII საუკ. სახელგანთქმული მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი თავის „ქართულ ლექსიკონში“ ასე განმარტავს აყალო მიწას: „აყალო, ეს არს მიწა საპონთ მსგავსი, მწიკლულთა გამრეცხველი“[3], ამ განმარტებიდან ჩანს, რომ აყალო მიწა საპნის დანიშნულებას ასრულებდა. დღევანდელ პირობებში ტერმინი აყალო იმის გამომხატველი არ არის, რასაც იგი წანათ გამოხატავდა. ზემო იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში აყალო მიწისაგან ამზადებენ თიხის ჭურჭელს და მას აგრეთვე ხმარობენ ქვევრის თავის მოსატენადაც.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან ის გამომდინარეობს, რომ თავისაბან მიწას ერთგვარი სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა.

თუ ჩვენ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ თავისაბანი მიწის რაიმე დიდ ეკონომიურ გამოყენებაზე სახალხო მეურნეობაში, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა აღვნიშნოთ, რომ თავისაბანი მიწა XVIII საუკ. მიწურულსა და XIX საუკუნეში წარმოადგენდა ყიდვა-გაყიდვის საგანს.

---

[1] ი. ყიფშიძე, „Грамматика Мингрельского (Иверского) языка“, გვ. 227, 1914.

[2] იქვე.

[3] ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, გვ. 27, 1928.

ფაქტია ის, რომ ვიღაც ეჯიბია თავისაბანი მიწით ამარაგებდა ამიერ-კავკასიის ზოგი ქალაქების აფთიაქებს. სამწუხაროდ, მისი საქმიანობის შესახებ ჩვენ ცნობები ძალზე ცოტა მოგვეპოვება. თავისთავად ეჯიბიას საქმიანობა ლაპარაკობს იმაზე, რომ ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს შინამრეწველობასთან. პროფ. პ. გუგუშვილი თავის შრომაში „კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში“ ვრცლად და საფუძვლიანად იხილავს საქართველოში საფეიქრო მრეწველობის განვითარებას. ავტორი აღნიშნავს, რომ შალის შინამრეწველობა განსაკუთრებით გავრცელებული იყო რაჭის, ჭუთაისის, სენაკის, ზუგდიდის, ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში. შალის შინამრეწველობის საქმეში, ეჭვის გარეშეა, თავისაბან მიწას იყენებდნენ შალის ქსოვილების მოსათელად. მატყლის გასარეცხად და სხვა. შინამრეწველობის დაბალი ტექნიკა თავისაბანი მიწის მეტი გამოყენების შესაძლებლობას არ იძლეოდა.

დღეს, როდესაც მეცნიერება და ტექნიკა არნახული სიჩქარით ვითარდება, შესაძლებელია ჩვენი თავისაბანი მიწის ფართო გამოყენება მრეწველობის სხვადასხვა დარგში.

გუმბრინის ძირითადი და მთავარი მომხმარებელი არის საბჭოთა კავშირის ნავთობის მრეწველობა. ნავთობის პროდუქტები, როგორიცაა: ნავთი, ბენზინი, სხვადასხვა საცხები ზეთი აუცილებლად საჭიროებენ გუმბრინის საშუალებით გაწმენდას, რის გამოც ნავთობის ეს პროდუქტები საუკეთესო ხარისხისა ხდებიან. აქედან ბუნებრივია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გუმბრინის მრეწველობას საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XIII ყრილობაზე ამხ. კ ნ. ჩარკვიანი აღნიშნავდა იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც გუმბრინს აქვს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობისათვის: „არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ბარიტსა და გუმბრინზე ბევრად არის დამოკიდებული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგების წარმატებითი მუშაობა, როგორიცაა ნავთის, ქიმიური და ელექტროტექნიკური მრეწველობა“ [1].

პროფ. ალ. თვალჭრელიძის აღმოჩენას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მიეჭცა ჯეროვანი ყურადღება. შეიქმნა სრუ-

[1] საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XIII ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 24, 1940.

ლიად ახალი თავისებური დარგი წარმოებისა, საქართველოს გუმბრინის მრეწველობა. „საბჭოთა საქართველოს წიაღი მდიდარია სხვადასხვანაირი მინერალური ნედლეულით. შექმნილია და ფართოდ ვითარდება სამთამადნო მრეწველობა. საქართველოს წიაღთა სიმდიდრე დაყენებულია სოციალისტური მშენებლობის სამსახურში. მოწყობილია გუმბრინის დამუშავება ნავთის მრეწველობის მოსამარაგებლად“ [1].

არნახული ტემპით ვითარდება საქართველოს სოციალისტური სამთამადნო მრეწველობა. საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავება ძალზე შეუწყობს ხელს ჩვენს ქვეყანაში საწარმოო ძალების განვითარებას. საბჭოთა საქართველოში სოციალისტური სამთამადნო მრეწველობის განვითარება, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვებაა.

ამერიკის შეერთებული შტატებიდან შემოტანილი ფლორიდინი რომ გაგვეძევებინა საბჭოთა კავშირის ბაზრიდან, ამისათვის საჭირო იყო შემდეგი: პირველი, ჩვენს ქვეყანაში უნდა აღმოჩენილიყო ფლორიდინის თიხების მსგავსი მძლავრი საბადოები, რომელთაც სამრეწველო მნიშვნელობა ექნებოდა. მეორე, რასაც გუმბრინის მრეწველობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, შეეხებოდა გუმბრინის ხარისხის საკითხს. ორივე ეს მოთხოვნილება დააკმაყოფილა გუმბრინის საბადოებმა, იმ მრავალმა ცდამ, რომლებიც პროფ. ალ. თვალჭრელიძის მიერ საქართველოში და საქართველოს გარეთ სხვადასხვა საკვლევ-სამეცნიერო ლაბორატორიაში ჩატარდა, გვიჩვენა გუმბრინის უკეთესი ხარისხი და გამძლეობა, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატებიდან შემოტანილმა ატაპულგუსის თიხამ.

ატაპულგუსის თიხა წარმოადგენს მსოფლიო სტანდარტს. როცა სურთ გამოარკვიონ, რამდენად ვარგისია სხვადასხვა ქვეყანაში ნახული თიხები, მას ადარებენ ატაპულგუსის თიხას. მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება ლაპარაკი ახლადაღმოჩენილი თიხის ვარგისიანობის ან უვარგისობის შესახებ. ორიათასზე მეტი ცდა იქნა ჩატარებული გუმბრინზე და საბოლოოდ დადგენილ იქნა, რომ საბჭოთა ფლორიდინი—ჩვენი თავისაბანი მიწა—უკეთესი ხარისხის გამოდგა, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატებიდან შემოტანილი ფლორიდინი.

---

[1] ლ. პ. ბ ე რ ი ა, ლენინ-სტალინის დიადი დროშით (სტატიები და სიტყვები), გვ. 19, 1941.

ჩვენ აქ მოგვყავს ორი საბუთი, რომლებიც ცხადჰყოფენ გუმბრინის უკეთეს ხარისხს ჯორჯიას შტატების ატაპულგუსის თიხასთან შედარებით. ბათუმის კონცესიურ ქარხანაში ჩატარებული ცდების შედეგად გამოირკვა შემდეგი:

„ცდები ჩატარებულ იქნა საქარხნო მასშტაბით. პირველი საცდელი ფილტრი დატვირთული იყო ატაპულგუსის თიხით 33.750 ინგლისური გირვანქის რაოდენობით; ამავე რაოდენობის გუმბრინის თიხა მოთავსებულ იქნა მეორე ფილტრში. ორივე ფილტრებში საწმენდი ნავთის გატარება დაიწყო ერთდაიმავე დროს. გაწმენდილი ნავთის გამოსვლა ფილტრიდან რაც შეიძლება თანასწორდებოდა. ერთდაიმავე პირობებში ნავთის წმენდის დროს გამოირკვა, რომ იმ ფილტრმა, რომელიც სავსე იყო ატაპულგუსის თიხით, მუშაობა შეწყვიტა 128 საათის შემდეგ. აღნიშნულ დროის გავლისას ფილტრიდან გამოსული ნავთის ფერი უდრიდა სეიბოლტის ხრონომეტრის 10,5 დუიმის სიღრმეს, ხოლო გუმბრინის თიხით დატვირთულმა ფილტრმა მუშაობა განაგრძო 224 საათის განმავლობაში, და როდესაც ფილტრის მუშაობა შეჩერებულ იქნა, გაწმენდილი ნავთის ფერი აღმოჩნდა სეიბოლტის აპარატის დისკოს გასწვრივ 11 დუიმის სიმაღლეზე. აღნიშნული ცდა ადასტურებს, რომ გუმბრინის თიხა აღმოჩნდა უკეთესი თვისებების და უფრო ხანგრძლივი მუშაობის უნარიანი, ვიდრე ატაპულგუსის თიხა“ [1].

ნავთსინდიკატის ბათუმის განყოფილების ლაბორატორიაში ჩატარებულმა ცდებმაც იგივე დაადასტურა. „ნავთის სინდიკატის ბათუმის განყოფილების ლაბორატორია ადასტურებს, რომ ლაბორატორიაში საქარხნო მაშსტაბით ჩატარებული ცდების შედეგად, რაც მოხდა ქ. ბათუმში „სტანდარტ-ოილი კოოპ. ნიუიორკ“-ის ქარხანაში, გამოარკვია: სრულიად და აბსოლუტურად ერთდაიმავე პირობებში სოფ. გუმბრადან ჩამოტანილმა თიხამ გამოამჟღავნა საუკეთესო თვისებები ნავთის წმენდის საქმეში. ცდის დროს აღმოჩნდა, რომ გუმბრინს შეუძლია ნავთის პროცესის ჩატარება გაცილებით მეტი ხნის განმავლობაში, ვიდრე ამერიკულ თიხას — ატაპულგუსს. ამერიკულმა ფირმამ ფილტრ № 4 იმუშავა 128 საათის განმავლობაში, ხოლო გუმბრინით დატვირთულმა ფილტრმა 224 საათის განმავლობაში, რაც დიდ უპირატესობას აძლევს გუმ-

[1] ჟურნალი საქართველოს ეკონომისტი, № 7-8, გვ. 29-30, 1929.

ბრინს, რომლის ღირსებაც ამერიკული თიხის ღირსებას აჭარბებს 75 პროცენტით" [1].

ეს ცდები გუმბრინზე აწარმოეს 1929 წ. შემდეგ წლებშიც ჩატარებულმა ცდებმა იგივე დაადასტურა. ამგვარად, გუმბრინის ხარისხი 75 პროცენტით აღემატება ამერიკის შეერთებული შტატებიდან შემოტანილი ფლორიდინული თიხის ხარისხს. მივიწყებულმა და ყურადღების გარეშე დატოვებულმა თავისაბანმა მიწამ, ასეთი მაღალი ადსორბციის უნარის გამო, შორს ჩამოიტოვა ამერიკის შეერთებული შტატების ფლორიდინი. შთანთქმითი ანუ ადსორბციის თვისება გუმბრინისა დამოკიდებული უნდა იყოს არა მარტო გუმბრინის ფიზიკურ აგებულებაზე, არამედ მის ქიმიურ შემადგენლობაზეც. როცა მათეთრა ნივთიერებათა ადსორბციის უნარს განიჭილავენ, მათეთრა ნივთიერებას ხშირად ღრუბელს ადარებენ. როგორც ცნობილია, ღრუბელი თავისი აგებულების გამო შეისვამს გარკვეული რაოდენობის წყალს და აკავებს მას, სანამ მოხდებოდეს წყლის აორთქლება. ასევეა მათეთრა ნივთიერება. როცა ჩვენ მასში რაიმე სითხეს გავატარებთ, მათეთრა ნივთიერების ფორები შეისვამს და იკავებს სხვადასხვა სითხეში არსებულ ნივთიერებას და სითხეს ჭუჭყისაგან წმენდს. გუმბრინის ფიზიკური აგებულება და მისი ქიმიური შემადგენლობა იძლევა შესაძლებლობას, რომ მისი საშუალებით გაიწმინდოს ნავთობის პროდუქტები.

საქართველოს გუმბრინის მრეწველობაში გუმბრინის ხარისხისათვის ბრძოლას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. მრეწველობის ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი, როცა ვეკითხებოდით, რა ზომებს ღებულობს მრეწველობა გუმბრინის ხარისხის გასაუმჯობესებლად, პასუხობდა: როგორი ხარისხის გუმბრინიც არ უნდა გავგზავნოთ, რადგან მასზედ მოთხოვნილება ძლიერ დიდია, მის ხარისხს არავინ გვიწუნებსო. ბუნებრივია, რომ გუმბრინის ხარისხის გაუმჯობესების ამოცანა არ იდგა თითოეული მუშის წინაშე. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 10 ივლისის ბრძანებულებით, ცუდი ხარისხის ან არაკომპლექტური პროდუქციის გაშვება მიჩნეულია სახელმწიფოს წინააღმდეგ მავნებლობის თანაბარ დანაშაულად. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეს ბრძანებულება ეხება ყველა წარმოებას, როგორიც არ უნდა იყოს ის. ბრძოლა პროდუქციის ხარისხისათვის იყო და იქნება ერთ-ერთი საბრძოლო ამო-

[1] ჟურნალი საქართველოს ეკონომისტი. № 7-8, გვ. 29-30, 1929.

ცანა. სოციალისტური წარმოების წესი თავის უპირატესობას კაპიტალისტური წარმოების წესთან პროდუქციის ხარისხშიც ამჟღავნებს.

აღსანიშნავია, რომ გუმბრინის ხარისხის გაუმჯობესებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ არ მოხერხდა გუმბრინის სტანდარტის დადგენა. იგი არც ახლო მომავალშიც არის შესაძლებელი. მიუხედავად ამ სიძნელისა, შესაძლებლობა არის გავაუმჯობესოთ გუმბრინის მრეწველობის პროდუქცია.

გუმბრინის საბადოები ცნობილია მსოფლიოში, როგორც ბუნებრივად კარგი ხარისხისა. იგი, მისი ამოღებისა და გადამუშავების შემდეგ, ასეთივე კარგი ხარისხის უნდა დარჩეს. ამისათვის უნდა ზრუნავდეს გუმბრინის მრეწველობის ხელმძღვანელობა. ხალხთა დიდი ბელადი სტალინი გვასწავლის, რომ გეგმის რაოდენობრივმა შესრულებამ კი არ უნდა გაგვიტაცოს, არამედ უმთავრესი ყურადღება მივაქციოთ პროდუქციის ხარისხს.

გუმბრინის მაღაროების ადმინისტრაციას, მუშებს, ინჟინერ-ტექნიკოსებსა და დამხმარე პერსონალს საჭიროა ახსოვდეთ ბელადის ეს მითითება და ცხოვრებაში ატარებდნენ მას.

საქართველოს გუმბრინის მრეწველობას არ აქვს დიდი ხნის ისტორია. პირველ სტალინურ ხუთწლედში შეიქმნა გუმბრინის მრეწველობა. 1927-28 წ. გეოლოგიური კვლევა-ძიებით დადგენილ იქნა გუმბრინის რაოდენობა. 1929-30 წ. ღია კარიერებზე დაიწყო გუმბრინის ამოღება.

გუმბრინის ამოღება ღია კარიერიდან იწყება 1929 30 წ. პირველ ხანებში გუმბრინის ამოღება და გაშრობა პრიმიტიულად წარმოებდა. სტახანოველმა მუშამ მ. გურეშიძემ, რომელმაც მუშაობა დაიწყო 1929 წლიდან, გვიამბო შემდეგი: „თავდაპირველად, როცა მუშაობა დავიწყე გუმბრინის კარიერებზე, ჩვენი სამუშაო იარაღები იყო: თოხი, ბარი და წერაქვი. ზედაპირის მოხდის შემდეგ წერაქვით და ბარით ვიღებდით მადანს. ამოღებული მადანი გაგვქონდა გოდრებით. გუმბრინის ხელოვნური გაშრობა თავდაპირველად არ არსებობდა. ამოღებულ გუმბრინს ვაგროვებდით ამაღლებულ ადგილას, სადაც მზის სხივებით ხდებოდა გაშრობა. წვიმიან ან ღრუბლიან ამინდში გუმბრინის გაშრობა არ შეიძლებოდა, რადგან იგი ღია ცის ქვეშ იყო თავმოყრილი. ამოღებული გუმბრინი ურმებით მიჰქონდათ ქალ. ქუთაისის რკინიგზის სადგურში, საიდანაც იგზავნებოდა დანიშნულებისამებრ“. მიუხედავად ასეთი პრიმი-

ტიული წესისა, გუმბრინის მადნის გეოგრაფიული განლაგება იმდენად ხელსაყრელი იყო, რომ პირველ წელს ამოიღეს 2.800 ტ. გუმბრინი.

1931-32 წ. ჩატარდა მთელი რიგი ღონისძიებანი გუმბრინის მოპოვების გასადიდებლად. 1931 წლის მეორე ნახევარში შემოღებულ იქმნა გუმბრინის ამოღება აფეთქების წესით. ეს წესი გულისხმობს შემდეგს: თუ წინათ წერაქვით იღებდნენ გუმბრინს, ახლა ფეთქადი ნივთიერებით არღვევენ მადანს და შემდეგ გამოაქვთ. მ. გურეშიძისაებ თქმით ამ წესის დანერგვამ ძალზე შეუწყო ხელი გუმბრინის ამოღების ზრდას. 1931 წ. ამოღებულ იქმნა 3.200 ტ. გუმბრინი. რამდენადაც გუმბრინის ამოღება იზრდებოდა, იმდენად ძალზე რთულდებოდა მისი გამოტანა გოდრებით. ამიტომ გაიყვანეს კარიერებამდე რკინისგზის ვიწრო ლიანდაგი და დაიწყო კოპერნის სისტემის რონოდებით გუმბრინის გამოტანა. პირველ ხანებში წარმოებას ელექტროენერგიის ბაზა არ ჰქონდა, რისთვისაც რონოდის მოძრაობა რკინისგზის ლიანდაგიდან ხდებოდა ცხენის საშუალებით.

გუმბრინის საჭიროება ყოველწლიურად იზრდებოდა, ამიტომ ასეთი პრიმიტიული წესით გუმბრინის ამოღება, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილებდა მოთხოვნილებას შემდეგ წლებში.

1933-34 წ. გუმბრინის მრეწველობაში დაიწყო ძირითადი გარდატეხა; ლ. პ. ბერიას უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაიწყო გუმბრინის მრეწველობის მექანიზაცია. შეძენილ იქმნა ორი ექსკავატორი, მათი საშუალებით დაიწყო ფუჭი ქანის მოხდა და გუმბრინის ამოღება. უზრუნველჰყვეს გუმბრინის მრეწველობა სატვირთო ავტომობილებით. ააგეს მუშათა საცხოვრებელი ბინები. როგორც ცნობილია, პირველ ხანებში გუმბრინის მრეწველობაში ვიწრო ადგილს წარმოადგენდა ტრანსპორტი. თუმცა გუმბრინის ურმით გადაზიდვა შეცვალეს ავტოტრანსპორტით, მაგრამ მაინც მისი 8 კილომეტრზე გადაზიდვა ძალზე ადიდებდა ხარჯებს. 1936 წელს გაიყვანეს რკინიგზის შტო ბროწეულა-ქუთაისი-გუმბრინი (16,5 კილომეტრი), რისთვისაც დაიხარჯა 5 მილიონი მანეთი.

როგორც აღვნიშნეთ, ღია კარიერებიდან გუმბრინის ამოღება ხდებოდა ნატეხებად. იგი იმავე სახით იგზავნებოდა ბაქოში. გუმბრინის გამოყენება ასეთი სახით შეუძლებელი იყო. საჭირო იყო მისი დაფქვა. დაფქვა ხდებოდა ბაქოში რაიმოხდის წისქვილში (200

მეში). როცა საქართველოს გუმბრინი ფართოდ გამოიყენეს სახალხო მეურნეობაში, გუმბრაში ააგეს საფქველი ქარხანა, საიდანაც იგი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქს აწვდის დაფქვილ გუმბრინს.

გუმბრინის საფქველი ქარხანა ააშენეს 1938 წელს. ქარხანას შეუძლია თვეში გამოუშვას 1.500 ტონა დაფქვილი გუმბრინი. სრული სიმძლავრით გუმბრინის გამოშვება ქარხანას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ გაზიდვა იქნება დაყენებული გეგმიანად. გუმბრინის გაზიდვა ხშირად ბრკოლდება სატრანსპორტო დაბრკოლებათა გამო. ასეთ შემთხვევაში ქარხანა უნდა გაჩერდეს, რადგან არ არის ადგილი, სადაც შეიძლებოდეს დაფქვილი გუმბრინის შენახვა. სილოსი, სადაც ინახება დაფქვილი გუმბრინი, იტევს მხოლოდ 300 ტონას.

1929-30 წ. გუმბრინის მრეწველობა გაერთიანებული იყო საქ. სამთამადნო მრეწველობის ტრესტში. რადგან აღნიშნული ტრესტი გუმბრინის წარმოებას საკმაო ხელმძღვანელობას ვერ უწევდა, ამის გამო ჩამოყალიბდა „გუმბარიტის“ ტრესტი, რომელშიც გაერთიანდა მხოლოდ ბარიტისა და გუმბრინის მრეწველობა. ხელმძღვანელობის კიდევ მეტად გაუმჯობესების მიზნით „გუმბარიტიდან“ გამოიყო გუმბრინი და დაარსდა ტრესტი „გუმბრინი“, რომელიც დაექვემდებარა საქართველოს სსრ ადგილობრივ მრეწველობის სახალხო კომისარიატს. რადგან გუმბრინის მრეწველობა უმთავრესად საბჭოთა კავშირის ნავთობის მრეწველობას ამარაგებს გუმბრინით, ამიტომ იგი 1941 წ. გადაეცა ნავთობის მრეწველობის სახალხო კომისარიატს.

1936-37 წ. გუმბრინის მრეწველობა იმდენად გაიზარდა, რომ შესაძლებელი შეიქმნა ჩვენს ქვეყანას შეეწყვიტა ფლორიდინის იმპორტი ამერიკის შეერთებული შტატებიდან. იმპორტის შეწყვეტამ საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ალ. თვალჭრელიძის გამოანგარიშებით სახელმწიფო გაათავისუფლა ყოველწლიურად 4 მილ. ოქროს მან. გაღებისაგან.

გუმბრინის მრეწველობამ მტკიცე ბაზა შეუქმნა საბჭოთა კავშირის ნავთობის მრეწველობას, ნავთობის პროდუქტების წარმატებით გადამუშავებას. გუმბრინის მრეწველობა იძლევა საშუალებას, საბჭოთა კავშირმა მსოფლიო ბაზარზე გაიტანოს უკეთესი ხარისხის ნავთობის პროდუქტები, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატებისა.

საქართველოს გუმბრინის მრეწველობა, რომელსაც არც ისეთი

დიდი ხნის ისტორია აქვს, იმდენად გაიზარდა და განვითარდა, რომ შორს მოიტოვა ფულერის მიწის ძველი სამშობლო — ინგლისი და ეჯიბრება ამერიკის შეერთებული შტატების მრეწველობას. „გუმბრინის მაღაროები ჰფარავს „აზნეფტის“ ნავთსახდელი ქარხნების მთელ მოთხოვნილებას მათეთრებელი მიწის მხრივ, გუმბრინმა უკვე გაიკაფა გზა წყნარი ოკეანის სანაპიროებისაკენ, შორეულ ვლადივოსტოკში. ფულერის მიწის ძველი სამშობლო — ინგლისი შორს მოვიტოვეთ. გუმბრინის მოპოვება 8-ჯერ აღემატება ინგლისის მაღაროების პროდუქციას და მხოლოდ ორჯერ ჩამოუვარდება ამერიკის მასშტაბებს“ [1].

---

[1] ჟურნალი ბოლშევიკი, № 2, გვ. 61, 1942.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1948.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VIII, 1948.

ზალვა ძოწრიძე

შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და კაპიტალისტური წარმოების გეოგრაფიული განლაგება

კაპიტალისტური წარმოების გეოგრაფიული განლაგება უშუალოდ არის დაკავშირებული კაპიტალისტური წარმოების წესში გაბატონებული შრომის საზოგადოებრივ დანაწილებასთან. კაპიტალისტური მეურნეობის მიერ მიღწეული განვითარების დონე, ამ დონის სხვადასხვაობა სხვადასხვა ქვეყანაში და ის ცვლილებანი, რომლებსაც ადგილი აქვს მეურნეობის ცალკე დარგებს შორის, მჭიდრო ურთიერთკავშირშია შრომის საზოგადოებრივ დანაწილებასთან. ამასთან ერთად ეს ისეთი ურთიერთკავშირია, რომ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების განვითარების გარეშე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ კაპიტალიზმის განვითარების მთელი პროცესი და, პირიქით, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის გასაგებად და შესასწავლად აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რითაა გამოწვეული და რის შედეგია ამა თუ იმ ქვეყნის, ან ამა თუ იმ რაიონის საწარმოო ძალების განვითარების სხვადასხვაობა.

სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგი, რომლებიც ერთიმეორეს ემსახურებიან, განლაგებული არის სხვადასხვა მხარეში, მაგალითად, ეგვიპტის ბამბა და ინგლისის ბამბეულის ქსოვილების წარმოება, ავსტრალიის მეცხვარეობა და ინგლისის შალეულის ქსოვილების წარმოება, ლიბერიაში კაუჩუკის კულტურის განვითარება ამერიკის შეერთებული შტატების მრეწველობისათვის და მრავალი სხვა. სახალხო მეურნეობის დარგების ეს საწარმოო სპეციალიზაცია, იძულებითი თუ ნებისმიერი, დაყრდნობილია შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაზე, რომელსაც ყოველ ცალკე შემთხვევაში კონკრეტული გეოგრაფიული განგრცობის გამოხატულება აქვს.

ამრიგად, ამჟამად უკვე არსებული გეოგრაფიული დანაწილება შრომისა დედამიწის სხვადასხვა ნაწილებს შორის, ან ცალკე ქვეყნებსა და ცალკე რაიონებს შორის, არის შედეგი იმ სამეურნეო სპეციალიზაციისა, რომელიც საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა და მყარდებოდა ამა თუ იმ ქვეყნის თუ რაიონის ბუნებრივი და სოციალ-ეკონომიური პირობების თავისებურებათა შესაბამისად.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გეოგრაფიული განლაგების ბურჟუაზიული თეორიებით (ვებერი, თიუნენი და სხვ.) წარმოების განლაგებისა და, მაშასადამე, შრომის საერთაშორისო გეოგრაფიული დანაწილების სპეციფიკური სოციალ-ეკონომიური და ბუნებრივი პირობები გამორიცხულია და ნაცვლად ამისა განმსაზღვრელ ძალად აღიარებულია შრომისა და კაპიტალის უმცირესი დანახარჯი. ვებერის თეორიას იყენებდნენ მავნებლები ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის წინააღმდეგ. ამ თეორიის ერთგვარი გავლენის ქვეშ ერთ დროს იმყოფებოდა ჩვენი ქვეყნის ისეთი გამოჩენილი ეკონომ-გეოგრაფი, როგორიცაა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. ნ. ნ. ბარანსკი. ერთ-ერთ თავის შრომაში პროფ. ნ. ნ. ბარანსკი წერს: „შრომის გეოგრაფიული დანაწილება არის დანაწილება შრომისა, რომელიც დამყარდა სხვადასხვა ქვეყანას შორის, ან, საერთოდ რომ ვთქვათ, — დედამიწის ზედაპირის სხვადასხვა ნაწილებს შორის, თითოეული მათგანის სპეციალიზაციის შესაბამისად იმ პროდუქტების წარმოებაზე, რომლებიც მოცემული ქვეყნის ბუნებრივი თუ საზოგადოებრივ-ისტორიული პირობების გამო შეიძლება წარმოებულ იქნას ყველაზე უფრო იაფად, ე. ი. ბოლოს და ბოლოს შრომის უმცირესი დანახარჯით“ [1]. კაპიტალისტური წარმოების გეოგრაფიული განლაგების ისტორია გვიჩვენებს, რომ შრომისა და კაპიტალის უმცირესი დანახარჯი არ განსაზღვრავს წარმოების ადგილს. იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ საერთოდ წარმოების განლაგების განმსაზღვრელ ძალად. კაპიტალისტური წარმოების განლაგება მართლაც უმცირესი დანახარჯით რომ განისაზღვრებოდეს, მაშინ თანამედროვე კაპიტალისტური მსოფლიოს მესამე ჯგუფის ქვეყნები — ნ. კოლონიები, კოლონიები და დამოკიდებული ქვეყნები — ეკონომიური განვითარების გაცილებით უფრო მაღალ საფეხურზე იქნებოდნენ, ვიდრე არიან. მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ ეს შეუძლებელია თვით კაპიტალიზმის შინაგანი ბუ-

[1] Н. Н. Баранский, Межд. геогр. разд. труда, стр. 5. М.-Л., 1930.

ნების გამო, იმის გამო, რომ კაპიტალისტური სამყაროს მთავარი იმპერიალისტური ქვეყნების ინტერესები მოითხოვს ეკონომიურ და პოლიტიკურ მორჩილებაში იყვნენ კოლონიური, ნ. კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნები.

ვინ არ იცის, რომ კაპიტალისტური ქვეყნების ეს ბრძოლა, საუკუნეების მანძილზე რომ მიმდინარეობდა თავიანთ ბატონობის განმტკიცებისა და შენარჩუნებისათვის, დღეს იმითაა დაგვირგვინებული, რომ მისი უდიდესი ნაწილი გადაქცეულია მეტროპოლიების აგრარულ სანედლეულო დანამატად. ე. ი. ამ ქვეყნებში სახალხო მეურნეობის დარგების განვითარება და მისი შესაბამისი შრომის საერთაშორისო დანაწილება წარმართულია იმგვარად, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და მრეწველობის ნედლეული მიაწოდონ თავიანთ მეტროპოლიებს. ამას მოითხოვს მეტროპოლიების ინტერესები, აქედან ისინი კოლონიურ ზემოგებას ღებულობენ, მაგრამ კოლონიებისათვის მათი სამეურნეო სპეციალიზაცია არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ახსნილ იქნას უმცირესი დანახარჯით.

დღეს კოლონიური ხალხების დიდი ნაწილი ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს თავისი განთავისუფლებისათვის იმ ჩაგვრისაგან, რომელსაც ისინი საუკუნეების მანძილზე განიცდიან იმპერიალისტური ქვეყნებისაგან. ამ ბრძოლაში კოლონიური ხალხების გამარჯვების შედეგად, უნდა მოისპოს წარმოების განლაგების ის ცალმხრივობა და არარაციონალობა, რომლებიც იმპერიალისტურმა ქვეყნებმა შექმნეს თავიანთი ინტერესებისათვის და უნდა დამყარდეს შრომის სამართლიანი საერთაშორისო დანაწილება.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილება კაპიტალიზმის პირმშო როდია. მას უფრო დიდი ხნის ისტორია აქვს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ შრომის იმ დანაწილებას, რომელსაც კ. მარქსი შრომის ბუნებრივ დანაწილებას, ხოლო ფ. ენგელსი პირველყოფილი ხასიათის შრომის დანაწილებას უწოდებს, შრომის პირველი დიდი საზოგადოებრივი დანაწილება იქედან იწყება, როდესაც ბარბაროსთა მასას მეჯოგე ტომები გამოეყვნენ, რომლებმაც თავიანთი შრომის მთავარ დარგად ცხოველების მოშინაურება, მათი მოვლა-გახედნა ისწავლეს და როდესაც შედეგად ამისა პირველად დაიწყო რეგულარული გაცვლა. რომ გაცვლა რეგულარულად ხდებოდეს, საზოგადოებაში მიღწეული უნდა იყოს წარმოების განვითარების გარკვეული საფეხური შრომის საზოგადოებრივი დანაწილების საფუძველზე. ფ. ენგელსი გაცვლის, როგორც რეგულარული საზო-

გადოებრივი პროცესის აღმოცენებას აკავშირებს შრომის პირველ დიდ საზოგადოებრივ დანაწილებასთან. „მრავალმა დაწინაურებულმა ტომმა, არიელებმა, სემიტებმა, შეიძლება აგრეთვე ტურანელებმაც ჯერ ცხოველების მოშინაურება და შემდეგ მათი გახედნა და მოვლა თავიანთ მთავარ შრომის დარგად აქციეს. მეჯოგე ტომები გამოეყვნენ ბარბაროსების დანარჩენ მასას: ეს იყო შრომის პირველი დიდი საზოგადოებრივი დანაწილება. მეჯოგე ტომები არა მარტო მეტს აწარმოებდენ ვიდრე დანარჩენი ბარბაროსები, არამედ მათი საცხოვრებელი მასალა უფრო მრავალფერადიც იყო. მათ დანარჩენებთან შედარებით არა მარტო მეტი რძე, რძის ნაწარმოები და ხორცი ჰქონდათ, არამედ აგრეთვე ტყავეულობაც, მატყლიც, თხის ბეწვიც და ძაფი და ქსოვილიც, რომელიც მატულობდა ნედლი მასალის მასასთან ერთად. ამგვარად, პირველად გახდა შესაძლებელი რეგულარული აღებმიცემობა“ [1]. აქედან გამომდინარეობს, რომ შრომის პირველი დიდი საზოგადოებრივი დანაწილების შემდეგ პირველად გახდა შესაძლებელი ტომმა აწარმოოს არა მარტო უშუალო მოხმარებისათვის საკმარისი რაოდენობის პროდუქტი, არამედ გაცვლისათვის თანდათან უფრო მეტი შეჰქმნას. ენგელსი აღნიშნავს, რომ საზოგადოების განვითარების წინა საფეხურზე აღებმიცემობა მხოლოდ ტომის წევრებს შორის ხდებოდა და ისიც შემთხვევით ხასიათს ატარებდა „აქ, პირიქით, მეჯოგე ტომების გამოყოფის შემდეგ ყველა პირობაა მზად აღებმიცემობის დასამყარებლად სხვადასხვა ტომების წევრებს შორის, ამ აღებმიცემობის გასანვითარებლად და გასამტკიცებლად როგორც მუდმივი მოვლენისა“ [2]. როგორ უნდა გვესმოდეს ამ შემთხვევაში ენგელსის გამოთქმები „რეგულარული გაცვლა“ და აღებმიცემობა „როგორც მუდმივი მოვლენა“? ეს საკითხი ენგელსს განხილული აქვს დაბოლოებული შრომის IX თავში, რომლის სახელწოდებაა „ბარბაროსობა და ცივილიზაცია“. შრომის პირველი დიდი საზოგადოებრივი დანაწილება ბარბაროსობის პერიოდს მიეკუთვნება. უფრო მეტიც, ეს ჯერ კიდევ არ არის ბარბაროსობის ზედა საფეხური, როდესაც ადამიანმა რკინის იარაღები გამოიყენა. ამიტომ ორივე ეს ცნება საზოგადოების განვითარების იმ საფეხურზე ჩვენ უნდა გვესმოდეს როგორც „რეგულარული გაცვლის“ და აღებ-

[1] ფრ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 190, ტფილისი, 1932.

[2] იქვე. გვ. 191.

მიცემობის „როგორც მუდმივი მოვლენის“ საწყისი პერიოდი. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ აქ ფართო გაცვლა-გამოცვლას აქვს ადგილი. ენგელსის შრომიდან ჩვენ მიერ მოტანილი ამონაწერიც სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ ჯერ მხოლოდ პირობებია შექმნილი აღებმიცემობის გასავითარებლად და გასამტკიცებლად. რომ უფრო ნათელი იქნეს, თუ როგორი ხასიათის გაცვლა-გამოცვლაზე და აღებმიცემობაზეა ლაპარაკი, მოვიყვანთ ორ ამონაწერს. პროფ. ნ. ნ. ბარანსკი ახასიათებს რა სასაქონლო მეურნეობის აღმოცენების და ნატურალური მეურნეობის გამოდევნის პროცესს, წერს, რომ 100-150 წლის წინათ, როცა ჯერ კიდევ არ იყო არც რკინიგზები, არც ორთქლმავალი გემები და როცა ტრანსპორტის საშუალებათა შორის ყველაზე იაფი იალქნიანი გემი და სამდინარო ტრანსპორტი იყო, სოფლის მეურნეობაში ნატურალური წყობა არსებობდა, სადაც „ყველაფერი იმისაგან, რაც მეურნეობაში იწარმოებოდა, უდიდესი ნაწილი, ვთქვათ $^{9}/_{10}$, მეურნეობის შიგნითვე მოიხმარებოდა, ისევე როგორც ყველაფერ იმისაგან, რაც მეურნეობის მიერ მოიხმარებოდა, $^{9}/_{10}$ მეურნეობის მიერვე იწარმოებოდა“ [1]. ჰობსონი, ახასიათებს რა XVIII საუკუნის პირველი ნახევრის საერთაშორისო ვაჭრობას, წერს, რომ თითოეულ ქვეყანას თავისი თავი უნდა დაეკმაყოფილებინა საკუთარი საშუალებებით ყველაზე მნიშვნელოვანი მოხმარების პროდუქტების, კვების პროდუქტების, ტანთსაცმლისა და სხვათა დარგში, „აწარმოებდა რა მცირე რაოდენობას საკნებისას არა საკუთარი მოხმარებისათვის, მოიხმარდა რა არა საკუთარი წარმოების საკნების მცირე რაოდენობას“ [2]. ცალკე ქვეყნების საკუთარი წარმოების და მოხმარების ეს შეფარდება, რომელსაც ადგილი ჰქონდა XVIII საუკუნის პირველ ნახევარშიც, გვაძლევს წარმოდგენას იმ გაცვლა-გამოცვლის ხასიათზე და შრომის საზოგადოებრივი დანაწილების განვითარების ხარისხზე, რომელზედაც ლაპარაკობს ენგელსი. ამის შემდეგ ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ შრომის პირველმა დიდმა საზოგადოებრივმა დანაწილებამ მხოლოდ საფუძველი ჩაუყარა რეგულარულ გაცვლას, აღებმიცემობის მუდმივ მოვლენად გადაქცევას და, მაშასადამე, წარმოების შემდგომ განვითარებას.

[1] Н. Н. Баранский, Краткий курс экономической географии, стр. 12, Госиздат, М.-Л., 1929.

[2] Джон А. Гобсон, Развитие современного капитализма. Машинное производство, стр. 38, М.-Л. 1926.

თუ საწარმოო ძალების განვითარებას მანამდეც ჰქონდა ადგილი, ცხადია შრომის პირველი დიდი საზოგადოებრივი დანაწილების შემდეგ იგი უფრო სწრაფად უნდა განვითარებულიყო. და მართლაც, როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავს, წარმოების ყველა დარგი, მეჯოგეობა, მიწათმოქმედება, შინახელოსნობა ისე გაიზარდა, რომ იგი უკვე მეტსა და მეტს პროდუქტს ამზადებს. მაგრამ ამავე დროს მეტი პროდუქტის წარმოებამ მეტი შრომის დახარჯვა მოითხოვა. ახალი სამუშაო ძალის შოვნა მხოლოდ ომის შედეგად შეიძლებოდა და „საშხედრო ტყვეები მონებად აქციეს. შრომის პირველმა დიდმა საზოგადოებრივმა დანაწილებამ შრომის პროდუქტიულობის გაძლიერებასა, მაშასადამე, სიმდიდრის ზრდასთან და წარმოების ასპარეზის გაფართოებასთან ერთად, საერთოდ მოცემულ ისტორიულ პირობებში, გარდაუვალი აუცილებლობით გამოიწვია მონობის დამყარება. პირველი დიდი საზოგადოებრივი შრომის დანაწილებიდან წარმოსდგა საზოგადოების პირველი დიდი გათიშვა ორ კლასად: ბატონებად და მონებად, ექსპლოატატორებად და ექსპლოატაციაქმნილებად“ [1]. მონობის დამყარება, როგორც გარდაუვალი აუცილებლობა, მონური შრომის გამოყენება საწარმოო ძალების განვითარების თვალსაზრისით იმდროინდელ საზოგადოებაში მარქსიზმ-ლენინიზმის მიერ განხილულია, როგორც პროგრესული მოვლენა, როგორც ნაბიჯი წინ. ი. ბ. სტალინი თავის ცნობილ შრომაში „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“ შემდეგს წერს: „მონათმფლობელური წყობილება თანამედროვე პირობებისათვის უაზრობაა, მუნებისსაწინააღმდეგო სისულელეა. მონათმფლობელური წყობილება ლპობადი პირველყოფილთემური წყობილების პირობებში სავსებით გასაგები და კანონზომიერი მოვლენაა, ვინაიდან იგი მოასწავებს ნაბიჯს წინ პირველყოფილთემურ წყობილებასთან შედარებით“ [2].

მონობის დამყარებას და მონური შრომის გამოყენებას სწორედ ზემოთაღნიშნული თვალსაზრისით განიხილავდნენ და აფასებდნენ მარქსი და ენგელსი. კ. მარქსი წერს: „მონობა ეკონომიური კატეგორიაა, როგორც ყოველი სხვა. მაშასადამე, იმასაც აქვს ორი მხარე. ნუ შეეჩერდებით ცუდ მხარეზე და ვილაპარაკოთ მონობის

[1] ფრ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 192.

[2] საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია, გვ. 132, სახელგამი, 1938.

კარგ მხარეზე: თავისთავად იგულისხმება, აქ ლაპარაკია პირდაპირს მონობაზე, შავკანიანთა მონობაზე სურინამში, ბრაზილიაში, ჩრდილო-ამერიკის სამხრეთ შტატებში.

პირდაპირი მონობა ბურჟუაზიული მრეწველობის დასაყრდენია, ისე როგორც მანქანები, კრედიტი და სხვ. უმონობოდ არ იქნებოდა ბამბა, ბამბოდ არ იქნებოდა თანამედროვე მრეწველობა. მონობამ მისცა კოლონიებს მათი ღირებულება, კოლონიებმა შეჰქმნეს მსოფლიო ვაჭრობა, მსოფლიო ვაჭრობა პირობაა მსხვილი მრეწველობისა. ამრიგად, მონობა უაღრესი მნიშვნელობის ეკონომიური კატეგორიაა. უმონობოდ ჩრდილო-ამერიკა, ეს ყველაზე უფრო პროგრესიული ქვეყანა, პატრიარქალურ ქვეყნად გადაიქცეოდა. ამოშალეთ ჩრდილო ამერიკა მსოფლიო რუკიდან და — თქვენ მიიღებთ ანარქიას, თანამედროვე ვაჭრობისა და ცივილიზაციის სრულს დაცემას. მოსპეთ მონობა და — თქვენ ამოშლით ამერიკას ხალხთა რუკიდან" [1].

ფრ. ენგელსი, იხილავს რა მონობის აღმოცენების ისტორიას, აღნიშნავს, რომ იგი სულ მალე წარმოების გაბატონებულ ფორმად იქცა და რომ „პირველად მონობამ გახადა შესაძლებელი შრომის დანაწილება დიდი მასშტაბით მიწათმოქმედებასა და მრეწველობის შორის და ამით ნიადაგი მოუმზადა ანტიური ქვეყნის აყვავებას ბერძნობის სახით. თუ მონობა არ ყოფილიყო, არც საბერძნეთის სახელმწიფო, ხელოვნება და მეცნიერება იქნებოდა; თუ მონობა არ ყოფილიყო, არც რომის იმპერია იქნებოდა. ხოლო ბერძნობისა და რომის იმპერიის მიერ ჩაყრილი საძირკვლის გარეშე თანამედროვე ევროპა ვერ აშენდებოდა. ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთელი ჩვენი ეკონომიური, პოლიტიკური და გონებრივი განვითარების წარნამძღვარს წარმოადგენს ისეთი მდგომარეობა, სადაც მონობა ისევე აუცილებელი იყო, როგორც საყოველთაოდ აღიარებული. ამ გაგებით, ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ: თუ ანტიური მონობა არ ყოფილიყო, არც თანამედროვე სოციალიზმი იქნებოდა... რომ მონობის შემოღება იმდროინდელ პირობებში დიდი პროგრესი იყო" [2]. ამრიგად, მონობა როგორც გარკვეული ეკონომიური კატეგორია უშუალოდ არის დაკავშირებული შრომის საზოგადოებრივ დანაწილებასთან, როგორც ბურჟუაზიული მრეწველო-

[1] კ. მარქსი, ფილოსოფიის სიღატაკე, გვ. 173-174, ტფილისი, 1931.
[2] ფრ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 146-147, 1933.

ბის დასაყრდენი, რომელმაც პირველად შესაძლებელი გახადა შრომის დანაწილება და ისიც დიდი მასშტაბით სახალხო მეურნეობის ორ ძირითად დარგს შორის — მიწათმოქმედებასა და მრეწველობას შორის. მაგრამ ბარბაროსობის იმ საფეხურზე, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ და რომელიც შრომის პირველ დიდ საზოგადოებრივ დანაწილებას მოსდევს, მონობა ჯერ კიდევ არ თამაშობს იმ როლს, რომელიც მან შემდგომ შეასრულა. ამ საფეხურზე იგი საზოგადოებრივი წარმოების მხოლოდ დამხმარეს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ბარბაროსობის ამ ეტაპზე მონობას და მონური შრომის გამოყენებას შედარებით მცირე როლი აქვს, იგი მაინც იმჟამად არსებულ შრომის საზოგადოებრივ დანაწილებასთან ერთ დ უფრო აჩქარებს მეურნეობის ცალკე დარგების ზრდასა და წინსვლას. მაშასადამე, შრომის პირველი დიდი საზოგადოებრივი დანაწილების შემდეგ ვითარდება მეურნეობის ცალკე დარგები — მიწათმოქმედება, ხელოსნობა, მიმოსვლის საშუალებანი და ვაჭრობა. გამრავალფეროვანდა ადამიანის საცხოვრებელი მასალა. მეურნეობის განვითარების შესაბამისად მოსახლეობაც ჯგუფებად დაიყო, რაც თავის მხრივ მაჩვენებელი იყო შრომის საზოგადოებრივი დანაწილების კიდევ უფრო მეტი განვითარებისა და რეგულარული გაცვლის პირობების გაუმჯობესებისა და გამრავალფეროვანებისა. ამ პროცესის შესახებ სრულყოფილად მოგვითხრობს ფრ. ენგელსი. იგი წერს: „უახლოეს ნაბიჯს ბარბაროსობის ზედა საფეხურზე ავყეენართ. ესაა პერიოდი, რომელშიც ყველა კულტუროსანმა ხალხმა თავისი გმირული ხანა განვლო: ხანა რკინის მახვილისა, აგრეთვე რკინის გუთნისა და ცულისა. რკინა ადამიანის მსახური გახდა.. რკინამ შესაძლებელი გახადა მიწათმოქმედება დიდი მასშტაბით, შესაძლებელი გახადა ტყით დაფარული ერცელი ნაკრების გაკაფვა და დამუშავება;... ყოველივე ეს ნელის ნაბიჯით მიდიოდა.. მაგრამ პროგრესი შეუჩერებლივ ხდებოდა... ფიქრობა, ლითონის დამუშავება და ხელოსნობის სხვადასხვა დარგები, რომელნიც თანდათან ცალკევდებოდენ, ამრავალფერადებდენ და აუმჯობესებდენ წარმოებას... ასეთი მრავალმხრივი მოქმედებისათვის ერთი ადამიანის ძალღონე ძალიან ცოტა იყო; მოხდა შრომის მეორე დიდი დანაწილება: ხელოსნობა მიწათმოქმედებას გამოეყო“[1]. ახლა

[1] ფრ. ენგელსი, ოჯახის კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 194.

ჩვენ ვხედავთ, რომ წარმოება ორ დიდ მთავარ დარგად გაიყო. ნაწილი მიწათმოქმედებას მისდევს, ნაწილი ხელოსნობას. მიწათმოქმედებაც გამრავალფეროვანდა. ადამიანებმა ისწავლეს მარცვლეული კულტურების, პარკოვანი მცენარეების, ზეთის, ღვინის და სხვათა წარმოება. ხელოსნობაც თავის მხრივ უამრავ ქვედარგებად დაიყო, ეს იმას მოასწავებდა, რომ შექმნილიყო სასაქონლო წარმოება, წარმოება გაცვლისათვის, წარმოება პირდაპირ აღებმიცემობისათვის. ენგელსი აღნიშნავს, რომ შედეგად ამისა გაჩაღდა ვაჭრობა არა მარტო ტომის შიგნით ან ტომის საზღვრებზე, არამედ ზღვის გალმა ქვეყნებთანაც. ვაჭრობის გაჩაღება ზღვის გალმა ქვეყნებთან მოასწავებდა „რეგულარული გაცვლის“ და აღებმიცემობის „როგორც მუდმივი მოვლენის“ კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას. განვითარებული აღებმიცემობა, წარმოება პირდაპირ აღებმიცემობისათვის, სამუშაო ძალის უფრო მეტ რაოდენობას მოითხოვდა და, როგორც ენგელსი ამბობს, ღირებულება შემატა ადამიანის სამუშაო ძალას. რადგან წარმოების განვითარება ისეთ მაღალ საფეხურზე ავიდა შრომის ახალი დიდი დანაწილების შედეგად, რომ მან მოითხოვა გაცილებით მეტი სამუშაო ძალა, ვიდრე ეს საჭირო იყო ბარბაროსობის წინა საფეხურზე, ამიტომ „მონობა, რომელიც წინა საფეხურზე ჯერ კიდევ ჩანასახის მდგომარეობაში იყო და შემთხვევითს მოვლენას წარმოადგენდა, ახლა საზოგადოებრივი სისტემის არსებითი ნაწილი გახდა“ [1]. ამასთანავე „ახალი შრომის დანაწილებასთან ერთად ხდება საზოგადოების ახალი კლასობრივი გათიშვა, თავისუფალთა და მონათა განსხვავების გვერდით ჩნდება განსხვავება მდიდრებსა და ღარიბებს შორის“ [2]. სანამ განვითარებული გაცვლა რეგულარულ ხასიათს მიიღებდა, მანამდე უკვე ჩამოყალიბდა მეურნეობის გარკვეული დარგები შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შედეგად. თავდაპირველად ეს დარგები ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი დარგები იყო, ხოლო შემდეგ, გაცვლის საფუძველზე, ისინი ერთიმეორეზე დამოკიდებულ დარგებად იქცნენ. „გაცვლა-გამოცვლა კი არ ქმნის განსხვავებას წარმოების სფეროებს შორის, არამედ მას ურთიერთობაში მოყავს უკვე გახსხვავებული სფეროები და, ამნაირად, აქცევს მათ საზო-

[1] ფრ. ენგელსი. ოჯახის კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 195.

[2] იქვე, გვ. 195.

გადოებრივი მთლიანი წარმოების ერთი მეორეზე ცოტად თუ ბევრად დამოკიდებულ დარგებად[1].

როგორც ვხედავთ, ბარბაროსობის ქვედაბლეს საფეხურზე შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას ადგილი არა აქვს. აქ ადამიანები იბრძვიან მხოლოდ თავიანთი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და იშვიათ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს გაცვლა მხოლოდ ნაჭარბი პროდუქტისა. შრომის იმ დანაწილებას, რომელსაც ამ დროს ადგილი აქვს გვარსა და ოჯახში, მარქსი შრომის ბუნებრივ დანაწილებას უწოდებს, რომელიც სქესთა და ჰასაკთა განსხვავებიდან გამომდინარეობს. ე. ი. შრომის დანაწილება წმინდა ფიზიოლოგიურ საფუძველზე იყო აღმოცენებული, ხოლო ფრ. ენგელსი ამას პირველყოფილ ხასიათის შრომის დანაწილებას უწოდებს, რომელიც ორ სქესს შორის არსებობდა. ბარბაროსობის შუა საფეხურზე ცალკეულმა ტომებმა ცხოველების მოშინაურება ისწავლეს და მეჯოგე ტომებად იქცნენ. ამ ტომებში მეჯოგეობა ისე ვითარდება, რომ მეცხოველეობის პროდუქცია ახლა არა მარტო აკმაყოფილებს ტომის საკუთარ მოთხოვნილებას, არამედ გარდამეტს, ნაჭარბსაც იძლევა. ეს ნაჭარბი, ბუნებრივია, უნდა გაიცვალოს. აქ მოხდა შრომის პირველი დიდი საზოგადოებრივი დანაწილება, მოხდა განცალკევება წარმოების დარგისა, რომელმაც საფუძველი დაუდო რეგულარულ გაცვლას. ბარბაროსობის ზედა საფეხურზე მეურნეობის ახალი დარგები ჩნდება, მიწათმოქმედება და ხელოსნობა ცალკე სახეებად და ქვედარგებად იყოფა — შედეგად ხელოსნობა მიწათმოქმედებას გამოეყო და შრომის ახალი დიდი დანაწილება მოხდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ შრომის ახალ-ახალი, უფრო მეტიდაშეტი პროდუქტები მზადდებოდა აღებმიცემობისათვის. გაცვლა-გამოცვლა და აღებმიცემობა მუდმივ მოვლენად იქცევა. ამ საფეხურიდან იწყება ცივილიზაცია. აქ კიდევ ახალ მაღალ საფეხურზე ადის შრომის დანაწილება. ამასთან ერთად იგი უკვე მიღწეული შრომის დანაწილებას უფრო მეტად აძლიერებს, რაც კერძოდ ქალაქისა და სოფლის წინააღმდეგობის აღმოცენებაში გამოიხატება.

წარმოების გეოგრაფიული განლაგებისა და შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ერთი უმნიშვნელოვანესი საფეხურია ქალაქის სოფლიდან გამოყოფა, ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგო-

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 305, სახელგამი, 1930.

ბის აღმოცენება და განვითარება. ქვევით ჩვენ ვნახავთ, რომ კაპიტალისტური წარმოების გეოგრაფიული განლაგებისათვის დამახასიათებელია წარმოების დარგების დიდი თავმოყრა ცალკე ქალაქებში — დიდ სამრეწველო ცენტრებში. მაგრამ იგი წარმოების კაპიტალისტური წესის შრომის გეოგრაფიული დანაწილების უფრო მაღალი საფეხურია. აქ კი ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ „ყოველ განვითარებულ და საქონლის გაცვლა-გამოცვლით განხორციელებულ შრომის დანაწილებას საფუძვლად აქვს ქალაქის სოფლიდან გამოყოფა“ [1]. მაშასადამე, ადამიანთა საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე ქალაქის გამოყოფა სოფლიდან კანონზომიერი მოვლენაა. ქალაქი აღმოცენდება შრომის საზოგადოებრივი დანაწილების განვითარებასთან ერთად. ქალაქის სოფლიდან გამოყოფის, ხელოსნობის მიწათმოქმედებიდან გამოყოფის შედეგად ხდება კიდევ უფრო მეტად განვითარება საწარმოო ძალებისა. „Противоположность между городом и деревней начинается вместе с переходом от варварства к цивилизации... и тянется через всю историю цивилизации до нашего времени“ [2]. ასე, რომ ქალაქისა და სოფლის განცალკევება, საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარების თვალსაზრისით პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა. ქალაქის და მისი მრეწველობის გამოყოფა სოფლიდან და მისი მიწათმოქმედებიდან არა მარტო განცალკევებას ნიშნავდა, არამედ საბაზრო ურთიერთობის დამყარებასაც. ამიერიდან მრეწველობა ღებულობს სოფლის მეურნეობიდან ნედლეულს და სასურსათო პროდუქტებს და პირიქით — სოფლის მეურნეობა მრეწველობას ნაწარმს აწვდის ბაზრის მეშვეობით. ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის აღმოცენებას და შემდეგ მის განვითარებას მარქსი უდიდეს როლს აკუთვნებს. მარქსი წერს: „შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების მთელი ეკონომიური ისტორია ამ წინააღმდეგობის მოძრაობაში მიმდინარეობს“ [3]. მაშასადამე, საზოგადოების ამ ეკონომიურ ისტორიაში, ისტორიული განვითარების შესაბამისად, მისი შესატყვისი შრომის დანაწილებაც და წარმოების გეოგრაფიული განლაგებაც შედის. თუ ერთის მხრივ მარქსი და ენგელსი ქალაქსა და სოფელს შორის აღმოცენებულ წინა-

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 305.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, Немецкая идеология, стр. 40, Партиздат ЦК ВКП(б), 1935.

[3] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 305.

აღმდეგობაში და ამ წინააღმდეგობის მოძრაობაში საზოგადოების მთელ ეკონომიურ ისტორიას ათავსებენ, მეორეს მხრივ არა ნაკლები ენერგიულობით უსვამენ ხაზს იმ მახინჯ მხარეებს, რომლებიც ქალაქისა და სოფლის განცალკევებას მოყვა თან. „უკვე პირველმა შრომის დიდმა დანაწილებამ — ქალაქის და სოფლის განცალკევებამ — სოფლის მოსახლეობას ათასი წლების განმავლობაში ხიდრათ გონებრივი დაჩლუნგება არგუნა, ხოლო მოქალაქეებს ინდივიდუალური დამონება მისივე ხელობის მიერ. მან შეაფერხა პირველთა გონებრივი და მეორეთა ფიზიკური განვითარება“ [1]. მარქსი კი წერს, რომ „იგი ამახინჯებს მუშას, რადგანაც ხელოვნურად ანვითარებს მასში ერთ რომელიმე სპეციალურ უნარს და უხშობს მას მთელ დანარჩენ საწარმოო მიდრეკილებას და ნიჭს“ [2]. სოფლის მოსახლეობის ეს გონებრივი დაჩლუნგება და ხელოსანთა დამონება მისივე ხელობის მიერ თანდათან უფრო მძაფრი ხდება იმდენად, რამდენადაც თვით შრომის დანაწილება ვითარდება. ეს უკანასკნელი, როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავს, თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს მანუფაქტურაში აღწევს, იმით, რომ „მანუფაქტურა ხელოსნობას მის განცალკევებულ ნაწილობრივ ოპერაციებად შლის, თითოეულ ამ ოპერაციას განცალკევებულ მუშას აკისრებს... და ამ რიგად ამ მუშას მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში განსაზღვრულ ნაწილობრივ ფუნქციას და განსაზღვრულ სამუშაო იარაღს აჯაჭვავს“ [3]. ამით „თვით ინდივიდუმიც ნაწილდება, ნაწილობრივი შრომის ავტომატიურ მამოძრავებელ იარაღად იქცევა“ [4]. მარქსი სრული სიცხადით გვიჩვენებს, რომ შრომის მანუფაქტურული დანაწილება იმ სახით, რა სახითაც იგი ჩვენთვის ცნობილია შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმის გამო, რომ საზოგადოებაში უკვე არსებობდა განვითარების განსაზღვრულ საფეხურამდე მიღწეული შრომის დანაწილება. აღმოცენდა რა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გარკვეულ საფეხურზე შრომის მანუფაქტურული დანაწილება, შემდგომ იგი თვით ახდენს გავლენას შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაზე მისი განვითარებისა და გამრავალფეროვანების გზით.

მარქსი გვასწავლის, რომ როცა შრომის მანუფაქტურული

[1] ფრ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 247.
[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 313.
[3] ფრ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 247.
[4] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 313.

დანაწილების დროს სამუშაო იარაღების დიფერენციაცია ხდება, ეს თავის მხრივ წარმოების დარგების დანაწილებასაც იწვევს და მაგალითისათვის ჰოლანდიას ასახელებს, სადაც XVII საუკუნეში საფეიქრო მანქანების წარმოება უკვე მრეწველობის განსაკუთრებულ დარგს შეადგენდა. იხილავს რა კაპიტალისტური წარმოების მანუფაქტურულ პერიოდს, მარქსი მიუთითებს, რომ ეს ჯერ კიდევ არ არის თანამედროვე სამანქანო ინდუსტრია, მაგრამ არც საშუალო საუკუნეების ხელოსნური მრეწველობაა და არც შინამრეწველობა. მანუფაქტურული მრეწველობის აღმოცენების პირობებად მარქსს მიაჩნია:

ა) კაპიტალების დაგროვება, რომელიც ჯერ მეტად გაძლიერდა ამერიკის აღმოჩენის პერიოდიდან იმის გამო, რომ ამერიკიდან ევროპაში ეზიდებოდნენ ძვირფას ლითონებს,

ბ) კეთილი იმედის კონცხის გზით აღმოსავლეთ ინდოეთთან ვაჭრობის დამყარება,

გ) ახალ-ახალი ქვეყნების მოქცევა კოლონიურ მდგომარეობაში,

დ) ფეოდალური მებატონეების მრავალრიცხოვანი ამალის მაწანწალებად გადაქცევა. „მანუფაქტურული სახელოსნოს შექმნას წინ უძღოდა თითქმის საყოველთაო მაწანწალობა XV და XVI საუკუნეებში“ [1].

ე) მრავალრიცხოვანი გლეხობა, რომელიც ქალაქებს აწყდებოდა სახნავი მიწების საძოვრებად გადაქცევისა და სამიწათმოქმედო პროგრესის გამო, რომლის შედეგად ნაკლები მუშახელი იყო საჭირო სოფლის მეურნეობაში. მარქსი ამ აზრს ასე გადმოგვცემს: „ბაზრის გაფართოება, კაპიტალების დაგროვება, ცვლილებანი კლასთა სოციალურ მდგომარეობაში, ადამიანთა მთელი მასა, რომელთაც შემოსავლის წყარო დაეკარგათ, — აი, მანუფაქტურის წარმოშობის ისტორიული წინაპირობები“ [2].

შემდეგ მარქსი აღნიშნავს, რომ როდესაც მანუფაქტურული წარმოება ამა თუ იმ სამრეწველო დარგებზე ვრცელდებოდა, რომლებიც წარმოების საერთო პროცესში სხვა დარგებთან იყო დაკავშირებული, დაუყონებლივ ხდება მათი გამოცალკევება და იქმნება მრეწველობის დამოუკიდებელი დარგები. „როდესაც მანუფაქტურული წარმოება ვრცელდება საქონლის წარმოების რომელიმე გან-

[1] კ. მარქსი, ფილოსოფიის სიღატაკე, გვ. 207.

[2] იქვე, გვ. 207.

საკუთრებულ საფეხურზე, მაშინ ამ საქონლის წარმოების სხვადასხვა საფეხურები სხვადასხვა დამოუკიდებელ სამრეწველო დარგებად იქცევა"[1]. ამავე თვალსაზრისს ავითარებს ვ. ი. ლენინი თავისი შრომის „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" პირველ თავში, რომელიც სპეციალურად იხილავს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების საკითხს. იგი წერს: „დამმუშავებელი მრეწველობა ეთიშება ამოღებითს მრეწველობას, და თვითეული მათგანი იყოფა წვრილ დარგებად და ქვედარგებად, რომელნიც ჰქმნიან საქონლის სახით სხვადასხვა საგნებს და ცვლიან მათ ყველა დანარჩენ საწარმოო დარგის პროდუქციაზე. ამნაირად, სასაქონლო მეურნეობის განვითარება იწვევს მრეწველობის ცალკე და დამოუკიდებელი დარგების რაოდენობის გამრავლებას; ამ განვითარების ტენდენცია მდგომარეობს იმაში, რომ არამც თუ ყოველი ცალკე პროდუქტის, არამედ პროდუქტის ყოველი ცალკე ნაწილის დამუშავება იქცევა მრეწველობის განსაკუთრებულ დარგად; — და არამც თუ პროდუქტის წარმოება, არამედ ცალკე ოპერაციებიც პროდუქტის მოსახმარად გამზადებისათვის"[2]. ამ პროცესს სპეციალიზაციისა, რომელიც იწვევს წარმოების ცალკე დარგების და ქვედარგების განცალკევებას, ლენინი მიწათმოქმედებაშიც ხედავს. ეს არის კაპიტალისტური მიწათმოქმედების აღმოცენების პერიოდი, სოფლის მეურნეობის ნაწარმოებთა გაცვლა-გამოცვლის პერიოდი.

„თავის თავად ცხადია, რომ აღნიშნული განცალკევება დამმუშავებელი და ამოღებითი მრეწველობის, მანუფაქტურის და მიწათმოქმედების, აქცევს თვით მიწათმოქმედებას მრეწველობად, ე. ი. მეურნეობის ისეთ დარგად, რომელიც აწარმოებს საქონელს. სპეციალიზაციის ის პროცესი, რომელიც ერთიმეორისაგან აცალკევებს ნაწარმოების დამუშავების სხვადასხვა მხარეს და თანდათან ამრავლებს მრეწველობის დარგებს, — იჭერს თავს მიწათმოქმედებაშიც, სადაც ჩნდებიან მიწათმოქმედების სპეციალური რაიონები (და სამიწათმოქმედო მეურნეობის სისტემები), რაც იწვევს არა თუ მიწათმოქმედების და მრეწველობის ნაწარმოებთა, არამედ თვით სოფლის მეურნეობის სხვადასხვა ნაწარმოებთა გაცვლა-გამოცვლას. ეს სპეციალიზაცია სავაჭრო (და კაპიტალისტური) მიწათმოქმედებისა ჩნდება ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, იგი მკლავნდება

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 306.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. III, გვ. 15, ტფილისი, სახელგამი, 1930.

შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, მეღავნდება აგრეთვე რეფორმების შემდეგდროინდელ რუსეთში“ [1]. ყველაზე მნიშვნელოვანი აქ ჩვენთვის ის არის, რომ ახლა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების განვითარებამ იმ საფეხურს მიაღწია, როდესაც იგი შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მეღავნდება. ახლა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეჯოგე ტომების გამოყოფა ბარბაროსთა მასისაგან, ხელოსნობისა მიწათმოქმედებისაგან, ქალაქისა სოფლისაგან, მრეწველობისა და მიწათმოქმედების ცალკე დარგებად და ქვედარგებად განცალკევება და ა. შ. — ეს ისტორიულად მომდინარე ცალკე საფეხურებია ადამიანთა საზოგადოებისა და მისი მეურნეობის განვითარების ვრცელ გზაზე, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების განვითარების საფუძველზე.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ეს პროცესი განვითარების გარკვეულ საფეხურზე თავის გამოხატულებას იმაში ჰპოულობს, რომ იქმნება მრეწველობისა და მიწათმოქმედების ცალკეული დარგების ტერიტორიული განლაგება, იქმნება მთელი რაიონები და ცალკე ცენტრები, რომლებშიც წარმოების ამა თუ იმ დარგის სპეციალურ რაიონად ყალიბდება. სასაქონლო მეურნეობის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა შრომის გეოგრაფიული დანაწილება. შრომის ეს გეოგრაფიული დანაწილება მრეწველობისა თუ მიწათმოქმედების სპეციალური დარგის აღმოცენებასა და ჩამოყალიბებაში სახეირდება. რაიონის სპეციალიზაციის ეს მიმართება სხვადასხვა ისტორიული, სოციალ-ეკონომიური მიზეზით განისაზღვრება, რომელსაც ამჟამად ჩვენ აქ არ ვიხილავთ. მაგრამ, რაკი ერთი სპეციალური რაიონი აღმოცენდა, მის გვერდით მეორე სპეციალური რაიონი უნდა აღმოცენდეს, რომელიც პირველის მიმართ ან მწარმოებელი ან მომხმარებელი რაიონი იქნება; ან სხვა შემთხვევაში, შეიძლება ერთ და იმავე დროს ორივე იყოს — როგორც მწარმოებელი, ისე მომხმარებელი, თუ ეს სპეციალიზაცია საქონლის ურთიერთ გაცვლაზეა დამყარებული. ერთი სიტყვით, ერთი რაიონის სპეციალიზაცია ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული მეორე რაიონის სპეციალიზაციასთან, რომ შეიძლება ითქვას: პირველი მიზეზია ან შედეგია მეორესი. ცხადია, საქმე ამ ორი რაიონის ურთიერთობით არ მთავრდება, მაგრამ ამაზე შემდეგ. მარქსი ამ პროცესს უწოდებს შრომის დანაწილებას ადგილმდებარეობის მი-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. III, გვ. 16-17.

ხედვით. „შრომის დანაწილება ადგილმდებარეობის მიხედვით, რომელიც წარმოების ამა თუ იმ დარგს განსაზღვრული ოლქით ფარგლავს, განვითარების ახალ სტიმულს იძენს მანუფაქტურულ წარმოებაში, რომელიც ყველა თავისებურებას თავის სასარგებლოდ იყენებს“ [1]. ამ დებულების ნათელსაყოფად მარქსი, ინგლისის მრეწველობის მაგალითზე (იქვე სქოლიოში), გვაძლევს ამონაწერს ბერკლიდან, სადაც ნათქვამია შემდეგი: „განა ინგლისის ბამბის მრეწველობა დაყოფილი არ არის სხვადასხვა ნაწილებად და დარგებად, რომელნიც დაკავშირებულნი არიან განსაკუთრებულ ადგილებთან, სადაც მარტოდმარტო ან უმთავრესად ისინი არიან გამეფებულნი; წმინდა მაუდი მზადდება სომერსეტშირში, ტლანქი — იორკშირში, ორგანი — ექსეტერში, კრეპი — ნორვიჩში, ნახევრად მატყლის მატერია — კენდალში, საბნები — უიტნეიში და სხვ.?..“ [2]

თითოეული ქვეყნის, რაიონის, სამეურნეო განვითარების წარმართვა სპეციალური პროდუქტის თუ პროდუქტების წარმოებაზე იწვევს განუწყვეტელ ზრდას წარმოებისას გარკვეულ დრომდე. ეს მდგომარეობა სარეალიზაციო ბაზრის გაფართოებას მოითხოვს სივრცობრივადაც. ადგილობრივი ბაზრის საზღვრები ფართოვდება ნაციონალურ ბაზრამდე, ხოლო შემდეგ ეს უკანასკნელი საერთაშორისო ბაზრამდე ფართოვდება. „ამრიგად, მსოფლიოს ვაჭრობის ზრდა და შრომის გეოგრაფიული დანაწილების ზრდა ვითარდებიან განუწყვეტელ კავშირში ურთიერთშორის როგორც ერთი და იმავე მოვლენის ორი მხარე. ერთი რაიონის სპეციალიზაცია ერთნაირ პროდუქტებზე დაუყონებლივ იწვევს სხვა რაიონების სპეციალიზაციას სხვა პროდუქტებზე“ [3]. ამ დებულების საილუსტრაციოდ პროფ. ბარანსკის მოყავს მეფის რუსეთის მაგალითი, როცა თურქესტანში სახალხო მეურნეობის სპეციალიზაციამ ბამბის კულტურაზე გამოიწვია საჭიროება, სამაგიეროდ თურქესტანი ძოვაოაგებულიყო სასურსათო მარცვლეულით. ამ მიზნით თურქესტანის მახლობლად ორენბურგში, სამარაში და სარატოვში გაიზარდა სათესი ფართობები მარცვლეულისა.

შრომის ტერიტორიული განლაგების საკითხებს არკვევს ლენინი, როცა ხარიზომენოვს ეკამათება, ხარიზომენოვი ამტკი-

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 306.

[3] იქვე, გვ. 306-307.

[2] Н. Н. Баранский, Краткий курс эконом. географий, стр. 71, Госиздат, М.-Л., 1929.

ცებდა, რომ უზარმაზარი სივრცე რუსეთის იმპერიისა ბუნებრივ პირობათა მკვეთრი განსხვავებით ხასიათდება და, რომ ეს ბუნებრივი პირობები განსაზღვრავდენ რუსეთის მრეწველობის ხასიათს, რომ სატრანსპორტო ურთიერთობათა არახელსაყრელობა შეუძლებელს ხდიდა შორეულ მანძილზე ნედლეულის გადაზიდვას და შედეგად ამისა სარეწაოები იმ ადგილებში უნდა განვითარებულიყვნენ, სადაც მრეწველობისათვის საჭირო ნედლეული უხვად იყოო. ამ მიზეზებს უდებს სარჩულად ხარიზომენოვი რუსეთის მრეწველობის სპეციალიზაციას და მის ტერიტორიულ განლაგებას ცალკე რაიონების მიხედვით. ეს, როგორც ვხედავთ, აშკარა გეოგრაფიული მატერიალიზმის ქადაგებაა. ეკამათება რა ხარიზომენოვს, ლენინი აღნიშნავს, რომ „შრომის ტერიტორიალური დანაწილება ნიშანდობლივი თვისებაა არა ჩვენი მრეწველობის, არამედ მანუფაქტურის (როგორც რუსეთში, ისე სხვა ქვეყნებშიც); წვრილი სარეწაოები ვერ ჰქმნიდნენ ასეთ ფართო რაიონებს, ფაბრიკამ დაარღვია მათი კარჩაკეტილობა და გაადვილა საწარმოების და მუშათა მასის სხვა ადგილებში გადატანა. მანუფაქტურა არა თუ ჰქმნის მთლიან რაიონებს, არამედ შეაქვს აგრეთვე სპეციალიზაცია შიგნით ასეთ რაიონებში (შრომის დანაწილება საქონლის მიხედვით). ნედლეულის არსებობა ამ ადგილებში — სრულებითაც არაა საკმარისი მანუფაქტურისათვის... ვინაიდან მანუფაქტურა საკმაო ფართო სავაჭრო ურთიერთობას გულისხმობს“[1]. ამრიგად, ლენინი ამტკიცებს, რომ ტერიტორიული განლაგება წარმოებისა კაპიტალისტური წარმოების მანუფაქტურულ პერიოდში უკვე აღარ არის უშუალოდ დაკავშირებული ამა თუ იმ რაიონში ნედლეულის არსებობასთან, რომ მანუფაქტურული პერიოდის კაპიტალისტურ წარმოებას საბაჭრო ურთიერთობის განვითარების შედეგად და კოლონიების არსებობის პირობებში უკვე აქვს შესაძლებლობა განვითარდეს სხვა რაიონების ან სხვა ქვეყნების ნედლეულის ბაზაზეც. მანუფაქტურულ პერიოდში და მას შემდეგ ეს გარემოება უდიდეს როლს თამაშობს კაპიტალისტური წარმოების განლაგების საქმეში. სხვა ადგილას ლენინი მიწათმოქმედების განლაგებას და მიწათმოქმედებაში სპეციალიზაციის საკითხს ეხება და აღნიშნავს, რომ „თავისი საკუთარი ბუნების გამო კაპიტალიზმს მიწათმოქმედებაში (სწორედ ისე, როგორც მრეწველობაში) თანაბრად განვითარება

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. III, გვ. 415-416.

არ შეუძლია: ერთ ადგილს (ერთ რომელიმე ქვეყანაში, რაიონში, მეურნეობაში) ის აწინაურებს სოფლის მეურნეობის ერთ მხარეს, მეორე ადგილს — მეორე მხარეს და სხვ.“ [1]. მიწათმოქმედება აწარმოებს არა მარტო სასურსათო პროდუქტებს არამედ ნედლეულსაც მრეწველობისათვის. მთელ რიგ რაიონებში, განსაკუთრებით კოლონიებში უზარმაზარი ფართობები სპეციალურ ტექნიკურ კულტურებს ეთმობა. სამიწათმოქმედო წარმოება მაღალ სასაქონლო ხასიათს ღებულობს, შრომის ტერიტორიული დანაწილება ახალი სახით გეევლინება. იგი ცალკე რაიონების სპეციალიზაციაშია გამოხატული. ლენინი შრომის ამ ტერიტორიულ დანაწილებას საერთოდ შრომის დანაწილებას უკავშირებს. ვ. ი. ლენინი წერს: „შრომის დანაწილებასთან უშუალოდ დაკავშირებულია, როგორც უკვე აღინიშნა, შრომის ტერიტორიალური დანაწილება, ცალკე რაიონების სპეციალიზაცია ერთი პროდუქტის... წარმოებაში“ [2].

ქალაქის გამოყოფა სოფლიდან შრომის ტერიტორიული დანაწილების მნიშვნელოვანი საფეხურია. მაგრამ თვით ეს გამოყოფა თავის მხრივ რამდენიმე სტადიებად იყოფა. ლენინი რუსეთის კაპიტალიზმის განვითარების ანალიზისას ამ განვითარებას სამ ძირითად სტადიას აღნიშნავს. ესენია: წვრილი სასაქონლო მეურნეობა, კაპიტალისტური მანუფაქტურა და მსხვილი სამანქანო ინდუსტრია. ქალაქის სოფლიდან გამოყოფის განვითარების პროცესიც ამ სამ სტადიასთან არის დაკავშირებული. როგორც ვხედავთ, ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. გერმანიის მაგალითზე მარქსი ამტკიცებს, რომ პროცესს, შრომის დანაწილების ფართო მასშტაბით დამყარებისათვის, ე. ი. ქალაქის განცალკევებას სოფლისაგან საკმაოდ ხანგრძლივი დრო დასჭირდა. ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე ქალაქისა და სოფლის ურთიერთობა ერთგვარი არ ყოფილა იგი, რასაკვირველია, მუდმივ ცვლილებას განიცდიდა. მარქსი უდიდეს როლს ანიჭებს სწორედ ქალაქისა და სოფლის ამ ურთიერთობას, მათს ურთიერთობათა ცვლილებებს და აღნიშნავს, რომ ის ცვლილებები, რომლებსაც ამ დროს თვით საზოგადოება განიცდიდა უშუალოდ დაკავშირებული იყო ქალაქისა და სოფლის ურთიერთობის სფეროში მომხდარ ცვლილებებთანო. ამასთან დაკავშირებით მარქსი წერს: „შრომის დანაწილების მარტო ამ მხარეს

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. III, გვ. 297.
[2] იქვე, გვ. 415.

თუ მივაქცევთ ყურადღებას, ჩვენ ვპოებთ ერთ ადგილას — ძველ რეს:პუბლიკებს, მეორე ადგილას — ქრისტიანულ ფეოდალიზმს, იქ — ძველ ინგლისს მისი მემამულე ბარონებითურთ, აქ — თანამედროვე ინგლისს მებამბე ლორდებითურთ (cotton lords) XIV და XV საუკუნეებში, როდესაც ევროპისთვის ჯერ კიდევ არ არსებობდა ამერიკა, როდესაც აზია მისთვის არსებობდა მხოლოდ კონსტანტინოპოლის მეშვეობით, როდესაც ხმელთაშუა ზღვა სავაჭრო საქმიანობის შუაგულს წარმოადგენდა, შრომის დანაწილებას სრულიად სხვა ფორმა, სრულიად სხვა სახე ჰქონდა, ვიდრე XVII საუკუნეში, როდესაც ესპანელებმა, პორტუგალელებმა, ჰოლანდიელებმა, ინგლისელებმა, ფრანგებმა ახალშენები მოაწყვეს დედამიწის ყველა ნაწილში“ [1]. მაშასადამე, მარქსისა და ლენინის მოძღვრებით მჭიდრო ურთიერთობა არსებობს შრომის დანაწილებასა, ქალაქისა და სოფლის ერთიმეორისაგან განცალკევებასა და ამ მოვლენების შესაბამისად საზოგადოების შიგნით მომხდარ ცვლილებებს შორის. ეს მოვლენები ასე წარმოგვიდგება: შრომის საზოგადოებრივი დანაწილება გარკვეულ საფეხურებს გაივლის და შემდეგ იგი შრომის ტერიტორიულ და შრომის საერთაშორისო დანაწილებაში სახიერდება.

სასაქონლო მეურნეობის განვითარება დაფუძნებულია შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაზე. ე. ი. შრომის საზოგადოებრივი დანაწილება სასაქონლო მეურნეობის საფუძველია. ამ ურთიერთობის შედეგად მიღებული განვითარებული სასაქონლო მეურნეობა ქალაქად და სოფლად იყოფა, ე. ი. განვითარებული სასაქონლო მეურნეობა თვით არის საფუძველი ქალაქის გამოცალკევებისა სოფლიდან. ქალაქისა და სოფლის ერთიმეორისაგან განცალკევებას საქონლის გაცვლა უფრო მაღალ საფეხურს აჰყავს, ე. ი. უფრო მუდმივ და უფრო რეგულარულ მოვლენად აქცევს მას. მაშასადამე, ქალაქისა და სოფლის განცალკევება ახლა თვით ხდება საფუძველი შრომის ისეთი დანაწილებისა, რომელიც საქონლის განვითარებული გაცვლითაა შეპირობებული.

ახლა ჩვენ კაპიტალიზმის შემდეგი საფეხური უნდა განვიხილოთ, ეს საფეხური მსხვილი მანქანური ინდუსტრიაა. მოვიყვანოთ ამ პერიოდის ლენინისეული დახასიათება. აი რას ამბობს ლენინი: „მანუფაქტურიდან ფაბრიკაზე გადასვლა მოასწავებს სრულ ტექნიკურ გადატრიალებას, რომელიც სპობს ხელოსნის საუკუნეებით

[1] კ. მარქსი, ფილოსოფიის სიღატაკე, გვ. 195-196.

განმტკიცებულ მუშაობის ხელოვნებას, ხოლო ამ ტექნიკურ გადატრიალებას აუცილებლად თან სდევს წარმოების საზოგადოებრივი ურთიერთობის მძაფრი რღვევა, საბოლოო გათიშვა წარმოებაში მონაწილე პირთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის, კავშირის სრული გაწყვეტა ტრადიციასთან, კაპიტალიზმის ყველა ბნელი მხარის გამწვავება და გაფართოება და ყოველივე ამასთან ერთად შრომის მასობრივი განსაზოგადოებაც კაპიტალიზმის მიერ. ამნაირად, მსხვილი სამანქანო ინდუსტრია კაპიტალიზმის უკანასკნელი სიტყვაა, უკანასკნელი სიტყვა მისი უარყოფითი და „დადებითი მოვლენების“ [1].

კაპიტალისტური წარმოების მანუფაქტურული პერიოდის შემდგომ საფეხურზე, სამანქანო ინდუსტრიის დროს, შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და წარმოების გეოგრაფიული განლაგება სულ სხვა ხასიათს ატარებს, სულ სხვა სახეს იღებს. დამახასიათებელი თავისებურება მანუფაქტურული პერიოდის შემდეგდროინდელი კაპიტალიზმისა არის წარმოების არათანაბარი განლაგება, მრეწველობის თავმოყრა იმპერიალისტური ქვეყნების მცირე ჯგუფის ხელში, რომლებმაც თავის აგრარულ-სანედლეულო დანამატად გადააქციეს მთელი დანარჩენი კაპიტალისტური მსოფლიო, განსაკუთრებით კი კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნები. ცალკე კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით მრეწველობის თავმოყრა ზოგიერთ რაიონებსა და დიდ ქალაქებში, მოწყვეტა წარმოებისა ნედლეულის წყაროებიდან და სხვა. მრეწველობის თავმოყრას დიდ ქალაქებში ადგილი აქვს სამანქანო ინდუსტრიის პერიოდში, მანუფაქტურაში იგი ამ თავმოყრას ვერ აღწევდა ტექნიკის განვითარების იმდროინდელი დონის გამო, იმის გამო, რომ მაშინ არ იყენებდნენ ორთქლის ძალას და მანუფაქტურის მამოძრავებელი წყლის ბორბალი იყო.

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მხოლოდ უატის მეორე მანქანის გამოგონების შემდეგ იქნა ნაპოვნი პირველი მოტორი, უნივერსალური ძრავი, რომელმაც რევოლუცია მოახდინა წარმოებაში, წარმოების ადგილიდან ადგილზე გადაადგილების საქმეში. „მხოლოდ უატის მიერ გამოგონილი მეორე მანქანის სახით, ეგრეთწოდებული ორმაგად მოქმედი ორთქლის მანქანის სახით იქნა მოცემული ისეთი მოტორი, რომელიც ნახში-

[1] ლ ე ნ ი ნ ი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 142-143, ტფილისი, 1934.

რისა და წყლის დახარჯვით თვითონვე ჰქმნის თავის მამოძრავებელ ძალას და რომლის მოქმედება სრულიად ეშორჩილება ადამიანის კონტროლს. თვით მოძრავი და თან საშუალებაც მიმოძრაობისა, ქალაქური ხასიათის მქონე და არა წყლის ბორბალსავით სოფელს მიმაგრებული, იგი ხელს უწყობს წარმოების კონცენტრაციას ქალაქებში, ნაცვლად იმისა, რომ დაქსაქსოს სოფლებში, როგორც ამას იწვევდა წყლის ბორბალი“ [1]. იქვე მარქსს A. Redgrave-დან მოჰყავს ამონაწერი წყლის და ორთქლის ძალის მნიშვნელობისა და როლის შესახებ, სადაც ნათქვამია: „ტექსტილური მანუფაქტურის არსებობის პირველ ხანებში საწარმოოს ადგილმდებარეობა დამოკიდებული იყო ისეთი წყლის ნაკადის არსებობაზე, რომლის ვარდნილობა საკმარისი იყო წყლის ბორბლის საბრუნებლად. თუმცა წყლით მოძრავი ფაბრიკების დაარსება შინამრეწველობის სისტემის განადგურების დასაწყისს მოასწავებდა, მაგრამ ეს ფაბრიკები, რომელნიც ძალაუნებურ მოთავსებული იყვნენ წყლის ნაკადების გასწვრივ და ხშირად ერთი მეორეზე საკმაო დაშორებით, უფრო სასოფლო სისტემის ნაწილს წარმოადგენდნენ, ვიდრე საქალაქოსას. მხოლოდ ორთქლის ძალის შემოღება, წყლის ძალის ნაცვლად, იწვევს ფაბრიკების თავმოყრას ქალაქებში და იმ ადგილებში, სადაც საკმარისად მოიპოვება ორთქლის წარმოებისათვის საჭირო წყალი და ნახშირი. ორთქლის მანქანა სამრეწველო ქალაქების დედაა“ [2].

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ მანქანა თავისთავად არ წარმოადგენს ეკონომიურ კატეგორიას და, მაშასადამე, არც ორთქლის ძრავი თავისთავად არ წარმოადგენს სამრეწველო ქალაქების დედას, იგი თავისთავად არ იწვევს და არც შეუძლია გამოიწვიოს მეურნეობის ამა თუ იმ დარგების თავმოყრა გარკვეულ ადგილებში. მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების წესი და კაპიტალისტთა ინტერესები მოგების მაღალი ნორმის მიღებისა იწვევს კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი წარმოების განლაგებას, მრეწველობის მოწყვეტას სანედლეულო ბაზებიდან და მის კონცენტრაციას ქალაქებში.

მარქსი მანქანების გამოგონებას უკავშირებს მანუფაქტურული მრეწველობისა და სამიწათმოქმედო მრეწველობის განცალკევებას

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 327.

[2] იქვე, გვ. 327.

და აგრეთვე იმის შესაძლებლობას, რომ მრეწველობის დარგები განლაგებულ იქნას სხვა ადგილებში და არა უმთავრესად იქ, სადაც ნედლეულია. რადგან ეს შესაძლებლობა წარმოებამ მიიღო, მრეწველობის დარგების/ გეოგრაფიული განლაგების საზღვრები მნიშვნელოვნად გაფართოვდა. მანქანისა და ორთქლის გამოყენებამ შესაძლებელი გახადა მსხვილი მრეწველობისა და მსოფლიო ბაზრის აღმოცენება. მოვუსმინოთ, რას ამბობს ამის შესახებ მარქსი: „მანქანების გამოგონებამ დაასრულა მანუფაქტურული მრეწველობის განცალკევება სამიწათმოქმედო მრეწველობისაგან. ფეიქარი და მრთველი, რომლებიც უწინ ერთ ოჯახში იყვნენ თავმოყრილნი, მანქანამ გააცალკევა ერთმანეთისაგან. მანქანის მეოხებითაა, რომ მრთველს შეუძლია ინგლისში ცხოვრობდეს, მაშინ, როდესაც ფეიქარი აღმოსავლეთ ინდოეთში ცხოვრობს. მანქანების გამოგონებამდე ამა თუ იმ ქვეყნის მრეწველობა უმთავრესად იმ ნედლი მასალის დამუშავებას აწარმოებდა, რომელსაც მისი საკუთარი მიწა იძლეოდა: ასეთი იყო ინგლისში — მატყლი, გერმანიაში — სელი, საფრანგეთში — აბრეშუმი და სელი, აღმოსავლეთ-ინდოეთში და ლევანტში — ბამბა და სხვ. მანქანისა და ორთქლის გამოყენების წყალობით შრომის დანაწილებამ ისეთი მოცულობა მიიღო, რომ მსხვილი მრეწველობა, ეროვნულ ნიადაგს მოწყვეტილი, მარტოოდენ მსოფლიო ბაზარზე, საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლაზე, შრომის საერთაშორისო დანაწილებაზე არის დამოკიდებული“ [1].

თითოეული კაპიტალისტის სწრაფვა იმისაკენ, რომ რაც შეიძლება მეტი მოგება მიიღოს, აიძულებს რას კიდევ უფრო განავითაროს და წინ წასწიოს ტექნიკა, შექმნას გაუმჯობესებული მანქანები და გაიმარჯვოს საკონკურენციო ბრძოლაში. თვით ეს საკონკურენციო ბრძოლა ერთი წარმოებისა მეორე წარმოებასთან, წარმოების ერთი დარგისა მეორე დარგთან, ერთი ქვეყნისა მეორე ქვეყანასთან კაპიტალისტური წარმოების უსაზღვრო გაფართოების ტენდენციაში გამოვლინდება, იგი შეადგენს რა კაპიტალისტური წარმოების ერთ-ერთ საყოველთაო ტენდენციას, რადგან „კაპიტალის მუდმივი გადიდება პირობა ხდება მისი შენარჩუნებისათვის“ [2].

კაპიტალისტური წარმოების განვითარება მიიმართება კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის გზით. „კაპიტალის-

[1] კ. მარქსი, ფილოსოფიის სიღატაკე, გვ. 210-211.
[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. II, გვ. 51.

ტურ წარმოებას უკვე ეღარ აკმაყოფილებს შინაგანი ბაზარი" [1]. იგი, მაშასადამე, იძულებულია ეძიოს საგარეო ბაზარი, საქონლის გასაღების სფერო; ამავე დროს საკუთარ ქვეყანაში ნედლეულის არასაკმარისობა აიძულებს მას კვლავ საკუთარი ქვეყნის გარეთ ეძიოს სხვადასხვა საჭირო ნედლეული. რასაკვირველია, ეს პროცესი სხვადასხვა კაპიტალისტურ ქვეყანაში სხვადასხვანაირია, რასაც ამ ქვეყნების ეკონომიური განვითარების ისტორია მოგვითხრობს, მაგრამ იგი საერთოდ დამახასიათებელია ყველა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისათვის, იმპერიალისტური ქვეყნებისათვის, რომელთა ხელშია მოქცეული სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგების (მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ელექტროტექნიკა, ქიმიური მრეწველობა, რკინიგზები და სხვა) უდიდესი ნაწილი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ გზას ვერ აცდა ისეთი დიდი ქვეყანაც კი, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, რომელსაც, როგორც ნედლეულის ისე შინაგანი ბაზრის ტევადობის მხრივ გაცილებით უკეთესი ხელსაყრელი პირობები ჰქონდა და აქვს, ვიდრე ზოგიერთ სხვა კაპიტალისტურ ქვეყანას. მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულიდან და განსაკუთრებით ახლა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატები საგარეო ბაზრების ხელში ჩაგდების მიზნით, საერთაშორისო ბაზარზე თავისი გავლენის გაძლიერებისათვის ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული ქვეყანათაგანია. ნედლეულისა და შინაგანი ბაზრის შეზღუდულობას განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში და აქედან გამომდინარე ბრძოლას საგარეო ბაზრებისათვის შედეგად ის მოჰყვა, რომ მთელი რიგი ქვეყნები და მთელი კონტინენტებიც კი გადაიქცნენ სწორედ ამ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების კოლონიებად ნახევარ კოლონიებად და დამოკიდებულ ქვეყნებად, როგორც ნედლეულის წყარო, საქონლის გასაღების სფერო, კაპიტალის დაბანდების ადგილი, მონოპოლიური ზემოგების საშუალება და ბოლოს, როგორც იარაღი მოწინააღმდეგე ქვეყნების დასამარცხებლად.

კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში, მანქანური წარმოების განვითარებასთან დაკავშირებული და მისგან გამომდინარე შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, რაც გამოიხატა იმაში, რომ წარმოებაში გაუმჯობესებული მანქანის შემოღებამ თვით გა-

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, მანიფესტი კომუნისტური პარტიისა, გვ. 19, სახელგამი, 1928.

მოიწვია ნედლეულის მიწოდების გადიდების აუცილებლობა და რიგი ქვეყნების გადაქცევა ნედლეულის წარმოების ასპარეზად, მარქსს ასე აქვს დახასიათებული: „მანქანა, ერთის მხრივ, პირდაპირ იწვევს ნედლი მასალის გადიდებას, როგორც, მაგალითად, cottongin-მა ბამბის წარმოების გადიდება გამოიწვია. მეორეს მხრივ, მანქანური პროდუქტის სიიაფე და ტრანსპორტისა და ცნობათა გადაცემის პირობებში მომხდარი გადატრიალება იარაღია უცხო ბაზრების დასაპყრობად. მანქანური წარმოება, არადგურებს რა მათ ხელოსნურ წარმოებას, აქცევს მათ იძულებით თავისთვის — მანქანური წარმოებისათვის — ნედლეულის წარმოების ასპარეზად. ასე, მაგალითად, ოსტინდია იძულებული გახდა ეწარმოებია დიდი ბრიტანეთისათვის ბამბა, მატყლი, ქერელი, ჯუტი, ინდიგო და სხვა. მსხვილი მრეწველობის ქვეყნებში მუშების მუდმივი გადაქცევა „ზედმეტ მოსახლეობად“ იწვევს იძულებულ ემიგრაციას და უცხო ქვეყნების კოლონიზაციას, რომელნიც ნედლი მასალის პლანტაციებად იქცევიან მეტროპოლიისათვის, როგორც მაგალითად, ავსტრალია გადაიქცა მატყლის წარმოების ადგილად“[1]. ამ აზრის ნათელსაყოფად, მარქსს იქვე, სქოლიოში მოჰყავს შემდეგი ციფრობრივი მაჩვენებლები: ბამბის გაზიდვა ოსტინდიიდან დიდ ბრიტანეთში 1846 წელს შეადგენდა 34.540.143 გირვანქას, 1860 წელს — 204.141.168 გირვანქას, 1865 წელს — 445.947.600 გირვანქას; მატყლის გაზიდვა ოსტინდიიდან დიდ ბრიტანეთში 1846 წელს შეადგენდა 4.570.581 გირვანქას, 1860 წელს — 20.214.173 გირვანქას, 1865 წელს 20.679.111 გირვანქას; მატყლის გაზიდვა კეთილი იმედის კონცხიდან დიდ ბრიტანეთში 1846 წელს შეადგენდა 2.958.457 გირვანქას, 1860 წელს — 16.474.345 გირვანქას, 1865 წელს 29.920.623 გირვანქას; მატყლის გაზიდვა ავსტრალიიდან დიდ ბრიტანეთში 1846 წელს შეადგენდა — 21.789.346 გირვანქას, 1860 წელს — 59.166.616 გირვანქას, 1865 წელს — 109.734.261 გირვანქას.

ეს ციფრობრივი მონაცემები მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულისა და მეორე ნახევრის დასაწყისის 20 წლის პერიოდს შეეხება, იმ პერიოდს, როდესაც ინგლისმა კაპიტალისტური განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია, წარმოადგენდა რა მსოფლიო ფაბრიკას, მსოფლიო კრედიტორს და მსოფლიო

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 400.

ტვირთმზიდავს. ამ ციფრობრივი მონაცემებით ჩვენ ვხედავთ, რომ იმ ბრიტანეთმა, რომელიც სწორედ სამანქანო ინდუსტრიის უპირველესი ქვეყანა იყო, თავისი მრეწველობის ინტერესებისათვის ინდოეთი, აფრიკა, ავსტრალია გადააქცია აგრარულ-სანედლეულო დანამატად. ეს ის პერიოდია, როდესაც განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ბრძოლა საგარეო ბაზრისათვის კიდევ უფრო მძაფრი ხდება და მსოფლიო ბაზრის ორომტრიალში ჩათრეულია ჩამორჩენილი ქვეყნები, როგორც განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების სანედლეულო დანამატი. ეს იმას ნიშნავს, რომ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობის ინტერესებისათვის იქმნება, თუ შეიძლება ასე ითქვას, უდიდესი სამეურნეო ოლქები — ცალკე ქვეყნებისა და კონტინენტების სახითაც კი, რომლებიც თავიანთ სამეურნეო სპეციალიზაციას იძულებითი წესით წარმართავენ არა საკუთარი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესიდან გამომდინარე. მოვიყვანთ კიდევ ფაქტიურ ცნობებს ზემოთაღნიშნულის საილუსტრაციოდ.

ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი	ექსპორტის მთავარი საგნები და მათი ხვედრითი წილი საერთოდ ექსპორტში 1929 წ.
ბრაზილია	ყავა 71%
ჩ ი ლ ი	გვარჯილა 42%, სპილენძი 41%
ვენესუელა	ნავთი 76%, ყავა 17%
კოლუმბია	ყავა 61%, ნავთი 23%
კ უ ბ ა	შაქარი 80%, თამბაქო და თ. ნაწ. 12%
ცენტრალ. ამერიკა (6 ქვეყანა ერთად)	ყავა 56%, ბანანი 33%
ე გ ვ ი პ ტ ე	ბამბა და ბამბის თესლი 86%
ოქროს ნაპირი	კაკაო 78%
ი რ ა ნ ი	ნავთის პროდუქტები 68%
ახალი ზელანდია	მეცხოველეობის პროდუქტ. 92%[1]

[1] И. А. Витвер, Историко-географическое введение в экономическую и политическую географию капиталистического мира, стр. 187, изд. МГУ., Москва, 1945.

ეს ცნობები იმას მოწმობს, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნები, აფრიკის ქვეყნები და სხვ. გადაქცეულნი არიან განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობის სანედლეულო დანამატად. ეს იმას მოწმობს, რომ ამ ქვეყნების მეურნეობა გადაქცეულია მსოფლიო მეურნეობის ნაწილად. მათი სამეურნეო სპეციალიზაცია წარმართულია რამდენიმე კულტურის მაღალი სასაქონლო წარმოებისაკენ. აქ შრომის განაწილება ისეთია, რომ ისინი უაღრესად დამოკიდებულნი არიან საგარეო ბაზარზე, როგორც თავისი პროდუქტების გატანითა და რეალიზაციით, ისე სხვა საჭირო პროდუქტებისა და სამრეწველო ნაწარმის შეტანით. მაგრამ ყველაფერი ეს ხომ კაპიტალისტური მსოფლიოს ბაზრის დამახასიათებელი განვითარების მაჩვენებელია, ეს მაჩვენებელია კაპიტალისტური მსოფლიოს ხალხთა სამეურნეო ურთიერთობის კაპიტალისტური განვითარებისა, შრომის დანაწილების, შრომის საერთაშორისო დანაწილების ხარისხამდე აყვანისა.

დიდი ბელადი, ამხანაგი ი. ბ. სტალინი კაპიტალისტური მსოფლიოს ზემოდაღნიშნული პროცესების განხილვისას ააშკარავებს ერთის მხრივ მათს პროგრესულ მნიშვნელობას, მეორეს მხრივ იმპერიალისტური ქვეყნების მიერ კოლონიური ქვეყნების ექსპლოატაციის ბუნებას.

ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) XII ყრილობისათვის შემუშავებულ თეზისებში „ნაციონალური მომენტები პარტიულ და სახელმწიფო მშენებლობაში“ წერს შემდეგს: „კაპიტალიზმის შემდგომმა განვითარებამ, მსოფლიოს ბაზრის განვითარებამ... კაპიტალის გატანამ და სხვ. . . სულ სხვადასხვა ხალხები შრომის საერთაშორისო დანაწილებისა და ყოველმხრივი ურთიერთ დამოკიდებულების ძაფებით შეაკავშირა, რამდენადაც ეს პროცესი გამოხატავდა საწარმოო ძალთა კოლოსალურ განვითარებას, ... იგი იყო და რჩება პროგრესიულ პროცესად ... ხალხთა ურთიერთ დამოკიდებულება და ტერიტორიების სამეურნეო გაერთიანება მყარდებოდა კაპიტალიზმის განვითარების პროცესში არა ხალხთა, როგორც თანასწორუფლებიან ერთეულთა, თანამშრომლობის გზით, არამედ ერთი ხალხის მიერ მეორის დამორჩილების წესით ... კოლონიალური ძარცვა და დაპყრობა, ნაციონალური ჩაგვრა და უთანასწორობა, იმპერიალისტური თვითნებობა და ძალდატანება, კოლონიალური მონობა და ნაციონალური უუფლებობა, ბოლოს, „ცივილიზებული“ ერების ბრძოლა ურთიერთშორის „არაცივილიზებულ“ ხალხებზე

ბატონობისათვის, — ასეთია ის ფორმები, რომელთა ჩარჩოშიაც მიმდინარეობდა ხალხთა სამეურნეო დაახლოების პროცესი“ [1].

ამრიგად, სტალინი გვასწავლის, რომ არსებობს ერთი მხრივ ხალხთა სამეურნეო დაახლოების ტენდენცია, მაგრამ ეს ტენდენცია კაპიტალისტურ სამყაროში ძალდატანებითია. ამიტომ მეორეს მხრივ იზრდებოდა ტენდენცია ამ ძალდატანებითი გაერთიანების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა იყო და არის კოლონიალური ხალხების ბრძოლა იმპერიალისტური ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებისათვის. ეს ბრძოლა ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

მთელ რიგ კოლონიებში, კერძოთ აღმოსავლეთ აფრიკის კოლონიებში, მიწები ინგლისელებს ეკუთვნით და მეურნეობის სპეციალიზაციაც შერჩეულია ინგლისელების ინტერესების შესაბამისად. დასავლეთ აფრიკის ქვეყნებში მიწები მცირე გამონაკლისის გარდა თვით ადგილობრივი მოსახლეობისაა, მაგრამ მოსახლეობას თავისი სურვილის მიხედვით არ შეუძლია აწარმოოს ესა თუ ის სასოფლო-სამეურნეო კულტურა, არამედ უნდა აწარმოოს ის, რაც ინგლისელებს სურთ (კაკაო, ბამბა და სხვ.). საყოველთაოდ ცნობილია ირლანდიაში შალის მრეწველობის განადგურება ინგლისელთა ძალდატანების შედეგად. ინგლისელი მრეწველები ხედავდნენ, რომ ირლანდიაში სამუშაო ძალა უფრო იაფი იყო ვიდრე ინგლისში. ამის გამო მათ ეშინოდათ, რომ ირლანდიელები შალის ქსოვილს უფრო იაფად გაყიდდნენ. ინგლისელები მოითხოვდნენ საქმეში პარლამენტისა და მთავრობის ჩარევას და მართლაც მთელი რიგი რეპრესიული ზომების მიღების შემდეგ — 1698 წელს ირლანდიის საფეიქრო დაზგების მუშაობა შეწყდა და 20 ათასი ირლანდიელი ხელოსანი იძულებული შეიქნა ამერიკაში გამგზავრებულიყო. ასეთი ამბები მეორდებოდა ყველგან. სტალინი, ხალხთა დიდი ბელადი, ზემოაღნიშნულ თეზისებში კოლონიალური ხალხების იმ ბრძოლას, რომელიც მიმართული იყო და არის სამეურნეო გაერთიანების ძალდატანებითი ფორმის წინააღმდეგ, უწოდებს პროგრესულ მოვლენას.

ეს პროცესი შრომის საერთაშორისო დანაწილებისა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსათვის უკვე არსებითად დასრულდა. იგი იმაში გამოვლინდა, რომ მსოფლიოს მეურნეობა ორ დიდ ნაწილად გაიყო:

---

[1] ი. სტალინი, მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი, გვ. 139-140, ტფილისი, 1934.

მრეწველობის ქვეყნებად და სოფლის მეურნეობის ქვეყნებად. ისევე, როგორც შრომის დანაწილება ქალაქსა და სოფელს შორის არის შრომის გეოგრაფიული დანაწილება, ასევე ქვეყნების დაყოფა მრეწველობის ქვეყნებად და აგრარულ ქვეყნებად არის შრომის გეოგრაფიული დანაწილება, მაგრამ უკვე საერთაშორისო მასშტაბით. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ქვეყნების პირველ ჯგუფში სამრეწველო მოსახლეობა, ხოლო მეორე ჯგუფში სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობა გადიდდა. „იქმნება შრომის ახალი საერთაშორისო დანაწილება, რომელიც შეესაბამება მანქანური წარმოების მთავარი ცენტრების ადგილმდებარეობას და რაც დედამიწის ერთ ნაწილს განსაკუთრებით მიწათმოქმედების ასპარეზად აქცევს და მეორე ნაწილს — განსაკუთრებით მსხვილი მრეწველობის ასპარეზად“ [1].

ჩვენ ვნახეთ, რომ შრომის საზოგადოებრივი დანაწილება მნიშვნელოვან საფეხურებს გაივლის მისი აღმოცენებიდან დაწყებული შრომის საერთაშორისო დანაწილებამდე, რომლის შედეგად ერთ მხარეზე დგას ქვეყნები მაღალგანვითარებული ინდუსტრიით, ხოლო მეორე მხარეზე დგას ქვეყნები, რომელთა მეურნეობა რომელიმე ძვირფასი წიაღისეულის ამოღებით და სოფლის მეურნეობის ერთი ან ორი პროდუქტის წარმოებით განისაზღვრება, თუმცა აქვს კი ყველა შესაძლებლობა იყოს მრავალფეროვანი, განვითარებული ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის ქვეყანები. მაშასადამე, კაპიტალისტურ მსოფლიოში ამჟამად შრომის საერთაშორისო დანაწილების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ განვითარებულმა ქვეყნებმა, იმპერიალისტურმა ქვეყნებმა, თავიანთი ბატონობა რომ შეინარჩუნონ, დედამიწის სხვადასხვა ნაწილში უნდა შენახულ იქნას ნედლეულისა და სოფლის მეურნეობის განსაკუთრებული რაიონები, როგორც დანამატი, როგორც აუცილებელი პირობა პირველთა არსებობისა და განვითარებისათვის, მსგავსად იმისა, როგორც კაპიტალის მუდმივი გაზრდება პირობა ხდება მისი შენარჩუნებისათვის.

შრომის პირველი დიდი საზოგადოებრივი დანაწილებიდან შრომის ახალ საერთაშორისო დანაწილებამდე, ყოველ ახალ საფეხურს შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისას, როგორც მაგალითად ხელოსნობის გამოყოფა მიწათმოქმედებიდან და სხვა, ორგანიულად თან სდევდა მისი შესაბამი გეოგრაფიული განლაგება წარმოებისა,

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 401.

ე. ი. შრომის დანაწილება ადგილმდებარეობის მიხედვით. ქალაქის გამოყოფა სოფლიდან, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების და ქვედარგების განცალკევება, კაპიტალისტური წარმოების მოწყვეტა ნედლეულის ბაზებიდან, მრეწველობის თავმოყრა დიდ ქალაქებში და სხვ. ცალკე რგოლებია ერთი მთლიანი ჯაჭვისა, რომელიც მიემართება როგორც განუწყვეტელი პროცესი შორეული წარსულიდან და რომელიც თანამედროვე კაპიტალისტური მსოფლიოს ეკონომიური ცხოვრების არსში სახიერდება.

მთელი ეს პროცესი შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და მისი შესაბამი წარმოების ტერიტორიული განლაგება არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც რაღაც თავისთავადი წმინდა ეკონომიური პროცესი, არამედ იგი შეიცავს ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ხანგრძლივ გზას სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრებისას.

მსგავსად იმისა, რომ შრომის პირველმა დიდმა საზოგადოებრივმა დანაწილებამ გარდაუვალი აუცილებლობით გამოიწვია მონობის დამყარება, მსგავსად იმისა, რომ შრომის მეორე დიდმა საზოგადოებრივმა დანაწილებამ საზოგადოების ახალი კლასობრივი გათიშვა გამოიწვია, შრომის ახალმა საერთაშორისო დანაწილებამ მთელი რიგი ქვეყნები გადააქცია დაბეჩავებულ და დამონებულ ქვეყნებად — კოლონიებად, ნახევარკოლონიებად და დამოკიდებულ ქვეყნებად. ეს ბრძოლა გაბატონებისა და დამორჩილებისათვის მეტად ხანგრძლივი, სასტიკი, დაუნდობელი იყო და არის. ამ ბრძოლამ მილიონი დაბეჩავებული ადამიანების სიცოცხლე შეიწირა. ამ ბრძოლას მარქსი შემდეგნაირად ახასიათებს: „ოქროს და ვერცხლის მადნეულობის აღმოჩენა ამერიკაში, ადგილობრივი მოსახლეობის აღმოფხვრა, დამონავება და ცოცხლად დამარხვა მაღაროებში, პირველდაწყებითი ნაბიჯები ოსტინდიის დაპყრობისა და გაძარცვისა, აფრიკის გადაქცევა შავკანიანებზე ნადირობის ველად, — აი რა ახასიათებს კაპიტალისტური წარმოების ხანის განთიადს. ეს იდილიური პროცესები პირვანდელი დაგროვების მთავარი მომენტებია. ამას თან მოსდევს ევროპის ერების სავაჭრო ომი, რომლის ასპარეზსაც მთელი დედამიწა შეადგენს. ეს ომი ... დღესაც გრძელდება მტაცებლური ომის სახით, მაგალითად, ოპიუმის გულისათვის ჩინეთის წინააღმდეგ და სხვ.“ [1]. ამის შემდეგ კაპიტა-

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 693.

ლიზმმა თავისი განვითარების უმაღლეს სტადიას — იმპერიალიზმის სტადიას მიაღწია. კაპიტალიზმის განვითარების უმაღლეს და უკანასკნელ სტადიაში შრომის დანაწილება და წარმოების ტერიტორიალური განლაგება კიდევ უფრო მეტად მწვავდება, უფრო არათანაბარი ხდება. კაპიტალისტური წარმოების განლაგების ყველა წინააღმდეგობანი კიდევ უფრო მწვავდება იმპერიალიზმის დროს. ქალაქისა და სოფლის წინააღმდეგობა, წარმოების მოწყვეტა სანედლეულო ბაზებიდან, მეტროპოლიებსა და კოლონიებს შორის განვითარების შეუსაბამობა კიდევ უფრო ძლიერდება.

ლენინს იმპერიალიზმის დასახასიათებლად მოჰყავს ხუთი ძირითადი ნიშანი, როგორიცაა: 1. კაპიტალის და წარმოების კონცენტრაცია, 2. საბანკო კაპიტალის შედუღება სამრეწველოსთან, 3. კაპიტალის გატანა, 4. კაპიტალისტთა საერთაშორისო მონოპოლიების დაარსება, 5. დედამიწის ტერიტორიული დანაწილება უმსხვილეს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის და ასკვნის, რომ „იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმის განვითარების ის სტადია, როდესაც უკვე არსებობს მონოპოლიათა და საფინანსო კაპიტალის ბატონობა, როდესაც კაპიტალის გატანას უკვე უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როდესაც დაწყებულია ქვეყნიერების დანაწილება საერთაშორისო ტრესტების მიერ და უკვე მოთავებულია დედამიწის მთელი ტერიტორიის დანაწილება უმსხვილეს კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის“ [1]. იმპერიალიზმის ამ თვისობრივი ნიშნების შესაბამისად მყარდება შრომის საერთაშორისო დანაწილება. ცალკე კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის არსებული შრომის დანაწილება იმპერიალიზმის ეპოქაში იცვლება. იცვლება იმ კონკურენციისა და წინააღმდეგობათა შესაბამისად, რომელთაც ადგილი აქვთ მათ შორის. ეს წინააღმდეგობანი ი. ბ. სტალინმა ს. კ. პ. (ბ) XVI ყრილობაზე დაახასიათა როგორც წინააღმდეგობანი უმნიშვნელოვანეს იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის, პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულ ქვეყნებსა და დამარცხებულ ქვეყნებს შორის, იმპერიალისტურ სახელმწიფოებსა და კოლონიალურ და დამოკიდებულ ქვეყნებს შორის, წინააღმდეგობანი ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის და წინააღმდეგობანი საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის.

---

[1] ვ. ი. ლენინი, იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, გვ. 78, მესამე გამოცემა, ტფილისი, 1932.

იმპერიალიზმის ეპოქაში შრომის საერთაშორისო დანაწილება ხშირ ცვლილებას განიცდის, რაც გამოწვეულია ცალკე ქვეყნების და წარმოების ცალკე დარგების არათანაბარი განვითარების გამო. „კაპიტალიზმის დროს მრეწველობის ცალკე დარგთა, ცალკე დაწესებულებათა და ცალკე ქვეყანათა განვითარების უთანასწორობა და ნახტომიანობა აუცილებელი მოვლენაა"-ო[1],—ამბობს ლენინი. მაშასადამე, კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოების განვითარებასა და განლაგებას შორის არსებული განსხვავების საფუძველია კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობა. ლენინი გვასწავლის, რომ თანაბარი განვითარება კაპიტალისტურ სამყაროში არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლება იქნეს, მაგრამ „კაპიტალიზმის განვითარება იმპერიალიზმის ეპოქაში მეტად უთანაბროდ და ნახტომისებურად ხდება: ზოგი ქვეყნები, რომლებიც წინად პირველ ადგილზე იყვნენ, შედარებით ნელა ანვითარებენ თავის მრეწველობას, სხვები, რომლებიც წინათ ჩამორჩენილი იყვნენ, სწრაფი ნახტომებით ეწევიან და უსწრებენ მათ"[2]. ლენინი თავის ცნობილ შრომაში „იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია", რომელიც 1916 წელს დაიწერა, აღნიშნავს, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში გერმანია ინგლისის კაპიტალისტურ ძლიერებასთან შედარებით „საცოდაობას, არარაობას" წარმოადგენდა, ხოლო იაპონია ასევე ჩამორჩენილი იყო რუსეთთან შედარებით. ლენინისა და სტალინის მოძღვრება კაპიტალიზმის ლპობის შესახებ ნათლად და გარკვევით გვიჩვენებს, რომ წარმოების დაცემა პირდაპირი ხაზით კი არ ხდება, არამედ იგი წარმოადგენს მეტად რთულ პროცესს, რომელიც მთელი კაპიტალისტური მსოფლიოს მასშტაბით წარმოების დაცემის ელემენტთა და ზრდის ელემენტთა შინაგან ბრძოლაში გამომჟღავნდება. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ კაპიტალიზმის ლპობის დროს ინდუსტრიული განვითარების და ტექნიკის ზრდასთან ერთად განვითარების პოტენციალური შესაძლებლობანი კი არ სუსტდება, არამედ უფრო მძლავრი ხდება, მაგრამ არათანაბარი, ნახტომისებური განვითარება ამ პოტენციალური შესაძლებლობის გამოყენებას მინიმუმამდე დაიყვანს.

---

[1] ვ. ი. ლენინი, იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, გვ. 53.

[2] საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია, მოკლე კურსი, გვ. 195.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ იმპერიალიზმის ხანაში კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების უთანაბრობა იმპერიალისტური განვითარების გადამწყვეტ ძალად გადაიქცა. ამხანაგი სტალინი, ახასიათებს რა არათანაბარი განვითარების კანონს, აღნიშნავს, რომ ბრძოლა მთავარ იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის მიმდინარეობს ტერიტორიის, ბაზრების, ნედლეულის და სხვა უპირატესობათა ხელში ჩასაგდებად და ეს ხდება იმ დროს, როცა მსოფლიო უკვე დანაწილებულია მთავარ იმპერიალისტურ ქვეყნების მიერ. ამრიგად, განვითარება მიდის არა ისე, რომ სხვადასხვა ქვეყნის განვითარება პარალელურად მიმდინარეობდეს, არამედ ნახტომისებურად, ისე, რომ ჩამორჩენილი ქვეყნები მოწინავენი ხდებიან და მოწინავენი უკანა რიგში დგებიან. მაგალითისათვის ამხანაგი სტალინი ასახელებს ინგლისის, გერმანიის და ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო მეურნეობაში მომხდარ ცვლილებებს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში. ლენინი თავის შრომაში „იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ ადარებს ერთიმეორეს ექვსი კაპიტალისტური ქვეყნის განვითარებას და აღნიშნავს, რომ ერთის მხრივ არიან არაჩვეულებრივად სწრაფად წინმავალი ქვეყნები (ამერიკა, გერმანია, იაპონია), მეორე მხრივ ქვეყნები, რომლებიც ბევრად უფრო ნელა მიდიან წინ (საფრანგეთი, ინგლისი).

სხვა ადგილას ლენინი ამბობს, რომ 1871 წლიდან გერმანია ძლიერდებოდა 3-4 ჯერ უფრო სწრაფად ვიდრე ინგლისი და საფრანგეთი, იაპონია 10 ჯერ უფრო სწრაფად ვიდრე რუსეთი. ლენინისა და სტალინის ამ დებულების საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ შემდეგი მონაცემები, რომლებიც შეეხება გერმანიასა და ინგლისის მძიმე მრეწველობის განვითარებას 1895-1913 წლებს შორის.

მილიონ ტონებში[1]

წლები	გერმანია	ინგლისი	გერმანია	ინგლისი	გერმანია	ინგლისი
	ნახშირის ამოღება		ნახშირის მოხმარება		რკინის მადნის ამოღება	
1895	104,0	192,6	103,5	158,7	12,3	12,8
1913	277,3	292,0	249,7	213,0	35,9	16,3
	+ 167%	+ 52%	+ 141%	+ 34%	+ 192%	+ 27%

[1] Большая Советская Энциклопедия, т. XV, стр. 592, Москва, 1929.

წ ლ ე ბ ი	გერმანია	ინგლისი	გერმანია	ინგლისი	გერმანია	ინგლისი
	რკინის მადნის მოხმარება		თუჯის გამოდნობა		რკინისა და ფოლადის წარმოება	
1895	11,9	17,3	5.5	7.8	4,8	3,9
1913	46,4	23.6	19,2	10.4	17.4	9,0
	+ 290%	+ 36%	+ 249%	+ 33%	+ 262%	+ 131%

ეს მონაცემები ცხადლივ ადასტურებენ იმპერიალიზმის ეპოქაში ცალკე კაპიტალისტური ქვეყნების არათანაბარ განვითარებას. მართლაც, აქედან ჩანს, რომ ინგლისი, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნის ნახევრისათვის სხვა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე მაღალ განვითარებას მიაღწია, წარმოადგენდა რა იმ დროს მსოფლიო მწარმოებელს, მსოფლიო კრედიტორს, მსოფლიო ტვირთმზიდავს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და მეოცე საუკუნის დასაწყისში განვითარების ტემპების მხრივ ისეთ ქვეყანასაც კი ჩამორჩა, რომელიც რამოდენიმე ათეული წლის წინ მასთან შედარებით „საცოდაობას, არარაობას" წარმოადგენდა. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ გერმანია 1895-1913 წ. წ. მანძილზე აღნიშნულ ექვს დარგს შორის ყველაზე დაბალ ტემპს რკინისა და ფოლადის წარმოებაში ავითარებს, მაგრამ იგი მაინც ორჯერ აღემატება ინგლისის ტემპს (გერმანიის არის + 262%, ინგლისის + 131%). ყველაზე მაღალი ტემპი აღნიშნულ წლებში გერმანიას აქვს რკინის მადნის მოხმარებაში (+ 290%), ხოლო ინგლისს + 36%, ე. ი. გერმანია ამ დარგში ავითარებს რვაჯერ უფრო მეტ ტემპს ვიდრე ინგლისი. შედეგად ასეთი სწრაფი ტემპისა, გერმანიამ წინ გაუსწრო ინგლისს რკინის მადნის ამოღებაში 1892 წელს, რკინისა და ფოლადის გამოდნობაში 1893 წელს, რკინის მადნის მოხმარებაში — 1901 წელს, თუჯის წარმოებაში — 1903 წელს და ნახშირის მოხმარებაში — 1908 წელს.

1929 წლისათვის გერმანიის ხვედრითი წილი თუჯის წარმოებაში უდრიდა 13,6%-ს, მაშინ როცა რკინის მადნის მსოფლიო მარაგიდან მისი საკუთარი მარაგი შეადგენდა 2,3%-ს, ხოლო ქვანახშირისა 4,3%-ს. ან ავიღოთ პატარა ბელგია; შესაბამისად თუჯის წარმოებისა — 4,1%, რკინის მადნის მარაგი 0,2%, ქვანახშირის მარაგი 0,2%.

1913 წელს ინგლისმა მსოფლიო ბაზარზე გაიტანა 7.075 მილი-

ონი კვ. იარდი ბამბის ქსოვილი, იაპონიამ იმავე წელს გაიტანა 212 მილიონი; 1937 წელს კი ინგლისის გატანა შეადგენდა 1.921 მილიონს, ხოლო იაპონიისა 2.644 მილიონ კვ. იარდს.

ამერიკის შეერთებული შტატები მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში ენგელსის სიტყვით მეორე სამრეწველო ქვეყანას წარმოადგენდა ინგლისის შემდეგ, მეოცე საუკუნეში კი წინ წაუსწრო მას მნიშვნელოვნად და ახლა ექვსჯერ მეტ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს ვიდრე ინგლისი, ქვანახშირს — სამჯერ მეტს, ფოლადს — ექვსჯერ მეტს. ა. შ. შტატების სავაჭრო ფლოტი სამჯერ მეტია ინგლისისაზე, მაშინ როცა სულ ახლო წარსულში ინგლისი მსოფლიოს პირველი დიდი საზღვაო სახელმწიფო იყო.

შრომის საერთაშორისო დანაწილებას ეს ცვლილებანი გამოწვეულია კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების კანონის მოქმედებითა და მისგან გამომდინარე კაპიტალისტური წარმოების არათანაბარი განლაგებით.

მაშასადამე, იმპერიალიზმის სტადიის კაპიტალისტურ მსოფლიოში შრომის საერთაშორისო დანაწილება კაპიტალისტური წარმოების არათანაბარი განვითარების კანონის მოქმედებაში სახიერდება. კაპიტალიზმის დროს შრომის საერთაშორისო გეოგრაფიულმა დანაწილებამ მანამდე არსებული ფართო ხასიათი მიიღო „მას შემდეგ რაც ორთქლმა და ახალმა მანქანებმა ძველი მანუფაქტურა მსხვილ ინდუსტრიად აქციეს, ბურჟუაზიის ხელმძღვანელობით შემუშავებული საწარმოო ძალები მანამდე გაუგონარი სისწრაფითა და მანამდე გაუგონარი მასშტაბით განვითარდენ. მაგრამ როგორც ერთს დროს მანუფაქტურა და მისი გავლენის ქვეშ განვითარებული ხელოსნობა შეეჯახა საამქროების ფეოდალურ ბორკილებს, ისე დღეს საკუთრებით განვითარებული მსხვილი ინდუსტრია ეჯახება იმ ვიწრო ჩარჩოებს, რომელშიც იგი კაპიტალისტური წარმოების წესმა მოაქცია“[1].

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ სასაქონლო მეურნეობისა და კაპიტალიზმის ყოველ ახალ საფეხურს მისი შესაბამისი შრომის საზოგადოებრივი დანაწილება ახასიათებს. სასაქონლო მეურნეობის აღმოცენებიდან დღემდე „შრომის საზოგადოებრივი დანაწილება არის საფუძველი მთელი სასაქონლო მეურნეობის და კაპიტალიზმის განვითარების პროცესისა“[2].

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 225.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. III, გვ. 17.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1948.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VIII, 1948.

გრიგოლ დევდარიანი

ტურჩუს ქვაბული

ტურჩუს ქვაბული მდებარეობს ასხის კირქვიანი მასივის სამხრეთ ნაწილში 3-4 კილომეტრზე სოფ. გორდის ჩრდილო-დასავლეთით. თვითონ ასხის მასივი კავკასიონის სამხრეთი ფერდობის კირქვიანი ზოლის ნაწილია, რომლის მაქსიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან აღწევს 2400-2500 მ.-დე.

სოფ. გორდიდან ტურჩუს ქვაბული გამოყოფილია კირქვებით აგებული მაღალი და ციცაბო ფერდობით, რომელიც წარმოადგენს ასხის მასივის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეს და ატარებს ტურჩუს მთის სახელს. მისი აბსოლუტური სიმაღლე აღწევს 1000 მ.-მდე. ამ მთის აღმოსავლეთი ფერდობი, რომელიც კირქვებისაგან შედგება, მაღალია და ციცაბოდ ეშვება მდ. ცხენისწყლისაკენ. ეს ციცაბო კირქვიანი კედლები თავს დაჰყურებს გორდს და მის მეზობლად მდებარე სოფლებს. გორდიდან ციცაბო კლდოვანი ფერდობები გრძელდება ჩრდილო-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთისაკენ, სადაც მთები სხვა სახელს ატარებს: გორდის დასავლეთით მდებარე ნაწილს ღულუქუნი ეწოდება, მდ. ოკაცეს (ცხენისწყლის მარჯვენა შენაკადი) გასწვრივ მდებარეს — მთა კლეიდა, შემდეგ ნაწილს კი — წაბლარა. აღნიშნული მთების მაქსიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან აღწევს 1100-1200 მ.-მდე.

ცხენისწყლისაკენ კლდოვანი კირქვიანი მთების ზონა იცვლება ქვიშაქვების, თიხებისა და სხვა ფხვიერი ქანების საფუძველზე განვითარებული დაბალი და სადა რელიეფით. ტურჩუს ქვაბული სხვა მხარეებზეც ციცაბო კირქვიანი ფერდობებით და მთებით არის შემოფარგლული. მთების მაღალ ნაწილში კირქვები დაფარულია დელუვიურ-პროლუვიური წარმოშობის დაკუთხული და შეცემენტებული კირქვის ნატეხებით.

ასხის მთის სამხრეთი ნაწილი, ტურჩუს ქვაბულის მიდამოების ჩათვლით, შედგება სუსტად დისლოცირებული შრეების მქონე ზედა ცარცული (ტურონ-სენონური) კირქვებისაგან. ასხის მასივს სამხრეთიდან აკრავს გელაევერ-ბუმბუას სინკლინი, რომლის „ჩრდილო ფრთაში ეოცენისა და ცარცის კირქვები სამხრეთისაკენ არის გადახრილი, მაგრამ ზევითკენ ანტიკლინური გადახრის ნაცვლად ისინი თითქმის ჰორიზონტული წოლით ეერთდებიან ტურჩუს ზედა ცარცს“[1]. ა. ჯანელიძე აღნიშნავს, რომ ქვედა სარმატულის შემდეგ ასხის მთის ზოლი საბოლოოდ დასტოვა ზღვამ. ამის შემდეგ დაიწყო ამ მხარის ეერტიკალური აწევა, რითაც იგი (ა. ჯანელიძე) განმარტავს ასხის მთის აპტურის 1700-1800 მ. სიმაღლეზე მდებარეობას. იმავე მკვლევარის აზრით ის მონოკლინური მუხლი, რომელიც ასხის მთის კომპლექსს ოდიშისაკენ საზღვრავს, დიფერენციული აწევის შედეგად განვითარდა[2]. ასხის მასივის შემადგენელი შრეების ჰორიზონტული წოლა ან სუსტად შენაოჭება ა. ჯანელიძის მიერ ასნილია ადგილობრივი სტაბილური ბელტის გავლენით. იგი აღნიშნავს ორი ბელტის არსებობის შესახებ: ერთი მათგანი მდებარეობს ჩრდილოეთით ქვიბია-მაიდანის მიდამოებში, მეორე კი — სამხრეთით ტურჩუ-კინჩხის ფარგლებში. ეს პატარა ბელტები საქართველოს ბელტის კიდეზე მდებარეობს. ეს სხეულები ურთიერთშორის და საქართველოს ბელტთან დაკავშირებულია პლასტიკური ზოლებით, რომლებშიც ვითარდება არა მარტო მონოკლინური, არამედ იზოკლინური ნაოჭებიც (იხ. იმავე ნაშრომში). ამით დასტურდება, რომ ასხის მთიანი მხარე, ისევე როგორც საქართველოს სხვა რაიონები განიცდის სტაბილური ბელტის გავლენას, რის გამოც მისი ტექტონიკური სტრუქტურისათვის დამახასიათებელია ზედაპირული (ზეწრული) ნაოჭები. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ საკვლევ ობიექტს ასხის მასივის ფარგლებში მეტად მცირე ფართობი უჭირავს, მას მაინც ახასიათებს ასხის მთელი მასივის მსგავსი ტექტონიკური და ლითოლოგიური თავისებურებანი.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ასხის მასივი აგებულია კირქვებით. უხვი ატმოსფერული ნალექების პირობებში ადვილად ხსნადი ქანების არსებობასთან დაკავშირებულია კარსტული ფორ-

[1] ა. ჯანელიძე, ასხის მთის გეოლოგიური კომპლექსი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II, № 1-2, 1941.

[2] იქვე.

შების დიდი გავრცელება. აქ შემთხვევაში ჩვენ ვიხილავთ ერთ-ერთ ზედაპირულ კარსტულ ფორმას (დეპრესიას), რომელიც ცნობილია ტურჩუს ქვაბულის სახელით.

ტურჩუს ქვაბული ოვალური ფორმისაა; მისი ფსკერის უდაბლესი ნაწილი მდებარეობს 845 მეტრზე ზღვის დონიდან. ქვაბულის საშუალო სიღრმე 100-120 მ.-მდეა. სიგრძე უდრის 3 კილომეტრს, სიგანე კი—2 კილომეტრს. რადგან ქვაბულის ფერდობები ციცაბოა (საშუალოდ 30-35°-მდე დახრილობის კუთხით), ამიტომ ფსკერის სიგრძე და სიგანე დიდად არ განსხვავდება ფერდობთა მაღალ ნაწილებს შორის მანძილისაგან. ფსკერი მთლიანად დაფარულია მეოთხეული ნალექებით, რომელთა წარმოშობა ნაწილობრივ დაკავშირებულია ქვაბულის მდინარე წყლების მოქმედებასთან. ფერდობთა ძირის გასწვრივ სხვადასხვა დებიტის მრავალი წყაროა. მათი შეკრებით წარმოიქმნება წყლის მთავარი არტერია, რომელიც ტურჩუს სახელს ატარებს. ყველა წყარო ფსკერისა და ფერდობთა საზღვარზე გამოდის, ფერდობთა მაღალ ნაწილში წყაროები თითქმის არ შეგვხვედრია. ზოგიერთ წყაროს დიდი (60 ლ. სეკ.) დებიტი აქვს და ვოკლუზის ტიპისაა.

მდ. ტურჩუ იწყება ქვაბულის ჩრდილო-აღმოსავლეთ კიდეში, პირველად იგი სამხრეთ დასავლეთისაკენ მიედინება, შემდეგ, ჯერ უხვევს დასავლეთისაკენ (სადაც მას ყველაზე მნიშვნელოვანი შენაკადი უერთდება მარცხნიდან), შემდეგ კი — სამხრეთ-დასავლეთისაკენ. შენაკადიც, რომლის სათავე სამხრეთ კიდეში მდებარეობს, წყაროების შეკრების შედეგად განვითარდა. მისი მთავარი ნაწილი გამოედინება ღრმა ტბიდან. ტბა დგას კარსტულ ძაბრში, რომლის დიამეტრი უდრის 7-8 მ.

ტურჩუ უახლოვდება რა ქვაბულის სამხრეთ-დასავლეთ კიდეს რამდენიმე სასულის საშუალებით სწრაფად და ხმაურით იკარგება მიწის ქვეშ.

ტურჩუს ქვაბულიდან 3-4 კმ დასავლეთით მაღალი კირქვიანი კლდიდან გამოდის და წყალვარდნილის სახით გადმოჩქეფს პატარა მდინარე, რომელიც დასაწყისს აძლევს მდ. აბაშის ერთ-ერთ ტოტს—ტობას. ტობა მდ. ტურჩუს გაგრძელებას წარმოადგენს.

ტურჩუს დონე მცირე მანძილზე დინების გამო ინტენსიურ ცვლილებებს არ განიცდის. დონის შესამჩნევი ცვალებადობა ხდება წვიმებისა და თოვლის დნობის დროს. ასეთ შემთხვევებში წყალი სასულეებში ჩადინებას ვერ ასწრებს და ფსკერზე გროვდება, რითაც

ტბა ჩნდება. ძლიერი წვიმების დროს ფსკერის მნიშვნელოვანი ნაწილი იფარება წყლით, მაგრამ შემდეგ ისევ მყარდება წონასწორობა. შესაძლებელია ფსკერის სხვა ნაწილებშიც არის სასულეები, რაც აჩქარებს ტბის ღაშრობას.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ტურჩუს ქვაბულის ფსკერზე ცარცული კირქვები დაფარულია მეოთხეული ნალექებით. მათ წარმოშობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ატმოსფერულმა წყალმა, რომელსაც მასალის ნაწილი ჩამოჰქონდა ფერდობებიდან. ნალექების დიდი ნაწილი წარმოადგენს ქვაბულის შემადგენელ კირქვებში მიმდინარე ქიმიური პროცესების პროდუქტს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მდინარეს გასდევს ტერასული საფეხურები, რომლებიც აგებულია უმთავრესად ღია ან მუქი ყავისფერი ქვიშიანი თიხებით, რომლებიც ხშირად შეიცავს ცუდად დამრგვალებულ კირქვის პატარა ნატეხებს. ტერასული საფეხურები ქვაბულის ფსკერს, განსაკუთრებით შუა ნაწილში, უსწორმასწოროს ხდის. ძველი საფეხურის სიმაღლე წყლის დონიდან უდრის 18-20 მ. ხოლო მეორესი — 3-4 მ. ეს უკანასკნელი იშვიათად გვხვდება. მდინარის ზემო და ქვემო წელში თითქმის არც ერთი საფეხური არაა.

ქვაბულის ფსკერი საერთოდ და განსაკუთრებით მდინარის გასწვრივ მდებარე საფეხურები დაფარულია მცენარეებით, რომელთაგან აღსანიშნავია: ველური თხილი, თხმელა, მოცვი, გვიმრა და სხვ. ნიადაგი საკმაოდ ნოყიერია, ამიტომ გორდის მცხოვრებლები აქ სთესენ სიმინდს და ლობიოს. გარდა ამისა მოჰყავთ თამბაქო, კომბოსტო და სხვ. ამ კულტურების ნაყოფიერებას, გარდა ნიადაგისა, ხელს უწყობს კლიმატური პირობებიც: ირგვლივ მდებარე მაღალი მთები ქვაბულს იცავს ქარისა და ჰაერის სხვა არახელსაყრელი მოვლენებისაგან.

ტურჩუს მიდამოები მდიდარია ზედაპირული კარსტული ფორმებით, განსაკუთრებით კი ძაბრებით. გავრცელებულია როგორც ახალგაზრდა, ისე ძველი, ორსართულიანი ძაბრები. მათს განლაგებაში ხშირად დაცულია ერთგვარი კანონზომიერება. ძაბრები უმთავრესად მიჰყვება ერთ ხაზს, რომელიც წარმოადგენს ძველს, კარსტული მხარეებისათვის დამახასიათებელ მშრალ მდინარეულ ხეობას. გარდა ასეთებისა არის განცალკევებულად მდებარე ძაბრებიც და უფრო იშვიათად ტურჩუს ტიპის ერცელი კარსტული ტაფობებიც.

ტურჩუს კარსტული დეპრესიის წარმოქმნა საკმაოდ ხანგრძლივად მიმდინარეობდა და გარდა კარსტული პროცესებისა დაკავშირებული იყო აგრეთვე ტექტონიკურ მოვლენებთანაც, როგორიცაა მაგ. ეპეიროგენეტული მოძრაობები, რომელთაც პერიოდული ხასიათი ჰქონდა და მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევდა კავკასიის მორფოლოგიურ აგებულებაში.

თავდაპირველად ტურჩუს ქვაბულის ფარგლებში უნდა ყოფილაყო მცირე სიღრმის კარსტული ძაბრები, რომელთაც ასხის მასივზე მაშინ, მიწისქვეშა წყლების დონის მაღლა მდებარეობის გამო, არ ჰქონდა ფართო გავრცელება. შემდგომ პერიოდში გრძელდება დაკარსტვის პროცესი, რომელსაც თუმცა მუდმივი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მიწისქვეშა წყლების დონის ცვალებადობასთან დაკავშირებით ემჩნეოდა პერიოდულობაც. კარსტული პროცესის ხანგრძლივმა და ინტენსიურმა მსვლელობამ ძაბრები შეაერთა და ამავე დროს გააღრმავა, რასაც შედეგად ვრცელი კარსტული დეპრესიის განვითარება მოჰყვა.

ტურჩუს ქვაბულის ასაკის დადგენა მოითხოვს, როგორც ასხის, ისევე საერთოდ დასავლეთ საქართველოს სხვა კირქვიანი მასივების კარსტის დეტალურ შესწავლას. ამ საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა მივიღოთ შესწავლილ მხარეთა კარსტის განხილვა სხვადასხვა გეოლოგიურ და გეომორფოლოგიურ პროცესებთან დაკავშირებით.

ქუთაისისა და წყალტუბოს კარსტული ძაბრების ასაკის განსაზღვრის ცდა მოგვცა ლ. მარუაშვილმა[1], რომელმაც კარსტის ევოლუცია დაუკავშირა ხმელეთის პერიოდულ ვერტიკალურ მოძრაობას და მასზე დამოკიდებულ მიწისქვეშა წყლების ცირკულაციას. ასხის მასივის კარსტი მან უძველეს კარსტად აღიარა. ასხის მასივზე არის უძველესი კარსტის ნაშთები, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება ჩვენ მიერ შესწავლილი ტურჩუს ქვაბულიც, მაგრამ, ამავე დროს, აქ არის ახალგაზრდა ზედაპირული კარსტული ფორმებიც. ასხის მასივზე დაკარსტვის პროცესი ამჟამადაც გრძელდება, რასაც სხვა პირობებთან ერთად ხელს უწყობს მიწისქვეშა წყლის დონის დაბალი მდებარეობა.

ტურჩუს ქვაბულის წარმოშობა დაიწყო, ალბათ, მესამეულის

---

[1] ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონების „წკვარამები". წინასწარი ცნობა, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1941.

ბოლოს, ან მეოთხეულის დასაწყისში. ს-ძველის დამადასტურებლად უნდა ჩაითვალოს ის პერიოდული (ციკლური) ცვალებადობა, რასაც ადგილი ჰქონდა მისი განვითარების ისტორიაში. განვითარების ციკლური ხასიათი უნდა აიხსნას აუცილებლად ხმელეთის ვერტიკალური მოძრაობის რამდენჯერმე განმეორებით, რომელიც საერთოდ კავკასიისათვის დადასტურებულ მოვლენად ითვლება. ასხის მთის კომპლექსის გეოლოგიურ წარსულში ტექტონიკური ამოწევის შესახებ აღნიშნა ა. ჯანელიძემ[1]. ამასვე ადასტურებს ტურჩუს მეზობლად მდებარე მდინარული ხეობების მორფოლოგიური ხასიათიც. ასეთია მაგ. მდ. ცხენისწყალი და მისი მარჯვენა შენაკადი, ტურჩუდან 3-4 კმ.-ზე მდებარე მდ. ოკაცე, და ტურჩუს დასავლეთით მდებარე ამაშა, თავისი ღრმა კანიონისებური ხეობებით.

ქვაბულის წარსულის შესახებ მიგვითითებს აგრეთვე მის ფსკერზე მდებარე ტერასული საფეხურები, მაგრამ მათი წარმოშობა არც ისე შორეული წარსულის საქმეა; მათი არსებობა თანამედროვე ქვაბულის ხანგრძლივობას უფრო ადასტურებს, ვიდრე მისი განვითარების წინა ისტორიას.

ტურჩუს ქვაბული, როგორც აკად. ალ. ჯანელიძე აღნიშნავს[2], პოლიეს წარმოადგენს. მისი განვითარება გაგრძელდება მოსავალშიც, რაც დამოკიდებულია ხმელეთის ახალი ტექტონიკური ამოწევით გამოწვეულ მიწისქვეშა წყლების დონის დადაბლებაზე.

Г. С. ДЕВДАРИАНИ

КОТЛОВИНА ТУРЧУ

Резюме

Котловина Турчу расположена в южной части гор Асхи, близ села Горди (Западная Грузия).

Горы Асхи представляют составную часть известняковой зоны южных склонов западного Кавказиони (Б. Кавказа).

Котловина Турчу, как замкнутая впадина, со всех сторон окаймлена горами, высота которых достигает до 1000-1100 м. над уровнем моря. Эти горы, как и весь массив Асхи, сложены верхнемеловыми

[1] ასხის მთის გეოლოგიური კომპლექსი.

[2] Отчет Кутаиси-Цхакаевской геоѕемочной партии. Описание листа К-38-XIII (საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს ფონდი), 1941.

известняками, слои которых очень слабо дислоцированы, находясь под воздействием жесткой массы Грузинской глыбы (А. И. Джанелидзе).

Известняки в условиях влажного климата подвергаются интенсивному закарстованию, в результате которого образуются многочисленные подземные и поверхностные формы. К числу последних относится котловина Турчу, являющаяся одним из древних карстовых образований района. Она представляет собой довольно обширную овальную депрессию, повидимому, полье.

Дно котловины находится на высоте 845 м. Длина ее равна 3 км, ширина — 2 км. Дно заполнено четвертичными наносами, отлагавшими речками котловины и атмосферными водами. В котловине протекает речка, в образовании которой участвуют многочисленные родники. На западной окрайне речка в нескольких отверстиях протекает вниз и продолжает течение под землей. В середине дна, вдоль речки, имеются две террасовидные ступени, сложенные четвертичными песчанистыми глинами с примесью плохоокатанной галькой.

Начало эволюции котловины можно отнести к концу плиоцена или началу четвертичного времени. Процесс образования происходил неравномерно под действием периодических тектонических поднятий суши, что вызывало понижение уровня подземных вод. Верным доказательством эпейрогенетического движения служит характер морфологии соседних с районом речных долин, которые испытывали интенсивное переуглубление дна и образование каньонов.

Таким образом, в образовании депрессии Турчу, кроме корозионных процессов, принимали участие и тектонические движения. Более подробные сведения о генезисе данной котловины можно дать после дальнейших исследований подобных ее и других карстовых форм, выше упомянутой известняковой зоны.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის
შრომები, ტ. VIII, 1948.
Труды Кутаисского Государственного Педагогического
Института имени А. Цулукидзе, т. VIII, 1948.

ლევან მარუაშვილი

ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული ნაშრომები

სახელგანთქმული ქართველი მეცნიერის ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1778 წწ.) დამსახურებას ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული შესწავლის დარგში წარმოადგენს, ერთი მხრივ, მისი ვრცელი თხზულება „საქართველოს გეოგრაფიული აღწერა“ და, მეორე მხრივ, მის მიერ შედგენილი, საქართველოსა და მოსაზღვრე მხარეთა გეოგრაფიული რუკები. იმ დროს, როდესაც ვახუშტის გეოგრაფიული ნაშრომი მთელი საუკუნის განმავლობაში მსოფლიო მეცნიერებისათვის უცნობი დარჩა და ამის გამო გამოირიცხა კავკასიაზე გეოგრაფიულ შეხედულებათა განვითარების საერთო ისტორიიდან, მისმა რუკებმა, პირიქით, ხსენებულ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს. სამწუხაროდ, ვახუშტის კარტოგრაფიული ნაწარმოებების საფუძვლიანი შესწავლისათვის ხელი არვის მოუკიდია, ამიტომ მათთან დაკავშირებული საკითხები სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოდ გაშუქებული არ არის. ეს გარემოება კი ხელს უშლის უკვდავი ქართველი მკვლევარის მოღვაწეობის შეფასებას. ვახუშტის ადგილი ქართული კულტურის წარსულში და, საერთოდ, მეცნიერების ისტორიაში დღემდე ჯეროვნად გამორკვეული და დასაბუთებული არ არის.

ჩვენი ამოცანა მდგომარეობს ვახუშტის კარტოგრაფიული ნაშრომების მოკლედ განხილვაში მათი აგებულების, წარმოშობისა და კავკასიის გეოგრაფიულ შესწავლაში შესრულებული როლის თვალსაზრისით. რამდენადაც ვახუშტის რუკების შესახებ ლიტერატურაში, თუ არ ჩავთვლით მ. ბროსეს მიერ უმთავრესად ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებულ ცნობებს, თითქმის არავითარი მასალა არ მოიპოვება, საჭიროდ ვცანით აქვე მოგვეთავსებინა ქართველი კარ-

ტოგრაფის ნაწარმოებთა ზოგადი აღწერილობა, რომელმაც უნდა გაუადვილოს მკითხველს ჩვენი დებულებებისადმი კრიტიკულად მიდგომა. წინამდებარე ნარკვევი დამყარებულია კვლევაზე, რომელსაც ვაწარმოებდი 1940-41 წლებში ვახუშტის რუკების ორიგინალებზე თბილისში (საქართველოს მუზეუმი, ცენტრალური არქივი) და დამხმარე კარტოგრაფიულ და ლიტერატურულ მასალებზე ძირითადად მოსკოვში (მოსკოვის უნივერსიტეტის გეოგრაფიის ინსტიტუტი, ლენინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა).

ვახუშტი ბაგრატიონს ეკუთვნის შემდეგი კარტოგრაფიული ნაშრომები:

1. 1735 წელს დახაზული საქართველოსა და მისი ნაწილების რუკები („ყაზანური ატლასი").

2. 1737-43 წლებში დამზადებული, საქართველოსა და მისი ნაწილების რუკები („პეტერბურგული ატლასი").

3. რუსეთის გენერალურ შტაბში ვახუშტის უშუალო მონაწილეობით დამზადებული, ვახუშტის რუკების რუსული ასლები.

4. მსოფლიოსა და მისი ნაწილების 27 რუკა, რომლებიც ვახუშტის დაურთავს მის მიერ რუსულიდან თარგმნილ მსოფლიო გეოგრაფიის სახელმძღვანელოზე.

რადგან № 3-ით აღნიშნული რუსული რუკები „პეტერბურგული ატლასის" ქართული რუკების თითქმის უცვლელ თარგმანს წარმოადგენენ, ხოლო № 4-ით აღნიშნული რუკები ვახუშტის მიერ რუსულიდან არის ნათარგმნი და მისი დამოუკიდებელი შრომის ნაყოფს არ წარმოადგენენ, ამიტომაც ქვემოთ საქმე გვექნება „ყაზანური" და „პეტერბურგული" ატლასების შემადგენელ რუკებთან, რომლებიც გამოხატავენ ქართველი მეცნიერის კარტოგრაფიული შემოქმედების ორ ძირითად ეტაპს და უდიდეს მეცნიერულ ღირებულებას წარმოადგენენ ქართული კულტურისა და კავკასმცოდნეობის ისტორიისათვის.

I. რუკების აღწერილობა

განსახილველია ვახუშტი ბაგრატიონის რუკათა ორი სერია, რომლებიც სხვადასხვა დროს არის შედგენილი და აკინძულია ორი ატლასის სახით. ამ ატლასებს პირობითად „ყაზანური" და „პეტერბურგული" ეწოდება იმ ქალაქების მიხედვით, სადაც ისინი მათს საქართველოში გადმოტანამდე ინახებოდნენ.

ყაზანური ატლასი (4)

ვახუშტის რუკების პირველი წყება წინათ ინახებოდა ქ. ყაზანის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, სადაც იგი 1807 წელს მოხვედრილა თავადი Г. А. Потемкин-Таврический-ს კუთვნილ სხვა წიგნებთან ერთად. ამჟამად ატლასი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერების განყოფილებაშია დაცული.

ეს ატლასი პირველად აღუწერია რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების ნამდვილ წევრს Артемьев-ს 1851 წელს. ეს აღწერილობა დართული აქვს მ. ბროსეს სტატიას, რომელიც მოთავსებულია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ორგანოს „Mèlanges Asiatique“-ს III ტომში (გვ. 551-557; იხ. ბროსეს „О бумагах астронома Делиля“, 21, გვ. 2). ამავე ატლასს ბროსე ეხება რუსულად გამოქვეყნებულ სტატიაშიც, რომელიც მიძღვნილია ჟოზეფ დელილის საბუთებისადმი (21, გვ. 2-8). მიუხედავად ამისა, „ყაზანური ატლასის“ ხელახლად აღწერა ამჟამად აუცილებელია არა მარტო ზემოხსენებული ძველი აღწერილობების ნაკლოვანების გამო, არამედ იმეტომაც, რომ ისინი მთელი რიგი მიზეზების გამო მკითხველთა ფართო წრისათვის მიუწვდომელია.

თავფურცელზე რუსულად და ქართულად მოცემული ატლასის სათაურის ქართულ ვარიანტს ჩვენ შემდეგნაირად ვკითხულობთ:

„ენითა ლათინთათა საკუთარი სახელი ამისი ტაბულა და ქარტა ანუ ატლასი, ხოლო ქართულად რუკა. ძველითგან ტომობით სამეფოსა ამის ქვეყნისა სახელნი არიან ქართლოსიანი, რომელ არს საქართველო, კვალად მიღებულ იბერია ანუ გიორგიანნი. მოხაზული ყოვლითავე მთითა, წყლითა, მდინარე-ტბითა, ქალაქით, ეკლესიით, მონასტრით, დაბით, რაიცა მახლავა ანუ მნახველთაგან მესმა სხვადასხვა დაბანი. დაუტევე მცოდნემან ხელობის ხალისით, მისწრაფებით მშრომელი რუკისა, მეფოვანი ამისვე ქვეყნისა ვახუშტი. არს რუკასა ამას შინ ფურცელი 8“[1].

იმავე ფურცელზე ჩამოთვლილია ის 8 რუკა, რომლებიც თავდაპირველად შეადგენდნენ ატლასს:

1. „სამეფოსა ყოვლისა საქართველოსი ანუ იბერიისა ანუ გიორგიისა; სამეფოსა ქართლისა, რანისა, კახეთისა, ჰერეთისა, ლეკისა ანუ დაღისტანისა, მცირისა ყაბარდისა, მოვაკანისა რომელ

[1] სასვენი ნიშნები ყველგან დასმულია ჩვენ მიერ. ლ. მ.

არს შირვანი, ოვსეთისა, სვანისა, ალანისა, იმერეთისა, ოდიშ-გურია-აფხაზ-ჯიქთა, ჰანისა ანუ ლაზისა, სამცხე-საათაბაგოსი რომელ არს მესხნი, ვიდრე ტრაპიზონ-კარნუჭალაქად და კარით ანუ ყარსი, მცირე სომხითით რახს — შინაგანი რომელ არს არაზი".

2. „მეორე რუკა არს მოხაზული პირველწოდებული ყოვლისავე აფხაზეთი; განთვითვებით სახელნი არიან: იმერეთი, ოდიში, აფხაზი, ჯიქი, ალანი, სვანი ბასიან-დიგორით, გურია-ლაზით ანუ ჰანეთით ვიდრე ზღვად პონტოდ; გარემო მ-სსა მცირედი სამცხე, ქართლი და ყაბარდი".

3. „რუკა არს ყოვლისა სამ კხე-საათაბაგოსი ანუ მესხთა აზრუმით, ტრაპიზონ-კარით, მცირე წილი ალმოსავლ-ჩდილოთ ქართლი, იმერეთი და გურია".

4. „რუკა სამეფო ქართლისა დედაქალაქით მცხეთით, დვალთა, თაგაურ-ქურთაულთა, ქიშტ-ძურძუკ-ღლიღვთა; გარემო ნაწილი კახთა, რანთა, სომხეთთა, ყარს ჯავახთა, ზემო ქართლით თავისის ქალაქით ტბილისით".

5. „რუკა კახ-კუხთა, ჰერთა, დიდოთ თუშით, ფშავ-ხევსურით ვიდრე გიშადმდე, რომელ არს აწ კაკი; გარემო ლეკი, მოვაკანი, რანი და ქართლი მოხაზული".

6. „რუკა მოვაკანისა რომელ არს შირვან და ყოვლისა ლეკისა ანუ დაღისტანისა; გარემო რანით, სომხეთით, კახეთით, მდინარით რახსით გინა არაზით".

7. „რუკა მცირისა სომხეთისა ანუ ირანისა გინა ერმანისა, რანისა; ჩრდილოთ და დასავლით კახეთი, ქართლი, ყარსი ვიდრე ვანამდე".

8. „რუკა კვალად სამცხე-საათაბაგოსი, ვითარცა ზემორ მოხაზულ არს, ეგრეთვე ესეც, ხოლო უმჯობესი იგივე არს".

ამგვარად, „ყაზანური ატლასი" თავდაპირველად რვა რუკისაგან შედგებოდა. როგორც თავფურცელზე ჩამოწერილი სარჩევისა და ყდაზე ყაზანის უნივერსიტეტში გაკეთებული წარწერის შედარებიდან მოჩანს, ხსენებული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მოხვედრისას ატლასში დარჩენილი ყოფილა მხოლოდ ოთხი მთელი რუკა და მეხუთის ნახევარი. ამჟამადაც „ყაზანურ ატლასში" ეს რუკებია.

1. პირველი რუკა ვახუშტის მიერ გაკეთებული სარჩევის № 1 რუკას შეესაბამება. თუმცა ავტორს ამ რუკაზე საქართველოს ტერიტორიის წარმოდგენა ჰქონდა მიზნად დასახული, ფაქტიურად

იგი ამიერ-კავკასიის რუკას წარმოადგენს, რაც აიხსნება ვახუშტის შეხედულებით საქართველოს ისტორიულ საზღვრებზე. რუკაში მოხვედრილია თითქმის მთელი ვანის ტბა (დღევანდელ თურქეთში), თალიშის მთები, აფშერონის ნახევარკუნძული, მდ. ვოლგას შესართავი, ქ. ტრაპიზონი, მდ. კაპპეტის-წყლის (ბზიბის) შესართავი.

შავსა და კასპიის ზღვებში ჩახატულია ,,კომპასური ვარდები'' რვა ძირითადი რუმბის ჩვენებით და ჩრდილოეთისაკენ მიმართული ისრის წვერით. ეს ისეთივე გამოსახულებაა, როგორებსაც XIV-XVIII სს. ევროპულ რუკათა უმრავლესობაში ვხვდებით. ვახუშტის ,,კომპასური ვარდი'' თითქმის არაფრით განსხვავდება, მაგალითად, ენგელბერტ კემპფერის მიერ შედგენილ აფშერონის ნახევარკუნძულის რუკაზე გამოსახული კომპასური ნიშნისაგან (2, გვ. 268-269).

რუკის ზემოთ დახატულია საქართველოს, მისი შემადგენელი სამთავროებისა და მეზობელი ქვეყნების ღერბები. ეს ჩინებულად შესრულებული ფერადი ნახატები მოწმობენ მხატვრის ოსტატობას. ყოველ ღერბში გამოსახულია ცხოველი: აფხაზეთის ღერბზე თხა, გურიისაზე მგელი, ოდიშისაზე ტახი და დროშაზე მჯდომი მტრედი, იმერეთისაზე ირემი, სამხეთისაზე ლეოპარდი, შირვანისაზე ჯეირანი, დაღისტანისაზე მგელი მთათა შორის, სამცხე-საათაბაგოსაზე ყოჩი, ქართლისაზე ლომი და ხარი, სვანეთისაზე დათვი, რანისაზე ფალანგია თავის ქსელში, ოვსეთისაზე ლეოპარდი მთათა შორის. ყურადღებას იპყრობს, რომ მთელ რიგ ღერბებში შერჩეულია სათანადო ქვეყნის ფაუნისათვის ტიპიური ცხოველი.

ამ რუკის სრული სათაურია:

,,აწ ახალი დახაზული სამეფო იბერიისა ანუ ყოვლისა საქართველოსი; კართა ანუ რუკა, რომელ არს ორთა ზღვათა შორის პონტოსა და კასპიასა; ქართლი, სამცხე რომელ არს მესხნი, ოვსი, ძურძუკი, რანი, იმერეთი, ოდიში ანუ მეგრელი, აფხაზი, ჯიქი, გურია, სვანეთი, სომხეთი, კახეთი, შირვანი, ლეკი ანუ დაღისტანი, ყივჩაყი ანუ მცირე ყაბარდი. ჩემ მიერ მოსწრაფებ ხალისით მოსამსახურე თქვენი მეფოვანი ვახუშტი.

ღერბნი ანუ ნიშანნი თვითოთა ამათ კერძთა ზემორე სხენან. 1735 იანვარს 22''.

2. ატლასში შენახული მეორე რუკა შეესაბამება სარჩევის № 3 ს და, ამგვარად, სარჩევში აღნიშნული № 2 რუკა, რომელზეც დასავლეთი საქართველო ყოფილა გამოსახული, დაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

მეორე რუკის სათაურია:

„ქარტა ანუ რუკა სამეფოსა ქართლისა ანუ გიორგიასა კერძო სამცხე-საათაბაგო არსნი მესხნი გინა ზემო ქართლი პონტოს ზღვით აზრუმად, ყარსით ან კარით; გარემო ისსა იმერეთთა კერძონი, გურია და ქართლი ვიდრე აბოცამდე ანუ ყაიყული. ახლად დახაზული ჩემ მიერვე მშროშელისა მეფოვანი ვახუშტი. წელსა 1735 იანვარს 20“.

რუკის კიდეებზე პირობითი ნიშნებისათვის გაკეთებული ოთხი ჩარჩო ცალიერად არის დატოვებული.

3. მესამე შენახული რუკა შეესაბამება სარჩევის № 4-ს. მისი სათაურია:

„კარტა ანუ ქართულად რუკა სამეფოსა ქართლისა ყოვლითა საზღვრითა თვისითა, ბერდუჯის მდინარით ვიდრე აბოცით, რომელ არიან დებედა და ყაიყული, დვალეთით, თაგაურ-ქურთაულით, ქიშტ-ძურძუკ-ღლიღვით, გარემო კახი, რანი, სომხეთი, კარი და ჯავახეთი, იმერეთით. მოხაზული მისგანვე მეფოვანი ვახუშტისა, 1735, იანვარს 7“.

ამ რუკას აქვს პირობითი ნიშნების ვრცელი (სულ 32 ნიშნის) ახსნა, რომელიც მოთავსებულია მარცხენა ზემო კუთხეში, ქართლის სამეფო ღერბის გამოსახულებასთან. პირობით ნიშნებს მიწერილი აქვს შემდეგი განმარტებანი:

1. საპატრიარქო ეკლესია.
2. ქალაქი უდიდესი.
3. ქალაქი მცირე.
4. ქალაქი უმცირესი.
5. საეფისკოპოზო.
6. მონასტერი.
7. მცირე მონასტერი.
8. საყდარი.
9. ციხე და სიმაგრე.
10. მეფის სახლი.
11. დიდებული თავადი.
12. უმცირე თავადი.
13. უუმცირე თავადი.
14. აზნაური დაბით.
15. უდიდესი დაბა.
16. დაბა კეთილი.
17. ქრისტიანი დაბა.
18. ნაოსარი ნასოფლარი.
19. ოსის დაბა
20. თათრის დაბა
21. უმჯობე თათრის დაბა.
22. დიდი წყალი.
23. მცირე მდინარე.
24. წყარო.
25. ტბა.
26. გზა.
27. სამზღვარი.
28. მთა.
29. გორა.
30. ტყიანი.
31. თოვლიანი.
32. უტყეო.

ამ რუკასთან ერთად, იმავე ფურცელზე მოთავსებულია ქ. თბილისის გეგმა (35 × 30 სმ), რომლის სათაურია:

,,სახე ტბილისისა ახლად დახაზული ამისვე მხაზველისა, რომელ არს სატახტო ქართლისა. ნიშანნი ციფრით ზემორ წერილ არიან თვითვეულად ყოვლისა''.

გეგმის ზემოთ, სპეციალურ პატარა ჩარჩოში, ჩამოწერილია გეგმაზე აღნიშნული ობიექტები. გეგმაზე პირობითი ნიშნებით ნაჩვენებია მთები, ხევები (შტრიხებით), კვარტალები, მთავარი ქუჩები, ბაღები, მდ. მტკვარი. ცალკეული ობიექტები დანომრილია გეგმის ზემოთ მოთავსებული განმარტებების ნომერაციის შესაბამისად. თვით გეგმაზე წარწერები თითქმის არ არის, თუ არ ჩავთვლით თბილისიდან გამავალ გზებზე გაკეთებულ წარწერებს (კოჯრის, შუამთის, ყარაის, კახეთისა და სხვა გზები).

4. ,,ყაზანური ატლასის'' მეოთხე შენახული რუკა შეესაბამება სარჩევის № 5-ს. მისი სათაურია:

,,კარტა ანუ რუკა კახეთისა, კუხეთისა, ჰერეთისა, კანბეჩოვანისა, დიდოსი, თუშთა და ფშავ-ხევსურთა; გარემო მისსა მოხაზული ქართლისა კერძი, რანისა, მოვაკანისა ანუ შირვანისა, დაღისტანისა კულმუხით, გულხადარა, ჰავარ-ჩაჩანი ბორაღანითა. ჩემგანვე მშრომელისა საქართველოს მეფოვანისა ვახუშტის მიერ, წელსა 1735, იანვარს 24''.

რუკის ჩარჩოს მარცხენა გვერდთან გამოყოფილ სწორკუთხოვან ჩარჩოში მოთავსებულა პირობითი ნიშნების განმარტება.

5. ატლასის მეხუთე მიღწეული რუკა შეესაბამება სარჩევის № 6-ს. მისი სათაურია:

,,კარტა ანუ რუკა ახალდახაზული საუფლოსა მოვაკანისა რომელ არს შირვანი თვისითა ხელქვეშეთითა, სამთავრო ბინაღი, რომელ არს შამხალი, ჰავარი, ანდრია, ჩაჩანი, ლეკი, გულხადარა, უცმეი, ყაინაღი, თაბასარანი, ყულმუხი, ყაზიყულმუხი, სრულიად დაღისტანი ვიდრე დიდი ზღვით კასპიით, გარემო მცირე კახეთთა და რანთა კერძონი. ჩემ მიერვე, მეფოვანი ვახუშტი, 1735, იანვარს 29''.

რუკის ზემო (ჩრდილო) ნახევარი მოხეულია და დაკარგული.

რაც შეეხება სარჩევში აღნიშნულ №№ 7 და 8 რუკებს, რომლებზეც გამოსახული ყოფილა სომხეთი და სამცხე-საათაბაგო, ისინი უკვალოდ დაკარგულია.

20. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1948.

ხუთივე რუკაზე პოლიტიკური და საადმინისტრაციო ერთეულები, სახელდობრ სამეფოები, სამთავროები, სასპასპეტოები, საერისთავოები შეღებილია სხვადასხვა ფერებად (ლურჯად, მწვანედ, ყავისფრად, მოწითლოდ, ნარინჯისფრად, ყვითლად და სხვ.). რელიეფი (მთები) პროფილში გამოსახული გორაკების (,,თხუნელას ზვინების'') სახით არის მოცემული. ამიერ-კავკასიისა და შირვანის რუკებზე საქარავანო გზები აღნიშნულია ორმაგი წყვეტილი ხაზებით. დანარჩენი ობიექტებიც თავიანთი განსაკუთრებული ნიშნებით არის ნაჩვენები.

რუკები გამოხაზულია სწორკუთხოვან პროექციაში. მერიდიანები და პარალელები ერთმანეთთან ყველგან 90°-იან კუთხეს შეადგენენ და ჰქმნიან სწორკუთხედების სისტემას. კარტოგრაფიული ბადე არ არის მათემატიკური წესის მიხედვით აგებული, არამედ პრიმიტიულ ხერხს ემყარება. ჩარჩოებზე სიგანედი და სიგრძედი აღნიშნულია 1 გრადუსის (,,მენაკის'') ინტერვალით, ხოლო 1°-იანი მონაკვეთები თავის მხრივ დაყოფილია ნაწილებად. ჩარჩოს გვერდებს მხედრული და ასომთავრული ასოებით აწერია ქვეყნის მხარეები: ,,ჩრდილოეთი'', ,,სამხრეთი'', ,,დასავლეთი'' და ,,აღმოსავლეთი''. მენაკის გარდა, ჩარჩოზევე მოცემულია აგრეთვე ხაზობრივი მასშტაბი ორგვარი შკალის სახით: 1°-იანი მონაკვეთები ერთ შკალაში დაყოფილა 17 ეჯად ანუ ფარსანგად, ხოლო მეორეში 102 რუსულ ვერსტად.

კარტოგრაფიული საფუძვლის სიტლანქის გამო, ადგილთა გეოგრაფიული მდებარეობა ,,ყაზანური ატლასის'' რუკებში მნიშვნელოვანი ცდომილებებით არის გადმოცემული. მაგალითისათვის შეიძლება აღინიშნოს, რომ № 1 რუკაზე მდ. ვოლგას შესართავი და სვანეთი ერთსა და იმავე სიგანედზეა მოთავსებული, სინამდვილეში კი მათი სიგანედების სხვაობა 3° აღწევს. აღნიშნულ რუკაზე პუნქტების გეოგრაფიული მდებარეობის ცდომილების სიდიდე მოჩანს № 1 ცხრილიდან[1].

---

[1] სიგრძედები თანამედროვე ცნობების მიხედვით გრინვიჩის მერიდიანიდან არის ნაჩვენები. რამდენადაც ვახუშტის რუკებში ნახმარი სიგრძედთა გამოანგარიშების სისტემა ჯერჯერობით გამორკვეული არ არის (იხ. ქვემოთ), პუნქტების სიგრძედული მდებარეობის ცდომილების სიდიდე ვახუშტის რუკებში ამჟამად ძნელი განსასაზღვრელია.

ცხრილი № 1.

პუნქტის სახელწოდება	„ყაზანური ატლასის“ № 1 რუკით		თანამედროვე ცნობებით	
	სიგანედი	სიგრძედი	სიგანედი	სიგრძედი
თბილისი	42° 50'	76°	41° 41'	44° 49'
ბათომი	43° 35'	70° 35'	41° 40'	41° 38'
ტრაპიზონი	43°	67° 05'	41° 00'	39° 50'
ბიჭვინტა	46° 50'	67° 20'	43° 08'	40° 19'
ფოთი	44° 45'	71° 05'	42° 08'	41° 36'
ანაკრია	46°	71°	42° 23'	41° 34'
რიზა	43° 15'	69°	41° 10'	41° 05'
ქუთაისი	44° 35'	71° 45'	42° 17'	42° 22'
გორი	43° 10'	75°	41° 59'	44° 07'
თელავი	43°	77°	41° 55'	45° 29'
სამუხი	41° 05'	78° 40'	41° 02'	46° 45'
შამახია	40° 55'	81°	40° 38'	48° 39'
ბაქუ	40° 30'	81° 35'	40° 22'	49° 50'
დარუბანდი	41° 50'	80° 45'	42° 04'	48° 18'
ასთრახანი	46° 20'	79° 05'	46° 21'	48° 02'

ცხრილი გვიჩვენებს, რომ ვახუშტის ,,ყაზანური ატლასის'' რუკებს საფუძვლად უდევს გეოგრაფიული კოორდინატების ტლანქი განსაზღვრები. კერძოდ, სიგანედთა განსაზღვრის ცდომილებანი ზოგიერთ შემთხვევაში 2°-ს აღემატება. რაც შეეხება სიგრძედებს, მათი უზარმაზარი რიცხობრივი სიდიდე ძირითადად წარმოადგენს, საფიქრებელია, სიგრძედთა გადათვლის თავისებური წესის ხმარების შედეგს. როგორც მ. ბროსეს მიერ გამოქვეყნებული მასალებიდან ირკვევა (21) და ჩვენც გვქონდა აღნიშნული (32), ვახუშტის თავისი ,,ყაზანური'' რუკების შედგენისას უსარგებლია ,,სპარსელი მათემატიკოსის'' (ალბად ულუღბეგის) ნაშრომში მოცემული გეოგრაფიული კოორდინატებით; სპარსელი და არაბი ასტრონომები, როგორც ცნობილია, სიგრძედებს კანარის კუნძულებიდან ანგარიშობდენ და პარალელებს ჰყოფდენ არა 360, არამედ 500 ნაწილად. ანალოგიური წესი უნდა იყოს გამოყენებული ვახუშტის ,,ყაზანურ'' ატლასშიც.

ადგილთა გეოგრაფიული მდებარეობის გამოსახვის სიზუსტის

მხრივ ,,ყაზანური ატლასის'' რუკები ვერ შეედრება ვახუშტის რუკების მეორე (,,პეტერბურგულ'') სერიას. გეოგრაფიული კოორდინატების არადამაკმაყოფილებელი სიზუსტით არის გამოწვეული მთელი რიგი ნაკლოვანებათა, რომლებიც ,,ყაზანურ ატლასს'' ახასიათებს, სახელდობრ კარტოგრაფიული ბადის დამახინჯებული სახე №№ 2, 3 და 4 რუკებში, რუკების ჩარჩოზე მოცემული ხაზობრივი მასშტაბის შეუსაბამობა ჰეშმარიტ მასშტაბთან და ა. შ. კარტოგრაფიული ბადის ფორმის დამახინჯებას გვიჩვენებს ის გარემოება, რომ სამცხე საათაბაგოს, ქართლისა და კახეთის რუკებზე მერიდიანთა 1^0-იანი მონაკვეთების სიგრძე ნაკლებია პარალელების შესატყვისი მონაკვეთების სიგრძეზე. თუ გავითვალისწინებთ ვახუშტის რუკათა ამ პირველ სერიაში გამოყენებულ პრიმიტიულ სწორკუთხოვან პრიექციას, კარტოგრაფიული ბადის ესოდენ ტლანქი დამახინჯება შეიძლება მხოლოდ ასტრონომიულ განსაზღვრათა შეცდომებს მივაწეროთ.

,,ყაზანური ატლასის'' რუკათა ჩარჩოებზე მოცემული ხაზობრივი მასშტაბების რიცხობრივი გამოხატულებანი და რუკების ჰეშმარიტი რიცხობრივი მასშტაბები ნაჩვენებია № 2 ცხრილში.

ცხრილი № 2.

„ყაზანური ატლასის" რუკის სახელწოდება და ნომერი	ხაზობრივი მასშტაბი რუკის ჩარჩოზე, მერიდიანების გასწვრივ	ხაზობრივი მასშტაბი რუკის ჩარჩოზე, პარალელების გასწვრივ	რუკის ჰეშმარიტი მასშტაბები (თანამედროვე რუკებთან შედარების მიხედვით)
ამიერ-კავკასია (№ 1)	1 : 2.200.000	1 : 2.440.000	*ა*) მცხეთა-სურამის ხაზზე 1 : 1.514.720 *ბ*) თბილის-ანანურის ხაზზე 1 : 1.400.000
სამცხე-საათაბაგო (№ 2)	1 : 1.028.374	1 : 774.507	*ა*) ახალციხე-ნუას ხაზზე 1 : 293.333 *ბ*) ფოკა-სურამის ხაზზე 1 : 520.548
ქართლის სამეფო (№ 3)	1 : 866.041	1 : 628.571	*ა*) სურამი-კასპის ხაზზე 1 : 401.041 *ბ*) თბილისი-ანანურ. ხაზზე 1 : 560.000

„ყაზანური ატლასის“ რუკის სახელწოდება და ნომერი	ხაზობრივი მასშტაბი რუკის ჩარჩოზე, მერიდიანების გასწვრივ	ხაზობრივი მასშტაბი რუკის ჩარჩოზე, პარალელების გასწვრივ	რუკის ჰეშმარიტი მასშტაბები (თანამედროვე რუკებთან შედარების მიხედვით)
კახეთის სამეფო (№ 4)	1 : 709.677	1 : 621.468	*ა*) თბილისი-თელავ. ხაზზე 1 : 333.333 *ბ*) თელავიდან სიგანედური მიმართულ. მდ. იორამდე 1 : 262.135
შ ი რ ვ ა ნ ი (№ 5)	1 : 769.230	1 : 873.016	შამახია-ბაქუს ხაზზე 1 : 954.545

ცხრილიდან მოჩანს შეფარდება როგორც რუკათა მერიდიანულ და პარალელურ ხაზობრივ მასშტაბებს შორის, ისევე ამ მასშტაბებსა და რუკების ჰეშმარიტ მასშტაბებს შორის.

ხაზობრივი მასშტაბები ,,ყაზანური ატლასის'' რუკებში შედგენილია, როგორც ითქვა, ორგვარი შკალის სახით, რომელთაგან ერთი რუსულ საზომ ერთეულებზეა აგებული, ხოლო მეორე ქართულ-აღმოსავლურზე. 17 აღაჯი გათანასწორებულია 102 რუსულ ვერსტთან, რაც სიზუსტისაგან საკმაოდ შორს დგას. ,,პეტერბურგულ ატლასში'' ეს შეცდომა გამოსწორებულია. 17 აღაჯი ანუ 102 ვერსტი ,,ყაზანურ ატლასში'' მიღებულია როგორც მერიდიანების, ისევე პარალელების 1^0-იანი მონაკვეთების სიგრძედ; რამდენადაც ხსენებული მონაკვეთები რუკებზე მერიდიანებისათვის და პარალელებისათვის არ არის თანაბარი, მასშტაბები მერიდიანების გასწვრივ ერთია, პარალელების გასწვრივ კი სხვა. სამცხე-საათაბაგოს, ქართლისა და კახეთის რუკებზე (№ № 2, 3 და 4) მასშტაბი პარალელების გასწვრივ უფრო დიდია, ვიდრე მერიდიანების გასწვრივ, ხოლო ამიერ-კავკასიისა და შირვანის (№ № 1 და 5) რუკებზე, პირიქით, მერიდიანები პარალელებთან შედარებით უფრო გაჭიმულია.

ცხრილის გაცნობისას თვალში გვეცემა, რომ რუკათა ჰეშმარიტი მასშტაბები, რომლებიც გამოანგარიშებულია თანამედროვე რუკებთან შედარების ხერხით, მკვეთრად განსხვავდებიან ჩარჩოზე

მოცემული ხაზობრივი მასშტაბებისაგან. ამიერ-კავკასიის, სამცხე-საათაბაგოს, ქართლისა და კახეთის (№ № 1, 2, 3 და 4) რუკებზე ჰეშმარიტი მასშტაბები გაცილებით (ზოგიერთ შემთხვევაში 2-3 ჯერ) აღემატება ჩარჩოზე აღნიშნულ მასშტაბებს. მხოლოდ შირვანის რუკაზე ჰეშმარიტი მასშტაბი ნაკლებია ჩარჩოს მასშტაბზე. ამგვარად, ,,ყაზანური ატლასის'' რუკები საქართველოს და მის ცალკეულ ნაწილებს გაცილებით მეტი სივრცის მქონედ წარმოგვიდგენენ, ვიდრე ისინი ნამდვილად არიან, ხოლო შირვანი, პირიქით, ოდნავ შემცირებულად არის მოცემული. ეს გარემოება ,,ყაზანური ატლასის'' დამთვალიერებლისათვის სპეციალურ გამოანგარიშებათა გარეშეც აღვილი შესამჩნევია: ამიერ-კავკასიის რუკაზე დახედვისას ყურადღებას იპყრობს, რომ საქართველოს ტერიტორია მთელი კავკასიის ყელის მიმართ გაზვიადებული სიდიდითაა გამოსახული, რის გამოც აზერბაიჯანის ტერიტორია საგრძნობლად შეიწროებულია.

ცხრილი № 3.

რუკის №	გაზომილი ხაზი	ხაზის სიგრძე მერიდიანების მასშტაბის მიხედვით	ხაზის სიგრძე პარალელების მასშტაბის მიხედვით	ხაზის ჰეშმარიტი სიგრძე
1	მდ. ქსნის სათავიდან შესართავამდე	98 ვერსტი	108 ვერსტი	73 კმ.
1	მდ. არაგვის სათავიდან შესართავამდე	122 „	140 „	86 „
1	თბილისი—სურამი	154 „	173 „	114 „
1	ბათუმიდან იორ-ალაზნის შესართავამდე	759 „	846 „	430 „
1	ბათომი—დარუბანდი	948 „	1065 „	550 „
3	თბილისი—მცხეთა	34 „	24 „	19 „
3	გორი-კასპი	68 „	50 „	33 „
4	იორ-ალაზნის შესართავიდან ალაზან-მტკვრის შესართავამდე	31 „	27 „	8 „
4	თელავი—საბუე	51 „	44 „	25 „

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ,,ყაზანური ატლასის'' ტოპოგრაფიული მასალა და კარტოგრაფიული ბადე ერთურთის

მიმართ უთანხმოებაში იმყოფებიან და მექანიკურად არიან ერთმანეთთან შეფარდებულნი. კარტოგრაფიული ბადის არადამაკმაყოფილებელი სიზუსტის გამო, რუკები დამახინჯებულად წარმოგვიდგენენ საქართველოსა და მისი ნაწილების სივრცეს და ცალკეულ პუნქტებს შორის არსებულ მანძილებს. როგორც შემდეგში ვნახავთ, ეს მნიშვნელოვანი ნაკლი „ყაზანური რუკებისა“ ვახუშტის მიერ გამოსწორებულ იქნა მისი რუკების მეორე სერიაში.

„პეტერბურგული ატლასი“ (5).

ინახებოდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აზიურ მუზეუმში; ამჟამად დაცულია საქართველოს ცენტრალურ არქივში. ატლასის ყდაზე არის ფრანგული სათაური:

„Atlas pour Wakhoucht“.

ატლასი შესდგება 21 ფურცლისაგან, რომელთაგანაც 19 რუკებს წარმოადგენენ, ორ დარჩენზე კი ბაგრატიონთა გენეალოგიური სქემებია გამოსახული.

რუკები შემდეგია:

№ 1 („რუკა მხაზველი საქართველოსი ანუ იერიისა ანუ გიორგიისა“...), ფაქტიურად წარმოადგენს მთელი კავკასიის ყველა გამოსახულებას ჩრდილო სიგანედის 40-47° და აღმოსავლეთი სიგრძედის 58-70° შორის. რუკის ჩარჩოს ფარგლებში მოხვედრილია: ჩრდილო-დასავლეთით — აზოვის ზღვის აღმოსავლეთი ნაწილი, ჩრდილო-აღმოსავლეთით — მდ. ვოლგას დელტა, სამხრეთ-აღმოსავლეთით — ყიზილ-აღაჯის უბე და აფშერონი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით — ქ. ტრაპიზონი.

რუკის მასშტაბი ჩვენი გამოანგარიშებით უდრის 1 : 2.807.895 (სანტიმეტრში დაახლოებით 28 კილომეტრი). ხაზობრივი მასშტაბი მოცემულია აღაჯებში და რუსულ ვერსტებში, იგივეა დანარჩენ რუკებშიც.

რუკა დამყარებულია გამარტივებული კონუსური პროექციის საფუძველზე. მერიდიანები და პარალელები გავლებულია 1° ინტერვალით და სწორ ხაზებს წარმოადგენენ. მერიდიანები ჩრდილოეთისაკენ უახლოვდებიან ერთმანეთს; მანძილი პარალელებს შორის უცვლელია. ჩარჩოს მიმართ გრადუსული ბადე ცოტაოდნად დახრილია.

შავსა და კასპიის ზღვებში არის კომპასის მიმართულებათა გამოხატულება: ოთხ კვადრანტად გაყოფილი წრე; ყოველი კვადრანტი განსაკუთრებული ფერით არის შეღებილი. ისრის წვეტი

მიმართულია ჩრდილოეთისაკენ. წრის მარჯვენა მხარეზე გამოსახულია მბრუნავი ჯვარი[1].

ზღვებისა და ტბების სანაპირო ხაზებს გაყოლებული აქვს პერპენდიკულარული მოკლე შტრიხები. მთები აღნიშნულია გამუქებული გორაკების სახით. ჩრდილო კავკასიაში წერტილებით ნაჩვენებია ქვიშიანი უდაბნოს ფრაგმენტი („სილა ანვეთერი"). რუკაზე ვარდისფრად, ხარინჯისფრად, მწვანედ, ყვითლად და ყავისფრად ნაჩვენებია საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული პროვინციები.

საქართველოს ტერიტორიაზე, მეტადრე ქართლ-კახეთის, სამცხისა და რაჭა-იმერეთის ფარგლებში, მდინარეთა ქსელთან ერთად მრავალი დასახლებული პუნქტი არის აღნიშნული. ჩრდილო კავკასიაში საკმაოდ ზუსტად გამოსახულია მდ. მდ. ყუბანის, თერგისა და სხვათა სისტემები, ხოლო დასახლებული პუნქტებიდან აღნიშნულია ყიზლარი, ასთრახანი, თერმუკი (Темрюк), დარუბანდი მდინარეთა ქსელი და დასახლებული პუნქტები სამხრეთ-აზერბაიჯანშიც არის ნაჩვენები. საქართველოს გარეთ ყურადღებას იპყრობს მდ. ყუბანის სისტემის დეტალური და საკმაოდ სწორი გამოსახულება, — აქ აღნიშნულია ყუბანის შემდინარენი: ლაბა, ცალპიკ, არპა, ინთხივ, ბარვახლი, მწვანე წყალი და სხვ. აზოვის ზღვასთან მოცემულია ლიმანები, მდ. ვოლგას დელტაში — ამ მდინარის ტოტები, ხოლო კასპიის ზღვაში კუნძულები.

№ 2 („ქარტა ქართლოსის წილისა, რომელიცა ძმათა თვისთა ქვეყანანი ხვდა"...). რუკის მასშტაბია 1 : 1.000.000. ხაზობრივი მასშტაბი მოცემულია აღაჯებში, რუსულ ვერსტებსა და „ნემენცკის მილებში". რუკაზე გამოსახულია მთელი აღმოსავლეთი და სამხრეთი საქართველო დას. საქართველოს მცირე ნაწილითურთ.

№ 3 („რუკა საქართველოსი ანუ იბერიისა"...). მასშტაბი უდრის 1 : 1.481.666.

№ 4. ბაგრატიონთა გენეალოგია.

№ 5 („რუკა საქართველოსი ანუ ივერიისა"...). 1 : 2.222.500.

№ 6 („ქარტა ანუ რუკა ქართლისა სრულიადისა"...). 1 : 1.085.800.

№ 7 („რუკა ქართლისა მტკვრის ჩრდილოეთისა"...), რომელზეც გამოსახულია შიდა ქართლი, ოსეთის, კახეთის, ქვემო ქართლისა და რაჭა-იმერეთის ნაწილებითურთ. 1 : 386.232.

[1] ეს კარტოგრაფიული ბადე ძლიერ მიემსგავსება რუსეთის იმპერიის 1745 წლის ატლასის XI რუკის კარტოგრაფიულ ბადეს.

№ 8 („ქარტა ანუ რუკა ძველად ზენა სოფლებისა ანუ შიდა ქართლისა და აწ წოდებული ქართლისა"...). 1 : 398.059.

№ 9 („ქარტა ქართლისა"...), გამოსახავს იმავე სივრცეს, რომელსაც იძლევიან რუკები № № 7 და 8. 1 : 395.111.

№ 10 („ქარტა ანუ რუკა ძველად ორი საერისთოსი ხუნანისა და სამშვილდისა, ხოლო აწინდელს ჟამსა პირველი სასპასპეტოსი... სომხით-საბარათიანო"... და სხვ.). გამოსახავს ქვემო ქართლს ზემო ქართლისა და სამცხის ნაწილებითურთ. 1 : 395.000.

№ 11. ქვემო ქართლი. 1 : 394.000.

№ 12. ქვემო ქართლი. 1 : 463.826.

№ 13. ქვემო ქართლი. 1 : 410.308.

№ 14. კახეთის სამეფო. 1 : 609.428.

№ 15 („რუკა აწინდელისა ოსეთისა"...). 1 : 270.126.

№ 16. ბაგრატიონთა გენეალოგია.

№ 17 („ქარტა სამცხე-საათაბაგოსი"...). 1 : 610.000.

№ 18 („რუკა იმერეთისა, ოდიშისა და გურიისა"...). 1 : 605.000.

№ 19 („რუკა იმერეთისა"...). 1 : 367.896.

№ 20. დასავლეთ საქართველო მთლიანად („აფხაზეთი"...). 1 : 609.614.

№ 21. ოდიში, აფხაზეთი, აზოვის ზღვისა და ჩრდილო კავკასიის ნაწილები. 1 : 1.000. 50[1].

ყველა რუკები დამყარებულია გამარტივებულ კონუსურ პროექციაზე. რუკები შელებილია სხვადასხვა ფერის აკვარელით; ფერებით აღნიშნულია საქართველოს დანაწილება სამეფოებად, სამთავროებად, სასპასპეტოებად და ა. შ. ხაზობრივი მასშტაბი ამ ატლასშიც აღაჯებსა და რუსულ ვერსტებშია მოცემული, მაგრამ არა ჩარჩოზე, არამედ ცალკე.

„ყაზანური ატლასის" რუკებთან შედარებით, „პეტერბურგული ატლასის რუკები უფრო სრულყოფილი კარტოგრაფიული საფუძველით განირჩევა. პუნქტების გეოგრაფიული კოორდინატების ცდომილებანი „პეტერბურგულ ატლასში" საგრძნობლად ნაკლებია (იხ. № 4 ცხრილი).

---

[1] „პეტერბურგული ატლასის" რუკათა სრული სათაურები მოყვანილი აქვს მ. ბროსეს ვახუშტის გეოგრაფიის 1842 წ. გამოცემის წინასიტყვაობაში, რომლის სრული თარგმანი მოთავსებულია დ. ბაქრაძის მიერ გამოცემული ვახუშტის „საქართველოს ისტორიის" შესავალში.

ცხრილი № 4.

პუნქტის სახელწოდება	სიგანედის ცდომილება	სიგრძედის ცდომილება	პუნქტის სახელწოდება	სიგანედის ცდომილება	სიგრძედის ცდომილება
ბათომი	+ 49′	+1° 48′	მდ. მდ. ალაზნისა და იორის შესართავი . . .	+12′	+1° 41′
თბილისი	+ 33′	+2° 08′	სურამი	+29′	+2° 06′
სოხუმი	+1° 03′	+1° 48′	ახალქალაქი . . .	+28′	+1° 43′
ქუთაისი	+ 36′	+1° 58′	ახალციხე . . .	+46′	+1° 58′
ფოთი	+ 51′	+2° 12′	სტეფანწმინდა . .	+31′	+2° 01′
თელავი	+ 33′	+2° 16′	ონი	+25′	+2° 00′
ჭობულეთი . . .	+ 42′	+1° 44′	მდ. ზანგას ჭასადინარი გელაქუნის ტბიდან .	+37′	+2° 05′
თერგის შესართავი	+ 27′	+1° 44′			

„პეტერბურგული ატლასის“ თითქმის ყველა რუკების წარწერებში ვახუშტის საგანგებოდ აღნიშნული აქვს, რომ ეს რუკები მოხაზულია „ახალს პოვნილს უფლის ფელეს მენაკსა ზედა“. „ფელედ“ აქ ნაგულისხმევია ცნობილი ფრანგი გეოდეზისტი და ასტრონომი ლუი ფელიე (Feuillet), რომელიც თავდაპირველად მინორიტებს ორდენის ბერი იყო. ბერობის პერიოდში მან მეცნიერული კვლევის მიზნით იმოგზაურა ტუნისში, სამხრეთ ამერიკასა და ვესტ-ინდოეთში და ჩაატარა ასტრონომიური, მაგნიტური და მეტეოროლოგიური დაკვირვებანი. შემდეგში, 1711 წლიდან სიკვდილამდე (1732 წ.) იგი მარსელის ასტრონომიული ობსერვატორიის დირექტორი იყო.

ლუი ფელიეს ვახუშტი, ჩვენის აზრით, შემდეგ გარემოებასთან დაკავშირებით იხსენიებს. გეოგრაფთა კონგრესმა, რომელიც პარიზში 1634 წელს იქნა მოწვეული, დაადგინა საწყის მერიდიანად კანარის არქიპელაგში შემავალი ფეროს კუნძულის მერიდიანის ძიღება იმ ვარაუდით, რომ განსხვავება დასახელებული კუნძულისა და ქ. პარიზის სიგრძედებს შორის სრულ 20°-ს უდრის. შემდეგში პარიზის აკადემიამ განიზრახა ზუსტად გაეზომა სხვაობა ფეროსა და პარიზის მერიდიანებს შორის, რა მიზნითაც კანარის კუნძულებზე გაგზავნილ იქნა ლუი ფელიე. 1724 წელს ფელიემ გამოარკვია, რომ

სიგრძედთა სხვაობა პარიზსა და კუნძული ფეროს დასავლეთ ნაპირს შორის უდრის არა ზუსტად 20°, არამედ 20° 1'45". ქართველ კარტოგრაფსაც სწორედ ფელიეს ეს აღმოჩენა უნდა ჰქონდეს ძხედველობაში „ახალ მენაკზე" ლაპარაკის დროს.

ცნობილია, რომ ვახუშტის რუსეთში ცხოვრების დროს ურთიერთობა ჰქონია საფრანგეთიდან მოწვეულ ასტრონომ ჟოზეფ დელილთან, რომლის უფროსი ძმა გილიომ დელილი (1675-1726) პარიზის ობსერვატორიის დირექტორი იყო (ბროსე, 21). საფიქრებელია, რომ ვახუშტიმ ფელიეს აღმოჩენის შესახებ უმცროსი დელილისაგან გაიგო, რასაც უნდა მოწმობდეს შემდეგი. 1745 წელს გამოცემულ რუსეთის იმპერიის გეოგრაფიულ ატლასში („Атлас Российской", 8), რომელსაც საფუძვლად ჟ. დელილის მიერ გაწეული შრომა უდევს, გეოგრაფიული კოორდინატების ცხრილს შემდეგი სათაური აქვს: „Долгота и широта знатнейших мест Российской империи. Долгота мест от острова Ферро по новейшему исчислению господина Фелье". თუ ამასთან ერთად გავითვალისწინებთ იმ მსგავსებასაც, რომელიც ვახუშტის „პეტერბურგული ატლასისა" და რუსეთის 1745 წ. ატლასის კარტოგრაფიულ ბადეებს შორის არსებობს, ცხადი გახდება, რომ ისინი საერთო პირველწყაროდან მომდინარეობენ.

„პეტერბურგული ატლასის" მეორე ღირსება, რომელიც მას „ყაზანურ ატლასზე" მაღლა აყენებს, და რომელიც კარტოგრაფიული ბადის უმჯობესობასთან არის დაკავშირებული, გამოიხატება ფართობებისა და მანძილების უფრო სწორ გადმოცემაში, ვიდრე ამას 1736 წ. რუკებში ვხედავთ. მაგალითისათვის შეიძლება ასეთი შედარების მოტანა: თუ „ყაზანური" ატლასის № 1 რუკის მიხედვით, კავკასიის ყელის სიგანე (ქქ. დარუბანდისა და ბათომის შეაერთებელი სწორი ხაზის სიგრძე) ხაზობრივი მასშტაბით 948-1065 კმ გამოდის და, ამგვარად, აღნიშნული რუკა 1,7-2-ჯერ ადიდებს ჭეშმარიტ მანძილს, — „პეტერბურგული" ატლასის № 1 რუკაზე მანძილი ბათომსა და დარუბანდს შორის, ხაზობრივი მასშტაბის თანახმად, 590 რუსულ ვერსტს, ე. ი. 629 კმ უდრის და, მაშასადამე, მხოლოდ 1,13-ჯერ სჭარბობს ნამდვილ მანძილს. სხვა მანძილთა შემოწმებაც გვიჩვენებს, რომ სიერცის გამოსახვის სისწორის მხრივ ვახუშტის რუკათა მეორე წყება გაცილებით აღემატება პირველ სერიას. აღსანიშნავია, რომ „პეტერბურგულ ატლასში" ისევე, როგორც „ყაზანურში", საქართველოს ტერიტორია

გადიდებულად არის წარმოდგენილი კავკასიის სხვა ნაწილთა შემცირების ხარჯზე, მაგრამ, კარტოგრაფიული ბადის მეტი სიზუსტის მეოხებით, ,,პეტერბურგულ'' ატლასში ეს დამახინჯება გაცილებით ნაკლებია, ვიდრე პირველი ატლასის რუკებში.

ვახუშტის რუკების ტოპოგრაფიული შინაარსის დახასიათება

ვახუშტი ბაგრატიონის რუკათა ორივე ძირითადი სერიის გაცნობისას ადვილი შესამჩნევია, რომ ტოპოგრაფიული შინაარსის სიზუსტისა და სიმდიდრის მხრივ ჩვენი კარტოგრაფის ნაშრომებში შეიძლება განვასხვაოთ არათანაბარი ღირებულების მქონე ნაწილები. რუკებზე გამოსახული სივრცის განსაზღვრული ნაწილები უფრო ზუსტად და დაწვრილებით არის წარმოდგენილი, ვიდრე დანარჩენი რაიონები. კერძოდ, ქართლ-კახეთისა და იმერეთის ტერიტორია კავკასიის დანარჩენ ნაწილებზე უკეთესად არის გადმოცემული ,,პეტერბურგულ ატლასში'' გაუმჯობესებულია ჩრდილო კავკასიის გამოსახულებაც. რაც შეეხება კავკასიონის უმეტეს ნაწილს, აფხაზეთ-სამეგრელო-გურიას, სამცხე-საათაბაგოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს, მათ მიმართ ვახუშტის რუკებს გაცილებით მეტი სქემატურობა და ცდომილებები ემჩნევა.

ქართლის, კახეთისა და იმერეთის ტერიტორიაზე ვახუშტის რუკებში დიდი სიზუსტით გამოსახულია ჰიდროგრაფიული ქსელი, რელიეფი, დასახლებული პუნქტები, მნიშვნელოვანი სამხედრო და საკულტო ნაგებობანი. აქ არ არის გამოტოვებული არც ერთი მნიშვნელოვანი წდინარე ან სოფელი. განსაკუთრებით კარგად შესრულებულია ქართლის სამეფოს რუკა; თითქმის ასევე ზუსტია იმერეთის სამეფოს გამოსახულებაც, ხოლო კახეთის სამეფოს რუკა რამოდენადმე ჩამოუვარდება ამ მხრივ ქართლისა და იმერეთის რუკებს.

ქართველი კარტოგრაფის ნაწარმოების ამ უმჯობეს ნაწილში, რომელიც საქართველოს სამი სამეფოის ტერიტორიას წარმოგვიდგენს, შეიძლება ზოგიერთი ხარვეზები და წვრილმანი შეცდომები იქნეს შემჩნეული. ქართლის რუკაზე, მაგალითად, ტბა, რომელიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით ყელის ტბას შეესაბამება (ვახუშტით ქნოლოს ტბა), მდ. პატარა ლიახვის სათავეშია მოთავსებული. თავის გეოგრაფიულ თხზულებაშიც ვახუშტი ამ ტბას პატარა ლიახვის მასაზრდოებლად სთვლის. სინამდვილეში, როგორც კარგად არის ცნობილი, ყელის ტბიდან მდ. ქსანი გამოდის და ვახუშტის ხანაშიც ასე უნდა ყოფილიყო. ამრიგად, ვახუშტის რუკა

ყელისტბას მცდარად გამოსახავს. რამოდენადმე არასწორად არის გადმოცემული მდ. მდ. ალგეთისა და ქციას (ხრამის) ქვემო წელთა მიმართულება: ეს მდინარეები, სანამ მტკვარს შეერთვოდენ, გადინებიან NW-SO მიმართულებით, ხოლო ვახუშტის რუკაზე ისინი თითქმის პირდაპირ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიმდინარეებად არიან წარმოდგენილნი. ქართლის დასავლეთ ნაწილში გამოსახულია მტკვრის ორ ტოტს შორის მოქცეული გრძელი კუნძული: მარცხენა ტოტს, რომელიც კუნძულს ჩრდილოეთიდან უვლის, უერთდებიან ფრონეების სახელით ცნობილი მდინარეები. სინამდვილეში ეს უკანასკნელნი უერთდებიან არა მტკვრის ტოტს, არამედ მტკვრის პარალელურად მიმართულ მდ. სურამის ფრონეს, ხოლო ვახუშტის რუკაზე გამოსახული კუნძული და მტკვრის განტოტება არ არსებობენ და არც ვახუშტის ხანაში იარსებებდენ.

კახეთის რუკაზე მდ. მდ. ალაზნისა და ივრის საერთო მიმართულება ზუსტად გადმოცემული არ არის: აღნიშნული მდინარეები ნამდვილად NW-SO მიმართულებით დახასიათდებიან, ხოლო ვახუშტის რუკათა ორივე სერიაში მათ თითქმის მერიდიანული მიმართულება აქვთ მიცემული; ამავე მიმართულებით არის გატარებული კახეთის კავკასიონის თხემის ხაზიც.

არის შეცდომათა მთელი რიგი იმერეთის რუკაშიც. მაგალითად, არასწორად არის გამოსახული ოკრიბის მდინარეები.

თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ტოპოგრაფიული პირობების სირთულეს და მათს შეუსწავლელობას XVIII საუკუნეში, ვახუშტის რუკებზე ქართლ-კახეთ-იმერეთის მიმართ დაშვებული ცდომილებები უმნიშვნელოდ წარმოგვიდგება.

გაცილებით ტლანქია ვახუშტის რუკებში კავკისიის დანარჩენი ნაწილების გამოსახულებანი.

შავი ზღვის სანაპირო ხაზის მოყვანილობა ორივე („ყაზანურ“ და „პეტერბურგულ“) სერიებში ფრიად კლაკნილად არის წარმოდგენილი, თუმცა დეტალების მიხედვით ვახუშტის ადრინდელი და გვიანდელი რუკები ერთურთისაგან შესამჩნევად განსხვავდებიან. უფრო მეტიც: ზემოაღნიშნული ხაზი ერთ და იმავე ატლასის სხვადასხვა რუკაშიც განსხვავებულად არის მოცემული, რაც უნდა გვიჩვენებდეს მისი გამოსახულების ნებისმიერობას. „ყაზანურ“ რუკებში ყოველი მდინარე ხმელეთში ღრმად შეჭრილ ზღვის ყურეს შეერთვის. სიხამდვილეში კავკასიის შავი ზღვის ნაპირი სწორხაზოვან ნაპირთა რიცხვს ეკუთვნის და უმნიშვნელო კლაკნილობით

განირჩევა. საყურადღებოა, რომ დასავლეთ-ევროპელი კარტოგრაფების XV XVIII სს. რუკებშიც შავი ზღვის ნაპირები გადაჭარბებით კლაკნილად არის გამოსახული (იხ. Танфильев-ის წიგნში (27) გრატიოზა ბენინკაზას 1474 წლის პორტოლანის, ი. მასსას 1633 წლის, ჰესელ ჰერიტსის 1614 წ., ვიტსენის 1687 წ., გომანის 1724 წლის რუკათა რეპროდუქციები).

კასპიის ზღვის სანაპირო ხაზი როგორც ,,პეტერბურგულ'', ისევე ,,ყაზანურ'' რუკებშიც გაცილებით უკეთესად არის გადმოცემული, ვიდრე შავი ზღვის ნაპირი. ,,ყაზანური ატლასის'' მიმოხილვითს (№ 1) რუკაზე უკვე საკმაო სისწორით გამოსახულია აფშერონის ნახევარკუნძული, ვოლგას დელტა, კასპიის ზღვის რამდენიმე კუნძული (,,ჰალაკი''). კასპიის სანაპიროზე აღნიშნულია პუნქტები: ბაქუ, სოლახი, წმინდა ჯვარი (რუს. Крепость святого креста), ქ. თერგი (Терки), ასტრახანი. ,,პეტერბურგული ატლასის'' მიმოხილვითს რუკაზე კასპიის სანაპიროს გამოსახულება უფრო დეტალიზებული და დაზუსტებულია: აღნიშნულია კუნძულთა მეტი რაოდენობა, ნაჩვენებია არის ყიზილ-აღაჯის უბე და ა. შ.

ჩრდილო კავკასიის ვაკისა და კავკასიონის გამოსახულებანი ,,ყაზანურ'' და ,,პეტერბურგულ'' ატლასებში საგრძნობლად განსხვავებულია. ,,ყაზანური ატლასის'' № 1 რუკაზე ჩრდილო კავკასიის ჰიდროგრაფიული ქსელი ტლანქი მახვილებით და შეცდომებით არის მოცემული, ,,პეტერბურგული ატლასის'' № 1 რუკაზე კი, როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს, ჩრდილო კავკასიის მდინარეები და ტბები გაცილებით მეტი სიზუსტით არის გამოსახული.

კავკასიონის მთიანეთის გამოსახულება ორივე ატლასში მნიშვნელოვანი ცდომილებებით ხასიათდება, მაგრამ თავისი დეტალების მიხედვით განსხვავებულია. მაგალითად, კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილში თუშეთიდან გამავალი მდინარე პირველსა და მეორე ატლასებში სხვადასხვაგვარად არის მოხაზული. თუშეთის ძირითადი ოროგრაფიული სქემა ორივე ატლასში სწორედ არის მოცემული: გამოსახულია ორი ურთიერთ-პარალელური ხეობა, მიმართულნი ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, რომელშიც პირიქითისა და გომეწრის ხეობებს შეესაბამებიან. თუ ,,ყაზანურ ატლასში'' ხსენებული ორი ხეობის მრწყველი მდინარეები ერთმანეთს თუშეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში შეერთვიან, ხოლო მათი შეერთებით წარმოქმნილი მდინარე აღმოსავლეთისაკენ მოედინება და შეერთვის მდ. თერგის ქვემო წელს, —

,,პეტერბურგულ ატლასში'' თუშეთის მდინარე ჯერ მოედინება თუშეთის სამხრეთ ხეობაში NW-SO მიმართულებით, შემდეგ გაუხვევს თითქმის 180°-ით, მიჰყვება მეორე ხეობას SO-NW მიმართულებით და ღებულობს რა ჩრდილოეთურ მიმართულებას, შეერთვის თერგს ბორალანთან. ამგვარად, ეს მდინარე ,,პეტერბურგული ატლასისა'' თავისი ზემო წელით შეესაბამება მდ. თუშეთის ალაზანს, შუა წელით მდ. პირიქითულ ალაზანს, ხოლო ქვემო წელით — მდ. შარო-არღუნს. მაშასადამე, კავკასიონის ამ ნაწილის ორო-ჰიდროგრაფია ვახუშტის ორივე ატლასში მცდარად არის წარმოდგენილი. ამასთან ერთად, სუსტად არის გადმოცემული თუშეთის დასახლებული პუნქტებიც: ,,ყაზანური ატლასის'' № 4 რუკაზე სოფლის პირობითი ნიშანი რამდენიმე ათეულის რაოდენობით ზის, მაგრამ არც ერთ მათგანს სახელი არ აქვს წარწერილი; ,,პეტერბურგული ატლასის'' რუკებზე კი თუშეთში აღნიშნულია სამი სოფელი, რომლებსაც აწერიათ ,,წოვა'', ,,გომეწარი'' და ,,ჩალმა'' (სინამდვილეში ეს არის ამა სოფელთა, არამედ თემთა სახელები).

როგორც ჩანს, ჰიპოთეზურ მოსაზრებებზეა დამყარებული ვახუშტის რუკებში აგრეთვე დიდოეთისა და საერთოდ, დაღისტნის მთიანი ნაწილის გამოსახულება. მნიშვნელოვან ხარვეზებსა და შეცდომებს შეიცავენ ხევსურეთ-ქიზიყეთისა და ნაწილობრივ დვალეთის გამოსახულებანიც.

კავკასიონის დასავლეთ ნაწილში შედარებით დამაკმაყოფილებელია რაჭისა და დიგორის გადმოცემა. რაც შეეხება სვანეთს, ბალყარეთს, აუხაზეთსა და მთიან ჩერქეზეთს, მათი გამოსახულებანი ვახუშტის რუკებში ტლანქი და ნაწილობრივ ფანტასტიკურიც არის. თავი რომ დავანებოთ აფხაზეთის სანაპირო ხაზის საკრთო მიმართულების არაზუსტ გადმოცემას, კავკასიონის დასავლეთ ნაწილში არსებული დასახლებული ადგილების აღუნიშვნელობას და ა. შ. — ყურადღებას იპყრობს, რომ ორივე ატლასში დასავლეთი კავკასიონის ოროგრაფია და ჰიდროგრაფია ფრიად არასწორად არის წარმოდგენილი. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია ე. წ. ,,კაპპეტის წყლის'' გამოსახულება.

,,ყაზანური ატლასის'' № 1 რუკაზე გამოსახულია დიდი მდინარე, რომელიც სვანეთში იწყება, იერთებს ბასიანიდან (= ბალყარეთიდან) გამომდინარე წყალს და, მიედინება რა WNW მიმართულებით, გადის რუკის ჩარჩოს ჩრდილო გვერდს გარეთ, რის გამოც მისი შესართავი ნაჩვენები არ არის. ეს მდინარე თავისი

მდებარეობისა და საერთო მიმართულების მიხედვით შეესაბამება ყუბანს; ვახუშტი, როგორც აქედან ჩანს, სვანეთსა და ბალყარეთს მდ. ყუბანის აუზში მდებარედ სთვლიდა. განსხვავებით ,,პეტერბურგული ატლასისაგან'', აქ სვანეთიდან გამავალი მდინარე არ არის გაიგივებული ,,კაპპეტის წყალთან'', — ,,ყაზანურ ატლასში'' ეს უკანასკნელი ნაჩვენებია დამოუკიდებელი მოკლე და თითქმის სწორხაზობრივი მდინარის სახით, რომელიც იწყება ოდიშ-აფხაზეთის საზღვართან, მიემართება დასავლეთისაკენ და შეერთვის შავ ზღვას ბიჭვინტის მიდამოებში. თავისი შესართავის მდებარეობის მიხედვით იგი შეესაბამება მდ. ბზიფს.

,,პეტერბურგულ ატლასში'' კავკასიონის დასავლეთი ნაწილის ოროჰიდროგრაფიული სქემა არსებითად შეცვლილია. როგორც ითქვა, ყუბანის სისტემა ამ ატლასის № 1 რუკაში დაწვრილებით და ზუსტად არის გამოსახული. ბასიანის მდინარე შეერთებულია არა ყუბანთან, არამედ უკვე თერგთან, რაც საფუძვლიანად მართებულია. სვანეთის მდინარე შეერთებულია ,,კაპპეტის წყალთან'', რის შედეგადაც წარმოქმნილა არარეალური გაგრძელება უზარმაზარი მდინარისა, რომელიც იწყება რაჭის საზღვართან, გადაჰკვეთს მთელ სვანეთს, ალანს, აფხაზეთს და შეერთვის ბიჭვინტასთან ზღვას. ეს ფანტასტიკური მდინარე თავისი ქვემო წელით შეესაბამება ბზიფს, ხოლო ნისი შუა და ზემო წელი გადაჭიმულია იმ სივრცეზე, რომელიც ფაქტიურად მდ. მდ. კოდორის, ენგურისა და ცხენის-წყლის ზემო წყლებს უკავიათ. ამის გამო ეს უკანასკნელი სამი მდინარე ძლიერ დამოკლებულად არის ნაჩვენები. კაპპეტის-წყალის აუზს ორივე მხრიდან გასდევენ მთაგრეხილები და დასავლეთი კავკასიონი წარმოდგენილია, როგორც ორი ურთიერთპარალელური ქედით შედგენილი მთიანეთი (,,ორნი კავკასნი'', რომლებიც იხსენიება ვახუშტის გეოგრაფიული ნაშრომის აფხაზეთის შესახებს ნაწილშიც).

ამგვარად, კავკასიონის გამოსახულება ,,ყაზანურ'' და ,,პეტერბურგულ'' ატლასებში მნიშვნელოვნად განსხვავებულა. შეცდომები, რომლებიც ,,ყაზანურ ატლასში'' კავკასიონის ზოგიერთი რაიონების მიმართ იქნა დაშვებული, ,,პეტერბურგულ ატლასში'' ნაწილობრივ გამოსწორებულია, მაგრამ გაჩენილა ახალი ცდომილებებიც. ეს გარემოება უნდა მოწმობდეს, რომ ისეთი რაიონების შესახებ, როგორიცაა სვანეთი ან თუშეთი, ვახუშტის ხელთ არ ჰქონია საიმედო კარტოგრაფიული მასალა.

სქემატურია და ხარვეზებით აღსავსე აფხაზეთისა და ოდიშის

გამოსახულება. ცუდად არის გადმოცემული, მაგალითად, აქაური ჰიდროგრაფიული ქსელი (მდ. ხობის შემდინარე ჰანისწყალი ზღვის უშუალო შემდინარედ არის წარმოდგენილი და ა. შ.). ღარიბ ცნობებს იძლევიან ვახუშტის რუკები ოდიშის დასახლებულ პუნქტებზეც. რაც ითქვა აფხაზეთ-ოდიშის შესახებ, შეიძლება გავრცელებული იქნეს გურიაზეც, რომლის გამოსახულებაც აგრეთვე სქემატურ ხასიათს ატარებს.

სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაც ვახუშტის, შედარებით ქართლ-კახეთ-იმერეთთან, არაზუსტად აქვს წარმოდგენილი. საკმაო სისრულითა და სისწორით განირჩევა ჯავახეთისა და ნაწილობრივ მესხეთის გამოსახულება. მდ. ჭოროხის სისტემა ცუდად არის გადმოცემული; მცირე რაოდენობით არის აღნიშნული ტაო-კლარჯეთისა და ჰანეთის დასახლებული პუნქტები. სამცხე-საათაბაგო ვახუშტის ორსავე ატლასში თითქმის სავსებით ერთნაირად არის წარმოდგენილი, თუმცა შეიძლება ზოგიერთი განსხვავებაც იქნეს შემჩნეული. მაგალითად, ქ. ბათომის მდებარეობა მდ. ჭოროხის მიმართ „ყაზანურ ატლასში“ უფრო სწორად არის ნაჩვენები, ვიდრე „პეტერბურგულში“, სადაც ბათომი ჭოროხის შესართავის დასავლეთით არის აღნიშნული.

სომხეთი და აზერბაიჯანი „ყაზანურ ატლასში“ მთლიანად არის წარმოდგენილი, „პეტერბურგულ ატლასში“ კი მხოლოდ მათი ჩრდილო ნაწილებია მოხაზული. „ყაზანური ატლასის“ მიმოხილვითს რუკაზე სომხეთ-აზერბაიჯანსა და თურქეთ-ირანის მოსაზღვრე ნაწილებში აღნიშნულია: ქქ. ერევანი, ეჩმიაძინი, ჯულფა, ნახჩევანი, ანისი, ბაქუ, სალიანი, ჯავათი, შამახია, ბარგუშათი, გულისტანი, შანქორი, ხილხალა, განჯა, ბითლისი, ვანი, ტრაპიზონი, მარანდი, ლაშერა და სხვ.; მდ. ეფრატის ზემო წელი, ვანისა და გელაქუნის (სევანის) ტბები; მთები; საქარავანო გზები. საქართველოსთან შედარებით, სომხეთ-აზერბაიჯანის გამოსახულება სუსტად არის შესრულებული და მნიშვნელოვან შეცდომებს შეიცავს (მაგალითად, გელაქუნის ტბიდან მდ. არაქსში ჩამოყვანილია ორი მდინარე: ერთი ტბის NW კუთხიდან გამოდის, — ეს მდინარე შეესაბამება ზანგას; მეორე ტბის SO კუთხიდან გამოდის და ყარაბაღლარისაკენ მიედინება — ასეთი მდინარე რეალურად არ არსებობს).

„პეტერბურგული ატლასის“ დათარიღებისათვის

„პეტერბურგული ატლასის“ რუკებზე მათი შედგენის დრო აღნიშნული არ არის. ამ რუკათა მიახლოებითი დათარიღება

შესაძლებელი ხდება ვახუშტი ბაგრატიონის სხვა კარტოგრაფიული ნაშრომების მიხედვით.

ცხადი უნდა იყოს, რომ ,,პეტერბურგული ატლასის'' შემადგენელი რუკები ,,ყაზანური ატლასის'' რუკებზე გვიან არის შედგენილი. როგორც ვახუშტის ატლასების კარტოგრაფიული საფუძველისა და ტოპოგრაფიული შინაარსის დახასიათებისას ვნახეთ, ,,პეტერბურგული ატლასის'' რუკები ხარისხობრივად შესამჩნევად აღემატებიან ,,ყაზანურ'' რუკებს, ისინი ამ უკანასკნელთა გაუმჯობესების შედეგს წარმოადგენენ. კერძოდ, კარტოგრაფიული ბადე, მასშტაბები და ზოგიერთი სხვა ელემენტები ,,პეტერბურგულ ატლასში'', ,,ყაზანურთან'' შედარებით, დაზუსტებულია. ჩანს, ,,ყაზანური ატლასის'' რუკების შედგენის შემდეგ ვახუშტის შესაძლებლობა მიცემია ესარგებლნა უფრო ახალი, ზუსტი მასალებით, სახელდობრ გეოგრაფიული კოორდინატების განსაზღვრებით, კარტოგრაფიული პროექციითა და აგრეთვე ჩრდილო კავკასიისა და კასპიის ზღვის სანაპიროს ტოპოგრაფიული აგეგმვების შედეგებით. ამგვარი მასალების მიღება ქართველ კარტოგრაფს შეეძლო ჟოზეფ დელილთან ურთიერთობის დამყარების შემდეგ, რასაც საბუთების მიხედვით (იხ. ბროსსე, 21) ადგილი ჰქონდა 1737-38 წწ. ამრიგად, ,,პეტერბურგული'' რუკების შედგენა არ შეიძლება 1737 წელზე ადრე მომხდარიყო.

მეორეს მხრივ, არსებობს ვახუშტის რუკების რუსული თარგმანი, რომელიც რუსეთის სამხედრო შტაბის დაკვეთით იქნა დამზადებული (იხ ალ. ცაგარლის წინასიტყვაობა ს. ნ. ბერნაშევის წიგნში). მისი შესწავლა გვიჩვენებს, რომ რუსული ასლების კარტოგრაფიული საფუძველი და ტოპოგრაფიული შინაარსი სავსებით იდენტიურია ,,პეტერბურგული ატლასის'' რუკებისადმი. ალ. ცაგარელის აღწერილობის თანახმად (იხ. იქვე), ვახუშტის რუკათა რუსულ ასლებს შორის, რომლებიც რუსეთის მთავარი შტაბის სამხედრო-სამეცნიერო არქივში ინახებოდა, ყველაზე ადრინდელი რუკა 1743 წელს ეკუთვნის. ამ რუკას აწერია: „Копировал ее в Москве в месяце июле 1743 г. полевой артиллерии каптенармус Данила Гем...“ მაშასადამე, 1743 წ. იელისისათვის ვახუშტის რუკების მეორე, გაუმჯობესებული ვარიანტი უკვე არსებობდა.

ამგვარად, ,,პეტერბურგული ატლასის'' რუკები შედგენილი უნდა იყოს 1737-43 წწ. პერიოდში.

II. ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიულ ნაშრომთა წარმოშობის საკითხისათვის

ვახუშტის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას შორის ერთ-ერთ განსაკუთრებით საინტერესო და თანაც შეუსწავლელ პრობლემას ვახუშტის რუკათა წყაროების საკითხი წარმოადგენს.

თვით ვახუშტი თავისი კარტოგრაფიული ნაშრომების შედგენის შესახებ თითქმის არავითარ ცნობებს არ იძლევა. გამონაკლისად გვევლინება ორი მოკლე შენიშვნა: 1) ვახუშტის ისტორიულ-გეოგრაფიული თხზულების შესავალში რუკების შესახებ ნათქვამია: „..დავსახენით ქარტა ანუ რუკანი საქართველოსა ანუ ივერიისანი, რომელსა ხაზვიდენ მცირედ და არაჯეროვნად, და ჩვენ სრულიადი წინადავდევით განა ამისდა ჯერ იყო სამჭირნოთ, რათა აქვნდეს ღეოღრაფიის აღწერისაცა დადება, რომელ არს ქვეყნისა მხაზველობა, რომელ იგიცა ვქმენით“-ო და 2) „ყაზანური ატლასის“ თავფურცელზე ვახუშტი შენიშნავს, ამ რუკებზე აღნიშნულია „რაიცა მეხილვა ანუ მნახველთაგან მესმა სხვადასხვა დაბანი“-ო. ვახუშტი არსად იძლევა სხვა მითითებას იმაზე, თუ რა კარტოგრაფიულ ან ტოპოგრაფიულ მასალებზე ააგო მან თავისი რუკები.

ვახუშტის რუკების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ისინი თავიანთი წარმოშობით დაკავშირებულნი არიან მთელ რიგ კარტოგრაფიულ და სხვა სახის მასალებთან. ამასთან ერთად, ქართველი კარტოგრაფის ნაწარმოებში შეიძლება განსხვავებული იქნეს მთელი რიგი შემადგენელი ელემენტებისა, რომლებიც თავიანთი წარმოშობის მხრივ ერთმანეთისაგან განირჩევიან. ეს ელემენტები შეიძლება დავაჯგუფოთ ორი კომპლექსის სახით: ა) ქართლ-კახეთ-იმერეთის დაწვრილებითი და შედარებით ზუსტი გამოსახულება და ბ) დანარჩენ მხარეთა გამოსახულება, რომელიც განირჩევა პირველისაგან სქემატურობითა და ტლანქი ცდომილებებით.

ქართული კულტურის ისტორიის თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ვახუშტის რუკათა შემადგენელი პირველი ელემენტის (იმერეთ-ქართლ-კახეთის გამოსახულების) წარმოშობის გამორკვევას, რამდენადაც სწორედ ხსენებული ელემენტი აღძრავს თავისი სამეცნიერო ღირებულების მეოხებით მკვლევართა ცხოველ ინტერესს და, გარდა ამისა, მისი წარმოშობა ყველაზე მჭიდროდ არის ქართულ ნიადაგთან დაკავშირებული. ამ უკანასკნელ დებულებათა დასაბუთებას ქვემოთ შევეცდებით.

ი. სტებნიცკი (Стебницкий), განათლებული გეოდეზისტი, რომელიც დიდ ხანს ხელმძღვანელობდა გეოდეზიურ-ტოპოგრაფიულ მუშაობებს კავკასიაში, ჩვენი მეცნიერის ნაშრომის შესახებ წერდა:

„Имея в виду, что карты Вахушта составлены не по с'емкам (ხაზი ჩვენია, ლ. მ.), следует признать их, по точности, которой можно от них требовать, довольно удовлетворительными и весьма старательно составленными" (იხ. 24, გვ. 363).

სტებნიცკის ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მასში იგულისხმებოდეს ტოპოგრაფიული აგეგმვის ყოველგვარი მასალის უქონლობა. ყოველ შემთხვევაში, ვახუშტის რუკათა იმ ნაწილს, რომელიც ჩვენ ზემოთ პირველი ელემენტის სახელით გამოვყავით, არ შეიძლება სარჩულად ტოპოგრაფიული აგეგმვა არ ედოს. ადვილი მისახვედრია, ისეთი რუკების ზეპირად შედგენა, რომლებშიც რამდენიმე ათას გეოგრაფიულ ობიექტს თავიანთი ადგილები აქვთ მიჩენილი და რომლებშიც დასახლებულ პუნქტებთან ერთად გამოსახულია რელიეფი და ხშირი ჰიდროგრაფიული ქსელი შეუძლებელი იქნებოდა.

მართალია, ჯერ არ ყოფილა ნაპოვნი ისეთი საბუთი, რომელიც უშუალოდ დაგვიდასტურებდა XVIII საუკ. პირველ ნახევარში ან უფრო ადრე საქართველოს ტერიტორიაზე ტოპოგრაფიულ აგეგმვათა ჩატარების ფაქტს, მაგრამ ამგვარი საბუთის უქონლობა არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ვახუშტის რუკების შედგენას წინ უძღოდა ქართლ-კახეთისა და იმერეთის ტოპოგრაფიული აგეგმვა. საბუთი ამისა ალბად ბევრ სხვა ქართულ ძეგლსავით უკვალოდ დაკარგულა. საბუთის უქონლობამ არ უნდა დააბრკოლოს ქართველი კარტოგრაფის მოღვაწეობის კვლევა.

ვახუშტის რუკებში არსებული ქართლ-იმერეთ-კახეთის კარტოგრაფიული გამოსახულების ხასიათი გვიჩვენებს, რომ იგი მარშრუტულ ტოპოგრაფიულ აგეგმვებზე უნდა იყოს დამყარებული. მარშრუტების ქსელი საკმაოდ ხშირი უნდა ყოფილიყო, რაც აღნიშნული გამოსახულების სიზუსტიდან და დეტალურობიდან გამომდინარეობს. როგორც ჩანს, ამგეგმავთა მიერ ყველა მნიშვნელოვანი ხეობები იქნა განვლილი. მდინარეთა მიმართულების ისეთი სისწორით გადმოსაცემად, როგორსაც ვახუშტის რუკების განსახილველ ნაწილში ვხედავთ, აუცილებელი იქნებოდა ქვეყნის მხარეთა გაგნებისათვის განკუთვნილი რომელიმე ხელსაწყოს (ასტროლაბიის ან

ჯომპასის) გამოყენება. მანძილთა გაზომვა უნდა მომხდარიყო მიახლოებითი ხერხით: საათის დახმარებით ან ადამიანისა და ცხენის ნაბიჯით.

ამნაირად, ქართლ-კახეთისა და იმერეთის გამოსახულება ვახუშტის რუკებში თვალზომურ აგეგმვაზე უნდა იყოს დამყარებული. მეტის თქმაც შეიძლება: ვახუშტის რუკათა ტოპოგრაფიული შინაარსის შედარება თანამედროვე ზუსტ რუკებთან საშუალებას იძლევა ვარაუდით გამოვარკვიოთ ძირითადი მარშრუტები, რომლებითაც განხორციელდა აგეგმვა. ამ გზით ირკვევა, რომ აგეგმვა მთავარი ხეობების გასწვრივ გამავალი გზების მიყოლებით შესრულებულ სვლებზეა დაყრდნობილი; მეორეხარისხოვან ხეობათა უმრავლესობაში ამგეგმავნი უშუალოდ არ ყოფილან; ასეთი ხეობების გამოსახულება მათ ჭორიდან დანახულისა და ადგილობრივ მცხოვრებთაგან მიღებული ცნობების მიხედვით აქვთ შემუშავებული. ამას ის მოწმობს, რომ განსახილველ რუკებზე მთავარი ხეობების მიმართულება, მათი დასახლებული პუნქტებისა და ნაგებობათა მდებარეობა და ურთიერთდაშორება დამაკმაყოფილებლად არის ნაჩვენები, — იმ დროს, როდესაც შემდინარეთა აუზების გამოსახულებაში გაცილებით მეტ სქემატურობასა და შეცდომებს აქვთ ადგილი.

ქვემო ქართლის გამოსახულება ვახუშტის რუკებში დამყარებული უნდა იყოს მდ. მდ. ალგეთის, ქციის, მაშავერისა და ბერდუჯის ქვემო წელის ხეობათა გასწვრივ ჩატარებულ მარშრუტულ აგეგმვებზე. აღნიშნული ხეობები ვახუშტის დამაკმაყოფილებელი სიზუსტით აქვს წარმოდგენილი იმ დროს, როდესაც მათი შემდინარეების ხეობები უფრო ტლანქად არის შესრულებული. როგორც ჩანს, ამგეგმავნი არ ყოფილან არც ზურტაკეტის მდინარის (ეხლ. ყარაბულახის) სათავეში, არც მაშავრის მარცხენა შემდინარის გეტის-ხევის ხეობაში და მთელ რიგ სხვა მეორეხარისხოვან ხეობებში. იგივე ითქმის მდ. ბერდუჯის (დებედას) ზემო წელის შესახებ, სადაც საკმაოდ მნიშვნელოვან ცდომილებებს ვხვდებით: ლორე ნაჩვენებია უშუალოდ მდ. ბერდუჯზე; მდინარის საერთო მიმართულების გარდატეხის ადგილი (მუხლი) ახპატთან არის ჩამოტანილი; მდ. ბამბაკი ბერდუჯის შემდინარედ არის ნაჩვენები (ნამდვილად ბამბაკი ბერდუჯის ზემო წელს ეწოდება) და სხვ. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რუკის ზოგიერთი შეცდომები აგეგმვის დაბალხარისხიანობის შედეგი კი არ იყოს, არამედ იმით იყოს გამოწვეული, რომ ზოგიერთი ობიექტი რუკაზე აღნიშნული იქნა არა

აგეგმვისას, არამედ უფრო მოგვიანებით, წერილობითი და ზეპირი ცნობების საფუძველზე.

ზემო ქართლის რუკა ვახუშტის დამყარებული აქვს მარშრუტული აგეგმვის სვლებზე მტკვრისა და მისი მთავარი შემდინარეების (არაგვის, ქსნის, რეხულას, ლიახვების, ფრონეების, ძამის, ტანის, თეძამისა და სხვ.) გასწვრივ. როგორც ქვემო ქართლში, ისევე აქაც აგეგმავებს, როგორც ჩანს, მდინარეთა დაუსახლებელი ან თხლად დასახლებული ზემო ნაწილები და მცირე მდინარეთა აუზები არ გაუვლიათ და მათი გამოსახულება, ასე ვთქვათ, დაუსწრებლად შეუდგენიათ. ამით უნდა აიხსნებოდეს შეცდომები, რომლებსაც უშვებს ჩვენი მეცნიერი მდ. მდ. ძამას, კავთურას, ლიახვების, ქსნისა და სხვათა სათავეების გამოსახვისას. ასეთი შეცდომებია, მაგალითად, ყელის ტბის მოთავსება პატარა ლიახვის სათავეში, კავთის ციხისა და სოფ. საკურთხისის არასწორი ურთიერთმდებარეობა და სხვ.

კახეთში ტოპოგრაფიული აგეგმვა უნდა ეწარმოებინათ ივრის ზემო წელისა და ალაზნის გასწვრივ. მაღალმთიან რაიონებში, როგორიცაა ალაზნის მარცხენა შემდინარეთა სათავეები და თუშეთი, დეტალური აგეგმვა ალბად არ ჩაუტარებიათ. თუშეთში, მაგალითად, სოფელთა სახელებიც კი არ არის ჩაწერილი; სოფლების აღმნიშვნელი პირობითი ნიშნები აქ ალალბედზეა დალაგებული.

დასავლეთ საქართველოში მარშრუტული აგეგმვა შესრულებულად ჩანს რიონის, ყვირილას, ჩხერიმელას ხეობებში და რიონის ზოგიერთ სხვა შემდინარეთა (ცხენისწყლის, ხანისწყლისა და სხვების) ქვემო წელებში, ე. ი. იმერეთის სამეფოს ფარგლებში. ამგვარი აგეგმვანი არ ყოფილან არც მდ. ცხენისწყლის ზემო წელში ანუ ქვემო სვანეთში და არც რიონის სათავეში სოფ. ღებს ზემოთ.

რუკათა ის ნაწილები, რომლებზეც გამოსახულია ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოთა გარეშე მდებარე ტერიტორიები (მაგ., ჩრდილო კავკასია, მესხეთ-ჯავახეთი, ოდიში და სხვ.), დამყარებულნი არიან აგეგმვის მარშრუტთა უფრო იშვიათ ქსელზე და მკვეთრად განირჩევიან ვახუშტის რუკების პირველი ელემენტისაგან. დასასრულ, მთელი რიგი რაიონებისა, მათ შორის აფხაზეთი, ტაოკლარჯეთი და სხვ., თითქმის მარტოოდენ ზეპირი მითითებებისა და ჰიპოთეზური მოსაზრებების მიხედვით არიან წარმოდგენილნი.

იბადება კითხვა: როდის და ვის მიერ იქნა შესრულებული

ტოპოგრაფიული აგეგმვა, რომელიც ჩვენი კარტოგრაფის რუკებს საფუძვლად დაედო? ამ კითხვაზე გადაჭრილი პასუხის შესაძლებლობა ამჟამად არ არსებობს. ასეთი შესაძლებლობა შეიძლება გაჩნდეს მომავალში, ვახუშტი ბაგრატიონის ნაწარმოებთა და სხვა ძეგლთა გაღრმავებული შესწავლის შედეგად. დღეს მხოლოდ ზოგიერთი მოსაზრება შეიძლება იქნეს ჩვენთვის საინტერესო საკითხის ირგვლივ გამოთქმული.

უწინარეს ყოვლისა, არის საფუძველი იმის საფიქრებლად, რომ ვახუშტის რუკების ზუსტი და დეტალური ნაწილი (ქართლ-კახეთ-იმერეთის გამოსახულება) არ უნდა იყოს ერთდროულად და ერთი და იმავე პირების მიერ შესრულებული აგეგმვის ნაყოფი. შენახულია ცნობა იმის შესახებ, რომ დასავლეთ საქართველოს რუკა, რომელსაც ეყრდნობა ვახუშტის რუკების შესაბამისი ნაწილი, შედგენილი ყოფილა იმერეთის მეფის ალექსანდრეს ბრძანებით და 1732 წელს გაუგზავნიათ რუსეთში (იხ. ივ. ჯავახიშვილი, 28 და ალ. ცაგარლის შენიშვნა ს. ნ. ბურნაშევის წიგნში, 12). სხვა დროს უნდა იყოს შედგენილი ქართლ-კახეთის რუკა, რომელიც, ცხადია, იმერეთის მეფის განკარგულებით ვერ იქნებოდა დამზადებული.

ყოველივე, რაც კი ცნობილია XVII-XVIII სს. საქართველოს კულტურული ყოფის შესახებ, გვიკარნახებს დავეთანხმოთ აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის აზრს იმაზე, რომ ვახუშტის რუკების საფუძველის შექმნაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ თბილისში მცხოვრებ კათოლიკე მისიონერებს (იხ. 17, გვ. XVII). ვახუშტის „ყაზანური ატლასის" გაფორმების ბევრი დეტალი მიგვითითებს დასავლეთ-ევროპული კარტოგრაფიული ტრადიციების ზეგავლენაზე. ამასთან ერთად, შენახულია უშუალო საბუთები იმისა, რომ იტალიელი პატრები ქართლის სამეფოს მესვეურთ და წარჩინებულთ უზიარებდენ თავიანთ ცოდნას, რომ ვახუშტი მათი მოწაფე იყო და თვით ვახტანგ VI მათგან ასტრონომიის გაკვეთილებს ღებულობდა (იხ. ზაქარია ფალავანდიშვილის წერილი ბროსესადმი, 15 და მ. თამარაშვილი, 25, გვ. 339).

საქართველოში ჩატარებული ტოპოგრაფიული აგეგმვების მასალებთან ერთად, ვახუშტის რუკებში სხვა წყაროებიც უნდა იყოს გამოყენებული. კერძოდ, ჩვენს კარტოგრაფს უნდა ესარგებლნა რუსული მასალებით, რაც განსაკუთრებით აშკარა ხდება „ყაზანური" და „პეტერბურგული" ატლასების ურთიერშედარებით: „პეტერბურგული ატლასის" მიმოხილვითს რუკაში არსებული, ჩრდილო

კავკასიისა და კასპიის სანაპიროს გაუმჯობესებული გამოსახულება, ეჭვს გარეშეა, ემყარება იმ აგეგმვათა მასალებს, რომლებიც რუსთა მიერ XVIII საუკუნის პირველ მესამედში იქნა შესრულებული (იხ. 26, 27, 30, 31). ამ მასალების მიღება ვახუშტის თავისი ნაცნობის, რუსეთის გეოგრაფიული დეპარტამენტის უფროსის ჟოზეფ დელილის მეშვეობით უნდა შესძლებოდა. მომავლის ამოცანაა იმის გამორკვევა, თუ სახელდობრ რომელი რუსული მასალებით ისარგებლა ჩვენმა კარტოგრაფმა.

ამრიგად, ვახუშტის რუკათა ტოპოგრაფიული შინაარსი რამდენიმე წყაროს შეერთების, სინთეზის შედეგი არის. კარტოგრაფიული მასალების გარდა, ქართველ მეცნიერს თავისი რუკების შესადგენად წერილობითი და ზეპირი ცნობებიც აქვს გამოყენებული. მაგალითად, დასახლებული პუნქტებისა და ისტორიული ძეგლების მნიშვნელოვანი რიცხვი ვახუშტის რუკებში სწორედ ამ გზით უნდა იყოს შეტანილი.

მეორე საკითხს, რომელიც ვახუშტის რუკათა წყაროების გამორკვევისას იპყრობს ყურადღებას, ამ რუკების კარტოგრაფიული საფუძველის წარმოშობა წარმოადგენს. როგორც უკვე ვახუშტის კარტოგრაფიულ ნიშრომთა აღწერისას ითქვა, „ყაზანურსა“ და „პეტერბურგულ“ ატლასებს კარტოგრაფიული საფუძველი სხვადასხვა და არსებითად განსხვავებული აქვთ. მათი ბადეები განირჩევიან ერთმანეთისაგან თავისი სიზუსტით და აგების წესით, რაც ცხადჰყოფს მათს ნაირ წარმოშობას.

„ყაზანური ატლასის“ რუკათა კარტოგრაფიული საფუძველის წარმოშობის შესახებ შენახულია მითითება ასტრონომ ჟ. დელილის საბუთებში, რომლებიც საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების (ქ. ლენინგრადი) არქივში ინახება და რომლებიც მ. ბროსეს მიერ იქნა აღწერილი (21). ბროსეს ცნობით, დელილისეული ერთერთი საბუთიდან, რომელიც ვახუშტის ხელით ჩამოწერილ გეოგრაფიული კოორდინატების ცხრილებს შეიცავს, ირკვევა, რომ ვახუშტის თავის რუკათა პირველ სერიაში გამოუყენებია, სხვათა შორის, „სპარსელი მათემატიკოსის“ ცნობები (21, გვ. 5). ბროსე ფიქრობს, რომ სპარსელ მათემატიკოსად აქ ულუღბეგი უნდა იყოს ნაგულისხმევი.

მოჰამედ იბნ შაჰრუხ ულუღბეგი (1393-1449 წ. წ.) თემურლენგის შვილიშვილი იყო; მან სამარყანდში ასტრონომიული ობსერვატორია მოაწყო, სადაც სამეცნიერო დაკვირვებებს აწარმო-

ებდა. ულუღბეგს ეკუთვნის რამდენიმე ასტრონომიული ნაშრომი, მათ შორის პლანეტათა ასტრონომიული ცხრილები, ვარსკვლავთა კატალოგი და სხვ. ულუღბეგის იმ ნაშრომს, რომლითაც ვახუშტის თავისი „ყაზანური ატლასის“ რუკების შესადგენად უნდა ესარგებლნა, წარმოადგენს გეოგრაფიული კოორდინატების კრებული, რომელშიც მოცემულია აღმოსავლეთის ქვეყანათა მთავარი პუნქტების მდებარეობა არაბი და სპარსი ასტრონომების გაზომვათა მიხედვით.

ბროსეს მოსაზრება, რომ ვახუშტის უნდა ესარგებლნა ულუღბეგის ნაშრომით, დამაჯერებლად წარმოგვიდგება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ულუღბეგის ნაშრომები (ვარსკვლავთა და პლანეტათა კატალოგები, სიგანედებისა და სიგრძედების ცხრილები) თარგმნილ იქნა ქართულად მეფე ვახტანგ VI მიერ და დაცულია დღემდე ხელნაწერი კრებულის სახით. ნათელია, რომ ვახუშტის სრული შესაძლებლობა ექნებოდა გამოეყენებინა სამარყანდელი ასტრონომის ცნობები.

ვახტანგ VI მიერ თარგმნილ ასტრონომიულ კრებულში მოცემულია გეოგრაფიული კოორდინატების სამი ცხრილი (იხ. 3, გვ. 255-260 და 276), რომელთაგანაც პირველი ცხრილი (გვ. 255-260) ულუღბეგის სპარსული თარგმანიდან უნდა იყოს გადმოღებული. კავკასიის პუნქტებიდან ამ ცხრილში შეტანილია უმთავრესად აზერბაიჯანის ქალაქები: შამახი (შემახა), ბაბულაბვაბ (დერბენტი), ბილაყან, ბაქუია (ბაქო), თიფლის (თბილისი), ნახჩივან, მუღან, ბარდა და სხვ.

მეორე ცხრილის სათაურია: „თარგმნილი ბერძენთა და ფრანგთაგან შეტყობა სიგრძისა და განისა გამორჩეულ ქალაქებსა და ჰალაკებსა, ვითარცა მოგვეცა ჩვენ და ვპოვეთ პირველთა ფილასოფოსთაგან, რომელთა ქვეყანა აღწერეს“ (გვ. 260). ეს ცხრილი თვით ვახტანგს უნდა შეედგინა ძველბერძნული (ალბად პტოლომეს) და დასავლეთ-ევროპული ცნობების მიხედვით კავკასიისა და მოსაზღვრე მხარეთა პუნქტებიდან ცხრილში შეტანილია: აზრუმი, არაზის მდინარის სათავე, გორი ქართლისა, ერზინგანი, ტბილისი, ტრაპეზუს კაპადუკიასი, ტრაპიზონდა, შამახია და სხვ.

მესამე ცხრილს აწერია: „რუსულისაგან თარგმნილი ქალაქნი“ (გვ. 276). ეს ცხრილიც ვახტანგისვე მიერ უნდა იყოს თარგმანში ჩართული. კავკასიის პუნქტები მასში თითქმის არ არის.

„ყაზანური ატლასის“ რუკათა შედარება ზემოხსენებულ ცხრი-

ლებში მოცემულ კოორდინატებთან არ გვიჩვენებს მათ შორის სრული მსგავსების არსებობას და ეს ბუნებრივიც არის: ვახუშტისათვის შეუძლებელი იქნებოდა, რუკების კარტოგრაფიული ბადის მოხაზვის დროს, ხსენებულ ცხრილებზე მთლიანად დანდობა. საქმე იმაშია, რომ ცხრილებში მოთავსებული ასტრონომიული ცნობები კავკასიის პუნქტების მდებარეობის შესახებ შეიცავენ დიდ ცდომილებებს, რომლებიც წვრილმასშტაბიან რუკებშიც კი საგრძნობ დამახინჯებებს გამოიწვევდნენ, ხოლო ისეთ მსხვილმასშტაბიან რუკებში, როგორიც ვახუშტიმ შეადგინა, მათი მოთმენა დაუშვებელი იყო. რამდენადაც ვახუშტის მაინც სჭირდებოდა თავისი რუკების აღჭურვა კარტოგრაფიული ბადით, ხოლო უფრო ზუსტი ცნობები კავკასიის პუნქტების გეოგრაფიული კოორდინატების შესახებ იმ დროს არ არსებობდა, — ვახუშტი იძულებული გამხდარა რამდენიმე პუნქტის კოორდინატებზე დაყრდნობით აეგო ის სწორკუთხედოვანი კარტოგრაფიული ბადე, რომლის შესახებ „ყაზანური ატლასის“ აღწერისას ვთქვით. ულუღბეგის ქართულ თარგმანსა და მის დამატებებში შეტანილი ასტრონომიული განსაზღვრების სიტლანქე გასაგებად ხდის იმ წინააღმდეგობას, რომელიც „ყაზანური ატლასის“ ტოპოგრაფიულ შინაარსსა და კარტოგრაფიულ საფუძველს შორის არსებობს (იხ. ზემოთ).

საფიქრებელია, რომ ჟ. დელილის მხრივ ვახუშტისადმი დახმარება ,,ყაზანური ატლასის'' რუკების გაფორმებისას, რაც ირკვევა დელილის წერილიდან გრაფ დე-მორეპასადმი (ბროსე, 21, გვ. 5-6), გამოიხატებოდა სწორედ კარტოგრაფიული ბადის აგებაში იმ კოორდინატების მიხედვით, რომლებიც ფრანგ ასტრონომს ვახუშტისაგან მიუღია და რომლებიც ამ უკანასკნელს ულუღბეგის ქართული თარგმანიდან ექნებოდა ამოღებული (3).

,,პეტერბურგული ატლასის'' რუკები დამყარებულია სხვა, გაცილებით გაუმჯობესებულსა და დაზუსტებულ კარტოგრაფიულ საფუძველზე, შედარებით ,,ყაზანურ ატლასთან''. ამ საფუძვლის წარმოშობა თავისთავად ნათელია: იგი ვახუშტის ხელში 1737-1743 წწ. პერიოდში მოხვედრილა და უნდა მიმდინარეობდეს რუსეთის კარტოგრაფიული უწყებიდან (,,გეოგრაფიული დეპარტამენტიდან'') ჟოზეფ დელილის მეშვეობით. ეს ახალი კარტოგრაფიული ბადე, რომელმაც შესაძლებელი გახადა ქართველი კარტოგრაფის მიერ სრულყოფილი მეცნიერული რუკების შექმნა, წარმოადგენდა ნაყოფს ერთის მხრივ რუსთა მიერ პეტრე დიდის ანდერძის საფუძ-

ველზე XVIII საუკ. პირველ მესამედში ჩატარებული გეოდეზიური გაზომვებისას კასპიისა და შავი ზღვების სანაპიროებზე, ხოლო მეორის მხრივ ჟოზეფ დელილის ზრუნვისას რუსეთის კარტოგრაფიის განვითარებაზე.

თუ მოკლედ შევაჯამებთ ვახუშტის კარტოგრაფიულ ნაშრომთა წყაროებზე თქმულს, ჩვენ მივადგებით დასკვნას, რომ ქართველი კარტოგრაფის რუკები მთელი რიგი მასალების სინთეზის შედეგს წარმოადგენენ. ვახუშტის კარტოგრაფიულ შემოქმედებაში შეერთებულია აღმოსავლეთისა და დასავლეთის სამეცნიერო ტრადიციების გავლენა. ვახუშტის კარტოგრაფიულ შრომებს ფესვები აქვთ გადგმული როგორც არაბული აღმოსავლეთისა და კათოლიკური დასავლეთის, ისევე ძველი საქართველოსა და ახალი რუსეთის კულტურის ნიადაგში. ამ მრავალმხრიობაშია ჩვენი დიდი მეცნიერის ნაწარმოებთა ერთ-ერთი შესანიშნავი თვისება.

III. ვახუშტის რუკების მნიშვნელობა კავკასიის გეოგრაფიული შესწავლის ისტორიაში

ადამიანთა ნიჭსა და ნამოქმედარს ყოველთვის ერთნაირად როდი ეძლევა შეფასება: ზოგს სახელი და პატივისცემა სიცოცხლეშივე წინ მიუძღვის, ზოგს კი ამგვარი საზღაური დაგვიანებით, ხშირად სიკვდილის შემდეგაც ერგება ხოლმე. ვახუშტი ბაგრატიონი ამ მეორე ჯგუფს უფრო ეკუთვნის. რაც დრო გადის, მით მეტი თვალსაჩინოებით გამოვლინდება ქართველი მეცნიერის დამსახურება ქართული კულტურისა და საერთოდ მეცნიერების წინაშე.

კავკასიის კარტოგრაფიულ შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს (იხ. აღ. ხახანაშვილი, 20; მ. პოლიევქტოვი, 30; ტანფილევი, 27; ბერგი, 29 და სხვ.). კავკასიის გამოსახულებას შეიცავენ ძველი საბერძნეთისა და რომის მეცნიერთა რუკები, აგრეთვე შუა საუკუნეებში შედგენილი არაბული და დასავლეთ-ევროპული რუკებიც. კავკასიის ქვეყანათა გამოსახულებას ვპოულობთ უფრო მოგვიანებითაც — აღორძინების ხანაში და მის მომდევნო პერიოდში. XVII-XVIII საუკუნეებში კავკასიისა და მისი ცალკეული ნაწილების რუკებს იძლევიან ევროპელი მოგზაურები: ჯენკინსონი (1570 წ.), ოლეარიუსი (XVII საუკ. 40-იანი წლები), ლამბერტი (XVII საუკ.), პულე (1667-1668 წწ.), მოტრე (1724 წ.), ლერხი (1747 წ.), კემპფერი (1712 წ.), გერბერი (1736 წ.), ბურნაშევი (1784 წ.), ვან-ვერდენი და სოიმონოვი (1720 წ.) და ა. შ. XIX სა-

უკუნეში რუსეთის ხელისუფლება კავკასიაში ინტენსიურ გეოდეზიურსა და ტოპოგრაფიულ კვლევას აწარმოებდა, რის შედეგადაც შეიქმნა თანამედროვე კარტოგრაფიული წარმოდგენა ამ მხარეზე.

ვახუშტი ბაგრატიონის რუკებს გარდამავალი ადგილი უჭირავთ ცნობილთა მიერ XVIII ს. მეორე ნახევრამდე შედგენილ რუკებსა და XIX საუკუნეში რუსთა მიერ ჩატარებული აგეგმვების საფუძველზე შექმნილ ახალ რუკებს შორის. კავკასიის რუკები, რომლებიც ვახუშტიმდე არსებობდა, ვერ აკმაყოფილებდა მეცნიერულ და პრაქტიკულ მოთხოვნილებებს. რომ არ ვილაპარაკოთ ძველ და შუა საუკუნეთა ბერძნულ, ლათინურ, არაბულ რუკებზე, რომლებიც არც თავიანთი მასშტაბების, და არც სიზუსტის მხრივ საკმაო სიმაღლეზე არ იდგნენ, — თვით XVI-XVIII საუკუნეებშიც მსოფლიო კარტოგრაფიას არ მოუცია კავკასიის ისეთი რუკები, რომლებიც იმდროინდელი კარტოგრაფიული მეცნიერების დონეზე იქნებოდა. მაშინდელი ევროპული რუკები, რომლებიც კავკასიის ყელის გამოსახულებას შეიცავდენ, მეტწილად მცირემასშტაბიანნი, სქემატურსა და შეცდომებით აღსავსე რუკებს წარმოადგენდნენ, რომლებიც არასწორ წარმოდგენას იძლეოდნენ ჩვენი მხარის სივრცეზე, ტოპოგრაფიულ თავისებურობაზე და მოსახლეობის განლაგებაზე. როგორც მაგალითი, შეიძლება დავასახელოთ ჰესელ გერიტსის, პულეს, მოტრეს რუკები და სხვ. (იხ. 30, 27, 20). შედარებით მსხვილმასშტაბიანი და საკმაოდ ზუსტი რუკები მხოლოდ კავკასიის ცალკეული, მცირე ნაწილებისათვის მოიპოვებოდა (მაგალ., არქ. ლამბერტის მიერ შედგენილი სამეგრელოს რუკა, ენგ. კემპფერის აფშერონის ნახევარკუნძულის რუკა და სხვ.).

ვახუშტის რუკები მსოფლიო კარტოგრაფიას მოევლინა, როგორც კავკასიის პირველი დეტალური გამოსახულება მასზე აღნიშნული ჰიდროგრაფიული ქსელით, ოროგრაფიით, პოლიტიკურ-ეთნოგრაფიული დაყოფითა და მრავალრიცხოვანი დასახელებული პუნქტებით. თავისი მასშტაბებით, დეტალურობითა და სიზუსტით ისინი გაცილებით უსწრებდნენ მანამდე არსებულ რუკებს, ამიტომაც წარმოადგენდნენ კავკასიის კარტოგრაფიის მნიშვნელოვან პროგრესიულ ნაბიჯს. ცხადია, მათ გავლენა უნდა მოეხდინათ კავკასიის კარტოგრაფიული და გეოგრაფიული შესწავლის საერთო მსვლელობაზე.

მართლაც, ვახუშტის რუკებმა ავტორის სიცოცხლეშივე სპეციალისტების მხრივ დამსახურებული მაღალი შეფასება მიიღეს. ეს

მოხდა უმთავრესად ჟოზეფ დელილის (1688-1768) მეოხებით, რომელიც მოწვეული იყო საფრანგეთიდან რუსეთის კარტოგრაფიის ხელმძღვანელად და მუშაობდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში 1726 წლიდან 1740 წლამდე. დელილსა და ვახუშტის შორის ურთიერთობის დამყარება, ბროსეს მიერ გამოქვეყნებული საბუთების თანახმად (21, გვ. 5-6), 1737 წელს მომხდარა. რუსეთისა და მასთან მოსაზღვრე ქვეყნების შესახები კარტოგრაფიული მასალის შეგროვებით დაინტერესებულ დელილს უთარგმნია ვახუშტის რუკა ფრანგულ ენაზე. დელილის საშუალებით, ცნობა ვახუშტის რუკების შესახებ დასავლეთ ევროპაშიც მისულა, — მაგალითად, 1737 და 1739 წწ. ქ. ლეიპციგის გაზეთი იუწყებოდა „ტფილისელი პრინცის“ მიერ შედგენილი „კავკასიის მთების მშვენიერი რუკების“ შესახებ (იქვე, გვ. 6). საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ დელილს ქართული რუკებიდან გადაღებული ასლები 1747 წ. ორლეანის ჰერცოგისათვის წარუდგენია, ხოლო 1766 წ. პარიზში გამოუქვეყნებია (იხ. იქვე). ყოველივე, რაც კი ცნობილია ჟოზეფ დელილის პიროვნების შესახებ (23), წარმოგვიდგენს მას ფართო ერუდიციის მქონე, დიდბუნებოვან ადამიანად, რომელსაც უნდა ვუმადლოდეთ ვახუშტის კარტოგრაფიული მოღვაწეობის შესახებ შენახული ცნობების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის. ქართველი კარტოგრაფის ნაშრომები რუსეთის სამხედრო წრეებსაც ღირსეულად შეუფასებიათ და მათი რუსულად სათარგმნელად იგი გენერალურ შტაბში მიუწვევიათ.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად ჩანს, რომ ვახუშტი ბაგრატიონის რუკათა ორივე სერიამ ღრმა კვალი დასტოვეს კავკასიის კარტოგრაფიაში. მათზე დამყარებულია კავკასიის მთელი რიგი კარტოგრაფიული გამოსახულებანი, რომლებიც შედგენილი და გამოქვეყნებული იქნა XVIII საუკუნეში. მაგრამ უშუალო დოკუმენტალური დასაბუთება ვახუშტის რუკების გამოყენების მხოლოდ ზოგიერთი შემთხვევისათვის არის შესაძლებელი, დანარჩენი ანალოგიური ფაქტების დადგენა კი რუკების კარტოგრაფიული საფუძველისა და ტოპოგრაფიული შინაარსის ანალიზის გზით ხერხდება. ამისათვის საჭირო გახდა ვახუშტის რუკათა ორივე ვარიანტისათვის დამახასიათებელი თვისებების კომპლექსის გამორკვევა.

„ყაზანური ატლასიდან“ წარმოებული რუკები. როგორც უკვე მ. ბროსემ აღნიშნა, ჟ. დელილის ფრანგული თარგმანი „ყაზანური ატლასის“ რუკებიდან იყო შესრულებული.

ამ თარგმანისაგან, როგორც საბუთებისა და კარტოგრაფიული ანალიზის საშუალებით ირკვევა, მომდინარეობის რუკათა მთელი მწკრივი. აქედან წერილობითი საბუთების მიხედვით დადგენილი და ბროსეს მიერ გამომზეურებული არის მხოლოდ ჟ. დელილის მიერ 1766 წელს პარიზში დაბეჭდილი რუკა.

1. ჟ. დელილის მიერ გამოცემული რუკის სათაურია:

„Carte gènèrale de la Gèorgie et de l' Armènie, dessinèe à Pètersbourg en 1738, d' après les cartes, mèmoires, mesures et observations des geus du pays traduites du gèorgien en françois par le secrètaire du roi de Gèorgie, publièe en 1766 par G. N. De l' Jsle... Paris".

თარგმანი: „საქართველოსა და სომხეთის საერთო რუკა, მოხაზული პეტერბურგს 1738 წელსა, ადგილობრივ მკვიდრეობათა რუკების, ნახაზების, გაზომვებისა და შენიშვნების მიხედვით, რომლებიც თარგმნილ იქნა ქართულიდან ფრანგულ ენაზე საქართველოს მეფის მდივნის მიერ. გამოცემულია 1766 წ. ჟ. ნ. დელილის მიერ პარიზს".

2. რადგან ვახუშტის რუკებზე დამყარებული დელილისეული გამოცემის შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში (XIX საუკუნემდე) მსოფლიო კარტოგრაფიას სხვა ახალი და უმჯობესი კარტოგრაფიული მასალა კავკასიისათვის არ შესძენია, ცხადია, რომ დელილის მიერ 1766 წ. გამოქვეყნებულ რუკას დასავლეთ-ევროპაში უნდა დაჰყრდნობოდნენ შემდგომი პერიოდის რუკათგამომცემლები. მომავალი კვლევა ალბად გამოავლენს ვახუშტის რუკების გამოყენების მთელ რიგ ასეთ ფაქტებს, ამჟამად კი ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ დელილის 1766 წ. რუკიდან წარმოებული მხოლოდ ერთი გამოცემა, სახელდობრ პარიზში 1783 წელს დაბეჭდილი, შავი ზღვის ირგვლივ მდებარე ქვეყანათა რუკა (11)[1].

აღნიშნული რუკის ტოპოგრიფიული მასალისა და ტოპონიმიკის ანალიზი ვახუშტის რუკათა დედნებთან შედარების გზით საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ 1783 წ. ფრანგული რუკა კავკასიის შესახებს ნაწილში თავისი წარმოშობით დაკავშირებულია ვახუშტის „ყაზანური ატლასის" რუკებთან. იგი იმეორებს ვახუშტის ადრინდელი რუკების ყველა არსებითს ნიშან-თვისებებს — ტოპოგრაფიულ შინაარსს, გეოგრაფიულ სახელწოდებებს, შეცდომებს... გადამწყვეტი მნიშვნელობა განსახილველი რუკის ვახუშტის რუკებ-

[1] რუკის მასშტაბი = დაახლ. 1 : 2,500,000,

თან კავშირის დადგენისათვის, ჩვენის აზრით, აქვს დასავლეთი კავკასიონის ჰიდროგრაფიული ქსელის გამოსახულებას, რომელიც ქართველ კარტოგრაფს მეტად სუბიექტურად და მცდარად აქვს შესრულებული[1] და სავსებით ერთნაირად არის წარმოდგენილი „ყაზანურ ატლასსა“ და 1783 წ. ფრანგულ რუკაში. ჩვენ, სამწუხაროდ, საშუალება არ გვქონია გვენახა დელილის მიერ 1766 წ. გამოცემული „მიერა-კავკასიის რუკა და შეგვედარებინა იგი 1783 წ. რუკასთან, მაგრამ ვფიქრობთ არ შეცდებით, თუ ამ უკანასკნელს პირველისგან წარმოებულად ვაღიარებთ.

3. ჟოზეფ დელილის მიერ ვახუშტისთან კავშირის გაბმის მიზეზს, როგორც ცნობილია, წარმოადგენდა დელილის საქმიანობა რუსეთის კარტოგრაფიული უზრუნველყოფის დარგში თა კერძოდ კავკასიის შესახები ტოპოგრაფიული მასალის მიღების სურვილი. ამიტომაც ბუნებრივი იქნებოდა დაგვესვა კითხვა: მოუტანა თუ არა დელილის მიერ ვახუშტის „ყაზანური ატლასის“ რუკების გამოყენებამ რაიმე სარგებელი რუსეთის კარტოგრაფიას? 1941 წლამდე ამ კითხვაზე პასუხი არ იყო გაცემული. რუსეთის იმპერიის 1745 წ. გეოგრაფიული ატლასის (8) შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენი კარტოგრაფის რუკების პირველ ვარიანტს რუსეთის კარტოგრაფიაში თავისი წვლილი შეუტანია და კერძოდ მასზეა დამყარებული კავკასიის ყელის ნაწილის გამოსახულება ხსენებული რუსული ატლასის XI რუკაში.

„Атлас Россійской“-ს XI რუკის სათაურია:

„Положение мест между Черным и Каспийским морями, представляющее Кубань, Грузинскую землю и достальную часть реки Волги с ея устьем“.

რუკაზე გამოსახულია რუსეთის სამხრეთი ნაწილი და კავკასიის ყელის ნაწილი. საქართველოდან ამ რუკაში მხოლოდ ის ტერიტორია ხვდება, რომელიც მდებარეობს პალიასტომის ტბის, რაჭის სოფლების სადმელისა და ჭიორას და დალისტანში მდებარე პუნქტის „Карагураш“-ის შემაერთებელი ხაზის ჩრდილოეთით. ამგვარად, რუკა თითქმის მხოლოდ დასავლეთ საქართველოს გამოსახავს, და მასაც გურიისა და იმერეთის ნაწილის გამოკლებით.

ამ რუკის შესახებ ატლასის სარჩევში აღნიშნულია:

„Основание свое имеет на исчислении разных преждеупомянутых

[1] იხ. ზემოთ „ვახუშტის რუკების ტოპოგრაფიული შინაარსის დახასიათება“.

треугольников, и на особливых известиях, которыя как о Каспийском море, так и о Кубани, и о реках Дону и Волге в Географическом Департаменте находятся".

განსახილველი რუკის შედარება ,,ყაზანურ ატლასთან'' ნათელ-ჰყოფს მათ შორის გენეტიური კავშირის არსებობას. ,,Атлас Российской''-ს XI რუკა იმეორებს ვახუშტის ადრინდელი რუკების დამახასიათებელ თვისებებს როგორც ტოპოგრაფიული მასალის, ისევე გეოგრაფიული ნომენკლატურის მხრივაც. საქართველოს მდინარეთა ქსელისა და შავი ზღვის ნაპირის გამოსახულება რუსულ რუკაში ზუსტად შეესაბამება ,,ყაზანური ატლასის'' მონაცემებს. გამეორებულია ის შეცდომებიც, რომლებიც ვახუშტის მოსვლია ,,კაპპეტის წყლისა'' და ჭანისწყლის გამოსახვისას და ა. შ.

რუსული რუკისა და ვახუშტის კარტოგრაფიული ნაშრომის ურთიერთკავშირი უფრო თვალსაჩინო ხდება მათში არსებული გეოგრაფიული ნომენკლატურის, უმთავრესად დასახლებული პუნქტებისა და ეთნოგრაფიულ-პოლიტიკურ დანაყოფთა სახელწოდებების შედარებიდან. ყველა სახელწოდებანი, რომლებიც რუსულ რუკაზე საქართველოს ფარგლებშია წარწერილი, ვახუშტისაც აქვს. მაგალითისათვის ჩამოვთვლით რუსული ატლასის XI რუკიდან აღებულ ზოგიერთ გეოგრაფიულ სახელწოდებებს და მათს შესაბამის ქართულ სახელწოდებებს ვახუშტის რუკებიდან:

Чагери *	ცაგერი	Анказеби	აფხაზეთი
Горди	გორდი	Одиши	ოდიში
Садмели	სადმელი	Зупу	ზუფუ
Реби *	ღები	Бедя	ბედია
Жлра *	ჭიორა	Анакопиа	ანაკოფია
Чкыси *	ჭყვისი	Мокви	მოქვი
Чкхами *	ცხომი	Дранда	დრანდა
Зугдыди	ზუგდიდი	Дадис *	დადის-წყალი
Коргис *	ხორგის-წყალი	Илори	ილორი
Поти	ფოთი	Егрис *	ეგრის წყალი
Пески Анкетери	სილა ანგეთერი	Егури *	ეგური
Палиастоми *	პალიასტომი	Сапатци *	სააფაციო
Измулети *	ისულეთი	Сванеты	სვანეთი
Черкасыяны *	ჩერქეზიანნი	Басеян *	ბასიანი

* ტრანსკრიპცია დამახინჯებულია.

Леткуми *	ლეჩხუმი	Накалакепи*	ნაქალაქევი
Етсери *	ეცერი	Сона	სონა (მდ.)
Тола	ტოლა	Шидрота *	ჰიდროთა
Имерети	იმერეთი	Анакля	ანაკლია
Усети *	ოვსეთი	Уруг	ურუხი
Глихви *	ღლიღვი	Спони	სიონი
Сенаки	სენაკი		

ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოება. რუსული ატლასის XI რუკაზე საქართველოს ტოპონიმიკა ბევრ ისეთ სახელწოდებას შეიცავს, რომლების მოხვედრაც ამ რუკაში სხვა გზით, თუ არა ვახუშტის რუკებიდან, წარმოუდგენელია. ეს სახელწოდებანი ეკუთვნიან ან ისეთს გეოგრაფიულ ობიექტებს (ქალაქებს, პოლიტიკურ და საადმინისტრაციო ერთეულებს), რომლებიც XVIII საუკუნეში უკვე აღარ არსებობდენ, ან შედარებით მცირე მნიშვნელობის ობიექტებს, ან კიდევ თვით სახელები მოსახლეობის მიერ იმ დროს მივიწყებული იყო. ვახუშტის რუკებში ამგვარი სახელწოდებების არსებობა აიხსნება ამ რუკების განსაკუთრებული დანიშნულებით, სახელდობრ იმით, რომ ვახუშტის საქართველოს რუკები საქართველოს ისტორიის დამატებად მიაჩნდა და ამიტომ ცდილობდა მათს შევსებას ძველი ტოპონიმიკით ქართული და სხვა წერილობითი ძეგლების მიხედვით. ისეთი სახელწოდებანი, როგორიცაა, მაგალითად, ანაკოფია, სააფაციო, სონა, ბასიანი, ღლიღვი და ბევრი სხვა, 1745 წ. რუსეთის ატლასში მხოლოდ ვახუშტის რუკებიდან შეიძლება მოხვედრილიყო.

რუსეთის 1745 წ. გეოგრაფიული ატლასის XI რუკაში არსებული საქართველოს გამოსახულების შეპირისპირება ვახუშტის ,,ყაზანური ატლასის'' რუკებთან, მაშასადამე, მოწმობს მათ შორის მჭიდრო კავშირის არსებობას როგორც ჰიდროგრაფიული ქსელის მოხაზულობის მხრივ, ისევე ტოპონიმიკის მხრივაც. მაგრამ ამით არ ამოიწურება ის დასკვნები, რომელთა გამოტანაც ზემოხსენებული რუსული რუკის შესწავლიდან შეიძლება.

რუსეთის 1745 წ. ატლასის XI რუკის იმ ნაწილში, რომელიც საქართველოს წარმოგვიდგენს, გეოგრაფიული სახელების არასწორი ტრანსკრიპციის ბევრ შემთხვევას ვამჩნევთ. დამახინჯებათა ხასიათი გვიჩვენებს, რომ რუსული რუკის შემდგენელთ უსარგებლნიათ არა

* ტრანსკრიპცია დამახინჯებულია.

უშუალოდ ვახუშტის რუკების ქართული დედნებით, არამედ მათი ერთერთ ევროპულ ენაზე ლათინური ანბანით შესრულებული თარგმანით. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ქართული რუკები ჯერ ფრანგულ ენაზე უთარგმნიათ, შემდეგ კი ეს თარგმანი ხელმეორედ უთარგმნიათ რუსულ ენაზე. ფრანგულიდან რუსულზე თარგმნის ხასიათი მოწმობს, რომ ეს თარგმანი გერმანელის მიერ ყოფილა შესრულებული; სხვაგვარად შეუძლებელია აიხსნას გეოგრაფიულ სახელთა მთელი რიგი დამახინჯებანი, რომლებსაც 1745 წ. რუსულ ატლასში ვხვდებით:

Тухети	(Tuchethy)	თუშეთი
Коргис	(Khorghis)	ხორგის (წყალი)
Кхопа	(Khopha)	ხოფა
Кгони	(Khoni)	ხონი
Арха	(Archa)	არშა
Чатхни	(Tchatchny	ჩაჩნი

ცხრილის პირველ სვეტში მოცემული რუსული ტრანსკრიპციები აღებულია რუსეთის 1745 წ. ატლასიდან; მესამე სვეტში მათს გასწვრივ მოთავსებულია შესატყვისი ქართული დაწერილობა ,,ყაზანური ატლასის'' მიხედვით. შუა სვეტში ფრჩხილებს შორის აღვნიშნეთ ფრანგული თარგმანის სავარაუდო ტრანსკრიპციები, რომლებსაც უნდა გამოეწვიათ სახელთა დამახინჯება.

ჩვენს მოსაზრებას სავსებით ეთანხმება ის ცნობები, რომლებიც არსებობს ლიტერატურაში ,,Атлас Российской''-ს შედგენისა და გამოცემის ისტორიის შესახებ. ეს ატლასი გამოცემული იქნა რუსეთის გეოგრაფიული დეპარტამენტის მიერ, რომელსაც ჯერ ჟ. დელილი განაგებდა, შემდეგ (1740 წლიდან) — განთქმული მათემატიკოსი ლეონარდ ეილერი და მის შემდგომ ჰ.ინზიუსი. ორი უკანასკნელი პირი, როგორც ცნობილია, ეროვნებით გერმანელები იყვენ. საფიქრებელია, რომ გეოგრაფიულ დეპარტამენტში ინახებოდა ჟ. დელილის მიერ ვახუშტის ,,ყაზანური ატლასის'' რუკებიდან შესრულებული ფრანგული თარგმანი, რომელიც დელილის წასვლის შემდეგ გამოყენებული იქნა ,,Атлас Российской''-ს XI რუკის შესადგენად დეპარტამენტის გერმანელი ხელმძღვანელების მიერ

ამრიგად, საქართველოს გამოსახულება ,,Атлас Российской''-ს XI რუკაში გადმოღებული უნდა იყოს ვახუშტის ,,ყაზანური ატლასის'' რუკათა დელილისეული ფრანგული თარგმანიდან.

„პეტერბურგული ატლასიდან“ წარმოებული რუკები.

ვახუშტი ბაგრატიონის რუკების მეორე ვარიანტმაც, როგორც პირველმა, კავკასიის კარტოგრაფიაში საკმაოდ ღრმა კვალი დასტოვა. ვახუშტის კარტოგრაფიულ ნაშრომთა გავლენა XVIII ს. კავკასიის რუკებზე ამ შემთხვევაშიც მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება წერილობითი საბუთების საფუძველზე დადგენილი იქნეს; საჭირო ხდება აქაც მივმართოთ კარტოგრაფიული ანალიზის ხერხს და ვახუშტის რუკების დედანთან შეპირისპირების გზით გამოვარკვიოთ ამა თუ იმ კარტოგრაფიული ნაშრომის გენეტიური კავშირი ქართველი მეცნიერის ნაწარმოებთან.

1. 1742-43 წწ. ვახუშტი მიუწვევია რუსეთის სამხედრო შტაბს კავკასიის რუკის რუსულ ენაზე სათარგმნელად. რუსული ასლები, რომლებიც ჩვენი კარტოგრაფის რუკების მეორე ვარიანტიდან იქნა გადაღებული, საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში რუსეთის გენერალურ შტაბში ინახებოდა და დღემდისაც მოღწეულია. ისინი იხმარებოდა როგორც უშუალოდ სამხედრო მიზნით (კავკასიაში მოქმედი რუსთა ჯარის ნაწილების მოქმედების გასაადვილებლად), ისევე ახალი რუკების შესადგენადაც. როგორც კარტოგრაფიული ანალიზით ვრწმუნდებით, ვახუშტის რუკების ამ თარგმანთან, ისევე როგორც „ყაზანური ატლასის“ დელილისეულ თარგმანთან, დაკავშირებულია რამდენიმე ავტორის მიერ XVIII ს. მეორე ნახევარში შედგენილი რუკები.

2. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ პოლკოვნიკი ს. დ. ბურნაშევის (Бурнашев) რუკა. სტეფანე დანიელის-ძე ბურნაშევი (1743-1824) 1783 წელს დაინიშნა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-სთან და იმერეთის მეფე სოლომონ I-თან რუსეთის მთავრობის წარმომადგენლად. საქართველოში მან 1787 წლამდე იცხოვრა. რუსეთში დაბრუნების შემდეგ, ბურნაშევმა რამდენიმე შრომა დასწერა საქართველოზე, კავკასიონის მთიელებსა და ირანზე, აგრეთვე შეადგინა რუკები, რომლებსაც კავკასიაში მყოფი რუსეთის ჯარების სარდლობა ძლიერ აფასებდა.

ბურნაშევის რუკებს შორის ყურადღებას იპყრობს კავკასიის საერთო რუკა, რომლის რეპროდუქციაც ალ. ცაგარელმა დაურთო ბურნაშევის ჩამომავლის ს. ნ. ბურნაშევის წიგნს (იხ. 12). ამ რუკის საათაურია:

„Генеральная карта грузинских царств: Кахетии, Карталинии и

царства Имеретии с его княжествами Гурией и Мингрелией с облегающими областями и народами, обитающими в Кавказских горах. Сочинена полковником и кавалером Бурнашевым в 1784 году в г. Тифлисе".

ბურნაშევს მითითებული არ აქვს წყაროები, რომელთა მიხედვითაც მან თავისი რუკა შეადგინა, მაგრამ ბურნაშევის რუკის შეპირისპირება ვახუშტის „პეტერბურგული ატლასის" რუკებთან საშუალებას იძლევა გამომჟღავნებულ იქნეს მისი წარმოშობა. შედარება გვიჩვენებს, რომ ბურნაშევის რუკა ვახუშტის რუკების მეორე ვარიანტის მიმართ სრულ მსგავსებას იჩენს და, აშკარაა, მათგან გადმოღებულ ასლს უნდა წარმოადგენდეს. საფიქრებელია, რომ ბურნაშევი კავკასიის საერთო რუკის შედგენისას ეყრდნობოდა რუსეთის გენერალურ შტაბში არსებულ ვახუშტის რუკათა თარგმანს. მსგავსება ბურნაშევისა და ვახუშტის რუკებს შორის გამოიხატება მათი ტოპოგრაფიული შინაარსის, კარტოგრაფიული საფუძველისა და ტოპონიმიკის თითქმის 100%-იან იგივეობაში. რუსი დიპლომატის რუკა იმეორებს ვახუშტის რუკების ღირსება-ნაკლოვანებებს; მაგალითად, შეცდომები, რომლებიც ქართველი კარტოგრაფის მიერ დაშვებულ იქნა შავი ზღვის სანაპირო ხაზისა და მდ. მდ. ალაზნის, იორის, ქციას და ალგეთის გამოსახვისას, აგრეთვე „კაპეტის მდინარის" ფანტასტიკური გამოსახულება, უცვლელად განმეორებული აქვს ბურნაშევსაც. ერთნაირია ბურნაშევისა და ვახუშტის რუკებში კარტოგრაფიული ბადეც და თითქმის მთელი ტოპონიმიკა. ასეთი მსგავსება, რასაკვირველია, შემთხვევითი არ შეიძლება იყოს.

ამგვარად, თუმცა ს. დ. ბურნაშევი რამდენიმე ორიგინალური კარტოგრაფიული ნაშრომის ავტორი არის და მის მიერ კავკასიაში ტოპოგრაფიული აგეგმვების ჩატარება ფაქტს წარმოადგენს (იხ. 12)[1], — მაინც კავკასიის მიმოხილვითი რუკა მას თითქმის მთლიანად ვახუშტი ბაგრატიონის რუკების მეორე სერიიდან აქვს გადმოღებული.

3. ვახუშტის რუკათა მეორე ვარიანტის რუსულ თარგმანთან დაკავშირებულია აგრეთვე გენერალი სუხოტინის რუკა (10). ეს

[1] განხილული რუკის გარდა, ს. დ. ბურნაშევს ეკუთვნის აგრეთვე მარშრუტული რუკები: მოზდოკი-თბილისი, ჭუთაისი-თბილისი, კახეთი, თბილისი-ორთავი ბამბაკში, ირანისა და კურსკის გუბერნიის რუკები და სხვ.

უკანასკნელი, რამდენადაც მასზე ალ. ცაგარელის მიერ გამოქვეყნებული რეპროდუქციის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, წარმოადგენს მცირემასშტაბიან სქემას, მაგრამ მთელი რიგი ტოპოგრაფიული დეტალების (მაგალითად, მდ. ჭოროხის სისტემისა და ჯავახეთის ტბების გამოსახულებათა) ხასიათი გვიჩვენებს, რომ სუხოტინმა თავისი ,,გეგმა'' ვახუშტის რუკების (უფრო ზუსტად მათი რუსული თარგმანის) საშუალებით დაამზადა.

ზემოჩამოთვლილი რუკების გარდა, ვახუშტის რუკების მეორე სერიის რუსული თარგმანიდან უნდა მომდინარეობდეს აგრეთვე სხვა რუკებიც, რომლებიც XVIII საუკ. მეორე ნახევარში იქნა შედგენილი და ნაწილობრივ გამოქვეყნებულიც. მომავალი კვლევა, უნდა ვიფიქროთ, ქართველი კარტოგრაფის ნაშრომთა გამოყენების მოელ რიგ ახალ ფაქტებს გამოამჟღავნებს. მაგალითად, ჩვენ ვერ მოვახერხეთ უშუალოდ გავცნობოდით ცნობილი მკვლევარის ი. ა. გილდენშტედტის რუკას, მაგრამ გილდენშტედტის მოგზაურობის აღწერილობის ტექსტში (18) შეიმჩნევა ისეთი ტოპონიმიკური მასალა, რომელიც უეჭველად მოწმობს დასახელებული მოგზაურის ვახუშტის რუკებთან ნაცნობობას, ამიტომ ჰკუასთან ახლოს იქნება ვიფიქროთ, რომ ვახუშტის გავლენა გილდენშტედტის რუკაზეც თავის გამოვლინებას ჰპოვებდა.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩვენ განვიხილეთ კავკასიის რუკების დასავლეთ-ევროპელ და რუს ავტორ-გამომცემელთა მიერ ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიულ ნაწარმოებთა გამოყენების რამდენიმე შემთხვევა. XVIII ს. მეორე ნახევრისა და XIX ს. დასაწყისის კარტოგრაფიულ გამოცემათა შესწავლა, მოსალოდნელია, ქართველი რუკათშემდგენელის ნაშრომებზე დამყარებული რუკების სიას საგრძნობლად გაზრდის.

XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან დაწყებული XIX საუკუნის დამდეგამდე ვახუშტი ბაგრატიონის რუკები წარმოადგენდენ კავკასიის კარტოგრაფიის საფუძველს. როგორც ი. სტებნიცკი შენიშნავს, ,,კავკასიაში რუსთა ბატონობის დამყარებამდე, ამ ქვეყნისათვის ყველაზე მნიშვნელოვან კარტოგრაფიულ მასალას წარმოადგენდნენ ქართველი უფლისწულის ვახუშტი ვახტანგის ძის მიერ XVIII საუკ. ნახევარში შედგენილი რუკები'' (24, გვ. 363). მართლაც, რუსეთის ხელისუფლების მიერ XIX საუკუნეში ჩატარებული ტოპოგრაფიული აგეგმვების საფუძველზე შექმნილ ახალ რუკებამდე, ჩვენ ვერ ვხე-

დავთ კავკასიის ვერც ერთ რუკას, რომელიც თავისი სისრულე-სისწორით ვახუშტის კარტოგრაფიულ ნაშრომებს მეტოქეობას გაუწევდა და ამავე დროს არ იქნებოდა მათზე უშუალოდ ან არაპირდაპირად დამყარებული.

XIX საუკ. მეორე მეოთხედში გამოცემული რუსული რუკები (მაგალითად, კოლოკოლოვის 1836 წ. რუკა, რომელიც დართულია ლეგკობიტოვის (Легкобытов) წიგნზე „Обозрение российских владений за Кавказом", (იხ. 14; კავკასიის გზათა რუკა, გამოცემული 1847 წელს კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის შტაბის მიერ და იმავე შტაბის 1842 და 1858 წწ. სამიმოხილვო რუკები) თავისი გეოდეზიური საფუძველისა და ტოპოგრაფიული მასალის სიზუსტის მიხედვით, ვახუშტის რუკებთან შედარებით, უკვე ერთგვარ წინსვლას ალნიშნავენ, თუმცა ჯერ კიდევ არ არიან ნაკლოვანებათაგან თავისუფალნი და ვერ შეედრებიან ქართველი მეცნიერის რუკებს საქართველოს ტერიტორიის ძირითადი ნაწილის მოსახლეობის გამოსახვის დეტალურობის მხრივ.

მიუხედავად იმისა, რომ ვახუშტის რუკების გამომყენებელნი მეტწილად არ ასახელებდენ მათს ავტორს და უკეთეს შემთხვევაში მას „თბილისელი პრინცი"-ს ან „ადგილობრივი მცხოვრების" სახელით იხსენიებდენ, რის გამოც ქართველი მეცნიერის დამსახურება კავკასიის კარტოგრაფიის დარგში ადამიანთა რამდენიმე თაობისათვის შეუმჩნეველი დარჩა, — დღეს მაინც შესაძლებელი ხდება ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული მოღვაწეობის ღირსეულად შეფასება. ის ფაქტი, რომ ვახუშტის მიერ შედგენილი რუკები თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე გავლენას ახდენდნენ სხვადასხვა ევროპულ ენაზე შედგენილ კარტოგრაფიულ გამოსახულებებზე და ამით მნიშვნელოვან როლს ასრულებდენ კავკასიის შესახებ გეოგრაფიული ცოდნის განვითარების საერთო პროცესში, ავსებს ქართული კულტურის ისტორიას ახალი დეტალით.

Л. И. МАРУАШВИЛИ

КАРТОГРАФИЧЕСКИЕ ТРУДЫ ВАХУШТИ БАГРАТИОНИ

Резюме

Грузинский географ, историк и картограф Вахушти Багратиони (XVIII в.) составил две серии географических карт Грузии, ее отдельных частей и прилегающих стран:

1. Карты „Казанского атласа", датируемые 1735 годом и

2. Карты „Петербургского атласа", составленные в период 1737-43 гг.

В статье дается краткое описание оригиналов обоих атласов Вахушта, после чего делается попытка выяснить происхождение карт грузинского ученого и установить роль, которую они сыграли в развитии географических представлений о Кавказе.

В основе карт Вахушти лежат материалы глазомерных топографических с'емок. Особой детальностью отличается изображение территории Карталинского, Кахетинского и Имеретинского царств, с'емка которых была произведена по распоряжению грузинских правителей, возможно с помощью западно-европейских католических миссионеров и опиралась на густую сеть маршрутов. Для Северного Кавказа и Каспийского побережья грузинский картограф использовал русские материалы, добытые в течение первой трети XVIII века.

Картографическая основа карт первой серии („Казанского атласа") опирается на неточных данных восточных и античных астрономов и страдает грубыми погрешностями (несоответствие между истинным масштабом карты и картографической сеткой, преувеличение размеров территории Грузии и Кавказа в целом). Эти недостатки в значительной степени восполнены в картах второй серии („Петербургского атласа"), в которых использованы новые русские определения географических координат и коническая проекция.

Как выясняется отчасти по документальным данным, частью же путем анализа содержания карт, картографические работы Вахушти явились источником для составления ряда западно-европейских и русских карт XVIII в.:

1) Карты „Казанского атласа" были переведены на французский язык Ж. Делилем. От этого перевода произошли:

а) Французская карта Закавказья, изданная Ж. Делилем в Париже в 1766 г.

б) Изображение Кавказа в французской карте 1783 г. (Париж).

в) Изображение Грузии в XI карте „Атласа Российского" (1745 г.).

2) Карты „Петербургского атласа" были в 1943-45 гг. переведены на русский язык для Генерального штаба Русской армии. От названного перевода произошли:

а) Обзорная карта Кавказа полковника С. Д. Бурнашева (1784 г.).

б) План генерала Сухотина (1771 г.).

Имеется основание для предположения, что будущие исследования выявят еще и другие случаи заимствования карт Вахушти Багратиони мировой картографией.

В продолжение около 70 лет картографические работы грузинского ученого служили основным источником для составления карт Кавказа. Вследствие игнорирования личности Бахушти составителями вышеперечисленных карт, заслуги его перед кавказоведением остались почти незамеченными со стороны нескольких поколений. Однако изучение трудов грузинского картографа в сопоставлении с произведениями западноевропейской и русской картографии XVIII столетия выясняет то большое значение, которое имели карты Вахушти Багратиони в развитии географических знаний о Грузии и о Кавказе в целом.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

A. კარტოგრაფიული და ხელნაწერი მასალები

1. Ламберти, Арканджело. Описание Колхиды... Перевод К. Ганна. „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа", XLIII, Тифлис, 1913. (სამეგრელოს რუკა).

2. Kämpfer, E. Amoenitatum exoticarum politico-physico-medicarum. Lemgo, 1712.

3. ვარსკვლავთ-მრიცხველობა, თათრულიდამ ნათარგმნი მეფე ვახტანგისაგან. ხელნაწერი საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში.

4. ვახუშტი. „ყაზანური ატლასი" (1735). დედანი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში.

5. Atlas pour Wakhoucht („პეტერბურგული ატლასი", 1742-45 წწ.). დედანი საქართველოს ცენტრარქივში.

6. Wakhoucht. Histoire de G'eorgie (original). 1745. ვახუშტის თხზულების ხელნაწერი დედანი. საქართველოს ცენტრარქივი.

7. Description geographique de la Georgie, par le tsarèvitch Wakhoucht, publiée d' apres l' original autographe, par M. Brosset, membre de l' Acadèmie Impèriale des sciences. S.-Pètersbourg, a la typographie de l' Acadèmie, 1842. („პეტერბურგული ატლასის" ექვსი რუკის ფრანგული თარგმანითურთ).

8. Атлас Россійской, состоящей из девятнадцати специальных карт, представляющих Всероссійскую имперію с пограничными землями, сочиненной по правилам Географическим и новейшим обсерваціям, с приложенною притом генеральною картою великия сея имперіи, стараніем и трудами императорской академіи наук. В Санктпетербурге, 1745 года.

9. ვახუშტი. მოკლედ ქვეყნების ღრღრაფია, გამოცხადებული და გამოცემული რუსულს ენასა ზედა (აწ ქართულს ენასა ზედა) არა დიდის ატლასისა მიერითურთ, განწყობილი გასახმარებისათვის ღიმნაზიისა იმპერატრულის აკადემიისათვის, სანკპეტერბურღსა შინა 1745 წელსა, ხოლო ქართულს ენასა ზედა 1752 აგვისტოს 25. შესრულდა მოსკოვს პრესნას. აკროსტიხი: ,,ვახუშტიმ გარდმოვიღე რუსულიდამ". საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება (ხელნაწერზე დართულია ვახუშტის მიერ შესრულებული 27 რუკა).

10. Сухотин. План к операціи корпуса генерал-майора Сухотина в Азіи в компанию 1771 году. Приложение к книге А. А. Цагарели: ,,Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящіеся к Грузіи", т. I, Санктпетербург, 1891.

11. Carte des environs de la Mer-Noire ou se trouvent l' Ukrayne, la petite Tartarie, la Circassie, la Geergie, et les confins de la Russie europeenne, et de la Turquie.

Dediée et prèsentée a monseigeneur le Duc bd Choiseul pair de France ministre et secrètaire d'etat, par Robert de Vaugondy geographe ord. du roi, corrigée angmentée d'après de nouvelles cartes manuscrites pour les opèrations actuelles, et la connoissance èxacte des lieux par Delamarche geogr. 1783.

A Paris. Chez Delamarche rue du Foin près celle de la harpe au collège de Me Gernais.

12. Бурнашев, С. Н. Некоторые материалы для жизнеописанія и деятельности С. Д. Бурнашева... С приложеніем карт, портретов и факсимиле. Под редакціей проф. А. А. Цагарели. Санктпетербург, 1901.

13. Reineggs, Iacob d-r. Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus. Hrsggb. von Friedrich Enoch Schröder. 1796-97.

14. Карта россійских владений за Кавказом, составленная корпуса топографов поручиком Колоколовым в 1836 году. Мас-

штаб 1 : 1.680.000. Приложение к книге „Описание российских владений за Кавказом...“, СПб, 1836.

15. ზაქარია ფალავანდიშვილის წერილი მარი ბროსეს ადმი. მოსკოვი, 1838 წ. 28 სექტემბერი. ხელნაწერი დედანი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში.

16. Дорожная карта Кавказского края. Составлена и литографирована при Генеральном штабе Отдельного Кавказского корпуса 1847 года. Масштаб: в одном английском дюйме 25 верст.

B. ნაბეჭდი ლიტერატურა

17. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი, 1941.

18. Гильденштедт, академик Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа... Из путешествия г-на академика И. А. Гильденштедта через Россию и по Кавказским горам, в 1770, 71, 72 73 годах. Санктпетербург, 1809.

19. Фредерик Дюбуа де Монперэ. Путешествие вокруг Кавказа... Том I. Перевод с французского Н. А. Данкевич-Пущиной. Сухуми, 1937.

20. Хаханов, А. С. К исторической географии Кавказа. „Записки Кавказского отдела императорского Русского Географического общества“, кн. VI, Тифлис, 1864.

21. Броссе, М. Ф. О бумагах астронома Делиля, хранящихся в архиве императорского Русского Географического общества. „Известия императорского Русского Географического общества“, кн. 9, Санктпетербург, 1865.

22. Бутков, П. Г. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть 1, Санктпетербург, 1869.

23. Пекарский, Петр. История императорской Академии наук в Петербурге. 1. Санктпетербург, 1870.

24. Стебницкий, И. И. Картографическое обозрение Кавказа и Закавказья. „Труды III международного с'езда ориенталистов в С.-Петербурге, 1876“, т. I, С.-Петербург, 1879-80.

25. თამარაშვილი მიქელ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ნაწილი საბუთების შემოტანითა და განმარტებით, XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე. ტფილისი, 1902.

26. Багров, А. мичман. Материалы к историческому обзору карт Каспийского моря. „Записки по гидрографии", XXXV, Санктпетербург, 1912.

27. Танфильев, Г. И. География России. Часть 1. Введение. История исследования. Учреждения и издания. Картография. Одесса, 1916.

28. ჯავახიშვილი ივანე. საქართველოს საზღვრები, ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. ტფილისი, 1919.

29. Берг, Л. С. Очерк истории русской географической науки (вплоть до 1923 г.). Ленинград, 1929.

30. Полиевктов, М. А. Европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу. Тбилиси, 1935.

31. Линдт, Г. Н. Картоведение. Москва, 1938.

32. მარუაშვილი, ლ. ულუღ-ბეგის ასტრონომიული თხზულების ქართული თარგმანი და მასთან დაკავშირებული საკითხები. გაზეთი „ინდუსტრიული ქუთაისი", 1941, 16 აპრილი.

33. მარუაშვილი, ლ. პირველი ქართველი გეოგრაფი. გაზ. „კომუნისტი", 1945, 11 დეკემბერი.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1948.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VIII, 1948.

Г. В. КОКОЧАШВИЛИ

Заметка о естественных биотопах Physa acuta Drap. в Грузии

Мест нахождения Physa acuta Drap. в Грузии не много. Но имеющиеся по настоящее время данные могут служить основанием для суждения о характере биотипов этого легочного брюхоногого моллюска в нашем крае.

Первое несомненное указание на обнаружение Physa acuta в Грузии находим у В. А. Линдгольма (1913), именно в Ботаническом саду в Сухуми [4].

Далее, нами были указаны (1941, 1943) новые места паходок из окр. Гагра, из Псырцха, Самтредиа и Батуми [2, 3].

В настоящее время по имеющимся у нас коллекционным материалам можно добавить еще несколько пунктов, а именно: в Сухуми — в двух различных водоемах городского Ботанического сада; в окрестностях г. Очамчире — в двух реках; в сел. Кулаши Самтредского района; в окрестностях г. Кутаиси — в двух местах: в местности Сарбеви у жел.-дор. станции Рioни — также в двух близлежащих точках.

1. В Сухумском городском ботаническом саду, в речке Сухумке, которая протекает через этот сад, 28. VIII. 46 г. наблюдалось скопление довольно большого количества физ. Мною, совместно с проф. А. А. Садовским[1] было собрано для нашей коллекции 11 живых экземпляров.

Сухумка выглядит в этом месте горной речкой: ее ущелье узкое, извилистое, падение воды значительное, дно изобилует камнями, местами ущелье как бы загораживается крупными скалами, отчего в речке образуются стремнины, а местами защищенные участки с тихо текучей водой и песчано-илистым дном (заводи). Камни покрыты налетом водорослей.

[1] Лицам, оказавшим содействие при собирании материала или передавшим мне его, приношу искреннюю признательность.

Физы находились как на песчанистом илу, так и на камнях и скалах у уровня воды. Их больше наблюдалось на камнях.

Вода в такой речке казалось должна была быть чистой и прозрачной, как вообще в горном водстоке такого типа. Но этот естественный биотопический фактор в речке Сухумке значительно изменен в результате постройки в ее верховьях небольшой гидроэлектрической станции, загрязняющей речку своими отходами. Все камни, скалы и берега Сухумки были покрыты слоем мазута, а в некоторых заводях с более или менее застойной водой образовались сплошные мазутные пленки. Несмотря на это обстоятельство, физы в речке уживались, хотя их раковины и тела были в мазуте.

2. В том же саду, но уже в другом биотопе, того же числа (28. VIII. 46 г.) мной найдена одна пустая раковина физы. Место находки — небольшой цементный круглый бассейн с фонтаном посредине.

В день посещения сада, да и в течение всех летних месяцев этого засушливого лета, фонтан в бассейне не действовал, а воды в бассейне оставалось на дне сантиметров на 10. Вследствие этого вся пышная водная флора бассейна находилась в самом плачевном состоянии. Несомненно, что при более благоприятных условиях, в почти стоячей воде бассейна физы находили вполне подходящие условия для жизни, и их было бы там не мало, так как, найденная нами на листе водного растения раковина, крупного размера и ее эпидермис не носит следов разрушения.

Нахождение физы в этом бассейне указывает на прекрасное уживание их и в искусственных бассейнах малого размера.

Вышеприведенное указание Линдгольма мы не можем использовать в виду того, что не знаем: во-первых, в каком сухумском ботаническом саду были найдены им физы — в Ботаническом Саду Всесоюзного Научно-Исследовательского Института Субтропических Культур (ВНИСК), или в вышеуказанном нами городском ботаническом саду, а во-вторых, в каком водоеме они добыты.

3. В Псырцхе (Новый Афон) физы были найдены в колхозном (б. монастырском) пруду. У нас имеется 6 свежих раковин от молодых живых экземпляров (сбор Г. Цикоридзе, 25. VI. 40 г.).

Пруд занимает значительную площадь. Судя по некоторым поверхностным наблюдениям он должен быть заселен богатой озерно-прудовой фауной беспозвоночных, в ней водится и рыба. В момент сбора моллю-

сков на нем находились домашние водоплавающие птицы. Из растений бросалось в глаза сильное развитие водяной чумы и валлиснерии. Физы были сняты с листьев Elodea canadensis.

4. Сведениями о характере водоема близ Гагра [2], к сожалению, мы не располагаем.

В окрестностях г. Очамчире в 1946 г. физы обнаружены нами в двух реках:

5. 7. VIII. 46 г. на окраине города в реке Гализга, недалеко от моста нами собрано 123 живых экземпляров[1].

Река Гализга у своего устья образует очень широкое ложе со многими рукавами, из которых только в некоторых текут ее воды. Часть же этих рукавов в летнее время лишена воды, а в некоторых, хотя вода и имеется, но застойная, слабо дренирующаяся сквозь галечную подстилку, сильно прогреваемая, богатая флорой, заболоченная.

Именно в таком заболоченном рукаве реки Гализга и были нами собраны эти физы. Их было там громадное количество, они сидели на гальках и среди нитей водорослей, густой и неподвижной массой покрывавших поверхность воды. Температура воды в 6 часов вечера равнялась 24° С, дно рукава в месте сбора моллюсков было покрыто илом с неприятным сероводородным запахом, время от времени со дна всплывали пузырьки газа. Все черты болотного биотопа здесь были налицо. Присутствие среди громадной колонии физ моллюсков всех возрастов несомненно указывает на то, что они в таком биотопе прекрасно уживаются.

6. Другой сбор в окрестностях г. Очамчире был произведен в р. Адзыква, очень близко от ее впадения в Черное море у шоссейного моста.

Здесь река протекает по совершенно плоской и заболоченной местности, покрытой густо разросшейся болотной и гидрофильной растительностью. Движение воды в реке сильно замедленное, дно покрыто богатой органическими остатками илом, цвет воды почти черный. Абхазское значение названия этой реки соответствует цвету ее воды: адзыква — адзыкуа = черная вода, река.

---

[1] В сборе участвовали также члены Абхазской спелеологической экспедиции Грузинского альпийского клуба под руков. проф. А. А. Садовского.

8. VIII. 46 г. здесь у берега реки в прибрежном илу и среди растений было собрано 12 живых физ.

Ниже места сбора, в метрах 100-150, река запружается прибрежной дюной и местность сильно заболачивается.

7. В Батуми местом сбора физ является оз. Нуриэ, расположенное в пределах городского сада. Присутствие физ в этом озере впервые нами было указано на основании сборов 1935 г. [2, 3], когда было собрано 26 живых экземпляров. В следующие годы нами было еще собрано 7 экз. 10. X. 36 г. и 18 экз. 13. XI. 37 г. Во всех этих случаях сбор физ производился с камней у берега. В те годы их было в озере очень много.

8. В Самтредиа мною собрано 12. III. 40 г. 29 взрослых и много молодых физ из болота у полотна железной дороги.

Это болото размерами, примерно, 50 × 20 м, видимо, образовалось от скопления атмосферных осадков в углублении между полотном жел. дороги и шоссейным трактом Самтредиа-Кутаиси на месте вырытой земли, использованной, по всей вероятности, для ремонта как железнодорожного пути, так и шоссе. Края болота были усеяны засохшими стеблями и листьями болотных растений, дно сплошь было покрыто листьями чинара и других древесных пород, а также гниющими остатками других растений, под этим органическим покровом находился черный ил с неприятным запахом.

В этом болоте физы имелись в громадном количестве, они покрывали буквально каждый упавший в воду лист, они сидели и на нижней стороне листьев и на сучьях, их много было в прибрежном илу, среди моллюсков особенно много было молодых экземпляров. Мне ни разу не приходилось наблюдать такого большого скопления физ в других водоемах. Резко выраженными биотопами физ в этом водоеме, по нашему мнению, является иловый субстрат и гниющие растения.

В качестве представителей зооценоза этого водоема можно привести замеченных нами Limnaea truncatula Müll., Lumbricidae, Rana ridibunda Pall., личинки мухи Eristalis; этих последних было не мало под гниющими листьями на дне болота.

9. В сел. Кулаши Самтредского района физы были обнаружены в болоте значительных размеров, заселенном водной растительностью. 4 живых экземпляра доставлено было мне 19. V. 48 г. А. И. Кутателадзе.

Физы были сняты с водяных растений вместе с другими пресноводными моллюсками [1].

В окрестностях Кутаиси, южнее города, Physa acuta нам удалось обнаружить в двух пунктах ущелья реки Цхалцителa.

10. Один пункт находится на правом берегу р. Цхалцителa среди пахотных участков у подножия Сагорийской возвышенности. Здесь имеется болото небольших размеров, но с типичными чертами эвтрофного водоема. В нем нами собрано 3. VI. 45 г. 28 физ, а 12. VI. 47 г. — 15 физ частью с растений, частью с камней.

Этот водоем обязан своим происхождением холодному родничку ($t^0 = 10^0$ C), выбывающемуся из под земли, примерно в 100 м от него. Вода с этого родничка скопляется в впадине, глубиною в 2 м, а затем тихим ручейком идет далее к обрывистому берегу р. Цхалцителa.

Таким образом, вода в болоте слабо проточная, в противоположность самтредскому болоту. Естественно, что физами заселенным оказался и этот ручеек. Болотце изобилует болотно-озерной флорой, как-то: ряской малой (Lemna minor), роголистником (Ceratophyllum demersum) и др., а также водорослями. Дно устлано сильно гуминизированным илом, вода в жаркие дни сильно прогревается, так как в день сбора моллюсков (12. VI. 47 г.) она имела 24° C. Из животных замечено много личинок насекомых, мелкие водяные жуки, много гамбузий, лягушка (Rana ridibunda Pall.) и уж (Tropidonotus sp.).

11. Другое место находки физ близ Кутаиси, это — сама река Цхалцителa.

У левого берега реки, ниже одилаурского висячего моста, среди растений и на камнях 12. VI. 47 г. собрано 30 живых физ. Физы неизменно находились в местах с тихим течением воды.

Небезинтересно отметить, что эти физы отличались меньшими размерами, а их раковины — большей тонкостенностью по сравнению с физами из предыдущего водоема (болотца) при одинаковом возрасте (число оборотов), что мы склонны об'яснить меньшей обеспеченностью физ в р. Цхалцителa пищевыми ресурсами в связи с более резкими колебаниями уровня воды в реке, а также меньшей прогреваемостью воды в ней.

Наконец, последним местом обнаружения физ является местность

[1] В виду того, что этот сбор произведен после изготовления клише карты распространения физы, пункт Кулаши на карте не обозначен (см. карту).

Сарбеви в 12 км к югу от Кутаиси. Физы тут имеются в двух биотопах: в болоте и в ручейке. Материал двух разновременных сборов доставлен мне Т. Т. Шубладзе.

12. Болото такого же типа, как и в ущелье Цхалцитела, находится близ жел.-дор. станции Рионн у южной оконечности Сагорийской возвышенности. Сбор 18 XI. 47 г. содержал 10 физ с их кладками яиц. Собраны они среди водорослей спирогиры и прибрежного ила. Сбор 8. II. 48 г. — 4 физы и их кладки.

Этот застойный водоем несколько уступает по размерам самтредскому, он постоянен и не имеет стока. Его образование между полотном жел. дороги и склоном возвышенности надо отнести за счет не только атмосферных осадков, но и за счет постоянного притока воды из нескольких ручейков, стекающих в это болото с южного склона названной возвышенности. Один из них крупнее остальных.

13. Этот ручеек является другим местом обитания физ в этой местности.

Приблизительно 50 м выше уровня болота 30 физ было собрано на камнях того же 18. XI. 47 г., а 8. II. 48 г. — 56 физ. Но в ручейке их было гораздо меньше, чем в болоте, и размерами раковин они несколько уступают своим собратям из болота.

Впоследствии, 25. VI. 48 г. нами дополнительно собрано немалое количество физ в обоих вышеназванных водоемах.

Этот материал дает возможность подытожить, в виде предварительной заметки, данные о биотопах Physa acuta Drap. в Грузии. Мы, конечно, понимаем, что наши выводы нуждаются в проверке методами гидробиологических исследований, но надеемся, однако, что их выводы совпадут в основном с нашими.

Но было бы полезно сначала припомнить характер водоемов этой физы вне пределов Грузинской ССР, ссылкой на некоторые литературные источники.

В. И. Жадин (1933) указывает, что естественными биотопами Physa acuta в СССР являются ручьи и речки („живет в ручьях и речках") [1, стр. 106]. В центральной же части западной Европы, по литературным данным, эта физа обитает в прохладной воде, в руслах родников, а также в прудах и озерах среди водяных растений.

Наши данные показывают, что в природных условиях Грузии Physa acuta обитает в различных биотопах разных водоемов. Этими водоемами

являются: озеро, пруд, болото, заболоченные рукава рек, река, речка, ручей и его русла.

Если расположить 12 наших случаев обнаружения физ по главным группам водоемов (пункт Гагра по понятным соображениям исключается), то мы получим картину распределения, представленную в нижеследующей таблице (см. таблицу):

Распределение по группам водоемов

№ № п/п.	Название местности	Группы водоемов	
		Текучие	Стоячие
1	Псырцха	—	пруд
2	Сухуми	речка	—
3	Сухуми	—	бассейн
4	Окр. г. Очамчире, р. Гализга .	—	заболеч. рукав
5	Окр. г. Очамчире, р. Адзыква .	река	—
6	Батуми	—	озеро
7	Самтредиа	—	болото
8	Сел. Кулаши	—	болото
9	Окр. Кутаиси	—	болото
10	Окр. Кутаиси, р. Цхалцитела .	река	—
11	м. Сарбеви	—	болото
12	м. Сарбеви	ручеек	—

Из этой таблицы видно, что физы чаще попадались в стоячих водоемах: из 12 случаев, 8 приходится на различного рода стоячие воды, и только 4 — на текучие. Заметим, что рукав реки Гализга в окр. Очамчире мы относим к водоемам стоячего типа, хотя дренаж воды в нем несомненен (см. выше).

Стоячие водоемы отличались и большей плотностью населения физ. И без количественного учета это положение было ясно глазу наблюда-

теля. Болото в Самтредиа, озеро Нуриэ, заболоченный рукав р. Гализга полны были физами, их много было также в болоте близ Кутаиси и в Сарбеви. Из текучих водоемов физы преобладали в речке Сухумке.

Это уже может считаться показателем того, что в условиях нашего края более благоприятными экологическими свойствами для жизни физ обладают, видимо, стоячие водоемы, типа заболоченных. Быть может двенадцать водоемов слишком недостаточное количество для того, чтобы утверждать это, но мы констатируем то, что удается подметить в настоящий момент. Нам все же кажется, что Physa acuta в условиях Грузии следует рассматривать и как реофилов и как лимнидрофилов почти в равной мере[1].

Субстратом в обоих группах водоемов физами использованы как мягкие, так и твердые среды, как-то: ил, илистый песок, камни. Поэтому в отношение к этому биотопическому фактору они являются и пелофилами и петрофилами. При наших сборах даже в одном каком либо водоеме они встречались почти в равной мере на этих двух по качеству различных субстратах, и нам не удавалось подметить особенного предпочтения физами одного субстрата перед другим.

Но физы были находимы и среди водных растений, напр. в псырцхинском пруду (на Elodea canadensis), в болоте близ Кутаиси, в Сарбеви, в рукаве р. Гализга (среди водорослей), и т. д. Поэтому частично они являются и фитофилами.

Температурный фактор в этих водоемах, как можно было заметить, весьма неодинаков. Тогда как вода в таких водоемах, как пруд в Псырцха (с большой водной массой), в озере Нуриэ в Батуми (реликтовое опресненное озеро, размерами 500 × 213 м, питающееся подземными родниками), в речке Сухумке и реке Цхалцителa должна отличаться сравнительно малыми колебаниями температуры, в противоположность им, вода в таких малых и неглубоких водоемах, как болота в Самтредиа, близ Кутаиси и в Сарбеви в летнее время значительно прогре-

[1] Вопрос, какая из этих сред является первичной для *Physa acuta* — водоемы с текучей или стоячей водой — может быть по нашему мнению, освещен и с точки зрения анатомической, если обратить внимание на подошву ноги моллюска. Она у физы достаточно широкая, имеет большую площадь соприкосновения с грунтом при сравнительно небольшой поверхности, обмываемой водой. Этот признак говорит в пользу того, что выработка морфо-физиологических особенностей моллюска протекала в текучей, а не в стоячей воде.

ваются и, отсюда, суточные и сезонные температурные колебания должны быть также значительными. Нами уже указывалось, что в болоте близ Кутаиси и в заболоченном рукаве р. Гализга близ Очамчире в июле-августе была отмечена температура в 24° С. Это дает основание считать наших физ за эвритермных моллюсков.

В отношение газового и в частности кислородного режима названные водоемы должны быть еще более отличаться друг от друга. Как на крайние примеры из перечисленных стоячих водоемов достаточно указать озеро Нуриэ, богатое растительностью и, видимо, насыщенное кислородом — с одной стороны, и болото в Самтредиа — с другой, в котором отмечено было сильно гумминизированное илевое дно и, несомненно, обеднение его воды кислородом.

Не приходится говорить, что в водах таких водотоков, как река Цхалцителa и речка Сухумка, кислорода должно быть в избытке.


Физы, заселившие одинаково эти водоемы, очевидно, проявляют большую выносливость к кислородному содержанию их вод.

В равной мере это должно относиться и к содержанию в воде таких вредных газов, как углекислота, сероводород и метан.

Жизнь в разных биотопах, естественно, предполагает наличие у физ широкой приспособленности к различным экологическим факторам среды, наличие известной гибкости организации, позволяющей физам выдерживать воздействия количественно и качественно разнящихся факторов в довольно больших границах, наличие у них, как бы выразился эколог, значительной экологической валентности. Действительно, озеро Нуриэ и болото в Самтредиа — с одной стороны, речка Сухумка и ручеек в Сарбеви — с другой, никак не могут быть равноценными с точки зрения экологической, но физами, как мы видели, их биотопы вполне использованы.

Поэтому, в природных условиях Грузинской ССР физы должны быть рассматриваемы, как полибионты [1].

[1] Причины количественного преобладания физ в стоячих водоемах нашего края, быть может, кроются не только в физико-химических свойствах воды, но и в составе биоценозов, в отсутствии в их биоценозах активных врагов физ — хищных рыб, крабов и т. д. По нашим наблюдениям в ряде названных стоячих водоемов отсутствал, напр. пресноводный краб (*Potamon potamios Olivi*), который столь обычен в наших текучих водах. Как мне пришлось случайно быть свидетелем, раз в природе (р. Цхалцителa) и раз в лабораторных условиях, этот краб охотно поедал физ.


КАРТА
РАСПРОСТРАНЕНИЯ
Rhyssa acuta Dgr.
в Груз. ССР
Составил Г.В.Кокочашвили
МАСШТАБ
1 см = 30 км.
ТБИЛИСИ
КУТАИСИ
ОЗУРГЕТИ
САМТРЕДИА
ОЧАМЧИРЕ
ПОПИЧХА
СУХУМИ
ГАГРА
ВАГУЛИ
Черное море

В Ы В О Д Ы

1. Physa acuta Drap. в Грузии до сих пор обнаружена только в ее западной части (западная Грузия).

2. Пункты нахождения Physa acuta падают главным образом на приморскую часть зап. Грузии от Гагра до Батуми, и только на восток, по рионской долине, физы имеют продвижение до окр. Кутаиси, встречаясь на всей этой территории спорадически (см. карту)[1].

3. Хотя физы считаются обитателями текучих вод по преимуществу, но у нас они встречаются как в текучих, так и в стоячих водоемах, явно предпочитая последние.

4. В отношение субстрата они являются главным образом обитателями ила (также песчанистого ила) и камней (пело — и петрофилы), но нередко и растительного субстрата (фитофилы).

5. В виду наличия у физ в Грузии значительной экологической валентности, позволяющей приспособиться к жизни в различных биотопах, они представляются нам, как полибионты.

ИСПОЛЬЗОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Жадин В. И. Пресноводные моллюски СССР, 1933.

2. კოკოჩაშვილი გ. ფასციოლოზის გადამტანი მოლუსკის გავრცელების საკითხისათვის საქართველოში. ქუთაისის სახ. პედინსტ. შრომები, ტ. III, 1941.

3. Кокочашвили Г. В. Список кавказских моллюсков Кутаисского Гос. Пединститута. I. Пресноводные моллюски. Труды Кутаисского Гос. Пединст., т. V, 1943.

4 Lindholm W. Beschreibung neuer Arten und Formen aus dem Kaukasus — Gebiete. Nachr. d. d. Mal. Ges., 1913.

[1] По техническим причинам размер карты уменьшен, в силу чего масштаб несколько не соответствует указанному.

გიორგი კოკოჩაშვილი

შენიშვნები PHYSA ACUTA DRAP.-ს გუნებრივი ბიოტოპების შესახებ საქართველოში

რეზიუმე

ლიტერატურაში უკვე არსებულ ცნობებს მტკნარი წყლის მოლუსკის — Physa acuta Drap.-ს მოპოვების შესახებ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (Lindholm 1913, კოკოჩაშვილი 1941 და 1943) ავტორი ამ წერილში უმატებს რამოდენიმეს. ესენია: სოხუმი, ოჩამჩირის მიდამოები, კულაში, ჭუთაისის მიდამოები და სარბევი (რიონის რკინის გზის ახლოს), სულ 9 ახალ პუნქტს. ამავე დროს ავტორი მიმოიხილავს ამ მოლუსკის ყველა ცნობილ მოპოვების ადგილებს ეკოლოგიური თვალსაზრისით საკუთარი დაკვირვებების საფუძველზე. ამ ცნობებიდან ჩანს, რომ საქართველოს ბუნების პირობებში Physa acuta გვხვდება როგორც მიმდინარე, ასევე დამდგარ წყალსატევებში, უფრო ხშირად კი უკანასკნელში, რასაც გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი.

განაწილება წყალსატევების ჯგუფების მიხედვით

№№ რ/რ.	ადგილის სახელწოდება	წყალსატევების ჯგუფები	
		მიმდინარე	დამდგარი
1	ფსირცხა	—	ტბორი
2	სოხუმი	ღელე	—
3	სოხუმი	—	აუზი
4	ჭ. ოჩამჩირის მიდამ., მდ, ღალიძგა .	—	დაჭაობ. ტოტი
5	ჭ. ოჩამჩირის მიდამ., მდ. აძიკვა . .	მდინარე	—
6	ბათუმი	—	ტბა
7	სამტრედია	—	ჭაობი
8	სოფ. კულაში	—	ჭაობი
9	ჭუთაისის მიდამოები	—	ჭაობი
10	ჭუთაისის მიდამ., მდ. წყალწითელა .	მდინარე	—
11	ადგ. სარბევი	—	ჭაობი
12	ადგ. სარბევი	ნაკადული	—

ამიტომ ეს მოლუსკი ჩვენში წარმოადგენს რეოფილსაც და ლიმნიდროფილსაც თითქმის ერთნაირ ფარგლებში.

სუბსტრატის მხრივ მოლუსკი შეიძლება დახასიათებული იქნეს როგორც ლამზე და საერთოდ რბილ გრუნტზე მცხოვრები (პელოფილი) ერთი მხრივ, და აგრეთვე მაგარ სუბსტრატზედაც — ქვებზე მცხოვრები — მეორე მხრივ (პეტროფილი). მაგრამ არაიშვიათად მას ვხვდებით მცენარეთა შორისაც.

რადგან მოლუსკი ცხოვრობს ტემპერატურის მხრივ ძლიერი რხევადობის წყალსატევებში ხშირად, ამიტომ ჩვენ ქვეყანაში იგი ევრითერმიულ ანუ ფართო რხევადობის ამტან მოლუსკად უნდა ჩაითვალოს. ასევე, მისი ბიოტოპები საკმაოდ მრავალფეროვანია, რის გამო ავტორი მას პოლიტოპურ მოლუსკად თვლის.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ამ მოლუსკის გავრცელება შემოზღუდულია მხოლოდ დასავლეთ საქართველოთი, აქ იგი უფრო მეტად ზღვის სანაპირო მხარეშია შემჩნეული. მხოლოდ აღმოსავლეთის მიმართულებით იგი ქუთაისის მიდამოებამდე ვრცელდება, ისიც სპორადულად.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1948.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VIII, 1948.

გიორგი როგავა

ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში*

რთული წინადადების თეორია ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნის დამდეგს.

არჩევენ საერთოდ ორი სახის რთულ წინადადებას: რთულ თანწყობილსა (პარატაქსსა) და რთულ ქვეწყობილს (ჰიპოტაქსს). მათ შორის სხვაობას განსაზღვრავს შემადგენელ წინადადებათა ურთიერთდამოკიდებულება: თუ რთული წინადადების კომპონენტები ერთიმეორისაგან დამოუკიდებულია, ეძახიან მას რთულ თანწყობილს (პარატაქსს) — „ქარი ამოვარდა და ფოთლებმა იწყეს შრიალი“, ხოლო თუ ერთი კომპონენტი განსაზღვრავს (ამ სიტყვის ფართო გაგებით) მეორეს, ასეთ რთულ წინადადებას უწოდებენ რთულ ქვეწყობილს წინადადებას (ჰიპოტაქსს) — „როცა ქარი ამოვარდა, ფოთლებმა იწყეს შრიალი“.

ზოგი ავტორი ამ ორი ტიპის რთულ წინადადებას შორის არსებით სხვაობას კრიტიკულად უყურებს. ზოგი კი სრულებით უარყოფს მათ შორის რაიმე სხვაობის არსებობას.

ჰ. პაულს აღნიშნული აქვს, რომ ყოველგვარი სახის პარატაქსში შესამჩნევია შემავალ წინადადებათა შორის გარკვეული რიგის დამოკიდებულება. იგი ამბობს, რომ, მართალია, პარატაქსში არა გვაქვს ერთი წინადადების მიერ მეორის განსაზღვრა, მაგრამ, სამაგიეროდ, საქმე გვაქვს შემადგენელ წინადადებათა ურთიერთგანსაზღვრასთანო [1].

---

* წაკითხულ იყო მოხსენებად საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტის კავკასიურ ენათა განყოფილებისა საჯარო სხდომაზე 1943 წელს.

[1] *H. Paul, Prinzipien der Sprachgeschichte*, V გამოცემა, 1920, გვ. 148.

პარატაქსსა და ჰიპოტაქსს შორის სხვაობის სრული უარყოფა მიეწერება მ. პეტერსონს ნაშრომში Очерк синтаксиса русского языка, 1923. მან გააკრიტიკა ტრადიციული შეხედულება თანწყობილ და ქვეწყობილ წინადადებათა შესახებ. საერთოდ უარყო სხვაობის არსებობა მათ შორის. კერძოდ, რუსულ ენაში გამორიცხა იობიექტური ენობრივი კრიტერიუმის არსებობა ამ ორი სახის რთულ წინადადებათა შორის. რთულ წინადადებათა ყველა კავშირი ერთ სიბრტყეზე დააყენა. ყველა ასეთ კავშირს ევალება გარკვეული ურთიერთობა დაამყაროს წინადადებებს შორის. კავშირის არსებობა გულისხმობს, რომ ერთი წინადადება გარკვეულ დამოკიდებულებაშია მეორესთან. მაგალითად, წინადადებაში „становилось жарко, и я поспешил домой“ и კავშირი ისეთსავე ურთიერთობას ამყარებს კომპონენტებს შორის, როგორსაც что კავშირი წინადადებაში — „По лицу видно, что ты говоришь неправду“. წინადადება „и я поспешил домой“ ისევეა დამოკიდებული წინამავალ წინადადებაზე, როგორც წინადადება „что ты говоришь неправду“. მეთოდოლოგიურად გაუმართლებლად მიაჩნია ის ფაქტი, რომ შედარების მიზნით ერთს შემთხვევაში (პარატაქსში) и კავშირს ჩამოაცლიან ხოლმე, ხოლო მეორე შემთხვევაში (ჰიპოტაქსში) что კავშირს ტოვებენ. შედარებისას ან ორსავე შემთხვევაში უნდა დარჩეს კავშირი, ან და ორსავე შემთხვევაში უნდა იქნეს ჩამოცილებულიო.

პირველ შემთხვევაში არც ერთ შემავალ წინადადებას არ შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა — „и я поспешил домой“, „что ты говоришь неправду“. მეორე შემთხვევაში კი ორივეს არსებობა გამართლებულიაო — „я поспешил домой“, „ты говоришь неправду“.

მ. პეტერსონი ასეთ დასკვნას უკეთებს თავის მსჯელობას რთული წინადადების კონსტრუქციის შესახებ: „ეს გარჩევა გვიჩვენებს, რომ „ობიექტურ კრიტერიუმებს“ არ მივყევართ სასურველ შედეგებამდის; ისინი არ იძლევიან საშუალებას გარჩეულ იქნას მთავარი წინადადება დამოკიდებულისაგან და თანწყობა ქვეწყობისაგან. ეს შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმით, რომ მათ შორის არ არსებობს ობიექტური სხვაობა, და, მაშასადამე, არაა საჭიროება შემოგვრჩეს წინადადების თეორიის ეს მემკვიდრეობა[1].

პეტერსონის შეხედულება გაკრიტიკებული აქვს ა. პეშკოვსკის. მისი აზრით რუსულ ენაში არსებითი ხასიათის სხვაობაა

[1] დასახ. ნაშრ., გვ. 32.

პარატაქსსა და ჰიპოტაქსს შორის. ეს სხვაობა მჟღავნდება რთულ წინადადებაში შემავალ წევრებთან კავშირების განსხვავებულ დამოკიდებულებაში. ჰიპოტაქსში კავშირი მჭიდრო ურთიერთობაშია დამოკიდებულ წინადადებასთან და მასთან ერთად ქმნის ერთ აზრობლივ მთლიანობას („одну цельную смысловую массу"), ხოლო პარატაქსში კავშირს არც ერთ კომპონენტთან არა აქვს ასეთი დამოკიდებულებაო [1].

ა. პეშკოვსკის მიერ წარმოდგენილი ენობრივი კრიტერიუმი პარატაქსისა და ჰიპოტაქსის განსხვავებათა დასადგენად თავისთავად საყურადღებოა, მაგრამ იგი არ უნდა წარმოადგენდეს არსებითი ხასიათის სხვაობას ამ ორი სახის რთულ წინადადებათა შორის. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ჰიპოტაქსის გენეზისის საკითხი. გასული საუკუნის ცნობილი სლავისტების მიერ გარკვეულია, რომ კერძოდ რუსულ ენაში დამოკიდებული წინადადება წარმოშობილია კითხვითი წინადადების საფუძველზე [2]. რთულ ქვეწყობილ წინადადებაში შემავალი ერთი კომპონენტის — კითხვითი წინადადების (resp. დამოკიდებული წინადადების) კითხვითი ნაცვალსახელები და ზმნისართები გადაიქცნენ დამოკიდებული წინადადების კავშირებად, მიმართებით ნაცვალსახელად და მიმართებით ზმნისართად.

როგორც ქვევით ვნახავთ, ქართული ჰიპოტაქსიც ასეთივე აგებულებისაა. დამოკიდებული წინადადება აქაც კითხვით წინადადებისაგან მომდინარეობს. ქვეწყობილი წინადადება სტრუქტურულად წარმოადგენს კითხვითი წინადადებისა და მისი საპასუხო წინადადების შეერთების შედეგს. ოღონდ, ამ შეერთების საფუძველზე კითხვითს წინადადებას (resp. დამოკიდებულ წინადადებას) უკვე დაკარგული აქვს კითხვითი შინაარსი.

ასეთი კონსტრუქციისა არ არის დამოუკიდებელი კომპონენტებისაგან შემდგარი რთული თანწყობილი წინადადება. ამდენადვე, მისი კავშირებიც არსებითად განსხვავდება ქვეწყობილი წინადადების კავშირებისაგან, რომლებიც თავის მხრივ მომდინარეობენ კითხვით სიტყვათაგან.

---

[1] А. М. Пешковский, Русский синтаксис, 1935, გვ. 411.
მისივე, „Существует ли в русском языке сочинение и подчинение" (წერილთა კრებულში), Вопросы методики родного языка, лингвистики и стилистики, 1930.

[2] Ф. Корш, Способы относительного подчинения, глава из сравнительного синтаксиса, Москва, 1877.

ამ ორი ტიპის რთულ წინადადებათა შორის ეს არსებითი ხასიათის ენობრივი სხვაობაა.

ჰიპოტაქსის პარატაქსისაგან განმასხვავებელი ნიშანია აგრეთვე დამოკიდებული წინადადების კავშირთა კორელატივების არსებობა. ასეთი კორელატივები — ჩვენებითი ნაცვალსახელები და ჩვენებითი ზმნისართები — მთავარი წინადადების კუთვნილებას წარმოადგენს.

იბერიულ-კავკასიურ ენებში წინადადების ჰიპოტაქსური წყობა დამახასიათებელია ძირითადად ქართველური ენებისათვის. კერძოდ ქართულ ენას აქვს ჰიპოტაქსი სრული ჩამოყალიბებული სახით. უკვე ძველს სალიტერატურო ქართულშიც გვაქვს წინადადების ეს ტიპი საკმაოდ განვითარებულად წარმოდგენილი.

ირკვევა, რომ ყოველი სახის დამოკიდებული წინადადება ქართულში, წარმოშობით წარმოადგენს კითხვით წინადადებას. შემაერთებელ კავშირებად ასეთ წინადადებებს მხოლოდ კითხვითი წინადადების აღმნიშვნელი საშუალებანი აქვს გამოყენებული. განსაკუთრებით კი კითხვითი ნაცვალსახელები და კითხვითი ზმნისართები, რომელთაც შემდეგში დართვიათ სათანადო ნაწილაკები — ესე, ეგე, იგი, -ცა.

დამოკიდებული წინადადების კავშირების კითხვით ნაცვალსახელური და კითხვით ზმნისართული წარმომავლობა უფრო ნათლად ჩანს ძველს ქართულში.

კითხვითი წინადადება ქართველურ ენებში წარმოდგენილია სამგვარი საშუალებით: ა) კითხვითი ნაცვალსახელით (ვინ წერს?), ან კითხვითი ზმნისართით (სად მიდის?), ბ) კითხვითი ნაწილაკით (მეგრ. ჭარუნს-ო? = წერს-ა?) და დ) კითხვითი ინტონაციით (წერს?) სამივე სახის კითხვითი წინადადება გვევლინება ქვეწყობილი წინადადების კომპონენტად.

დამოკიდებული წინადადება, კითხვითი ინტონაციის საფუძველზე, ქართულში პირობითი შინაარსისაა.

მაგ., მომცემ, დაგიბრუნებ = თუ მომცემ, დაგიბრუნებ. შდრ. რუს. тише едешь, дальше будешь. დამოკიდებულ წინადადებას ასეთ შემთხვევაში ყოველთვის პირველი ადგილი უჭირავს.

კითხვით ნაწილაკიანი დამოკიდებული წინადადება ჩანურისთვისაა დამახასიათებელი, მაგ., მეგრ. ქომუჩანქო, — დოგირთინუანქ = ქომუჩანქ-და, დოგირთინუანქ „თუ მომცემ, დაგიბრუნებ“. ასეთ შემთხვევაშიც დამოკიდებული წინადა-

დება მთავარი წინადადების წინ დგას. აქაც დამოკიდებული წინადადება, ჩვეულებრივ, პირობითობას აღნიშნავს.

როგორც ჩანს, ორივე სახის ასინდეტურ ქვეწყობილ წინადადებაში მხოლოდ ერთი გვარის, სახელდობრ, პირობითი დამოკიდებული წინადადებაა აღნიშნული. ამდენადვე, ასეთი ქვეწყობილი წინადადება შედარებით იშვიათად გვხვდება.

უფრო ტიპიურია ქართულში (და სხვა ენებშიც) კავშირიანი ჰიპოტაქსი.

ქართულში იხმარება ექვსი ძირითადი კითხვითი სიტყვა — ნაცვალსახელი და ზმნისართი: **ვინ, რა, რომელი, სად, ოდეს, თუ.** ზოგ ამათგანაა ნაწარმოები სხვა კითხვითი სიტყვები: **სადაური, როდის, როდინდელი, რამდენი, როგორი** და სხვ.

ზემოჩამოთვლილი ექვსი კითხვითი სიტყვა, მეტ შემთხვევაში ნაწილაკდართული, გამოყენებულია ქართული ქვეწყობილი წინადადების კავშირებად.

1. **ვინ**

1. ვ ი ნ - ც (ა).

ვ ი ნ ც ა იყოს უარესი, თავშიშველი სამ დღე ვლიდეს (ვეფხისტყაოსანი).

ვ ი ნ ც ქარს თესავს, ის ქარიშხალს მოიმკისო (ანდაზა).

ვ ი ს ა ც გული არა სტკივაო, იმას ცრემლი არ სცვივაო (ანდაზა).

2. ვ ი ნ ა ი თ გ ა ნ* || ვ ი ნ ა თ გ ა ნ || ვ ი ნ ა ი დ ა ნ.

ესე მესამე დღე არს, ვ ი ნ ა ი თ გ ა ნ ესე ხიქმნა (ხანმეტი ძეგლიდან).

> ვარდთა და ნეხვთა ვ ი ნ ა თ გ ა ნ მზე სწორად მოეფინების,
> დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების
> (ვეფხ. ტყაოს.).

3. ვ ი დ რ ე < ვი-დ-რე[1].

ვ ი დ რ ე ცოცხალ ვარ, გეყოფი სატირლად და სატკივარად (ვეფხ. ტყაოს.).

ვ ი დ რ ე-ს პარალელურად ძველს ქართულში გვხვდება ვ ი რ ე. ცხენსა მისცა საძოვარი, ვ ი რ ე მწვადი შეიწოდეს (ვეფხ. ტყაოს).

---

* ტექნიკური მიზეზების გამო ხმარებიდან განდევნილი ასოები არ გვაქვს გამოყენებული.

[1] Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925, § 134.

ეგევე ვიდრე || ვირე იხმარება -მდის თანდებულითაც[1].

და პყრობილ იყო იგი მუნ ჟამ[illegible] სამი წლისა, ვიდრემდის ბრძანებითა ღმრთისაითა მოკუდა აბდილა (აბოს წამება).

4. ვირემ < ვირემდის.

ვირემ მომკლავდეს, მოვკვდები, სიცოცხლე გასაწყინარდა (ვეფხ. ტყაოს.).

ვიდრე ძველ ქართულში ადგილის კითხვითი ზმნისართი იყო[2].

გვხვდება ვიდრე ძვ. ქართულში -ცა ნაწილაკითაც.

და მიხეაბლნეს დაბასა მას, ვიდრეცა მივიდოდეს (ხანმეტი ძეგლიდან).

5. ვითა.

ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოცდის დიდი რბევა,
მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,
მართ აგრეთვე მელექსესა ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა
(ვეფხ. ტყაოს.).

6. ვითარ || ვითარცა[3].

შენ უწყი, საყუარელო ჩემო, ვითარ მიყუარ (ბალავარის სიბრძნე).

და ვითარცა შემოვიდა ბალაჰვარ წინაშე იოდასაფისა, უკუნ დგა ზარდან უკუანა კერძო კრეტსაბმელისა (ბალავარის სიბრძნე).

7. ვითომც || ვითომ || ვითამ.

ერთ მშვენიერ დღეს დარეჯანს ეჩვენა, ვითომც მუცელში ყმაწვილმა გაუჩუჩუნა (ილია).

ვითომ || ვითამ ნ. მარს ასე აქვს გაანალიზებული: ვითა- (კითხვითი ნაცვალსახელი ვი- მოქმედებით ბრუნვაში) + მე ნაწილაკი[4].

შესაძლებელია ვითამ || ვითომ-ში მ -მცა ნაწილაკის შეკვეცილი სახეობა იყოს.

8. ვითარმედ.

ესე თქუთ, ვითარმედ მოწაფენი მისნი ღამე მოვიდეს და წარიპარეს იგი (ხანმ. ძეგლიდან).

---

[1] Н. Марр, Грам. древ. груз. яз., § 134.
[2] იქვე, § 134.
[3] იქვე, § 124.
[4] იქვე, § 129.

ვითარმედ კავშირი იხმარება ძველს ქართულში. აქაც ძირითადი ნაწილია კითხვითი ნაცვალსახელი ვი-, ვითა, შდრ. ვითარ (-მე ნაწილაკი? -დ?).

II. რა

1. რა-ც(ა).

რაცა იცოდა, ყველაი ჰკადრა მოშიშრად ენითა (ვეფხ. ტყაოს.).

რაც არ მერგებაო, არც შემერგებაო (ანდაზა).

კარგად იცოდა, რაც იყო ბატონის მოწონება (ილია).

2. რათა < რაითა.

...იმ ღამეს იქ დავრჩი, რათა თვალი გამეძღო მშვენიერის სანახავების ხილვითა (ილია).

შემდგომად რავდენისამე ჟამისა ევედრა ნერსე მეფესა მას ჩრდილოისასა, რაითა განუტეოს იგი მიერ ქუეყანად აფხაზეთისა (აბოს წამება).

3. რადგან || რადგანაც < რა-ითა-განა-(ცა).

რადგან ცოტათი გრილოდა, გიორგი შალში გახვეულიყო (ნინოშვილი).

მთებში დიდი დაბრკოლებაა ფოშტით მიმავალთათვის, რადგანაც სტანციებში ცხენები ხშირად აკლდებათ ხოლმე (ილია).

4. როდესაც < რა-ოდესა-ცა.

რვა წლის ვიყავი, როდესაც სოფელს მომაშორეს და ქალაქ ქუთაისში გადამიყვანეს (აკაკი).

როდესაც კავშირის გამარტივებული ვარიანტია როს(ა)-ცა და აქედან როცა[1].

როსაც ნადიმთა დასხდებიან, ჩემს სიკასკასეს ვიხმარ (საბა).

როცა სანთელმა ოთახში გააშუქა, დაინახეს, რომ იატაკზე გდია გულწასული დესპინე (ნინოშვილი).

როსაც ვარიანტს აქვს -ცა ნაწილაკმოკვეცილი სახეობაც როს.

...და როს ჰსდუმდა ბულბული, მაშინ ალმოჰხდა მთვარე (ბარათაშვილი).

როდესაც || როცა || როს კავშირის კორელატივია მაშინ.

მაშინ თორმეტის წლისა ვიყავი, როცა ბატონმა სახლს მომაშორა (ილია).

---

[1] შდრ. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, 1941, გვ. 138.

მაშინ < მას+შინა.

კორელატივი აქაც ჩვენებითი ნაცვალსახელია მა-ს.

აკად. ნ. მარს მაშინ დაკავშირებული აქვს მაშ შორისდებულთან [1].

5. რამდენი-ც(ა) < რა-ვდენი-ც(ა) < რა-ოდენი-ც(ა) [2].

...რამდენიც შევიძელი, ჩავაფუჩეჩე ლოცვა (აკაკი).

...გამრჯელობა ოსტატისა... იმოდენად პატივდებული არ არის, რამოდენადაც ღირსია (ილია).

ნ. როგორ-ც(ა) || როგორ-ი-ც(ა).

როგორ < რა-გვარ [3].

...როგორც გინდოდა, ისე მოგიწყვე საქმე (დ. კლდიაშვილი).

როგორიც ალაგია, იმისთანა ალაბია (ანდაზა).

კავშირი როგორც მისივე კორელატივით ისე გაგებულია შერწყმული წინადადების კავშირად [4]. მართლაც, მაგ., წინადადება „როგორც გუშინ, ისე დღეს არავინ მოსულა“ შერწყმული წინადადების ტოლფარდი ჩანს. კონსტრუქციით კი იგი ქვეწყობილის შეკვეცილი სახეობაა. სრული სახით სავარაუდებელია ყოფილიყო: როგორც გუშინ არავინ მოსულა, ისე დღეს არავინ მოსულა. შდრ.

როგორც ის ცხოვრობს, ისე ვიცხოვრებ,
ამ დღიდან თავზედ ხელაღებული!

(ილია).

როგორ-ც(ა) კავშირის ვარიანტია დიალექტური რავარ-ც(ა) < რა-გვარ-ცა.

ჯარები შამეესია, რავარც ბალანი თავზედა (იმერული, ს. გაჩეჩილაძის ჩანაწერი).

რა კითხვითი ნაცვალსახელი, რიგ არსებით სახელებთან შეწყობილი, იხმარება დამოკიდებული წინადადების კავშირად. ასეთია:

ა. რაჟამს < რა+ჟამს.

ხოლო რაჟამს მოვიდა ნერსე ერისთავი მეფისა მის ხაზართაისა, შეიწყნარა იგი უცხოებისათვის... (აბოს წამება).

ბ. რაწამს < რა წამს.

---

[1] Н. Марр, Грам. древ. груз. яз., § 141.

[2] იქვე, § 128.

[3] იქვე, § 127.

[4] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, გვ. 133.

დაუყვირა ნაჩალიკმა, რაწამს შეიტყო ვაჟიას მოსვლის მიზეზი (ყაზბეგი).

გ. რაზომც(ა) < რა-ზომ-ც(ა).

რაზომცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ეგრეცა ბნელია (ვეფხ. ტყაოს.).

დ. რახელც(ა) < რა-ხელ-ც(ა).

მოსულან თუშები იარაღის ასაყრელად, რახელც რჯულად ხქონივას ძველ მეომართ (ხევსურული მასალები, ბეს. გაბუურის ჩანაწერი).

რა || რაი კითხვითი ნაცვალსახელი გამოყენებულია დროის დამოკიდებული წინადადების კავშირ-ნაწილაკად. იგი უფრო ძველს ქართულში იხმარებოდა.

...და იხილა ლევი ალფესი, ჯდა რაი იგი საბაჟოსა ზედა (ჰაემტი ძეგლიდან).

ესე რაი ესმა კურაპალატსა, სირცხვილეულ იქმნა (ხანძთელის ცხოვრება).

ზოგჯერ რა მოქცეულია ზმნის ფუძესა და პრევერბს შორის.

განრაათიეს ღამე იგი და მზე აღმობრწყინდებოდა, აღდგა წმიდაი იგი (სერაპიონის ცხოვრება).

...და რა გასწორდა სასწორზე წინა,
უფალი პინას ზედ ადგამს ფეხსა.
(ილია).

რა კავშირ-ნაწილაკიანი დამოკიდებული წინადადების შემასმენელი შინაარსობლივ ემთხვევა ევროპული ენებისათვის დამახასიათებელ აბსოლუტივს.

რა-ს ახალ ქართულში დაერთვის აგრეთვე ნაწილაკი კი — რაკი.

რაკი ვლადიკავკასიდამ გამოვედი და ჩემის ქვეყნის სიომ დამკრა, გულმა სულ სხვაგვარად დამიწყო ფეთქა (ილია).

III. რომელ-ი

1. რომელ- კითხვითი ნაცვალსახელი წრფელობითი ბრუნვის ფორმით გვხვდება ძველს ქართულში დამოკიდებული წინადადების კავშირად.

აწ უბრძანე, რომელ ერთხელ ციხედ მოვიდეს (ხანძთელის ცხოვრება).

ამას ჴქადებდა, რომელ იგი არა აქუნდა ხელთა მისთა (შუშანიკის წამება).

რომელ- კავშირისაგანაა მიღებული რომე > რომ > რო.

ვეზირი გონიერი, წყნარი და სიტყვამარჯვე ხამს, ამად რომე ხელმწიფესთან მყოფს ხუთნი საქმენი უნდა სჭირდეს (საბა).

მან იცოდა, რომ ელისო, როგორც ჩეჩნის ქალი, მალე არ დამშვიდდებოდა (ყაზბეგი).

რომ იხმარება სხვადასხვაგვარი დამოკიდებული წინადადების (დამატებითის, დროის გარემოებითის, მიზეზის გარემოებითის, მიზნის გარემოებითის...) კავშირად. ამიტომ მას სხვადასხვაგვარი კორელატივი მოუდის მთავარ წინადადებაში. ასეთებია: ისე, ისეთი, ასე, მაშინ, იმიტომ || ამიტომ || მიტომ და სხვა...

ზოგჯერ ასეთი კორელატივი გადადის დამოკიდებულ წინადადებაში და ვიღებთ შედგენილ კავშირს — ისე რომ, ასე რომ, იმიტომ რომ და სხვა...

მშვენიერი საღამო იყო, ასე რომ იმ ღამეს იქ დავრჩი... (ილია) < ასე მშვენიერი საღამო იყო, რომ იმ ღამეს იქ დავრჩი...

ყურადღებას იპყრობს ამათგან ამიტომ || იმიტომ || მიტომ კორელატივი, მიღებული ამით || იმით || მით მოქმედებით ბრუნვაში დასმული ჩვენებითი ნაცვალსახელისა (resp. კორელატივისა) და რომ კავშირის შერწყმის შედეგად. ამიტომ < ამით+რომ, იმიტომ < იმით+რომ, მიტომ < მით+ +რომ.

სხვაგვარი ახსნა ამ რიგის კორელატივს არ უნდა ჰქონდეს, მიუხედავად იმისა, რომ აუხსნელი რჩება ამ შემთხვევაში თ-ს გამქვეთრების მიზეზი. კორელატივი საერთოდ შეიძლება იყოს მხოლოდ ჩვენებითი ნაცვალსახელი (ან მისგან ნაწარმოები სიტყვა). ასეთია აქ ამით || იმით || მით.

დიალექტებში იხმარება აგრეთვე მაგიტომ < მაგით-რომ.

კითხვითი ზმნისართი რატომ ნაწარმოებია ამიტომ || მიტომ-ის ანალოგიით.

საყურადღებოა იმიტომ... კორელატივის ადგილის გადანაცვლება ქვეწყობილ წინადადებაში. როგორც ითქვა, იგი მიღებულია იმით... კორელატივის მთავარი წინადადებიდან დამოკიდებულ წინადადებაში გადასვლის საფუძველზე: იმით+რომ > იმიტომ.

ჯკანასკნელში გაუჩინარდა კავშირი რომ. ამის გამო დამოკი-

დებულ წინადადებაში აღდგენილ იქნა ისევ რომ კავშირი: იმიტომ რომ. ამდენადვე, იმიტომ... კორელატივს შეუძლია ისევ მთავარ წინადადებაში გადავიდეს, ან და ისევ დამოკიდებულ წინადადებაში დარჩეს.

...იმიტომ არ მოსწონთ, რომ თერგდალეულები მართლა-და თერგდალეულები არიან... (ილია).

სხვადასხვა ბრუნვის ფორმით რომელ- კავშირი (რომელი--ც(ა), რომელსა-ც(ა) და სხვა...) იხმარება როგორც ძველს, ისე ახალს ქართულში.

და იხილა დედუფალი იგი თვისი დიდსა შინა მონაზონებასა, რომელიც იყო ასული ბაგრატ შაროელისა ხელმწიფისაი (ხანძ. ცხოვრება).

ამას თითქოს საკმაოდ არ დაენახა საერთო გოდება და მწუხარება, რომელიც ამხანაგებთან ყოველთვის მეტის სიმსუბუქით აიტანება (ყაზბეგი).

IV. ხად

სად კითხვითი ზმნისართი მიჩნეულია რა კითხვითი ნაცვალსახელის ვარიანტად[1].

1. სად.

სად მიღამდება, იქ მითენდება (ილია).

2. სადა-ც(ა).

სადაც ხეს გათლიან, ნაფოტიც იქ დაცვივა (ანდაზა).

3. სანამდის (|| სადამდის).

სანამდის წვერი გაქვს, ულვაშს ხელს ნუ ახლებ (ანდაზა).

სანამდის || სანამდე ფორმის შეკვეცილი სახეობაა სანამ.

სანამ ხმალი მოვიდოდა, ენამ სისხლი დაღვარაო (ანდაზა).

სანამ (< სანამდის || სანამდე) კავშირის კორელატივია მანამ < მანამდის || მანამდე.

სანამ წკნელი პატარაა, მანამ უნდა მოიღუნოს (ანდაზა).

ზოგჯერ მანამ კორელატივი ცვლის სანამ კავშირს.

მანამ ხმალი მოვიდოდა, ენამ თავი მოსჭრაო (ანდაზა).

როგორც ჩანს, ასეთ შემთხვევაში დამოკიდებული წინადადების კავშირად გვევლინება არა კითხვითი ნაცვალსახელი, არამედ ჩვენებითი ნაცვალსახელი (მანამ < მანამდის < მანა-მდის),

---

[1] Н. Марр, Грам. древ. груз. яз. § 124; არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942.

რაც უნდა აიხსნას მანამ კორელატივის დამოკიდებულ წინადადებაში გადატანით — მანამ სანამ.

ასეთი შედგენილი კავშირის გამარტივება მოხდა სანამ ძირითადი ელემენტის შეკვეცით: მანამ ხმალი მოვიდოდა, ენამ თავი მოსჭრაო. < მანამ სანამ ხმალი მოვიდოდა, ენამ თავი მოსჭრაო.

< სანამ ხმალი მოვიდოდა, მანამ ენამ თავი მოსჭრაო.

V. ოდეს || ოდეს-ცა.

ოდეს („როდის“) კითხვითი ზმნისართი ძველი ქართულისათვისაა დამახასიათებელი.

ეგევე ზმნისართი გამოყენებულია დამოკიდებული წინადადების კავშირად.

ოდეს ტურფა გაიაფდეს, აღარა ღირს არცა ჩირად (ვეფხ. ტყაოს.).

ოდეს მაშვრალს მოსწყურდების, მაშინ წყალი ღვინოდ ღირსო (ანდაზა).

ხოლო ნეტარმან გრიგოლ პოვა ჟამი მარჯუე, ოდესცა კურაპალატი შორს იყო (ხანძთელის ცხოვრება).

ოდეს კავშირი (resp. კითხვითი ზმნისართი) ახალ ქართულში არ იხმარება, რამდენადაც იგი შესული ჩანს შედგენილ კავშირში (resp. კითხვით ზმნისართში) რ ო დ ე ს ა-(ცა) < რა + ოდესა-(ცა)[1].

VI. თუ

თუ-ც კითხვას გამოხატავს.

ხორციელები არ იყვნენ თუ? (ილია).

ხშირად იგი ნუ ნაწილაკს დაირთავს წინ — ნუ-თუ.

ნუთუ უჩივის აწ იგი ბედსა? (ილია).

წინადადებაში თუ კითხვითი სიტყვა ჩვეულებრივ ორს საპირისპიროს, ერთიმეორის გამოსარიცხავს წევრს აერთებს.

წახვალ თუ დარჩები?

ახალ ქართულში ზოგჯერ შესუსტებულია თუ-ს კითხვითი შინაარსი. განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი ორ სახელს აერთებს.

მკვდარსა თუ ცოცხალს კბილით შესჭამდნენ (ილია).

თუ კავშირი იხმარება ქვეწყობილ წინადადებაში როგორც უნაწილაკოდ, ისე ნაწილაკიანად.

---

[1] იხ. აქვე, გვ. 25.

ჯერთცა ესე არა ვიცი, ცხადი იყო თუ მეოცნა (ვეფხ. ტყაოს.).

ყმამან ცნა, თუ გონებანი ჩქარნი ჩემთხვის დააწყნარნა (ვეფხ. ტყაოს).

უკანასკნელ წინადადებაში **თუ** თანამედროვე რომ კავშირის ფუნქციითაა ნახმარი:

ყმამან ცნა, რომ გონებანი ჩქარნი ჩემთვის დააწყნარნა.

სხვა შემთხვევაში თუ გამოხატავს პირობით დამოკიდებულ წინადადებას:

თუ ურემმა შეშა ვერ მოიტანა, თვითონ უნდა იყვეს შეშად (ანდაზა).

თუ კავშირს დაერთვის სხვადასხვა ნაწილაკი:

ძვ. ქართ. უკუეთუ < უკუე-თუ.

უკუეთუ არა მოჰვიდე შინა, ჩორდ წარგცე შენ ანუ კარად კარაულითა (შუშან. წამ.).

2. ძვ. ქართ. რამეთუ < რა-მე-თუ.

...და ჯმნულმცა ვარ მე თქუენგან ამიერითგან, რამეთუ არღარა მიხილო ცოცხალი გამოსრული ციხით (შუშან. წამ.).

3. ძვ. ქართ. თუცა (< თუ-ცა).

თუცა მართებს დედაკაცსა მამაკაცის დიდი კრძალვა,
მაგრა მეტი უარეა არა თქმა და ჰირთა მალვა
(ვეფხ. ტყაოს.).

თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია (ვეფხ. ტყაოს.).

ახალ ქართულში თუცა-ს ნაცვლად იხმარება თუმცა.

წამოვიკიდე საცოდავი ზურგზედ და, თუმცა ის ამას ჰთაკილობდა, ისე წავიყვანე (ილია).

თუ-ცა კავშირში **მ**-ს ჩართვა (თუმცა) უნდა მიეწეროს ძველი ქართულისავე თუ-მცა კავშირის გავლენას. ძველი ქართულის თუმცა შედგება **თუ** კავშირისა და **-მცა** ნაწილაკისაგან. უკანასკნელს კი თავისი სინტაქსური ძალა ჰქონდა.

ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა დედათა და მამათა ერთად ეჭამა პური (შუშან. წამ.). = როდის ყოფილა აქამდის, რომ დედაკაცებსა და მამაკაცებს ერთად ეჭამოთ პური.

5. თუ არა > თვარა || თვარე || თორემ.

წავიდა თუ არა მატარებელი, ტარიელი და მისი ამფსონები შეეიდნენ დუქანში და შეუდგნენ ქეიფს (ნინოშვილი).

გააღე კარები, თვარა ძალით შემოვამტვრევთ! (ნინოშვილი).
ერთი ბარტყი გადმომიგდე, თორემ შავ დღეს დაგაყენებ (ხალხური).

ნურც დაანახვებ შენს ჭურანს ცხენსა,
თორემ ის ბიჭი განანებს ბევრსა
(ილია).

თორემ კავშირი ამჟამად სცილდება ქვეწყობილი წინადადების ფარგლებს.

ზემომოყვანილი წინადადება (ერთი ბარტყი გადმომიგდე, თორემ შავ დღეს დაგაყენებ) ამჟამად შედგება ორი წინადადებისაგან. კონსტრუქციულად კი მეორე წინადადება ორი წინადადების კონდენსირებული სახეობაა. პირველი წინადადება — „ერთი ბარტყი გადმომიგდე“ — დამოუკიდებელი წინადადებაა, მეორე კი ქვეწყობილი წინადადებაა: თორემ (< თუ არა), ე. ი. „თუ ერთ ბარტყს არ გადმომიგდებ, შავ დღეს დაგაყენებ“.

თუმცა კავშირიანი დამოკიდებული წინადადება ზოგჯერ კორელატივის მქონეცაა. ჩვეულებრივ მაშინ, როცა დამოკიდებული უსწრებს მთავარს. კორელატივად იხმარება მაინც, რომელიც მაშინ(ა)ც ზმნისართის შ ამოვარდნილ სახეობას წარმოადგენს[1].

თუმც არა ჰქონდა მკლავებში ღონე, მაინც კი ხელი შემოუბრუნა (ილია).

უკანასკნელი ტიპის წინადადება გაერთიანებულია აგრეთვე მაპირისპირებელი მაგრამ კავშირით. ამდენადვე იგი ორმაგად რთულია: რთული ქვეწყობილი და რთული თანწყობილი (resp. შერწყმული). დამოკიდებული წინადადება ასეთ შემთხვევაში წინ უსწრებს მთავარ წინადადებას.

ოდენ თუმცაობით ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული მოსდევს მთავარს.

თავის დღეში ავის სიტყვით არ მოიხსენიებდა, თუმცა ხშირად კი სტუქსავდა (ილია).

ქვეწყობილი წინადადების ზემოაღნიშნული კავშირები (კითხვითი ნაცვალსახელები და კითხვითი ზმნისართები) გვხვდება ჩვეულებრივ -ც(ა) ნაწილაკიანად. ძველს ქართულში ამავე -ცა-ს ფუნქციითვე იხმარებოდა ეს, ეგე, იგი ნაწილაკები[2], იგივე

[1] H. Марр, Грам. древ. груз. яз., § 141.

[2] ა. შანიძე, ა. ბარამიძე, ი. აბულაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, 1934, გვ. 030.

არსებით სახელთა მსაზღვრელი ნაწევრები, ე. ი. იგივე ჩვენებითი ნაცვალსახელები, ოღონდ ბრუნვაუცვლელი სახით.

ეს ნაწილაკები (ესე, ეგე, იგი) ორივე ფუნქციით დაკარგული ჩანს ნაწილობრივ საშუალო ქართულსა, ხოლო მთლიანად ახალ ქართულში.

-ცა ნაწილაკი კი განმტკიცდა ქვეწყობილი წინადადების კავშირებთან.

ეგევე -ცა სხვა შემთხვევაში იხმარება აგრეთვე-ს მნიშვნელობითაც.

მოვიდა ივანე-ცა = მოვიდა აგრეთვე ივანე.

-ცა ნაწილაკიც ჩვენებითი ნაცვალსახელის ერთერთი სახეობა უნდა იყოს.

ზანურში ქართული -ცა („აგრეთვე“) ნაწილაკის მნიშვნელობით იხმარება -თი ნაწილაკი. ჭან. ჯუმა-თი = მეგრ. ჯიმა-თი = = ძმა-ც(ა). ქართული -ც(ა) და ზან. -თ(ი) ნაწილაკები. არნ. ჩიქობავას საერთო მასალად აქვს მიჩნეული: -ც(ა) < < -თ(ი)[1]. მეგრულში ეგევე-თი ნაწილაკი დაერთვის დამოკიდებული წინადადების კავშირსაც, კითხვით ნაცვალსახელს (ზმნისართს) აქცევს მიმართებით ნაცვალსახელად (ზმნისართად). მეგრ. ნამუ-თი = რომელი-ცა; მეგრ. ნამუ = რომელი; მეგრ. სოდე-თი = სადაცა; მეგრ. სოდე = სად(ა) და სხვა...

ეგევე-თი მეგრულში ჩვენებითი ნაცვალსახელია: თი კოჩი „ის კაცი“, თი-ს „მას“, თი-ჭ „მან“...

თი-ში ი გამოიყოფა ადგილის ჩვენების გამოსახატავად: თი < < თ-ინა, „ის“, შდრ. ინა „ის“. თი-ს გარდა მეგრულში იხმარება თე („ეს“) < თ-ენა „ეს“. შდრ. ენა „ეს“. ამგვარად, მეგრულში დამოკიდებული წინადადების კავშირს (კითხვით სიტყვას), ისე როგორც ძველს ქართულში, დართული აქვს ჩვენებითი ნაცვალსახელი თი. მეგრ. ნამუ-თი = ძვ. ქართ. რომელი იგი, მეგრ. სოდე-თი = ძვ. ქართ. სადა იგი და სხვა...

ქართული ნაწილაკი -ცა < *-თა იგივე ჩვენებითი ნაცვალსახელი უნდა ყოფილიყო, საიდაც ა ისეთივე ელემენტი უნდა იყოს, როგორიცაა მეგრულ თი-ში ი, ე. ი. ადგილის ჩვენება. შდრ. ა- ნაცვალსახელში ამა-ს. ცა < *თ-ა უნდა ყოფილიყო ეს.

---

[1] არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 67.

ამგვარად, დამოკიდებული წინადადების კავშირთა ნაწილაკებად ქართულსა და მეგრულში გამოყენებული ყოფილა ჩვენებითი ნაცვალსახელები — ესე, ეგე, იგი, ცა (< *თა), მეგრ. თი „ის“. ჩვენებითივე ნაცვალსახელი იხმარება იმავ ქვეწყობილ წინადადებაში კავშირთა კორელატივებად.

ვფიქრობთ, რომ ქართულში დამოკიდებულ წინადადებათა კავშირებზე ჩვენებითი ნაცვალსახელების დართვა (რომელი იგი, შდრ. მეგრ. ნამუ თი = რომელი იგი) უნდა იყოს გამოწვეული მთავარი წინადადების მისამართ წევრთან მიმართების გასაძლიერებლად. ამიტომ ყველაზე უფრო ადრე იგი განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადების კავშირს უნდა დართოდა.

ვნახე ის კაცი, რომელი იგი (კაცი) ქალაქში მიდიოდა. შდრ. მეგრ. ქობძირი თი კოჩი, ნამუ-თი ქალაქიშა მიიშუნი „ვნახე ის კაცი, რომელი-ც(ა) ქალაქში მიდიოდა“.

ამგვარად, მოტანილი მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ ქართული ჰიპოტაქსი თავისი კონსტრუქციით არსებითად ემთხვევა რუსულ ჰიპოტაქსს. ორსავე ენაში დამოკიდებულ წინადადებას საფუძვლად უდევს კითხვითი წინადადება. კითხვითი ნაცვალსახელები და კითხვითი ზმნისართები გამოყენებულია დამოკიდებული წინადადების კავშირებად. კავშირთა კორელატივებიც ორსავე ენაში ჩვენებითი ნაცვალსახელია. ეს სურათი უფრო ნათლად ჩანს ძველს ქართულში.

ქართული ჰიპოტაქსის კავშირთა თავისებურებაა მათი ნაწილაკდართული სახეობა — რომელი-იგი, რომელი-ცა და სხვა...

-ცა ნაწილაკიც ჩვენებითი ნაცვალსახელისაგან უნდა მომდინარეობდეს.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1948.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, т. VIII, 1948.

თამარ ახვლედიანი

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა დისერტაციები

(სადოქტორო და საკანდიდატო)

ბიბლიოგრაფია

ჩვენ შევეცადეთ ამ ბიბლიოგრაფიაში შეგვეტანა ყველა დისერტაცია, რომლებიც მეცნიერ მუშაკებმა დაიცვეს ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის არსებობის 15 წლის მანძილზე (1933-1948). ამის გამო დიდი სამამულო ომის პერიოდში დაცული დისერტაციებიც, აღწერილი ჩვენ მიერ („ქუთაისის პედინსტიტუტი საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის წლებში" — პედინსტიტუტის შრომები, 1947, ტ. VII), მოვათავსეთ ამ შრომაში.

ბიბლიოგრაფიული აღწერილობა მოვახდინეთ de visu. დისერტაციის დაწერის წელი და ადგილი მითითებულია ყველგან, სადაც ეს აღნიშნული იყო შრომების თავფურცლებში, მაგრამ ზოგჯერ ამის შესაძლებლობა არ მოგვეცა ამ ცნობების უქონლობის გამო. ამასთანავე მცირე ნაწილი დისერტაციებისა (3) ჩვენ ხელთ არ იყო და მისი აღწერილობა მოვახდინეთ თვით დისერტანტთა მიერ წარმოდგენილი წერილობითი ცნობით (ანკეტით).

ბიბლიოგრაფია შედგება ორი ნაწილისაგან: ავტორთა გვარები თითოეულ ნაწილში განლაგებულია ქართული ანბანის რიგზე (პირველად დოქტორები, შემდეგ კანდიდატები). პირველ ნაწილში დასახელებულია დისერტაციები, რომლებიც წარდგენილი იყო დასაცავად ჩვენს ინსტიტუტში ძირითადად მომუშავე მეცნიერ მუშაკთა

მიერ (ამავე ინსტიტუტის სახელით), მეორე ნაწილში კი — დისერტაციები იმ მეცნიერ მუშაკთა, რომელნიც მუშაობდნენ ან დღესაც მუშაობენ სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებაში და ქუთაისის პედინსტიტუტში.

ყოველი დისერტაციის აღწერილობის შენიშვნაში შევიტანეთ შემდეგი ცნობები: დისერტაციის დამტკიცების თარიღი (იმ შემთხვევაში, როდესაც დისერტაცია ზემდგომი ორგანოებისაგან ჯერ კიდევ დამტკიცებული არ არის, მითითებულია მხოლოდ დაცვის თარიღი), ოპონენტები, დაცვის ადგილი, სად ინახება დისერტაცია და პრესაში გამოქვეყნებული სტატიები დისერტაციის დაცვის შესახებ.

ის დისერტაციები, რომელთა ადგილსამყოფელი არ გვაქვს აღნიშნული, დისერტანტთა ხელთ იმყოფება.

დისერტაციის უმრავლესობა ხელთნაწერის სახითაა, ხოლო დაბეჭდილ დისერტაციას რიგითი ნომრის წინ დასმული აქვს *.

ბიბლიოგრაფიას დავურთეთ საძიებლები სამეცნიერო ხარისხებისა და დარგების მიხედვით, ორგანიზაციებისა, სადაც დაცულია დისერტაციები და ქრონოლოგიური.

ბიბლიოგრაფიის შედგენაში სისტემატური კონსულტაციით დიდი დახმარება გაგვიწიეს ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის რესპუბლიკური სამეცნიერო მეთოდკაბინეტის მეთოდისტმა დ. ნ. მარკევიჩმა და საქ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. გ. ლორთქიფანიძემ, რისთვისაც მათ უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

I

1. **ბოჭორიშვილი, ა. თ.** პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი. ფსიქოლოგიის საგანი. [ქუთაისი]. 675, 1 გვ.

ბიბლიოგრ. სქოლიოში ქართულ, რუსულ და უცხოურ ენაზე.

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: უზნაძე, დ. ნ., ბაქრაძე, კ. ს. და თავზიშვილი, გ. ი. 1939 წ. 20. VI. დამტკიცდა 1941 წ. 27. IX.

მის შესახებ: ამხ. ა. ბოჭორიშვილი — პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (ინდ. ქუთაისი, 1939, № 145, 27. VI, გვ. 4).

2. **აბრამიძე, შ. ვ.** ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი. ანაბაპტისტების მმართველობა მიუნსტერში 1534-35 წლებში. ქუთაისი. 1943. 160 გვ.

ბიბლიოგრ.: „გამოყენებული ლიტ-რა" გვ. 155-159. (67 სახელწ., აქედან 56 რუსულ ენაზე და 8 უცხოურ ენაზე).

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: ნათაძე, გ. ი. და ნამორაძე, ა. გ. დამტკიცდა 1945 წ. 15. I. ინახება სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტის ბ-კაში.

მის შესახებ: ალავიძე მ. შალვა ვიქტორის-ძე აბრამიძე — ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი (ინდ. ქუთაისი, 1944, № 249, 19. XII, გვ. 2).

3. **ბრეგაძე, დ. დ.** ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. რუსთველის გავლენა აღორძინების და გარდამავალი ხანის ლიტერატურაზე. [ქუთაისი]. 1947. 217 გვ.

ბიბლიოგრ.: „გამოყენებული ლიტ-რა" ხელნაწერები გვ. 213-216 (66 სახელწ., აქედან 3 რუსულ ენაზე).

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: კეკელიძე, კ. ს. და იორდანიშვილი, ს. დამტკიცდა 1948 წ. 3. V. ინახება სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტის ბ-კაში.

მის შესახებ: ალავიძე მ. დ. დ. ბრეგაძე — ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი (ინდ. ქუთაისი, 1948, № 79, 23. IV, გვ. 2).

4. **ბულეიშვილი, დ. ა.** გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. Характер и происхождение Сарматской фауны. [М]. [1941]. 141 стр.

Библиогр.: (99 назв; из них 3 на иностр. яз.).

დაიცვა ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: დავითაშვილი, ლ. შ. და მენნერი, ვ. ვ. დამტკიცდა 1941 წ. 30. VI. ინახება ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახ. უნ-ტის ნიადაგთმცოდნეობა-გეოლოგიის ფაკულტეტის ბ-კაში.

5. **გაბრიაძე, დ. მ.** ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი. Диметилциклопентилкарбинол и его превращения. М. 1941. 79 стр.

Библиогр.: „лит-ра" стр. 76-79 (85 назв., из них 45 на иностр. яз.).

დაიცვა ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: ლევინა, რ. ი. და ზაბროდინა, ა. ს. დამტკიცდა 1941 წ. 30. VI. ინახება ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახ. უნ-ტში.

6. **გობეჯიშვილი, მ. ს.** ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. მეზონის ერთფოტონიანი დაშლა სკალარული თეორიის მიხედვით. თბ. 1947. 35 გვ.

ბიბლიოგრ.: დისერტაციის ბოლოს. (24 სახელწ., აქედან 2 რუსულ ენაზე, 22 უცხოურ ენაზე).

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: მამასახლისოვი, ვ. ი. და პოლიევქტოვ-ნიკოლაძე, ნ. მ. დამტკიცდა 1948 წ. 9. II. ინახება სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტის ბ-კაში.

მის შესახებ: ალავიძე მ. მ.ს. გობეჯიშვილი — ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი (ინდ. ქუთაისი, 1948, № 4. 6. l, გვ. 2).

7. **გოშხეთელიანი, ი. ს.** биологиურ მეცნიერებათა კანდიდატი. Влияние старения и высокой температуры на оплодотворяющую способность сперматозоидов Lebistes reticulatus. М. 1941. 90, 7 стр. с табл. и рис.

Библиогр.: „лит-ра" стр. 1-6. (48 назв., из них 27 на иностр. яз.).

დაიცვა ლენინის სახელობის მოსკოვის სახ. პედაგოგიურ ინს-ტში. ოპონენტები: ვერმელი, ე. მ. და ბლიახერი, ლ. ი. დამტკიცდა 1941 წ. 12. V. ინახება ლენინის სახელობის მოსკოვის სახ. პედაგოგიურ ინს-ტში.

8. გოცირიძე, ა. შ. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. Исследование пессимального и оптимального эффектов мышц при разных условиях ее деятельности. Кутаиси. Мединститут им. А. Цулукидзе. 1943. 79 стр. с рис.

Библиогр.: „лит-ра" стр. 70-77. (71 назв., из них 10 на иностр. яз.).

დაიცვა ერევნის სამედიცინო ინს-ტში. ოპონენტები: შჩერბაკოვი და მუშეგიანი. დამტკიცდა 1943 წ. 8. VI. ინახება ერევნის სამედიცინო ინს-ტში.

9. დევდარიანი, გ. ს. გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. ოდიშის ბორცვიანი რაიონის გეომორფოლოგიური ნარკვევი. ქუთაისი. 1947, 3, 145 გვ. ნახაზ.

ბიბლიოგრ.: გვ. 139-145 (48 სახელწ., აქედან 27 რუსულ ენაზე, 3 უცხოურ ენაზე).

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: ჯავახიშვილი, ა. ნ. და ყიფიანი, შ. დამტკიცდა 1947 წ. 7. VII. ინახება სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტის ბ-კაში.

მის შესახებ: ალავიძე მ. გ. ს. დევდარიანი — გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი (ინდ. ქუთაისი, 1947, № 117, 22. VI, გვ. 2).

10. კარსანიძე, ს. დ. ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი. საქართველოს გუმბრინის მრეწველობა, მისი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეში და განვითარების პერსპექტივები. ქუთაისი. 1945. 178 გვ.

ბიბლიოგრ.: გვ. 174-178. (82 სახელწ., აქედან 31 რუსულ ენაზე, 1 უკრ. ენაზე).

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: თვალჭრელიძე, ა. ა., გუგუშვილი, ჰ. ბ. და ბაჯაძე, ი. ს. დამტკიცდა 1946 წ. 13. V. ინახება სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტის ბ-კაში.

მის შესახებ: ალავიძე მ. ს. დ. კარსანიძე — ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი (ინდ. ქუთაისი, 1946, № 67, 2. IV, გვ. 2).

11. კვანტრე, ჭ. ვ. ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. ალექსი ვასილის-ძე კოლცოვის ენა. ქუთაისი. 1945. 164 გვ.

ბიბლიოგრ.: გვ. 3-5. (34 სახელწ., აქედან 25 რუსულ ენაზე).

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: ახვლედიანი, გ. ს. და მგელაძე, დ. ს. დამტკიცდა 1946 წ. 23. I. ინახება საქ. სსრ მეცნ. აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინს-ტში.

მის შესახებ: ალავიძე მ. ქ. ვ. კვანტრე — ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი (ინდ. ქუთაისი, 1945, № 257, 30. XII, გვ. 2).

12. კვირიკაძე, გ. ხ. ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი. საქართველოს ბარიტის მრეწველობა და მისი განვითარების მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეში. ქუთაისი. პედინსტიტუტი. 1942. 204, 10 გვ.; 16 ჩართ. ფურც. ილ. და რუქ.

ბიბლიოგრ.: „ლიტ-რა" გვ. 196-204. (109 სახელწ., აქედან 102 რუსულ ენაზე, 3 უცხოურ ენაზე).

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: ათაბეგოვი, ტ. ნ. და მიქელაძე, ი. ს. დამტკიცდა 1942 წ. 11. VI. ინახება სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტის ბ-კაში.

მის შესახებ: სამხარაძე გ. გ. ს. კვირიკაძე — ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი (ინდ. ქუთაისი, 1942, № 159, 5. VII, გვ. 2).

13. კიზირია, ა. ი. ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. მართვა-შეთანხმების საკითხები ძველს ქართულში ჯრუჭის ოთხთავის მიხედვით. [თბ.]. 1940. 101 გვ.

ბიბლიოგრ.: „ლიტ-რა" გვ. 95-99. (68 სახელწ., აქედან 19 რუსულ ენაზე, 1 უცხოურ ენაზე).

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: შანიძე, ა. გ. და თოფურია, ვ. ტ. დამტკიცდა 1941 წ. 2. X. ინახება სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტის ბ-კაში.

14. კილაძე, ვ. ს. ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი. შემეცნების თეორია ფეიერბახის ფილოსოფიაში. [ქუთაისი]. 1941. 122 გვ.

ბიბლიოგრ.: „ლიტ-რა" გვ. 120-122. (50 სახელწ., აქედან 31 რუსულ ენაზე).

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: ბაქრაძე, კ. ს. დამტკიცდა 1941 წ. 2. X. ინახება სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტის ბ-კაში.

15. კოკოჩაშვილი, გ. ვ. ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. Моллюски Западной Грузии и их распределение по ландшафтным зонам. Кутаиси. 1940. 395 стр. с рис., 1 л. атлас с 117 карт.

Отдельно прилож.: Систематический список моллюсков Западной Грузии с их распределением по главным ландшафтным зонам. № 1-8.

Библиогр.: стр. 349-359 (128 назв., из них 6 на груз. яз., 82 на иностр. яз.).

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: კალანდაძე, ლ. პ.; ნიკიტინი, ვ. ნ. და როსტომბეგოვი ვ. ნ. დამტკიცდა 1941 წ. 2. X. ინახება სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტის ბ-კაში.

მის შესახებ: რამიშვილი ზ. გ. ვ. კოკოჩაშვილი — ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი (ინდ. ქუთაისი, 1941, № 112, 15. V, გვ. 4); ჭელიძე გ. ღირსშესანიშნავი მეცნიერული ნაშრომი (კომუნისტი, 1941, № 144, 21. VI, გვ. 4).

16. კუბლაშვილი, ი. ი. ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი. აბსოლუტიზმი და 1908 წლის რევოლუცია თურქეთში. [ქუთაისი]. 1946. 1, 172, 7 გვ.

ბიბლიოგრ.: გვ. 1-6. (63 სახელწ., აქედან 52 რუსულ ენაზე, 11 უცხოურ ენაზე).

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: ნამორაძე, ა. გ. და დონაძე, ვ. გ. დამტკიცდა 1946 წ. 30. XII. ინახება სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტის ბ-კაში.

მის შესახებ: ალავიძე მ. ი. კუბლაშვილი — ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი (ინდ. ქუთაისი, 1946, № 129, 30. VI, გვ. 2).

17. მარუაშვილი, ლ. ი. გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. Карст обломочных пород, его геоморфологическая характеристика в свете общего карстоведения на примере центральной Мегрелии (Западная Грузия). М. 1947. 80 стр., 3 л. карт., схем и диагр.

Библиогр.: стр. 76-80. (44 назв., из них 3 на груз. яз.).

დაიცვა ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: შჩუკინი, ი. ს. და გვოზდეცკი, ნ. ა. დამტკიცდა 1947 წ. 30 VI. ინახება ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახ. უნ-ტში.

მის შესახებ: ალავიძე მ. ლ. ი. მარუაშვილი — გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი (ინდ. ქუთაისი, 1947, № 122, 29, VI, გვ. 2).

18. **მესხი, გ. ლ.** ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. О репаративной регенерации слизистой оболочки кишек. (Регенерация кишечных ран после ожога). 56, 6 стр. с рис.

Библиогр.: стр. 1-6. (63 назв., из них 43 на иностр. яз.).

დაიცვა ს. კიროვის სახელობის ბაქოს სახ. უნ-ტში. ოპონენტები: კარაევი, ა. ი., გერცენბერგი, კოლესნიკოვი, მ. და ბარონი. დამტკიცდა 1943 წ. 10. VI. ინახება ს. კიროვის სახელობის ბაქოს სახ. უნ-ტში.

* 19. **მეცხვარიშვილი, ი. გ.** მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. О предельных решениях уравнения гиперболического типа с переменными коэфициентами в случае двух независимых переменных. (თბილისის მათემატიკური ინს-ტის შრომები. Труды Тбил. математического ин-та, 1938, IV, стр. 163-224 с рис.,— Резюме на иностр. яз., Библиогр. в подстроч. примечаниях).

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: ლავრენტიევი, მ. ა. და გოკიელი, ლ. პ. დამტკიცდა 1938 წ. 23. VI.

20. **მეძველია, კ. ნ.** ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. „ცისკრის“ მწერლები. ქუთაისი. 1937, 262 გვ. ბიბლიოგრ. სქოლიოში.

დაიცვა ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახ. პედაგოგიურ ინს-ტში. ოპონენტები: კეკელიძე, კ. ს. და ზანდუკელი შ. ზ. დამტკიცდა 1937 წ. 5. III. ინახება ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახ. პედაგოგიურ ინს-ტის ბ-კაში.

მის შესახებ: ამხ. კ. მეძველია — ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი (სტალინელი, 1937, № 140, 21. VI, გვ. 4).

* 21. **როგავა, გ. ბ.** ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. პოლიპერსონალიზმი ქვემო-ადიღეური ენის ზმნე-

ბში. (აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინს-ტის მოამბე. Известия ин-та языка, истории и материальной культуры им. акад. Н. Я. Марра. 1942, ტ. XII, გვ. 85-133. — რეზიუმე რუსულ ენაზე. ბიბლიოგრ. სქოლიოში ქართულ, რუსულ და უცხოურ ენაზე).

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: ჯანაშია, ს. ნ. და ჩიქობავა, ა. ს. დამტკიცდა 1939 წ. 28. IV.

მის შესახებ: ალავიძე მ. გიორგი როგავა — ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი (ინდ. ქუთაისი, 1939, № 20, 26. I, გვ. 3); ლ. ა. გ. როგავა — ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. (ახ. კომუნისტი, 1939, № 2, 3. I, გვ. 4).

22. **სამხარაძე, გ. ა.** ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. ი. ბ. სტალინი ქართულ ხალხურ პოეზიაში. წიგ. I-II. ქუთაისი. ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახ. პედინსტიტუტი. 1940. 675 გვ.

ბიბლიოგრ.: გვ. 665-676. (245 სახელწ., აქედან 143 რუს. ენ.).

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: ჩიქოვანი, მ. ი. და სიხარულიძე, ქ. დამტკიცდა 1941 წ. 2. X. ინახება სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტის ბ-კაში.

მის შესახებ: გ. ა. სამხარაძე — ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი (ინდ. ქუთაისი, 1941, № 140, 17. VI, გვ. 4).

23. **სანიკიძე, ქ. ა.** ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. დავით რექტორი (1745-1824). ნარკვევი. ქუთაისი, 1943, II, 118, 1 გვ.

ბიბლიოგრ.: გვ. 111-118. (92 სახელწ., აქედან 17 რუსულ ენაზე, 3 უცხოურ ენაზე).

დაიცვა საქ. სსრ მეცნ. აკად. რუსთაველის სახელობის ლიტერატურათმცოდნეობის ინს-ტში. ოპონენტები: ბარამიძე, ა. გ. და ბერიძე, ვ. მ. დამტკიცდა 1944 წ. 31. III. ინახება საქ. სსრ მეცნ. აკად. რუსთაველის სახელობის ლიტერატურათმცოდნეობის ინს-ტის ბ-კაში.

მის შესახებ: სამხარაძე გ. ქეთევან ალექსანდრეს ასული სანიკიძე — ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი (ინდ. ქუთაისი, 1944, № 69, 7. IV, გვ. 2).

24. **Соколов, М. И.** Филологическому методологии фольклора. Очерки исторической методологии фольклора. 1. Исследование Былины о Дунае. 2. Старинный Воинский фольклор. Кутаиси. Пединститут им. А. Цулукидзе. 2, 81, 1 стр.

Библиогр. в конце диссертации.

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: დანელია, ს. ი. და ილინსკი, ნ. ა. დამტკიცდა 1946 წ. 11. III. ინახება სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტის ბ-კაში.

25. **Сулава, Г. А.** Физика-математическому методологии Ширина мультиплетных спектральных линии в однородном газе. М. 1941. 1, 55 стр. с рис.

Библиогр.: стр. 54-55. (29 назв., из них 24 на иностр. яз.).

დაიცვა ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: ბლოხინცევი, დ. ი. და ვლასოვი, ა. ა. დამტკიცდა 1941 წ. 21. VII. ინახება ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახ. უნ-ტის ფიზიკის საკვლევო ინს-ტში.

26. **უჩანეიშვილი, დ. თ.** Историческому методологии Экономическое состояние Восточной Грузии во второй половине 18-го века. 98 стр.

Библиогр. в подстроч. примечаниях на рус. и груз. яз.

დაიცვა მოლოტოვის სახელობის ერევნის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: მელიქსეთბეგი, ლ. მ. და ერემიანი, ს. დამტკიცდა 1944 წ. 27. VI. ინახება მოლოტოვის სახელობის ერევნის სახ. უნ-ტში.

27. **ქორიძე, შ. ი.** Экономическому методологии Капиталистурი წარმოების გეოგრაფიული განლაგების თავისებურებათა საკითხვისათვის. თბ. 1947. 2, 370 გვ.

ბიბლიოგრ.: გვ. 346-370. (299 სახელწ., აქედან 269 რუსულ ენაზე).

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: გეხტმანი, გ. და მიქელაძე, ირ. დამტკიცდა 1948 წ. 31. V. ინახება სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტის ბ-კაში.

მის შესახებ: ალავიძე მ. შ. ი. ქორიძე — ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი (ინდ. ქუთაისი, 1948, № 88, 4. V, გვ. 2).

28. **ქუთათელაძე, ნ. ნ.** ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. Анакреонтизм в русской литературе 18-го века. [Кутаиси]. 1940. 122 стр.

Библиогр.: в подстроч. примечаниях на рус. и иностр. яз.

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: ილინსკი, ნ. ა. და ბერაძე, პ. დამტკიცდა 1940 წ. 28. XI. ინახება სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტის ბ-კაში.

მის შესახებ: ნ. ნ. ქუთათელაძე — ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი (ინდ. ქუთაისი, 1940, № 275, 27. XI, გვ. 4).

29. **შენგელია, ნ. ა.** ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი. დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილება XVII-XVIII საუკუნეებში. [ქუთაისი]. 1937. 1, 136, 3 გვ,

ბიბლიოგრ. დისერტაციის ბოლოს. (26 სახელწ., აქედან 6 რუსულ ენაზე).

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: ჯანაშია, ს. ნ. და ბერძენიშვილი, ნ. ა. დამტკიცდა 1939 წ. 28. VI. ინახება სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტის ბ-კაში.

მის შესახებ: ნიკოლოზ შენგელია — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი (ინდ. ქუთაისი, 1939, № 143, 24. VI, გვ. 4); თურნავა ს., დისერტაციის დაცვა (საბჭოთა მასწავლებელი, 1939, № 56, 27. VI, გვ. 3).

* 30. **ყიფშიძე, დ. ს.** პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. პედაგოგიკის საგანი. თბ. სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტის გამ-ბა და სტ. 1941. [209]. გვ. ცალკ. პაგ.

ბიბლიოგრ. თითოეული თავის ბოლოს.

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: ბაქრაძე, კ. ს. და თავზიშვილი, გ. ი. დამტკიცდა 1947. 25. III.

მის შესახებ: დისერტაციის დაცვა (სახ. განათლება, 1947, № 8, 20. II, გვ. 4).

31. **ჩხარტიშვილი, შ. ნ.** პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. განწყობის ფსიქოლოგიის თეორიული საფუძვლები. ქუთაისი. 1940. 192 გვ.

ბიბლიოგრ.: გვ. 189-191. (61 სახელწ., აქედან 33 რუსულ ენაზე, 4 უცხოურ ენაზე).

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: ბოჭორიშვილი, ა. თ. და ხაჭაპურიძე, ბ. ი. დამტკიცდა 1941 წ. 17. V. ინახება სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტის ბ-კაში.

მის შესახებ: სამხარაძე გ. ფოფხაძე ვ. შ. ნ. ჩხარტიშვილი — პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი (ინდ. ქუთაისი, 1941, № 111, 14. V, გვ. 1).

32. ჭანიშვილი, კ. ტ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი. Влияние изменения физико-химических свойств субтропических почв на физиологическое развитие цитрусов. 360 стр.

Библиогр.: стр. 355-360. (48 назв.).

დაიცვა ტიმირიაზევის სახელობის მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში. ოპონენტები: ბუტკევიჩი, ვ. ს., პოტაპოვი, ა. პ. და ვილიამსი, ვ. რ. დამტკიცდა 1938 წ. 15. XII. ინახება ტიმირიაზევის სახელობის მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში; ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახ. პედაგოგიურ ინს-ტის ბ-კაში.

მის შესახებ: ჩიკვაიძე ზ. კ. ტ. ჭანიშვილი — სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა კანდიდატი (ინდ. ქუთაისი, 1939, № 39, 17. II, გვ. 4).

33. ჰელიძე, გ. ფ. გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. გურიის ქვედა და შუა პლიოცენის ფაუნა. თბ. 1944. 1, 238 გვ., 19 ჩართ. ფურც. ტაბ.

ბიბლიოგრ.: „ლიტ-რა“ გვ. 230-238. (84 სახელწ., აქედან 75 რუსულ ენაზე, 9 უცხოურ ენაზე).

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: დავითაშვილი, ლ. შ. და კაჭარავა, ი. ბ. დამტკიცდა 1944 წ. 17. VII. ინახება სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტის ბ-კაში.

მის შესახებ: სამხარაძე გ. გ. ფ. ჰელიძე — გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი (ინდ. ქუთაისი, № 196, 4. X, გვ. 2).

34. ჰელიძე, ლ. ა. ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი. Исследование взаимной системы $Cu_2Cl_2 + Ag_2S \rightleftarrows Ag_2Cl_2 + Cu_2S$ методамы термического анализа и микрост, уктуры. М. 1937. 90 стр. с табл. и диагр.

Библиогр.: стр. 90. (21 назв., из них 8 на иностр. яз.).

დაიცვა სსრკ მეცნ. აკადემიის მოსკოვის არაორგანული და ზოგადი ქიმიის ინს-ტში. ოპონენტები: პოგოდინი, ს. ა. და ლუჩაია, ნ. პ. დამტკიცდა 1938 წ. 20. XII. ინახება სსრკ მეცნ. აკადემიის მოსკოვის არაორგანული და ზოგადი ქიმიის ინსტში; ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახ. პედაგოგიურ ინს-ტის ბ-კაში.

მის შესახებ: მ. ა. ლუკა ჰელიძე — ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი (ინდ. ქუთაისი, 1939, № 26, 2. II, გვ. 4).

* 35. ხაჟალია, გ. ი. ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. К теории конформных отображений двусвязных областей. (თბილისის მათემატიკური ინს-ტის შრომები. Труды Тбил. математического ин-та, 1938, IV, стр. 123-134. — Резюме на иностр. яз. Библиогр. в подстроч. примечаниях).

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: გოკიელი, ლ. პ. და ლავრენტიევი, მ. ა. დამტკიცდა 1938 წ. 23. VI.

მის შესახებ: გრუზინსკი შ. კომკავშირელი დოცენტი (ინდ. ქუთაისი, 1938, № 127, 29. X, გვ. 2).

36. ხოჯევანიშვილი, ს. ი. ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. Сравнительная экология моллюсков суши Южного Казахстана и Западной Грузии. [М.]. 119 стр.

Библиогр. в конце диссертации. 28 назв., из них 2 на груз. яз., 11 на иностр. яз.).

დაიცვა ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: ალპატოვი, ვ. ვ. და სკვარცოვი, ა. ა. დამტკიცდა 1941 წ. 30. VI. ინახება ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახ. უნ-ტში.

* 37. ჯიბლაძე, გ. ნ. ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. პრობლემა ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერებისა. თბ. ფედერაცია. 1940. 171 გვ.

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: ზანდუკელი, მ. ზ. დამტკიცდა 1939 წ.

მის შესახებ: გ. ნ. ჯიბლაძე — ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი (ინდ. ქუთაისი, 1939, № 131, 10. VI, გვ. 4); გ. ჯიბლაძე — ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი (ახ. კომუნისტი, 1939, № 130, 9. VI, გვ- 4).

II

38. **თავზიშვილი, გ. ი.** პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი. სახალხო განათლებისა და პედაგოგიკის ისტორია საქართველოში. II. სახალხო განათლება და პედაგოგიკა XIX ს. პირველ ნახევარსა და 60-იან წლებში. თბ. 1946. 1, 428 გვ.

ბიბლიოგრ.: გვ. 424-428. (108 სახელწ., აქედან 63 რუსულ ენაზე, 3 უცხოურ ენაზე)[1].

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: უზნაძე, დ. ნ., ნუცუბიძე, შ. ი. და კომაროვსკი, ბ. ბ. 1946. 9. XII. დამტკიცდა 1948 წ. 17. IV. ინახება სტალინის სახ. თბილისის სახ. უნ-ტის ბ-კაში.

მის შესახებ: დისერტაციის დაცვა (სახ. განათლება, 1946, № 53, 12. XII, გვ. 1).

39. **ცინცაძე, ი. ზ.** ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. (X-XV სს.). [თბ.]. 1947. 1. 305 გვ.

ბიბლიოგრ.: გვ. 300-305. (100 სახელწ., აქედან 60 რუსულ ენაზე, 10 უცხოურ ენაზე).

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: ყაუხჩიშვილი, ს. გ., მელიქსეთბეგი, ლ. მ., ბერძენიშვილი, ნ. ა. და ხაჭაპურიძე, გ. ვ. 1947 წ. 17. IV. ინახება სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტის ბ-კაში.

---

[1] დისერტაციას 1948 წ. გამოაქვეყნებს სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტი.

40. **ბახტაძე, ვ. ს.** ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი. ანტიკური წარმოების წესი. თბ. 1938. II. 250 გვ., 5 ჩართ. ფურც. რუქ.

ბიბლიოგრ.: გვ. 241-250. (94 სახელწ. რუსულ ენაზე).

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: ქოიავა, ნ. ნ. და გეხტმანი, გ. ნ. დამტკიცდა 1939 წ. 23. III. ინახება სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტის ბ-კაში.

* 41. **ბეგიაშვილი, ა. ი.** მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. Решение задачи давления системы жестких профилей на прямолинейную границу упругой полуплоскости. (Представлено акад. Н. И. Мусхелишвили 18. III. 1940). (Доклады Академии Наук СССР. Новая серия. 1940, т. XXVII, № 9, стр. 914-916. Библиогр.: „цитир. лит-ра" в конце текста).

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: მუსხელიშვილი, ნ. ი. და ვეკუა, ი. ნ. დამტკიცდა 1938 წ. 1. VII.

42. **გორგაძე, ა. ვ.** პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. თვალსაჩინოება სამოქალაქო ისტორიის სწავლებაში. თბ. 1940. 213, 6 გვ.

ბიბლიოგრ.: გვ. 2-6. (71 სახელწ.; აქედან 57 რუსულ ენაზე).

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: ნათაძე, გ. ი. და ლორთქიფანიძე, დ. დამტკიცდა 1940 წ. 16. IX. ინახება სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტის ბ-კაში.

43. **იოსელიანი, ა. პ.** ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი. იესე ოსეს-ძე ბარათაშვილის ლიტერატურული შემოქმედება, სამოხელეო-პოლიტიკური მოღვაწეობა და მეურნეობა. თბ. 1940. L. 490 გვ.

დანართი: I. მოგზაურობის დღიურები და მასალები IX, 70 გვ. ილ.; II. საარქივო საბუთები. 91 გვ.

ბიბლიოგრ. სქოლიოში.

დაიცვა საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინს-ტში. ოპონენტები: ბერძენიშვილი, ნ. ა., ჩხეტია, შ. ყ. და აბულაძე, ი. ვ. დამტკიცდა 1941 წ. 30. VI. ინახება საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინს-ტში.

44. **კიკნაძე, ზ. ს.** პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური შეხედულებანი. [თბ.] 167 გვ.

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: თავზიშვილი, გ. ი. და კაჭარავა, ი. ბ. დამტკიცდა 1938 წ. 28. XII.

* 45. **მირიანაშვილი, მ. მ.** ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. К вариационной проблеме квантовой механики. (საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე. Сообщ. Академии наук Груз. ССР., 1943. т. IV, № 3, стр. 219-226. — რეზიუმე ქართულ ენაზე. Библиогр. в конце текста. (4 назв. на иностр. яз.)).

დაიცვა ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: ბლოხინცევი, დ. ი. და ვლასოვა, ა. ა. დამტკიცდა 1939 წ. 25. I.

46. **ფოფხაძე, გ. გ.** Педагогикურ მეცნიერებათა კანდიდატი. Индивидуальный подход к учащимся начальных классов. [М]. 300 стр.

Библиогр.: (203 назв., из них 3 на иностр. яз.).

დაიცვა ლენინის სახელობის მოსკოვის სახ. პედაგოგიურ ინს-ტში. ოპონენტები: ლვოვი, ვ. ი. და რივესი, ს. მ. დამტკიცდა 1940 წ. 31. III. ინახება ლენინის სახელობის მოსკოვის სახ. პედაგოგიურ ინს-ტში.

* 47. **ცინცაძე, ი. ზ.** ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი. კახეთის სამეფოს საკითხი მოსკოვის საგარეო პოლი-

ტიკაში მე-16 საუკუნეში. (თბილისის სახელმწ. უნ-ტის შრომები, 1938, VII, გვ. 109-122. ბიბლიოგრ. სქოლიოში ქართულ და რუსულ ენაზე); (სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტის შრომები, 1942, ტ. XXIV, გვ. 61-104).

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: ჯანაშია, ს. ნ. და პოლიევქტოვი, მ. ა. დამტკიცდა 1938 წ. 22. VII.

48. ხაჭაპურიძე, ბ. ი. პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. განწყობათა ურთიერთშეცვლის პროცესის ბუნება. თბ. 1938. 1, 177 გვ. გრაფ., 9 ჩართ. ფურც. ცხრ.

ბიბლიოგრ.: გვ. 173-176 (48 სახელწ., აქედან 7 რუსულ ენაზე, 28 უცხოურ ენაზე).

დაიცვა სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტში. ოპონენტები: უზნაძე, დ. ნ., თავზიშვილი, გ. ი. და მოსიაშვა, ა. ნ. დამტკიცდა 1938 წ. 29. XI. ინახება საქ. სსრ მეცნ. აკად. ფსიქოლოგიის ინს-ტის ბ-კაში.

* 49. ჯაკობია, გ. პ. ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. თეიმურაზ II. თბ. ფედერაცია. 1939. XLIII, 281, 1 გვ.

დაიცვა საქ. სსრ მეცნ. აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინს-ტში. ოპონენტები: კეკელიძე, კ. ს. და ბარამიძე, ა. გ. დამტკიცდა 1941 წ.

საძიებლები

სამეცნიერო ხარისხებისა და დარგების მიხედვით

პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი 1, 38.
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი 39.
მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი 19, 41.
ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი 6, 25, 35, 45.
ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი 5, 34.
გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი 4, 33.
გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი 9, 17.
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი 7, 15, 18, 36.
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი 32.
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი 8.
ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი 14.
პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი 30, 31, 42, 44, 46, 48.
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი 2, 16, 26, 29, 43, 47.
ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი 10, 12, 27, 40.
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი 3, 11, 13, 20, 21, 22, 23, 24, 28, 37, 49.

სამეცნიერო დაწესებულებანი, სადაც დაცულია დისერტაციები

ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ს. მ. კიროვის სახელობისა 18.
ერევნის სამედიცინო ინსტიტუტი 8.
ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოლოტოვის სახელობისა 26.
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ი. ბ. სტალინის სახელობისა 1, 2, 3, 6, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 19, 21, 22, 24, 27, 28, 29, 30. 31, 33, 35, 37, 38, 39, 40, 41, 42, 44, 47, 48.
მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემია ტიმირიაზევის სახელობისა 32.
მოსკოვის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ლენინის სახელობისა 7, 46.

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი ლომონოსოვის სახელობისა 4, 5, 17, 25, 36, 45.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოსკოვის არაორგანული და ზოგადი ქიმიის ინსტიტუტი 34.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი აკადემიკოს ნ. მარის სახელობისა 49.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობისა 43.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურათმცოდნეობის ინსტიტუტი რუსთაველის სახელობისა 23.

ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ალ. წულუკიძის სახელობისა 20.

დისერტაციების ქრონოლოგიური საძიებელი

1937 წ. — 20.
1938 წ. — 19, 32, 34, 35, 41, 44, 47, 48.
1939 წ. — 1, 21, 29, 37, 40, 45.
1940 წ. — 28, 42, 46.
1941 წ. — 4, 5, 7, 13, 14, 15, 22, 25, 31, 36, 43, 49.
1942 წ. — 12.
1943 წ. — 8, 18.
1944 წ. — 23, 26, 33.
1945 წ. — 2.
1946 წ. — 10, 11, 16, 24, 38.
1947 წ. — 9, 17, 30, 39.
1948 წ. — 3, 6, 27.

პასუხისმგებელი რედაქტორი
დოც. ლ. ჯელიძე

სარედაქციო კოლეგია
პროფ. ა. ბოჭორიშვილი
დოც. გ. კოკოჩაშვილი
დოც. კ. მეძველია
დოც. გ. როგავა
პროფ. ს. ყაუხჩიშვილი
დოც. გ. ხაჟალია

ტექნიკური რედაქტორი,
სტილისტი, კორექტორი
მ. ალავიძე

ასოთამწყობი-მეტრანსპაჟი
შ. კურცხალია

უე 08786 სასტამბო ფორმ. რაოდ. 26
შეკვეთის № 3735 ხელმოწ. დასაბ. 3/VII 48 წ.
ტირაჟი 500 წიგნის ზომა 6X10

გაზ. „ინდუსტრ. ქუთაისის" სტამბა, ლ. ბერიას ქ. № 9.

ფასი 20 მან.

ა 45
1948

ვეფხ 117

101

ქვ.